

644
1969 / 4



מכון הלימודים
הלאומי

הכרטיס

12

1969



ტყეა

151

გამომცემის მფლობელის წელი

11281

12

დამამბეჩი

1969

თბილისი



საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



შინაპირსი

- 3. გიორგი ლომიძე — 70 წელი
- 4. გიორგი ლომიძე. გამომუშავებული ლექსები

პროზა და პოეზია

- 5. რევაზ ინანიშვილი. საღამო ხანის ჩანაწერები. მოთხრობები.
- 18. ნოდარ გურაშვილი. ლექსები
- 22. ანდრე სალუვაძე. ნაწილი. დრამატული პოემა თეშების წარსულიდან
- 44. ნოდარ შამანაძე. გოგლა და გოგლაშრა. მოთხრობა
- 49. ევგენია ოპიტაშვილი. ლექსები
- 49. ვიკო ჯანაშვილი. საპარტიოელ. ლექსი

პოეზიის მერიდიანები

- 50. ძველი გერმანული ლირიკა. საფო, ანაქრეონტი, ალკეოსი, სოლონი. ლექსები. ძველი გერმანულიდან თარგმნა გიგლა ხარიშვილმა

ახალი თარგმანები

- 52. ალექსანდრე გრინი. მარტინ. მოთხრობა. თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

ლენინიანა

- 59. დიმიტრი თუხარაი. დიდი ბელადის მხატვრული სახე

წერილები

- 63. რევაზ თვარაძე. მთლიანი საპარტიოელის მისიამე
- 80. ვლადიმერ ჯიბუტი. შემოქმედის კორიუმენი
- 84. კონსტანტინე კინეშაშვილი. რუსეთში პარტიული ენის საუნივერსიტეტო სწავლების ისტორიიდან
- 94. გრიგოლ ხერხეულიძე. ბალახტიონ ტაბიძის ლირიკა ოციანი წლებიდან
- 103. გორის ღარბია. ერთი ავტორიუმის გამო

კოლემიკა

- 107. პროკოფი კაბიანი. ისევ ვიჭრისტუკოსნის ავტორის ვინაობაზე. დასასრული

თავგადასავალი

- 128. ვალდის კოშვიანიკოვი. ფარი და მახვილი. თარგმნა გურამ გვერდწითელმა

ჩვენი კალენდარი

- 152. ნინო ჩხეიძე. დარია ახვლედიანი
- 153. შურნალ „ცისკრი“ 1969 წლის ნომრების შინაარსი


მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ ასათიანი,
- პაპი ბაძრაძე,
- ია გამრეკელი,
- ვივი გეგეჭორი,
- გურამ გვერდწითელი,
- მერაბ ელიოზიშვილი,
- პარლ კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტიპ პაპოკრია,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნოდარ წულეისკირი,
- ტარიელ ჰანტუკია,
- სერგი ვილიანი,
- თამაზ ვილიანი,
- ლუბა ჯანაშია,

გიორგი ლეონიძე

70 წელი



ქართველი ხალხი დიდი სიყვარულითა და მაღლივრებრით აღწინააღმდეგავს გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 70 წლისთავს. ამ ღირსსახსრობარ თარიღს ერთგვარი სინაწულინ ბრძანობაც ახლავს — ვალმომხდელი კომედი თვავად ვირ ეგებება საკუთარ იუბილეს, რომ თვალი გადაავლოს სასახლოდ განვლილ გზას და მომავალშიც დაუღალავი სამსახური აღუთქვას მომავალ ერს.

გიორგი ლეონიძის აღრეული სიზაბუკიდან, თითქმის ბავშვობიდანვე ვკრნდა შეგნებული, რომ მთელი სიცოცხლე ხალხის, მომავლიური მწარლოგის კეთილდღეობისათვის უნდა შეეღია. ვინ მოთვლის, რამდენ საზოგადოებრივ და საკვლელოკმედო საკმეში სდებია წილი, რამდენი დიდი წამოწყების მოთავე ყოფილა.

თავისი გოლიათური კიროვნებით მუღამ ახალგაზრობასთან იყო, რადგან სიზაბუკი და ლეჟნი თავიდანვე ერთ სანაწულად, ერთ ცნებად აღიარა. მრავლის მიტყველია ის ფაქტიც, რომ გიორგი ლეონიძის განაოცარი ენებრით აღსავსე სტრიქონებმა ახლადდაარსებული „ცისკრის“ პირველსავე ნომერში გაიღება. იმ დღიდან მოყოლებული, გიორგი ლეონიძე ჩვენი შურნაღის ერთ-ერთი ყველაზე სასუტველი ავტორი და ნამდვილი ჰირისუფალი იყო.

„ცისკარმა“ კომეტის ბარდაცვალების შემდგომც დაგაქდა მისი რამდენიმე გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, რაც მინოვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

გიორგი ლეონიძის ფრთიანი, მიმინოსავით გაწვრთენილი სიტყვა კვლავაც თავს დასტრიალებს სამოგლოს — მხნეობას მატავს ახალ რუსთავს და უჯარმის კველთაქველ ნანგრეობას ეალერსება, მხარში უღბას მიჩინის თუ მივენახს, მიცხვარესა თუ მიწის მუშას... მის ლეჟს მუღამ შერჩება განუმეორებელი ელვარება, მიწვევის ყვავილების გაუზნარი ფარი. კომეტის შინაგან საწყაროს ყოველთვის დააგშენებს ჩვენს უბადლო ხალხურ ბაღადებში გამჯდარი რინდული სული. გიორგი ლეონიძე ხალხის მარადიული წილიდან იყო ამოწოდლი და თავისი დიდი ნიჭისა და გულის სითგო ხალხსვე დაახარჯა.

1960 წლის ივნისის ცხელი საღამო იდგა... ქალაქის ხმაურს არიდებულნი, ურთი მეგობრის მიწვევით, ფუნქიულიორის ფართო აივანზე მაგიდის ირგვლივ ვისხედით. გიორგი ლეონიძე ხომ ლხინის სული და გული იყო. პოეტი ამ დღეს განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო და ბოლო არ უჩანდა მის ხუმრობას, დიდი სიყვარულით წარმოთქმულ სადღეგრძელოებს, სასიამოვნო საუბარსა და მოგონებებს..

გიორგი ლეონიძეს რაღაც განსაკუთრებული სიყვარულითა და ქაბუკური გატაცებით ხიბლავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულები — ნინო და ეკატერინე... ხშირად იცოდა მოყოლა სხვადასხვა ეპიზოდებისა მათი ცხოვრებიდან. ბავშვივით გაიხარებდა, როცა ძველ ხელნაწერებში თუ მოგონებებში რაიმე ახალს იპოვიდა მათზე... აქაც, იმ ტკბილ საღამოს პოეტი გვიამბობდა ეკატერინესა და ნიკოლოზ ბარათაშვილის უიღბლო სიყვარულზე. შესვა მათი სადღეგრძელოები. შემდეგ ერთბაშად თითქოს განმარტოვდა, პაპიროსის კოლოფი აიღო და წერას შეუდგა. კოლოფის მეორე მხარეს ყველა იქ მყოფს ხელი მოაწერინა. გადმოშვა და თავისებური ჩაბუხუნებით მიტხრა:

— შენს არქივში იყოს მოსაგონრადო.
კოლოფზე პოეტს ორი ლექსი დაეწერა.

ნოდარ ალანია

ქვეყრინე ჭავჭავაძის

შენთვის ბევრმა სიტყვას თაფლი ადინა,
როგორ გითხრა, მეც მიყვარხარ, კატინა,
მეც მეძახის მაგ დალალთა მსტოვარი,
ეგ საყურე აღმასშუქნათოვარი,
ეგ თვალები — სილამაზის ფანჯრები,
მპირდებიან, რომ არასდროს გავკერები!

30/VI — 60

ლექსის ფოლადი

არ დამიჩლუნგდა,
არც ნიშანი აქვს დაუძღურების,
სულ მდერის გული, განა მიჩუმდა?
მესმის მუსიკა დაუსრულებლივ.
ვუმდერი ხალხის ოცნების სუნთქვას,
საქართველოსთვის ვიბრძვი სიმღერით.
მე — მომღერალი ძველ ნახმლეფების,
ლექსის ჟრუანტლის
დენის მიმღები.

30/VI — 60



საქართველოს საბავშვო ჟურნალი

დედა მარიამი

თითქოს გვირაბში მივდიოდეთ, — ზღმარჯვნივაც ჩამუქებული ფოთლებით გამოვსებული ტყეა, ზღმარცხნივაც, ფოთლებს ცაც შეუკრავთ ჩვენს მალა; ბუნტი, შეგუბებული პაერი ნესტის სუნითა დამძიმებული, — ნესტის, სოკოს, ძირხვენებისა და ნეშომპალის სუნით; ჩიტები ყიფიყიფებენ, ერთმანეთს გადასძახიან, გაფაციცებული დაძვრებიან, ზოგი ფრენს კიდევ ჩრდილებივით რბილად ახაზულ ტოტებს შო-

რის; წამიწამ კიდევ უფრო მუქდება ყველაფერი...

და უცებ ის ჩიტებიც დაჩუმდნენ, თითქოს ალაღმა ჩამოუქროლათო, თავთავიანთ ადგილზე გაისუსნენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ დღე გასრულდა, გარეთაც ჩამობნელება დაიწყო; ხუთიათი წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთმა შაშვმა დაიწროპინა, ერთი ბუჩქიდან მეორეში გაძვრა, — სეუბსეუპით, ფოთლების ფაჩაფუჩით; ტყემ სუნ-

თქვა შეიკრა, თავისი ღამეული საქმეებისთვის მოემზადა, თუ შეეჩერდებოდა, უკვე კრულებების ხმაც კი გვესმოდა, მაგრამ ჩვენ ამას აღარ შევეშფოთებოვართ, სოფელი ახლოს იყო — ძალი იყეფებოდა, საღდაც ხმო ბლოდა, ზოგჯერ ბავშვების კიჟინაც აღწევდა...

და მართლაც, ტყე გათავდა და ბინდგადაკრული გრილი, შეფერდებული შემოღობილები დაიწყო. ამ შემოღობილებში კარტოფილი, სიმინდი და აქაიქ მზესუმზირაც იდგა; შიგ და შიგ დამრგვალებული, ჩაშავებული ხეებიც ჩაყუჩებულყვენენ ყარაულებივით, საღდაც ვიწროში წყალი ჩამოჩხრაილებდა, ბატარა წყალი, თითქოს იქიდან მოდიოდა ნიავი, რომელსაც მოჰქონდა სველი ლამისა და ახალი ნაკელის სუნე; ყველა და ყველაფერი, სულიერ-უსულო, მოქცეული ვიყავით ერთი სუფთა, მოლურჯო-მონაცრისფრო უძრავი ცის ქვეშ; და კიდევ უფრო დავმშვიდდით, მხრებში გავიშალეთ და თავაწეულები, გახალისებულნი მივეცენით გზას...

მაგრამ არ წავსულვართ ტყიდან დიდ მანძილზე, რომ წინ, ოდნავ ხელმარჯვნივ, ტყრუშული ღობე აღაწუნდა. ორივე შეეჩერდით, მეცა და გიოც, და უნებურად მივიწიეთ ერთმანეთისკენ. ღობეზე, შავადთავჩაქინდრული მზესუმზირების მალდა, ვიღაც სამკუთხად განასკვეულ თავსახვევიანი ახალგაზრდა ქალი შემოდგა, ცალი ხელი მალდა ასწია და მერე ბრავგანით ჩამოხტა ძირს.

— რომელი ხარ მანდი! — დაუძახა გიომ.

ქალმა ცოტა ხანს ხმა არ გაგვცა, რადაცას ეძებდა, თუ ისწორებდა, მერე წამოვიდა, ანწლები გამოარღვია და ფშავურ კილოზე თვითონ გვეითხა:

— თავად თქვენ რომლები ხართ?

ისევ გიომ უთხრა, რომ ქალაქელები ვიყავით.

— უი, რატო არ მომკლავს ღმერთი! — გაეცინა წყნარად, თან ჩუსტი

გახიდა და კანჭზე შემოიკრა, — ხომ არ შეგეშინდათ?

— შეგეშინდა, აბა, ~~აქ შეგეშინდა~~ და?

— ემანდ წყალზე ჩავალთ, შესვამთ და გადაგივლისთ.

— ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა და... — აღიდჭირებდა გიო.

— კარგია, კარგი, ხმაზე გეტყობა, რაიც დაგემართა.

ამ დატევაზე ჩვენც გაგვეცინა, მაშინ ის მთლად ახლოს მოვიდა, სახეში შემოგვხედა, ჯერ მე, მერე გიოს.

— უი, მართლა უცხონი არა ჰყოფილხართ?!

და განზე გადგა შეკაეებული ღმილით.

— მაპატიეთ, შინაურულად რომ გელაპარაკებოდით!

ასე, ამ შეკაეებული ღმილით და თავისებური რიდით მოგვეყვებოდა გვერდზე, გზის ნაპირ-ნაპირ, თითქოს პორიზონტს მიშტერებულნი. მაგრამ მაინც მალე ვიგრძენით, თანდათან როგორ გაიმართა წელში და საზეიმო ადგილი მიუჩინა თავის ისედაც თვალსაჩინო ქალურ ნაკეთებს.

— თვითონ არ გეშინია, რომ მარტო დახვალ ამ დროს? — ეკითხებოდა გიო.

— რის უნდა მეშინოდეს! — მოგვხედა ამაყი გაკვირვებით, — აქ ჩვენ მეზობელ-ნათესაეები ვართ სულა.

— გადმოვარდნილი მგლებისა?

ცოტა ხანს გვიყურა გვერდულად, დამცინავი ღმილით, მერე გამაფრთხილებლად დაიქნია თავი:

— გადმოვარდნილებს ის უჯობთ, გზაზე იფიქრონ, თორემ...

— თორემ, რა?

— თავმთელები ვერ დაუბრუნდებიან დედილოებს.

— ვაიმეე! — გააგრძელა გიომ.

— ხო, ხო! — ბავშვური დაბეჯითებით გაიმეორა ქალმა, და ჩვენ მიგვვდით, რომ ის კიდევ უფრო ახალგაზრდა იყო, ვიდრე თავიდან გვეგონა. მიდიოდა და როგორღაც ჯიბრიანი სიზვიადით



მიჰქონდა ვეებერთელა გაჭედილი მკერ-
დი; იმ მკერდთან აწეული მარცხენა
ხელით ჩაბლუჯული ეჭირა ფესვებია-
ნად დაგლეჯილი მწვანე ხახვი; ცდი-
ლობდა, ჩვენსკენ ნაკლებ ემზირა და
ისე გაეცა პასუხი ჩვენს კითხვებზე,—
იცნობდა თუ არა გაბრიელს, ხინჩაკა-
შვილს, ჩვენს ძმაკაცს, კარგად ჰყავდა
თუ არა იმ გაბრიელს ჯალაბობა და
სხვა, — მაგრამ ხანდახან მაინც შემოუ-
ჩერდებოდა თვალი, ნახავდა, რომ ატა-
ცებული ვიყავით ორივენი, მეცა და
გიოც; და მაშინ წამით თითქოს ნაბიჯი
ეშლებოდა, ძაგუნა ნაბიჯი, თითქოს ბო-
ჟირს იწყებდა მაგნიტური ველივით
ფართოდშემოვლებული მისი მდებარე-
ლი მუხტი; მაშინ ის ან თავსაფარს წას-
წვდებოდა, ან არადა, თავსაფარს შიგ-
ნით — თმას.

— ქმარი გყავს? — ეთამამებოდა
გიო.

— ქმარიც მყავს და ტყუბი ბიჭიცა.

— აუჰ!

— რა იყო?

— ყოჩაღ, დაო.

და ცოტა ხნის შემდეგ:

— ქმარი თუ გიყვარს?

წამის რაღაც უმცირეს ნაწილში წარ-
მოვიდგინე, როგორ ხმას გამოსცემდა
გიოს მზით ვატკიცინებულნი ყბა ამ სი-
ჩუმეში, მაგრამ ქალმა რბილად ჩაიღიმა
და ეს თქვა:

— ჩემი თავი შემოველოს იმას.

შავ ხეგში, შავ წყალზე, შავ ქვებს
შორის, ერთი ჩახრით გარეცხა ხახვი,
გაალაღლდა რამდენჯერმე, დაიქნია,
დაწკრიტა და მერე ჯიქურ ასკრა შენო-
ტივებული აღმართი.

აქედან უკვე სოფელიც იწყებოდა,
სახლებში ელექტრონათურები ენთო.
ქალი ახლა მალ-მალე იყურებოდა ჩვენ-
სკენ და გამარჯვებულის იერით აბრწყი-
ნებდა თვალებს, ბოლოს ერთ სახლთან
შეჩერდა და დაიძახა:

— გაბრიელო!

— ჰეჰეუ! — გამოსძახეს იქიდან.

— შინა ჰყუდავხარ? სტუმრები მოგე-
ვიდნენ, გამოჰხედე.

— შენა ხარ, მარიამო?

— ხოუ. კარგად იყავით, გადმოვარ-
დნილო მგლებოო.— გავვიცინა, თავი
დაგვიქნია და წავიდა წინწახრილი; რა-
ტომღაც აქ ფეხს აუჩქარა, თითქმის გა-
იქცა.

ჩვენ ვიდექით და ღიმილით გაყურე-
ბდით მის გზას. ხეებს ზემოთ ამოღან-
დული ორსართულიანი სახლის კრიტი-
ნა კიბეზე დინჯად ჩამოდოდა ჩვენი
სტუდენტობის დროინდელი მეგობარი
გაბრიელი, უკვე წვრილშვილი კაცი.

●
მაგრამ მე ერთხელ კიდევ ვნახე მარი-
ამი.

დილას, რომ ავდექი, ის იყო გათენ-
და. ეზოში, რიყის ქვით ნაგები გომურ-
ის ვვერდზე, მოჩვენებასავით უქრავად
იღვა მუცელჩახუნეტილი მურასა ძროხა,
იქვე, ძემვის ღობესთან, თვალგებდახუ-
ჭული იწვა წითელი ხბო. გომურის თავ-
ზე შემტკნარი ლელი იყო გაფენილი,
ბაღში ალუბალი მწიფდა, ვაშლებს და
ოტურ ქლიავებს სხმისგან ტოტები და-
ზნეჭოდათ. ის ტოტები ძალიან შავად
გამოიყურებოდა, ჩანდა, სველი იყო.
ბაღის ბოლოზე გზა გადიოდა, გზის პი-
რას, პატარა მოედანთან, ტალახში ნათ-
რევი წიფლის გრძელი მორები ეყარა;
დაბალში, ხეებს შორის, ორი სახლი მო-
ჩანდა,—ღარიანი კრამიტით დახტურუ-
ლი; სულ ქვემოთ კი თეთრი ნისლი იწ-
ვა. ის ნისლი ნაპირებში თანდათან თხე-
ლდებოდა და აბლაბუდასავით იყო გაბ-
მული ბექიდან ბექზე, ხის კენწეროდან
ხის კენწეროზე. მხოლოდ მაღალი მთე-
ბის ბალახოვანი მწვერვალები იყო გან-
ბანილებივით ცინცხალი და სუფთა.
ეტყობოდა, ბალახი იქ ჯერ ისევ ლორთ-
ქო იყო, ოღონდ ნარინჯის ფერისა, და
ასე გეგონებოდათ, მკვდრის მზე დასდ-
გომიათ ზედო.

რევაზ ინანიშვილი
სალამო ხანის ჩანაწერი

ბაღში, კარტოფილებიდან, ნაცარა ქათამი გამოძვრა და ბილიკს დაჰყვა ქა-
მური ლაყუნა ნაბიჯით, კურტუმის
აქეთ-იქით ქნევით. ნისკარტს ხან ბილი-
კის ერთ მხარეს ჩაჰკრავდა, ხან მეორეს.

ეს იყო ერთადერთი მოძრავი არსება
იმ ვეებერთელა მთებსა და ცას შორის.

და მეც ფრთხილად, ფხაკრავით ჩა-
ვედი ძირს.

ჩვენი მასპინძლის ღობის იქით, დასა-
ვლეთის მხარეს, ნაკადული ჩამოდიოდა.
ის ეშვებოდა საღაც ზემოდან, ხეებსა
და დიდ-დიდ მოწითალო ლოდებს შო-
რის. იკარგებოდა, ტბორდებოდა, ისევ
იკარგებოდა. გავედი ერთ-ერთ ტბორ-
თან და შევკრთი: შიგ შუა წყალში მა-
რიამი იდგა, წითელი, თეთრად დაწინწ-
კლული კაბა თეძოებამდე აეკეცა, წა-
მოხრებოდა, ღრმად ჩაყოფდა აშხემო-
კიდებულ პრილა ხელებს ათახთახე-
ბულ ჰავლებში, დგაფუნით შეისხამდა
ოქროსფერიდან ვარდისფერში გადამა-
ვალ მსხვილ ბარძაყებზე და მერე ხელე-
ბის დაწოლით ჩაიწურავდა ნელ-ნელა.
გაშლილი შავი თმა ცალ მხარეს ჩამოშ-
ლოდა და, როცა ძალიან იხრებოდა, იმ
თმის ბოლოებს წყალი მიაღვივლივებ-
და.

უცებ ცა საზარელმა ღმერთმა გააპრ-
აღმოსავლეთიდან შუბივით წამახტლი
თვითმფრინავი ამოვარდა და წამში და-
იკარგა. ცაზე დარჩა მისი კვაძლისა თუ
ორთქლის გრძელი თეთრი ზოლი...

მარიამი მუხლებში ოდნავ ჩაღუნუ-
ლიყო, სველი, მტევნებდაწითლებული
ხელები უმწეოდ ჩაეკიდა ძირს, ტუმ-
ები გახსნოდა და შიშით დადიდებულ
თვალეებით იყურებოდა მაღლა. თეთრი
ვეება ძუძუები ჩანჩქერებივით ჩამოს-
ძაგროდა ძირს, ზედ ლომის ბოკვერები-
ვით ეკიდა ტყუბი შავ-წითელი ბიჭი და
ნელ-ნელა ატოკებდნენ ფეხებს.


თეთრი შიშველი ძუძუები და ზედ
დაკიდებული ბავშვები მაშინ, რა თქმა
უნდა, ჩემი წარმოსახვის ნაყოფი იყო,
მაგრამ გადის წლები და, თვით ჩემდა
გასაოცრად, თანდათან ასე მეჩვენება,
თითქოს სწორედ ეს მაშინდელი წარმო-
სახვითი სურათი ყოფილიყოს ნამდვი-
ლი, სხვა დანარჩენი კი, — ტყის ბინდი,
მოჭიკჭიკე ჩიტები, ახალგაზრდა ქალი
ღობეზე და სხვა, — თვითონ არ ვიცი,
როდის ან რის მიხედვით შეკოწიწდა ჩე-
მი ცხოვრების ბურუსით მოსილ გზაზე.

შორი თეთრი მწვერვალი

ლასტის კარს გააღებ და პატარა რუ-
ზე გადახვალ. რუში მომწვანო წყალი
მორაკრაკებს, შიგ ცხვირისატეხელები
და მათიტელები დგას. თუ დააკვირდე-
ბი, ის ცხვირისატეხელები და მათიტე-
ლები ქანაობენ, თრთიან, ახლა უკვე
გახურებული არყების ხდაა და წყალი
აღბათ ცოტა ღვინისფერიც იქნება. სუ-
ნიც ღვინის იდგება, ღვინისა და კაკლის
წენგოსი. შეიძლება რუს ნაპირებს თხე-
ლი ყინულიც გასდევს, კიდევგაბრ-
წყინებული თხელი ყინული. საურმეში
ჩარჩენილი ტალახი ლამაზად იქნება
გაკვეთილი ტყიდან მომავალი ოთხთვა-
ლების მიერ; იქნება ცხენის ნაფლოქვ-

რებიც, ხავსიანი ხმელი მუხის ქერქე-
იც, ჩაღრმავებულ ადგილებში ჩაზლა-
ყუნების დროს რომ ცვივა ხოლმე შე-
შადადებული ურმებიდან. ეს ხმელი ქე-
რქები მოგაგონებს იღუმალეებით მოც-
ულ ტყის ზღაპრების ნაწყვეტებს. ვზის
იქით კი, შეფერდებულში, მწვანე შუქი
დგას, — ყუნყრუკი მოსდებია ფოთოლ-
გაცვივნილ ვენახებს. შიგ და შიგ სხვა-
დასხვა ფერის ხბორები გაფანტულან
და გუნებაგამორჩევით სძოვენ. ბილიყ-
ზე, ჩრდილიან კბოდეს ძირში, ციკნი-
ყურასა და მრავალძარღვაზე, ჯერ ისევ
იქნება შემორჩენილი თრთვილი.

ვენახების თავში გულაბების თით-



რიან ტოტებს ფათაფუთქით და წრიბინით ესევან ჩხართვები. იმ გულაბების უკან, გაქუტულ სერზე, არქაული სიმშვიდით დაფამფალეზენ ქუჭყიანი, მატყლში ძურწაჩაკრული ცხვრები. ძეძვის ძირში მიმჯდარა ნიბლა ესტატე და გრაკლის ჯონს აჭრელებს ბალღებისათვის. ზემოდან, სერზე ვადმომავალ გზაზე, გულურებაკიდებული სახედრები ჩამოდიან, მოათხაკუნებენ გულურების ბოლოებს ხრიოკ, ალაგ-ალაგ ღორღიან მიწაზე. იღლიაში სახრემოჩრილ ბიჭებს ჯიბეები ზღმარტლით აქეთ სავსე, თან რალაცას მოლაპარაკობენ და თან იმ ზღმარტლს ქამენ. შეხვდები, გამოგლიშებენ და, მეგობრობის ნიშნად, გვერდულად შემოგიღრენენ? „ჰა, ვერან!“ თანაც ზღმარტლს გამოგიწვიდინ: „აჰა, ქამე“.

სერზე რომ ახვალ, უეჭველად შეჩერდები, ქარს ამოიღებ, მიმოიხედავ, ეუპ, რა სივრცეებია გადაშლილი შენს წინ! აქეთ, დასავლეთით, რიყეში ჩაკარგული იორი, იორს იქით, გორაზე, უჯარმა და მუხროვანი, ქვემოთ მელანლო,—თათრების სოფელი, იმის ქვემოთ სართიქალა, იმის ქვემოთ სასიანო, თეთრქვა, ქოჩორა... დასცქერი მაღლიდან და, ასე გგონია, ამოდენა მიდამოს ბატონ-პატრონი შენ ხარ, გაიქნევ ხელს და, ჯადოქარივით, შენს ნებაზე ამოძრავებ ყველაფერს.

სერს იქით, აღმოსავლეთით, ტყეწვრილი ჩადის დაბლა-დაბლა, იქ ძირმიწებია, ნასიმიწდრები, ნახნავეები; ზაფხულში მარწყვი იცის, ზოგჯერ წითლად არის ხოლმე გადაღლებული ძეძვის ძირები. ახლა მოწყენილობაა, შეიძლება ყორანი ყრანტალეზდეს, საიდანღაც ქარისავან ატაცებული ფოთოლოვით შემოფარფატებული. ძირმიწებს მოქურთმებული შავკაციანთ სერი წამოსდგომია თავზე...

ტყეწვრილში ორთვილი დევს. ხეები სულ ჩამოწმენდილან, მხოლოდ ახალგაზრდა მუხნებზე შერჩენილა გაფხოკილი, დააფრაკებული ფოთლები და, ნია-

ვი რომ წამოუბერავს, თხილის ნაჭუჭე-ბევით ჩხრიალებენ. დიდ ტინებზე, სიამოვნოდ ხასხასებს რბილ-ხავსი. ახლა იმ ხავსსაც, ორთვილი ექნება დადებული, ხელი უნდა გადაჰკრა, გადაბერტყო, და უფრო სასიამოვნოდ დაიწყებს ხასხასს. ქახჭახით გადადიან ბუწყნარიდან ბუწყნარში საზამთროდ დასუქებული, ფერდაპეწილი, ყვითელ-ნისკარტა შაშვები. რბილი სკუბ-სკუბით გადასჭრის ბილიკს ზურგზე წაბლის-ფერგადაკრული კურდღელი, ჩაჯდება უკანა ფეხებზე, მოგხედავს, დაფეთდება და გავარდება ყურებგალურსული სერ-სერ. თუ მელია შეგხვდა, ის ნელა, ლანდევით უხმაუროდ გადაგითრევს წინ თავის გრძელ, ფუმფულა კუდს და შეიკარგება გოხებში.

აქედან შეიძლება დაინახო დიდი ტყიდან მომავალი მოწყენილი ურემიც, ან მანქანა...

მერე აპყვები შავკაციანთ სერს. ჯერ ახვალ მუხიანში, მერე და მერე ღვიაც გამოერევა, წავიცილება ხელი, მოგლეჯ ჩხვლეტანა წიწვებიან ტოტს, გასრეს იმ წიწვებს და მთელ დღეს აღარ მოგშორდება ღვიის საამური სუნი. აქ ტყე ჩაშავებულია, ჩაიდუმალებული. ხეე-ხეე აშავალი გზა ხმელი ფოთლებით არის სავსე. ახვალსულ მაღლადა, ტყე რომ გათავდება, წმინდა ქუჩი ბალახით მოთებოვებულ ამობურცულ ველში გახვალ. ეს არის შავკაციანთ სერის ლბილი, ლბილი თხემი. ამ თხემიდან რომ ჩრდილოეთისკენ გაიხედავ, თუ ცა მოწმენდილია, ჩალურჯებულ, ჩახორხილ, ტყიანი და ჩამოხეწილი მთების უკან თეთრ ლამაზ მწვერვალს დაინახავ. გასაოცრად ერთფეროვნად დგას შამთარშიც და ზაფხულშიც,—სულ თეთრი. ხანდახან თუ წამოედება ლეგა ღრუბელი, ან მოსცილდება, ანდა მზე მოავარაყებს ოქროსფრად. მაგრამ აუწერელი ძალით იზიდავს ადამიანის თვალს. ბიჭი სავანგებოდ ამ მწვერვალის დასანახავად

რეზაზ ინანიშვილი
სალამო ხანის ჩანაწერი

ამოდის ხოლმე (თან წალდი მოაქვს. თითქოს ფიხზე ან წნელზე იყოს წამოსული). დგას და გაჰყურებს გულისცემით. ასე რომ გელარ უძლებს, ჯდება, ზოგჯერ წვება კიდევ და ხან თვალმბრუნებელი იყურება, ხან თვალმომოქუტული. ჯიბეში ვაშლები აქვს, ამოიღებს და მადიანად ჩაქებჩს...

ბიჭმა კლასს გადახედა. მთელი კლასი მას მისჩერებოდა, დაინტერესებული, დამცინავი ღიმილით.

— არ გესმის, შინდელაშვილო, — დაუდახა მასწავლებელმა, — გაიმეორე, რას ეწოდება ადგილის გარემოება.

ბიჭი წამოდგა, ხელები მერხის კალთებს ქვეშ ამოაწყო, თვალეში ისევ გაუკვევლობის ბურუსი ედგა.

— ვაი, შენს პატრონს უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგზავნა. შენცაა შინალით თქვა მასწავლებელმა. მაგიდის ბლოკნოტი აიღო და წითელი ავტოკალით რაღაცა ჩაინიშნა.

— გაიკარ ორიანი, ბიჭო?! — კახურ კილოზე გადმოსძახა უკანა მერხიდან ყველაზე დიდმა ბიჭმა.

კლასი ახარხარდა.

— რა ამბავია! — იყვირა მასწავლებელმა.

შინდელაშვილი დაჯდა, თავი ჩაღუნა და ქვედა ტუჩს კენჭა დაუწყო. მის გვერდით მჯდარმა გოგონამ შეამჩნია, რომ წვრილი, შავ-ყვითელი თითები საბრალობლად უკანკალებდა.

ქუჩაში ტრამვაის ბუგელმა კამკაში, ბრაზიანი ცეცხლი გაუჩინა მავთულს...

სადაგელი გოგონა


ეს მოხდა ზღვისპირა აგარაკზე, ნოემბრის ღრუბლიან დღეს. დედა და შვილი, ხუთი წლის ფერმკრთალი ბიჭუნა, ბაღში მისეირნობდნენ. ბაღიც ლამაზი იყო — ქარვისფრად შეყვითლებული, — დედაც და შვილიც. მთრთოლვარე ფოთლებიან ალევსა და ნეკერჩხლებს შორის უძრავად იდგნენ თითქოსდა ვერცხლით მოსევალებული ნაძვები. იმ ნაძვებსაც, ალევსადაც და ნეკერჩხლებსაც ძირებზე ხახხასა სურო შემოხვეოდა. სუროს ფოთლებზე დილის ცვარი ბრწყინავდა. შეიძლება ის სულაც მებაღის მიერ შლანგით მისხურებული წყალი იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?! ნამდვილი დილის ცვარისაგან ვერც კი გამოარჩევდით.

დედა თან მიდიოდა, — ნელა, მაგრამ ღონივრად ადგაშა მზემოკიდებულ მადალ ფეხებს, — თან ახალ ფერად ჟურნალს ათვალიერებდა. იგი ძალიან მოსწონდა ზღვიდან მოსულ ნიავს და საფეთქლებთან ეფერებოდა. დედა ზურვით აისვამდა გრძელთითებიან მოთენ-

თილ ხელს, იმ ნიავს მოიცილებდა, მაგრამ აცელქებული ნიავი არ ეშვებოდა, ცოტა ხანს გვერდზე წავიდოდა, მერე ისევ შემობრუნდებოდა და მზის სხივებით მსუბუქ თმის ღერებს უთამაშებდა.

ბიჭუნას წინა თვეში ქუნთრუშა მოეხადა, სირბილისა და ხტუნვის უფლებას ჯერაც არ აძლევდნენ და ამიტომ სული ბღვირებოდა. ეტყობოდა, თმაც კი არ დაეეარცხნა. ის სწორი ქერა თმა თითქმის წარბებზე გადმოფხატოდა, იქ ორად გაჰყოფოდა, ნახევარზე ცოტა მეტი მარჯვნივ წასვლოდა, ნახევარზე ცოტა ნაკლები — მარცხნივ; კინკრობოზე ხონძასავით ედგა ერთი ბლუჯა! საქამრემდე აწეულ ხელში შავი, დიდი კოლტი ეჭირა და მზად იყო, თუკი ვინმე ცოტასაც გააბრაზებდა, იქვე დაეცხვებინა.

აი, გავიღწენ პატარა მოედანზე. დედამ ჟურნალი დაუშვა და გაეღიმა. ამ მოედანზე დამშრალი აუზი იყო, რომლის სველ ფსკერზე ყვითელი ფოთლები ეყარა, შუაგულში კი, ხავსიანი ქვებ-



ის გროვზე, მოკლეპერანგიანი ბრინჯაოს გოგონა იდგა. გოგონას მარცხენა ხელით რკინის მასრა აეწია მაღლა (იქიდან ხანდახან წყალი ამოდებდა), მარჯვენა, ნახევრადგაშლილი პაწაწინა პუტკუნა საჩვენებელი თითი ქვედა ტუჩთან მიეტანა და ფეხებთან დასკუბებულ ბრინჯაოსავე ბაყაყს რაღაცას ეუბნებოდა.

ბიჭიც შეჩერებულოყო, გოგონასა და ბაყაყს უყურებდა მოღუშული, წარბებს-ქვეშოდან. შავი კოლტი ისევ შემართული ეჭირა.

—რა ლამაზია, არა, ვაჟიკო?—ჩაცუცქდა დედა. სწორი, სუფთა წვივები შეტყუებული ჰქონდა, ჟურნალი კალთაში ედო, თავს ხან ერთ მხარეს გადასწევდა, ხან მეორე მხარეს. ეტყობოდა, გოგონა აქედან უფრო მოსწონდა, შეჰლიძობოდა, შეჰფოფინებდა.

—რა ლამაზია, არა, ვაჟიკო?
 —საძაგელია, — წარბგაუხსნელად, რაღაც დაბოღმილი ხმით თქვენი პუტკუნა
 —რატომ, ვაჟიკო, არა გრცხვენია?
 —იმ ბაყაყს ატყუებს.
 —როგორ, ატყუებს?!
 —რამეს გეტყვიო, ბაყაყი ზის და უცდის, ის კი არაფერს ეუბნება.
 —რას ამბობ, ვაჟიკო!
 —ჰო, ეგეთები არიან გოგოები.

გზაზე წვერიანი მებაღე გამოჩნდა, რეზინის შავ შლანგს მოათრევდა. დედამ შვილს თავზე ხელი მოჰხვია და რბილ მკერდზე მიიხუტა. ეტყობოდა, არ უნდოდა, იმ მებაღეს გაეგო, რა ცუდ რამეებს ლაპარაკობდა მისი ბიჭუნა გოგონებზე.

მებაღე მაინც დაბღვერილი იყურებოდა.

ცოდვა დიდისა

დევიშვილები გარეკახელები არიან. ეს გვარი ოდესღაც დიდი, ძლიერი გვარი უნდა ყოფილიყო, რაზედაც თუნდაც ის მუტყველებს, რომ გომბორის მთის ერთ-ერთ ჩაღრმავებულ ადგილს დღესაც დევიანთ ტაფობს ეძახიან, მაგრამ ახლა მთელ იმ მხარეში ორად ორი კომლია სახლობს დევიშვილებისა—გოგიასი და მიტასი. გოგიას სამი შვილი ჰყავს და სამივე გოგო, ამიტომ გვარის ვაგრძელების მთელი იმედი მიტას ბიჭებზედაა დამყარებული—ამირანზე და ელიზბარზე. ამირანი დიდია, ამ შემოდგომაზე ცოლიც შეირთო, მანგლისელი ქალი, ელიზბარი კი ჯერ ისევ სამშუალო სკოლაში სწავლობს, მეცხრე კლასში. მშობლები რომ ერთად გამოდიან, გაოცებულნი თანასოფლელები (ვითომც არ იცოდნენ) ხშირად აჩერებენ და ეკითხებიან: ბიჭო, კაი მამის შვილებო, რომელი ხარო უფროსი, შენა თუ შენაო. და რომ გაიგებენ, უფროსი ამირანია, ხოლო ელიზბარი ისე, ტანად არის დიდი,

კიდევ უფრო გაოცებენ და ელიზბარს რაღაც დანანებით ეტყვიან: შენ ნამდვილად საწყალი პაპაშენის ძმის, ალაღეს კვალობაზე ხარ წასულიო. ელიზბარმა იცის იმ საწყალი ალაღეს ამბავი და მოუსვენრად ტოკაქს. ეჩვენება, რომ იმისი ხსენებაა და ნიავს საიდანაც სანთლის, საკმეველისა და მიტოვებულ ეკლესიაში დაბუღებულ დამურების უსიამო სუნი მოაქვს. მაგრამ იქვე ეუფლებოდა მეორე გრძნობაც, ესაა იღუმალი პატივისცემა, დაახლოებით ისეთი, როგორსაც განვიცდიდით ხოლმე თვით ყველაზე იავარქმინილი ეკლესიის მიმართ. ამიტომაც არის, რომ ელიზბარს დღემდე გადაჭრით არ შეუძლია თქმა, სიამოვნებს თუ არა, როცა ალაღეს აღარებენ.

ის ალაღე კი, ამირანის და ელიზბარის პაპის ძმა, ე. ი. გოგიას და მიტას ბიძა, ერთი იმათთაგანი ყოფი-

რეზაზ ინანიშვილი
 სალამო ხანის ჩანაწერები

ლა, რომელთა გარეგნობის გამოც უნდა დარქმეოდათ დევიშვილებს დევიშვილები. ვისაც ის ახსოვს, და ვის აღარ ახსოვს, ვინც კი იმათ სოფელში 65-70 წლისაა, რომ ჰკითხო, მაინც რა ისეთი იყო ის ალაღო, უთუოდ თავს გააქნევს და გაოცებით იტყვის, იმოდენა ჯეელი არც დაბადებულა და არც დაიბადება ქვეყანაზეო. იყო, თურმე, ერთი ვეება, თეთრგვრემანი, მშვიდი, ცისფერთვალეა, გაკვირებული ბიჭი; თითქოსდა თვითონვე უკვირს, ეს რა არის ჩემს თავს, ანდა თქვენს თავს, ძმებო, რადა ვართ ასე გამორჩეული ერთმანეთისგან, ან მე რატომ ვარ ამოდენა, ან თქვენ რამ დაგლიათ ვარეო. დადიოდა თავჩაღუნული, სულ ღობეებისა და კედლების ძირ-ძირ, წინასწარ უთმობდა გზას ყველას, თითქოს ეშინოდა, არავის არაფერი ვატყინოო, მშვიერი. რა საქმელი ეყოფოდა იმოდენა სხეულს! სიგამხდრისაგან მოწყვეტილებივით დაჰქონდა კიდურები. და ერთადერთი, ვისთანდა თავისუფლად შეეძლო სახის გახსნა, ბავშვები იყვნენ. ახორხლიდა ბეჭებზე ოთხ-ხუთ ყმაწვილს, ორ-ორსაც აქეთ-იქით, ილიებში ამოიჩრიდა და ატრიალებდა, „ქალოს ალუწვინებდა“, აცინებდა.

მამა, იმაზედაც ამბობენ, ისიც დიდი იყო თურმე, არც ერთი შვილს არ ახსოვდა, არც ალაღეს, არც იოსებს—უფროს ძმას, და არც, მითუმეტეს, უმცროს დას, კატოს. სამეობოა დღეს რაღაც ჩაუყოლებია საქმელისთვის, წასკდომია პირიდან სისხლი და იქვე მოკვდარა, სამეობის ეზოში. დედას რა შეეძლო იმ აჯამპაობის დროს,—ხარები ჰყავდათ, ქელებსა და ორმოცს მოუნდა თურმე, ძროხა ჰყავდათ,—წლისთავისა და სულის მოსახსენებელს,—დადიოდა და ქერივის ცრემლებით შესტიროდა ხან ერთ ნათესავ-მოკეთეს და ხან მეორეს. ის ნათესავ-მოკეთებიც, ხომ ცნობილია,—აი, ქეთევანოო, შენი კარგი ქალობა დაილოცოსო, ძალიან დიდ პატივს სდებ შენს საწყალ ქმარსაო, შენ იმას, რაცეკუთვნის, არაფერი დააკლო და თქვენ

არას გაგიჭირვებთო. მაშინ რომ ასე იყო, თუნდაც შესძლებოდა, ქალოს ალუწვინებდა, ნათესავ-მოკეთებს თურმე ეჭრებათო. ნათესავ-მოკეთების იმედზე კი,—ჩვენი მტერი და ავადმასხენებელი დადგეს მარტო იმათ იმედზე!—იოსებმა და ალაღემ რომ მუშაობა შეიძლებს, აღარც ვენახი ჰქონდათ და აღარც სახნავი,—ყველაფერი სხვებს დარჩენოდათ ვალში და ვახშში.

იოსები კახეთში გაგზავნეს და მოჯამგირედ დააყენეს ერთ მეზვრესთან. ალაღე კი სულ შინ იყო, დედასთან და უმცროს დასთან. ზურგი გარქოვანებულ ჰქონდა ტყიდან გულღურების ზიღვით მეზობლებს, თვინიერი ხასიათის გამო, ძალიან უყვარდათ, იმისთვის ერთ კერძს არავინ დაიშურებდა, მაგრამ ალაღეს ამისთანა რამეებისგან თავი შორს ექირა. ეს კი არა, ქელებსა და ქორწილებშიც კი ვერაფრით წაიყვანდნენ,—იფიქრებდნენ, გასაძლობად არის მოსულიო. წავიდოდა, სადღაც ვენახში ან ქალაში წაწვებოდა და იქ ემალებოდა უბანში დატრიალებულ შემწვარ-მოხრაკულის სუნს.

მხოლოდ ერთხელ მოინდომა ნიშნობაში წასვლა, იოსები რომ ინიშნებოდა, საკუთარი ძმა, ყანდაურაში. ვალდებულები იყო, სხვა ვინ უნდა გაჰყოლოდა იმაზე კარგი და ახლობელი იოსებს! მაგრამ არც იმ ნიშნობაში წასვლა ეწერა თურმე,—ტანსაცმელი არ ჰქონდა, საგარეო, სხვა თუ არაფერი, ბეჭებმთელი მაინც, მარტო ის კი არა, ახალგაზრდობის უმეტესობა ასე იყო, ერთ ჩოხა-ახალუხში მთელი უბნის ჯეილობა იწერდა ხოლმე ჯვარს (რა მალე დაგვაგიწყდა ყველაფერი!) მიდგნენ, მოდგნენ, ჩოხაზე ვინ იფიქრებდა, ახალუხი ძლივს უთხოვეს, არ ჩაეტია. მეორე ახალუხი უთხოვეს, არც ის ჩაეტია, მესამე უთხოვეს და—არც ის, ვერც ბეჭები ჩასტია შიგ და ვერც გრძელი, მამიმე მკლავები. მაშინ, მეტი რაღა გზა იყო, სხვები წავიდნენ და ის შინ დარჩა, სახლის ყარაულად... ან რა სახლი ჰქონდათ, ან რა



ყოფილი საყარაულო, მაგრამ მაინც, სიტყვაზე... თითქოს არც გაბრაზებულა, არც მაინცდამაინც ძალიან დანადგლიანებულა, როცა მესამე ნათხოვარი ახალუხიც ვერ ჩაიცვა ვერასდიდებით, ერთი ჩაეღიმა, ახალუხი რბილად გადააწოდა გამტკნარებულ დედას, თავისი ძველმანი ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

საღამო ხანზე ბერებიანთ არხის პირას მჯდარი უნახავთ. ერთი მეზობელი ამბობდა, იქდა და ხმელი ჩალა ჰქონდა წაბლუჭული, რომ გავიარე, თავი არ აუწევიაო.

მეორე დღეს კი იმ არხთან თელაზე ტრიფის მსხვილი წნელით ჩამოკიდებულს წასწყდომიან ბავშვები. მიწამდე ერთი მტკაველი აღარც კი ჰქონოდა

დარჩენილი. ქარიანი დღე ყოფილა და იმ ქარზე ნელ-ნელა ქანაობდა

●
 მიტა დევიშვილი კარწელგამართული კოლმეურნეა, ბრიგადირი. ცდილობს, არაფერი მოაკლოს შვილებს. მაგრამ ელზბარი, საწყალ ალაღეს რომ ჰგავს, მაინც რალაც უცნაური, ნადველმურეული ღიმილით დადის ხოლმე. ასე გეგონება, ამ ბიჭმა ისეთი რამე იცის, რის გამხელაც უბედურებას მოუტანს ადამიანებს. თვალები იმასაც ალაღესავით ცისფერი აქვს, დიდი... ცოტა ცალი მხარი დაბლა მიაქვს, რასაც ექიმები ასიმეტრიულ ტანდგობას უწოდებენ, და ამაზე წუხან მშობლები, რა ცქნათ, როგორ მოვაშლევინოთო. სხვა მხრივ იმედით უყურებენ მის მომავალს.

შ ი შ ი

ბავშვა სუნთქვა შეწყვიტა, რამდენჯერმე ზედიზედ ამოისუნთქა და შეწყვიტა. „ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ ჯერ ისევ ძილში ითვლიდა მიხეილი. „ხუთი, ექვსი“. — მეტი აღარ შეიძლებოდა და დაფეთებულმა გაახილა თვალი. ერთხანს ვერ მიხვდა, ასე რამ დააფეთა, მერე გაახსენდა და თითქოს რალაც აუფეთქდა, კაშკაშა შუქი ავარდა და ნაპერწკლებივით თახთანით გაეფანტა სხეთლში.

წელი შედრეკილი ჰქონდა, გული ბუდიდან ამოხტომას ლამობდა, შუბლზე, კეფაზე და ფეხებზე ცივი ოფლი დაასხა, ბეჭები მთლად გაეთახვა. უნდოდა გადაბრუნებულიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა. საღდაც ზემოთ იწყებოდა საშინელი სიტყვა — „მოკვ... მოკვ... მოკვდა“, — ელექტროიმპულსებივით ფეთქვით ეშვებოდა წარბსა და წარბს შუა, მაგრამ აქ ტვინის გარსი აისხლეტავდა და, გონების ცენტრამდე შეუღწეველი, ძალაგამოლეული სხივივით ბრუნდებოდა ეთერში. „მე...ა...მე“, — წვეთავდა გამდნარი ლითონივით, ესეც მის გარეთ,

საიდანღაც საღდაც. თითქოს თევზი ყოფილიყოს და თბილ, მღვრიე ტბორში გაჰქცეოდეს, ეძებდა და ვერ პოულობდა საკუთარ თავს. უმწეობით შეძრწუნებული, შველას ითხოვდა, მაგრამ ხმაც არ ამოსდიოდა კრიჭაშეკრული პირიდან. ბოლოს ისღა მოახერხა, რომ ატირდა, ნელ-ნელა, კანკალით ჩამოუგორდა ორი ცრემლი ლოყაზე. და მოულოდნელად, ამ ცრემლებმა უშველა, ჯერ ლოყები შეიგარძნო, მერე ქვემოთ, ლავიწები, მერე მკერდი, მერე კიდურები. გულიც თანდათან დაუმშვიდდა. შუბლიდან სქელი, სიტყვაგაუმტარი ბურუსი გადაეხადა. „არა, არა, ასე არა“. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მარჯვენა მხარი წამოსწია, აპყვა ის მხარი, მაშინ კანკალით წამოიწია და ბავშვს გადახედა.

ფანჯრიდან შემოსულ სადაფისფერ შუქზე ბავშვი გულაღმა იწვა, ხელები მთელ სიგანეზე გადაეშალა, პირი დაელო, თვალის უბეები ჩალურჯებოდა, სახეზეც მოლურჯო ფერი დასდებოდა. მა-

რევაზ ინანიშვილი
 საღამო ხანის ჩანაწერები

ხელიმა სუნთქვა შეიკრა და ისე დააქცევ-
რდა. თავს წინ-წინ სწევდა და თვალე-
ბი უდიდდებოდა. ბავშვი კვლავ არ სუნ-
თქავდა. ისევ დაუწყო გულმა დაგადუგი.
ისევ აფუთფუთდნენ ჭიანჭველებივით
ოფლის ცივი წვეთები კისერზე, საფე-
თქლებზე და ფეხისგულეებზე. ისევ აი-
რივნენ საზარელი სიტყვების ნამსხვრე-
ვები შუბლთან, რაღაც გაურკვეველ მან-
ძილზე. ახლა უნდა ყველაფრისათვის
თავი დაენებებინა და...

მაგრამ ერთი პატარა, პაწაწინა იმე-
დი კიდევ ამოცემცემდა, — „იქნებ“...
და ამას დაეყრდნო, დაეყრდნო უსხეუ-
ლოს და უფორმოს, თითებგაფარჩხული,
აკანკალებული მარჯვენა ხელი წინ წაი-
დო. „ცივი რომ იყოს?“ — ერთხელაც
შეაძაგდაგეს ამ სიტყვებმა, თვალე-
ბი დახუჭა, კბილი კბილს მაგრად დააჭირა
და უცებ დასწვდა ბავშვის პატარა
ხელს.

ხელი თბილი იყო. ბავშვმა შეხება
იგრძნო, შეიმშუშნა, პირი გაამწკლათუ-
ნა, მერე გვერდზე გადაბრუნდა თავისე-
ბური ჭუჭყუნით.

მიხეილი თითქოს სადღაც მაღლიდან
ჩამოვარდა, გამოიარა ამზრზენი უსა-
ყრდენო სივრცეები, დაეცა აქ და ახლა
ნელ-ნელა იცლებოდა საშინელი ტანჯ-
ვისაგან. ეს ჰგავდა უკუქცეული ტვი-
ვილების სვლას. დამშვიდდნენ, დაწყნარ-
დნენ აკვნესებული ძვლებიც. ოფლის
წვეთების საზარელ სიცივესლა გრძობ-
და კისერთან და ფეხისგულეებში.

„რა მომივიდა ეს, რა მომივიდა...“
წამოდგა, სინათლე აანთო, ბავშვთან მი-
ვიდა, ერთხანს ჩამტერებით უყურებ-
და, განსაკუთრებით მის ნაზ, ლამაზ წი-
თელ ტუჩებს. „რამ მაფიქრებინა ეს გი-
ჟური რაღაც.“ თანაც ეს პირველად არ
იყო. ასე დაემართა რამდენჯერმე ად-
რეც. „ნერვები აღარ მივარგა, სულ ნერ-
ვების ბრაღია.“ თითები მთელი ძალით
გაშალა და მოკუმშა. უნდოდა სინათლე
ისევ ჩაექრო, მაგრამ თითქოს შიში
იგრძნო. „რისა მეშინია, რისა?!“ ამ შე-
უცნობლად წარმოშობილმა შიშმა კი-
დეც უფრო შეაშფოთა. სამზარეულოში

გავიდა, იქაც სინათლე აანთო, პირს-
ხოცი ჩამოხსნა და თავზე ჩაიფარა. და-
ვე ხელით. „არ არის გამორჩეული, არ
მორიციხული არ არის ასეთი სიკვდი-
ლი, ეს ციცი და“... არ უნდოდა ფიქ-
რი. „ეს ფიქრია ჩემი პირველი მტერი“.
ქიქა მოძებნა, ონკანთან მივიდა და
წყალი მოუშვა. ონკანის მაღლა სარკე
იყო. უყურებდა თავის თავს, გათეთრე-
ბულ საფეთქლებს, ტუჩის ბოლოებზე
ღრმად ჩაჭედულ ძლიერ პირს. გაახსენ-
და, როგორ ჩაექიდა ერთხელ ამ ძლიე-
რი პირით კლდეზე დაკიდებულ თოქს,
როგორ დაასვენა გასისხლიანებული ხე-
ლები, და ისევ შეებრალა საკუთარი
თავი.

„რატომ მემართება ასე, ბავშვი ვის
არ ჰყავს?!“ წყალი დალია, შესცივდა,
სინათლე ჩააქრო, წამოვიდა და ლოგინ-
ში ჩაწვა. მაგრამ ვერც ლოგინმა გაათ-
ბო. არა, გაათბო კი, მაგრამ ამ სითბომ
უფრო შეზარა. ეჩვენებოდა, რომ აი ახ-
ლა, აი, ახლა დაასხამდა ცივი. საზიზღარ
ოფლს. ეს მართლაც ასე მოხდა ამის გა-
ფიქრებისთანვე. ამ ოფლს ყველაფერი
სჯობდა. და ადგა, ისევ სამზარეულოში
გავიდა, პირი დაიბანა, ისე რომ სარკე-
ში არ ჩაუხედავს, „უნდა მოვახერხო და
არ ვიფიქრო არც ჩემზე, არც სხვა რა-
მეებზე, ძნელია, მაგრამ უნდა მოვახერ-
ხო!“ ტანთ ჩაიცვა და რკინის პატარა ი-
ვანზე გავიდა.

შუალამის სამი საათი იყო. იდგა და
თითქოს ყოველგვარი მიზნის გარეშე
ჩასცქეროდა გაჩუმებულ ქუჩას — ფან-
ჯრებჩაშავებულ სახლებს, ფოთლებ-
გაკანკულ ხეებს. მერე ცას შეაჩერდა.
ამაოდ ეძება ვარსკვლავები. ეტყობოდა,
მოდრულული იყო. ბოლოს, როგორც
იქნა, ქუჩაში ვიღაც გამოჩნდა, ვიღაც
ღრმად მოხუცი, ფეხების ფლატუნით
მომავალი. რას არ მისცემდა მიხეილი,
ახლა ამ მოხუცს გაჰყოლოდა გვერ-
დზე. ვინც არ უნდა ყოფილიყო ის მო-
ხუცი, თუნდაც — კეთროვანი. ოდონდ-
ხმა ამოედო, ადამიანურ ენაზე ეთქვა
სულ უბრალო სიტყვები — „წყალი“,
„ხე“, „არა“, „პო“ და ასეთები. „ჩა-



ვალ“, — გაიფიქრა ერთი გაფიქრება, მაგრამ მაშინვე ვახსენდა ბავშვი. „შეიძლება ბავშვმა გაიღვიძოს და შეშინდეს“. თანაც მოხუცმა მალე შეუხვია კუთხეში. ჩამოვარდა ადრინდელი სიჩუმე. არა, არა, მთლად სიჩუმე არ იყო, ნიავი ფაჩუნობდა ჭადრის ფოთლებში. „მოდი, მოდი, ნიავო. ამოვარდი, ქარო“,

— იმეორებდა თითქმის ხმამაღლა. პატარა ტაბურეტი მოძებნა, დადგინდა დელს მიყუდა. ყურს უგდებდა და ფაჩუნს ჭადრების ფოთლებში, უხაროდა, რომ ის ხმა თანდათან ძლიერდებოდა... და ასე ჩაეძინა, კედელზე მიყუდებულს, ტკბილად.

შავი ალაყაფი

ექიმმა საათი მოიხსნა, დაქოქა, მერე ფეხი რადიატორის მილზე შედგა, საათიანი ხელი მუხლზე დაიდო და ბალთას თასმა გაუყარა.

— იქნებ... — გაუბედავად წამოიწყო ირაკლიმ, — იქნებ სჯობს, სულაც არ მივაქციო ყურადღება.

— როგორ, ყურადღება არ მიაქციო?! — გაკვირვებით ამოხედა ექიმმა.

— ერთი კაცი იყო, თუმცა რა, თქვენც გეცოდინებათ, ჩიჩესტერი, ავსტრალიიდან ინგლისში რომ ჩამოვიდა პატარა ნავით, მარტოკა. იმას უთხრეს ერთხელ, ფილტვების კიბო გაქვთო, მაგრამ წამალი არ მიუყარებია, მთებში დადიოდა, დარბოდა, ტყავს იძრობდა და, წარმოიდგინეთ, განიკურნა.

— კაი ახლა! — ღიმილით თქვა ექიმმა, — თქვენ როგორ გეკადრებათ ასეთი რამეები?! ეგ ყურნალისტების შეთხზული ზღაპარია ხალხის გასართობად. მაგას წაიკითხავ, რაღაც გაგახარებს და მორჩა! ჩვენ, მედიკოსები, მაგ ზღაპარს ხომ ვერ გამოვუწერთ რეცეპტად ვინმეს?! თანაც, სად თქვენი პატარა რაღაც და სად ფილტვების კიბო!

ირაკლი გაწითლდა, მერე უხერხულად გაიციინა და ქუდი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა.

— ვსუმრობ, ბატონო, თორემ...

ექიმმა მხარზე ხელი დაადო.

— ნუ ფიქრობ ბევრს, ნურაფრის გეშინია, შენ ჭერჭერობით არაფერი გაქვს საშიში.

— მაშ რაშაბათს მოვალ.

— ნულა გადავდებთ ახლა.

— მინდა ხვალ... რაცა ქნა ერთმა დღემ? ორშაბათს მოვალ და...

ექიმს აშკარად შეებრაღა, კიდევ ერთხელ დაადო მხარზე ხელი და გაუღიმა.

— კარგი, ორშაბათს იყოს, ოღონდ... ორშაბათს აღარ გადავაცილოთ.

— ბატონო იორამ! ტელეფონთან, ბატონო იორამ! — დაიძახა კარიდან თავგამოყოფილმა თეთრჩაჩინმა მსუქანმა ქალმა.

— აბა, ყოჩაღად, — ხელი ჩამოართვა ექიმმა ირაკლის. — წადი, გაიარე-გამოიარე ცოტა და ორშაბათს აღარ გადავდოთ.

— არა, რას ბრძანებთ, — დამორცხვებულმა ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

ექიმი დიდი, ღონიერი ნაბიჯებით წავიდა, ირაკლიმ კი ქუდი დაიხურა, მერე მიხვდა, აქ, ამ დერეფანში, უხერხული იყო ქუდის დახურვა, ისევ მოიხადა და კიბისაკენ წავიდა. არავითარ ტყვილს აღარ გრძნობდა, მაგრამ მთელი სხეული ჩუმი თრთოლვით უთრთოდა. კიბეზე გაღიმებული ქალიშვილები ამორბოდნენ, ალბათ სტუდენტები, ხვლში ჩანთები ეკავათ. ერთხელაც არ შეუხვდავთ ირაკლისთვის, ისე აუარეს გვერდზე. „ან რაღა შესახედავი ხარ, იდოტორა გწყინს“, — უთხრა თავის თავს. ქუდი დაიხურა, თითქმის თვალებამდე ჩამოიფხატა და სიგარეტი ამოიღო. პირი გამშრალი ჰქონდა და, სიგარეტი რომ ჩაიღო, ქვედა ტუჩზე მიეკრა. გამოსწია,

რეზა ინანიშვილი
სალამო ხანის ჩანაწერი

ტუჩი აეციცნა, ენა გაისვა და წვა იგრძნო. „მთლად მოვინჯლერი ეს ოხერი“. მეკარეს ათშაურიანი ჩაუდო, ხელჯონიანი დედაბერი გამოატარა და გარეთ გავიდა.

გარეთ მზე იყო, გვიანი შემოდგომის სასიამოვნო მზე. ერთხანს თვალგამოჭრილივით იღვა და მალ-მალე ახამხამებდა წამწამებს, მერე ქუჩის იქითა მხარეს, ხილ-ბოსტნეულის მალაზიასთან, სალუდე შეამჩნია, ქუჩა გადაჭრა, აქეთ-იქით არ გაუხედავს, პირდაპირ, აუჩქარებლივ. პალტოს ჯიბეები მოიქექა, ხურდა იმდენი არ აღმოაჩნდა, საფულე ამოიღო და დახლზე გაცრეცილი მანეთიანი დადო.

— ლუდი დამისხი, ერთი ტოლჩა, თუ ძმა ხარ.

— ცოტა ვერ არის ისეთი... — მორცხვად გადახარა გვერდზე თავი ლოყებდაქლუა გამყიდველმა. — ბოთლისას თუ ისიამოვნებთ, ბოთლისა უკეთესი ვეაქვს.

— იყოს ბოთლის.

გამყიდველმა ბოთლი დახლქვეშეიდან ამოაძვინა და მარდად გახსნა.

— მისაყოლებელი ძეხვი ვეაქნება.

— არ გინდა არაფერი, ასე დავლევ, ცოტა მწყურია და...

ირაკლიმ ბოთლი მოიყუდა და თავის სიცოცხლეში პირველად გაიფიქრა, რომ შეიძლებოდა მისგან სხვასაც გადასდებოდა ის ოხერი რაღაც. „ხომ ამბობენ, გადამდებიაო. ლუდი კიდევ სასტიკად მოქმედებს. გაცოფდეს ეს ერთხელაც! ამ ბოთლიდან, რა, ბოთლს ქარხანას ჩააბარებენ და იქ მდულრით გარეცხავენ. ბავშვები? არა, არ შეიძლება, გადამდები იყოს. როგორ შეიძლება ასე, რაღაც ელემენტარული კანონზომიერება ხომ მაინც უნდა იყოს. კანონზომიერება?“ ბოთლი ძირს დადგა. ქუდი აიწია და დაბუყებულ შუბლზე ხელი გაისვა.

— ვინ გყავთ, ბატონო, ამ მომგონდასაქცევში. — შეწუხებული ხმით იკითხა გამყიდველმა.

ირაკლის გაეღიმა.

— არავინ, ამხანაგი მუშაობს ჩემი.

— გაგახარა დმერთმა! ვუყურებ აქედან მაგ დასაწვავს და გული შეწურება. რა ვაეცადები, რა ქალები, აა!

— აბა, აბა! — დაუდასტურა ირაკლიმ. ლუდი ცოტაც მოსვა, მადლობა გადაიხადა, ხურდა დაუთვლელად ჩაიყარა, სიგარეტის ნამწვი კედლის ძირას მიაგდო და ფართო ტროტუარს გაჰყვა. მიდიოდა და ახალჩამოსული კაცივით ყველაფერს ათვალეირებდა, ყველას აცქერდებოდა. შაბათი იყო, ზოგისთვის უქმე, ზოგისთვის უქმეს წინა დღე. თითქოს ყველა კარგ ხასიათზე იყო, ყველა რაღაც ჩუმ სიხარულს ამეღვენებდა, იქნებ სულაც და სულაც მარტო მშვენიერი ამინდის გამოც, მაგრამ მაინც. თბილი, ჯანსაღი ნიავი ქროდა, ხეებზე აქა-იქ შერჩენილი ფოთლები ცივლივებდა. თვითონაც მოხასიათდა, ლუდმა თუ გასჭრა; — პალტო გაიხსნა, აღარც გაციების ეშინოდა, აღარც ტყვილის. კმაყოფილი იყო, რომ ის თუ წავიდოდა, ამ ხალხიდან თითქმის არავინ დარჩებოდა უმწყოდ. მათი მაღალი სახლები რკინა-ბეტონისგან იყო აგებული, შიგ უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა წმინდა წყალი და სასიამოვნო სითბო, დიდი, ფართო ფანჯრები მთელი მონღომებით ისრუტავდნენ მზის მაცოცხლებელ სხივებს. ყველას კარგი პალტო და ფეხსაცმელი ეცვა, ზოგს ალერსიანი ფუმფულა კაშნეც ჰქონდა მოხვეული; მოჰქონდათ თეთრი პურით, მწვანელით, ხილით და სხვადასხვა სანოვავით გატენილი ჩანთები, მორბოდნენ წითელყელსახვევიანი ბავშვები. „ჩემები? ჩემი გოგონები?“ ისე აშკარად დაინახა თავისი გოგონების თვალები, სახეზე ხელი აიფარა. ყოველ შინ მისვლისას ისინი გაფაციცებით შეჰყურებდნენ ხელებში. მის მიერ მიტანილი ყველაფერი საზეიმო იყო, თვით ჩვეულებრივი პურიც კი! ეს ქვეყანა კი რჩებოდა ასეთი — შემოსილი და მძღარი, მაგრამ მისი გოგონები? რას უტოვებდა თავის გოგონებს? „ბინა ექნებათ, ერთ თვეში უკვე გადავლენ და ბინა ექნებათ. პენსია?

რამდენს დაუნიშნავენ პენსიას?“ მთავარი სხვა იყო. მთავარი ის იყო, რას უტოვებდა სახსოვრად, როგორც მამაკაცი. „როცა დიდები გახდებიან, აუცილებლად მოიკითხავენ ამას.“ წინ კიდევ რამდენიმე უტყუარი დღე ჰქონდა. ამ ორიოდ დღეშიც შეიძლებოდა ბევრი რამის გაკეთება,—გამოიყვანდა წყალწალბულს, გადაარჩენდა ხანძარში მოხვედრილ ბავშვს, ბებუთებიანი ხულიგნებისაგან დაიცავდა ქალიშვილს... მაგრამ ან ერთი საღ იყო, ან მეორე ან მესამე.

— ფუჰ!

ისევ გამოჩნდნენ ბავშვები, წითელყელსახვევიანი პატარა გოგონები. ერთმა რალაცა გადაულაპარაკა მეორეს. ის მეორე შეცბა, სიწითლემ აპკრა, თვალები გაუდიდდა. მაინც ორივემ ერთად აჩქარა ფეხი, და უცებ პირველმა გოგონამ კალათით გამოდგმულ მოხალულ არაქის ხელი ჩაპკრა, რამდენიმე ცალი ამოიღო და ჯიბეში ჩამალა. გამყიდველმა ვერაფერი შეამჩნია, მაგრამ ვიღაც სათვალთანმა ქალმა მკაცრად, უსიტყვოდ მოჰკიდა ხელი და ის არაქისის ისევ კალათში ჩააყრვევინა. ირაკლის გული ეტკინა. გოგონები გააჩერა, გამყიდველს მთელი ერთი კილო ააწონინა. გოგონები შეწუხდნენ, უკან-უკან იწეოდნენ, არ გვინდაო, მაგრამ ირაკლიმ არ გაუშვა.

— ჩაიყარეთ, წაუღეთ თქვენს ამხანაგებს. მეც თქვენოდენა გოგონები მყავს. წაიღეთ, გენაცვალეთ, წაიღეთ!

და თვითონვე უყრიდა ჯიბეებში, ჩანთებში—ერთი კილო არაქისი ძალიან ბევრი გამოვიდა.

გოგონები თავდაღუნულები წავიდნენ, ერთმა,—ხელი რომ ჩაპკრა კალათში წელან, —ჩანთა გახსნა და არაქისი სანაგვე ურნაში ჩაყარა. მეორე ჯიბეებიდანაც დაიწყო ამოღება. ირაკლის ცრემლი მოადგა. „ბავშვები არასოდეს ცდებიან. ნამდვილად ეს კარგად ვერ გამომივიდა. საერთოდაც, რას მოვლბი გიმნახიელი ქალიშვილივით...“

კბილი კბილს დააჭირა და შუა ტროტუარზე შედგა. ყმაწვილობიდანვე მისი დევიზი იყო: უღრტვიგვლად ეტარებინა ყველაზე მძიმე ტვირთი თანადროულობისა — თავისი კაცური და მოქალაქეობრივი ვალდებულება. ეს უფრო დიდ გმირობად მიაჩნდა, ვიდრე ოკეანის მარტო გადალახვა. „ოკეანის მარტო გადალახვა არ აღემატება თვითმკვლელობას. თვითმკვლელობა კი არ არის ცხოვრების შექმნაზე ძნელი“, — ხშირად იმეორებდა მეგობრებში. და, აი, ახლა ეს კაცი...

— წადი შენი...

შეაგინა თავის დაზუზულ, გასაცოდავებულ თავს. მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა უკან, საავადმყოფოსაკენ.

ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოს უკანა ეზოს შავ ალაყაფთან, წელში მოხრილი მოხუცი ქალის წინ, ორი პატარა გოგონა იდგა და ტიროდა. ალაყაფში საბარგო მანქანა გამოდიოდა. ზედ ნახმარი კუბო იდო, აქეთ-იქიდან ორი მოლუშული მამაკაცი ამოსდგომოდა. გოგონებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ იმ კუბოში მათი საყვარელი მამიკო იწვა.



ნოსტალგია

შენგან შორს წასული
სადღაც უცხოეთში,
მაინც ფეთქავს გული
შენი უქრობ ემხით.

უცხო გვარისანთან
სადაც გაფათენო,
სიტყვა — თილისმური
მახლავს — საქართველო.

ყველგან მხვდება ცეცხლი,
შენგან დაკვესილი
და სიკეთის თესლი
შენგნით დათესილი.

თითქოს მხურავს მაღლით
შენი ნაცნობი ცა,

ყველგან მხვდება მაღლი
შენი კაცობისა.

შენთანა ვარ თითქოს,
მზედ მილიმის ყინვა,
შენი გულის სითბო
უცხოეთშიც ბრწყინავს.

მიწავ, ცა ნათელი,
მზე არი თუ მაწვიმს,
დედავ; საქართველოვ.
შენითა ვარ კაცი.

შენმა სიყვარულმა
დამწვას, დამანელოს,
შენი შუქი გულზე
ტალღად გადამეგლოს.
სიმღერაო ჩემო,
დედავ, საქართველო.

უკრანიაში

დილის შუქი დადგომია კარბატს,
ნაკადული კლდეს ბროლივით ეფშენება,
ზეცა სხივებს ყვავილებად ფანტავს
და მგონია, კავკასიის მთებში ვარ.

მელანდება — სადღაც უკრავს ტრემბიტა,
ოქროს ხმები ხეობაში იღვრება,
გაზაფხულის სურნელებით ვთვრები და
სულში მღერის სიხარულის სიმღერა.

მწვკრიაღე ცისკრის ზარი რეკავს,
მკერდზე თითქოს უკვდავება მესხურა.
ხარბად ვუმზერ გუცულ ბიჭის ცეკვას
და მგონია სვანია თუ ხევსური.

რაც გამაჩნდა, ყველა დარგი წაშალეს,
აქ მუნჯიო კი ვერ დადგება უბრად.

მე მგონია იმერეთში გაშალეს,
ისე კოსტად მოუხატავთ სუფრა.

ქრუანტელი რაღაც ისე მავსებს,
აქ ისე ვგრძნობ რაღაც თბილს და
მახლობელს,

მე მგონია, ამ იისფერ მთაზე
გუცულებთან გურულებიც სახლობენ.

სადაცა ვარ, უფგოროდს თუ ხარკოვს,
მთებია თუ ველი ფართოდ გაშლილა,
აღსავსე ვარ სიყვარულის ხარკით
და მგონია, ჩემს სახლში ვარ,
ქართლში ვარ.

აქაც ის ცა, აქაც იმ მზის ბრწყინვაა,
ერთად გაგვაქვს მეგობრობის ლელო...
საქართველო მცირე უკრაინაა,
უკრაინა — დიდი საქართველო.



გ უ რ ა ბ ი ს ბ ი ს ე

შენი გასატანი თუ არ გაიტანე,
თუ შენმა სახნისმა აღარ ისახნისა,
თუ კი ზურაბივით შიგ არ ჩაეტანე, —
აღარ აშენდება ციხე სიმართლისა.

ფიქრი მამულისა
თუ არ შეგეთვისა,
ჯვარი გოლგოთაზე თუ არ აიტანე, —
აღარ აშენდება ციხე სიკეთისა,
თუ კი ზურაბივით შიგ არ ჩაეტანე.

ქ ა რ თ ე ა ლ ი მ ე ო მ რ ი ს ს ა ფ ლ ა კ ი ლ ვ ო ვ უ ი

მცოდნოდა, წამოგიყვანდი
მეთარეს, შედუღუკესა...

გ. ლეონიძე

ის აქ იბრძოდა...

უკრაინიდან
ჩა ახლო არი საქართველომდე.
სახლში სიკვდილის მაცნე მივიდა
და მაინც,
მაინც დიდხანს ელოდნენ.

რისხვით ზარავდა მომხდურს გარეწარს,
ელავდა ხმალი მალლა აწვდილი,
და უკრაინის ველზე დაეცა

ის —

საქართველოს ერთი ნაწილი.
ჩამოწვა ღამე შავი და მრუმე
დაქვრივდა ქალი თვალვიშრიანი...
და სასაფლაოს მწუხარე დუმილს
არღვევს ყვავილთა ნაზი შრიალი.

მზემ ღრუბლის სქელი ფარდა გახია,
აქაც ღამაში მთა და მდელია...
სადაც ქართველი კაცი მარხია,
ყველგან პატარა საქართველოა.

ჯ ო რ დ ა ნ ო ბ რ უ ნ ო

მას შესთავაზეს ჩხრიალა ვერცხლი.
უთხრეს გამართებსო ოჯახზე ზრუნვა.
იფიქრა —
ვერცხლი რწმენას ვერ შეცვლის
და ცეცხლს შეხედა ჯორდანო ბრუნომ.

ის დაწვეს.
აზრით და რწმენით საგესე.
და ჩემთვის მიწა მას შემდეგ ბრუნავს —
მაინც ბრუნავსო,
მაინც ბრუნავსო,
რაც დაიძახა ჯორდანო ბრუნომ.

მივის თეოდორაკისი



შენი ჰანგები გადმოსცდა სივრცეს
და მე გავსენი ფართოდ ფანჯარა,
ნღრე ის სახლშიც ვერ დაეცია,
მიმოეფინა ქალაქის ქუჩებს.
გამოედევნა სტუდენტ გოგონას,
ააღიღინა დაზგასთან მუშა.

ძველი ელადის სისხლი და ცრემლი,
სიხარული და ტირილი ერთად,
რისხვა, ღიმილი და აღტაცება,
ქუფრის ფერი და ჭრელი ფერები,
ზეთისხილის თუ ზღვის მლაშე გემო —
ერთად ვიგრძენი მე იმ ჰანგებში.

საპყრობილეში სვამენ პოეტებს,
ფოლადის ხუნდებს ადებენ სხივებს,
ტირანებს მუდამ ასე ეგონათ —
სულის შებერვით შესძრავდნენ ოლიმპს.
მაგრამ დაფრინავს სიტყვა მართალი,
გრძნეული ჰანგი ედება გულებს.

თეოდორაკის,
თეოდორაკის,
შენი ჰანგები მერცხლებად იქცნენ,
ყველა ნათელი სახლის ჭერქვეშ აგებულ ბუდეს,
დაჭფარფატებენ შავი ფრთებით ელადის ცაზე
და ჭიკჭიკებენ გაზაფხულის მალე დადგომას.

პ ი ღ ა რ ა

კარგი სათქმელია —
კი!
ცუდი სათქმელია —
არა!
ერთისგან იმედი ჰქრის,
მეორეს სეფდა ფარავს.
კარგი სათქმელია — „კი“,
ცუდი სათქმელია — „არა“.
როდესაც გული თრთის
და ნეტარებას გვთხოვს
სატრფო გეუბნება „კის“,
სატრფო გეუბნება „პოს“ —
ცეცხლი ედება სულს
და ცაში გაფრენა სურს.

მაგრამ ხომ ხდება ასეც:
ზოგჯერ „პოს“ სჯობნის „არა“,
როდესაც ეჭვები გვაფხვებს,
როდესაც ნაღველი გვზარავს.
მაგრამ ხომ ხდება ასეც,
„კის“ რომ სჯობია „არა“.

როცა დარდით არ გვიძინავს,
სევდას ვერ ვხატავთ ენით,
როცა სარეცელზე გმიწინავს
ახლო მეგობარი ჩვენი,
როცა დარდით არ გვიძინავს,
ვერც წუხილს ვხატავთ ენით...



მკურნალს ვეკითხებით როცა —
 გაგეწირა ილბალმა განა?
 ეჭიმის მარჯვენას ვლოცავთ,
 როცა ის გვპასუხობს — არა!
 ის სიტყვა სიცოცხლედ ღირს —
 ის „არა“ სჯობია „კის“.

კარგი სათქმელია —
 კი!
 ძნელი სათქმელია —
 არა!

ერთისგან იმედი ჰქრის,
 მეორე სევდით გვზარავს.
 კარგი სათქმელია —
 კი!

ცუდი სათქმელია —
 არა!

და მაინც ადამის ჯიშს
 დაჰყვება მოურჩენელ ბზარად --
 არა — გვიძლიერებს შიშს

და პო გვირჩევნია არას —
 მაინც ადამიანთ ჯიშს
 ეს გვაქვს მოურჩენელ ბზარად.

ჩვენ ზოგჯერ ვამბობთ —
 კი!
 და გულში ვფიქრობთ —
 არა!

ჩვენ ზოგჯერ ვამბობთ —
 არა!
 და გულში ვფიქრობთ —
 კი!

რალაც სხვა სურვილი ჰქრის,
 რალაც სხვა საფარი გვფარავს.

და ვფიქრობ —
 ცოცხლობდეს ის,
 ვინც თავის სიმტკიცით მარად
 ამბობს სამართლიან
 კის!
 და ასევე ნაღდ არას!

მ ა ი ს ი ს ღ ღ ე

ხელში მიჭირავს წითელი ვარდი,
 გაღიმებული მივყვები ქუჩას,
 გადაიწია ღრუბლების ფარდა
 და მზის სხივები იპნევა ბლუჯად.

დღეა ისეთი,
 დღეა ისეთი,
 რომ სიხარული შემხვდება სადღაც,
 მე დილით ცისკრის ზარებს ვისმენდი
 და ჟრუანტელი მედებო ახლაც...

ახლაც იმგვარი გამომყვა ღელვა
 და მთებს ისეთი აღმური ასდის —
 მსურს სათითაოდ მივართვა ყველას
 მზის სხივები და
 წითელი ვარდი.





ნ ა ნ ი ლ ი *

დრამატული კომედი თუშუბის წარსულიდან

შ მ ს ა ვ ა ლ ი

სულთა მთა. მლოცველები და სულეები

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულა;
მემრინას ცისკარ კვირაჲ,
ღვთის კარზე მდგომიარეა;
მემრინას ბერი სამება,
წოფათას მბრძანებელია;
მემრინას ლაშას გიორგი,
ლაშქართა წინამძღოლია;
მემრინას გმირი კობალა,
დეჲ-ქაჯთა პირის მშლელია;
მემრინას ხახმატ გიორგი,
გაჭირდეს, მშველბელია;
მემრინას მაგუხ გიორგი
მთაზედა ყარაულია;
მემრინას წმინდა თევდორე,
ხორციელთ მწყალობელია!

მლოცველები:

ყმასა უმატე, სამებაჲ,
თუ ყოჩი გინდა რქიანი!
ქერსა უმატე, სამებაჲ,
თუ კოდნი გინდა სავესენი!

ნ ა ნ ი ლ ი :

(თექვსმეტი წლის)
წმინდა გიორგის კარზედა,
ხე აღვად ამოსულია;
ზედა დაქსმია ყურძენი,
საჭმელად შემოსულია;
იმის ნახვევი ქალ-ვაჟი,
შავადა შემოსილია...

ადგილის დედა:

ჰე, ღმერთო, თუშის შვილები
ლხენის მწიკვს ვაწებთ ჯავრშია.
არა გვაქვს სტუმრის სურვილი,
ვართ მულამ ლაშქრობაშია.
გვაწუხებს ლეკი, ჩაჩანი,
ჩაემდგარვართ სისხლის ღვარშია!

დედათა გუნდი:

ვტირით და ვტირით დედანი,
ურჯულომ შეგვაშინაო.
კარზე მოგვდიან ძალითა,
სტუმრულად დიან შინაო!
ნეტავ ჩვენს მეთოფეებსა,
ძილით ვინმ დააძინაო,
პირიმც წყლით გააღღვობინა,
თოფებიც დაუგრილაო!

ადგილის დედა:

აღარ შეჰხარის დედა შვილს,
და — ძმასა, ცოლი ქმარსაო,
წავალის სადმე მდევარსა
შინ მოიყვანენ მკვდარსაო!
არცა-რა გვაკლავს დიაცებს
აბჯარ ავისხათ ტანსაო!

მლოცველები:

ყმასა უმატე, სამებაჲ,
თუ ყოჩი გინდა რქიანი!
ქერსა უმატე, სამებაჲ,
თუ კოდნი გინდა სავესენი!

ადგილის დედა:

ცოტა ვართ თუშის შვილები,
მითაც ვართ უკეთესია,

* ნანილი ანუ ნანალი ქალის სახელია, წარმოდგება ნანადან.

შუამი ვდგევართ, ყოველ მხრივ,
ურჯულო შემოგვესია!
ხმალ-ხანჯრის ძალითა ვცხოვრობთ,
რაც ვაჟკაცობის წესია!

ნ ა ნ ი ლ ი:

წმინდა გიორგის კარზედა
ხე ალვად ამოსულია;
ზედა დაქსნია ყურძენი,
საჭმელად შემოსულია;
იმის ნახვევი ქალ-ვაჟი
შავადა შემოსილია!

ავი ქარები:

ლეკების მოსვლას ამბობენ,
გატეხას ჩაღმის მთისასა;
დადგომას ქველურთის სოფელს,
შეკუმ ჩახდომას მზისასა;
გადმოსვლას ქვათუნთის მთაზედ,
ზედ დახურვასა ცისასა;
ქანქანით შესვლას ამბობენ,
გატეხას გალავნისასა;
შიგ დატანასა ამბობენ,
სამოცის ვაჟკაცისასა!

კეთილი ქარები:

ლეკებს შემოხვდა თორღვადი,
ღვთისაგან დავლათიანი,
ფარი და ხმალი ვადუგდო,
დაშნა დამალა ფხიანი!
მარჯვნივგან წამოურბინა,
მარცხნიდან დაჰკრა ზიანი —
გულისპირს დასცა დაშნაი,
ბორტვი აჭამა მტვრიანი!
ჩამაიტანა დაგლოვანს,
ნაბად დაჰხურა ცვრიანი;
თავით დაუსხა ყორნები,
ძვალ ახრევიანა წვნიანი.

ავი ქარები:

ინდურთას ციხევე, მაღალო,
ქვამც ნუ გვღებია ქვაზედა!
მუცალმა ჯარი შეჰკრა,
ციხევე შენს მუქარაზედა.
ზავ მისცა დაბლა ჭარულთა,
ნებივრად დადის გზაზედა!
დაჰხოცა მეციხოვნენი,
ცა დააქცია თავზედა.

ჩავიდა წოვათ მინდორსა,
გაინავარდა ცხვარზედა;
წინ გაირეკა ქალ-რძალი,
გადაატარა მთაზედა...

მლოცველები:

ყმასა უმატე, სამებავ,
თუ ყოჩი გინდა რქიანი!

ბეროდის ქალის სული:

ბეროდის ქალი ვიყავი,
მალლა მეჭირა თავი მე;
კარს ჯარად მიდგნენ მთხოვარნი,
თუშის ნაქები ყმანი მე;
იმათში ერთი ვირჩიე,
ერთს დაუყენე დარი მე!
ვემზადე საქორწილოდა,
ვით ქრისტეს წესი არი მე;
ველოდი შაბათ დილასა,
რომ დამეწერა ჯგარი მე;
შულამისას შემისხნეს,
ლეკებმა კოშკის კარი მე;
მომიკლეს ბერი მამაი,
იმასთან სამნი ძმანი მე;
ცეცხლს მისცეს ჩვენი სახლ-კარი,
თავს დამაქციეს ცანი მე! —
გამომიყვანეს, საბრალო,
ნაქები თუშის ქალი მე,
გადამავლიეს მთის წვევრი,
ცრემლით ვასველე გზანი მე...
გადამიყვანეს დალესტანს,
ლეკის მეხვევა რძალი მე;
ფირდუსის ლალი შემარქვეს,
მეძახეს ლამაზმანი მე!
ჩემი გამხადეს კაბები,
ფარჩით მომირთეს ტანი მე;
საქმროც იქ ამომირჩიეს,
ლეკის ფოცხვერი ჟღალი მე;
ამასაც აღარ დაჯერდნენ,
დღე გამითენეს შავი მე, —
სპილენძის სინით მომართვეს,
ჩემი ნარჩევის თავი მე!
მეშნათლეს, როგორც უნდოდათ,
ცხენის მალოკეს ძვალი მე;
იმდენი ჭირი მომკერძეს —
დიაცს არ მეყო ძალი მე,
გამიწერა მაგებს-გიორგი —
ცელს თავი დავაკალი მე;

ესლა შავეთს ვარ, საბრალთ,
ვერ მოგაწვდინეთ ხმანი მე;
თუ ვინმე მისმენთ, მოწყალე,
ესა მაქვს სათხოვარი მე:
ჩაუხტით უნსუკულებსა —
მტრის ამომყარეთ ჯავრი მე!

დედათა გუნდი:

ვტირით და ვტირით დედანი,
ურჯულთმ შეგვაშინათ.
კარზე მოგვდიან ძალითა,
სტუმრულად დიან შინათ.
ნეტავ ჩვენს მეთოფეებსა,
ძილით ვინმ დააძინათ!
პირიმც წყლით გააღობინა
თოფებიც დაუგრილო.

მლოცველები:

ყმასა უმატე, სამებაგ,
თუ ყოჩი გინდა რქიანი!
ქერსა უმატე, სამებაგ,
თუ კოდნი გინდა სავსენი!

ადგილის დედა:

მტერობის წყალო, მდინარო,
გრილო, მალღისა მთისაო,
ჩანმთქმელო თეთრი ცხენისა,
ზედ კაი ჭაბუკისაო!

ავი ქარები:

ციხევე, სოხი ქვეთ ნაგებო!
მაგარი გედგა ჭაგია;
შემოგიყენეს ქანქანი,
დღე გაგიოთენეს შაგია;
მიდგა და მოდგა ლაშქარი,
ვერ გადუწვდებო თვალისა;
რაზმი დააწყვეს ლეკებმა,
სივრცე, სიშორე, განია...

კეთილი ქარები:

ცოლს უხმობს გიგის ლაგაზი,
წამალ ამიწყვე ხანზედა,
ტყვიან თუ შემოგაკლდებო,
ღილი აიჭერ ტანზედა!
თუ ლეკებს წაგაყვანინო,
წვერიც ნუ მესხეს ყბაზედა,
ნუმც მიმიღებენ სწორები,
ნუმც მიმიშვებენ ჯარზედა,

ნუმც მიტირებენ დედანი,
მკვლარიც რომ მნახონ გზაზედა!
ცოცხალი ციხეს არ მივცემ,
ცაც რომ დამამხონ თავზედა!

ავი ქარები:

მოდგა და მოდგა ლაშქარი,
დალუპვად დიკლოისაო!
გადმოდის ხუშეთის დელეს,
ნამ არ დასწვდება ცისაო,
შემოდის ბიჭვისის პირსა,
ხანია თენებისაო.
ხელუქცევ სიკვდილს ამბობენ,
ნარჩევი ვაჟაკისაო!

კეთილი ქარები:

თუშნო, ისმინეთ ბუსურბანს,
ტყვიის დაატყდა ქარია —
მგლებს დაერივნენ ვეფხვები,
გამარონ სამნი ძმანია!
ისრე დააფრთხეს ლეკები,
როგორც ნადირმა ცხვარია.
ატირდა ლეკის ნაიბი:
მეტ აღარ გეყოფნის ძალია.
ჯითი, ბერიკაის-ძე,
ცით ჩამოსული ჯვარია!
შემოუარა ციხესა,
ლეკო, გამიღე კარია!
გალაფანს გადააფრინდა,
აპარიალა ხმალია;
მუსალსა, ლეკის ბელადსა,
ძირში მოსტყვა მხარია!
სხვას თოფი გამოუნიშნა:
ტყვიავ, გამოხარ ძვალა!
იმდენი სოცა ლეკები,
ჩალად დააწყო მკვლარია!

კიდევ ტყვე ქალის სული:

გებრალეზოდეთ სწორებო,
მივდივარ უძებარია.
გამომიყვანეს ლეკებმა,
გამომიჯარეს კარია;
შანშე მომიკლეს, ლევანი, —
სისხლისა დადგეს ტბანია!
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ დავაფარე თმანია.
შანშეს მოატრეს მარჯვენა,
უბეს ჩამიდგეს, — მწარეა!



დამხურეს ლევანის ქუდი, —
 მწადადა მომეკლა თავია.
 ავედით სალგეო მთაზე,
 უკულმა ჰბერდა ქარია.
 ქარია, არცა ქარია,
 ლევანის ცოდვა ბრალია!
 დავლევწე საყურ-ბეჭდები,
 მით დავინიშნე გზანია,
 მკლავით ვიყარე ზალტები, —
 მდევართ გაიგონ კვალთა...
 იცოდეთ, თუშის შვილებო,
 ურჯულოს ხელში ვარია,
 მაჭმევენ ცხენ-კვიცის ხორცსა,
 თავს დამაქციეს ცანია!

დედათა გუნდი:
 ვტირით და ვტირით დედანი,
 ურჯულომ შეგვაშინაო,
 კარზე მოგვიდან ძალითა,
 სტუმრულად დიან შინაო...

თავი პირველი

დაღამდა, დაცხრა ნათელი,
 დღე მოკვდა ვაჟკაცივითა;
 საგზალს მიუსხდნენ მწყემსები,
 ნახდები — ორბებივითა;
 მეტწილად ახალ-უსლები,
 წელ-წვრილნი ლერწმებივითა.
 მათ შუა ცეცხლი ლაღდება,
 კოხტაობს ქალწულივითა
 ცეცხლს შიგან კრთება ნანილი,
 ნაფიქრი ნამდვილივითა!
 იმის მაცქერი ბიჭები,
 თბებიან ნასვამივითა...
 ნდომით უქებენ თვალ-ტანსა,
 ხუმრობენ მართალივითა:

ყმაწვილი მწყემსი:

(ლოლინებს)
 ახ, მთვარევე, მთვარევე, მთვარეო!
 ნანილთან მიმიყვანეო,
 დამიგე ღამის ნაბადი,
 ღამის ფრთა დამაფარეო.
 გათენებამდის მამყოფე,
 გათენდეს, გამაპარეო!

პირველი მწყემსი:
 თავო და თავო, ერქვანო,
 ხელმწიფის მადენისებრო.
 ზედან ლამაზო თმანებო,
 დაწნილო სიმებისებრო;
 ზედან შუბლო და ლამაზო,
 გათლილო მარმარისებრო!

მეორე მწყემსი:

იქეთ და აქეთ, წარბებო,
 გაწვდილო ქორის ფრთისებრო;
 კიდევ ცხვირო და ლამაზო,
 აქნილო სანთელისებრო.

მესამე მწყემსი:

კიდევ ტუჩო და ლამაზო,
 საწუწნო ხენდროისებრო;
 შითა ლამაზო კბილებო,
 ასხმულო მძივებისებრო;
 შითა ენავ და ლამაზო,
 ალაზნის კალმახისებრო!

მეოთხე მწყემსი:

კიდევ ლამაზო კისერო,
 აწვდილო ალვის ხისებრო,
 იქეთ და აქით, მკლავებო,
 მოქნილო მათრახისებრო!

მეხუთე მწყემსი:

იქეთ და აქით, გვერდებო,
 ჩავგურის ალღებისებრო;
 კიდევ ლამაზო მუცელო,
 შროშანას ფურცლებისებრო;
 ზედან ჭიპო და ლამაზო,
 ცის კიდის ვარსკვლავისებრო!

მეექვსე მწყემსი:

ქვევით ლამაზო წვივებო,
 დათლილნო ჯიხვის რქისებრო;
 კიდევ ლამაზო მუხლებო,
 რგვალეგო, ქარვებისებრო!

მეშვიდე მწყემსი:

იქით და იქით ბროლებო,
 თეთრებო თოვლებებისებრო!..

ყმაწვილი მწყემსი:

ახ, მთვარევე, მთვარევე, მთვარეო!
 ნანილთან მიმიყვანეო,

დამიგე ღამის ნაბადი,
ღამის ფრთა დამაფარეო;
გათენებამდის მამყოფე,
გათენდეს, გამაპარეო!

პირველი მწყემსი:

რასაც გიამბობთ, ბიჭებო,
ტყუილს ჰგავ, განა მართალსა!
ფარას ვუდგევარ, წვიმა წვიმს,
მირეცხავს ნაბდის კალთასა.
ცად მატყლად ნაჩეი ღრუბლებსა,
დაბლა მდინარედ ართავსა.
ისეთი მიდგა გუნება —
არც ცხვარს დავეძებ, არც-თავსა!
გავხედე გაღმა გორასა —
აღარც გულს ვუჯერ, არც თვალსა:
ბიბინებს ოქროს სამკალი,
მზე აყრის ოქროს ნათალსა!
ოქრო-ყანას მკის ნანილი,
აელვებს ოქრო ნამგალსა!
ძირს იფვეს ოქროს თავთუხსა,
ზედ ოქროს შუქად ადგასა!
ტანთ ოქროს კაბა აცვია,
მკერდს ოქროს შიბნი აკრავსა!
ამასდის ცისარტყელაი,
მის ფერხით ნაფეე ნამკალსა!
ზეცით ძირს ჩამოსულსა ჰგავ,
დედით შობილსა არ ჰგავსა!
სამოთხის ოქროს ვარდსა ჰგავ,
უკვდავებაში ნარგავსა!

ვაპ, თავსა, იმის დამნახავს...
არც გზას დავეძებ, არც კვალსა!
მთიდან მივქანავ ზვავივით,
არც მუხლს ვიზოგავ, არც მკლავსა!
შევევარდი შავსა დელესა,
შავ ღვარს მივყვები, შავ წყალსა!
ვეღარ ვუსქერი ნანილსა,
თვალთ მიბნელდება საწყალსა!
დავეძებ შავი ხის ფეხსა,
განა-ღა ოქროს ნაწნავსა!

მწყემსები:

(სიტყვით)

საითაც ბრიყვი ფიქრობდა,
ქარიც იქითკენ ჰქროდაო.
დამხრჩვალე წყალსა მიპქონდა,
გეზიც იქითკენ ჰქონდაო!

მეორე მწყემსი:

ერთს მეც გიამბობთ, სწორებით,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა!
ჯიხვს შავხვდი ოქროს რქიანსა,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
ავისხენ ოქროს ბეჭვდი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
ზედ წამოვავე ტყვიასა,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
შეჩერდა ჯიხვი ჰკვიანი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
თვალნი მარისსა ღთიანი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
ვიდრე მე თოფი მოვიდე,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
აღარსად იყო რქიანი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
მის ნაცვლად შამრჩა ნანილი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
მლიმარი, სახე მზიანი!
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
მაშინ მოგიკვდეს ბუჩქლიაი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
თუ შენ არ მოცეე ზიანი, —
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
ესა ვთქვი, დავვარ ჩახმახსა,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა,
თოფმა მოიღო ზრიალი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა;
ის ჩემი ოქროს ბეჭვდი,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა,
ძუძუს თავს დაუბზრიადე!
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა!

მწყემსები:

(სიტყვით)

ეგ რა სთქვი, ეგ რა მოგსვლია,
გინდ დამიჯერე, გინდ არა!
საბნის ქვეშ ქარი შეგსვლია,
გინდ დამიჯერე, გინდ არა!

ყმაწვილი მწყემსი:

ახ, მთვარეც, მთვარეც, მთვარეო!
ნანილთან მიმიყვანეთ,
დამიგე ღამის ხალეები,
ღამის ფრთა დამაფარეო.
გათენებამდის მამყოფე,
გათენდეს გამაპარეო...



მწყემსმთავარი:

ჩუ, რა ხმა ისმის, რასა ჰგავ?
 ქარის არა ჰგავ შრიალსა?
 არცა ნაპერწკლის ხმასა ჰგავ,
 არცა ნალვერდლის ბრიალსა?!
 არცა მდინარის ჩქამსა ჰგავ,
 არცა მორვევის გრიალსა?
 არცა კლდისპირის შლასა ჰგავ,
 არცა ქვიშისა ჩხრიალსა?!
 არცა ნადირთა სვლასა ჰგავ,
 არცა ფრინველთა ფრთხიალსა?!
 იქნება კაცის ხმასა ჰგავ?
 კაცის კვნესას და ხრიალსა!
 ვინა ხარ? ღამით რას დახვალ?
 დღეს რად გაურბი მზიანსა?
 თუ მოყვარე ხარ, გამოდი!
 ჩემგან ნუ ელი ზიანსა.
 თუ არა ვერსად წაუხვალ,
 მეცხვარის დაშნას ფხიანსა!

ხ მ ა :

მწირი ვარ, უგზოდ დავდივარ,
 ბილიკს დავეძებ მტვრიანსა.
 თქვესმეტ გაზაფხულს ტყვედ ვიყავ,
 ცხენის ძვალს ვხრავდი, წვნიანსა!
 ვერა ვხედავდი ღვთის შუქსა,
 ვერცა ღვთის მშობლის ციალსა!
 რაჯბადინს ვუდექ მსახურად
 ფეხმოკლეს, ლომისმწკლიანსა!

ყმაწვილი მწყემსი:

(თავისთვის)

ლეკებს ტყვე გამოჰპარვიათ,
 მთებო, ნუ დაჰყრით ზვავსაო!
 ნუ ჩაუხდები მთვარეო,
 ნუ ჩაუხნელებ გზასაო!
 ნუ გაუყინავ მყინვარო,
 გადასასვლელსა მთასაო!
 ხიდანო, ნუ ჩაუცვივდებით,
 გაახდინოდით წყალსაო!
 ნუ აუტირებთ დედასა,
 გასათხოვარსა დასაო!

მწყემსმთავარი:

ჩამოჯექ, მწირო, იამბე,
 გვითხარ, რა გადაგხდენია?
 პირი რად დაგიღრეჯია,
 სევდა რად გადაგფენია?

მ წ ი რ ი :

აბა, რა გითხრათ, მწყემსებო,
 სიტყვა სათქმელად ძნელია.
 მენაც ვუდექი ფარასა,
 მენაც ხმალს მედო ხელია.
 მენაც მიყვარდა ქალაი,
 ღამაზი ქედნისფერია;
 მენაც მწყალობდა უფალი,
 გულუხვი, მშველგებელია.
 მაგრამ, ჰე, წუთისოფელი,
 ფლიდია, ავის მქნელია!
 გამწირა ჩემმა გამჩენმა —
 დღე გამითენა ბნელია!
 ურჯულო ლეკის შვილებმა,
 ავად დაგვრიეს ხელია —
 ინდირს შეჰკაზმეს ცხენები,
 გულფიცხი კაცის მღრღნელია!
 აისხეს იარაღები,
 ხანჯრები ელვისფერია;
 მიიგდეს ვიწროს თოფები,
 სიკვდილის შორად მფენია!
 წინ, კოჭლი, უძღვით რაჯბადინ —
 ჩვენზედ მშიერი მგელია!
 იმასთან — მუსალ-ალადა,
 ცბიერი, როგორც მელია!
 იმასთან — ისალ მაჰამა,
 მთელი კახეთის მტერია!
 იმასთან კიდევ — ალი ბეგ,
 ბევრი ვაჟკაცის მკვლელია!
 დააწიოკეს სოფლები:
 თუშთა, მთა, კახთა ველია!
 გამაირეკეს ცხენები,
 კვიცები ღაგმის მხვრელია;
 გამოუქნელი მოზვრები,
 ხარები მიწის მხენელია;
 ცხვარი, ძროხა და კამეჩი,
 ჯოგები ულვეელია!
 გამაირეკეს ბიჭებიც,
 უკან გაუკრეს ხელია;
 ცხენზე მაიგდეს ქალები,
 ცრემლი იღვრება მწველია!
 იმათთან ჩემი ლელაიც,
 დულუნა, ქედნისფერია...

მწყემსმთავარი:

სტუმარს მოართვით არაყი,
 თორემ სათქმელი ძნელია,

ცოტა გადაჰკარ, ძმობილო,
ცოტა გაილღვე ყელია!

მ წ ი რ ი:

იხარეთ, ღმერთიმც გწყალობდეთ,
ეგრემც გაგიქრეთ მტერია!
ხანზე შეეყარეთ რაზმები,
საქრისტიანო მთელია;
თუშთ გვიძღვის წოწრეს-პაპაი
სახეზე რისხვა ჰფენია!
მეც იმის ლაშქარს მივყვები,
მეც ხმაღზე მიძვეს ხელია.
მგლური დავაწყვეთ ნაბიჯი,
მგლისავ დავიდეთ ფერია;
შვიდი მთა გადმოფიარეთ,
იმასთან შვიდი ველია...
ისევე ბნელა, მზეს ცისთვის
მადლი არ შეუფრქვევია;
გავხედე ლეკთა ბანაკსა —
ვაპ მე, რა დიდად ძნელია! —
ლეკს უზის ჩემი ლელაი,
შიშვლად მოუჩანს წელია.
სტირის და სტირის, ბეჩავი,
თვალნი უელავს სველია.
ვერ მოვითმინე, შევკვივლე,
საფარს მოვწყვიტე ცხენია,
ხმალ დავჰკარ ლეკის კარავსა,
მიწას გუწვიდინე წვერია!
ორთქლი ავარდა ხმლის პირსა,
სისხლი მოღელავს ცხელია!
წამომიფრინდნენ ლეკები,
უკან გამიკრეს ხელია,
ტყვეების გვერდით დამაგდეს,
ველარ ავიღე წელია!
ეგრე მეწადა სიკვდილი,
ყბაზე მეწოდა წვერია.
განრისხდა წოწრეს-პაპაი,
ფრანგულს გაიკრა ხელია!
თან ახლავს თეთრი გიორგი,
გაჭირდეს მშველემელია!
თავს ადგას იმის გვირგვინი,
ხელთ იმის ლახტი სჭერია;
ოთხივმხრივ უჭრის მახელი,
ოთხივმხრივ ჯვარი სწერია!
ბრძოლის ავარდა გრიგალი,
სიტყვა სათქმელად ძნელია;
ისე იმსხვრევა ფრანგული,
ვითამ გამხმარი წნელია!

ციდან ჩამოდის ფიჭვივით,
ტყვიის ნაძობი ცხელია.
ხოცა და ხოცა ლეკები,
სისხლის ტბა დადგა, ვრცელია;
მაინც არ დრეკბა რაჯბადინ,
სრიალებს, როგორც გველია,
ხევისკენ იწვეს, წყული,
იქით ეგულვის ხერელია!
ტყვეებსაც იქით მირეკავს,
ყველას, რაც გადარჩენია,
მეც ცხენის გავას დამაკრეს,
ფეხქვეშ გამიგდეს წნელია.
ვიწროზე გადამატარეს,
მდევარს შეუკრეს ყელია,
გავიდნენ სამშვიდობოზე
ცისკენ ალაპყრეს ხელია;
თან იმას გაიძახიან:
ალაპი ჩვენი მხსნელია!...
ხმას რად არ იღებს რაჯბადინ,
პირი რადა აქვს ხმელია? —
მოუკლავთ მუსალ-ალადა,
ცბიერი როგორც მელია!..
იმასთან ისალ-მაპამაც,
მთელი კახეთის მტერია!
იმასთან გმირი ალი-ბეგ,
ბეგრი ვაჭკაცის მკვლეელია!
ჩემიც არსად სჩანს ლელია,
ლამაზი ქედნისფერია...

მწყემსმთავარი:

კიდევ გადაჰკარ, ძმობილო,
კიდევ გაილბე ყელია!

მ წ ი რ ი:

ღმერთმა გიცოცხლოთ სამშობლო,
ფუძე, ბერი და ერია!

მწყემსმთავარი:

გაამოს! დააყოლებდე,
ლუკმა უხდება ცხელია...

მწყემსები:

იამბე, კიდევ, იამბე,
შენს ბედზე სხვა რა სწერია!

მ წ ი რ ი:

სხვა რა გიამბოთ, მწყემსებო,
წუთისოფელი ჭრელია



თქვესმეტ გაზაფხულს ტყვე ვიყავ,
თავი არ ამიღერია.

არც ცხადად გამიხარია,
არც სიზმრად მომილხენია.

ცრემლით ნახუჭი თვალები,
ცრემლშივე გამიხელია!

ვენაცვლე ჩვენსა უფალსა,
ის არის ჩემი მსხნელია —

სიზმრად მაჩვენა სამშობლო:
მწვანედ ბიბინებს ველია,

ლურჯად ღვვიან იანი,
წითლად ჰყვავიან ხენია!

გამომეღვიძა, საბრალოს,
თვალზე მიბრწყინავს ცრემლია:

თუ ველარ ვნახე სამშობლო, —
სიკვდილი რალა ძნელია!

ავდექი, გამოვიპარე,

წინ გზა დავიდე გრძელია,

იქითკენ გავეყე გუმანსა,
სითაც მზის ჩასახდენია...

სამ დღეს ვიარე, სამ ღამეს,
ერთხელ არ დამისვენია.

თოვლის ქვეშ ვძოვე ბალახი,
ჟინულის ვსრიბე წვენია!

შეოთხე დილა გათუნდა —
ესეც იღბალი ჩემია! —

ცივმა დაქროლა ნიავმა
ყბას შემაყინა წვერია...

მოდგნენ და მოდგნენ ნისლები,
ღრუბლები ტყვიის ფერია.

ღმერთი დასწყევლის ზვავებსაც,
ისიც დაღესტნის მცველია,

სვავივით ჩამომიქროლა,
შაგრა ჩამავლო ხელია,

ეგრე მომწყვიტა ფერდობსა,
მითამ ვიყავი ლელია,

მთის ძირას ჩამამიტანა,
ხვეის მაჩვენა ფსკერია!

ჩამომიფრინდნენ ყორნები,
ფრთა-ფრთას შემოჰკრეს, —

ერთმანეთს ეუბნებიან: — ძნელია!

საზრდო გვაქვს გემრიელია!
მიცქერენ მოთმინებითა,

სიკვდილის დასტურს ელიან.
სიმწრით დავხუჭე თვალები,

ან რალა გასახელია?!

მწყემსები:

დაუსხით, კიდევ დაუსხით,
გაალბობინეთ ყელია!

მ წ ი რ ი:

არა, მეტს ნულა დამისხამთ,
თქვენი, ჭირიმე, თქვენია!..

რაც ესლა უნდა გაიამბოთ,
თავად ვერ დამიჯურია:

რა კაცს გადუწყდეს იმედი,
იქ სასწაულის ჯერია,

მეც მომივლინა უფალმა,
ღვთის ანგელოსი მსხნელია!

პირმნათი, სახემეზიანი,
შუქი ცით მონაფენია.

მხრებზე დაჰყროდნენ დალალნი,
მსუბუქი ოქროსფერია.

ტანთ სელის კაბა ემოსა,
მალლა ეჭირა ყელია!

მომიახლოვდა, მოვიდა,
მითხრა, ნუ მოგიწყენია;

სახე ნუ დაგიღრეჯია;
ცრემლი ნუ გადმოგდენია;

პეშვით მასმია მთის წყარო,
შელის რძე მაწოვა ცხელია.

ნაჭრევს დამიგო ბალახი,
მინდვრის ყვავილი ჭრელია!

სამ დღეზე წამომაყენა,
მკლავეში მომიკიდა ხელია.

აქეთკენ წამომიყოლა,
ბინა მაჩვენა თქვენია...

მემრე გამშორდა, წავიდა,
მზე ჩადგა, დარჩა ბნელია!

მწყემსები:

(ვაოცებულნი)

ნანილს შაჰყრია, ბეჩავი,
ის არის მავის მსხნელია!.

მ წ ი რ ი:

წოწრეს, რასა იქს, პაპაი?

ალბათ მთლად მოტყდა ბერია.

იქნებ არც არც ცოცხალი,
მიწა ახურავს ბნელია?...

თუ ცოცხალია, მაჩვენეთ

ეგა მაქ საწადელია!



პირველი თავის დასასრული
 გინა თქვა, ენაც გახმება
 წოწრეს პაპაი ბერია.
 ბერია, არცა ბერია,
 სიხსლე ხელთა სჭერია.
 ცხენზე შეჯდება — ქორსა ჰგავს,
 დაუჭვეითებს — მგელია!
 სოფლის თავს უდგას ქაე-ციხე,
 ზედ ბევრი აკრავს ხელია.
 გამხნარი, ჩამოტყაული,
 საცქერლად საზარელია.
 ქაეს შეენის კომში მალალი,
 ღრუბლებში უზის წვერია.
 შიგ ჰყრია ტყვია-წამალი,
 გაჭირდეს — დასაწველია!
 გარეთ დაუდის ცხვარ-ჯოგი,
 ხარი, ფური და ცხენია.
 თორმეტი ურა კვიცი ჰყავ,
 საბელს უგიათ ქერია;
 თორმეტი ფარა ცხვარი ჰყავ,
 თან მიაქვთ მთა და ველია;
 თორმეტი ხვედა ძალი ჰყავ,
 არ ჰყოფნის ჯაჭვ-საბმელია!
 თორმეტი ქედა ხარი ჰყავ,
 სულ წინ და უკან ჭრელია;
 თორმეტი ნიშა ფური ჰყავ,
 ერთ დილას დასაწველია.
 თერთმეტი საპატარძლო ჰყავ,
 მზისა და მთვარის ფერია,
 თერთმეტი ვაჟიშვილი ჰყავს
 ერთად ჯვარდასაწერია;
 იმათი დედის საფლავი,
 ხატივით სალოცველია!
 ზედ ადგას ალვა, მალალი,
 აკენებად გასათლელია.
 ღმერთო, უცოცხლე მოყვარე,
 ღმერთო, მოუკალ მტერია!

თავი მეორე

კვლავ თუშთა სალოცავი, დღეობა:
 მოქმელები; ტაშფანდური;
 ქორბუღელა; ქადაგი;
 ქალთა და ვაჟთა გუნდები;
 ღანდურზე მოშაირე წყვილი...

მეფანდურე ვაჟი:

ქალაუ, წუხელ ღამითა,
 ხვივნის ბოლოს მეძინა,

ქვეშ მეგო ტერი ძვირფასი,
 ზედ თაქნაბადი მეფინა,
 გვერდით შენ მეწვექ, ლაშქარ-
 მკლავი მკლავს გადაგვეხვიანა!

მეფანდურე ქალი:

ბიჭო, ნუ სტყუი, ნუ სტყუი,
 საღორის კართან გეძინა,
 ქვეშ მეგო ჩალა-ჩულანი,
 ზედ ძველი ორხო გეფინა,
 გვერდთ გეწვა შავი ნაგაზი,
 ტოტი ტოტს გადაგვეხვიანა!

მეფანდურე ვაჟი:

წყალს იქეთ თოვლი მოსულა,
 წყალს აქეთ — წვიმა წყვეტილი,
 თუ ვსტყუი, მაშინ ფარავი
 რაღა გაქვს ჩამოწყვეტილი?

მეფანდურე ქალი უნებლიედ
 ფარავზე იხედება.
 ისმის საერაო სიცილი. ქალი დაირცხვენს...

მეფანდურე ქალი:

(შეცბუნებული)
 ხეი მიწვება, მოწვება,
 შიგ შავი გველი ჩაწვება.
 ა, ის ქალაიც მოკვდება,
 ვინაიც შენთან დაწვება!

მეფანდურე ვაჟი:

(დაყვავებით)
 ქალაო, მითხარ, შენი ვარ,
 გულს აღარ დამეხურება.
 მთას თუ მზის სხივი ათბუნებს,
 ნისლი რად მოებურება?

მეფანდურე ქალი:

ბიჭავ, რას ჩამცივებისარ,
 განა არ გითხარ წელანა?
 ათასი გულიც რომ მქონდეს,
 ერთსაც მოგცემდი ვეღარა!

მეფანდურე ვაჟი:

ნეტავი, უცხო წალკოტი,
 ეკლითა ვინმემ შენარა!
 რკინისა კარი შეაბა,
 კლიტე მე მომცა, შენ არა;



სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ,
 თავსა მე მივცემ, შენ არა,
 ვაი, თუ ისე მომიხდეს,
 მე მიყვარდე და შენ არა!?

მეფანდურე ქალი:

ა, ის ღრუბელნი მიყვარან,
 ბორბალოზე რთ დიანო,
 ერთი მეორის შეყრასა,
 ხარობენ, მოვლიანო,
 შიყრებიან ერთადა,
 მანანას ჩამოყრანო,
 რაც უნდა ბევრი ეცადონ,
 ჩვენ ერთურთს ვერ გავყვრიანო!

იწყება ცეკვა, რომელსაც ქადაგის
 გამოჩენა შეწყვეტს. ჩამოვარდება
 სინამე.

ქადაგი:

წარვსდექი ხატის კარზედა,
 კურატით, საწირითაო,
 ფეხზე წამოდგა ბატონი,
 შამომხვდა ღიმილითაო:
 უთხარი თუშის შვილებსა,
 აგავსებთ წყალობითაო!
 კარგად მოგირთავთ ქალ-რძალსა,
 ტყავ-კაბა-ზარბაბითაო;
 ვახარებ ახალ-უნლებსა,
 თავ-ოქრო-ვერგვინითაო!
 მტერს დაგიბრმავებთ ორგულსა,
 ეშმაკსა ცა-ხმელითაო.
 გიმრავლებთ მოკეთებესა,
 მოყვარეს მრავალ გზითაო;
 აგივსებთ კოდსა, ბელელსა,
 ლუდს გიღენთ წყალივითაო!
 ნურაფრის შეგეშინდებათ,
 გატარებთ მშვიდობითაო.

ხალხი:

(ერთხმად)

დაგლოცოს პირმა ღვთისამა,
 ნაწილმა ბარძიმისამა,
 ამ ქვეყნად ხატმა და ჯვარმა,
 იმ ქვეყნად მადლმა ცისამა!

მეფანდურე ვაჟი:

(გახარებულად)

ჩაუკარ, ჩემო ფანდურო,
 ანგელოსივით ხმიანო.

შაირებს როგორ არ ვიტყვი,
 მენაც სო თუში მჭეიანო?!
 შაგაქებ, ჩვენო ბატონო,
 ერთთაო, ორ სახიანო,
 ზესკენელში ცხენით მავალო,
 ქვესკენელში დილაკიანო!

ნ ა ნ ი ლ ი:

(თავისთვის, ხმადაბლა)

წმინდა გიორგის კარზედა
 ხე ალვად ამოსულია,
 ზედა დასხმია ყურძენი,
 საჭმელად შემოსულია!
 იმის ნახვევი ქალ-ვაჟი
 შავადა შემოსილია...

მ წ ი რ ი:

(სასმისით ხელში)

ჰაი გიდი, თუშის შვილებო!
 სამი მზე გადგათ თავზედა,
 პირველი პურადობისა,
 შუქ გიდგათ ტაბლა-სკამზედა.
 მეორე მამაცობისა, —
 მტერ ვერ მოგიდით კარზედა!
 მესამე თოფოსნობისა, —
 ჯიხვენ ვერ გაგივლენ მთაზედა!
 შენაც იცოცხლე, ჰაბაიე!
 სვეტი ხარ თუშეთისაო,
 მეომარი და მასურალი
 მსახური მამულისაო!
 ოჯახიც კარგი გიღვივის,
 კოშკი გიდგია ქვისაო,
 შიგ შახვალ, დაგეძინება,
 შიში არა გაქ მტრისაო.
 ტყვია-წამალი ბევრი გაქეს, —
 თოფები ხვარესნისაო!
 გწყალობდეს წმინდა გიორგი,
 გამახარელო ღვთისაო!
 თერთმეტი ვაჟის მშობელო,
 თერთმეტი კარგი ყმისაო.
 მადლი ღმერთს! — კიდევ გიხილე,
 გული მიეცა ღვთისაო!
 შენაც იხარე, ნანილო,
 კაცთ ანგელოსო ხსნისაო,
 ღვთის კვალზე დაიარები
 შუქ გიდგა სიკეთისაო,
 დღეს რატომ მოგიწყენია,
 რატომ გაურბი ღვთისაო?

ნ ა ნ ი ლ ი :

რას მარგებს, — ვიზიარებო,
როცა, რომ გული სტირსაო,
წუხელ-დამ სიზმარი ვნახე, —
ვარსკვლავნი ჰყრიდნენ თრთვილსაო,
ტირილით აღმომხდარიყო
ცისკარი თენებისაო!
თან მაცნე ამოეყოლა,
მომამბე სიკვდილისაო,
შავად ჰყვავოდა ხეხილი,
ტოტი ტყდებოდა ხისაო,
დგებოდა წყალი მდინარი,
მთელი ქვეყანა ჰკვირსაო!
ზედ ისხდნენ მტრედნი ლამაზნი,
ცრემლით იბანდნენ პირსაო!...

ქადაგი:

ხმა გაიკმინდე, ნანილო,
ენა ნუ გაიმრუდო,
ხატი სხვას ამბობს, შენ სხვასა —
შუა უდევს დიდი ზღუდო;
გაჰყრიხარ ღვთისა ნებასა,
გულისთქმას ღამეს უთუო!...

ნ ა ნ ი ლ ი :

(თავისთვის)

ჩემს გულში შავი წყალი დგას,
მტკივა, მემსჭვალვის გვერდები,
კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი
მაგრამ მეშინის, ვგრედები...

წოწრეს პაპაი:

(მწირს)

აქეთ მოიწი, ხოლიგავ,
მადლი მასმინე ხმისაო,
მომიჯექ, წვრილად მიამბე
ამბავი ლეკებისაო;
კოჭლი, რასა იქს, რაჯბადინ,
მომურნე ჩვენი მთისაო?
ლხინობდეს, არ მეწყინება,
ისიც შევილია ღვთისაო,
დედისგან დაბადებული,
შექმნილი ბუნებისაო...

მწირი — ხოლიგავ:

ღვთის შევილად როგორ მოვნათლო,
ვინაც რომ ღვთისა მტერია?!
სულ მიწას ჩასტყერს, პირკუპრი,

სახე აქვს რკინის ფერია!
ტანად მცირეა, დაბალი
გაწყვდომაზე აქვს წელია;
ავზე ავია, რჯულ-მადლი,
იარაღს უძევს ხელია;
ლოცულობს თავის ალაჰსა,
მუხლ-ქვეშ უგია სელია!
ძმათა დაზარდა ობლები,
მაგრა შაუკრა წელია:
სწორი გამაჰყვეს მხარ-ბეჭი,
არ დასცინოდეს მტერია!
თოშიან წყალში გაჰბანდა —
ჯანი ექნება მთელია;
ასწავლა შუბის ტრიალი,
ხმალი, თოფი და ცხენია!
ლომისა საფერ დაზარდა —
ტყვია იციან ცხელია!
სატეარს ენით გაჰლოკვენ,
გახდება უფრო მჭრელია!
მრავალში გამაარჩია
მუსალ-ალადას ძენია,
ალი-ბევისა ნაშობი,
სალის კლდის შევარდენია!
ისალ-მაჰამას შევილებსა,
მამის ამასდით წვერია!
ნატრობენ: მოითარეშონ
თუშთა მთა, კახთა ველია;
მაჰკრიფონ მამათა ძელები,
შინ მიიტანონ მთელია!
თუ ვერა, მთისკენ წაასხან,
ჯოგები უღეველია;
გამოირეგონ ქალ-ვაჟი,
უკან გაუკრან ხელია,
შასწირონ თავ-თავის მკვდარსა
საქმე ჰქმნან საწადელია!..

ჭაბუკი თუში:

ნულა გვაშინებ, ხოლიგავ,
თორემ წაგვისდა სადილი...
ნეტაი, ლეკის შევილებსა,
რომ არ ბეზრდებათ ჰადილი!
საქმეს ქმნა უნდა, არ კმარა
მარტო ნდომა და წადილი;
თუ მოვლენ მალე მოვიდნენ,
თორემ მოგწყყინდა ლოდინი!

წოწრეს პაპაი:
(თაყისთუხი)

გეტყვი: გულს ნუ დაენდობი,
გული მრავალის მთქმელია!
ნურცა-რა თოფს დაენდობი,
თოფი ეშმაკის ცხენია!
ნურცა-რა ხმაღს დაენდობი
ხმაღი მშიერა მგელია:
სადღეოდ გულის მკეთეი,
სახვალოდ ლიბუს მთხრელია,
ნურცა რას მკლავს დაენდობი,
მკლავი სხვისაივ ბრტყელია;

ქალთა გუნდი:

მტერობის წყალო, მდინარო,
გრილო, კრილისა მთისაო,
ჩამთქმელო თეთრი ცხენისა,
ზედ კაი ვაჟაკისაო...

ნ ა ნ ი ლ ი:

წმინდა გიორგის კარზედა,
ზე ალვად ამოსულია,
ზედა დასხმია ყურძენი,
საჭმელად შემოსულია,
იმის ნახვევი ქალ-ვაჟი,
შავადა შემოსილია!..

შემოდის მაცნე:

ღვეების მოსვლას ამბობენ,
გატეხას ჩაღმის მთისასა,
დადგომას ჟველურთის სოფელს,
უკუღმ ჩახდომას მზისასა;
გადმოსვლას ქვათენთის მთაზე,
ზედ დახურვასა ცისასა;
ქანქანით შესვლას ამბობენ,
გატეხას გაღვენისასა;
შიგ დატანასა ამბობენ,
სამოცის ვაჟაკისასა!

ხალხი:
(მეტყრთალი)

გვიშველოს ძალმა ღვთისამა,
ნაწილმა ბარძიმისამა,
ამ ქვეყნად ხატმა და ჯვარმა,
იმ ქვეყნად მადლმა ცისამა!

ქორთოში:
(ახოვანი თუში)

ხმას რად არ იღებ, პაპაივ,
სიტყვა რად გიძვირს სვიანი,
მაჰნატრებიით ურჯულოთ,
შენის ხმალ-შუბის ზრიალი.
წამოდექ, ლაშქარს ჩაუძებ,
თორე, არ იქნეს გვიანი.

წოწრეს პაპაი:

მე ვერ წამულა, ქორთოშო,
ფიქრი რამ მამდის ზმიანი:
ვითამ გარს მეკრას სისხლის ტბა,
შავ-წითელ ყვავილიანი.
ვითამ სუ სხვა დგას ამინდი,
დღებნელს ღამე სცვლის მზიანი!
თოფლი თოფს, ველი ბიბინებს,
ნისლებს მიმოაქვთ იანი.
მგელი და ცხვარი ერთად ძოვს,
შველიც და ვეფხიც ბწკლიანი;
მკერდს მაზის თეთრი ქედანი,
ფრთა-სველი, მხარ-სისხლიანი!
არც შრება, არცა მშორდება,
ვით ჭიუხს ნისლი გვიანი...

ქორთოში:

ვერ გავიგევით, პაპაივ,
ეგ ნაუბარი გზიანი..

წოწრეს პაპაი:

ნუ აჩქარდები, ქორთოშო,
მზა-სიტყვა სამიზნე არი.
გუმანით უნდა მარტყა,
ისარი ფიქრის ფრთიანი.
სისხლის ტბა ჩემი ჟამია,
დავლიან-თარეშიანი,
შიგ შავ-წითელი ყვავილნი,
მტერ-მოყვარენი ხმლიანი,
დღე-ბნელი სააქიოა,
ნათელი, სამოთხე არი!
იანნი, ნისლში მავლნი, —
ხატ-ანგელოსნი ღვთიანი!
მგელ-ცხვარი ერთად მძოვარი,
მოსისხლართ სულეზი არი,
ერთურთის კვლასა ნანობენ,
დადიან თვალცრემლიანნი!
გულს რო ქედანი მიბჯღალავს,
ის, ჩემი სულის სვე არი;



გალექილია სისხლითა,
დევე-ქაჯთა თანაზიარი!
სწადიან მურდალს ზე ფრენა,
მაგრამ არ ძალუძს — ქვე არი!
ხშირ-ხშირად მყვედრის, რა მიყავ,
ბეჩავს რად მომე ზიანი?!
მოგიველ, ვიყავ უბრალო
ნათელი ხალასიანი...

მე ვერ წამულ, თუშებო,
სალმრთო საქმე მაქვს გვიანი,
დავეყუდები, ვილოცებ, —
დღე გაგიტენდეთ ღვთიანი!
თქვენ წაგიძღვებთ ქორთოში,
ჩემს ხელში ნაზარდი არი;
ჭინთოელთ-ციგუს-სულთანი,
აზნაურია ყმიანი;
გირვევლთ-ხოსიკთ ივანე,
დილბანდი დაჩინიანი,
ფარსმელთ-აუის ალუდა,
კოშკია სიმაგრეიანი;
ჭეშოელთ-აბას დავითი,
ხმალია ბასრი, ფხიანი;
დანოელთ-თავებერაისძე
ვაჟაკი პურ-წყალიანი!
ჩილოელთ-ქსნიძე მეშველე,
ხელმწიფის დროშაიანი;
კავლოელთ-გორგი თილისძე,
შიშია შორის მტრისანი!
დართლოელთ თადიაური,
მემეტე თუშეთისაი!
დიკლოელთ-ახუს აბაი,
სწრაფია, როგორც ისარი.
ჩემს შვილებს იგი წარუძღვეს,
ვინც უმეტესი ხნის არი.
წამოდექ შვილო, ანდარეზ!
მემეტე შენ ხარ, ძმისანი.
შენაც წამოდექ, ბერდიაგ!
ხან მოგივიდათ ცდისანი;
გიგოლევ წამოაყენე,
მუხლნი გამართეთ მგლისანი.
ნულარც შენ ზიხარ, დევდარო,
იცოდე, ომი ჭკვის არი!
გვერდით იყოლე ივანე,
ხმა გესმას ნარჩევისაი!
გახსოვდეს, შენ და მანგიაშ,
ტყუილ არ ხარჯოთ ისარი!
ჩემი მთვრალაი სადღაა?
მეშაირ: და მისანი!..

ახლავ მომგვარე, უთურო,
თუ მადლი გწყალობს ღვთისაი!
შენც დამენახე, ბაჩუავ, **მეჩვენეული**
ძმა ძმისად შავი დღის **მეჩვენეული**
ნუ მოიშორებ ხუნჩალეს,
ტოტნი ხართ ერთის ხისანი!
ნაკუდაც თან წაიყვანეთ,
ალარც ნაკლები ის არი!
გწყალობდეთ სამების მადლი,
ფარ-შუბი გიორგისაი!

მეორე თავის დასასრული

ცისკარმა ამოანათა —
ფუძე შეინძრა ცისაო;
თანდისთან გაქრნენ ვარსკვლავნი,
დამეს გადაჰყვინენ გრილსაო;
თუშებმა რაზმი დააწყვეს,
ღმერთი ახსენეს გზისაო;
გავიდნენ შილდის წყაროზე,
მზე წითლად ამოსდისაო,
ერთიც იქ დაილოცნიან, —
წესია თუშებისაო.
მემრე თავქვეზე დაეშვენენ,
დაჰყვინენ დურუჯის პირსაო,
უეტრად შედგა დევდარი, —
ხმა ესმა ლეკებისაო,
თოფი მოიგდო, მოზიდა,
არცა რას მოჰფარდისაო!
იჩქარა, დასცა ჩახმახსა,
მეხივით გაგარდისაო,
მაგრამ დაასწრეს რჯულ-ძაღლთა,
ხანი არ მისცეს ცდისაო,
განგმირეს ცხელის ტყვიითა,
მაარტყეს გულის-პირსაო,
წამით შეჩერდნენ თუშები,
ვით წყალი შედგეს მთისაო,
რაი ჰქნან, ვერ იჯერებენ,
ესრე წახდენას ყმისაო.
მწარედ ჭიხვინებს ლურჯაი,
საბრალო დევდარისაო;
ვაი თქვენ პაპაის ძენო
სიკვდილ გაჭამეს ძმისაო!
აყრუეებს დურუჯის ჭალას,
ყმუილი ათის მგლისაო,
ათივემ დასძრეს ცხენები, —
ათივე ცოფებს ჰყრისაო!
„ლეკო, ჩვენის ძმის მომკლაო,
დედა გაგიწყრეს ღვთისაო!“



შაიქმანა მესთა ტეხანი,
 ელვა დგას ჩაჩქნებისაო,
 ეგრე გრგვინავენ თოფები
 შაკრთნენ ღრუბელნი ცისაო!

თავი მისამა

ლექების სანგარი. ისმის:
 ტყვე ქალთა მოთქმა;
 ცხენების კიხინი;
 სროლის ხმები და ექო,
 რასაც კიღვე უფრო ამძაფრებს
 ლექების საომარი სიმღერა

გეთ, დაღა დებ,
 ჩოუ ღუნა დებ,
 ჩოუ ბანა დებ,
 ჩოუ ლანა დებ!

ტყვე ქალთა გუნდი:
 ღმერთო, გვიშველე, მაღალო,
 რატომ არ გადმოგვხედავო?
 ლეკმა აიკლო ქვეყანა,
 ბუქნავს, თამაშობს ზედაო!
 ბევრ ქალს გაუხსნა საკინძე
 უკბინა ძუძუზედაო!

სიმღერა:

გეთ დაღა დებ,
 ჩოუ ღუნა დებ,
 ჩოუ ბანა დებ,
 ჩოუ ლანა დებ!

ხვარამზე:
 (ტყვე ქალი)

ნეკრესის წმინდა გიორგივ,
 რად არ მკრავე შუბის წვერსაო?!
 ჩამოგვიცვიდნენ ლეკები,
 ფერისცვალება დღესაო,
 დასწვეს, დადაგეს კახეთი,
 უღმერთო საქმე ჰქნესაო!
 ხმლებით დაკაფეს ვაზები,
 ვენახი მისცეს ელსაო,
 მამა და ქმრები გვიხოცეს,
 ყელეხ დაგვიჭრეს ძმებსაო!
 ბაღების კალო გაღეწეს,
 სისხლით იღებდნენ წვერსაო!
 ძნებად დაჰყარეს, წავიდნენ,
 ძლივს-და უქცევდნენ ფეხსაო!

გამოგვირგევს ქალენო,
 შემოგვაყენეს მთებსაო,
 სულ ფეხშიშველი გვატარეს,
 ქოში არ გვცმია ერთსაო,
 რაღად მაცოცხლებ, უფალო,
 კახის ქალს, ლეგის ტყვესაო,
 ჩამომწყვეტია ფარავი,
 სირცხვილს შავყრივარ ძნელსაო!

ხაწე:

(წითლური ლეკი ხვარამზეს)

ნუ სტირი, ქალო-ხვარამზე,
 გიჯობს, რომ დაჰყვე ბედსაო,
 წაგიყვან, ხასად დაგისვამ,
 დღეს გაგითენებ ბნელსაო,
 სულ ოქრო-ვერცხლით მოგიერთავ,
 მაგ სურასაებრ ყელსაო!
 მალეღვე გადაგვიწყებ,
 მამას, ქმარსა და ძმებსაო!
 ახია, რისთვის გვებრძოდნენ,
 რატომ გვიწვავდნენ ძნებსაო!
 ლეკი ვარ, არვის შევარჩენ,
 პაპის სისხლს, მამის ძელებსაო!

ტყვე ქალთა გუნდი:

ღმერთო, გვიშველე, მაღალო,
 რატომ არ გადმოგვხედავო?
 ლეკმა აიკლო ქვეყანა,
 ბუქნავს, თამაშობს ზედაო!
 ბევრ ქალს გაუხსნა საკინძე,
 უკბინა ძუძუზედაო!

სიმღერა:

გეთ, დაღა დებ,
 ჩოუ ღუნა დებ,
 ჩოუ ბანა დებ,
 ჩოუ ლანა დებ!

ერთ-ერთი თუშის ხმა:

ლეკო, ნუ ზიხარ ღორღოვანს,
 მამა წაგიწყდეს მკვდარია,
 თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი,
 გვაჩვენე შენი ჯანია!
 გამოდი, მამაქნევიც,
 ჩემი ფრანგული ხმალია!
 თორემ იცოდე, მოგივლ,
 თმენის აღარ მაქვს ძალია!

შუსაბეც:

(ლეკების ბელადი)

ჩამოგვეხსენით, თუმებო,
დედისერთანი ვართ ჩვენა,
ჩვენის ერთგულის ცოლების,
სასურველები ვართ ჩვენა!
მამათა სისხლი გვიყივის,
მათი შვილები ვართ ჩვენა!

ქორთოში:

(თუშების ბელადი)

ვერ დაგვხსნებით, ლეკებო,
რჯულის ერთგულნი ვართ ჩვენა!
თუ თქვენ ხართ დედის ერთანი,
ორად გამჭრელნი ვართ ჩვენა!
თუ ცოლთა სასურველნი ხართ,
არც საძულველნი ვართ ჩვენა!
თავთ დაგჭრით, ცოლებს მიგიერთმევთ,
— კარგი სტუმრები ვართ ჩვენა!

ტყვე ქალთა გუნდი:

სადა ხარ ღმერთო, მაღალო,
რატომ არ გადმოგვხედავო?
ლეკმა აიკლო ქვეყანა,
ბუქნავს, თამაშობს ზედაო!
ბეგრ ქალს გაუსხნა საკინძე,
უკბინა ძუძუზედაო!

სიმღერა:

გეთ დადა დეგ,
ჩოუ ღუნა დეგ,
ჩოუ ბანა დეგ,
ჩოუ ლანა დეგ!

ქორთოშის ხმა:

გამოდი, ლეკო, გამოდი,
სიკვდილი გიჯობს ველადა!
თორემ მოგივა შიმშილი,
გადაგექცევა წერადა!
დაგრჩება ღორღოვანაი
სალოკად, საცოხნელადა!

ხაწე:

(წამოთქრება)

ტყვილა ცდები, ქორთოშო!
ხაწე შეკრთება ძნელადა,
მომშვივა, არ დავღონდები
ცხენის ხორცს შავჯამ ხმელადა!
თუ მომწყურდება — არც მაშინ,

ცხენის სისხლს შავსვამ, ცხელადა!

თუ მომწყინდება თქვენს ქალებს
მიუვალ საკოცნელადა!
ლაიქეშებს ქორთოშის თოფი. ხაწე ჩაიკეცება.

შუსაბეც:

ლეკო, ალაჰი ვახსენოთ,
ჟამ გვიდგას გამოცდისანი,
ვინც დღეს მოკვდება, იცოდეთ,
მარად უკვდავიც ის არის!
თავს დაადგებათ ნათელნი
იმ ჩვენის მამებისანი...
შახვდება მუსალ-ალადა,
კაცი ბრძენი და მისანი!
კახთავან მკვდარი ალი-ბეკ,
ნაწრთობი არწივისანი,
მამაცი ისალ-მაჰამა
თუშთა და კახთა მრისხავი!
ხმლებით დავთხაროთ ხანგრები,
კარნი მტერთ სამარისანი!
საცა დაგვაკლდეს ცხენთ დავკრათ,
ლეშ დავდვათ ცხენებისანი,
ქვეშ ამოვიგოთ ტყვე ქალნი,
მომცემნი სიფიცისანი!
ვინც დავიჭრებით, დავიგოთ
თექები უნაგრისანი,
ზედ წამოვყაროთ ტყვიანი,
ვით თვალნი აღმასისანი,
ჩქარ-ჩქარა ვტენოთ თოფები,
ნაქებნი, ხვარესნისანი!
თუ საქმე ხმაღზე მიდგება,
ზილ-ფუხარ ალაჰის არი!
ცით ჩამოგვიტანს ჯიბრიელ,
ძმანნი ვართ მაჰმადისანი,
ვინძლო, ისეთი ომი ვქნათ,
ევონოთ — უჭუდის არი!
ზეცა განიხვნეს, გამოჩნდენ
ტურფანი სამოთხისანი!
გაოცებულნი გვიცქერდენ,
მხილველნი მეუფისანი!...

შუსაბეც-ბელადის სიტყვით აღფრთოვანებული ლეკები, უფრო გამძაფრებით შეუდგნენ საფრების თხრას... ხანწლებით დასჭრეს ბელტები და ააგეს სანგრები. ზედ საბრძოლო ბაირალები აღმართეს... სადაც საფარი დააკლდათ, დაკლეს ცხენები და წინ იფარეს, სადაც მეტი მოუვიდათ, ტყვე-ქალები ამოიგეს ქვეშ, მათი ბრძოლა მართლაც არ ჩამოუვარდებოდა უჭუდის ბრძოლას, ცა მართლაც განიხვნა



და გოცებულა ჰურიები, სამოთხის მშვენიერ ქალები და ანგელოსები გამოვიდნენ მათ საცქერლად. მალე მათაც აყოლეს თანვინათი მომხიბვლელი ხმები, ლექების საბრძოლო სიმღერას და ისინიც სხვებთან ერთად ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ფერხულში...

გეთ, დაღა დებ,
ჩოუ ღუნა დებ,
ჩოუ ბანა დებ,
ჩოუ ლანა დებ,

ანგელოსთა და ჰურიათა მოძრაობა, მებრძოლთა ტლანქ მიმოხვრასთან შერწყმული, საოცარ ცეკვას ჰგავდა, რომლის მსგავსი ალბათ, არასოდეს, არც ერთ მოკვდავს არ უნახავს. ასე ვაგრძელდა დიდხანს, მანამ სანამ თუშებმა არ დაიჭრეს ლექთა სიმაძავე. თუშებმა ბრძოლა შესწყვიტეს და ლექთა ეაქცაობით აღფრთოვანებულმა ქოროშია ასე მიმართა მტერს:

ქოროთში:

სადაური ხართ, ვინა ხართ,
თქვენი გამზრდელი ვინ არის?

მუსაბეკ:

ჩვენი გამზრდელი მთებია,
თოვლიან ყინულიანი!...
ჩვენი მოძღვარი რაჯბადინ,
კოჭლი ფოცხვერი ბჭკლიანი,
ჩვენი მფარველი ღმერთია,
ალაჰი სამართლიანი,
გახლავართ უნსუკულები,
მამა პაპითგან ხმლიანი.

ქოროთში:

უნსუკულები თუ იყავთ,
სიტყვა რად არ თქვით ხმიანი?
გვეგონეთ ხუნძახელები,
ქურდიან-ბაცაციანი!
მოდით, დაუზავდეთ, ნუ გვინდა,
სისხლის ღვრა სიკვდილიანი!
მოგვეცით ჩვენი ქალები,
არ დავრჩეთ სირცხვილიანი!
თუ ვერცხლი გინდათ, რწყვით მოგცემთ,
მოგჭედავთ ხმალ-ცხენიანა!
თუ ოქრო გინდათ, თვლით მოგცემთ,
ბეჭდიან-საყურიანა,
მოგირთავთ ერთგულ ცოლებსა,
დედიან, ქალ-რძალიანა!

მუსაბეკ:

ჩვენ თქვენი ოქრო არ გვინდა,
ღმერთი გვყავს პირობიანი,
თუ დაგწყდით, ფირდუს გვიბოძებს,
ის ჩვენი სამოთხე არი!
გვერდით მოგვისვამს ჰურიებს,
გვიგალობებენ თმიანნი...
ჩვენს შორის ზავი ხმალია,
სისხლში ნაწრთობი, ფხიანი!
მოყვრობა — პაპის ანდურძი,
სროლით გაცვლილი ტყვიანი!

ასეთი პასუხის შემდეგ კვლავ ატყდა ბრძოლა, უფრო ფიცხელი და სისხლის მღვრელი, ანგელოსნი და ჰურიები კვლავ გამოვიდნენ ცათა სანახებიდან და კვლავ გაისმა მძლავრი:

გეთ, დაღა დებ,
ჩოუ ღუნა დებ,
ჩოუ ბანა დებ,
ჩოუ ლანა დებ!

მესამე თავის დასასრული

სამ დღეს იბრძოლეს, სამ დამეს —
მეხს მეხი სდევდა ჩქარ-ჩქარი
მკლავს მკლავი დახვდა, გულს-გული,
ხმალს — ხმალი, ჩაჩქანს — ჩაჩქანი!
ცა შედრკა, მიწა შეირყა,
მთებმა დაჰყარეს ნაშალი,
ყორანს ჩამაჰყვა ყორანი,
ფრთა ფრთას მიეზა შავ-შავი,
ხარობენ: ერთურთს შაჰყრია,
ლომი და ვეფხის ლაშქარი!
ხორცი დასცივიათ, ჩონჩხებს-ღა
შარჩებათ ქამარ-ავმარი.
გათენდა, კიდევ დაღამდა...
ელვამ დაცვითა აბჯარი,
სხლეტამ დაღალა ჩახმახი,
მკლავმა დახარა ხანჯარი;
ბასრმა შეწყვიტა კრიალი,
სისხლმა შეწყვიტა წკანწკარი.
ძილმა გარიყა სიკვდილი,
წამწამს მიეკრა წამწამი!
წოწრეს, რასა იქს, პაპაი,
ბერმუხა ტოტებდამწვარი?
რადა ზის დაღონებული?
ფიქრნი რად სდიან მწარ-მწარი?
რას ნიშნავს, რას მასწავებს
ძალთ გულსაკლავი წკაფწკავი?

ან ეს რა ხმაა, რა არი,
სიმღერას ჰგავს და არც არი?..
კერაზე ცეცხლი დანელდა,
დანავლდა, დარჩა ნაცარი...

თავი ხაოთხა

პაპის ბინა, შუალამე, კერასთან, სამფეხა,
ჩიკა სკამზე ზის წოწრეს-პაპი. ვარედან
ისმის ძალღების გაბმული ყმულილი და
შორეული სიმღერა:

თქვენი ჭირიმეთ, ყონებოთ,
გლოვა არ იცით, მკვდარზედა.
რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს,
ცრემლ არ მოგივათ თვალზედა.
შეიმოსებით შავადა,
თეთრს არ ჩაიცმევთ ტანზედა,
კარგ ყმას გულს ამაარიდებოთ,
ჩამაარიგებოთ ჯარზედა,
გაიღვექებით სისხლითა,
გადახვალთ ალაზანზედა!

პაპი:

ავაჰ-მე, მზეო საწუთროვ,
სხვას, ჩემებრ, ვის ყვარებინარ?
შევქმნილვარ შენად მიჯნურად,
სატრფოსთვის მიდარებინარ;
სადაც მილხინდა, მიჭირდა,
სულ სატად მიტარებინარ!
მიცვნია შენი სურვილნი,
გავრჯილვარ, მიხარებინარ,
შენც, მზეო, შენსა ერთგულსა,
მრავალჯერ მიჰხმარებინარ,
ეხლა არ ვიცი, რას მიქად,
თვალს რისთვის მიჰტარებინარ?

ბოროტი ქარი:

დევდარი მოჰკლეს!..

კეთილი ქარი:

...გიგოლემ
ფერი დაიდო მგლისათ,
რალა გიგოლემ ვიქნები,
თუ ჯავრი ვჭამე მტრისათ!
თოფს დაჰკრა, თავის მაჟარსა, —
ლეგის საფარი თრთისათ,
„ერთი დღე დაბადებისა,
მეორე სიკვდილისათ“
ათი შესწირა დევდარსა,
გახარებული თვლისათ...

ბოროტი ქარი:

ნუ გიხარია, გიგოლემ, **მეორეული**
თვითონაც გულში გჭირსა? **სიკვდილი**
...არა სწადიან სიკვდილი,
კბილს შიგან სიტყვას სცრისათ:
„საყორნედ როგორ გამხადეს,
მოყმე ვიყავი მზისათ?“

კეთილი ქარი:

მოდრუბლულ ცას ჰგავს ბერდია,
პირი არ სწირავს ღმისათ,
ხელი გაიკრა ხანჯარსა,
ტარი აქვს ჯიხვის რქისათ,
ლეგის სანგარში შაიჭრა,
ნათომ ჩამადის ყბისათ!
მეორედ დასცა წვერითა, —
ჭეხა გაისმა ძვლისათ,
მესამედ გადმოუქნია;
„მამტან იქნები წყლისათ!“

ბოროტი ქარი:

მერე თვითონაც დაეცა,
შუქნი ჩაუხდნენ მზისათ,
ხელმარჯვედ დაჰკრეს ლეკებმა,
მუხლი მოსტყეს მგლისათ,
ქვიშის დაუგეს ლოგინი,
იქვე, დურუჯის პირსათ;
ატირდნენ კახის ქალები,
თმები დაჰყარეს ძირსათ!

კეთილი ქარი:

ქალნო, ნუ სტირით, კახელნო,
ივანე გიხით გზაზედა:
„თუ ლეკებს წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა!“
ჯერ თოფი დაჰკრა ივანემ,
მერე მივიდა ხმაღზედა,
აკაფა მოწინავეი,
— დევდარ! გაგზავნა წყალზედა!
ერთიც გიგოლეს შესწირა,
— გუთანს შაუბი ხვანაზედა!
მესამეც კიდევ ბერდიას,
— ძალღად იყოლემ ცხვარზედა!
მეოთხეს დაჰკრა, დაჰყვირა:
— ეხლა ვიზრუნებ თავზედა!

ბოროტი ქარი:

თავისთვის ვედარ იზრუნა,
ადარ ეწერა ხმაღზედა!



ლეკმა მოიღო შავხალი,
 შუბლი გაუპო შვაზედა!
 იქვე, ღორღოვანს ჩახერგა,
 ხორცი უგლიჯა ქვაზედა!

კეთილი ქარი:

გამზრდელიც დაელოცება,
 უთურს, პაპაის შვილსაო,
 მარტო ჩაუხტა მტრის ლაშქარს,
 თან ელვა ჩაჰყვა ცისაო!
 ოთხის ძმის სისხლის მძებნელსა,
 მადლი სცოდნია ხმლისაო!
 არ უშინდება მტრის ტყევიას,
 პირით ნაკვერცხალს ჰყრისაო. —

წოწრეს პაპაი:

(ხმდაბლა)

მკერდს მაზის შავი ყორანი,
 გულს მკორტნის, ძღება ვეღარა...

ბოროტი ქარი:

(ჩურჩულით)

დაჭრილ ას პაპას უთური,
 კვდების, მორჩების, ვეღარა!
 მთებს გამოხედავს თოვლიანს,
 მთანო, დაგლახავთ, ვეღარა!
 შილდის თავს, გრილო წყაროო,
 ჩამოგიჯდება ვეღარა!
 ნენოთის ქალო, ლამაზო,
 ქორწილს გადვიხდი, ვეღარა!

კეთილი ქარი:

უთურს შაჰხედა მანგაიმ,
 ცრემლით ავესო თვალია,
 კლდიდან ზვაფივით დაეშვა,
 თან ჩაიტანა ქვანია!
 სანამ ლეკები მობრუნდნენ,
 ძმის მკვლელს მააჭრა თავია,
 მერე მოიძრო ჩაჩქანი,
 დაატრიალა ქარია,
 — დამაცათ ლეკის შვილებო,
 ხუროდ ავივით მკვდარია!
 კაფა და კაფა ურჯულო,
 სისხლის მოვარდა ღვარია!
 სთვალეს და ვეღარ დასთვალეს,
 მანგიას ნახანჯლარია!

ბოროტი ქარი:

იბრძოდა, სანამ გადაუტყდა,
 მანგიას ხანჯლის ტარია,

სანამ დააწყდა მხარ-მუხლი,
 ოფლის დაედო ნამია,
 მერე იმასაც უხელთეს.
 ბასრმა გაიღო ჩქამია,
 ქვიშაზე წითლად გაგორდა
 მანგიას კოხტა თავია!

კეთილი ქარი:

მთვრალაის, ამის დამნახავს,
 ძერა დააჯდა მხარზედა!
 „ვაიმე, ძმაო, მანგიავე,
 ხანჯარ არ შაგრჩა ტარზედა!“
 ესა სთქვა, შუბს ჰკრა, ჰოროლსა,
 ძმის მკვლელს აძგერა წამზედა,
 მეორეს ხმალით მივარდა,
 მესხად დაატყდა თავზედა!
 მესამე კლდეებს ახეთქა, —
 ტვინ შეუნთხია ქვაზედა!

ბოროტი ქარი:

ბოლოს თვითონაც დაეცა,
 სიკვდილ დააჯდა მხარზედა,
 იმისი ცოდვის შეემყურე,
 მთვარე გაბრუნდა ცაზედა!

წოწრეს-პაპაი:

მკერდს მაზის შავი ყორანი,
 ღვიძლს მკორტნის, ძღება ვეღარა!

ბოროტი ქარი:

ავად ას შენი მთვრალაი,
 კვდება, მორჩების ვეღარა!
 მთებს გამოჰხედავს ბეჩავი,
 მთანო, დაგლახავთ ვეღარა!
 შავის კლდის ჯიხვნო ლამაზნო,
 ქარს ჩაგიყენებთ ვეღარა!
 ხატში დასტურის სასმისო,
 სელში აგიღებ ვეღარა!
 ფშავეში გათლილო ფანდურო,
 ლარებს აგიწყობ ვეღარა!

კეთილი ქარი:

ლურჯას მოევლო ხუნჩალე,
 ქვემოდან უქრის ქარია!
 ცხენს გადუქნია მათრახი,
 შვიდკეცი, შვიდი მხარია,
 ისეთნაირად გადაჰკრა —
 გავას გააძრო ტყავია!
 ქარქაშით ამაანათა,

თავის ფრანგული ხმალია,
საცა ნაღს დაპკრავს, ლურჯაი,
სისხლის გუბდება ღვარია.
შვიდი შესწირა მთვრალის,
„მაგის იყავით ყმანია!“

ბოროტი ქარი:

ხუნწალეც ისე აკაფებს.
როგორც საჭადე მსალია,
ძმებს მიუწვინეს, ჩასძახეს:
იქაც იქნებით ძმანია!

კეთილი ქარი:

მაშინ გახელდა ბუჩაიცი,
შვინი დაიდრა ძნისაო —
წინ ვერ უდგება სანგარი,
წარღვნის ქარივით ქრისაო...
ლევის ირჩია ბელადი,
მოჯამაგირედ ძმისაო!
წარბსა და წარბს შვა მარტყა,
პირქვე დაამხო ძირსაო!
შადრკენ, შაშინდნენ ლეკები,
„ეს რა გრიგალი ქრისაო!“

ბოროტი ქარი:

— დედას გიტირებთ, ბუჩაიცი,
ჩვენაც შვილნი ვართ ღვთისაო! —
ზურგიდან წამოეპარნენ,
ძმას, მექომავეს ძმისაო,
ბეჭებს შვა დაპკრეს, დაადეს,
გაწყდა იმედი ხსნისაო!
ღიმილით სავსე თვალები,
შავ-ბნელს მიეცა ძილსაო!

წოწრეს-პაპაი:

ქარო, დადექი, დადექი!
ნუ ქრი, ნუ მიქრობ სანთელსა!
ჩამოეხსენი ყორანო,
ამ ჩემსა არე-მარესა!
ქვეყანა ღვთისგან შექმნილი,
შენგან რად უნდა წახდესა?!

ბოროტი ქარი:

(ნიშნისმოკვებით)

ტყუილა ცდილობ, გასრულდა,
ბნელი ეწია ნათელსა!

კეთილი ქარი:

სხვა ვინ ვთქვა, ძმა ძმის ერთგული,
ვაჟი, ნაკუდასთანაო,

რა უყოთ, პატარაია,
ძმებს უდგას ბოლოდანაო,
მოკლეა, მაგრამ ბასრია,
შემონახული დანაო!
ლევს ეცა, გახელელებული,
გაპგლიჯა, გადაჰყარაო!
ორი სხვაც თან გააყოლა,
ტრიალებს, როგორც ჯარაო.
გაპკვირდნენ ლევის შვილები:
„დიდი ჰქონია ძალაო!“

ბოროტი ქარი:

აღარც ნაკუდას დასცალდა,
თურმე კლდის პირას მდგარაო, —
ფეხი მოუცდა, დაპქანდა,
კლდემ ხორცი გააცალაო.
მთამ ჩამოჰყარა ნაშალი,
ზედ პირზედ დააფარაო...

წოწრეს-პაპაი:

დადექი, ქარო, დადექი!
ნუ ქრი, ნუ მიქრობ სანთელსა...
სიკვილილო, ჩემსა ყანასა,
რადა მკი, როცა არ თესავ?!
რად დასტრიალებ, ყორანო,
ამ ჩემსა არე-მარესა?!

ვაი თუ მართლა გათავდა,
ბნელი ეწია ნათელსა!
ო, კაცთა უგუნურებავ,
მშობელს რად აგლეჯ კალთებსა? —
ქვეყანა ღვთისგან შექმნილი,
შენგან რად უნდა წახდესა?!

თუმცა, რაც წასახდენია,
ან ხვალ წახდება, ან დღესა...
ვაი თუ ისიც ბნელია?
რასაც ჩვენ ვარქმევთ ნათელსა!
ვაი თუ ცრუა საწუთრო,
დღე-ღამეს ფუჭად ათევსა!
გვატირებს, ხანაც გვაცინებს,
კახბა ქალივით გვათრევსა!

წოწრეს-პაპაი ჩირაღდანს კედელს
მიანარცხებს

ახლა შენ იყოს, წყეულო!
შენი წადილი ახდესა!..

ქარების ხმა:

(ისმის შორიდან)

რა კეთილს სძლიოს ბოროტმა,
მაშინ ბოროტიც წახდესა.



ძირს დაცემული ჩირაღდნის შუქზე, სიბნელიდან ლეკთა მამაცი ნაიბის, კოჭლი რაჯბადინის ლანდი გამოკრთება.

რაჯბადინის ლანდი:

რამ წაგახდინა, პაპაიე,
 რამ შემოგასწრო ამ დღესა?
 შენს ბნელ ჩირაღდანს ვით ადრი,
 ღვთისგან ბოძებულ ნათელსა?
 კაცი ხარ, განა ღმერთი ხარ,
 ფიქრს რად იტვირთებ ამდენსა?
 ჭრელია წუთისოფელი,
 ხან ნათელს აფენს, ხან ბნელსა!
 სიცოცხლეს აქრობს სიკვდილი,
 სიკვდილს სიცოცხლე ათევსა!
 ხვედრია, უნდა გაუძლოთ,
 ცრემლს, ღვიძლით გადმონადენსა!
 რაც გულმა გვიტხრას, იგი ვქმნათ,
 რაც გვწამდა, იგივე გვწამდესა!
 რა კაცი გულთან შერცხვების,
 ღვთის საქმეც მაშინ წახდესა!
 ჩვენ თუ ჩვენს ალაპს ვერთგულებთ,
 თქვენც უერთგულეთ თქვენს ღმერთსა!

ისმის ქარების ხმა:

რაჯბადინის ლანდი ჭრება.
 რა კაცი გულთან შერცხვების,
 ღვთის საქმეც მაშინ წახდესა!
 წოწრეს-პაპაი ჩირაღდანთან მიიჭრება,
 დაწვედება.

პ ა პ ა ი:

ღმერთო, შემინდე, მაღალო!
 ეს რა ამოცდა ბაგესა?!
 სანამ ვარ, ბნელს არ დაუთმობ,
 შენგან ნაჩუქარ ნათელსა,
 არავის ჩავაქრობინებ,
 შენთვის ანთებულ სანთელსა!
 რა კაცი გულთან შერცხვების,
 ღვთის საქმეც მაშინ წახდესა!

ისმის ფლოქვების თქარუნი, ეტყობა ვი-
 ლაც ცხენოსანი უახლოვდება პაპაის ბი-
 ნას. პაპაი ყურს მიუგდება... თქარუნი შე-
 წყდება, როგორც ჩანს მხედარმა დაუქვე-
 ითა. აი, კარიც იღება, შემოდის ანდარეზ,
 პაპაის უფროსი ძე.

პ ა პ ა ი:

(გახარებული)
 მაღლი ღმერთს, შვილო, ანდარეზ!
 კიდევ შეგავლე თვალია!

ღმერთი არ იხამს, ამოწყდეს,
 წოწრენთ კარგი გვარია!
 ბიჭები როდის მოგვივლენ?
 როდის გაულო კარია?
 ანდარეზ ღუმს.

პ ა პ ა ი:

(ღეშვებულ)
 ხმას რად არ იღებ, ანდარეზ?
 სახე რადა გაქვს მწარეა?
 მარტო რადა ხარ? რა იქნენ?
 რად არ ამოგვეყენ ძმანია!
 ნუ გეშინია, ანდარეზ,
 ნუ კრთი, ჩამოკეარ ზარია!
 ანდარეზ:

მე არ მეშინის, პაპაიე,
 ჩემი ჯილაგიც მყარია!
 ნუ გამიწყურები, მოგიველ,
 წითელის არყით მთვრალია!
 ძმები სუყველა გაგწირე,
 კახეთს დაგყარე მკვდარია...
 ფერხთით დაუსვე შუბები,
 დროშებს უქანებთ ქარია!
 თავით დაუბი ცხენები...
 მჭირალი, როგორ ქალია...
 იმათ სულს ვფიცავ, ღვთის მადლმა,
 არც მე არ გვევარ მხდალია!
 შენაც მწყუროდა სიკვდილი,
 მაგრამ ვითმინე, ბრალია!..
 ვერ იქნა ვერ გავიმეტე,
 ჩვენი ლამაზი გვარია!
 ძალით მოვიკალ გულის თქმა,
 ძალით დაუსშე კარია!
 წამოველ, მწადდა მეკითხა,
 კარგი ვქენი თუ ავია?!
 ესლა შენ თვითონ განსაჯე,
 მდინარის შენ ხარ თავია!

პ ა პ ა ი:

(კარგა ხნის დუმლის მერე)
 შვილო, იყურე ანდარეზ,
 შენი სიცოცხლე მწარეა,
 უძმობას ვედარ გაუძლებ,
 დამიღონდები ძალიან...
 ფიქრი წაგახდენს, დაგლაღავს,
 დაგლევს, დაგადნობს, ბრალია!
 იქ წადი, სადაც გასრულდნენ,
 შენის ათის ძმის გზანია!

არ დაგივიწყებს ქვეყანა,
თუშთა ხატი და ჯვარი!

ანდარეზ მიდის წოწრეს-პაპაი ჩირაღ-
დანს დასცქერის, რომელიც თანდათან
ქრება...

მეოთხე თავის დასასრული
ცხენს მიაქროლებს ანდარეზ,
მუხლებს შვა უქრის ქარია,
წინ უსწრებს ცისკრის ვარსკვლავი,
ღმერთო უჭირე მხარია! —
გათენებამდე მივიდეს,
არ ალოდინოს ჯარია...

მთებზე არ წვანან ნისლები.
საღვთო მზადდება დარია!
მალე მზეც ამოანათებს,
წითლად ღვივიან მთანია!
ტოროლამ შეპკრა კამარა,
სიკვდილმაც დაპკრა ზარია!
თოფების ჯანღი ჩამოწვა,
ჩამააბნელა ცანია!

დრო და დრო გადაიღელებს,
გადაქნეული ხმალია!
სისხლისა წვიმა მოვარდა!
წამოადიდა წყალია...

დაღამებამდე აწითნა,
მალლა მთა, დაბლა ბარია!

მოსალამოვდა, დღე დაცხრა,
მორჩა! — დაიკლა ხარია!

ქვიშაში ჩაწვენენ ლომები,
ერთურთს მიაბეს მხარია,
ერთმანეთს გადაჰხვევიან
ლგვი და თუში მკვდარია.
გადაიწმინდნენ ჯანღებიც,
სამტრო აღარ პქრის ქარია.

ბრძოლით ნაოხარ ღორღოვანს
მკვდრის მზე ანათებს მკრთალია.

ნაზად სტირიან ქალები,
ძირს დაუშეიათ თმანია.
ნაზად მიმოქრის ნიავი,
ნაზად მიმოაქვს ტანია.

თავი მახუთა

ქვესკნელსა შუა თონე ხურს
შელესილ-შევეთებული,
შიგ ბრუნავს ცეცხლი ფრთა-ცხელი,
ძალ-ღონე შემეტებული,
მოცადურეობს სიკვდილი,
თავით ქვე ჩაიკიდებული, —

პურს აკრავს, სტუმრებს მოელის,
ლხინს არი შეპირებული. **გერონდული**
მოსულან მოდალავენ **მეზღვირეთისა**
უცქერენ შეკვირებულნი:

„დიდი პქონია შეძლება?!

არ შეგხვდა შეჭირებული.“
სუფრის თავს შეენის სანთელი,
ალვა ცეცხლ-შეკიდებული,
დედის საფლავით ასული,
მიწით ცას შეხიდებული!
სტუმრებს მასპინძლობს სიკვდილი,
თამამი, შეღერებული,
კოხტაობს, ენასვიანობს,
პირი აქვს შემღერებული.
არცა რის ჩოხა აცვია,
არცა რით შეფერებული...

ამბობს: მობრძანდით, თუშებო,
ნუ დგეხართ დაფიქრებული.
ღვთის ფური წელან აყრილი,
ესლა მყავ დაგრილებული!
ქალებსაც ეპატიჟება,
ბევრი ჰყავ დაქვირებული:
ახლოს მომიჯექ, ლამაზო,
რადა ხარ გარინდებული?
ნუ გეშინ, ვედარ შეგრისხავს,
საქმრო მზეს გარინდებული!

უეცრად პაპაის ბინა ნათდება — შიგ, ვი-
თარცა გაზაფხული, მინდვრის ფერადი
ყვავილებით მორთული ნანილი შემოდის:
პაპაი თავს იღებს. ნანილი კანკალებს,
თრთის, თვალები ძირს დაუხრია.

პ ა პ ა ი:

ხმას რად აიღებ ნანილო,
რადა ხარ გაჩერებული?!

ნ ა ნ ი ლ ი:

გითხრა — მეშინის, პაპაივ,
იმაღ ვარ გაშტერებული...
არ გითხრა — გული არ დგება,
ე ღვთისგან შეჩვენებული!
მოგიველ, კარი გამიღე,
მქენ შენს ფრთას შეფარებული!
წინ შენი ტაბლა დამიდგი,
ჩემს ვარამს შეფერებული;
ზედ შენი კერძი დამიდგი,
ნაღველით შენელებული.
ხელთ მომე შენი ბარძიმი —
ღვთის რისხვა შეღერებული!



შიგ შენი ღვინო ჩამისხი —
სისხლ-ცრემლი შედედებული.
ქვეშ შენი თეჯა დამიგე,
ნარ-გკლით შეჭრელებული;
დამხურე შენი ნაბადი,
ცოდვა-ბრალს შეჟერებული.

პაპაი:

ჩამოესენი, ნანილო,
ჩემს სახლ-კარს შეჩვენებულსა!
შენ ვით იტვირთებ ჩემს ხვედრსა,
ღვთის რისხვით შეჟერებულსა?!
ანდა მე როგორ ვამდინრებ,
სისხლს ერთხელ შეჩერებულსა?!

ნ ა ნ ი ლ ი:

ნუ გამიწბილებ, პაპაივ,
წადილს ღვთის შეგონებულსა.
ნუ გაიმეტებ ჩემს სიყმეს,
ობლობით შეღონებულსა!
ნურც ჩემს უმანკო ვედრებას,
მიწით ცას შებოღებულსა.
მთლად ნუ ჩაუქრობ სიცოცხლეს
ცის ნათელს გაძვირებულსა,
ნუ მოუღერებ შენს მახვილს,
ნაღველით დამძიმებულსა.

(იჩოქებს)

ამიღე, ფიჩხად დამაგდე,
შენს კერას გაციებულსა,
დაჰბერე, ქარო, ძლიერო,
ნაღვერდალს დაძინებულსა.
მტლედ დავედები შენს ტკივილს,
შენს ყოფას გაწბილებულსა;
ჩემის ნაწნავით შევეკონავ,
შენს ჯვარს, ბოროტგან ვნებულსა.
სიკვდილს მოგიკლავ, სიცოცხლეს
დაგიჩინე გაცივებულსა!

ამზის დასასრული

ყმაწვილი მწუქემსი:

რომელიც ღლინებდა „ახ მთვარე,
მთვარეო...“

მაგებს ხევს, მაგებს მდინარეს,
უკან მოსდევდი ქმარსაო,
სუნთქვა შამეკრა, მიტირე,
ჩამდგარს ვემსგავსე ქარსაო.

გამიწყრა მაგებს გიორგი:
ნულამც მოსწყვიტავ თვალსაო,
ნულამც წაუხვალ დევ-ქაჯსა,
ნულამც წაართმევ თავსაო!
ხელიც გამეჭვა, მიტირე,
ხანჯრის მოება ტარსაო,
წაგვარდი მაგებს მდინარეს,
აღარ ვეძებდი გზასაო.
შენ ქმარ შამამხვდა, მიტირე,
ვით მამა შახედეს ყმასაო,
შამხვდა, შემომამეგება:
ხო არას შახედი ავსაო,
ხო ისევ ულხინს ჯალაბსა,
დედას, ცოლსა და დასაო?!
ბაღლებ ხო კარგა არიან,
ხო არა უჭირს ცხვარსაო?
შტერად გადვიქვც, მიტირე,
ან რას ვიზამდი სხვასაო,
სირცხვილის ფერი დაედო
ჩემს ამოღებულ ხმალსაო.
ბედზე კლდის თავსა, მიტირე,
თვალი შავასწარ სვავსაო;
ბრჯღალით ითრევედა ბატკანსა,
მძიმედ იქნევედა მხარსაო,
შევძახე, შემოუკვილე,
ცრულ ვაჟღერებდი ხმასაო.
კვლავ შამხედ შენმა პატრონმა,
არ გატყვევ მაგის ჯავრსაო,
მხარით მოიღო მაჟარი
არა ჰკარგავდა ხანსაო,
ფიცხლადვე დაჰკრა ჩახმახსა,
არ უხუტავდა თვალსაო,
სვავს მიაწია ნასროლი,
დაბლა დაასო ქვასაო,
იმისი ერთი ბუმბული,
ენლაც ატყვივა ცასაო.

ქორო:

ვინა სთქვა, ენაც გახმება,
წოწრეს პაპაი ბერია!
ბერია, არცა ბერია,
სიახლე ხელთა სჭერია!
ცხენზე შეჯდება — ქორსა ჰგავ!
დაუქვეითებს — მგელია!






გობლს და გობლსურს

შარშან, ფოლკლორული ექსპედიციის დროს, კახეთის რამდენიმე სოფელში ხალხმრავალ სუფრაზე მოგზავდი. თითქოს ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებულნი არიანო, ყველა თამადაშ შესევა ერთი განსაკუთრებული სადღეგრძელო, რომელსაც გოგლაურას უწოდებდნენ. გოგლაურას გახსენებამ მიყუჩებული ტკივილები ხელახლა გამიღვიძა და ამ პატარა მოგონების დაწერის საღერღელი ამიშალა. სანამ გოგლაურაზე ვიტყვოდე რამეს, მინდა მოგითხროთ, თუ როგორ ვავეცანი გიორგი ლეონიძეს.

არ მახსოვს ლეონიძისადმი პატივისცემა და სიყვარული როდის ჩამიფარდა გულში. იქნებ მაშინ, დედამ ხუთიოდე წლის ბიჭუნას „ქართლის ბაღი“ რომ დამაზეპირებინა და მერე ეს ლექსი მასწავლებელმა პირველ კლასში საზეიმოდ მათქმევინა. ან იქნებ იმ წუთებში, ფრონტზე მიმავალთა საპატივცემლოდ გამართულ კონცერტზე „არ დაიდაროდედაო“ რომ წაიკითხეს და აქვითინებულ დედებთან ერთად მეც ვიტვირთე. ანდა შეიძლება იმ დღეს, კავკასიის ფრონტიდან მამაჩემის წერილი რომ მივიღეთ: ქართველი მწერლები გვესტუმრენ, და-



ლიან გავვახარეს. ლეონიძემ ისეთი „შა-
ირები“ გვიტხრა, შაშხანისკენ ჩემდა
უნებურად გამიბრბოდა ხელით.

ვერა, ვერ გეტყვით როდის ვახდა
გიორგი ლეონიძე ჩემი სათაყვანო პოე-
ტი. ასე მგონია, მისი მქუხარე პოეზია
გაჩენის დღიდან თანამდევს და ამ ქვეყ-
ყნად ჩემს არსებობაში ისეთსავე როლს
ასრულებს, როგორც მშობლიური დე-
დამიწა, მზე, ჰაერი...

სამშუალო სკოლა ისე დავამთავრე,
თბილისში არასდროს ვყოფილვარ. სიმ-
წიფის ატესტატის მიღება და თბილის-
ში ჩამოსვლა იმიტომაც მიხაროდა, რომ
ჩემს სათაყვანო პოეტებსა და მწერლებს
ენახავდი. მსოფლიოს შვიდი საოცრების
ანალოგიით უბის წიგნაკში წინასწარ
თბილისის თოთხმეტი საოცრება ჩავინი-
შნე, რომლებიც პირველ რიგში უნდა
მენახა. ერთ-ერთ ასეთ საოცრებად ლე-
ონიძე მიმაჩნდა. მის ნახვაში, რა თქმა
უნდა, მხოლოდ შორიდან დანახვას
ვეულისხმობდი. მაშინ ვერც წარმომედ-
დგინა, ისე თუ გავუშინაურდებოდი,
რომ ხელსაც ჩამოვართმევდი და საუ-
ბარსაც ვავუბამდი.

მიუხედავად მისაღები გამოცდების
ციებ ცხელებისა, თბილისში ჩამოსვ-
ლისთანავე მაჩაბლის ქუჩას მივაშურე.
რატომღაც მეგონა, მწერალთა კავშირში
მივალ თუ არა გიორგი ლეონიძეს იმ
წამსვე ენახავ-მეთქი. მწერალთა სასახ-
ლის რკინის ვეება კარი მოკრძალებით
შევაღე. წინასწარი სიხარულით გულათ-
რთოლებულმა ვერც ვაგიგე კიბე რო-
გორ ავათავე, მარცხნივ მივუხვიე და
ღია კარში შევაბიჯე. შევაბიჯე და უცებ
შევკრთი, ვაფითრებულმა უკან დავიხვიე:
პირდაღებულ ლომსა და ვეფხვს შევე-
ჩხეხე პირდაპირ. მაშინ ქვემო დერეფან-
ში ამ მხეცთა ფიტულეები იდგა და
შუშის გალიიდან ისე ცოცხლად იყურე-
ბოდნენ, სანამ აზრზე მოვიდოდი, ჩემი
დამემართა.

იქვე, ფანჯარასთან ჰადრაკს თამა-
შობდნენ. რამდენიმე კაცი ფეხზე იდგა,
მომჩერებოდნენ და იცინოდნენ.

— შეგეშინდა? — მკითხა ერთმა.
დარცხვენოლმა თავი დავხარე.

— არ უნდა შეგეშინდეს, ბიჭო, თუ
რემ ლომები და ვეფხვები უფრო ადვი-
ლად შეგკამენ! — მითხრა ისევ მან და
ამხანაგებს რაღაც ვადაულაპარაკა. შემ-
დგე ვაგიგე: იგი ვიქტორ გაბესკირია
იყო.

ნატერა მხოლოდ რამდენიმე კვირის
შემდეგ ამიხდა: ენახე გიორგი ლეონიძე.
მწერალთა სასახლის წინ იდგა და ვილა-
ცას ელაპარაკებოდა. შეგხედე თუ არა,
ვიცანი. მე მგონია, სურათიც რომ არ
მქონოდა ნანახი, მაინც ვიცნობდი. რო-
გორც წარმომედგინა, ზუსტად ისეთი
იყო: ახოვანი, მხარბეჭიანი, ასაფრენად
შემზადებული არწივივით თავშემართუ-
ლი, ლომივით ბუხუნა.

შეგხედე და თვალი ველარ მოვსწყვი-
ტე: ვიდექი შორიახლოს და შევკურბ-
დი ვაფაციცებით. ცოტა ხნის შემდეგ
მოსაუბრეს დაემშვიდობა და მწერალთა
სასახლეში შეაბიჯა. მეც შეეყვები. მეო-
რე სართულზე ავიდა, იქაც აყვავი. დე-
რეფანში რამდენიმე კაცი შეეგება, რო-
მელთა შორის ერთი ყველაზე ახალ-
გაზრდა და ლამაზი ვაჟკაცი იყო. გოგ-
ლამ ყველას გაუცინა, სათითაოდ ხელი
ჩამოართვა და ვაესაუბრა. მე ისევ ვი-
დექი და შევკურბდი, ოღონდ ახლა უკ-
ვე ცოტა წაეთამამდი, უფრო მიუახ-
ლოვდი, მისმა ლომისებურმა ბუხუნმა
მაგნიტივით მიმიზიდა. გოგლამ ერთ-ორ-
ჯერ მომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.
მერე, ოთახში რომ შედიოდა, უცებ
მობრუნდა და ახალგაზრდა კაცს ხელი
დაუქნია. მან მყისვე მიირბინა. გოგლამ
ჩემკენ მოახედა, ერთხანს ხმადაბლა
რაღაცას ელაპარაკებოდა და მერე ორ-
თავემ გაიციინეს.

გოგლა კაბინეტში რომ შევიდა, ახალ-
გაზრდა მოვიდა ჩემთან და ვინაობა მკი-
თხა. როცა ვუთხარი, გამიძღვა წინ, გო-
გლას კარი შეუღო და შესძახა: შატო-
ნო გიორგი, მსტოვარი მოგიყვანეო.

ნოდარ შაბანაძე
გოგლა და გოგლაშურა

ცოტა მოგვიანებით ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა: ის ახალგაზრდა კაცი პოეტი ვახტანგ ნადარეიშვილი იყო, რომელიც მაშინ მწერალთა კავშირის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანად მუშაობდა. გოგლამ რომ დაუძახა, თურმე ჩემზე უთხრა: მთელი დღე ფეხდაფეხ დამყვება, ჩემს ლაპარაკს ყურდაცქვეტილი უსმენს, გამიგე ვინ არის, თათრის ბიჭვით შევტუხა, შემოგზავნილი მსტოვარი არ იყოსო.

ნადარეიშვილმა კარი რომ შეუღო, გოგლა ქაღალდებში იყო თავჩარგული. აბა, სად არისო, იკითხა და თავი მიმედ აიღო. ვახტანგი შევიდა. მეც მივეყვი. ისე დავიბენი, საქციელი დამეკარგა, მივეუახლოვდი და მაგიდასთან უხმოდ დავდექი.

— გამარჯობა შინ დავრჩა, ბიჭო? — მითხრა გოგლამ, — საიდანა ხარ?

— საჩხერიდან. — ვუბასუხე.

— ბარემ თქვე საქართველოდან ვართქო. — გაიცინა გოგლამ. — სოფელი მითხარი!

— მერჯვეიდან.

— ვერე გეთქვა, შე კაცო. — გოგლა ჩაფიქრდა და მერე მკითხა: — არგვეთ-ში რომ მივდივართ, მერჯვეი მარჯვნივ რჩება, ხომ?

მე ვავვოციდი, თანაც სიხარულით გული ამიჩქროლდა: ხუმრობა ხომ არ იყო, ლეონიძე ჩემს სოფელს იცნობდა! თანდათან შევთამამდი, კითხვებზე უკვე გაბედულად ვპასუხობდი. დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა და მითხრა: თუ რამე გაგიჭირდეს, მომაკითხეო.

დავუბრუნდეთ გოგლაურას. ოჯახში წვეულება მქონდა, თამადა გოგლა იყო. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ განსხვავებული სასმისი აიღო, წამოდგა ფეხზე და ჩაიბუხუნა:

— ვაღღეგრძელოთ ის პატარა ქართველები, ამ ჩვენი ლხინის დროს რომ დაიბადებინ. ლხინი და ბედნიერება ნუ მოშლოდეთ. გაუმარჯოს ჩვენი ერის ზრდასა და გამრავლებას!

სულ უბრალო პურის ჭამაც რომ ყოფილიყო, გოგლას ეს სადღეგრძელო მა-

ინც არ დაავიწყდებოდა. შემდეგ და შემდეგ სხვა თამადადმაც მიბაძეს და ამ სადღეგრძელოს გოგლაურა უჩინებდა.

გოგლაურა ყველამ რომ შეესწავით, თამადამ თანამესუფრე ქალებს სათითაოდ გამოჰკითხა, ვის რამდენი შვილი გაყავთო. ძირითადად სოფლიდან ჩამოსული სტუმრები მყავდნენ და გოგლა გაახარეს: ზოგი ოთხი შვილის დედა იყო, ზოგი კიდევ უფრო მეტისა. მხოლოდ ორი მანდილოსანი აღმოჩნდა „პირშერცხვენილი“ და ორივე თბილისელი: ჭრთის ორი შვილი ჰყავდა, მეორეს კი — ერთი.

გოგლა მაინცდამაინც ორშვილიანს ჩააცივდა, რატომ მეტი არა გაყავსო. მე წავჩურჩულე: ბატონო გიორგი, მაგას რომ საყვედურობთ, რატომ ერთშვილიანს არაფერს ეუბნებით-მეთქი.

— იმას ერთიც ეყოფა. — ერთშვილიანისაკენ არ გაუხედავს, ისე ჩამილაპარაკა გოგლამ, — მაგის შვილი რა უნდა იყოს! მარტო რიცხვმრავლობა კი არ კმარა, ჯიშინაობაა მთავარი!

ერთშვილიანი მართლაც კრუხის პალოს ჰყავდა. დაგვაჯული და კაფანდარა რომ იყო, ეს კიდევ არაფერი, მეტად უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. ორშვილიანი კი ტანშოლტა იყო, თანაც ახლად აფეთქებული ატმის ხესავით დაჟღავნებდა და თვალიდან ნაპერწკლებს ყრიდა.

— მარინე, — უთხრა გოგლამ ორშვილიანს, — ოღონდ მესამე შვილის დედა გახდი და ნათლია მე ვიქნები, ნამდვილ მოყვრობას გავიწვევ!

მარინეს თვალი ცრემლით აევსო, თქმით კი ვერაფერი თქვა. მისი მდგომარეობა ჩვენ გავაცანით გოგლას. ქმარს მიტოვებული ჰყავდა მარინე. სასამართლო მათი განქორწინების თაობაზე იმ დღეებში უნდა გამართულიყო. თამადა დაღონდა. ერთხანს გაჩუმებული იყო, მერე პაპიროსი გააბოლა და მე მომიბრუნდა: წადი ჩემი მანქანით და ის ვაჟკაცი ახლავე აქ მომიყვანე. გიორგი ლეონიძე გიბარებს-თქო. „ვაჟკაცი“ ისე-

თი აქცენტით თქვა, რომ ამ სიტყვაში ვაკეცობის აღარა რჩებოდა რა.

მარინე ჩემი რძლის მული იყო, ხოლო მის ქმარს მათ შეუღლებამდე ვიცნობდი. ღამეს საღაც ათევდა, ვიცოდი. იღბლად შინ დამიხვდა. რომ ვუთხარი გიორგი ლეონიძე გიბარებს-მეთქი, არ დამიჯერა. ლეონიძეს ჩემისთანა ხალხისთვის სცალია სწორედო, ჩაიქირჩილა. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვარჯულე, არ წამომყვა. ვხვდები რა ოინსაც მიწყობთო. სულ ტყუილა ირჯებით, მოკვდები და ცოლსა და ცოლეურებს მე აღარ შევურიგდებით.

გოგლას ეწყინა, დავალემა რომ ვერ შევუსრულე. როგორო, პატარა კახი ერთს რომ იტყოდა, მთელი საქართველო დგებოდა ფეხზე და მე რით ვარ ერეკლეზე ნაკლებიო, გაიცინა, ზეზე წამოდგა და მარინეს უთხრა: ნუ გეშინია, ქმარს ამ წუთში მოგისვამ გვერდითო.

გურამი სირცხვილით დაიწვა, ლეონიძე მოულოდნელად რომ დაადგა თავზე. კრინტიც არ დაუძრავს, ისე გამოგვეყვა. გოგლას მოეწონა: ქალი ხომ კარგია, ბიჭი კიდევ უკეთესი ყოფილაო.

მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე გოგლამ თავისი სიტყვა შეასრულა: სუფრასთან დავბრუნდით თუ არა, მარინეს ქმარი გვერდით მოუსვა. გურამი ისე იყო დარცხენილი, საყვარელ პოეტს უარს ვერაფერზე ეუბნებოდა. გოგლამ ცოლსაც და ქმარსაც უკმაყოფილების მიზეზი დაწვრილებით გამოჰკითხა. გურამი ზედსიძედ იყო ოჯახში მისული და განსაკუთრებით სიღედრს ემდუროდა.

— მერედა ამის გამო ანგრევო ოჯახს?! — შემოუძახა გოგლამ ცოლ-ქმარს, — ოთახი იქირავეთ. ფული თუ არა გაქვთ, მე დაგეხმარებით. არ შეშინდეთ და ცოტახანში ბინასაც მიიღებთ!

მეორე დღეს გოგლა რაიონში წავიდა, მკითხველებთან ჰქონდა შეხვედრა. სამ დღეს აღარ მინახავს. მეოთხე დღეს მივედი თუ არა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. მითხრეს ღირეპტორი გეძახისო. ვეახელ.

რას შვრებიან ახლად შეუღლებულ ცოლ-ქმარიო, მკითხა ღიმილით. მე ისე უცებ იმ ღამის ამბავი აღარც გამახსენდა. ვინ ცოლ-ქმარი-მეთქი, შევუბრუნე კითხვა. გოგლამ წარბებზე შექრა და ისე ამხედ-დამხედა, თითქოს რაღაც ცუდ საქმეში დავეჭირე. კიდევ კარგი, სანამ რამეს მეტყუოდა, ყველაფერი მომაგონდა... ბინა უკვე იქირავეს და კარგად არიან-მეთქი, ვუთხარი დარწმუნებით, თუმცა იმ ღამის მერე მათი ამბავი აღარც მიკითხავს. გოგლამ უჯრიდან ორი თავისი ფოტო-სურათი ამოიღო, ერთი მე მაჩუქა, მეორე კი ახლად შეუღლებულ ცოლ-ქმართან გამატანა. ზედგაკრული ხელით წააწერა: „გურამ და მარინე მეხრბიძეებს ნათლიისგან. გ. ლეონიძე. 15/XI 65 წ.“

გურამს ოთახის დაქირავება აღრეცუნდოდა, მაგრამ ცოლი არ თანხმდებოდა: დედაჩემს ვერ მივატოვებო. გოგლასთან საუბრის შემდეგ მარინე ქმრის ნებას დაჰყოლოდა და უკვე მეორე დღეს გადასულიყვნენ დაქირავებულ ბინაში. პოეტის სურათმა ორთავე ძალიან გაახარა.

გავიდა ხუთიოდე დღე. ლიტერატურის ინსტიტუტის დერეფანში რამდენიმე თანამშრომელი ვიდექით და ვსაუბრობდით. თავისი კაბინეტიდან გოგლამ გამოიხედა, გაგვიღიმა, მერე მოვიდა და ყველას საითთაოდ გამოეღაპარაკა. სულ ბოლოს მე გადმომხედა და თითქოს ვინმეს ათითებსო, ხელი აიქნია:

— როგორ არიან?

მეხვდი ვისზეც მეკითხებოდა. ვუბალსუხე. ოთახის ქირას რამდენს იხდიანო. რომ ვუთხარი თავი გადაიქნია. ერთხანს ჩაფიქრებული იყო, მერე მულავში ხელი მომკიდა, კაბინეტში შემიყვანა და მითხრა:

— მოდი, შევიაროთ გურამის სამსახურში, უფროსები ვნახოთ, მოველაპარაკოთ!...

გურამი თბილისის რკინიგზის სად-

ნოდარ შამანაძე

გოგლა და გოგლასობა

გურში მუშაობდა. სადგურის ხელმძღვანელობა გოგლას დიდი სიყვარულით შეხვდა. გოგლამ გურამზე ჩამოაგდო სიტყვა. კარგი მუშაკიაო, ყველამ ერთხმად თქვა. გოგლას ეამა გურამის შექება და უფრო თამამად დაიწყო მის უბინაობაზე ლაპარაკი. რკინიგზის სამმართველო რეასარტულიანი სახლის მშენებლობას ამთავრებს და გურამსაც უეჭველად დავაკმაყოფილებთო, შეპირდა უფროსობა.

გადიოდა კვირები, გადიოდა თვეები. გოგლას ახლად შეუღლებული ცოლქმარი არ ავიწყდებოდა. რამდენჯერმე მკითხა: რას შერებთან, სიტყვას ხომ არ მიტეხავენ, მე სანათლიაოდ მზად ვარ და პაეში სად არისო? ბატონო გიორგი, მახართბელი სულ მალე ვიქნები-მეთქი, ვეუბნებოდი.

გურამს და მარინეს სიტყვა არ გაუტეხავთ, 1966 წლის სექტემბერში ბიჭი შეეძინათ. გოგლა დაარქვეს. მაგონა ვაგლას! ბატონ გიორგის ვეღარ მივახარე, იგი უკვე ერთი თვის გარდაცვლილი იყო და მთაწმინდაზე განისვენებდა.

ამას წინათ მშობლებმა პატარა გოგლას დაბადების დღე საზეიმოდ აღნიშნეს. ახალ სამოთახიან ბინაში გულუხვი სუფრა იყო გაშლილი. თამადამ გოგლურა განსაკუთრებული სასმისით დალია. მერე დიდი გოგლას შესანდობარიც შევსვეთ. ამ დიდ ადამიანზე ყველა სიამაყითა და გულის თრთოლვით ლაპარაკობდა. მეორე ოთახიდან ხანდახან პატარა გოგლა შემოცუნცულდებოდა ხოლმე და ისეთი თვალთ გვიყურებდა. თითქოს უკვირს, ჩემს სახელს ასე ხშირად რატომ ახსენებენო.



მინდვრის ყვავილს ვგაჲარ

ყვავილს ვგაჲარ მინდვრის
და ტბის სათუთ ლერწამს,
დამიქროლებს სიო,
წელში გადამლეწავს,
ჩიორა ვარ, სუსხი
აფრებს ამიკეცავს,
ვარ ნათელი ისე,
როგორც ქართლის ზეცა.

ისეე ისე დავდევე
ცისარტყელას ფერებს,
ხან ვმალდები ცამდე,
ხან მივყვები ჩქერებს,
ვით ფანტელი თოვლის
ჩუმად ჩავიმღერებ,
მოვალ, შენთან მოვალ
და გავქრები მერე.

იმ მთათა მიღმა

იმ მთათა მიღმა გაზაფხული
თაუისთან მიხმობს,
მე ვდგევარ სუსხით დაზაფრული
ვდგევარ და ვფიქრობ...
იმ მთათა მიღმა
სითბოა და მზე არის ვითომ?

ფიკრუ ჯანაშვილი

საქართველო

გადაიტანა რამდენი თრთოლვა,
რამდენი ცეცხლი, ტანჯვა და სისხლი —
გზა თავგანწირვის — სპეტაკი ყოვლად,
თავგანისცემის ლოცვად რომ ისმის.

შენს გამო სწამდა მას აღტაცება,
დარდი და ელდა, მოხმობაც ღმერთის!..
თრობა კი არა, აბარბაცებდა
ოცნება შენთვის და მხოლოდ შენთვის!

...თავს გაყრდნობს მკერდზე:—შენს იქით ერთიც
არ შეუძლია დღე გაათენოს!
სჯერა: რომ წუთით გადუხსნან მკერდი,
აღმოაჩენენ მთელ საქართველოს!



ქველი ბერძნული ლირიკა

ს ა ფ რ

●

მალლა ასწიეთ სრასასახლე,
ჰეი, ჰიმენე!
მალლა ასწიეთ, ხუროებო,
ჰეი, ჰიმენე!
პალატში ნეფე მობრძანდება არესის დარი,
ჰეი, ჰიმენე!
უდიადესი კაცთა შორის,
ჰეი, ჰიმენე!

●

შენ დაგმარხავენ...
და მიწაში მყოფს
დაგივიწყებენ. რადგან არ უწყვი
პიერიის ვარდების ფასი.
და ჰადესის საუფლოში ჩასვენებულ
მივიწყებულ ლანდთა შორის
იბორიალებ.

ანაკრეონი

●

ერთხელ ეროსმა ქერათმიანმა
წითელი ბურთი სათამაშოდ გამომიგორა
ტურფა გოგოსთან, გოგოს ფეხებზე
ხალეზიანი ხამლები ეცვა.
და იმ ასულმა, ლესბოსის ვარდმა,
შეაგლო თვალი ჭაღარას ჩემსას,
და მერე, ვაგლახ, სათამაშოდ სხვა გაიწვია.

ალკეოსი

●

ერთხელ არისტოდემოსმა,
არც თუ ურიგო სიტყვა რომ წარმოთქვა სპარტაში,
ბრძანა: „ფულია კაცი“.
მართლაცდა, ლატაკს არც დიდება აქვს და არც პატივი.

ალექსანდრე ბრინი

მ კ რ კ ტ ი

მხიარულად და უდარდელად მივაბიჯებდით ქუჩაში, თუმცა ორი წყვილი ფეხი კვალდაკვალ მოგვდევდა, ისე ახლოს, რომ კარგად გვესმოდა შეგუბებული სუნთქვა და მწყობრი ქურდულა ნაბიჯების ხმა. არც ფეხი შეგვიჩერებია და არც უკან მიგვიხედავს, უბან-უბან დაედოლით, ნელ-ნელა გადავიდოდა ხიდებზე, ვიტრინებში თვალს ვაცეცებდით და არხეინად ვმასლათობდით. ჩემი ამხანაგი, სიკვდილ-მისჯილი იანი, გულდაგულ მოაბიჯებდა და წინ იყურებოდა. შევგვრემანი, ვაქაცურა სახე და ბოშასავით გამოკვეთილი ლაწივები ჰქონდა. მშვიდად მოდიოდა, სულ არ ეტყობოდა მღელვარება, მხოლოდ ეს იყო, სიარულში ლოყები ავარდისფერებოდა, მშვიდობიანი მოქალაქეებით კი მივსვირნობდით, მაგრამ ჩვენს უკან ფეხების ფლატუნი არ წყდებოდა. რისხვა გენლივით მაწვა გულზე, ხელები ისე მექავებოდა, ძლივს ვიკავებდი თავს, ვფიქრობდი, ნეტა მიმბარუნა და ერთი გემრიელი სილა გამაწნევიანა ოფლიან სახეში ამ ჯამუშისათვის-მეთქი. თავს ძალს ვატანდი, რომ ხმაზე არაფერი დამტყობოდა და იანს ბესარაბიულო ღვინოების ღირსებებს ვუხსნიდი.

— ამ ღვინოებში, — ვეუბნებოდა და თან ავტორიტეტულად ვკეცტავდი თვალებს, — დიდი მიმზიდველი ძალა იმალება, სიფხიზლეში თუ მიხვდება ამას კაცი. აი თუნდაც ის რაღა ღირს, რომ მშრალი სასმელია და მომთავო გემოც დაპკრავს... პირველი მადს აღვიძებს, მეორე — კუჭს უხდება. თუმცა უნგრული და ესპანური ღვინოები უფრო მუშუნა და პოეტურ გუნებაზე აყენებს კაცს, მაგრამ, გარწმუნებთ, ბესარაბიულს თბ-სამ ლტრს რომ გადაჰკრავთ, უმალ ფართო მზიური ველი მოგაგონდებათ, სადაც მშვენიერი მოლდაველი ქალები მზემოკი-

დებული ხელებით წნავენ ვახის ფოთლებს გვირგვინებს.

იანმა ცალკუბად ჩაიციან და ფორთოხლებს დახლთან გაჩერდა. ცეცხლოვანი თვალები ფორთოხლების მოწითალო ხავერდოვან კანს მი-აბყრო, ივლისის მზეს რომ აეოქროსფრებინა.


— გვიძეები ფორთოხლისთვის, მოდი, ბურ-ქუებად ჩავთვალთ თავი და ათიოდე ცალი ეს მშვენიერი ფორთოხალი ვიყიდოთ... — მითხრა.

— ეგრე იყოს! — ისე ნაღვლიანად დაეუკარი კვერი, გვეგონებოდა, ჯალათს სახარხიზელაზე ავყავდნო!

— დაე ჰყვოდეს რუსეთის წვრილი ვაჭრობა! ჯმუხი იაროსლაველი თვალბში ისე გვიყურებდა, თითქოს შიგ ვერცხლის მანეთიანები ეფარდებოდა. ხელად აფუსფუსდა და ლამის ფეხებზე გაგვეგო.

— ათიოდე ცალი სამი აბაზი, ანუ სამოცი კაპიკი ეღირება, — გაგაფრთხილა მან, — ხომ არ ინებებთ, შევიხვიოთ? ბატონი ბრძანდებით! ხონჩიდან ახალთახალი თეთრი პარკი აიღო. ზუსტად ასეთ რუხ პარკში მეწყყო შავი ქლიავი, გზაზე რომ ვიყიდე. უკებ იანისა შემშურდა. მისი ფორთოხლები თოვლივით თეთრ პარკში ჭყარა, ჩემი ქლიავი კი — ქუჭყიან რუხ პარკში! იანისთვის ამის თქმა რომ დაეპირე, თან ქულჩამოფხატული სახეებისკენ გავაპარე თვალი. გამოკვირდა და მეამა კიდევ, ისე დაუინებით მიშტერებოდნენ მალაზიის ვიტრინაში გამოფენილი ქალის კორსეტებს. იანს სახელოზე მოექაჩე და წყენით ფუთხარი:

— ჩემო კარგო! იცი თუ არა, რომ თეთრი ქალადი თვალს ჭრის? იანს მგონი გულწრფელად გაუკვირდა ჩემი



ნათქვამი, ორჯერ-სამჯერ თვალები ააფხუტლა, ნეტა რას შეუბნებდაო. მე განვაგრძე:

— ბავშვობაშივე შემომჩნევია, რომ თეთრი ფერი თვალს ენებს. ამიტომაც არის, რომ თუ რამეს ვიყიდი, მუდამ რუხ ქაღალდში ვაბევივინებ...

— საცოდავი... — თქვა იანმა და მხრები აიჩჩია, — თქვენ ზომანე მეტი არ უნდა დალიოთ ბესარაბიული... თუშეცა ხათრით კი დავითობთ. ხომ არა გაქვთ რუხი პარკი?

ზორბა გამვიღველმა დაბნეულად გაიღიმა. პირმოთენდ იღიმებოდა, ალბათ უნდოდა ამით გამოეხატა, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემდა ბატონის ფანტაზიას, ვასახვევი ქაღალდების გროვიდან ხელად გამოაძვრინა სქელი რუხი პარკი. მერე შიგ ფოტოთხლები ჩაალაგა და გვიხიზრა:

— ინებეთ, თქვენო აღმ-ბავ! სულ ნარჩევ-ნარჩევია...

გზა განვაგრძეთ. უკან არ ვიყურებოდით, მაგრამ კარგად ვგრძნობდით, ხარბ თვალებს რომ გვაიციებდა ვიღაც ზურგს უკან და ფოტოგრაფიული აპარატით ზუსტად აღნუსხავდა ჩვენს თვითველ მოძრაობას. ირგვლივ ხალხი ირეოდა, ზოგი წინ გვისწვებოდა, ზოგი პირისპირ გვეჩხებოდა, გზას ვეჭვრიდა, მაგრამ ამდენ ხმაში ჩვენს ყურს არ ეპარებოდა აბეზარ ჭაშუშთა ნაბიჯის ხმა. ისე უტიფრად, თითქმის აშკარად მოგვედენენ, ორში ერთი უნდა გვე-ფიქრა: ან საცა იყო ხელს გვტაცებდნენ. ან კიდევ მსტოვარი გამოუვლელი იყო და ფეხებზე ეკოდა ყველაფერი...

თითქოს მათ გამოსაჯავრებლად და დასაცი-ნად მეეტლეები ერთმანეთს არ აცილდნენ, თავის სამსახურს გვთავაზობდნენ. ცთუნება დიდი იყო, მაგრამ ჩვენ, ორი მშვიდობიანი მოქალაქე, ნელ-ნელა მივსერილობდით, ეტკებოდით მზით, სითბოთი და ისე მხნედ ვგრძნობდით თავს, როგორც კარგად გამოძინებულ კაცს შეკვდრის, ბულვარის თავქვე დაქანებულ აქოჩრილ ხეივანთან იანმა ამოიოხრა და მიიხრა:

— მოდი, მეგობარო, ბულვარს დაუყუყუე, ქუჩაში ცხლად.

ნოტიო, დაბეკნილ სილაზე გადაუხეხეთ. ხეივანში გრილოდა, ნეკერჩხლის დაფოთილილი მოძრავი ჩრდილები მოწას ეფინებოდა. შორს თვალისმომკრელად ბრჭყვიალებდა მონასტრის ოქრის გუმბათები. სკამებზე მარტოხელა მოსე-ირენი ჩამოშლარბიყუნენ. უცებ წინ მშვენიერი შავფერემანი ქალი შემოგვხვდა, კეკლუცად მი-არხევდა მხრებს. ვარდივით სახეზე შეწუხებუ-ლი გამომეტყველება ელო და ეს გამომეტყვე-ლება საოცრად არ ესადაგებოდა მის ფუნქ-ულა, ბავშვურ ბავშვებს. აღფრთოვანებულმა თი-თები მაგვტკაცუნენ, მოეტრიალდით და ლამაზ ქალს კარგა ხანს მივჩერებოდი უკან ნერწყვმო-რეული. მაგრამ რწყევარწყევით მიმავალ წერწყე-

ტა ქალის ტანს უმაღ ჩამოეფარა ჩვენი აბეზ-რი მდევრების ორი კოხტა, შავი ქვაბეფიქლე-ამოვიოხრე და იანს შეეხედე. სახე, კვლავ, მკვი-დი ჰქონდა, მხოლოდ თვლ, მაგრამზობარე ტუ-ჩეებს ისე ამოძრავებდა, თითქოს რალაცის თქმის აპირებდა. მერე სასოებით ახედა მონასტრის გუმბათს და გულაჩუყებით ხმამალა მიიხრა:

— ბავშვობაში ღვისსმომში ვიყავი და ახ-ლაც ისეთივე ვარ. ტაძრის მოვლავარე ჯვრის დანახვაზე გული მოწიწებით მეგსება. დღეს ყოვლადწმინდის ეკლესიაში წირებას დაევსწარი. ხუცესმა ძალზე მგრძნობიარედ იქადაგა ამ წუთი-სოფლის ამოვებაზე. ჭეშმარიტი ქრისტიანი ყო-ფილა!

იანმა სული მოითქვა. კვლავ მივაყურადეთ. ჩვენს უკან სილას ისევ ხრამზარბუში გაქონდა. მამ, ამანაც არ გვიშველა! იქ, სადაც უმაღლე-სი სახელმწიფო მიზნები ილახება, თურმე რე-ლიგიაც უძლური ყოფილა. მივხედი, ღვისსმო-საობამ ამაოდ ჩავვიარა, ავდექი და იანს ჩემი გაფუჭებული სულის ხეაშიადი გაეანდე და ახ-ლა გამოქმეილი მორაშეის კილოზე გადავედი:

— ნეტა რა ძალა გადგათ, ბერობაზე რომ სდებთ თავს! დამიჯერეთ, ამ ქვეყანაზე კარტს, ღვინოსა და... გოგოებს არა სჯობს რა!

ავიშვი თავი და რა სისაძაგლე აღარ მოვყევი ყოველნიარ სიძვა-მრუშობაზე. დავიწყე ბუნებ-რივი ამბებიდან, ზოგი მომენტის სიმწვევეს ხა-ზი გავუსვი, პოდა, ახლა პედერასტიის ახსნასა და ქება-დიდებას ვაპირებდი, რომ ანახლად მ-პიპარდ თავზე წამოსუკებულე ქულე წამჭვრა და უკან გადავარდა. ვისარგებლე ამ ბედნიერი შემთხვევით, ქულისთვის მივტრიალდი, ავიღე და თან ხეივნისკენ გავაბარე თვალი. ისინი კვლავ მოგვედენენ, მაგრამ დაღლილები კარგა მანძილი ჩამოგვჩინოდნენ, ეტყობოდა, ვენე-რასა და ასტარტას კერპით ჩემმა გატყებამ ფრიად შეურყვია მათ რწმენა, რომ მე და იანი ორგანიზაციის წევრები ვიყავით.

ვაწამებული იანი დიდი სიამოვნებით დაეშვა პირველსავე სკამზე. გვერდით მიეუყევი და ჩე-მი შეაქლიავიანი პარკი მის ფოტოთხლებიან პარკს მივუღე გვერდით. რუხი შესახვევი ქა-ღალდი ძლივს მოჩანდა ჩვენი პალტოების შავ ფონზე, უმანკოდ და საცოდავად გამოიყურე-ბოდა; ისე იყო მივადებული, ექვს არავის აღუქ-რავდა.

რამდენიმე წუთს ჩუმაღ ვისხედით.

— პა, ამხანაგო, მოახლოვდა ეს დღე... — მიიხრა იანმა, — მწამს, გავიმარჯვებთ და გული არხეინად მაქვს. თქვენს ძღვენს ახლავე შინ წა-ვიღებ, თქვენ კი წადით, გეთაყვა, და ევგენიას და მის ძმას მიხმეთ. მოდით, მხოლოდ ოთხნი

ალექსანდრე ბრინი
მ ა რ ა ტ ი

ვიყო... მინდა ნავით გავისეირნო და მათ კარგ, მეგობრულ სახეებს ვუტყვირო... მაშინ გულს მომეშვება... კარგი?

— აბა რა, იან. გული უნდა გადააყოლოთ რასმე, რათა ხვალ ძალის მოკრება არ გავგიჟიდეთ...

— მართლაც... მერე რა კარგია: ოთხნი ვიქნებით — ორმა არაფერი არ იცის და არც ეცოდინება, მე და თქვენ კი ვიცით... იმედი მაქვს, არ მოვიწყენთ, ოღონდაც...

— რა?

— კაცმა რომ თქვას, ეს ხომ კონსპირაციის უარყოფაა. მაგრამ მე ასე მოვიფიქრე: მე და თქვენ იმ ნაპირას გადავალთ, ისინი მერე მოვლენ... თქვენ შედ საათზე მოდით ნავსადგურთან, ხე-ტყის სახერხე ქარხანასთან... ღვინისა და კამლეტების წამოღებაც არ დაგავიწყდეთ... ძალიან მიყვარს „კიბოს კისერი“.

— მშვენიერად მოგიფიქრებიათ იანი! დაბინდებისას მოვალ.

— პო... იმათ კი რას ეტყვიან?

— ოჰ! მოვიფიქრებ რამეს. ვეტყვი, საჩქაროდ უნდა გავმგზავროს-მეთქი, ან... მოკლედ, ჩემი იმედი გქონდეთ.

— გმადლობთ.

იანმა ხელზე ხელი მომიჭირა და თავი ასწია. თვალები ანთებული ჰქონდა, ლაწვები ფერმკრთალ სახეზე ახლა უფრო ეტყობოდა. მერე იანმა დაამთქნარა და ჩაფიქრდა.

— მეჩქარება, იანი — ვუთხარი მე. — წადით, უკვე დროა... თქვენთვის ყველაფერი მზად არის.

— თავს დავდებ, რომ მაგის ხმარება არ დამჭირდება... — მომიგო ჩაფიქრებულმა იანმა.

— ყველაფერი ხდება ხოლმე...

— ენახოთ...

იანი ადგა, ფრთხილად აიღო ერთი პარკი და ფართო ნაბიჯით გააბიჯა მიონასტრის მოელვარე გუმბათებისკენ. მეც წამოვდექი, ბუღვარის დან ტროტუარზე ვადმოვუხვიე. შემთხვევით რომ მოვიხნე, თვალი მოვკარი ორ ამ ქვეყანაზე გაავებულ ლოკოინას. ოდნავ მოშორებით მომდევნენ უკან. მაშასადამე, იანმა „სუფთად“ დააღწია თავი და მეც ამის მეტი არა მინდოდა რა. გაეხიზარულდი. მერე ვიფიქრე, ვინ იცის, როგორ ინატრებდა ერთი ვინმე, ის ჩემი შავი ქლიავი, იანმა რომ წაიღო, სინამდვილეში მართლაც ქლიავი ყოფილიყო.

მაგრამ სასწაულები არ ხდება. რისხვას ვერა ვინ გადაურჩება...

პორიზონტზე საცხე ბუტაფორული მთვარე ამოცურდა. წყლის ჩაბნელებულ ჰავლებს ვერცხლისფერი დაედო მის შუქზე. ვეება ტყიანი ნაპირი კუპრით შავად ირეკლებოდა მორევის სიღრმეში. ნავი ნელა შეეცურდა მის ჩრდილში.

თხელი, მოქნილი ნიჩბების მოსმაზე ნარნარი რხევით მიიწვედა წინ.

მე ნიჩბებს ვუსვამდი, იანი, საკვს უჭერდი, ნაპირისკენ მოებრუნებოდა პირი, ჩაფიქრებული, ნელა ახამხამებდა თვალებს და სიმღერას უსმენდა. ოდნავ წაუხუთი ისე გაუნძრევლად იჯდა, გვეგონებოდა, სკამს მისწებებოდა. მარცხენა ხელით ნელა მართავდა საკვს. მღეროდნენ ვეგენია და მისი უწვერულვამო აწოწოლი ძმა კირილე, ჰაბუკს მრგვალი თავი და კეთილი, დამცინავი თვალები ჰქონდა. ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში გოდებასავით ისმოდა მათი სიმღერა და მისი ეჭო წყვილიადიომოსილ თიხიანი ნაპირის ფლატეებში იკარგებოდა. ნიჩბები სიმღერის ხმაზე მოპრაობდნენ, მძიმე, მობუყბუყე წყალს უკან ისროდნენ.

ქალიშვილმა ნაწინავი ყელზე შემოიხვია. შავი თმა უფრო თეთრს აჩენდა მის ნახ სახეს. ისეთი ფიქრიანი და სევდიანი თვალები ჰქონდა, ამოუცნობი მომავლის ადამიანებს რომ აქვთ ხოლმე. მის ზარით ვერაილა ხმას ვერ ფარავდა კირილეს ბოხი ბანი. სიმღერის გულში ჩამწვდომი სიტყვები თან გადღეღებდა და თან გულს გაიმებდა:

პურის ყანებში ჩაფლულა
მწირი სოფელი ჩვენი,
ერთი დღეს ხიფათმა მოხეტიალემ,
ზედ ჩვენს სოფელზე მოაგდო ცხენი.

ო, ფათერაჟი, მსგავსი რომ არსად
გაუგონია არვის —
იმ უბედურმა მავანმა კაცმა
ჩვენს მწირ სოფელში მოიკლა თავი.

მდინარე თითქოს განაბული უსმენდა ამ ლამაზ, სევდიან და შემზარავ სიმღერას უსიხარულ ცხოვრებაზე. ისე მეგონა, თითქოს მომღერლებიც სულ სხვანი იყვნენ, თითქოს ამ ქალვავს არასოდეს ვიცნობდი. მათი სიმღერა გულს მიშფოთებდა.

ქალიშვილმა ჩაახველა, სიმღერა შეწყვიტა და შავ ბუმბულის თევზალოში ჩაიბუღდა. ვალურსული ღამის მკრთალი სინათლე ყმაწვილ ქალს უფრო პავროვანს ხდიდა. ორიოდ წამს ეულად ქდებდა ბანი, მერე მიწყდა და სივრცეში ჩაიკარგა.

სიმღერა დამთავრდა და სევდა ჩამოწვა. დამენანა, რომ აღარ ისმოდა მორთოლვარე პოეტური ფიქრით საკვს ახალგაზრდა, მგზნებარე ხმები და აღარ ვგრძნობდი მათ ჯადოს. ცივმა და ნოტიო სიომ დაჰბერა. პალოებს მწყობრი პრიალი გაჰქონდათ. ასევე მწყობრად თქაფუნებდა მოხვეტილი წყალიც.

— შინ წასვლის დროა, პატციემულო ბატონებო, — თქვა ძილმორეული ხმით ვეგენიამ და სიცივისაგან მოიბუხა, — მთლად გავითოშე. აი ნახეთ, თუ არ გავცივდებ. იან, მოაბრუნეთ ნავი!



— მართლაც, არა? — აპყვა მას კირილე. — მეც გავიჭყვიებ პოეზიით... უკვე ყელამდე ვარ. მომეცით, მე მოვუსმამ ნიჩბებს, თქვენ კი დაისვენეთ...

ნიჩბები გადავეცი, კირილემ გაკიმა გრძელი ფეხები, წინ გადაწვა და მძლავრად მოუსვა ნიჩბებს. წყალი კიხოსთან აბუხუბუდა, ნავი შეჩერდა და რწვევა-რწვევით წელა მიბრუნდა მარცხნივ. უკან ღარჩა მთავორიანი ნაპირი. წინ წყლის ცივი ბურუსიანი სივრცე გადაიშალა. ნავი აქა-იქ სინათლებებით მოფენილ ქალაქის ნაპირისაკენ გაემართა.

იანს შეგხედვ. წელშიმობრილი იჯდა და ცალი ხელი უძრავად ელო რუმეულზე. ნიავე ნაზად უწეწავდა ქოჩორს. ყველანი დადლები ვიყავით, რული მოგვრეოდა. ხმას არ ვიღებდით. იანმა მახურკის სტეენა წამოიწყო, თან ფეხი ააყოლა. ქალიშვილია ყურები დაიცო.

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ უსტევენთ! ვერ ვიტან სტეენას... ნერვებს მიშლის.

იანმა წყენით გაიქნა თავი.
— მაშ, რის ნებას მოგვცემთ? — იკითხა მან და განზე გაიხედა.

— ყველაფრისა, რაც კი გნებათ. აი თუნდაც იბანავთ, მხოლოდ სტეენა არ გაბედოთ... ისა სჯობს, რაიმე გვიამნოთ!

— რა უნდა გიამნოთ! — უხალისოდ თქვა იანმა. — სხეებზე ლაპარაკი არ მეხერხება, საკუთარ თავზე — არა მსურს, არც არაფერი მაქვს ამბობობი... ყველაფერი უკვე ბევრჯერ მითქვამს და მიამბნია...

— ნეტა რად მოიწყინეთ უცებ ყველამ? — უკმაყოფილოდ გვეთხრა ქალიშვილმა და აგვხედ-დაგვხედა. — აბა რა რევოლუციონერები ხართ? სხედან დამმარებულები... ჩქარა ამოიღეთ ენა... აბა!

ქალიშვილმა მოუთმენლად დაგვიბაკუნა ფეხი, ნავი გადაქანდა და გაჩერდა.

— ნუ ანცობ, ეჩეკა — უთხრა კირილმა. — ძილი მოგვრია და კირეულობ!

კირილემ მამობრივი სინაზით შეხედა ყმაწვილ ქალს.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ მიყუჩდა ხმებით შეშფოთებული არემარე, დრო წელა მიდებოდა. წამით გავეილეებდა რაღაც სასაუკლო სულელური აზრები და უკვლოდ ქრებოდა. რა კარგია, თევზები ვიყოთ და არაფერზე ფიქრობდეთ, არაფერი გვენატრებოდეს, ლაღად ვისრიალოთ ამ იღუმალ, ცივ სიღრმეში, ან არადა, ჩვენი ნავი დაუსრულებლოვ მიაპობდეს მდინარის წყალს ზღვისკენ და მის იქითაც, არ გვქონდეს მიზანი, არაფერი გვაწუხებდეს, ვიყოთ ასე და მხოლოდ სიჩუმეს ვუგდოთ ყური... უცერად ყურს თან საოცრად ნაცნობი, თან უცხო კითხვა მომხედა და ღამის ძილმომგვრელი მომხიბვლელობა გაფანტა. ვერ გეტყვით,

რათ თქვა ეს: იქნებ უბრალოდ, ლაპარაკი, მონუნდა.

იანმა მშვიდად იკითხა:
— კირილე, რას ფიქრობთ ტერორზე?

— ტერორზე? — გაუკვირდა კირილს, — რას უნდა ვფიქრობდე. მე მგონი იმას, რასაც თქვენ. ჩვენ საერთო პროგრამა გვაქვს...

იანმა ამაზე არაფერი თქვა. კირილემ წუთით იყუჩა და მერე ჰკითხა:

— რატომ ჩამოგადეთ ამაზე საუბარი?

იანმა ცოტათი დააყუწა პასუხი.
— იმიტომ, — თქვა მძიმე-მძიმედ, თითქოს ფიქრში წასულმა, — რომ ტერორი შიშის ზარია... შიშის ზარს კი რაღაც ვერა ვგრძნობ. ისე გამოდის, არც ტერორი ყოფილა... მაგრამ არის კი...

— სწორედ ესაა კემაროტი ტერორი! — გაუმწვევად მიუგო კირილემ. — რასაკვირველია, შესაძლებლობის ფარგლებში... აბა თქვენის აზრით, რა ჰქვია ამას?

— რა? არაფერი... სპორტი მხოლოდ. პანიკას ვერსად ვხედავ! სად არის პანიკა? მტერს პანიკას უნდა გვრიდე. ესაა თავიდათავი! დიხს, შიშის ზარია თავიდათავი!

კირილემ დაიცინვით ჩაიფრუტუნა.

— იცით რა, გული გამიწყალდა პირდაპირ... ლაპარაკიც კი არ მსურს. ათასჯერ გვაქვს ყველაფერი აწონილ-დაწონილი... ხოლო ვასართობად კამათი არ მეხერხება, ან რა აზრი აქვს?

— საშინლად ცალმხრივი აღმიაჩნო ხართ, იან! — მედიდურად შენიშნა ქალიშვილმა, — თქვენ ოთხმოციან წლებში უნდა გეცხოვრათ... რაო, პროპაგანდა-ორგანიზაცია არაფრად მიგაჩნიათ?

იანმა მოწყალედ ჩაიღიმა.

— კი, კი, გამოგონია. მაგრამ იცით კი, რევოლუციონი არ არის მთავარი? სიძულვილი! თუ არა ეს... მაშ არაფერი არ არის. სიძულვილი რომ ყველას შეეძლოს, მიწა შიშით აზანხარდებოდა.

— ეგ ხომ მარატადაა ცნობილი! — გადაიხარხარა კირილემ.

— ე XXX-სკში ასეც მონათლეს, „პატარა მარათიო“. სულ სისხლი სწყურია! რაც შეიძლება მეტი სისხლის ღვარი, დიხს, სისხლისა... სისხლი სწყურია, იაგო! მძინეწარე ვეფხვია!

იანს გაქვავებული სახე სულ არ შეცვლია. მაგრამ წამიც და, მკეირცხლად მოტრიალდა მთელი ტანით და ისე გაეცხარებოთ აღაპარაკდა. უნებლოდ მეც კი ყური ვცქვიტე, რაკი უცხო სიმები მომესმა იმ კაცის ხმაში, ვის გულსაც ასე კარგად ვეცნობდი.

— დიხს! მე მინდა მათ შიშის ზარი დასცეთ, ჩახედონ მის ბრმა თეთრ თვალებს! უღმობლო-

ალექსანდრე ბრინი

მ ა რ ა ტ ი

ბას უარყოფ... მაგრამ მტერი უნდა გაანადგურო! უნდა აღვაო პირისიან მიწისა ძირფესვიანად ამოძირკვო! გაიხსენეთ ისტორიის გაცეითილები... საესებით, უქანასეულ კაცამდე, სამუღამოდ, უკლებლივ, უბრეტენდენტებოდ მტრის ერთი წვეთი სისხლიც კი არ უნდა დარჩეს ხალხის ძარღვებში. აი რა არის რევოლუცია! ეს გახლავთ და არა ქაღალდების ბეჭდვა! ქუჩის ყოველ ფარნის ბოძზე უნდა მტერი კონწიალობდეს!

ეს ისე ამაყად თქვა და ისეთი რწმენით, ჩვენ მაშინვე ვერ მოვიფიქრეთ პასუხი. არც სურვილი გვქონდა ამისა. ჩვენ სხვანაირად ვფიქრობდით, ის — სხვანაირად. ეს დღესავით ნათელი იყო და რალზე უნდა გვეკამათა.

ევგენიამ წარბები აზიდა და კარგა ხანს მიმტერებოდა იანს.

— თქვენ პატარა ტამერლანი ხართ... იცით, გული დამძიმებთ... ასეთ სიტყვებს მხოლოდ სასოწარკვეთილი კაცი თუ იტყვის. არა, მართლა ფიქრობთ ასე?

— დიახ!

იანს კვლავ ტანჯვა დაეტყო სახეზე, მერე სახეგაქავეებული ჩაფიქრდა. მხოლოდ შავი თვალები უბრწყინავდა. შეეცადა, შთაბეჭდილება შემერბილებინა.

— კარგად მესმის თქვენი, იან... — ვუთხარი. — გული ბოღმითა გაქვთ სასეს!

შემომხედა, მაგრამ თქმით კი არა უთქვამს რა. ისე მომჩვენა, თითქოს სახეზე სინანული გამოეხატა, რომ მუდრობა დაგვირღვია და ეს ლამაზი დასვენება-გასიერებაც ჩაგვაშხამა.

— გახსოვთ, იან, — კილო შეიცვალა ქალიშვილმა, — შარშან რომ ჩამოხვედით აქ? მაშინ ისეთი იყავით... მთლად ბავშვივით. ვერ იტანდით პოლემიკასა და... ტერორსაც, როგორც სისტემას.

— ის აღარ გახსოვთ, ევგენია ალექსანდროვნა, — მისივე კილოთი უთხრა და შეჰღიმა იანმა. — ოცი წლის წინათ დედას რომ უწყქმით ლოგინში? ცალი ხელით შიშველი ვარდისფერი ფეხი გვეკირათ და პირთან მიგქონდათ მოსაწოვად, მეთრეთი კი მამილოს ჩაფრენოდით ულვაშებში, ჰირივით გეჭაგრებოდით სახვევებიც და მანის ფაფაც...

ქალიშვილი წამოწითლდა და ნელა ჩაეცინა. კირილმა, ეტყობა, ცოცხლად წარმოიდგინა იანის დახატული სურათი და გადაიხარხარა.

— მართალია, ხომ იცი, ეენკა, — თქვა მან. აბა წარმოიდგინე, ერთ დროს ხომ უნიფხვოდ დავებოდით... რა უცნაური ამბავია! პო, ცხოვრების ბრძმედში იწრობა ადამიანი! — პათეტურად დაუმატა მან და უცებ რაც შეეძლო იღრიალა:

გასტურე ჩემო ნა-ვო-ო!!

მასლობელ ნავსადგურში ძაღლები აფორიაქ-

დნენ და ნამძინარევი, ნაწყენი ხმებით უჩვეოდ აღაუღლდნენ.

— გაგივლი, კორკა! — სიცილით შეუკვირვალა ქალიშვილმა. — შენ რა, უკვე დღეს გგონია თავი?

კირილე უცებ მოიღუშა და უფრო მაგრად მოუსვა ნიჩბებს. იანმა მკვეთრად მოატრიალა საკე და ღამის ფარნებით კანტიკუნტად გაშუქებულ ნაპირს მიადგა.

ნამძინარეებმა ჰაბუქმა მენავემ ჩამოგვართვა ნავი და ნაპირზე ავედით, ქალაქის ბაღისკენ. ყველას საშინლად გვეჩინებოდა. ქალიშვილი იანთან მივიდა.

— მაშ ხელ მიდიხართ? — ჰკითხა და ნახევრადმძინარე თვალები ფართოდ გაახილა. — რა ჩქარა მიდიხართ! რად გვტოვებთ ასე მალე?

— საჭირო გახდა ჩემი წასვლა... და რაკი ამის მეტად ველარა გნახავთ, ნება მომეცით ყოველივე სიკეთე გისურვოთ!

— არა მგონია მე და თქვენ კვლავ შეგხვდებით ერთმანეთს, იან. მე ასე მსურს... ვესმით?

— როგორ? არ მესმის... აბა, ნახვამდის, წადით ახლავ, დაიძინეთ...

— ნახვამდის.

ქალიშვილმა ხელი გაუწოდა. იანმა ერთი წამით ყმაწვილი ქალის ხელი თავის გამხდარ ხელში გააჩერა. ყმაწვილ ქალს ხმა არ გუღია, შეხედა ვაჟს და ნაზ სახეზე დაეტყო, რომ რალა-ცას მიხვდა. მეც ხელის ჩამორთმევით გამოვეთხოვე იანს და დარწმუნებული ვიყავი, რომ სამუღამოდაც. იანმა ისე მაგრად მომიჭირა თავისი ღონიერი, დამარღული ხელი, მეტკინა კიდეცხელები ცივი ჰქონდა, მაგრამ არ უქანალებდა. კირილმა გადაკოცნა იანი და დიდხანს მაგრად უჭერდა ხელებს. დამცინავი, გამომცდელი თვალები უცებ აუტერგმლდა და სიკეთით ავესო.

— აბა, მშვიდობით, ძვირფასო იან! ნუ დაგვიფიწყებთ! წადით ახლა, კარგად იყავით! რა წყვეული ცხოვრება გვაქვს — სახლშიაც ვერ გამოვთხოვებოვართ ერთმანეთს. აბა, მშვიდობით იყავით!

გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და სხვადასხვა მხარეს გავეშურეთ.

ტილოს სქელი ფარდები ჩამოვეშვი და ლამა ავანთე. ისე ვიყავი აფორიაქებული, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სხეული მექავებოდა და მიხურდა, ამდენი დამბული ლოდინისაგან საფეთქლებში მტეხდა. არასოდეს ასე არ მიღლევია, როგორც იმ დღეს.

ვარდისფერაბაუტრინი ლამა მუდროდ ანათებდა ოთახის შუაგულს, კუთხეები ჩრდილში იყო მოქცეული. ოთახში ბოლთასა ეცემიდი. ნერვიულობისაგან მოქნარება ამიტყდა და ძლივს ვიკავებდი. ასე მეგონა, დრომ შეაჩერა სელა და წინ აღარ იძვრის-მეთქი. საათის ჰანჯა-

რაც თითქოს ჩემი ნაბიჯის შეწყობილად დახტოდა აქეთ-იქით და მისი გულგრილი წიყწიკი აღმზინის ქუსლის ბაკაბუკივით ჩამესმოდა.

გახეით გავშალე და სტრიჟონებს თვალი გადავაეღე, მაგრამ თვალში ქალაქის ანბაჟურბული, გაყაშაშებული ქუჩები დამიდგა. ქუჩაში კი იანი მიაბიჯებდა. ნელა მიდიოდა, ფრთხილად შეჩერდებოდა ხოლმე და იქაურობას ზეცრავდა.

ლოგინზე წამოვწეკი და თვალები დავხუქე. ლამპის ვარდისფერი შუქი ქუთუთოებში ატანდა, თვალებზე თითქოს ნათელი ბინდი გადამეკრა. ცეცხლოვანი წერტილები და ხანები მოცოცავდნენ ამ წყვილადში და მერე ასობდა, ციფრებად, აპოკალიფსისის მხეცებად იქცეოდნენ.

ღამე ქანცაყვეტილი ჯაგლაგვიით მიჩანალებდა. ყოველ წამს—ხან მოკლესა და ხან გაგრძელებულს, საოცარი სიცხადით ვგრძნობდა, ასევე ცხადად ვხედავდი პირქვე მწოლიარე საკუთარ თავსაც და ლოდინისგან თავი მტკიოდა და ყურები მიწიოდა. ვიწეკი და ვანძრევისა მეშინოდა, ვერ გავმართულიყავი, ვაითუ ფაშუნში იანის ფეხის ხმა გამომპარვოდა. მე ველოდი იანს, მინდოდა მისი ხელახლა ნახვა და უკვე წინასწარვე ვზევიობდი ჩემს გულში, ალბათ ვერ მოვა-შეთქი... გამარჯვების მოლოდინი სადღაც შორს, შიგნით, ცნობიერების მალულ კუნძულებში გულისმომკვლელ სევდას ებრძოდა.

მოლოდინი იზრდებოდა, სისხლი მძიმედ მაწვევებოდა გულზე, სულს მიგუბებდა. მაღლა, ჩემს ზემოთ, ფეხების ბრაგამბრუნისაგან ქერი იხგრეოდა და როიალის ხმა ყრულ აღწევდა, კეკუოკს უკრავდნენ. საღამოობით ოფიცრის დიდი ოჯახის უმწიფარი შთამომავალნი ვარჯიშობდნენ ხოლმე. წუთით ამ ბრაზბრუნმა და მუსიკამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ზემოთ უფრო მეტად აფუსფუსდნენ. ქერიდან ბათქაშის მტვერი ჩამოცვივდა და პაერში აირია. ფიჭრით დამძიმებული ტვინი საჩქაროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად იჭერდა აკორდებს. ძველებურ სავარძლებს, ყავისფერი ქსოვილი რომ ჰქონდათ გადაკრული, სულელი და კუდაბზიკა ვაჭრებივით შემოეყარათ დონიკი და დიდლაპტნილი სახელურებით. ღმირანი კაკლის კომოდი ჩაფიჭრებული იდგა. საწერი მაგიდა ჩაცუცქულიყო და ფაიფურისა და ბრინჯაოს ნახელავით გატენილი ფართო, ბრტყელი ზურგი გამოეშვირა. სურათებზე ადამიანებს სახეები გაქვევებოდათ, ამ სიჩუმეში თითქოს ისინიც მტანჯველ მოლოდინს აეტანა. ისე მეგონა, ირგველი ყოველივე ბატრუნულიყო და უხმო. ვერაგულად ელოდა იანს. მის შემოსვლაზე კი უმაღ გამოცოცხლებდა ყველაფერი, დიძრება კუთხეებიდან, კედლებიდან, ჩარჩოებიდან, ფანჯრებიდან და მისკენ გაქანება-მეთქი, ვფიქრობდი.

უეცრად სევდამ გამიარა. ზემოდან ყრულ ვისმა გახურებული მაზურკის ხმა, მაგრამ ბრგაბრუგი მიწყნარდა. თავი გუტაფისის ზურგით მსუბუქი გამიხდა, აღარაფერი მემსოდა. უცებ ლოგინიდან წამოვდექი, საცემბით დასწმენებული ვიყავი, რომ იანი მოდიოდა და საცა იყო, ოთხსმეც შემოვიდოდა.

ოთახში შემოსვლა ძლივს მოასწრო, მაშინვე მივევარი. გატანჯული და ქანცაყვეტილი იანი კარებში შედგა. გამარჯვებულის სახე ჰქონდა, თვალი თვალში გამიყარა. ტანზე რიგინად ვცვა და ეს სულაც არ გამკვირვებია. მან გააკეთა თავი იანის საქმე და მიუხედავად ამისა — გაღარა.

სხვა აღარაფერი იყო საღარდელი. რაკი სასწაული მოხდა, ტანსაცმელს უფლება ჰქონდა კოხტად მდგარიყო ტანზე. იანს ნიდაყვს ზემოთ წავევლე ხელი და რაც ძალა და ღონე მქონდა, შევანდრიე, სიტყვები მახრჩობდა, ყელში მაწვევებოდა და სუნთქვას მიკრავდა.

იანმა მსუბუქად მომიშორა, მაგიდასთან მივიდა და დაჯდა. ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან ფერმკრთალი იყო, მხოლოდ ქუდქვეშ, შუბლზე თმა მიწებებოდა და ყელზე წვრილი ძარღვი უთრთოდა, ამაზე ვტყობოდა, დადილი და ადგზნებული რომ იყო. ერთი შეხედვით კი თავის ხხალთახალ, ოფიცრის მუნდირში გამხდარი და პატარა მოჩანდა.

თვალში პირველად მისი დარცხვენილი, ლმოზიერი ღიმილი მომხვდა. გვერდულად უჯდა მაგიდას, ფეხები გაქვიმა და ხელისგულები მუხლებზე დაეწყო. მარტო ვიყავით და ჩვენს ლაპარაკს ყურს ვერავინ მოჰკრავდა. მაგრამ მაინც დაიხზარე მისკენ და ათრთოლებული ხმით ისე ჩემად ჩაგნურჩულე, თითქოს ირგველდა ასე ყური გვისმენდა და ასე თვალი გვეყურებდა:

— მაშ ასე, არა? დიდებულა...

იანს ღიმილი გაუქრა.საკმე შეინძრა და წყნარად მითხრა:

— დღეს არაფერი მომხდარა. ალბათ ხეალ...
სასწაული გაქარწყულა, შეცვბუნდი. მაშინვე ისეთი დაღლა ვიგრძენი თითქოს მძიმე ლოდი მექირა ხელით და ის-ის იყო მოვისროლე.

ჩვენს შორის ასეთი ჩუმი და სწრაფი საუბარი გამიმართა:

— რა, არ მოვიდა, იან?

— მოვიდა.

— ფეხით?

ალექსანდრე ბრინძ

მ ა რ ა ტ ი

— კარგით. მე დავინახე.

— მერე?

— წავიდა.

— რატომ?

— მე წავიდე.

— მერე რატომ, რატომ იან? იან!

იანმა თვალეზი მოჭუტა, კბილები მაგრად დააჭირა ერთმანეთს და წყნარად, სიტყვა-სიტყვით ამოღერდა:

— მარტო არ იყო... ქალი უჯდა. კიდევ ვი-
დაც, არ ვიცი, ბიჭი თუ გოგო... გრძელი კუ-
ლულები ჰქონდა და დიდრონი, ეინიანი თვა-
ლები... ჰოდა...

იანი გაჩუმდა და თვალეზი გაახილა. ლამის
კაშკაშა შეუქი უშლიდა გახელას. მან თვალეზ-
ზე ხელი აიფარა და მკვახელ, მოკვეთით თქვა:

— ლულს ხომ არ მოატანიებ ვინმეს? თით-
ქოს მაქროლებს რაღაც... **საქართველო**

ვლემდი და უცნაური, შემწარადი აზრით
სავსე სიჩუმე მიკრავდა სუნთქვას. იანს, ეტ-
ყოზობდა, რცხვენოდა თვალის გახელისა. ცალი
ხელით უხერხულად იქეპავდა ჯიბეს, წვრილ
ფულს ეძებდა, მეორე ხელი მაგიდაზე ედო
და თითები უთრთოდა.

უცებ გამაყრუებელმა, შემადრწუნებელმა
ზარის რეკვამ გაჰკვეთა სიჩუმე. კედლის სა-
ათმა ჩამოჰკრა წყნარი, მელოდითური ხმით.

მეორე დღეს ასობით ფანჯრის მინა ჩაიმსხე-
რა და ქალაქი ფუტკრის სკასავით აქოთქოვდა.
მიეზვდი, ამჯერად ის მარტო იქნებოდა.

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძე





დიდი ბელადის მხატვრული სახე

მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცნობრება და მოღვაწეობა, მისი უკუდავი იღებები აღაფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს მილიონობით აღამიანს. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბევრი მწერალი, მხატვარი, რეჟისორი, მოქანდაკე ისწრაფის მხატვრულ ნაწარმოებში გვაჩვენოს მისი უკუდავი სახე.

ჭერ კიდე ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში იყო ცდები ბელადის დიადი საქმის პოეტურად გაახარებისა. მაგალითად, ბევრმა მწერალმა და პოეტმა მიუძღვნა თავისი ნაწარმოები ვლადიმერ ილიას ძე ლენინს დაბადების 50 წლისთავზე, 1920 წ. ამ თაბილთან დაკავშირებით გამოსულ კრებულში დაიბეჭდა მ. გორკის მოხსენება ვ. ი. ლენინზე. გარდა ამისა, დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ეურნალ „კომუნისტურ ინტერნაციონალში“ გამოაქვეყნა ნარკვევი „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. ამავე პერიოდში დაიწერა და პრესაში გამოქვეყნდა დემიან ბენდის „მუშური სალამი“, ნ. ტიხონოვის პოემა „სამნი“, ვ. მაიაკოვსკის ლექსი „ვლადიმერ ილიას ძე“ და მრავალი სხვა.

1923 წელს ვ. ი. ლენინის ავადმყოფობასთან დაკავშირებით პრესაში აქვეყნებდნენ მთავრობის ბიულეტენებს. ბელადის ჯანმრთელობა უარესდებოდა. ამ მძიმე დროს ბევრი საბჭოთა პოეტი ცდილობდა თავის შემოქმედებაში გადმოეცა ხალხთა მასების უდიდესი სიყვარული ბელადისადმი და მის ავადმყოფობასთან დაკავშირებულ ვანცდები. ამ პერიოდს ეკუთვნის ნ. პოლეტაევის ლექსი: „ლენინის პორტრეტები არ ჩანს“; ვ. მაიაკოვსკის „ჩვენ არა გვჭერა“ და სხვა.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალება მშრომელთა მასებმა განიცადეს, როგორც უდიდესი უბედურება. ამ სამგლოვიარო დღეებში გამოქვეყნდა მრავალი პოეტური და პროზაული ნაწარმოები, მთავრებები, მათ შორის უნდა დავასახელოთ დემიან ბენდის ლექსების ციკლი: „საყვარელი

აღამიანის შესახებ“, „არავინ იცოდა“, „თოვლის ფიფქი“, ვ. ინბერის „ხუთი დღე და ლამე“, ა. ბეზიმენსკის „პარტიბოლეთი № 2243აა“. ნ. ასევეის, ს. ესენინის და სხვათა ლექსები. ბელადის შესახებ წერდა მრავალი საბჭოთა მწერალი. აღსანიშნავია ვ. ბრიუსოვის, ჯამბულის, ს. სტალსკის, მ. ისაკოვსკის, ს. კირსანოვის, ვ. ლებედევ-კუმაჩის, ა. ტვარდოვსკის, რ. რზას, ვ. ვიშნევსკისა და სხვათა ნაწარმოებები. ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა შორის უნდა დავასახელოთ ა. ს. ტოლსტოის „პური“ და „ტანჯვის გზებით“, ს. შჩიპაჩოვის „სახლი შუშენსკოეში“, ვ. საიანოვის „ლენინი გორკაში“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცი“ და „კრემლის კურანტები“, კინოფილმები: „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, დიადი განთიადი“ და სხვა. ეს ნაწარმოებები ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ოქროს ფონდში შევიდა.

ვ. ი. ლენინზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის დღესაც საუკეთესოდ ითვლება მ. გორკის ნარკვევი და ვ. მაიაკოვსკის პოემა „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“. დიდმა ხანმა განვლო მათი შექმნის დღიდან, მაგრამ ისინი ისეთი გრძნობით და ისე ოსტატურადაა დაწერილი, რომ არასოდეს მოძველებიან.

მ. გორკიმ ნარკვევში შეძლო მხატვრულად გადმოეცა უდიდესი გენიოსის უკუდავი სახე, სახე დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის და ამასთან უბრალო, სადა აღამიანისა. მწერალი ლაიონიურად გვიხატავს დეტალებს მის შესახებ: სოკრატეს მუბლი, ყოველისგამკვიციტი თვალი, თბილი ღიმილი, თეატრისა და ლიტერატურის სიყვარული, ყოველგვარი საქმით გატაცება (ჭადრაკი, თევზაობა და სხვ.), ყველაფერი ეს ერთ მთლიანობაში ქმნის ბელადის არაჩვეულებრივად ცოცხალ სურათს.

მეორე მხრივ, მ. გორკი უწრაღდებას ამხვილებს დიდი ბელადის მოღვაწეობაზე. არამ-



ვეულებრივი მიზანსწრაფვა და შრომისმოყვარეობა, ძლიერი ნებისყოფა, მეგობრებისადმი სიყვარული და მტრის სიძულვილი — ასეა დახატული ლენინი მ. გორკის შემოქმედებაში.

ასეთივე ნათელ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს ვ. შაიაკოვსკის პოემა. ეს პოემა იქმნებოდა იმ დროს, როცა, ისარგებლეს რა ვ. ი. ლენინის სიკვდილით, პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის მტრებმა ვადაფორებული ბრძოლა გააჩაღეს პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ, შეეცადნენ მოეხდინათ ლენინიზმის რევიზია. ამ პერიოდში ბოლშევიკურმა პარტიამ ვადაამწყვეტი დარტყმა აგემა ტროცკისტების მტრულ ცდებს. ვ. შაიაკოვსკი აქტიურად ჩაება ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ. თავის პირველი მონუმენტური ნაწარმოები ლენინზე კომუნისტურ პარტიას მიუძღვნა და მის პატივსაცემად ბრწყინვალე ჰიმნი შექმნა:

მინდა ხელახლა
ახალივით ელავდეს იგი.
ეს დიდებულზე დიდებული სიტყვა —
პარტია.

.
.
მილიონების

ხელი არის ჩვენი პარტია,
ერთ დამარბეველ
მუშტად
შეკრული.

პარტია არის
ხერხემალი მუშათა კლასის,
და ჩვენი საქმის უყვადება
არის პარტია.

ერთადერთია,
რაც არასდროს არ მიღალატებს
და დღეს ნოქარი —
ხვალ სამეფოს მოვშიო ქარტიდან.

კლასის ტვინი,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება —
აი, რა არის

პარტია!

საბჭოთა ქვეყნის ისტორია, პარტიის ზრდის ისტორია და ლენინის ბიოგრაფია, ვ. შაიაკოვსკის აზრით, განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული:

ჩვენი პარტია და ლენინი —
ტუშუნი არიან —

ისტორიაში
ვინ იქნება
უფრო ჩენილი.

ვამბობთ —
ლენინი

ვამბობთ —
პარტია
და ვგულისხმობთ —
ჩვენი ლენინი.

პოეტმა გვიჩვენა, რომ ვ. ი. ლენინის ვარაუდებზე იყო საერთო სახალხო მწუხარება. რომ ამ უდიდეს დანაკლისს პარტიამ უპასუხა თავისი რიგების უფრო მჭიდრო განმტკიცებით. მის რიგებში მშრომელთა ლენინური გაწყვეით.

ამ პოემის წარმატება ავტორის სერიოზული შრომის შედეგი იყო. მან ღრმად შეისწავლა ვ. ი. ლენინის ნაშრომები და დიდი ისტორიული მასალა. გარდა ამისა, ფართოდ გამოიყენა ი. ბ. სტალინის შრომები ბელადის შესახებ.

შაიაკოვსკიმ მიაგნო პოემის მთავარ მეტაფორას (ქარიშხალი-რევოლუცია) და მისგან ნაწარმოებ მთელ რიგ სიტყვებს („გემი“ — რევოლუციური რუსეთი, „შტურმანი“ — ლენინი და სხვა). ამ ერთეულმა მეტაფორებმა შესაძლებლობა მისცა პოეტს შეექმნა პოემისათვის შესაფერისი მაღალმხატვრული ფორმა.

ვ. შაიაკოვსკი მარტო ამ პოემით როდი ამოწურავს ვ. ი. ლენინის თემას, აღსანიშნავია მისი ისეთი ლექსებიც, როგორცაა „კომკავშირული“, „ლენინი ჩვეთან არის“, „საუბარი აშხანა ლენინთან“, „ლენინელები“, დაწერილი სამგლოვიარო თარიღებთან დაკავშირებით.

მოტანილი მაგალითებით საკითხი ამოწურული, რა თქმა უნდა, არ არის. დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახის მხატვრულად გადმოცემის ცხოველმყოფელი თემა მუდამ აღდგებდა კაცობრიობას.

ნ. პოლტაევი 1923 წელს ლექსში „ლენინის პორტრეტები არ ჩანს“ წერდა:


Портретов Ленина не видно:
Похожих не было и нет.
Века уж дорисуют, видно,
Недорисованный портрет.

Перо, резец и кисть не в сялах
Весь мир огромный охватить,
Который бьется в этих жилах
И в этой голове кипит.

ეს სიტყვები დღესაც და შემდგომი დროისათვისაც ახლებურად ექვრს.

ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებმა ვალში არიან სამშობლოს წინაშე, რათა კაცობრიობის უდიდესი გენიის — ვ. ი. ლენინის შესახებ შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გვერდში ამოუდგება მ. გორკის ნარკვევსა და ვ. შაიაკოვსკის პოემას.

ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით შემდგომ წლებში. ნ. სოზოვდინმა დაამთავრა თავისი ტრილოგია ლენინზე. კინომუშავეებმა ვარკ-



ვეულ წარმატებებს მიადწიეს. „კომუნისტი“, „მოთხრობები ლენინზე“, „ოქტომბრის დღეები“, „უღიანოების ოჯახი“ და სხვა ბევრად ვეცხმარება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის, აღამიანისა და მოქალაქის ნათელი სახის ისტორიულად და ღრმად გაგებაში.

ნ. პოგოდინის პიესის „მესამე პათეტიკურის“ გამოქვეყნება (1958 წ.) მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. პიესა ლენინზე დრამატურგიული ტრილოგიის მესამე ნაწილს წარმოადგენს. პიესების: „თოფიანი კაცი“ (1937 წ.), „კრემლის კურანტები“ (1940, ახალი რედაქციათ 1955 წ.) და „მესამე პათეტიკური“ — მაღალმხატვრულ ფორმებში გვიხატავს ჩვენი ქვეყნის რევოლუციის ისტორიის სხვადასხვა ეტაპს. სამივე ნაწარმოებს აერთიანებს ცენტრალური იდეა — ლენინური სიმართლის ძალა, რომელიც ამაღლებს აღამიანს და უხსნის მას გზას სოციალურად სამართლიანი ცხოვრებისაკენ.

30-იანი წლების დასასრულს საბჭოთა დრამატურგიამ პირველად სცადა ლენინის ნამდვილი მხატვრული სახის შექმნა. ამ დროს დაიწერა კ. ტრენივის პიესა „სევის ნაპირზე“. ა. კორნიჩიკის „სიმართლე“ და ნ. პოგოდინის ცნობილი „თოფიანი კაცი“. დრამატურგები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ლენინის მუშაობის ფართო სოციალური ფონი და გამოენახათ შინაგანი სამყაროს გახსნის ისეთი მხატვრული ხერხები, რომლებიც დაგვანახებდნენ ლენინს არა მხოლოდ როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, ბელადს, არამედ როგორც აღამიანს.

შადრინი და ლენინი, ლენინი და რევოლუციური მასა — ასეთია „თოფიანი კაცის“ დრამატული დერძი. ლენინური სიმართლის, კომუნისტური შედეგების ძალა ნაჩვენებია შადრინის ნაგალოთზე. შადრინი იზრდება და ომის წინააღმდეგ პასიური პროტესტიდან მიდის რევოლუციისათვის აქტიური ბრძოლისაკენ. მას ამოქმედებს ჯერ გაურკვეველი უკმაყოფილება, მერე შებრძოლ პეტროგრადის ატმოსფეროში ყოფნა, შემდეგ კი ლენინთან შეხვედრა.

პიესის კულმინაციური მომენტია შადრინის შეხვედრა ლენინთან. ჯარსიცი არ იცნობს მოსაუბრეს და გულახდილად პასუხობს მას კითხვებზე. ბელადი ისე უსვამს კითხვებს, რომ ჯარისკაცი, ვიდრე პასუხს ვასცემდეს, იძულებულია კარგად ჩაუფიქრდეს საკითხს და ბოლოს რწმუნდება, რომ ადრე დაუგდია თოფი ხელიდან, ის თოფი თურმე კიდევ სჭირდება რევოლუციას.

პიესის ცამეტი სურათიდან ლენინი მოქმედებს მხოლოდ ოთხში, მიუხედავად ამისა, მისი

ძალა და სიმართლე ყოველთვის იგრძნობა. თავდაპირველად არის სანგრებში მიტანული ლენინური სიმართლე, შემდეგ მილიონერის სახლში სიტუვლილი წარმოთქმული ლენინის საბელო, მერვე სურათიდან კი ლენინის სახე უკვე პიესის სტუქტურში შედის.

საერთო აღიარებით, ეს იყო ოქტომბრის XX წლისთავისადმი მიძღვნილი საუკეთესო პიესა.

„კრემლის კურანტებში“ მოქმედება წარმოებს 1920-1921 წლებში, როდესაც ჩვენი ქვეყანა პირველ ნაბიჯს ღვამდა სამეურნეო მშენებლობაში. პირველ პიესაში პოგოდინმა დავიხატა ლენინის, როგორც რევოლუციის გენიის ცალკეული ნიშნები. ვლადიმერ ილიას ძე მოქმედების განვითარების წამყვანი ძალაა, მაგრამ არა პიესის მთავარი გმირი; „კრემლის კურანტებში“ კი ლენინი მთავარი მოქმედი პირი ხდება.

პიესის თემაა ლენინის ოცნების ძალა და რეალობა, მის მიერ მოხვედრის განკურტება. ნ. პოგოდინი მიდის რთული გზით — ცდილობს დავიხატოს ლენინის აზრთა „შემოქმედებითი ლაბორატორია“. ბელადი ყოველთვის ფიქრობს მთავარზე — როგორ დაეიწყოთ სოციალიზმის მშენებლობა და პიესაში კარგადაა ნაჩვენები, თუ როგორ ყალიბდება პასუხი სხვადასხვა კლასის წარმომადგენლებთან შემთხვევით საუბრებში, გასერივნებისას, თევზაობისას, — უნდა დაეიწყოთ ელექტროფიკაციით.

რუსეთი გაჩანაგებული იყო. ქარხნებში მუშები მანქანებს ხელით ატრიალებდნენ, სოფლებში გასანათებლად კვარს ხმარობდნენ. მაგრამ ეს იყო დროებითი სიძნელე — „დღის სიმართლე“, და საჭირო იყო ლენინის გენია, რომ ამ დროის კაცს სოციალიზმზე ეოცნებებდა. და ბელადს შეეძლო წინხედვა, „საუკუნის სიმართლის“ დანახვა. ეს სიმართლე ვერ გაიგონგლისელმა მწერალმა, რომელმაც თავის წიგნს უწოდა: „რუსეთი სიბნელეში“, მაგრამ ამ სიმართლეს ჩასწვდა დიდი რუსი ინჟინერი ზაბეტური, რომელიც გააოცა მშენებლობის გიგანტურმა გეგმებმა.

ინჟინერ ზაბეტურის ხაზი ლენინის ხაზის პარალელურად ვითარდება. კულმინაციური წერტილია ბელადისა და ზაბეტურის საუბარი კრემლში. აქ ეს ორი დამოუკიდებელი ხაზი ერთმანეთს ხვდება, და ზაბეტური უეროდება ლენინურ ხაზს. პიესის ძირითადი ძარღვია ელექტროფიკაციის ლენინური იდეის დაბადება, იდეისა, რომელიც აღვიძებს მასებს და მიუძღვის მათ. ეს იყო ძნელი პრობლემა, მაგრამ დრამატურგმა წარმატებით გადაჭრა იგი.

„მესამე პათეტიკურში“ ლაპარაკია ლენინის სიტუაციის უკანასკნელ წლებზე, მის დიდ შრო-

დომინტი თუხარაული
დიდი ბელადის მხატვრული სახი

მაზე სოციალიზმის მშენებლობისთვის, კომუნისტური იდეების გამარჯვებაზე.

პიესაში ლენინი ნაჩვენებია დიდი სახელმწიფო საქმეების ატმოსფეროში — მშენებლობა, ნები და სხვ. სწორედ ამ ატმოსფეროში ჩანს ბელადი ძლიერ მკაფიოდ. ბოლო წლებში დრამატურგები, ცდილობდნენ რა, ხაზი გაესვათ ბელადის უბრალოებისათვის, სინამდვილეში ამცირებდნენ მის სახეს, ამძიმებდნენ ყოველდღიური წერილმანებით. პოგოდინმა აირჩია თემისათვის შესაფერისი გზა — ლენინი გვაჩვენა დამაბულ სახელმწიფო საქმიანობაში. გვაჩვენა ლენინის თავმდაბლური ხასიათის გმირული მხარეები.

პიესის ძირითადი მოტივი ტრაგიკულია. ლენინი შიშმედ არის ავად, მაგრამ ისევ და ისევ ქვეყნის მომავალზე ფიქრობს და უკვე შექმნილს, მოპოვებულს მხოლოდ და მხოლოდ დიდი გზის დასაწყისად თვლის. კარებიდან გასკეპრის ქუჩაში მომავალ მუშებისა და ჯარისკაცების ნაკადს და დარწმუნებულად ამბობს: — „აი, ეს არასოდეს არ მოკვდება, ეს უკვდავია!“ მაღლიდან კი უშუქი შორეთს ანათებს. ეს არის ლენინის საქმის, კომუნისტური იდეების უკვდავების სიმბოლო.

ნ. პოგოდინმა ერთ მთლიანობად აქცია ყოველივე ის დადებითი, რასაც მიადრწია ლენინის სახის წარმოსახვისას და სცადა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა ბელადის შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად. პიესაში ყველაფერი თანაბარი ძალით როდია ნაჩვენები, არის ცალკეული ნაკლოვანებებიც, მაგრამ „მესამე პათეტიკური“ მთლიანად პარტიისა და მისი ბელადისადმი მიძღვნილი ჰიმნია.

როგორც აღენიშნეთ, ჩვენმა კინემატოგრაფისტებმა უკვე შექმნეს ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ეტაპის ამსახველი ნაწარმოებები. „ულიანოვების ოჯახში“ ნაჩვენებია ამ ოჯახის ცხოვრების სურათები გარდატეხის იმ 1887 წელს, როდესაც გარდაეცვალათ მამა, რევოლუციური საქმიანობისათვის დასაჯეს ძმა და უცბად დაეფუკებულმა ჰაბუქმა ვალოდიამ გადაწყვიტა, თავისი გზით წასულიყო რევოლუციაში. ფილმის ავტორებმა

დამაჩერებლად და გამოკვეთილად ვაჩვენებს მოვლენები, პირობები, პირობები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მომავალი შექმნილი ხასიათის ჩამოყალიბებაზე, წარმოგვიდგინა ოჯახის რომლის ახალგაზრდა თაობა ვაკაცა რევოლუცია.


ფილმ „ოქტომბრის დღეებში“ უნდოდათ სწორად აღედგინათ ზოგიერთი ისტორიული დეტალი, პირობები, რომლებიც ადრე რატომღაც მივიწყებული იყვნენ. მაგრამ ამ ფილმმა არ დაიმსახურა ყურადღება.

შესანიშნავ ფილმში „კომუნისტი“ ნაჩვენებია 1918 წლის გზაფხული, როდესაც ჩვენს ქვეყანა თეთრგვარდიელებს ებრძოდა, ერთდროულად კი შვიგრამა და შიშველმა ხალხმა დაიწყო შატურის ელექტროსადგურის მშენებლობა. ფილმში ორჯერ ჩნდება ლენინი, მაგრამ სურათი თავიდან ბოლომდე გამთბარია ბელადის სიმართლით.

და ბოლოს, „მოთხრობებში ლენინზე“ ნაჩვენებია ლენინის სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი. ფილმი ძლიერ ლირიულია. ლენინი ავდაა. მაგრამ ეს არ იწვევს სასოწარკვეთილების გრძნობას. პირიქით, ბელადის სიკვდილო უფრო რაზმავს ხალხს სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმების შესასრულებლად.

ფილმში „ულიანოვების ოჯახი“ ნაჩვენებია ოჯახური ატმოსფერო, რომელშიც პატიოსანი, სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანები იზრდებიან, მაგრამ ეს არაა საოჯახო ქრონიკა, შექმნილია ეპოქის ფართო სოციალური ფონი (სცენები ნავსადგურში, დემონსტრაცია პეტერბურგში და სხვ.). რომელიც გასაგებს ხდის ულიანოვების გზას რევოლუციაში.

ნ. პოგოდინის ტრილოგიისათვის მ. შტრაუხსა და კ. სმირნოვს ბელადის როლის შესრულებისათვის მიენიჭათ ლენინური პრემია, მაგრამ კაცობრიობა მაინც ელის ლენინის თემის სიდიადის შესაფერის ნაწარმოებებს. ეს ამოცანა ძირითადად ხელოვნების მუშაობა ამ პერიოდის თაობამ ვერ გადაჭრა შემდგომ ეტაპზე (საბჭოთა სახელმწიფოს 50 წელი, ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის მოახლოება) დაიწერა ახალი ნაწარმოებები, გადაიჭრა ახალი პრობლემები.



მთლიანი საქართველოს მისიყვამ

ყოველივე რომ შეიკრიბოს, რაც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ირგვლივ თქმულა, არაერთი ტომი აიკინძებოდა. მისი თხზულებების შესახებ ამთავითვე იწერება სამეცნიერო გამოკვლევები და დისერტაციები. ისიც უცილობელია, რომ მომავალში კიდევ უფრო მრავლად დაიწერება ამგვარი გამოკვლევები. რადგან ჩვენ მოწმენი ვართ ნიშანდობლივი მოვლენისა: რაც დრო გადის, მით უფრო ცხოველ ინტერესს იჩენენ მკითხველნი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისადმი (ამ მხრივ მისი მწერლური ბედი ვაჟა-ფშაველასას მოგვაგონებს).

ოღონდ ამ წერილს არა აქვს გამოკვლევების პრეტენზია. ერთსა თუ ორფორმის სტატიაში არამც თუ ანალიზი, ყოველივე იმის წვრილად აღნუსხვევაც კი ძნელია, რასაც კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა რვატომეული (ჩემი გამოთვლით — 350-მდე საავტორო თაბახი) შეიცავს. აქ არის როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პროზა და პოეზია, ესხეები, ლიტერატურის ისტორიისა და პოეტიკის საკითხები, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ენის პრობლემატიკაში მიძღვნილი წერილები... აქ არის დასავლეთი და აღმოსავლეთი, თანადროულია და შორეული წარსული... და, რაც უმთავრესია, აქ არის საქართველო.

1

სიტყვად მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაათა.

ბიორბი მმრჩულმ

სილობო ქონდა ნაქსოვისა და სიმტიყე ნაჭედისა.

შოთა რუსთაველი

კონსტანტინე გამსახურდიას მწერლური ბედი კიდევ ერთი რამით ჩამოჰგავს ვაჟა-ფშაველასას: როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივმა პოზიციამ თავთავის დროს ერთგვარი შოკი დამართა მკითხველი საზოგადოების საგრძნობ ნაწილს და როგორც ერთის, ისე მეორის ენას კრიტიკა ხმალო ამოწვართული შეეგება. ნიშანდობლივია, რომ ვაჟა-ფშაველას ენას უწუნებდა თვით აკაკი წერეთელი, — მეცხრამეტე საუკუნის ქართული კულტურის ერთ-ერთი საკეთმპყრობელი, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივ პოზიციას ვერა და ვერ შეურიგდა ისეთი შესანიშნავი მოქართულე, როგორც იყო გერონტი ქიქოძე.

თქმა არ უნდა, გემოვნება ფრიად და ფრიად სუბიექტური ფენომენია. ისტორიამ საქაოდ აღგინუსხა შემთხვევები, როდესაც ერთ დიდ

მწერალს მეორე დიდი მწერლის შემოქმედება მიინცდამინც გულზე არ ეხატებოდა ხოლმე (ჩინებული ნიმუში: ტოლსტოის დამოკიდებულება შექსპირისადმი). მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გემოვნების თანხუნებდრელობის გარდა სხვა რამეც იყო საინო: როგორც ვაჟა-ფშაველას, ისე კონსტანტინე გამსახურდიას მკითხველთა საგრძნობ ნაწილს ათეული წლები დასჭირდა, რათა ქართული სიტყვის ამ დიდოსტატების ენისადმი თუ აშკარად მტრული დამოკიდებულების არა, ყოველ შემთხვევაში აშკარა უნდობლობის გრძნობა გაჰქარწყლებოდა. ასეთ ვითარებაში ნონსენსი იქნებოდა სუბიექტური გემოვნების ფაქტორისთვის ხელის შეწყენდა და საქმის ამით მიფუჩჩება. საკითხი ცოტათი უფრო გულდასმით გამოძიებას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ, თუ ვაჟა-ფშაველას ენის მისამართით აუვის თქმას დღესდღეობით ვაგლახად ვე-

ლარაინ კადრულობს, კონსტანტინე გამსახურდიას ენის „ხელოვნურობის“ და „არქაულობის“ გამო ზოგჯერ დღესაც არ იზლიან ქიჩილს.

საიეთხის ისტორიას მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე მივყავართ. დამეხო ქართული სახელმწიფო და მოიშალა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციები. ამას შედეგად მოჰყვა ნახევარსაუკუნოვანი ვაკუუმი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. და როდესაც თერგდალეულებმა თავს იდგეს ქართულის აღმობრძნებელთა დიდი მისია, აღმოჩნდა, რომ სამკალი იმდენი დარგოვილიყო, მომეკლათა ერთი და ორი თაობა ვერას გააწყობდა. ხოლო უფრო მოგვიანებით ისიც ცხადი შეიქნა, რომ ქართული ენა ოდინდელ ბრწყინვალეებს ვერას-გზით ვერ დაიბრუნებდა, ვიდრე არ გამოთანადებოდა ქართული კულტურის განვითარების ხაზი, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ხელოვნურად და ნაძალადევად გაწყვეტილი. მთელი უღმობელობით წამოიჭრა საკითხი: ან შევძლებდით იმის ორგანულად შეწოვას და შესისხლბორცებას, რაც ქართულ კულტურას მეცხრამეტე საუკუნემდე შეეჭმა, ან არა და უნდა დავცვიტებულყოფიყთ იმ ხალხთა ზედადს, ვისაც მეცხრამეტე თუ მეოცე საუკუნემდე დამწერლობაც არ ჰქონია საკუთარი. ეს საკითხი თავად ცხოვრებამ გადაჭრა: მეოცე საუკუნეში აღდა ქართული სახელმწიფოებრიობა და ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად იქცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართულ კაცს კვლავ მიეცა საშუალება სწავლა-განათლება მიიღოს თავის მშობლიურ ენაზე — ქართულ სალიტერატურო ენაზე, ხოლო ქართული სალიტერატურო ენა თხოთმეტ საუკუნეს მაინც ითვლის ისტორიად.


აი, აქ არის დამარხული საიდუმლო. ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიცია გულისხმობდა როგორც თერგდალეულთა კულტურული მონაპოვრების ათვისებასა და დიალექტური მასალის მოხმობას, ისე ჟამთა სივრცის გამოისობით მივიწყებული მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ქართულის გამოყენებასაც. ამ საკითხში კარგად ვაუარკვეველ პირთ მართებთ გაიხსენონ ხოლმე ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „...სწორად განმეგინა ზოგიერთი ჩვენის მწერლისაგან სამედურავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნურ შემოგაქვს მწერლობაში. რაც დაძველდა, აღარ ვარგვ, ის უნდა გვიტანათ და სანაკვეზე გადავადგოთ... ამისთანა სამედურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეედარებოდეს ერთი საგანი მეორეს, ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მდინარეს გემბ და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაყვ, არ წარათვი, იგი თვისთავად

არასოდეს არ დაჰკარავს... ვისაც კსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დააფასებ, იგი მთელი ში, სადაც მღვრიე მოდის, ყოველ ამოჭრისას, არამედ სათავეს მიჰპართავს... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად. უმწიკვლოდ ქართული ენა“.

ჩვენ ზოგჯერ ერთობ სწორხაზობრივად გვესმის ილია ჭავჭავაძისა და მისთა მოღსეთა ენობრივი ორიენტაცია. არასგზით არ გვსურს გაეითვალისწინოთ, თუ როგორ მკითხველს გულისხმობდა მათი ნაწერები; ეს გახლდათ ბატონ-ყმობის უღლისაგან ახლად თავდახსნილი მშრომელი ხალხი და ეროვნული კულტურის ნიდაგას სანახევროდ მოწყვეტილი ან სულაც მოწყვეტილი ინტელიგენცია, — საკმაოდ დაბალი დონის მკითხველი მას (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ზოგიერთი სხვა იმდროინდელი მოღვაწის ნაწერები დღესაც რომ სიტყვაკაშუხლი მწერლობის მარგალიტებად რჩება, ეს მათი მაღალნიჭიერების წყალობაა). ეს მკითხველი მასა შედარებით იოლად მოსანელებელ საზრდელს მოითხოვდა. თერგდალეულთა თაობა მიზნად ვერ დაისახავდა წარსულ საუკუნეთა კულტურასთან ორგანული კავშირის აღდგენას. ან კი რასთან უნდა აღედგინათ კავშირი? V-XVIII საუკუნეთა ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი თხზულებანი ამ მკითხველი მასისთვის ნამდვილტერა ინკოგნიტას წარმოადგენდა (მასობრივი ტირაჟით დასტამების გამო რომ აღარაფერი ვთქვათ, მრავალი ბრწყინვალე ძეგლი საიმდროოდ მიკვლეულიც არ ყოფილა). მხოლოდ ერთი უღ მოღვაწეებს ჰქონდათ ასე თუ ისე წარმოდგენილი, თუ რა საგანძურს ინახავდნენ „ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი“.

სხვა მიზეზთა გარდა ამიტომაც იქცა ვაჟა-ფშაველა მომავალ თაობათა მწერლად. მის ნამდგროვითაგან ერთეულები თუ ხვდებოდნენ (ისიც მეტწილად ინტუიციით), რა მისტაბის გენიოსი წამომართულიყო მათ წინაშე. დანარჩენთათვის, უმრავლესობისთვის იგი ფშაველ მოლექსად, საკმაოდ ახირებულ ენაზე მეტყველ მოშიარედ დარჩა.

ამიტომევა, რომ, რაც უფრო ღრმად ვსწავლობთ ქართულ კულტურას მის მთლიანობაში, რაც უფრო სრულად ვითვალისწინებთ თხოთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის უნივერსალურ ხასიათსა და მისის, მით უფრო გვიორკვედება და გვიათყვედება ვაჟასადმი თავყანისცემის გრძნობა. საჭირო შეიქნა აღზრდილიყვენ ახალი თაობები, სახელმწიფურად მოაზროვნე თაობები, რომელთა შეგნებაში ცნენდა „საქართველო“ აღარ იქნებოდა ვარემე მტრებთან უსწორო ბრძოლთა ილაგაწყვეტილი, პარტიკულარობის მარწუხებში სულს მღაფელი, კლასობრივი წინააღმდეგობებით და-



წეწილი შეათეხარისხოვანი ქვეყნის სინონიმი, თაობები, რომელთა თუნდაც სასკოლო განათლება თავისთავად ფულისმომზის იაკობ ზუცესისა და იოანე სახანისძის, გიორგი შერჩულავსა და „სიბრძნე ბალაჰვარისის“ გადმომქართულბლის, ათონელბისა და რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანისა და გურამიშვილის ნაღვანის გაცნობას და რომელთაც არქივებში აღარ სჭირდებოდათ სიარული ყოველივე ამის მისაკვლევად.

კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა პირველი მკითხველნიც არ ყოფილან სათანადოდ მომზადებულნი, რათა უჭირველად გარკვეულიყვნენ მისი ენობრივი ორიენტაციის არსებაში (ცხადია, აქ იგულისხმება მკითხველთა ძირითადი მისა. ერთეულებსა თუ ათეულებსი გამო არას ვაშობი). „ლიონისოს ღიმილის“ ენობრივმა ქსოვილმა უკვე საკმაოდ შეაქებუნა მკითხველი. ამას ზედ დაერთო თავად მწერლის მიერ დაფორმებული კრედი.

„ჩერ საესენით შეუსწავლელია ქართული სტილის ისტორია, დაუდგენელია ქართული ენის ზრდისა და განვითარების ეტაპები, თორემ მკითხველი უჩემოდაც შენიშნავდა, რომ გასული საუკუნის მწერლებმა დააღარბებეს, გასციეთეს, გადაღტაკეს ხელხევაიანი ენა ქართული. ლექსითა დაიმორჩილა, უდავლოდ ბარბაროზებით გაივსო, სინტაქსი შეირყვნა და დავიწყებას მიეცა დარბაისლურ და ჭარბი ქართული პროზის მრავალნადადი ტრადიცია. უთუოდ საჭირო იყო ერთგვარი უაუტყევა და მეც შეგნებულად უყან დაიხივ. ლექსიკური მასალის მზრივ მე საესენით შეგნებულად უხვად დავესესხე „ვისრამიანის“ მთარგმნელს, საბას, ჩვენს ღიდ ჰაგიოგრაფებს და მთარგმნელებს. აქვე უნდა აღენიშნო, დავით გურამიშვილის შემდეგ არც ერთ ქართულ მწერალს არ მოჰგონებია უძლიერესი ქართული სასულიერო მწერლის ობსანობარის ჭრთონად გამოყენება. მე შემოვუშვი ახალ ქართულში მრავალი გარდასული სიტყვა. სამაგიეროდ ასევე უხვად ვასხურე ჩემს ლექსიკას ზევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკაუებიდან ნასესხები სიტყვები... მე საჭიროდ დავინახე ქართული ტომების (განსხეავებული) ლექსიკის შეკრების ღოზუნგი ვადამესროლა და ეს პირველად ვცადე კიდევაც „ლიონისოს ღიმილში“ და ჩემს ნოველებს წიგნშიაც. მამასადაამე, ქართული სიტყვიერი ინვენტარის გამიდრეებამ ახალ საუკუნეში უნდა მომხდარიყო ცალკერძ მველქართულის მარაგიდან, ცალკერძ ცოცხალი დაღვქტებისა და ენაკაუების წიადიდან, რათა ქართული ენა მარტოოდენ მშრალი, მწიგნობარული ენა არ გამხდარიყო“ („ლიონისოს ღიმილის“ მეორედ გამოცემის გამო“, 1933, ტ. V).

როდეს ბუნებრივად, რაოდენ უქცეველ ჰემარტივად გვეჩვენება ამგვარი პოზიცია დღეს, მისი წამოყენებიდან 30-40 წლის შემდეგ, მაგრამ იმ ხანად კონსტანტინე გამსახურდიას თი-

თქმის მარტოდმარტო იყო. ქართული კულტურის მოლიანობის იდეა ის-ის იყო ისახებოდა. ეგრეთწოდებულ ძველი ქართული კულტურის სათანადოდ შესწავლა ის-ის იყო იწყებოდა. ამგვარ მასშტაბებს მკითხველთა ძირითადი მასა ჯერაც არ იყო არამცთუ შეგუებული, უბრალოდ — ზიარებული. კონსტანტინე გამსახურდიას თითქმის მარტოდმარტო იყო და წინასწარმეტყველის გულდაჯერებითა და გახლებით ერკინებოდა გასს მოჭარულ უნდობლობისა და გულგრილობის ატმოსფეროს, ზოგჯერ — ყოველად შეუწყნარებელი მტრობის სულისკვეთებას.

მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ენა დაკნინდობა? „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ კონსტანტინე გამსახურდიას ილიასა და აკაკის ენას უწუნებო? „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ ასე ჩვენს თვალწინ დაიბადა მითი, რომელიც დღემდე ბოვინებს ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში და რომელსაც ის მითი თუ შეედრება, დაბეჭდითებით რომ გვიჩინებებს — ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის ენას იწუნებდა.

ილია ჭავჭავაძის ღეაწლისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულებას რაც შეეხება, ამ საკითხში დაეუბნებულ პირთ ერთი რჩევა უნდა მივითქვ: სხვა რომ არაფერი, ვადაშალო მწერლის რჩეულ თხზულებათა მეშველებ ტომი და იხილონ 234-240-ე გვერდებზე დაბეჭდილი წერილი „ილია ჭავჭავაძე“. თან იმასაც კარგად ჩაუყვირდნენ, რომ ამ წერილს 1922 წელი უხის თარიღად. ნუ დავიფიწყებენ, რომ ილია ჭავჭავაძის მრავალტანჯული სახელი იმხანად ჯერაც არ ყოფილა გარდამოსხნილი ჯვარცმიდან და ამ სახელს იოლად წამოჰკარავდა ხოლმე ხელს ზოგიერთი პუბლიცისტი, რომელთა ნაწილმა შემდგომში, როცა კლასიკოსების დევნა აღიკვეთა, კონსტანტინე გამსახურდიას აქეთ შემოუტია — ჯროვებდა არ აფანსებო ილია ჭავჭავაძის ღვაწლი. ამას უეკიერებდნენ იმ ადამიანს, ვისაც ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და ივანე ჯავახიშვილს ძველ ეპოქებში რომ ეცხოვრათ, მათ უეჭველად წმინდანებად შერაცხნა ჩვენი ხალხი და ჩვენი ტაძრების ძვირფას ფრესკებს მიემატებოდა სამი სათაყვანებელი ხატება“ (1963).

ახლა უმთავრესს მივუბრუნდეთ. ილია ჭავჭავაძეს აზრად არასოდეს მოსვლია გრიგოლ ორბელიანის ენა დაეწუნებინა ან, მით უმეტეს, შებრძოლებდა ამ ენას. ან კი რა უნდა ჰქონოდა საბრძოლი „ყვარლის მთების“ ავტორს „სალამო გამოსალმებისას“ ავტორთან? ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურული ინტელიგენციის იმ წრეებს ერკინებოდა, რომელთაც „მკვდრის სუდარა“ ვადაფარეს ქართულს, ან კიდევ იმ ხელ-

რეზა თხარაძე
მთლიანი საქართველოს მისიტხე

მოცარულ „პიტიკოსებს“, რომელნიც „სამი სტილის“ თეორიის იშველიებდნენ თავიანთი შემოქმედებითი უილაჯობის ფარად. რადც არ მაგონდება, რომ საკუთრივ გრიგოლ ორბელიანის ენის თაობაზე ჭების სიტყვების გარდა სხვა რამ დასცდენოდეს ილიას.

ასევე კონსტანტინე გამსახურდია ილია ჭავჭავაძეს და მისთა მოდასეთ კი არ აბრალებს ენის დაკნინებას (მიუხედავად იმისა, რომ თავადვე ამბობს: „მწერალური ტრადიციები მისი, მანერა წერისა ჩემთვის არც ისე მახლობელი იყო“), არამედ იმ ხელმოცარულ მკვლავლებს, რომლებიც სოკოსავით მომრავლდნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და ეპიგონური ლიტერატურის ზღვა დააყენეს. ამ ზღვამ ლამის იყო წალეკა მთელი ქართული მწერლობა, პირისა და თეატრი.

ქართული ენის სინთეტური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი. იგი იმ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტების გადაღმა იდგა, როგორც სანონტანური, უაღრესად თავისებური მოვლენა; და სიტყვა ქართული დიალექტებით გამოწული რომელი იყო, არამედ ერთობლიობის მწვერვალადის ასული. რუსთაველი, საბა ორბელიანი, გიორგი მერჩული და დავით გურამიშვილი მთლიანი საქართველოს მესიტყვენი იყვნენ“.

აი ამ „ერთობლიობის მწვერვალადე ასული“ ქართული სიტყვის სამსხვერპლოზე მოიტანა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი დიდი ნიჭი, კოლოსალური ენერჯია და რაინდის შემართება, ამ იდეალის დასამკვიდრებლად იღვეის იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი.

„მე მუდამ მახსოვდა, რომ მშობლიური ენის ნიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი ხამშობლიობა“.

●
ამბობენ — სტილი მწერლის ხასიათის გამოვლენება არისო. იქნებ დავეკმატებინა — მწერლის ხასიათის, მსოფლმეგობრების და ტემპერამენტისა (ამ ტერმინის უფრო ზუსტ დეფინიციას ნულარ შევეცდებით, თორემ შესაძლოა ულრანებში შევიჭრათ და ბოლოს მიიწვ ვერ დავადგინოთ, თუ რა არის და რისი გამოვლიენება სტილი).

არაფერი ისე უცდომლად არ ამხელს ქართველი მწერლის ბუნებას, როგორც სტილი. ამ თავლასაზრისით თუ შეგხვდავთ ქართულ პროზას დასაბამიდან დღემდე, ვინაშე ყველაზე შესაფერისი ტერმინი გამოდგეს „პოეტური პროზა“.

არ შევცდები ალბათ, თუ ვიტყვი, რომ კონსტანტინე გამსახურდია ერთი ყველაზე პოეტურთავანია ქართველ პროზაიკოსთა შორის. ამ მოსაზრების გასაზრებლად სულაც არაა აუცილებელი იმის ცოდნა, რომ თავად მწერა-

ლი, ვთქვათ, „დიონისოს ლიმოს“ პოეტური პროზას, ან სულაც პოეზიას უწოდებს, ხოლო მის შემქმნელს — პოეტს. საკმაოდია ვრცელდებიან წაივითხოვთ იგივე „დიონისოს ლიმოს“ (მთლიანად), წაივითხოვთ „ზორეა ჯიორჯიანი“ „დიდი იოსები“, „პორცელანი“, „ლილი“, „ქოსი ვახუ“, „ტაბუ“, „ხოგაის მონღია“, „ბოლოს — „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“ (ორივე — თითქმის მთლიანად), „დავით აღმაშენებლის“ ისეთი თავები, როგორცაა „შეიბ მახილი“, „შენ ხარ ვენახი“, „პანისულ ბაღში“, „მოგონებანი მიმწუხრის ეპიგონა“, „ნურავინ გიყვარან“, „ზედახელი აფროდიტე“, „შშამი ერისთავი“, „ქართული ხილნარი“, „როგორ უხმობდა ბნელში მამალი ხიხობი ცისკარს“, „შავი ბაზილიკა“, „ლურჯი მიმინო“, „ჯოჯოხეთო, აღახვენ ბირნი შენი“, „უქანასკნელი რომი“... აღარაა ვამობ ცალკეული პასაჟებისთვის, სადაც პროზა ძალდაუტანებლად იქცევა თავისუფალ, ზოგჯერ კი მეტრის მქონე ლექსადაც (თოთხმეტმარცვლიანი წყობის მაგალითი „დიონისოს ლიმილიდან“: „მე მათ ქარხნებში ვიშუშავებ, როგორც ბოგანი, რომელმაც თავი გაიყიდა ლუქაპურისთვის; ასეთი რომის არასოდეს შემრცხვება, ვიცა. პურს ვერ ვიშოვნი? ვისაზრდოებ თუნდ ძირტიბლათი; გავათეე ლამეს ფარდულეებში; თვის ზვინებში, ან რკინისგზებისსადგურებზე, სკვერში, პარკებში“).

არა მგონია საჭირო იყოს ვრცლად განმარტება იმ ამბისა, რომ გამოთქმა „პოეტური პროზა“ სავსებით პირობითი მნიშვნელობით იხმარება (გარდა უქანასკნელად ნახსენები შემთხვევებისა, როდესაც პროზაული თხრობათვისუფალ თუ საზომის მქონე ლექსად გარდამქმნება ხოლმე). არც საერთოდ ქართულია და არც, კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის პოეტურობა არამც და არამც არ ნიშნავს პროზის სპეციფიკურ თვისებათა მოშლას ან მონათხრობის დატკბილუშას. არ ნიშნავს აგრეთვე ეპიურობაზე უარის თქმას. აქ ნაგულისხმევია მხოლოდ ზეაწეული ტონუსი, მოქარბებული ტემპერამენტი, მეტი სიმამტრე და ექსპრესიულობა სტილისა.

კონსტანტინე გამსახურდიას სტილი აღბეჭდილია განუმეორებელი თვითმყოფადობით. ერთი თვისება განუშორებლად ახლავს ამ სტილს: არასოდეს არ არის დაუდევარი, გულგრილი, დუნე და მოშვებული. დიდგ რულენებში, უტყუართ ადლოთი არჩევს მწერალყოველ სიტყვას, ყოველ შედარებას, სახეს, ოქრომქედლის გულისყურითა და მოთმინებით თხზავს ყოველ ფრაზას. და ეს ფრაზები ქარბად არის ხოლმე შინაგანად დამუხტული, ენერჯით აღსავსეა, ცეცხლოვანი, გასაფრენად გამზადებული უნა ცხენივით დაძაბული და მართოლოვანი, თორ-ამჯროსანი რინდივითა შემართული.

კონსტანტინე გამსახურდიას სტილის თავისებურებათა წარმოსაჩენად და გამოსამხურებლად ვრცელი გამოკვლევა უნდა დაიწეროს. აქ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე გავამახვილებ ყურადღებას.

წარმოუდგენლად დიდი ჯაფის გაწევა მოუხდა მწერალს იმ ლექსიკური მარაგის დასაუნჯებლად, რომლითაც ასერივად ბრწყინავს მისი შემოქმედება. აქ იგულისხმება „ძველთა ნიჭიერ მწერალთა“ თხზულებებისა და ფოლკლორული მასალის დაუცადებელი შტუდირება, იგულისხმება საქართველოს მთა-ბარის შემოვლა ხალხის მეტყველების შესასწავლად (ზემოთაც აღინიშნა: კონსტანტინე გამსახურდიას ლექსიკა უმთავრესად ამ ორი ნაკადიდან იღებს სათავეს). ვინ მოთელის, ვასაქრობდა განწირულ რამდენი სიტყვა ვადღურჩინა სალიტერატურო ქართულს, რამდენს შთაბერა ჰაბუტური სული და ახალი ძალით ააღვივარა სიტყვის სტიქიონთან ცისმარე დღეს მორჩინალმა. დიდი ვეჯაცობა იყო საჭირო ამ ზოვადამდგარი სტიქიონის დასაურევლად, მოსათვინიერებლად, გასახედნად და გასაწერთნელად; დიდი ალღო და ტაქტი, შეუშდარი გემოვნება და დახვეწილობა მართებდა მწერალს, უამისოდ ემპირიული მასალა მოუზომლად დახვადებოდა და სიკეთის ნაცვლად ზიანი შეეძლო მოეტანა.

აქ ატებხს კიდევ მრავალგზის განგაში: სალიტერატურო ქართული არქაიზმებით გაავსოო („დანაგვიანაც“ არაერთხელ წამოსცდენიათ). მუდამ მაოცებდა ამ „არქაიზმების“ გამო ამტყდარი ვიუშველებელი. უკვე აღარც მახსოვს, რამდენჯერ მაქვს წაითხული „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, ვკონებ წელიწადსაც არ გაუვლია ისე, რომ კვლავ და კვლავ არ მიებრუნებოდი ჩემთვის უძვირფასეს ამ ქმნილებებს. და, რაკინდ გულდასმითაც უნდა მეჩხრიკა ორივე რომანის ტექსტი, ორ ათეულზე მეტი ნამდვილი არქაიზმის აღნუსხვა ვერასოდეს შეეძლო. ორ ათეულამდე არქაიზმი ისტორიულ თემაზე შექმნილ ორ ნაწარმოებში სწორედ საარაკო ამბავია.

კონსტანტინე გამსახურდიასეული ფრაზა. ასე და ათასი მწერლის ნათხავიდან გამოარჩევთ ამ ფრაზას, მართლაც ნაქსოვის სიღბო და ნაქედის სიმტკიცე რომ ახლავს. ოღონდ ერთი წინაპირობა კი არის აუცილებელი: თქვენი სმენა სათანადოდ უნდა იყოს შემზადებული და გაწვრთნილი თხუთმეტასეულოვანი ქართული პროზის ხმიერებით და ხალხურ მეტყველების მუსიკით.

მეტყველებს საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული პროზის სტილისმიერ სასრუნავთან უმთავრესი იყო იმგვარი ინტონაციის მიკვლევა, რომლის მეოხებითაც მხატვრული ნა-

წარმოების ფრაზა მაქსიმალურად დაუახლოვდებოდა ხალხის მეტყველებას. ილია ჭავჭავაძემ აკაცი წერეთელმა, დანიელ ჭონჭიძემ, დავით ფშაველამ, ალექსანდრე ყაზბეგმა, სტეფანოშვილმა გვიანებით — დავით კლიაშვილმა და სხვებმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულეს. მაგრამ შემდეგ და შემდეგ თავი იჩინა ისეთმავე მოვლენამ, როგორც შეინიშნება ევრეთწოდებულ ალორძინების ხანაში, როდესაც ყოველი მოზაირე (სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და კიდევ ერთი თუ ორი პიროვნების გამოკლებით) თავისთავს მოვალედ რაცხდა უმკველად რუსთაველის ლექსისთვის მივბაძა, მისი სტილისტური ხერხები, მისეული ინტონაცია გაემეორებინა. ხსენებულ ხანაში ევგონების ეპიკონებმა რუსთაველის ლექსიბოლოსდაბოლოს „ხილთა ქების“ ჭაობებში დამირეს და მოვლენათა ლოგიკამ უღმობლად მოითხოვა აღნიშნული სტილისტური კალამტიდან გადახვევა. ასევე, მეოცე საუკუნის დამდეგისთვის აშკარა შეიქნა, რომ ქართული პროზა (პოეზიაც, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენ ამჯერად პროზის განვითარების საკითხს ვეხებით) უმკველად საჭიროებდა სტილისმიერ გადახალისებას. ამ დიდი საქმის პირველ თავკაცად მოგვევლინა ვასილ ბარსოვი. მან პირველმა შეკვამდა ქართული პროზის უკვე მონოტონურად მკლერ ინტონაციებს და იმდროინდელი მკითხველისთვის სრულიად მოულოდნელი (და ძნელად მოსანელებელი) ხმიერება შესძინა ფრაზას. შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძემ ცხადყო ბრწყინვალედ, რომ მხოლოდ ქართულკახლურ ზღაპრის ინტონაცია როდერ ყოფილა ქართული ზღაპური მეტყველების ერთადერთი მოდუსი. ასე მიბრუნდა განახლებისკენ ჩვენი პროზის უკვე მოდუნებული სტილი, ერთადერთი მიხილ ქავახიშვილი იყო, რაღაც სასწაულით რომ შეძლო გაკაფულ-გატკეპნილო გზით ევლო და მიინც თავისი განუშეორებელი ხელწერა შეექმნა (ეს საკითხი საგულდაგულო შესწავლას საჭიროებს).

გარნა კონსტანტინე გამსახურდია იმ ყიდის შემოქმედი არ გახლავთ, სხვათა მონაპოვარისა და მინაკვლევის გამოყენებით რომ შეიჭერებენ ხოლმე გულს. მას წილად ხვდა მისია ნამდვილი რეფორმა მოეხდინა ქართული ფრაზის აღნავობაში. ხოლო, რამდენადაც ეს საქმე, ემყარებოდა ჰემმარტად ტიტანურ შრომას („ძველთა ნიჭიერ მწერალთა“ თხზულებების, ფოლკლორისა და ხალხის ცოცხალი მეტყველების გულდასმით შესწავლას ათეული წლების მანძილზე), რამდენადაც მწერალმა ჯერ აბსოლუტურად შეისისხლხორცა ქართველი კაცის ზეპირი თუ წერიტი მეტყველების უთვალავ ფე-

რეზუმე თხზარამე

მიულანნი სამარტომილუს მისიტყვი

რად განფენილი სამყარო, ამდენად, მის მიერ მოხდენილი რეფორმა ქართული ფრაზისა ინდივიდუალური კაპრიზის შედეგი კი არ ყოფილა, არამედ ქართული ენის უშინავანესი წილიდან ამოიხარდა, ამ ენის ბუნების ორგანულ პროდუქტად მოგვევლინა.

ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: კონსტანტინე გამსახურდიას სტილის შესწავლა მომავლის საქმეა. აქ ჩემს თავს მხოლოდ იმის უფლებას ვაძლევ, მკითხველებს გავუზიარო, მართალია, ორი ათეული წლის მანძილზე წარმოებული, მაგრამ მაინც წინასწარი პირადული დაკვირვებები. სხვაგვარი პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეთ ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

უმთავრესი სიახლე, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ შესძინა ფრაზას, იყო დაღმავალი ინტონაციის შენაცვლება აღმავალი ინტონაციით.

როგორც უკვე აღინიშნა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული სალიტერატურო ენა განსაკუთრებით დაუახლოვდა ხალხის მეტყველებას. ოღონდ ამ საქმის მესვეურებმა და მათმა მიმდევრებმა სალიტერატურო ენისა და ხალხის მეტყველების ურთიერთმიმართების ყველა ასპექტი როდერმოციესს (ამგვარი ტერმის აწევა ერთი და ორი თაობის ძალღონეს აღემატებოდა). ქართულ პროზაში დაინერგა უმთავრესად ის ინტონაცია, რომელიც ყველაზე რელიეფურად ქართულ ზღაპარშია გამოვლენილი. ეს ინტონაცია კი დაღმავალი ხასიათისაა, ფრაზის დასაწყისი უფრო ტეკვიადა, ენერგიულად, ფრაზის დასასრული — შედარებით დაწეული ტონუსის მქონე, უფრო მოშვებული, უმთავრესი სათქმელი დასაწყისში იყრის თავს, შედარებით ნაკლებნიშვნელოვანი — ბოლოში. „ერთ დღეს ძმები სანადიროდ ერთ უცხო მთაში წავიდნენ. ნადირი ბევრი იყო. ინადირეს, დახოცეს ნადირი, მოეწონათ ადგილი, გაშალეს კარავი და დადგნენ. იმ ღამეს კარავში ეძინათ, დილით ადგნენ და ისევე ტყეს მიაშურეს“.

ამგვარი ინტონაციის თითქმის აბსოლუტურად გაბატონებამ საბოლოოდ მონოტონურობის დალი დაჩინა არაერთი ქართველი პროზაიკოსის ობზულელებს. ამ მონოტონურობას ვასილ ბარნოვი, ნიკო ლორთქიფანიძე და კიდევ ზოგიერთი მწერალი ფრაზის ლაკონურობითა და ლაბიდარობით წინააღმდეგნენ. ეს იყო „ზიბლიის“ მთარგმნელთა საუკეთესო ტრადიციების აღორძინება, მაგრამ ამგვარი სტილი ფართოდ ვერასგზით ვერ დაინერგებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სალიტერატურო ენა ლაკონურ გამოთქმასთან ერთად ვრცელ პერიოდებსაც საჭიროებს ერთობ ხშირად.


და, აი, კონსტანტინე გამსახურდიამ გამომწვეურა ხალხის მეტყველების წიაღში დრამა და მარბული და ძველი ქართული ტრადიციებითაც დადასტურებული სტილითავე რი ინტონაციური აღნაგობა ქართული ფრაზისა. ამგვარი ფრაზა აღმავალი ინტონაციის მქონეა, რაც შეინარსებულად იმას ნიშნავს, რომ უმთავრესი სათქმელი ფრაზის ბოლოში იყრის თავს, ფრაზის დასასრული უფრო ტეკვიადა და ენერგიული, შემართული, ზეაწეული ტონუსის მქონე. გრამატიკის ენით რომ ვთქვათ, ამგვარი ფრაზის სინტაქსი გულისხმობს პირდაპირი თუ ირიბი დამატების (ხოგჯერ აგრეთვე ქვემდებარის), ვითარების, დროისა და ადგილის გარემოების გადაადგილებას შემასმენლის მიმდევროდ, წინადადების ბოლოსკენ, რააც თან ახლავს ხოლმე სინტაქსური ტმესი — ურთიერთდაკავშირებული სიტყვების (მეტწილად მსაზღვრელ-საზღვრულს) გათიშვა. სახელდახელო მაგალითი: „კატის მიერ მიწოდებული ჰარისა მიირთვა ვაზირთა უპირველესმა მცირედი. მდუმარედ უჯდა სუფრას, სასანთლებებისა და მამხალეების შუქზე წმინდანს მიაგავდა იგი მარბულობისაგან დაშრეტისს“.

ფრაზის ამგვარი კონსტრუქცია თითქმის საცეხებით გამოირიცხავს მონოტონურობას, რასაც ვერაფრით ვერ ეგუება კონსტანტინე გამსახურდიას ტემპერამენტი. უნდა ვიფიქროთ, სწორედ მონოტონურობის თავიდას ასაცილებლად დანერგა მან აგრეთვე ერთი სტილისტური ხერხი — სხვათა სიტყვის ოს მომარჯვება წინადადების შუაში და არა წინადადების ბოლოს: „...ძილის დრო არიხო უკვე“, „გლოვა გამართებო, ცხენო, აღარა გყავსო გმირი ჭიპერი“.

ოღონდ „დანერგა“ ზუსტად ვერ გამოხატავს საქმის ვითარებას. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: აღორძინა.

რადგან ამ სტილისტურ ხერხს უძველესი დროიდანვე იცნობს ჩვენი ლიტერატურა. აბა მოუხსენიოთ.

„ნუ თუ უწყალოთ: ვითარმედ მრქვას ჩვენ — მოიყვანეთო ძმა თქვენი?“ („წიგნი შესაქმნათა“); „ზეცას დმირთა არხო და მას დაუბაღებთან ცანი და ქვეყანაჲ“ („სიბრძნე ბალაჰპარისი“); „უკეთუ ისმინოთ ჩემიო, კეთილსა ქვეყანისასა სჰამდეთ, უკეთუ არა ისმინოთ, მახვილმან შეგჰამნეს თქვენ“ (გობრონის წამება); „...რამეთუ ჟამი არხო ნადირთაჲ, რომელნი მოვლენ ტბასა ამას...“ („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“); „რომლისათვის თქვეს თუ — მისი უნდაო მეფობაჲ გიორგის“ („იონანესა და ექთიმეს ცხოვრება“); „გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგწყვიდნეს!“ (ეფთხისტყალსანი).



საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მწერალი აღნიშნულ სტილისტურ ხერხს ჩვეულებრივის პარალელურადაც ხმარობს, ესე იგი სხვათა სიტყვის და წინადადების შუაშიც მოაქცევს ხოლმე თს წინადადების ბოლოსაც.

ერთი მხრივ: „შენ სთქუ — დავარღვიო და სამსა დღესა აღვაშენო ეგვი“ (ევესტათი მცხეთელის წამება); მეორე მხრივ: „ვითარცა იტყვის პავლე მოციქული — მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ“ (იგივე).

ეს მოვლენა განსაკუთრებით თვალში საცემია „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“.

ერთი მხრივ: „ხსენებჲ მართალთაჲ ქებით აღესრულებიხო“; „რომელი იგი მე ოქროსა ქალაქ მქემნაო“; „... და თუ არა სისპეტაკე თმათა, არად სარგებელ არსო“; „... ძმისა თვისსა ნეტარსა ბახილისაო“; „შეეკაზმენით და ობოლნი ეგე აღიყვანენით, რათა წინაშე მეფისა წარვიდეთო“; „ერთი კმა ხართ და სხვათა განისვენეთო“; „უკეთუ თარგმანი არა იყოს, მითხველი დუმენო“.

მეორე მხრივ: „წინადაწარმეტყველთა მრავალთა დაფარონო პირი ყოვლისა ქვეყნისაჲ“; „სარწმუნოებაჲ და სასოებაჲ ეგვეითარა მაქნდაო, რომელ ვითარცა ქრისტესა ვხედვედი“; „ეტყოლნს წმიდას: „წარგიყვანითო წინაშე წმიდისა პაპასა“; „დიდად სწყალობსო მეფოსა ჩვენო“.

აღნიშნულ სტილისტურ ხერხს ეკა-ფშველაც მიმართავს ხოლმე, ვასილ ბარნოვიც.

ოლონდ, ძველად თუ ეს ხერხი სპორადულად იყო გამოყენებული, კონსტანტინე გამსახურდიან მას კანონზომიერი ხასიათი მიანიჭა. ამასთან, მან მეტიცედ დანერგა მისი: სხვათა სიტყვის ო მხოლოდ და მხოლოდ ზმნას, შემასმენელს დაერთვის და არა ნებისმიერ წევრს წინადადებისას. გარდა ამისა, კონსტანტინე გამსახურდია ჩვეულებრივს ხერხსაც უბრუნდება ხოლმე დროდართო, როგორც ჩანს, იმავე მინორტონურობის თავიდან ასაცილებლად („... მოიბოღინა, ბერძნულად ლაპარაკი გადამავიწყდაო“; „...სხვისი სამოსით მშვენიერი რიკხენის გულის მონადირებას ლამობსო“).

დასასრულ, უნდა ითქვას შემდეგი: მკითხველთა ნაწილს ადრე ეგონა (ზოგს დღესაც ეგონა), თითქოს აღნიშნული სტილისტური ხერხი კონსტანტინე გამსახურდიანს შეექმნას. ამასთან დაკავშირებით კვლავ და კვლავ იხსენიებოდა ხოლმე კონსტანტინე გამსახურდიანს ფრაზის „ხედმეტი სირთულე“ და „ხელწოდური კონსტრუქცია“. როგორც ხედავთ, მსგავსი მოსაზრებები გაუგებრობის შედეგად აღმოცენებულა და ამ საკითხის ირგვლივ კამათს არავითარი აზრი აღარ ექნება (მით უმეტეს, რომ აღნიშნულ სტილისტურ ხერხს დღეს უკვე საკმაოდ ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ მწერლები, არამედ მეცნიერნიცა და ჟურნალისტებიც. გარდა ამისა, ხალხური მეტყველებაც ადასტურებს ამ ხერხს).

2

ჩემი რომანებისა და ნოველების წერილისს მე არ დამჭირებია არც ერთი დასავლეთელი მწერლის ლიტერატურული სატელიტობა, რადგან სიკაბუკეში დიახაც ბევრი მისვამს შპრესს, სენას, მოსკვა რეკასა, ტიბრისსა და ტემზისს წყალი, მაგრამ ყველაზე მეტად მიმიართმევია მტკერისა და რიონისა.

კონსტანტინე გამსახურდიან. „რედაქციონის გამოცემის განმ“.

ვინც ქართული კულტურის განვითარების გზებს დაკვირვებია, უშეველად შეინიშნავდა ერთ ნიშანდობლივ მოვლენას: როგორც კი ეთნოგრაფიულობის სამანებს გასცდებოდა ეს კულტურა, მის წინაშე უმაღლეს აღიჭვროდა საკითხი ცალკერძ დასავლურ და ცალკერძ აღმოსავლურ კულტურასთან თავისი მიმართების გაარკვევისა. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევის ან ვისიმე კაპრიზის შედეგი. უფრო შორეულ ხანას რომ თავი დავანებოთ, ქართული რენესანსის ეპოქამ (X-XIII საუკუნეები) გარკვევით მიგვიჩვენა ამგვარი მიდგომის აუცილებლობა, როცა თავს იდგა სხენებულთა ორი კულტურის (დასავლურისა და აღმოსავლურის) სინთეზის დიადი მისია. ამით მკაფიოდ განისაზღვრა ქართული კულტურის რაობა და ის როლი, რომელიც მას, თუ რომ დასცლოდა, უნდა შეესრულებინა მსოფლიოს კულტურული განვითარების ისტორიაში.

ამგვარ მიდგომაზე უარის თქმა უშეველად ნიშნავდა ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალური ხაზიდან გადახვევას და ცდას — ეთნოგრაფიულობის ნაქუში გამოემწყვდიათ ან ეპიგონობის ბედითი დამღით აღებუქდათ იგი. ამიტომ არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ დაცემის ხანგრძლივ ეპოქის შემდეგ, როგორც კი შეიქმნა ასე თუ ისე ხელსაყრელი პირობები კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, სხენებული სინთეზის პრობლემა ხელახლა წამოიჭრა ქართველი ერის წინაშე.

სხვა დარგთან ეს პრობლემა ყველაზე ადრე მწერლობამ იტვირთა. სხვებზე ადრე მწერლები ჩასწვდნენ იმ კეშმარტებას, რომ ქართული კულტურის მაგისტრალური მიმართულების აღორძინებისა და თანადროული

რეპაზ თხარაძე

მთლიანი საპარტიველოს მისიტყვი

სულსკვეთების მასზე დამყნობის გარეშე ფიქრიც კი შეუძლებელი იქნებოდა უნივერსალური მასშტაბის ღირებულებათა შექმნისთვის. ამის დამადასტურებელია XVIII, XIX და XX საუკუნეთა ყველა დიდი მწერლის შემოქმედება. მართალია, სულ უკანასკნელ ხანებამდე საქართველოს არც ეცალა და არც შესაძლებლობა ჰქონდა კვლავ უშუალოდ ზიარებოდა დასავლურსა თუ აღმოსავლურ კულტურას. მაგრამ, სამაგიეროდ, იგი მიუბრუნდა ტრადიციებს ქართული რენესანსისა, რომელიც თავისი ავტორად წარმოქმნილი იყო იმდროინდელი მსოფლიო აზროვნების უსაჩინოეს მონაპოვართა შერწყმის, სინთეზის საფუძველზე, განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა, ამდენად, მისეულ ტრადიციათა აღორძინება თავისთავად ნიშნავდა როგორც დასავლეთს, ისე აღმოსავლეთის სიყვანძო პრობლემების ზიარებას. ის გზა, რომელიც ევროპისაკენ გადავდეს XVIII-XIX საუკუნეთა დიდმა მოაზროვნეებმა, წინააღმდეგე მთარული შეხედულებებისა, ახალი, მანამდე საცხებით უცნობი სამყაროს აღმოჩენას კი არ გულისხმობდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აღორძინებას ძველქართული რენესანსული სულსკვეთებისა, რომლისთვისაც სრულიად უცხო იყო ცალმხრივი მიმართულებით ორიენტაცია. ქართული კულტურის კრიზისი მაშინ იწყებოდა ხოლმე, როდესაც მისთვის დაიხშებოდა გზა მსოფლიო აზროვნების სიმაღლეებისაკენ, ან კიდევ მხოლოდ ერთი მიმართულებით იყო გახსნილი ეს გზა. ასე იყო ეგრეთწოდებულ დაცემისა და აღორძინების ეპოქებში: XIV-XVI საუკუნეები ყოველგვარი გზის დახშვის ბედილი ნიშნით იყო აღბეჭდილი, ხოლო XVII-XVIII (ზოგიერთი გამოჩენილის გარდა) — ორიენტაციის ცალმხრივი მიმართვი. ამ ხანაში მხოლოდ ზუღზან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს ადგათ ძველქართული კულტურის ათინაობა, მხოლოდ ისინი ჩასწვდნენ ქართული კულტურის თავისებურების ღრმა საიდუმლოს და კიდევ შეეცადნენ კვლავ უნივერსალური ზანიათი მიეცათ თავიანთი მოღვაწეობისათვის — ეთნოგრაფიულობის თუ ცალმხრივი აღმოსავლური გაცუენის, ემიგრანობის მძიმე უღლისკენ დაეხსნათ ქართული კულტურა.

ქართული რენესანსული სულსკვეთების აღორძინება უწინარეს ყოვლისა ნიშნავდა აზროვნების ისეთ სიმაღლეს და ინტერესთა სფეროს ისეთ სიფართოვეს, რომელიც აუცილებელი უნივერსალური წყობის დასაქულობათა შესაქმნელად. სწორედ ეს იგულისხმებოდა ზემოთ, როდესაც ითქვა, რომ სხვა დარგთაგან მწერლობამ პირველმა დააყვანა ხელახლა ქართული კულტურის სინთეზურობის დიდი პრობლემა. ამ პრობლემის გამო წუხილი მეტრაკლები ინტენსიობით გამოვლინდა ჩვენი დროის ყველა დიდი მწერლის ნაზარევიში.

კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთი პირველი იყო მეოცე საუკუნის დასაწყისი ხანის ქართველ მოღვაწეთაგან, რომელმაც წინაშე მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმითა წამოიჭრა აღნიშნული პრობლემა. ოღონდ მწერალი თავადვე გვაძენობს, რომ აქამდე მისასვლელად მას „დიდი და ვრცელი ზიგზაგების გაღლა“ მოუხდა. სიკაბუჯის წლებში ძველთუძველესი ინდური კულტურის საკითხებით გატაცებულს თავდაპირველად ვერც კი წარმოედგინა ალბათ, რომ ამ საკითხებამდე მიახლებსთვის სულაც არ იყო აუცილებელი უძველად შემოსავლელი გზით (ევროპის მერიდიანებით) აელო გეზი ინდოეთისკენ, რომ ამავე საკითხებამდე მას ქართული აზროვნების ტრადიციებიც მიიყვანდა. გარნა იხსნად ჩვენი ერის წარსულზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობდა, ასე რომ ევროპაში განსასწავლად გადახვეწილი უაბუჯი, თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით, დანტესა და იტალიური რენესანსის პრობლემათა შესწავლის შედეგად ხელახლა მოუბრუნდა აღმოსავლეთს — ირანს, არაბეთს, დაბოლოს — ბიზანტიას (იხილეთ „დიდოსტატის მარჯვენის“ ბოლოსიტყვა, ტომი II, „დავით აღმაშენებლის“ ბოლოსიტყვა, ტომი IV).

ეს ის დრო იყო (ჩვენი საუკუნის დამდეგი და ათიანი წლები), როდესაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდთა მამულიშვილთა დღაწლის მეოხებით ქართული აზროვნება იმდენად მომწიფდა ხელახლა, უკვე შეეძლო უმეშვეოდ ზიარებოდა ევროპული კულტურის მონაპოვრებს. გარდა მომწიფებისა, ამ აზროვნებას უკმარობის მძაფრი განცდაც აწვავდა. რადგან რამდენიმე ათეული წლის წინ შემუშავებული კრიტერიუმები უკვე მოძველებულიყო სინამდვილის, უწინარეს ყოვლისა, — კულტურის სისხლწორცეულ პრობლემათა ყოველმხრივ გასაზრებლად. ამან განაპირობა იმდროინდელი ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა ევროპისაკენ. კონსტანტინე გამსახურდია (თვითონ გვაუწყებს) 1912-1923 წლებში ევროპაში განსწავლასა და მოგზაურობას შესწირა.

იხსნად ეს ნამდვილ გმირობას უდრიდა. მატერიალურ მომენტს არ ვგულისხმობ აქ. უმათერესი სხვა რამ გახლდათ. საქართველოდან ბერლინში, პარიზში, ციურხაში, რომსა თუ ლონდონში მოხვედრულ ახალგაზრდას ემუქრებოდა უდიდესი საფრთხე — იმდენად მოუნუსხა ან სულაც გაესრისა იქაურ კულტურას, რომ ყოველივე ეროვნულისათვის საბოლოოდ ზურგი შეექცია, სკვანისით გამსჭვავოლოდ ორიენტაცია დაეკარგა და უნებურად კოსმოპოლიტად ქცეულყო (ზოგიერთი ევროპაში წაუსვლელადაც ახერხებდა და ახერხებს ამას). ნუ გავგვიძიებთ ამ სტრიქონების წაკითხვისას, დღევანდელი საზომათ ნუ შეგებდათ



საქმის ვითარებას. დღესდღეობით ქართველ კაცს საკმაოდ ნათლად აქვს (ყოველ შემთხვევაში — უნდა ჰქონდეს) გარკვეული თავისი ერის კულტურული რაობა და ჩინებულად მოესწინება (ყოველ შემთხვევაში — უნდა მოეხსენებოდეს), რომ არავის წინაშე არ მართებს მორცხვად თავის დახრა. მაგრამ 50-60 წლის წინ სხვაგვარი იყო ვითარება. ბევრ, ძალიან ბევრ ახალგაზრდას აღუჩნია თავგზა ევროპული კულტურის დიდებულ მწვერვალთათვის თავლის გასწორება, რადგან უკომუნასოდ უზღვებოდათ ამ დამატარებელ სიმაღლეზე მოღვაწე.

ეს ისეთი სენი იყო, მისი საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამოსამუშევრებლად არ გამოდგებოდა მარტოოდენ სულიერი მხნეობა და ურამატრიოტიზმის მყავე-მყავე აბები. სამამოსოდ აუცილებელი იყო კაცს ავრეთვე ჰქონოდა არცთუ იოლად საშოვნელი წამალი, აზროვნების ძალმოსილებად სახელდებათ. და კიდევ: იშვიათი უნარი საქვეყნო საქმისთვის პირადულის დათმობისა, დაუცადებელ შრომაში სამშობლოსთვის თავის დაღებისა.

დღევანდელი ახალგაზრდა კაცი მშამზარული რეცეპტებით იზრდება და ზოგჯერ იმდენ უმადურებას იჩენს, არც კითხულობს, თუ ვინ ამზადებდა ან როგორი ვარჯის ფასად ამზადებდა ამ რეცეპტებს. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება უკვე შეჩვეულია კულტურის ფაქტების გამო მსოფლიო მასშტაბებით საუბარს, დღევანდელი ჩვენი ეტალონები პროვინციულ შეზღუდულობას კვლავ ეგუება. მაგრამ ვინ იტყვის, თითქოს ყოველთვის გვექონდეს გათვალისწინებული წინა თაობათა ის ღვაწლი, ურომლისოდაც ამგვარი თვალსაზრისის მოპოვება არამც თუ შეუძლებელი იქნებოდა. უბრალოდ არც კი მოგვეზმანებოდა. „არც ერთ ერს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე რომელიმე დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის შეუტრევედ არ უტყვია თავი. ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობაა და მსოფლიო პროვინციის უნიათო-ლულულდი... არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მოეწყება“. დღესდღეობით თითქოს თავისთავად ნაფულისხმევ კემშარიტებად მიჩნეული მსგავსი ღოჭუნებები რამდენიმე ათეული წლის წინათ ნამდვილ გადართაობას მოასწავებდა ქართველი კაცის შეგნებაში (ამიტომ იყო, რომ მხოლოდ გაცივებას ვი არა, ვულოსწყობისადაც იწვევდა ზოგჯერ). უნებურად აღიძვროდა კითხვები: გვაქვს კი უფლება ასეთი მასშტაბების მოხაზვისა? ისეთ სფეროებს ხომ არ ევოტირებით, სადაც ჩვენი შეგობა და თვითმყოფადობა შესაძლოა უმოწყალოდ მისიისის? როდის იყო, რომ ქართველობას დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის შეუტრევედ უგულვებია თავი? ამ კითხვებზე


ბასუსის გაუტემლად ქართველ კაცს, რომელსაც უკვე გვარიანი დონით ჰქონდა ნაფულისხმეობა სკეპსისის ბანგი, წაღმა პირს ვერ ახევიდა დიდი.

არა, მამულიშვილური გრძობების გაღვივებას როდი ეხებოდა საქმე. საყველბურო პატრიოტიზმი, ღეთის წყალობით, არასოდეს გველებია მაინცდამაინც. უმთავრესი სხვა რამ იყო, გაცილებით ძნელად განსახორციელებელი რამ: საჭირო იყო ისტორიული საზრისის პოვნა, მანამდე მხოლოდ ინტელტურად ნაგზნებ ისეთ ასპექტთა მიკვლევა, წარმოჩენა და დასაბუთება, რომელთა წიაღშიც კემშარიტად სცნობდა თავისთავს დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის მტვირთველი ერი. ამ დიდი საქმისთვის რამდენიმე გამორჩეული მოაზროვნე იღწავოდა საქართველოში და მათგან ყველაზე სამამო იქნებ თე ორი თუ სამი ადამიანის ზვედრი იყო, რომელთაც მხოლოდ ცნებებთან და ლოგიკურ კატეგორიებთან კი არ ჰქონდათ საქმე, სიტყვის სტიქიონთან მიწყვი რკენაც უზღებოდათ საუწყებელისთვის მხატვრულ ქსიოლთა შემოსაღობარდნად.

ახლა, როდესაც ჩვენი წინაშეა კონსტანტინე გამსახურდიას რჩეულ თხზულებათა რვატომეული, ძნელი არაა თვალი მივაღვენოთ, თუ როგორ იხეწება და კრისტალდება მის აზროვნებაში ეს იდეალი, ძნელი არაა ჩავხედეთ იმ ამბავს, რომ მან სიზაბუკიდანვე ამ იდეალის განსახორციელებლად გადადგა თავი და სწორედ ისეთ სფეროებს დაეწაფა (თავდაპირველად იქნებ გაუცნობიერებლადაც), რომელთა წვდომაც აუცილებელი პირობა იყო ამ იდეალის სამსახურისთვის.

უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო აზროვნების აბსოლუტურად ევროპულ დონეზე ამაღლება, რაც, ქართველი კაცის თანდაყოლილ ნიჭიერებასთან ერთად, უმკველად გულისხმობდა უფართოესი მასშტაბის განაძლებას. განსწავლის ამ პროცესში არ გამოირიცხებოდა (ვერც გამოირიცხებოდა!) უცხოური კულტურის გარკვეული ზეგავლენა, რასაც თავისთავად დაძლევა მომწიფებულნი, სიზაბუკის დუღილმომთავრებული აზრი და მწყობრი მსოფლმხედველობა, ამავე ზეგავლენასთან ბრძოლაში ჩამოყალიბებული თავად მწერალი მოგვითხრობთ ამის თაობაზე: „განსწავლისა და მოგზაურობათა წლებში მე არ დამკლება ბერგსონის, ედუარდ პარტმანის, არტურ შოპენჰაუერის, სედეზობორგის, შტაინერის და კორკევის ზეგავლენანი. უფრო მეტს ვიტყოდი. განსაზღვრულ პერიოდებში ანგელუსსილენსიუსს, სუზოს და ფრანჩესკო ასიზელის სუნთქვაც მომწვდენია. იმავე წლებში გატაცებული

რეზავა თვარაძე
 მთლიანი სამართავილოს მისიტხვი



ვყოფილვარ ჩინური, არაბული და ინდური ფილოსოფიის შედეგებზედაც“.

მაგრამ ყველაზე დიდი გავლენა კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში ღვთაებრივმა გოეთემ იქონია. მასში ჩასწვდა ევროპის ქალაქებში მოგზაური ქართველი ქაბუცი პიროვნების იმ პარონიულობას, რომლის წიაღშიც ძალდაუტანებლად შერიწყვის აზრის თვალშეუდგამი სიმაღლე, გონის შემშლელ უფესურელთა წვდომის უნარი და უბრალო ადამიანური ვენებები, ყოველღიუროთ ტკობა და თრობა. მოგვსენებთ, ეს ისეთი თვისებაა, საუკუნეთა მანძილზე ერთხელ და ორჯერ რომ გაშოვლინდება ხოლმე. ეს არის ადამიანი, რომელიც ერთი მხრივ — „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი, ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი“; ხოლო, მეორე მხრივ — ღვინის მსმელი, მონადირე, არმიაცი, რომელიც ყმაწვილურ ხუმრობასაც არ ითავილებს, რადგან „ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შევე-იქმს ლაღებად“ (სხვათა შორის, რენესანსის უმთავრესი ამოცანა სხვა არაფერია, თუ არცა ამგვარი პიროვნების ანტიკური იდეალის აღდგენისა).

შემთხვევით არ მომხდარა, ცხადია, რომ სწორედ ამ პიროვნებას უძღვნა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი ერთი უმშვენიერესი ნაწარმოები — „გოეტეს ცხოვრების რომანი“. მაგრამ აქ მაინც სხვა რამ იყო უმთავრესი: გოეთეს პიროვნებაც და შემოქმედებაც ისევ და ისევ აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა სინთეზის პრობლემისაკენ მიუთითებდნენ განსწავლის პერიოდში მყოფ ქაბუცს, ხოლო ამ პრობლემის

გულდასმით, გამოწვევლივით შესწავლას და ყოველმხრივ გააზრებას იგი ბოლოსამართლად სწავლიდა მიეყვანა იმის შეცნობამდე, თუ რა უფრო მეტი გვარი სინთეზი იყო ქართული კულტურის ძველთუძველესი იდეალი, მისი კუთმარტი მისია.

„მე მუდამ მინიშნებული მქონდა ის გარემოება, რომ ქართული კულტურის დიდი მოღვაწენი აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა სამანებზე იდგნენ, ამ პოზიციებზე მდგარნი მუდამ სინთეტიურ გზებს ეძებდნენ. ქართული სიტყვისა, ფერწერისა და ხელოვნობების დიდოსტატები კარგად იცნობდნენ როგორც ირანს, არაბეთს, ისე ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის კულტურულ საუნჯეებს, ისინი არასდღეს კმაყოფილდებოდნენ რეცეპტიული აღქმით, პირიქით, ახალ სიტყვას ეუბნებოდნენ თავიანთ თანადროულ მსოფლიოს“.

ეს, ასე ვთქვათ, თეორიული მხარეა საქმისა, ხოლო პრაქტიკულად:

„დიონისოს ღიმილით“ მე მოვსძებნე სინთეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის“.

გარდა ამისა, კონსტანტინე გამსახურდიას, ვითარცა ისტორიული რომანების ავტორს, ბოლომდე უნდა გვაზრებინა, თუ როგორ გარდატეხებოდა საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ყოფაში ზემოთ მინიშნებული იდეალი. ამგვარი გააზრებისა და წვდომის გარეშე ჩვენს წინაშე გაკრთებოდა მოვლენათა ზედაპირული მდინარება, ხოლო მდინარების მამოძრავებელ იმპულსებს ეერ შევივარძნობდით.

3

აზომ არ არის სოფლისა საღამო, არცა დიღია, სიზმრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია.

შვილთა მნათობთა სინათლე გაქვს არა შენ დაყოფილი.

რუსთაველის მიმბაკმვლნი

იქ ესალმება შუქი ნათელს ზოდიაკალურს.

გალაკტიონ ტაბიძე

სინთეზის უმთავრესი ამოცანა იყო სამყაროს იმგვარი მოდელის მიკვლევა, რომელიც მაქსიმალურად შეესატყვისებოდა ქართველი კაცის ბუნებას, მის მსოფლმეგობრებასა და ტემპერამენტს. ამგვარი მოდელი, იმავე აღმოსავლური და დასავლური კულტურებისკენ უკუფენილი (თუ წარმოვიდგენთ იდეალურ ვითარებას, რაც ისტორიული უკუღმართობის გამოისობით ვეღარ განხორციელდა), აღმასვლის მძლავრი სტიმული შეიქნებოდა ამ კულტურებისთვის.

შუა საუკუნეთა გარემოებაში ეს იყო უაღრესად ძნელად შესასრულებელი ამოცანა.

უწინარეს ყოველთა უნდა გარკვეულიყო

„ნესოსოფლისა“ და „სოფლს“ (ანუ ზეციურისა და ამქვეყნიურის, ფილოსოფიურ ასპექტში — იდეალურისა და მატერიალურის, ერთისა და მრავალის, სუბიექტურისა და ობიექტურის) მიმართების რაობა. უამისოდ იმ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა რაიმე მწყობრის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის.

როგორი მემკვიდრეობა მიიღო ქართული რენესანსის ეპოქამ (X-XIII საუკუნეები) ამ თვალსაზრისით?

თუ თვალს მოვაგვლენთ ფილოსოფიური და ლიტერატურ-ფილოსოფიური აზრის მდინარებას უძველესი დროიდან აღნიშნულ ეპოქამდე,

ენახავთ, რომ ამ მდინარების ძირითადი ნაკადი სოფლის უარყოფის პათოსით წარმოიშობა. ჯერ კიდევ პარმენიდემ ამცნო კაცობრიობას, რომ შეგრძნებათა სამყარო, სოფელი არა-არსია, არარაა, მოჩვენება, და მხოლოდ უგუნურს შეუძლია იფიქროს, თითქმის არა-არსი არის და არსი (ერთი) არ არის. შემდეგ პლატონმა დაადსტურა, რომ ცვალებადობას მორჩილებული სოფელი კიდევ არის და არც არის, იგი მხოლოდ აჩრდილია და არა ნამდვილი სინამდვილე. ეს ფუძემდებლური დებულებები ხალისით იქნა გაზიარებული ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში თავდაპირველად გნოსტიკოსებისა და მისტიკოს პლატონელების, შემდეგ — ნეოპლატონიკოსებისა და ქრისტიანული ფილოსოფიის წარმომადგენელთა მიერ. ამას დაერთო, როგორც ჩანს, მანიქეიზმის დუალისტური მოძღვრებასა და ბუდიზმის ვარკვეული გავლენანი და მოხდა ძალზე ნიშანდობლივი რამ: „წმინდა ფილოსოფიურმა, მეტაფიზიკურმა დებულებებმა თანდათანობით ემოციური შეფერილობაც შეიძინეს (პლოტინის ცნობილი შედარება: ღმერთი — სინათლის წყარო, და მისი ემანაცია — სხივი, რომელიც თავისი წყაროდან დაშორებისდა კვალობაზე თანდათანობით კარგავს სიცხორველს და ბოლოს მატერიის წყვილადღეს, რთქება. ამასთან დაკავშირებით ვაიხსენოთ ვინდელბანდის მახვილგონიერული შენიშვნა, რომ ამ შედარებამ შემდეგ თავად პლოტინისავე აზრთა წყობაზე იქონია გარკვეული ზეგავლენა. ამასთან, მეტაფიზიკური დებულებები ეთიკისა და ესთეტიკის სფეროშიც იქნა ვადანერგული (მატერიის / ნეოპლატონურ-მანიქეური ეპითეტი — „ზელი“; მსგავსად ზორასტრული რელიგიისა, იქცა „ბორტის“ სინონიმად), გარდა ამისა, საქმეში ჩაერია სოციალური მომენტი — ეკლესიის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს უზურპაცია. და საბოლოოდ მივიღეთ თვალსაზრისი, რომელიც თანაბრად იყო დაშორებული როგორც ანტიკურ პირველწყაროებს, ისე ქრისტიანობის ამოსავალ დებულებებსაც: „რომელმან შეურაცხ-ყოს საწუთრო და მოიძულნეს საქმენი მისნი, მან პოოს საუტუნესა მას წყალობაჲ დაუსრულებელი“.

ამ ეთიკური ფორმულის საყოველთაო დოგმად ქცევა ადამიანის პარმონიული განვითარების ანტიკური პრინციპის სრულ უარყოფას ნიშნავდა. აქედან — ასეკრიზმის ამპარზენი ფორმები და კულტურული განვითარების მკა-

! შეადარეთ: „ჰგონებნ უგუნური არსსა მას არა-არსსა და არა-არსსა მას — არსსა. ზოლო არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არა-არსი — სოფელი ესე“. და შემდეგ: სოფელი „არს და ვითარცა არა არს“ („სიბრძნე ბალაჰვარისი“).

კრი რეგლამენტაცია, სულისშემბუთველი ატმოსფეროს დანერგვა და სწორედ იმ იმპულსების შეფერხება, რომელთა გავლენასაც სისახადენენ უმთავრეს მიზნად პლატონმა დაწვეული ქრისტიანებიც. რადგან პლატონს რომ სხეული სულის საპყრობილედ მიანდა და მისგან განთავისუფლების საჭიროებისთვის ლაპარაკობდა, არ ავიწყდებოდა იმის აღნიშვნა, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მომავლისთვის მომზადება უნდა იყოს, ხოლო მომზადება ადამიანის აქტიურ, ქმედით პრინციპთა დაუცადებელ წვრთნასა და სრულყოფას გულისხმობდა; ასევე ძველი ათქმის „ცანი ცათანი უფლისანი არიან, და ქვეყანაჲ მოსცა ძეთა კაცთასა“ და ახალი ათქმის „შაბათი კაცისათვის დაეზადა, და არათუ კაცი შაბათისათვის“, ქანქარის მფლობელი მონის იგავი, „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დახსნად სჯულისა... არა მოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად“ და მისთანანი — იმას მოასწავებდა, რომ ამ მოძღვრების მიმდევარებანი ქმედითს ცხოვრებას მოითხოვენ და სოფლის არა-არსობის ონტოლოგიური დებულების გონითი, აზრითი და ფიზიკური საქმიანობის სფეროში მექანიკურად ვადმონერგვა და მისთვის ემოციურ-ეთიკური ელფერვის მინიჭება გაუგებრობის შედეგი იყო. ამ გაუგებრობამ გარკვეული დროის განმავლობაში შეაფერხა ქრისტიანული მსოფლიოს კულტურული განვითარება და კაცთა მოდგმის არაერთი სასიცოცხლო იმპულსის ჩახშობას შეუწყო ხელი. აქედან — ის ხარვეზები დასავლურში და აღმოსავლურ ქრისტიანობის კულტურაში, დღემდისაც რომ არ ამოვსებულა საბოლოოდ, ის წყვეტილები, ანტიკურსა და რენესანსის ეპოქებს რომ თითვეს ერთმანეთისგან.

აღრულ შუა საუკუნეთა ქართული კულტურა ქრისტიანობის ლეილი შვილი იყო და, ამდენად, ყოველივე წამოთქმული ამ კულტურაშიც იჩენს თავს მეტ-ნაკლებად. მით უმეტეს, რომ საქართველო დაკავშირებული იყო ქრისტიანობის აღმოსავლურ ფრთასთან, ხოლო აქ (როგორც ჩანს, სხვა აღმოსავლურ მოძღვრებათა ზეგავლენითაც) სოფლის მოძველების ისეთი ყოველმომცველი კულტი იყო დანერგული, რომ მისით სუნთქვდა მთელი კულტურული ატმოსფერო.

„სიმდიდრე წარმავალ არს, და პატოსნებაჲ ცუდ იქმნების, და სიკეთე შეიცავლების, და შევნიერებაჲ განირყევის, და ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ ამაო იქმნების, და ვითარცა სიზმარი დაიფიყების, და ვითარცა კვამლი განქარდების, და ვითარცა აჩრდილი წარავლს“ (იოანე ოქროპირი);

„...შეხანი და გემონი სოფლისანი სიკვილი-

მეხვე თხარამე

მთლიანი საქართველოს მისიტხამე

სა შობენ, და სიყვლით მოაკვირნებს შენი-
ერებად მისი (სოფლის) ტრფალთა მისთა,
„ამისთვის ევლტან (გაურბიან) სოფელს ამას
მონაზონნი ვანშორებულნი, რაათა არა შეიტ-
ყუენეს შენიერებაჲმან მისმან წარმავალმან და
დაუდგრომელმან, რომელი მსგავს არს სიზმარ-
ისა, და ვითარცა ჩვენებად ღამისად განქარდუ-
ბისა;“ „კითოლ არს შენდა საყოფელი საგლა-
ხაკოა, უღონოა და უბოარი. ესე უშრობეს არს
სამკვიდრებელსა სოფლისასა შენიერებითა
სავსესა, რომლისა სამკვიდრებელი ცეცხლი
და სატანჯველი არს;“ „განვთავისუფლნეთ
სულნი ჩვენნი მონებისად სოფლისა ამის
შვის წარმავლისა და ცუდისა, რომელი სავ-
სე არს ეკლითა და საფრხითა მაკვირებელი-
თა“ (ეფრემ ასური).

ამ რადინირებულ რელიგიურ-ფილოსოფი-
ურ შეგონებას საყოველთაოობის პრეტენზია
ქონდათ და სრულიად ვერად ითვალისწინებ-
დნენ სახარებაშივე მოცემულ ვაფრთხილებას,
რომ „არა ყოველთა დაითონ სიტყვად ეგე,
არამედ რომელთა მიცემულ არს“. ამდენად,
აღნიშნული ეთიკური კრედი იმავე ქრისტიან-
ობის თვალსაზრისით ჭეშმარიტი შინაარსის-
გან. დაკლით იყო და ხელის შეწყობის ნაცე-
ლად აფერხებდა ისტორიის ლოგიკურ მდინა-
რებას. სოფლისა და ზესთასოფლის ამგვარი
გათიშვა, შეურიგებელი დაპირისპირება (სო-
ფელი — ბორტება, ზესთასოფელი — სიყე-
თე) სრულიად შეუძლებელს ხდიდა რაიმე გა-
მოსავალი მოძებნოლისა წარმოქმნილი მსო-
ფლმხედველობრივი ჩიხიდან და ამას კულტუ-
რის სფეროშიც სავალალო შედეგები ახლდა
შეზარად.

ქრისტიანობის პირველი ქართული აღმე-
ტებიც გულმოდგინედ შეეცადნენ სოფლისა
და ზესთასოფლის შეურიგებელი დაპირისპი-
რების, სოფლის მოძაგების პრინციპებით ეხელ-
მძღვანელათ და ამ საფუძველზე დაემყარებინ-
ათ ახალი ქრისტიანული კულტურა. მაგრამ,
მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაკადმა ქართულ
მწერლობას შესძინა ისეთი შედეგები, როგო-
რიცა „შუშანიკის წამება“ ან „სიბრძნე ბა-
ლაჰვარისი“ (სხვა ნაწარმოებთა გამო რომ
ალარაფერი ვთქვათ), აღნიშნული ცდა შინც
ინთავითვე განწირული იყო. ოღონდ იმიტომ
კი არა, თითქოს (როგორც ზოგიერთი მკვლე-
ვარი ამტკიცებს) საქართველოში ძლიერი ყო-
ფილიყოს წარმართული კულტურის გავლენა
და მისი გადმონაშთები. ფიქრობ, სოფლისა
და ზესთასოფლის დაპირისპირებისა და გა-
თიშვის მსოფლმხედველობაში თავჩენილი კრი-
ზისის მიზეზი ამ მსოფლმხედველობის წიაღში-
ვეა საძებნელი. ხოლო ის ვარაუბები, რომ ეს
კრიზისი საქართველოში გაცილებით ადრე
შეიქნა სიცნაური, ედრე სხვა ქრისტიანულ
ქვეყნებში, უნდა აიხსნებოდეს სამყაროს ამგ-
ვარი მოდელის სრული შეუსაბამობით ქართ-

ველი აღმინის ბუნებისადმი, მისი ფსიქოლოგი-
წრობისადმი, მისი მსოფლშეგრძნებისა და ტემ-
პერამენტისადმი, რაც გარკვეულ განსაზღვ-
რულ-გეოგრაფიულსა და სოციალურ-მორალურ
კურ პირობებში ყალიბდებოდა ათეულ საუკუ-
ნეთა მანძილზე.


უკვე „შუშანიკის წამებაში“ გაისმის იმის
მომასწავებელი სიგნალები, რომ, მიუხედა-
ვად სოფლის ამოების მძაფრი შეგრძნების
და ამ დარგში არსებულ შეხედულებათა ჩი-
ნებული ცოდნისა (ესე ყოველი ცხობრება
ვითარცა ყვავილი ველთაა წარმავალ არს და
დაუდგრომელ..“), მისი მოძაგება განუქურნე-
ბელ ტრავიზმსა და უფსკრულის სიყაროელს
ბადებს საბოლოოდ. „განვისაჯნეთ მე და ვარს-
ქენ პიტახში... — აღმოხდება სასიკვდილო სა-
რეცელზე მწოლარე შუშანიკს. — მიაგოს მას
უფალმან, ვითარ მან უცამოდ ნაყოფნი ჩემნი
მისითელნა და სათელი ჩემი დაშრიტა და
ყვავილი ჩემი დაანთო, შენიერებას სიკეთი-
სა ჩემისა დააბნელა და დიდება ჩემი დაა-
დაბლა“.

ავიოგრაფიის კანონიკური სახეობისთვის
ამბოლუტურად უცხო და მიუღებელი ეს გა-
ტირება უდროოდ დამკვიარი სიციოქლის.
მშენიერების და დიდებისა, წმიდანის ეს გო-
დება სოფლიურ სიკეთეთა გამო იმდენად გუ-
ლის შემძერულია, რომ მის ფონზე ერთობ
მკრთალდება უამისოდაც ნეოსტორი სულის-
კეთების მიმნიშნებელი ეგვიპტის: „ქირისა
ამისა წილ ქრისტემან მომამაღლოს მე სიხარუ-
ლი, სატანჯველთა ამთ წილ განსვენებად, გვე-
მთა ამთ ჩემთა და თრევეთა და შეურაცხება-
თა — მივემთხვიო მე დიდებასა და პატეოსა ცა-
თა შინა დაუსრულებელსა“.

ასევე არ ეთმობა სოფელი წმიდანობის სა-
ფეხრამედ ამაღლებულ აბენეს მეფეს („სინა-
რძნე ბალაჰვარისი“) სიკვდილის წინ: „ნუ
მბარალომ, შეილო, შეწუხებასა, რამეთუ ბუ-
ნებით თანა-ც ყოველსა სულსა მწუხარებად
განშორებისათვის ხორტოასა და დატევები-
სათვის პავრისა და ნათლისა და წარსლისათ-
ვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიციო, თუ ვი-
თარსა იწროებასა მივალო“.

ასევე ვერ ახერხებს „სიბრძნე ბალაჰვარისის“
ქართული ატორი სოფლის მოძაგებისა და
უღანოდ გასლის მოსწრაფე ირდასად მეფეს
ამ თუ ისე დამაჯერებელი პასუხი მიაგვიზოს
მის მიერ სანაშენის მიტოვებით შემფთხებულ
დიდებულთა შეკითხვისა და საყვედურისთვის:
„უკეთუ დაუტეო ესოდენი სიმრავლე უწინამ-
ძღვროდ, და ანუ აღდგენ ბრძოლანი და შფო-
თნი, ანუ კვალად მიიქცენ კერპთა მიმართ, არა
შენგან იზღვიოსა ესოდენი სული, რომელ არს
სამეფოსა ამას შინა შენსა?“

ეს გაუცნობიერებელი, მეტწილად ინტუი-
ტურად გამოვლენილი წუხილი სოფლისა და
ზესთასოფლის გათიშვის მქადაგებელი მსოფლ-



შედეგობის კრიზისის გამო ბოლოს და ბოლოს ფართო სადინარს პოპულროს და დაინენების მოთხოვნეს სამყაროს იმგვარ მიდღეს, რომელიც ამოაყენებდა ამ პირამიდულ უფსკრულს, მისედაგებოდა აღმავლობის გზაზე მღვარი ქართული კულტურის ძირეულ ტენდენციებს.

და ამგვარი მოდელის დასახვა შესაძლო შეიქნა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის განსაცვიფრებელ მოძღვრებაზე დამყარებით (ქართული რენესანსის ამ ფილოსოფიური ძირის შიკველევა და ხაზის — არეოპაგელი-რუსთაველი გავლენა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის აწვდილი შიკველევა დამსახურება. მასვე ეუთვნის აღმოჩენა, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი არის იგივე პეტრე იბერი, მეხუთე საუკუნის ქართველი მოღვაწე). ეს არის ნეოპლატონიზმის წიაღიდან აღმოცენებული, მაგრამ საბოლოოდ სრულქმნილი ქრისტიანული მსოფლმხედველობა. აქ სამყარო დასახულია საფეხურებად განფენულ სიკეთედ, რომლის მწვერვალს წარმოადგენს ერთი ანუ ღმერთი (ჯონებში მიუწვდომელი, შეუცნობელი და გამოუთქმელი ზესთასიკეთე). ღმერთი არის ყოველივე შექმნილსა და გამოვლენილში, ამდენად, ბოროტებისთვის არსად რჩება ადგილი. მატერიაც კი არ არის ბოროტება (ნეოპლატონიკოს პროკლეს მიერ მიკვლეული აზრი), ბოროტება საერთოდ არ არსებობს სუბსტანციურად („ბოროტი არცა არსთა შორის არს, რც არა-არსთა“). ის, რაც გარკვეულ საფეხურზე ბოროტებად გვეჩვენება, არის მხოლოდ სიკეთის ნაკლებობა და არცოდნა იმისა, რომ ყოველივე არის სიკეთე. ზესთასიკეთე, ერთი, ღმერთი შეუცნობელია, მაგრამ შესაცნობია მის მიერ გარდამოფენილი ნათელი, რომელიც, ისევე როგორც ხილული მზე, თანაბრად მიფენება ყოველ ქმნილებას (ხოლო რამდენად ეზიარება ამ ნათელს, სიკეთეს ესა თუ ის ქმნილება, დამოკიდებულია ნათლის მიმდებლობის მისხავე უნარსა და ძალაზე). ღმერთი არის ყოველივეში, ოღონდ ყოველივე როდია ღმერთში („იგი ყოველსა თანა არს, ხოლო ყოველი არა მის თანა არს... რამეთუ იგი არა ადვილსა შინა არს, რამთა შორვიდეს ვისმე; არცა სხვითი-სხვად მიიკვალეების, არამედ ყოველთავე არსთა შინა ყოფამ მისი ითქმის ყოველთა უხეშთაისისა და ყოველთა გარე-შემცველისა უზომოდას მიუწვდომლობისა მისისაგან“). მაგრამ ყოველი არის ისწრაფვის მისკენ, ისწრაფვის მერტი და მეტი სინათლედ, სიკეთე შეიმოსოს, თანდათანობით მიეახლოს ღმერთს. ეს აღმასვლა ანუ უკუსვლა (გამოვლენილი სამყაროს ერთისად მიბრუნება) სპირალური გზით ხორციელდება, ზემდგომ იერარქიათა წიაღ, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთი კი არ დაბლდება ამ იერარქიულ საფეხურებ-

ზე, არამედ არსნი მალღებნიან თანდათანობით (არეოპაგელს მოაქვს ამგვარი გავალითა: ზღვის კიღეს მიახლოებული მენავენი... კულტურა გამოხეულ საბელს მოზიდავენ და მიიმოკლებენ. ამის შედეგად კლდე კი არ უახლოვდება ნავს, არამედ ნავი — კლდეს. „არა მას შთამოვიზიდავთ, რომელი ზეცა არს და ქვეცა, არამედ ჩვენ მის მიერ აღვიყვანებთ...“). და ეს სწრაფაა ამაღლებისაკენ, სრულქმნისაკენ, სიკეთისაკენ იმდენად ყოვლისმომკველია, რომ (არეოპაგელი გამოთქვამს გამოვლენებელ აზრს) „სახიერებისა მიმართ ზემთა ყოველთა არსთაგანსა თვით მას არა-არსსაცა სურის და იბრძოლებს ვითამე კეთილისა მიმართ... არა-არსიცა მიიღებს კეთილისა რა სახიერებისაგან“.

ასე დაუბრუნდა ფილოსოფიური აზრი მკაცრად მონისტურ საფუძველებს, ასე წარმოსახა კვლავ პარმონიულ მთლიანობად საუკუნეთა განმავლობაში ზესთასიფლად და სოფლად გათიშული და გახლეჩილი სამყარო. და ამ სამყაროს იერარქიულ წყობაში არც ერთ ქმნილებას, რაგინდ დაბლა საფეხურზე მდგარი და უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო, არ ეკარგებოდა პერსპექტივა სიკეთეს, სინათლეს და; ამდენად, ერთს ზიარებოდა (თავორის მშვენიერი გამოთქმა რომ გავიხსენოთ, ბლახს არ უხეხებოდა ამოა და ხანსირიული ძალისმძივეა, რათა უმეკლად ბედ ქვეულოყო), ყოველი ქმნილება თავისივე გვარის ფარგლებშიც ახერხებდა სრულყოფას. ერთის ნათელით შუქფენილ ამ სამყაროში ქარწყლებოდა ზარდამცემი და, ამასთან, ბუნების საწინააღმდეგო შიში მატერიალისტისა და ბორციელის წინაშე. ამგვარი სიღრმით გაგებული და ინტერპრტირებული ქრისტიანობა ადამიანს ათავისუფლებდა სოფლის მოძღვების მლიქვენულერ-ფარისიეულური და, საბოლოო ჯამში, ეგოისტური სწრაფვისაგან და სამყაროს ნამდვილ თანაშემოქმედლად სხადა, რადგან ფორმულას — „კაცი ამოებასა მიემსგავსა და დენი მისნი ვითარცა აჩრდილნი წარხდეს“, უპირისპირდებოდა გავება ადამიანის, როგორც ერთის წილის და ერთისად აღმავლისა, რომლის ცხოვრებასა და საქმიანობას დეთაებრივი ნათელი ეფინებოდა და არა სატანის შემპარწყნებელი არდილი და, ამდენად, ჭეშმარიტ ღირებულებას იძენდა ეს ცხოვრება (ხოლო რაოდენ ფასდებული მონაპოვარი იყო ადამიანის არსების ამგვარი გავება ადრეულ შუა საუკუნეთა პირობებში, ამის უკეთ გასათვალისწინებლად კიდევ ერთი ციტატი მოვიშველიოთ: „გაულისხმა-მიყოფია ამოებება ამის სოფლისა და ქემ-მარიტად მიცნობია, რამეთუ არარაა არს კაცი, გარნა მატლი და წუთი, მტვერი და ნაცარი ვანქარებადი მსწრაფლ“).

რეპვა თვარაბაძე

მთლიანი საქართველოს მინისტრი

გამთლიანებული სამყაროს ამგვარი მოდელი წარმოადგენდა იმ იდეოლოგიურ საფუძველს, რომელსაც, როგორც ითქვა უკვე, ინტელიტურად ესწრაფვოდა ქართული ქრისტიანული კულტურა დღიდან აღმოცენებისა. სოფლისა და ზესთასოფლის პარმონიული შერწყმა და, აქედან გამომდინარე, აზრის შეუღარებელი თავისუფლება, ქმედითი ცხოვრების იდეალი და ადამიანის, პიროვნების წინა პლანზე წამოწევის პერსპექტივა მაღალმასივით ედებოდა უდაბნოს სუნთქვითა და კემპარტი შინაარსისგან დაცლილი ასკეტიზმით დაშაშრულსა და განაწამებ ფსიქიკას. ეს ყოველივე ჩინებულად ეხამებოდა აღმავლობის გზაზე მდგარი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიას. ქვეყანა მისთა შეილთავან (სულერთა, ერისკაცთა იქნებოდა თუ შავი ან თეთრი სამღვდლოების წარმომადგენელი) ქმედითს ცხოვრებას მოითხოვდა და არა განდგომას და ოდენ საყუთარი სულის გამოხსენსათვის ზრუნვას. ხოლო ქმედითი ცხოვრება წარმოუდგენელი იყო ადამიანის პარმონიული სრულყოფის გარეშე.

ამ თვალსაზრისით საგულსხმოა, ადამიანის როგორი იდეალი ესახებოდა, ერთი მხრივ, სოფლისა და ზესთასოფლის გაითქვის პოზიციებზე მდგარსა და, მეორე მხრივ, მათი პარმონიულად შერწყმის პოზიციებზე მდგარ ორ ავტორს. ციტატების მოხმობამდე გავითვალისწინოთ, რომ ორსავე შემთხვევაში საქმე ეხება არა ერისკაცს, არამედ სასულიერო პირს, მონაზონს, რომელიც სულიერი განვითარების თვალსაზრისით (შუა საუკუნეთა ქრისტიანული ეტალონების თანახმად, რაღა თქმა უნდა) ირგველი მყოფთათვის მიუწევდომელ სიმძლავრეა ასული:

„ხოლო ბალაჰვარ განხიარცვა სამოსელი იგი, რომელი ემოსა ზედა კერძო, და იყო ყოველი გეჰმი მისი გამხმარ და დამქნარ, და ტყავი ოდენ გარდართხმულ ძვალთა ზედა“ („სიბრძნე ბალაჰვარისი“);

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორციითა თხელ. ჰასაკითა (ტანი) სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გვემითა მრთელ და სულითა უბიწო“ („გრგივლ ხანძთელის ცხოვრება“).

ეს იყო უკვე რენესანსული მზერით დანახული ადამიანი, მართალია, ბერი, მაგრამ ქმედითი ცხოვრებისთვის თავადადებული, რომელიც, თუკი საჭიროება მოტიანდა, თორნიკეს მსგავსად გაიხილდა ბერულ ჩოხას და ხმლით შეებრძოლებოდა მამულის მტრებს.

ამგვარი მზერა დახშული აღარ იყო არც ადამიანის და არც ბუნების მშვენიერების მიმართ, რადგან შეგარძნებათა სამყარო ბოროტების საღვრად კი აღარ მიანდა, არამედ იმ ასპარეზად, სადაც მოქმედების მეოხებით პარმონიულად უნდა განვითარდნენ და გამოვლინდნენ ადამიანის არსების უღრმესი შესა-


ლებლობანი. ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, როგორი სიყვარულით, როგორ შეგარძნებულა ცქერის ბუნებას და ადამიანებს, იდეოლოგიურად მერჩულე:

„ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოითქვა ქებაჲ ხანძთისაჲ, ვითარმედ: კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცნინვარებითა და ჰაერისა შეზავეებითა ყოვლით კერძო. და აქვს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარე, შვენიერი, გრილი და ჰამოჲ, და მალნართა სიმრავლე ურცხვი და მკირედი რამეჲ სხვაჲა ნუგეშისისა ცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა.“

„ამისა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონს: „მშაო, შთავიდეთ ვენახად...“ რამეთუ ესე იყო სოფლისაჲ. და შთავიდეს ორნიე ზოგად ვენახსა მის შენებულსა მისა კეთილად-ნაყოფიერსა. და ესმის მას შინა მოვიდა სანატრელი მამამ მაკარი ოპიზელი... და ვითარცა-იგი ფრიად განხიარეს და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთს, და რამეთუ იყო ესე პურის ჭამისაჲ, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურის ჭამისა განიზრახეს მუნ დადგომამ ვიდრე ხელისაღმდეგ.“

ერთი ნაბიჯი და ჩვეს წინაშე წარმოსახება სურათი ქართველი კაცის იმ იგავიუწვედელი ხორციელი და სულიერი მშვენიერებისა, თვით დამკვირობი გადამითენლიც რომ განცივრებაში მოჰყავდა. ასე მონუსხა და გააოგნა მეფე არჩილის სხივმოსილმა მშვენიერებამ მურვან ყრულ შემცვლელი სარკინოზი ჭიჭუბ-ასიმი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შესამუსრად იყო ამხედრებული, დიდხანს არ ემეტებოდა სასიკვდილოდ მოსისხლე მტერი. „და ვითარცა ცნა (ჭიჭუბ-ასიმი) მოსლვაჲ სანატრელისაჲ ამის (არჩილისა), დინხანსა ფრიად, აღრდა და მიგეჲა წინა, და დიდითა დიდებითა და სიხარულითა უზომოთა შეიწყნარა, და ვითარცა შვენოდა დიდებულებასა ამისსა, ეგრეთ პატივით მოიკითხა... და აქო სიკეთე და სისრულე ჰასაკისა (ტანი) მისისა და უფროსად შევიერებამ პირისა მისისაჲ. და შეუყვარდა ქვეყანა და წესიერებაჲ მისი, და დიდითა პატრვითა პატივ-სცემდა და განუსვენებდა, და ნიშთა (საჩუქარი) დიდ-დიდითა ანიჰებდა, რამეთუ ღირსცა იყო სანატრელი ესე ზეშთა დიდებულებისა და პატივისა არა ხოლო თუ ოდენ მეფობითა და გვართა სიმძლირთა, არამედ უფროსად შესახულვებითა და ანაგებთა (●ღნავობა) ბრწყინვალეებითა, და უმეტესად შინაგანისა სულისა ბრწყინვალეებითა და სათნოებათა სიკეთითა... ესე მძლავრი (ჭიჭუბ-ასიმი) დაღაცათუ უღმრთო იყო, არამედ სიკეთისა მისისაგან და დიდებულებისა ეკლიმებოდა (რცხვენოდა) და პატივ-სცემდა... არა ენება სიკვდილი მისი“

1 „უდაბნო“ ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით კი არ იხმარება, დაუსახლებელ ადგილს ნიშნავს.



შენიერებისათვის ხატისა მისისა და სიმალისათვის, და სისრულისა ჰასაქისა მისისა... ხორცთა ფეროვნებასა აქებდა და დაუკვირდებოდა (უკვირდა) ყუაეილოვნება იგი სახისა მისისაი. ამგვარი იყო ის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, რასაც დაემყარა ქართული რენესანსი. არეოპაგტიკის ეს მოძღვრება, თავისთავადაც დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა უმალესი სინთეზის საფუძველზე შემუშავებული ქართველი კაცის — პეტრე იბერის მიერ, იშვიათი სიზუსტით მიესადაგა როგორც ქართული ადამიანის ბუნებას, მის თანდაყოლილ მიდრეკილებებს, მის უღრმეს იმპულსებს, ისე X-XIII საუკუნეთა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს. ასეთი სიღრმით შეცნობილი ქრისტიანობა აღარ აფერხებდა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზისათვის შემდგომ მუშაობას; არ ეწინააღმდეგებოდა ადამიანობის იმ მაღალ იდეალს, რომელიც, საქართველოსადმი განსხვავებით, ევროპაში გაცილებით

გვიან იქნა მიცვლული, კონფესიონალიზმის შემხუთველი არტახებით ვეღარ ზღუდავდა უმალეს ბუნებას და ძალმოცემულ აზროვნებას და მას ურობის ნაცვლად ქმედითი ცხოვრებისავე მოუწოდებდა. პარმონიულ მთლიანობად დასახული სამყარო ძრწოლის მომგვრელი სამინელება კი აღარ იყო, არამედ მშობლიური, შუქდაფრქვეული ნავთსაყუდელი, სადაც ზორობტებად, მოჩვენებად, სიზმრად, ილუზიად, მათად მიიჩნეოდა არა ცხოვრება, არამედ არცოდნა (არცოდნა იმისა, რომ სოფელი და ზესთასოფელი პირაშემული უფსკრულთი არ არის გათიშული), და არცოდნის ამ საბურველის ჩამოხსნით უმალეს სიბრძნეს ზიარებულ ადამიანი „ზესთ სიბრძნეთა წყობის“ შესართევლად განეშაადებოდა.

ამგვარი იყო სულიერი ლანდშაფტი იმ ეპოქისა, რომელსაც მიემდვნა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“.

4

გიორგიმ ხმალი შემართა კვლავ, უფრო მძინვარე გაუხდა სახე... სწრაფად მიიმწყვდია მოპირდაპირე... და მერმე მთელმა ტომმა დაიზრიალა... ვაჟითორევე ქალღმერთს ხმლის ვადა ეჭირა ხელში. გაუღმა გიორგიმ ფხოველს, უცნაურმა სიკეთემ გაიელვა მის თეთრ კბილებზე.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თანადროულ დასავლურ მწერლობას ერთი ძალზე ნიშანი იმობლავი თვისება ახასიათებს: გაძლიერდა ტენდენცია პოეზიის პროზასთან და პირუტყუ — პროზის პოეზიასთან დაახლოება. კერძოდ, ამერიკული პროზის შესახებ ეს აზრი საესეებით კატეგორიულად აქვს გამოთქმული პროფესორ ნიუტონ არენის: „ამერიკული პროზის გულტურეული უმბრალობა, უფერულობა და (ხშირად) უსიცოცხლობა ახალ რომანებსა და მოთხრობებში სულ უფრო მეტად უთმობს იდეალს სიტყვიერი ქსოვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. მწერალნი ისწრაფვიან იმისკენ, რომ მათი ენა ასოციაციური, ქარაგმული, „ორაზროვანი“ — ერთი სიტყვით, პოეტური იყოს. მეტიც, გაძლიერდა სწრაფვა ამერიკული პროზის მუსიკალურ და, განსაკუთრებით, რიტმულ შესაძლებლობათა გამოყენებისაკენ; ბგერითი მხარე, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე უგულვებლყოფდნენ ჩვენი პროზაიკოსები, კვლავ უფრადლებას იპყრობს... საფიქრებელია, რომ მომავალში მხატვრული პროზა მკრთალი გამოსახვისა და ფაქტოგრაფიულობის ნაცვლად თხზავსა და სახეობრიობას შეიძენს თანდათანობით, ესე იგი ისეთ თვისებებს განივითარებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, პოეზიას ვუკავშირებთ ხოლმე უმოთარესად; მე მხედველობაში მაქვს არა პროზის სტილისმიერი თვისე-

ბურებანი, არამედ უფრო ღრმა, ფართული რამ, სახელობრ, მხატვრული ნაწარმოების შექმნის უაღრესად ინტიმური პროცესი — იმ წამიდან, როცა იგი ჩაისახება მწერლის აზრში, ვიდრე საბოლოო ხორცშესხმამდე. მთავარია, რომ თანადროული ლიტერატურა ჩვენს თვალწინ სულ უფრო და უფრო მითოსური ხდება. იგი სახეა და მეტაფორას მიმართავს აზრის იმგვარი სისრულისა და სიღრმის გამოსახატავად, რომლის გამოთქმა შეუძლებელია ფაქტების მარტივი აღმოცემით ან რეპორტაჟის შეთოდით“.

საკუთრივ ამერიკული მწერლობის შესახებ გამოთქმული ეს მოსაზრებანი, თუ არ ვცდები, თანადროული დასავლური ლიტერატურის საერთო ტენდენციასაც მიგვიანშნებენ. ამ ტენდენციის საფუძველი კი არის სწრაფვა მითოსის აღორძინებისა — დასავლური მწერლობის ცდილობს მსოფლმხედველობრივი ჩიხიდან გამოსავალი იმით იპოვნოს, რომ მინიატურულა მასშტაბით გაიმეოროს რენესანსის ეპოქისეული მიბრუნება ანტიურობისაკენ. საქმე ის არის, რომ რენესანსის დროინდელმა ევროპამ გათიშული სამყაროს გამოლიანება შეძლო მხოლოდ მხატვრულად და არა ფილოსოფიურად. იშხანად, მსგავსად ელინური საბერძნეთისა, პოე-

რევაზ თვარაძე

მთლიანი საპარტიელო მისიტყვა



ტები ფილოსოფოსობდნენ და ფილოსოფოსნი პოეტობდნენ. მაგრამ ამომდევრო რაციონალიზმის ეპოქამ უღმობლად შემესხრა სოფლიდან ზესა-სოფლისკენ ვიავაგლახით გადებული საცალფე-ხო ხიდი, რასაც მოჰყვა თავისი ლოგიკური და-სასრული: კანტმა საბოლოოდ აკურთხა ვერმი-საწვდომობა შეგრძნებათა სამყაროს მიღმა არ-სებული (თუ არარსებული) საწყისებისა. ასე და-იწყო ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიზისი, რისგანაც თვით ჰეგელის მონუმენტურმა სის-ტემამაც ვერ იხსნა ვერობა მყარი გნოსეოლო-გიური ბალავარის უქონლობის გამო. ყოველი-ვე ამის შედეგად: ნიცშეს გოდება დიონისური საწყისის ნაცვლად აბოლონურის ზეობის გამო; სიმბოლისტიკის განწირული ცდა — სიტყვის მავითი სწვდომოდნენ ზესთასოფლურს; საბო-ლოოდ — „ღმერთის დაკარგვა“ და ექსისტენ-ციალიზმი; ხოლო რამდენადაც მეოცე საუკუ-ნის დადგენიდან დასავლური მწერლობა სულ უფრო მეტად ესწრაფვის ინტელექტუალრო-ბას და სამყაროს ფილოსოფიურ გაზრებას, ყო-ველივე აღნიშნულმა ამ მწერლობაშიც ძალუ-მად იჩინა თავი. ძალზე რელიეფურად ჩანს ეს ამბავი, მაგალითად, კავკას შემოქმედებაში, რომელიც უკვე საბოლოოდ „ღმერთდაკარგუ-ლი“ მწერლობა. ეს იყო უკანასკნელი ჩიხი, რომ-ლის იქითაც ლიტერატურას აღარსაით წაისვ-ლებოდა, გარდა თვითმკვლელობისა (საამისო ცდაც არ დაუტოიათ უკანასკნელი დროის ფო-რმალისტებს). და, როგორც ითქვა, ჩიხიდან გამოსავლად დაისახა ლოზუნგი — მითოსისა-კენ მიბრუნება. ის ფუნქცია, რაც ქრისტიანულ ღმერთს დააკარგვიანეს, წარმართულ ღვთაებებს უნდათ ატვირთვიონ...

მსგავსი კატაკლიზმები ქართული მწერლობის-თვის თუნდაც იმიტომ იყო უცხო (სხვა მიზეზთა გამო რომ აღარაფერი ვთქვათ), რომ, რა ერთ-ხელ გათლიანდა გათიშული სამყარო მის წია-ღში, მერმე აღარ დარღვეულა ეს პარამონიული მთლიანობა, რადგან მთლიანობის მყარ ფილო-სოფიურ ხაზს მისდევდა. ხოლო ამან სამყაროს პარამონიულად აღქმის იმდენად ძძვლონ ტრა-დიცია შექმნა ქართულ მწერლობაში, მისი დარ-ღვევა უკვე შეუძლებელი იყო (მოვიგონოთ, როგორ ძალდაუტანებლად ახერხებს დავით გუ-რამიშვილი უღრმესი ქრისტიანულ-ნეოპლატო-ნური მისტიციზმისა და „ქაცვია მწყემსის“ პერ-სონაჟთა ეროტიკის შერწყმას, მოვიგონოთ „მაგ-რამ რადგანაც კაცნი გვეყიან, შვილინ სოფლი-სა“ ან „ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავი-სა“...). ამიტომ მითოსისაკენ მიბრუნება არასო-დეს ქცეულა ქართული მწერლობის ორგანულ. შინაგან მოთხოვნილებად. ის, რის ხელახლა მო-პოვებასაც ამაოდ ესწრაფვიან დასავლელი მო-აზროვნენი, ქართველ კაცს, შეიძლება ითქვას, აყენიდანვე თან ახლავს მუდამ (ამასთან, მითო-სის ამ ძიების შედეგად მიკვლეული პოეტურო-

ბა, როგორც ითქვა უკვე, ქართულ პერსპექ-ტურაში მისოლოც იმთავითვე მოსდგამდა და მისი დასა-მიტომაც ვერ იქცა ორგანულად ჩვენი მწე-როლობისთვის კონსტანტინე სავარსამიძის ტრა-გედია. ეს იყო სხვისი სენით დაავადების იქნე-ბითი მობილური, მაგრამ მაინც განწირული ცდა. ის, რასაც ტაია შელიას წარმართულ მსოფლმეგრძნებაში ეძიებდა კონსტანტინე სავარსამიძე (მითოსისაკენ მიბრუნების ცდა), ფა-ქტიურად მასაც უხვად ჰქონდა მიმადლებუ-ლი ოღონდ ის იყო, რომ თავადვე არ უწყყო და ეს ამბავი, ქვეშეცნეულად გრძობდა მხოლოდ. სა-კუთარი ბუნების შეუცნობლობამ დაღუბა იგი, ისევე როგორც თარაზ ემხვარო. ეს იყო შეცთო-მილი ძის ტრავედია, „მამული სჭული“ რომ და-თმო და, ცხადია, უტყობ ვერ შეიწყინარა ბო-ლომდე.

ვფიქრობ, სხვა მიზეზთა გარდა ამიტომაც მი-იტქვა „დიდოსტატის მარჯვენისაკენ“ კონსტან-ტინე გამსახურდია. „დიონისოსი ღიმილი“, ჩინებულ ნოველებსა და მხატვრულად ბრწყინ-ვალე „მთვარის მოტაცების“ შემდეგ საჩინო შეიქნა, რომ მისი მწერლური წყურვილი სანა-ხევროდ მაინც არ ყოფილა მოკლული. მას სწყურ-როდა შემოქმედებითი პეიმილი ლიბოაუბზარა, ჩამონაკეთულ ქართულ ხასიათებთან, რომელ-თა ტრავედია სამყაროს პარამონიულ ხატის შე-მუსვრა კი აღარ იქნებოდა (ქართველი კაცი-სთვის გარედან თავსმოხვეული ქვაზიპრობლემა. მრავალი საუკუნის წინ გადაჭრილი საქართვე-ლობში), არამედ შინაგანი ტრულყუთის მოწამე-ლობით ვხაზე აღმართული ღრმა ტვიცილება.

„დიდოსტატის მარჯვენაზე“ მუშაობის დაწყე-ბისას კონსტანტინე გამსახურდია ასაკობრივად აკმეს პერიოდში იყო უკვე შესული. უკან იქნა მოტაცებული ყოველგვარი ზეგავლენა თუ კრი-ზისი, საბოლოოდ ჩამოიხვეწა მწერლის მსოფლ-მხედველობის ზეიანი შენობა, დაიწმინდა შინა-განი მზერა. და ამ მზერით შექმნილი ასპარეზ-ზე ახალი ხორცი შეისხეს, ახლად განსხეულდნენ „დიონისოს ღიმილში“, ნოველებსა და „მთვარის მოტაცებაში“ ჯერ მაინც ბუნდალ მონახული, მეტწილად ინტუიტურად ნაგრძობი ქართული ხასიათები. ასე გამოშვლდნენ ჩვენს წინაშე უკუ-ნეთის წყვილად გამოტაცებული გონებისკამ-ლები სხვები — გიორგი პირველი, კონსტანტი-ნე არსაკიძე, შორენა, ზვიად სპასალარი, მამამ-ზე ერისთავი, შემდეგ — დავითი, გიორგი მეო-რე, შამან ერისთავი, მარიამ დედოფალი, იოანე მაგისტრი, დედისმედი, გვაცა, ნინია, ჯონ-დი, მრავალნი და მრავალნი სხვანი..

ეს ისეთი რჩეული საზოგადოებაა, ნებისმიე-რი ქვეყნის უბრწყინვალეს ლიტერატურულ სა-ლონებს დაამწყვებდა. ოღონდ მისი ღირსება ის კი არ არის მხოლოდ, რომ ზედმიწევნი-თი ნობს როგორც ევროპული აზრის მოდულა-ციებს, ისე აღმოსავლურ ვენებიანობას, არამედ



უფრო ის, რომ იმდენად თვითმყოფადია, თავისთავადი და სრულქმნილი, შეუძლია ამ სალონების ეტიკეტს სულაც არ დაემორჩილოს. ამ საზოგადოებას არასოდეს შეეკრებოდა შიში — არავის მოეჩვენოს, რომ ძველმოდურად არის ჩაცმული. არც ყოველი დროის პროვინციელთათვის ეგზომ დამახასიათებელი სწრაფვა აღეძვრის — როგორც საკუთარი მეობა შენიღბოს და სხვას დაემსგავსოს. რადგან ჩინებულად იცის საკუთარი თავის ფასი და თავისი ღირსებაც აქვს შეცნობილი. დიახ, იგი უნივერსალურ, გლობალურ პრობლემათა გამო ეგსტუბრებათ, უდაბნოვს იღვებსა და თემებს შიშობილავს. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად განსაკუთრებით იმით არის საინტერესო მოსაუბრე, რომ, ჯერ ერთი, არ ერცხვინება თავისი მძაფრი ნებებისა და ემოციების გამოვლინება (წინააღმდეგობრივად დასავლურ სალონში დანერგილი ეტიკეტისა), და, მეორეც, რაც მთავარია, საუბარში ცნაურდება მისი არსების უღრმესი საწყისი — მრავალთავან დაიწყებული თუ დაგმობილი, მრავალთავისი უხსნელი თუ გაუგებარი, მაგრამ მაინც ყოველთა თანაბრად მომსუხვეველი თვისება — სიკეთე. ამასთან, სიკეთის ის სახეობა, რომელიც, პლატონის ნათქვამის არიან, სანაცვლო სახლურს არასოდეს მოითხოვს.

საბრალოა კაცი, რომელიც დაიბოლოება და გაბოროტდება არსებობის შემსლულ სიღრმეთა ხილისას. მოსაწყენია კაცი, რომელსაც საერთოდ თვლიც არ მოუკრავს ამ სიღრმეთათვის და არც კი ეეჭვება მათი არსებობა. მაგრამ ვინ ჩასწვდეს ბუნებას კაცისა, რომელმაც იხილა ეს სიღრმეები და არც მზერა დაბინდვია, არც მხნეობა დაუკარგავს, არც ხალისი, არც გულის სითბო, არც უნარი სიკეთისა! ვინ ახსნას ეს სასწაული, ღირსების, კაცობის ეს უმშვენიერესი გამოვლინება (რადგან ნამდვილი ვეჟაკობა სიღრმეთათვის თვალის გასწორება როდია. ბოლოსდაბოლოს არც ისე ძნელია ნაპრაღის ბირას ჩამოვლენი გულგანსილი, სიღრმეებს ჩააშტერდეს და თვალად აღარ მოსწყვიტოს, მით უმეტეს, როდესაც ზურგს უკან აუდიტორიის მზერას გრძნობ გაუძღვებით. ვეჟაკობა ნაპრაღია არმომიშობა და ნაბიჯივეშული, გულდაჯერებულ აღმსვლა, რაც გზის სიძნელეს უადვილებს შესს მომყოლო მოძქეს).

ყოველ შემთხვევაში ის ნამდვილად ვერ ჩასწვდება და ვერ ახსნის, ვისთვისაც ამ ქვეყნად ცხოვრება კი არა, ცხოვრებისეული პოზა უმთავრესი, ვისაც ცრემლსა თუ ღიმილს რობოტის უგრძნობლობა უჩვენებია ვითომც, ვინც სინამდვილეში გულდამდალია, მაგრამ ნიადვ იმას ცდილობს, როგორც თავისი თავი და თავისი ვეჟაკობა დააყვედროს ყველას — შემომ-

ხედო, რა საშომ ნაპრაღებს ჩაეცმეოდა. ჩინებულად საინელი პოზაში ვდგავარო! მერჯობა პევენებთან „გილგამეშისა“ და „ამირანის“ შემქმნელი, პომეროსი და პლატონი, რუსთაველი და დანტე, შექსპირი და სერვანტესი, გოეთე და ვეჟაკ-შეაველა, რომენ როლანი და უილიამ ფოლკნერი...

შემოთ ნახსენები სიკეთე მონასტრულ სათნოებას არ გულისხმობს, ცხადია. ამგვარი რამ არასოდეს ყოფილა არც ქართველი კაცისა და არც ქართული მწერლობის ორგანული მიდრეკილება. ზედახნის მთაზე ძნელი არაა განდგომა სოფლიურ ვენებათაგან. კაცობა ის არის, სულის სიწმინდე და სიფაქნე იქ შეინარჩუნო, სადაც მტრობაც გეძალემა, სიძულელიც, შურიც, ვერავობაც და გაუტანლობაც — ცხოვრებისეულ ბოზოქარ მორევეში. ისიც ხშირად ხდება ხოლმე, ერთ პიროვნებაში შეირწყმოს ეს თითქოსდა შეუთავსებელი, პოლარული მოდუსები. ასეთია, მაგალითად, გიორგი პირველი, გულმხეციც რომ არის და დახვეწილი, მგრძობიარე სულის მქონეც. გულის შემძვრელა გიორგის სიკვდილისწინა აღსარება, ისევე როგორც მისი რაყილისა და ანტიპოდის — კონსტანტინე არსაკიძის სიკვდილი. სიყვარულმა იმსხვერპლა ორივე, მაგრამ, ვიდრე ცოცხალნი იყვნენ, ვეჟაკურად იხილდნენ მეფისა და ხელოვანის მოწამებობრივ ვალს.

მერმე მოვიდა ზეჟაკური ნებელობის პიროვნება, რომელიც ამ ვალის, ამ კარმის აღსრულებას შესწირა თვით სიყვარული, თვით სული თავისი. ეს იყო უმძლესი მსხვერპლი, რის გაღებაც „ქებორციელს“ შეეძლო, და ეს მსხვერპლი სიკეთის ზეობისთვის იქნა მოტანილი, რადგან ამის ვარჯშე არ ეგების სიკეთის გზაზე აღმასვლა. სწორედ ამგვარია სიკეთის რუსთველური გაგება. მომხიბველია გიორგი მეორის, შარამ და ელენე დედოფლების ან დედისიმედის თუნდაც პასიური კეთილობა. მაგრამ დაეითი ისევე განსხვავდება მათგან, როგორც ალუდა ქეთილაური თვისტომთაგან. იგი „მაღალია და მაღლად მხელი“, „ზემხედველი ცნობის“ მფლობელი. და კრიშნას მიერ განსწავლულ არჯუნას მსგავსად მანაც იცის, რომ მხოლოდ მიწყვისა და დაუცვადებულ ბრძოლაშია არსებობის აზრი და არა არსებულთ ტკობაში. „ცხოვრება საზეიმო ასპარეზია. ზოგნი მოდიან შეტოქებაში მონაწილეობის მისაღებად, ზოგნი სავაჭროდ, უკეთესნი კი მხოლოდ საჭერეტად“ — ელინი ბრძენის ეს შეგონება იერარქიის შედარებით დაბალ საფეხურებს მიესადაგება. საქართველოში ამას დაუბირისპირდა უფრო მაღალი წყობის ფასეულობა: „არა ბიქმეცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძენობისა“.





შემოქმედის კორიფონტი

ყველა შემოქმედის მწერალი მუდამ ძიებაშია და დაუღალავად მიიწევს წინ უცნობისა და მშვენიერისაკენ, რომ ეს უცნობი და მშვენიერი საერთო სახალხო სულიერ საკუთრებად აქციოს. სწორედ ასეთ მწერალთა რიგებს ეკუთვნის ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროზის ბრწყინვალე ოსტატი კონსტანტინე ლორთქიფანიძე. კ. ლორთქიფანიძის გმირებს კარგად იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ისინი ყველგან ერთნაირი მოქალაქეობრივი უფლებით სარგებლობენ.

მწერლის წარმატების საიდუმლოება მის ნიჭსა და სიძაბრულეშია. რამდენადაც დიდია მწერალი, იმდენად ეროვნულია მისი პერსონაჟები. ხოლო ეროვნული მწერალი რომ იყო, ამისათვის საჭიროა სისხლხორცეული კავშირი გქონდეს სამშობლოსთან, შენს ხალხთან, სულსა და გულში ატარებდე შენი ქვეყნის ინტერესებს, ცხოვრობდე მისი წარსულითა და აწმყოთ.

კ. ლორთქიფანიძის დადებით გმირთა ბუნებრივი მოთხოვნილებაა შრომა და მშობლიური მიწის სიყვარული. ამ გმირებს სახალხო საკუთრება ზემოეუვალ საკუთრებად მიაჩნიათ, და ეს იმიტომ, რომ ისინი თავისი ხალხის პიროვნული არიან, გამსჭვალულნი დღევანდელი დღის ინტერესებით. ავტორიც ხომ ამ ინტერესებით ცხოვრობს და სუნთქავს! სწორედ ამით აიხსნება, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის გმირებს ჩვენი ხალხების გულში საპატიო ადგილი უჭირავთ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე უკვე დიდი ხანია შემოქმედებითად დაუკავშირდა მცხეთას — საქართველოს ძველთაძველ სატახტო ქალაქს. სამშობლოს გმირული ისტორია და მისი დიდი დღევანდელი დღე მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ფაქტად იქცა. რაც ნა-

ხა მწერალმა ცხოვრებაში, რაზედაც ის მოუთხრობს მკითხველს — ყოველთვის ეს უშუალოდ გადაიტანა და განიცადა, შემდეგ კი განაზოგადა და ფართო მკითხველისათვის მისაწვდომი გახადა. ამას ჰქვია ცხოვრება და ლიტერატურა, სრულქმნილი მწერლობა, ეს არის ოსტატის ხელით დაპყრობილი მწვერვალი, რომლის შემდეგ სხვა, უფრო მაღალი მწვერვალები მოჩანს. საყოველთაოდ აღიარებული რომანის „კოლხეთის ციციკის“ შემდეგ კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით ფრიალ მნიშვნელოვანი რამდენიმე მოთხრობა, რომლებმაც ქმედითი გავლენა მოახდინა ჩვენს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

მწერალმა შექმნა ახალი რომანი „ნატვრის თვალი“, რომელიც დაწერილია იშვიათი სისადავით და რომელშიც ღრმა ეპიკური სუნთქვითაა გაცოცხლებული ხალხის წრიდან გამოსულ ადამიანთა ძლიერი მხატვრული სახეები. ჩვენს წინაშე წარმოსდგენს გმირები, რომელთაც საოცრად უყვართ სამშობლო და რომლებმაც იციან, რომ მამულის სიყვარული მამულისათვის დაუღალავ შრომას ნიშნავს.

შემოლოთური მიწა, ადამიანებზე, დღე გუშინდელი და დღე დღევანდელი, დაძაბული სიტუაციები, მძაფრი დრამატიზმი, ლაღი და ძარღვიანი ეპიკური თხრობა, ვაკაცური ჰეროიკა და ლირიკული სიღბო — ყველაფერი ეს ერთმანეთშია შერწყმული ღრმად ზნეობრივ „ნატვრის თვალში“, რომლის ყოველი სიტყვა დიდი ოსტატის ხელითაა ნაჭედი და რომლის კომპოზიციურ ქსოვილში ვერ აღმოაჩენთ ჩავარდნილ თვლებს. კონსტანტინე ლორთქიფანიძე საოცრად გულსხმივანია თავისი პერსონაჟების მიმართ, გულთან ახლოს მიჰქვს მათი კარგი და ცუდიც, ყურადღებით აღევნებს თვალს მოქმედ პირთა საქციელს, მათი საქცი-



ელი კი მათივე სარკვეა, რომელშიც პიროვნების ხასიათი ჩანს.

კ. ლორთქიფანიძე მახვილი ხედვის მწერალია, მას ახასიათებს თანამედროვე საციოხეზისადმი სერიოზული და ფხიზელი დამოკიდებულება, იგი უმატებს, ცხოვრებიდან რომ მოაქვს, დიდი სიფრთხილით ეკიდება, დაკვირვებით ამოწმებს, წერლობას გამოყოფს მთავარსაგან და ზოგჯერ საუბრად ჩვეულებრივ ამბავს საინტერესო ლიტერატურულ მოვლენად აქცევს. მან თავისი ნაწარმოებებით დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გააბათილა ძირშივე მცდარი დებულება, თითქოს ადამიანი ბედნიერებისაგან არაა დაბადებული და ამ ბედნიერების მოპოვება ტანჯვა-წამების გარეშე შეუძლებელია.

კ. ლორთქიფანიძის კონცეფციის მიხედვით ბედნიერების წყარო შრომაა, შრომაში იწრთობა ხასიათი, ნამდვილი და მტკიცე ნებისყოფა, რაც ყველა დიდი წარმატების აუცილებელი პირობაა. ეს ჩანს „ნატერის თვალში“, რომლის მთავარი პერსონაჟი ზაქარია ნადიბაიძე ძლიერი და ცოცხალი მხატვრული ახევა, სადაც სოციალური საწყისი ნაჩვენებია ფსიქოლოგიურ ასპექტში, სადაც ადამიანურობის არსი გამოვლენებულია წინააღმდეგობებში, მასთან ბრძოლაში და მის დაძლევაში. ეს სახე წარუშლელია და დიდხანს ცოცხლობს მკითხველის გულში, ყოველი ახალი შეხვედრა ამ გმირთან გვაღელვებს და გვახარებს. ეს უდავოდ დიდი გემარჯვებაა მწერლისა. ზაქარია ნადიბაიძე გუშავია „ნატერის თვალისა“. მწერალი სწორედ მისი მეშვეობით გამოისქვამს თავის მორალურ-ეთიკურ კვლავს, გამოხატავს ცხოვრების უკეთეს ლაზე მოწონავე იდეალებს, რომლისთვისაც ბრძოლა, მთელი სიცოცხლე და სიყვდილიც კი ღირს, სიყვდილიც კი ღირს იმისათვის, რომ სამშობლოს ანაცვალო შენი სიცოცხლე, სახელით დაიცვა შენი ქვეყნის სიმახრთლე, შენი ხალხის სიმახრთლე — აი, ამ ნაწარმოებების ძირითადი იდეა.

„გზა სიარულმა დალია“ — ეს არის რომანის ერთი თავი და მოთხრობა არც თუ ისე შორეულ წარსულზე. ეს არის ამაღლევებელი ფურცელი ჩვენი ხალხის შეუდრეკელი ბრძოლისა გაკვირვებასა და სიღუბნეირესთან. ცოგი ამ ხალხის წარმომადგენელია. იგი სულიერი სიმტკიცისა და სილამაზის აპოთეოზია, ვაჟკაცობის ამოლოვია. მისი სახე რომანში დიდი მხატვრული და ფსიქოლოგიური სიმახრთლითაა დახატული. წარმატაცი და ბრწყინვალეა მოთხრობა შეუკოს პირველ სიყვარულზე.

რომანის ეს თავი ვითარდება მათათუშეთის ფონზე, აფხაზე, თუშეთი ზეგებების მხარეა, და მართლაც, ზოგჯერ, მთელი ზაფხულის განმავლობაში ზეგნის ზეგეი მოსდევს. ადამიანი ძლიერს იკვლევს გზას. ამ დაბრკოლებების გადალახვა კი შეუძლია იმას, ვინც მუდამ მოძრა-

ობს, მუდამ იბრძვის, მუდამ წინ მიიღობს. კ. ლორთქიფანიძეს ესმის, რომ ეს მოქალაქეებს ეს მოქმედება ქვეყნის ღონისა და სიციხეობის წყაროა, და, რომანის ქვესათაური „გზა სიარულმა დალია“ ამ ქემშობიტებს დადასტურებაა.

ზაქარია ნადიბაიძის უფროს ვაჟს ტრაქტორისტ ლევანს მანუჩარ უგრებელიძის ქალიშვილი გოგოლა უყვარს. უბრალო ისტორიაა, მაგრამ ეს უბრალო ისტორია ბევრ რამეს გველამაპარკება ამ ორი ახალგაზრდის სულის ურყეობაზე. კ. ლორთქიფანიძის დიდი მწერლის დიდ ღირსებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი მათ სიყვარულზე თავდაჭერილად, ყოველგვარი სანტიმენტალიზმისა და ზედმეტი გრძნობიერების გარეშე გველამაპარკება. ლევანისა და გოგოლას ქორწინებას ომში შეუშალა ხელი, პირველი ღამე ამ ორი ახალგაზრდის ცხოვრებაში ომის ღამე იყო. მათი ბედნიერების წუთები ომის უბედურების საშინელებამ გააფურქვითა, მაგრამ ნამდვილი ადამიანი ყველა გარემოებაში ნამდვილ ადამიანად რჩება. — ეს არის ის მთავარი რამე, რაც მკითხველმა მუდამ მოაქვს კ. ლორთქიფანიძეს თავისი „ნატერის თვალით“.

„ადამიანი ხვადგობაგან რით განსხვავდება?“ — ეკითხება ზაქარია ომში მიმავალ შვილს. — „ეგ მეოთხე კლასში გვასწავლეს, მამავ, არ გახსოვს ილია ქაჭავაძის გუთონის დედა? „შენ პირუტყვი ხარ და მე მებუკველი, ეგ ჩემო ლაბავ. ნუ შეგშურდება!“ ცხოვრების სიბრძნით მხრებადამიშვებული ზაქარია პასუხობს: — „კარგი სქვამია, მე და ჩემმა დმერთმა! ილია ბრძენი კაცი იყო, მის სიტყვას დაჭერება მართებს...“

შემდეგ ჩუმდება. ეტყობა, ქაჭავაძის ხსენებამ სათქმელი პირზე შეატება.

— თქვი, მამავ! — უთხრა ლევანმა. — „ამ სავანურ მე ჩემი აზრი მაქვს, შვილო. თუ ცოლავად არ ჩამითლიო... — გაუბედვად სთქვა ზაქარიამ და ლევანს მკლავზე ხელი მოაკიდა: — ზვადგამა სირცხვილ-ნამუსი არ იცის, ბიჭო! ადამიანი კი, ადამიანი მხოლოდ სირცხვილ-ნამუსია!“

ეს უბრალო შეგონება როდია, ეს კაცური კაცობის გზამკვლევაა, მისი სიცოცხლის შექი. კ. ლორთქიფანიძის გმირები იმიტომ არიან მიმზიდველნი, სულიერად მაღალნი და სრულქმნილნი, რომ მათ სირცხვილ-ნამუსის ქული ხურავთ. ამ ქულის მატარებელი ადამიანი კი სასოგადოებრივი პიროვნებაა და პირადი ბედნიერებითაც სავსეა. აი, რა ასულდგმულებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელ შემოქმედებას.

ვლადიმერ ჯიჯუბი
შეამომეღვის ჰორიჰონბი

კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას ამ რომანზე, მაგრამ მისი დეტალური ანალიზი ცალკე წერილის საგანია. ამიტომ ამჯერად მას დაწვრილებით არ განვიხილავთ, ერთს კი ვიტყვი: „ნატურის თვლი“ თანამედროვე ლიტერატურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, მას მომავალი თაობებიც ღრმა ინტერესით წაიკითხავენ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს არ უყვარს უშინაარსოდ ლაპარაკი და უშინაარსოდ წერა. ის სიტყვას არ დაძრავს იმაზე, რაც ღრმად არ განუცდია და არ უგრძნებია. სამამულო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები („ცაბუნია“, „მამია ჭაიანი“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“ და სხვ). ამიტომ იკითხება დიდი მღელვარებით, რომ მათში მოყოლილი ამბები მართალია და მწერლის შინაგან ბუნებაშია გამოქრწილი.

სამრტადიელი გოგონა ცაბუნია მთელ საბჭოთა კავშირშია ცნობილი, ყველას უყვარს იგი, როგორც საკუთარი შვილი.

ერთმა ნაომარმა მეგობარმა მითხრა: „ჩემი ნათელა, ახლა ქმარ-შვილიანია, მაშინ კი, როცა მე ომში ვიყავი, ცაბუნია ასაკისა იყო — თერთმეტი წლისა. თურმე ისიც, ცაბუნიასავით, პოსპიტლუმში დადიოდა და დაჭრილ ჯარისკაცებს ეკითხებოდა: „დიდი ხანია მამისაგან ბართი არ მიგვიღია. ბარდაველიძეა ჩვენი გვარი, ხომ არ გინახავთ სადმეო“. ნათელაზე არა ნაკლებად მიყვარს ცაბუნია, იგი მუდამ თვალწინ მდებარე. მინდოდა წერაილი მიმეწერა პატრიცემულ კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის და იქნებ გამეგო ცაბუნის დღევანდელი დღის შესახებ რაიმე, ტანმრთელი დაბრუნდა თუ არა მისი მამა ვალიკო აბულაძე ომიდან, მაგრამ თავი შევიკავე, ვაი თუ ცუდი ამბავი შეეცყო-მეთქი“.

ასეთი შთამაგონებელი, უაღრესად რელიეფური, აზრითა და გრძნობით ღრმა სახე რომ შექმნა, უსაზღვრო ოსტატობაა საჭირო, საჭიროა იყო ნათელმზღველი და გამპირიანი, იყო ის, რაც კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის.

ავიღოთ, თუ გნებავთ, მეორე მოთხრობა „მამია ჭაიანი“. დამთავრებთ კითხვას და უქმედლად თქვენც, გრძნობამორეული, მწერალთან ერთად, გაიმეორებთ: „სადა ხარ ახლა, სადესანტო ბატალიონის მხვერავო, ახოვანო და შეგვგერმანო ვაჟაკო მამია ჭაიანო?“ ეს არის დიდი სახალხო ომის ეპოპების ერთი ამოღლებული ფურცელი, ხორცშესხმული დიდი ოსტატის ხელით და ნებით.

ბევრი რამ დაიწერა და მომავალშიც ბევრი დაიწერება კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელგანთქმულ მოთხრობაზე „სიკვდილი ცოტას მოიცდის“. ყველას თავისი სათქმელი აქვს და მეც, ჩემი მხრივ, ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ამ ნაწარმოებზე. მაგრამ ცილრე შეგებობლედ მას, მინდა აღვნიშნო, რომ დღესაც, ისე რო-

გორც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, მოთხრობა რჩება ცხოვრების ასაკისა და მისი მხატვრული განზოგადების ყველაზე ნაცად ფორმად. ეს ჩანს: „მამია ჭაიანი“ სტანტინე ლორთქიფანიძის „მამია ჭაიანი“ მისი მოთხრობები სწრაფად უკასუსებენ ჩვენი ცხოვრების უაღრესად რთულსა და მტკივნეულ მოვლენებს.

„სიკვდილი ცოტას მოიცდის“ ამ დებულების ნათელი დღდასტურებაა. ამ მოთხრობის მთავარი გმირი იონა მეზუეე ომამდე ტრაქტორისტი იყო, ომში კი — მხვერავი. მტრის ბანაკის ერთ-ერთი დაზვერვის დროს იგი თოთხმეტ ადგილას დაიჭრა, ორი თვე ებრძოდა სიკვდილს, მარჯვენა ფეხი მოკვეთეს, მარჯვ აღ-ვლილს გასტყვეს და ყუმბარის ნაშხვერეებზე ამოუღეს, ბოლოს, როგორც იქნა, სააქაოდ მოიხვედა და სოხუმის საევაკუაციო პოსპიტალში გადაგზავნეს.

როგორი ჩუმი კაცო იყო ცხოვრებაში, გვაუწყებს ბელეტრისტი, აქაც ასე ჩუმად იწვა სკოლის ოთახში და დილიდან საღამომდე დავით კლდიაშვილის მოთხრობებს კითხულობდა. ერთხელ მწერალმა ფრონტელი მეგობარი ინახულა და საუბარში წამოცდა: „კიდევ ადვილად გადაარჩი, ჩემო იონა! ამ ორმოში რა გულმა გვაძალბებინა, პირდაპირ მივიკრახ-მეთქი...“

— ეხ, ჩემო კონსტანტინე, სიკვდილი ცოტას ყოველთვის მოიცდის, თუ კაცი არ შეუშინდა! მხოლოდ სირცხვილმა არ იცის მოცდა, მოვად და მაშინვე თავს მოგკრის!“ ჭეშმარიტად აღამაზური სიბრძნე დიდოსტატურადაა გადმოცემული. მართლაც, „უსირცხვილო აღამაზნი — აღამაზნი არ არის“. მაგრამ საქმე ის არის, თუ ვინ ამბობს, ვისგან ვისმინთ ამას. იონა მეზუეესაგან არ გვეუცხოება ასეთი განცხადება, რადგან მან თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ იგი აღტურვილია აღამაზნის ამ ჭეშმარიტი ღირსებით, რაც მან გამომამდევნა ხალხისა და ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაში.

კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში ლოჯიკური დასკვნები ყოველთვის მომდინარეობს პერსონაჟების შინაგან სამყაროდან, მათი ქცევებით არის განმტკიცებული, ხასიათები ვითარდებიან სიტუაციების განვითარებასთან ერთად, რთულ ვითარებაში იძვრება მისი მოსოგნეუების მოქალაქეობრივი სახე. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში მომქმედ პირებს თავიდანვე აქვთ გარკვეული ბიოგრაფია, თუმცა ზოგს ნაკლები, ზოგს — მეტი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ საერთოდ მწერლის უბიოგრაფიო გმირები არ უყვარს.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებები ხასიათდება მტკიცე შინაგანი ერთიანობით. მოვლენების თანმიმდევრული და სწრაფი გან-

ვითარებთ, დეტალების მკვიდრო ურთიერთ-
კავშირთ:

„შეიშარი შევალე.“

შუა ეზოში ალიზის სახლი იდგა, ძალიან და-
ბალი და უშნოდ წაგრძელებული. სახლის უკან
პატარა ბაი და სასამინდე დავინახე. იქვე
ერთადერთი ალუბალი ჰყვავდა და ამ საცოდავ
ეზო-კარს რაღაც სიცივისს ჰყვანდა.

არც ბალახი, არც ყვავილი ან სხვა რაიმე
ნარგავი. მთელი ეზო ისე იყო დატყეპნილი და
მოსწორებული, იმერეთში სოხანეს რომ აქ-
თებენ.

ამ სოხანეზე ახლა ათიოდე ჭარისკაცს ეძინა.
სასთუმლის გაწეობა ვერ მოესწროთ, ზოგს
საყელოც კი ვერ გაუბნა, პირდაპირ მიწაზე
დაყრილიყვნენ და საღათას ძილს მისცემოდნენ.

მხოლოდ ორ კაცს არ ეძინა. ერთი, წითური
ბიჭი, ალუბლის ძირში ურიკაზე ჩამოგდარჩი-
ლა და ვახშმობდა. კონსერვის ქილიდან დანის
წვერით ხორცის ნაჭერს რომ ამოიდებდა, ქონს
ფრთხილად შემოაცლიდა და იქვე დაცუტქულ
ლიქვს გადაუგდებდა. ფაქიზად სჭამდა, აურჩა-
რებლად, თანაც ეტყობოდა, საღებო კბილები
აკლდა: ჭამის დროს ტუჩებს რაღაც არაბუნებ-
რავად აცმაცუნებდა.

მეორე ჭარისკაცი უფრო ხნიერი სჩანდა. მი-
სი ჭადარა თავი და ნაოკებზეყრილი პირისაზე
მოწმობდა, რომ შუახანს მიღწეული კაცი იყო.
სახლიდან რაღაც ტუპაუჭი გამოიტანა და ჭრ-
კართან მიგდებულ ჭარისკაცს დაასურა. მერე
ეზოში მიიხედ-მოიხედა. ეტყობა, შეამოწმა,
ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, რაღაცა არ
მოეწონა, სასამინდესთან მივიდა და იქ ჩალაზე
გულაღმა გაშხლართული კაცი გვერდზე შეაბ-
რუნა.

ჭერ გამოიკვირდა, მერე კი მივხვდი რატომ
შეაბრუნა. ის კაცი ძილში იღრჩობოდა, მკერ-
დზე ძილის მაკლაგუნა დასწლოდა და ვეღარ
სუნთქავდა, სული ეხუთფოდა.

შორიდან ზარბაზნების გრუხუნი რომ არ
ისმოდეს, კაცი იფიქრებდა, ამ თათრის ეზოში
ნაქეიფარი ხალხი მიყრილ-მოყრილა. მასპინძე-
ლი კი სტუმრებს თავს დასტრიალებს, აქაოდა
ხალხი შეიშველ მიწაზე არ გამოცივდესო.

— ათმეთაურიც ასეთი უნდა! — ვთქვი მე.

— ჩვენი ათმეთაური აგერ იქ არის! ხედავ? —
მითხრა წითურმა ბიჭმა.

სახლის კედელთან სკამ-ფიცარი იდგა და ზედ

ისე საცოდავად მოკრუნჩხულიყო ზორბა ტანის
სერუანტი, რომ პირველად შემეშინდა: ეს კაცი
ერთი რომ გაინძრეს, მიწაზე ირაგვანს. მერე
მეთქი. მაგრამ ვისაც უნახავს; თუ როგორ სძა-
ნავს დადლილ ჭარისკაცს, იგი დამეთანხმება,
რომ ამ სერუანტს ახლა არაფერი მოეწეოდა,
თუნდაც მთელი დამე ამ ვიწრო ფიცარზე წო-
ლილიყო.

— აბა ეგ ვინ არის?

წითურმა ბიჭმა ტუჩები მობრიაცა.

— არა მეითხე მამობილი... სხვა ვინ იქნება!
ჭკუის დამრიგებელი სკოლაში მეზარებოდა, ახ-
ლა აქ არ გამოიჩინდა ეს ოჯახქორი?! იონა! —
დაუძახა მან ხნიერ ჭარისკაცს, — მართალი ვარ,
ხომ?

— რაში ხარ, იბიჭო მართალი ამ ოქროსავით
ხორცს ძაღლს რომ აუმივ? — უთხრა იონამ.

წითურმა ბიჭმა გაიცინა.

— ა, ბატონო ხომ გითხარი! ენას არ მოაბრუ-
ნებს რაიმე შემჩნევა არ მოგცეს!“

აქ ყველა დეტალი ერთი მეორისაგან გამო-
დის, აზრს და მნიშვნელობას ანიჭებს ომისათვის
დამახასიათებელ სურათს, რომელშიც ნათლად
ჩანს მწერლის მხატვრული ძალა.

— „ედღა მოვიხურო შენი ღაწლი?“

— კი, შევლო.

ცაბუნია უმალ გამოსწევს ძველი კარადის
უჯრას და თითქოს იქიდან თეთრი ბატი ამოფ-
რინდაო, ოთახში ღუნღულა ღაწლი გაიფრი-
ალებს და უხილავ ნაპერწკლებს გაჰყრის.

ღაწლი სულ ახალია. მისი მოუთელავი ბეწ-
ვი ჭერ კიდეც შეუხავს თავისერს. სამაგიერ-
ოდ ცაბუნია შიგ ისე თბილად გეხვევია, ღაწ-
ლიდან მარტო ჰორფლიანი ცხვირი და ბუზარ-
თან დაბარაწული წვივები მოუჩანს“. ეს კი დი-
დი ფერმწერის მიერ შესრულებული უაღრ-
ესად მეტყველი პორტრეტია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებე-
ბი თანამედროვე ქართული პროზის ბრწყინ-
ვალე ნიმუშს წარმოადგენს. მისმა დიდმა ფერ-
წერულმა ნიჭმა, ე. ი. ადამიანის სულში ღრმად
ჩახედვის უნარმა, ქართულ ლიტერატურას
მრავალი უკვდავი სახე შესძინა. ისინი, ეს გმი-
რები, ჩვენთან ერთად ცოცხლობენ და ჩვენთან
ერთად იბრძვიან დიდი მომავლისათვის, თავი-
ანთი შინაგანი შუქით გზას უნათებენ თანამედ-
როვეებს და ზვალინდელი დღის რწმენას უმ-
ტიციებენ მათ.





ქორნალი ქინწაკაპილი

ჩხსეთში ქართული ენის საუნივერსიტეტო სწავლების ისჯოკიიდან

(დ. ჩუბინაშვილის ღაბაღბაის 155 წლისთავის გამომცემი)

გასული საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი მეცნიერი სისტემატური კვლევა-ძიების ნაცვლად დღევანტურად აცხადებდა, თითქოს აზიის ხალხებს არასოდეს ჰქონიათ და არც ახლა გააჩნიათ კულტურული წარსული ამ სიტყვის ევროპული გავებით, და რომ ევროპელი მკვლევარების მიერ შემუშავებული ისტორიის შესწავლის მეთოდები აღმოსავლეთისათვის მიუღებელია. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, ამჟამ მცდარ აზრს იცავდა თავის დროზე ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორც იყო ფრ. შლოსერი თავის „მე-18 საუკუნის ისტორიის“ შესავალში.

მაგრამ ამ ქვეყნებში მოწყობილმა სხვადასხვა ექსპედიციებმა, მეცნიერულმა დავირებებმა, მწერლობისა და მატერიალური კულტურის ღრმად შესწავლამ მცდარ მოსაზრებებს ძალია დაუქარგა და კვლევა-ძიების საქმე ახალ საფეხურზე აიყვანა.

რუსეთში ორიენტალისტიკის სწრაფი ტემპით განვითარება პრაქტიკულმა აუცილებლობამ განაპირობა, რადგან მეფის მთავრობის თვითმპყრობელური პოლიტიკა აღმოსავლეთში მოითხოვდა აღნიშნული ხალხების ენის, ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ღრმად შესწავლას.

უმადლეს ხელისუფლებას მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხების განათლების ბედი რომ არ აწუხებდა, ამას აშკარად მიუთითებს პეტერბურგის სააზიო ინსტიტუტის წესდების პროექტი. სასწავლო დაწესებულებას, პირველ ყოვლისა, უნდა მოემზადებინა აღმოსავლური ენების თეორიულად და პრაქტიკულად მცოდნე ახალგაზრდები სხვადასხვა სამინისტროებში სამსახურისათვის, მერე კი მოთხოვნილების მიხედვით უზრუნა შემოერთებული ხალხების განათლებაზე.

პროექტის ავტორები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სპარსეთის მიერ დაბრუნებულ პროვინციებში სიმშვიდისათვის, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთში შმართველობის გაადვილებისათვის, სასურველია მთავარ საზოგადოებრივ თანამდებობაზე ადგილობრივი ენების კარგად მცოდნე რუსები ინიშნებოდნენ, რომლებიც თავიანთ ძირითად მოვალეობასთან ერთად საჭირო ცნობებს შეაგროვებენ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, შესწავლიან მათ გეოგრაფიას, ისტორიასა და სტატისტიკას.

ასეთი „მზრუნველობით“ იყვენ გაარემოცული რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ხალხები, როცა აღმოსავლეთმცოდნეობა, როგორც სპეციალური დისციპლინა, საუნივერსიტეტო წესდებით, 1804 წელს სასწავლო პროგრამაში შეიტანეს. თბილისში, ყაზანსა და ირეუტსკში აღმოსავლურ ენათა კლასები უნდა გახსნილიყო, მაგრამ იმპერიაში არ აღმოჩნდა სათანადოდ მომზადებული პედაგოგიური კადრები და მთავრობა იძულებული გახდა ამ განზრახვაზე წელი აეღო.

აღმოსავლური ენების ინტენსიური შესწავლის საქმე მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში აზიის ხალხთა ისტორიისა და სიტყვიერებისათვის ორდინარული აკადემიკოსის ორი საშტატო ერთეული დაუშვეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულმა, ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და გეოლოგიის საზოგადოებებმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ ადგილობრივი სამეცნიერო ძალების გამოვლენას.

უკვე ოციანი წლების ბოლოს მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტების აღმოსავლურ ენათა კათედრებზე, სააზიო დეპარტამენტის აღმოსავლურ ინსტიტუტსა და სჯარო ბიბ-



ლიოთეკაში მომუშავე მკვლევართა სახით რუსეთს აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგებში მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ძალები გააჩნდა.

სწორედ ასეთ პირობებში წარმოიშვა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა სრული კლასების გახსნის იდეა, რომელმაც მთავრობის სათანადო მხარდაჭერა ვერ პოვა.

მისი ავტორები, აკადემიკოსი ქ. ფრენი, შარშუა და სენკოვსკი მოითხოვდნენ კავკასიური, მუსულმანური და ჩინური ენების შესწავლას ამ ქვეყნების გეოგრაფიულ და ისტორიულ დისციპლინებთან ერთად.

რამდენიმე წლის შემდეგ მინისტრთა კომიტეტში დაახლოებით ასეთივე წინადადება შეიტანა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრმა კ. ლივენმამ. იგი მთავრობას უსაბუთებდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა განსაკუთრებული განყოფილების შექმნის აუცილებლობას და მოითხოვდა ვახსნილიყო ქართულ-სომხური, მაჰმადიანური ენების არაბული, სპარსული, თურქული და მონღოლურ-ყალმუხური კლასები.

პროექტი განსახილველად მინისტრთა კომიტეტიდან სახელმწიფო საბჭოში გადაეცა, მაგრამ შემდგომი მსვლელობა არ მისცემია, რადგან იგი 1835 წელს ახალმა საუნივერსიტეტო წესდებამ შეცვალა.

ქართულმა ენამ და საერთოდ ქართველოლოგიამ თუ დიდხანს ოფიციალური მმართველობის ყურადღება ვერ დაიმსახურა, ეს უმთავრესად კვალიფიციურ სპეციალისტთა სიმცირით უნდა აიხსნას.

ასეთ ვითარებაში ზოგიერთი არამკითხველ მკვლევარი იმის ნაცვლად, რომ წყაროები ღრმად შეესწავლა და გამოეყენებინა, რუსეთის პერიოდულ პრესაში ღვარძლიანად აკრიტიკებდა ქართულ მწერლობასა და საქართველოს ისტორიას, ცხადია, ასეთი ცილისმწამებლური გამოხდომები დიდხანს ამუხრუჭებდა ჩვენი კულტურის განვითარების საქმეს.

ქართული ენის სწავლება პეტერბურგში შედარებით ხელსაყრელ პირობებში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მარი ბროსე მოიწვია სამუშაოდ პარიზიდან. ენთუზიასტმა მკვლევარმა თავისი ძალები იქითკენ წარმართა, რომ ქართული ენა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში შესულიყო.

მისი პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ის იყო, რომ 1839 წლის 6 სექტემბრიდან საკუთარი ინიციატივით საჯარო ლექციებს ატარებს რუსეთის სატახტო ქალაქში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობისათვის. ცოტა ხნის შემდეგ კი სახალხო განათლების მინისტრს მიმართავს თხოვნით, ნება დართოს, ამიერკავკასიელი სტუდენტებისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში

ქართული ენის სპეციალური კურსის გახსნას.

ორი სემესტრის მანძილზე მ. ბროსემ 29 ლექცია წაიკითხა და მსმენელებს გააცნო ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები.

კიდევ უფრო დიდი წარმატებები იყო მოსალოდნელი, მაგრამ ბროსე საჯარო ბიბლიოთეკაში გადაიყვანეს და დაწყებული კარგი საქმე დროებით შენელდა.

სწორედ აქ გამოვლინდა დავით ჩუბინაშვილის ნიჭი და უნარი. ახალგაზრდა მეცნიერი სათავეში ჩაუდგა ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის სწავლების საქმეს უნივერსიტეტში.

ფილოსოფიის ფაკულტეტის აღმოსავლურ განყოფილებაზე ქართული ენის სწავლების შემოღებით ასრულდა პეტერბურგელი ქართველოლოგებისა და ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ხნის ოცნება.

ამიერიდან ქართულმა ენამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა უმაღლესი სპეციალური განათლების სისტემაში. ქართული კულტურის ეს გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა.

უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის განვითარება აღმავლობის გზას დაადგა. განვითარების სხივი შემოიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მერი ყურადღება დაეთმო ისტორიული და ლიტერატურული ძეგლების შესწავლასა და კლასიკურ მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემას, სკოლებში მშობლური ენის სწავლება შემოიღეს, ჩატარდა მოსამზადებელი ღონისძიებები მუდმივი ქართული თეატრალური დასის შექმნისა და ქართული ეურნალის დაარსებისათვის.

ყველაფერი ეს კეთილ გავლენას ახდენდა ჩვენი ხალხის სულიერ კულტურაზე, აღაფრთოვანებდა და ძალას ჰმატებდა მას უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ასეთი ფართო მასშტაბით დაწყებული საგანმანათლებლო საქმიანობამ, ევეს გარეშეა. მნიშვნელოვანი როლს შეასრულა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაშიც.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ ამ დიდ წამოწყებებში აქტიურად მონაწილეობდნენ პეტერბურგელი ქართველოლოგები, რომელთა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები ტონს აძლევდა თანამემამულეთა კულტურულ მიღწევებს, ეხმარებოდა მათ პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტაში.

ქართული სიძველეების შესწავლაზე კვლავ დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ თეიმურაზ

კორნელი კინწუშაშვილი
რუსეთში ქართული ენის საუნივერსიტეტო სწავლების ისტორიიდან

ბაგრატიონი, მარი ბროსე, დავით ჩუბინაშვილი და სხვა სწავლულები, ისინი სიტყვიერად და საქმით ხელს უწყობდნენ სამშობლოში მომუშავე მეკლევარებს, აქვეყნებდნენ და სამშობლოში აგზავნიდნენ თავიანთ ნაშრომებს.

დავით ჩუბინაშვილმა წინადადება მიიღო კავკასიის ოქმის გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებლებისათვის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული გრამატიკა და საკითხავი წიგნი შეედგინა. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა სწავლულის მიერ შედგენილმა სახელმძღვანელოებმა იმ დროისათვის სათანადო წვლილი შეიტანეს ქართული ენის სწავლების საქმეში.

საუნივერსიტეტო სწავლებაც კარგად მიდიოდა. დავითმა პირველი ღრევიდანვე გულწრფელი პატივისცემა დაიმსახურა მსმენელებში. მის ლექციებში იგრძნობოდა მშობელი ერის დიდი სიყვარული და იმის ღრმა რწმენა, რომ ქართული ენის, მწერლობისა და საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა ხელს უწყობდა ქართველი ხალხის კულტურულ წინსვლას. იგი მუდამ საკადრის პასუხს აძლევდა საქართველოს ისტორიული წარსულის მონახლის კრიტიკოსებს, ამასთანავე ყოველთვის მზად იყო ელარებინა სხვების დამსახურება ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინისა თუ კონკრეტული საკითხის განვითარება-გადაწყვეტაში.

მასწავლებლის საუბრებს ახალგაზრდები ყურადღებით ისმენდნენ და სათანადო ჩანაწერებსაც აკეთებდნენ, მაგრამ სახელმძღვანელის უქონლობა, ცხადია, დაღს ასვამდა სწავლების ხარისხს.

ამ ხანებში დ. ჩუბინაშვილი ფაკულტეტის დეკანს პროფ. ნ. უსტრიალოვს უდევს იმ წიგნების სიას, რომელთა შექმნა აუცილებელი იყო ქართული ენის სწავლებისათვის. დასახელებულ ლიტერატურაში ჩამოთვლილია შ. რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი», მ. ბროსეს ქართული ენის გრამატიკა, ი. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, გაიოზის ქართული გრამატიკა, ჩახრუხაძისა და შავეთელის თხზულებები, ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული სასაუბრო.

ნაბეჭდი წიგნების გარდა, მას მიზანშეწონილად მიუჩნევია ხელნაწერებად დაცული ნაწარმოების გამოყენებაც, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანის «სიბრძნე-სიცრუისა», ამირანდარეჯანიანი. წმინდანთა ცხოვრება, ვახტანგის სამართალი და სხვ.

ეს იყო აუცილებლობით გამოწვეული დროებითი ღონისძიება და იგი საქმეს ვერ უშველიდა. საჭირო გახდა ახალი გზების ძიება. ასეთ გზად დავით ლიტერატურული ტექსტებისა და წყაროების მეცნიერულად გამოკვლევა და მათი გამოცემა მიიჩნდა.

მშობლიური ხალხის სიყვარულმა დ. ჩუბინაშვილს ძალა შემატა ამ პატრიოტული საქმის შესრულებაში.

ახლა, როცა თვალს ვადევნებთ ჩუბინაშვილის საქმიანობას მყოფი ქართველების ცხოვრებას, ადვილად წარმოსადგენია ის ხელისშემშლელი დაბრკოლებები, რომელიც ახალგაზრდა მეკლევარს უნდა გადაეღა. ამის გამო მის გადაწყვეტილებას ზოგიერთი უნდობლად შეხვდა; მაგრამ დავითს არც ეს აშინებდა, პირიქით სკეპტიკოსების გასაგონად იგი ხშირად იმეორებდა ხოლმე ფილოსოფიის ცნობილ სიტყვებს: «ვისაც გზის მცირეოდენი უსწორმასწორობა ჰქინცავს, ვისაც მცირეოდენი წინაღმდეგობისაგან თავგზა ებნევა, ის, დაე, ნუ ივლის, ნუ იფიქრებს, დაწვეს ლოგინში და დახუტოს თვალები».

დავითმა თავიდანვე სწორი გეზით წარმართა მუშაობა. წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით იგი სისტემატურად ავსებდა ქართული ქრესტომათიისათვის განკუთვნილ მასალებს. მომავალი წიგნისათვის არჩევდა როგორც დაბეჭდილ თხზულებებს, ისე ხელნაწერის სახით დაცულ ნაწარმოებებს.

ბატონიშვილების ბიბლიოთეკებსა და ნაცნობ-მეგობართა ოჯახებში შემონახული ხელნაწერების, სიგელ-გუჯრების, ქართული ანდაზების, იგავარაკების, წმინდანთა ცხოვრებისა და სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტების ერთმანეთთან შედარების გამო დიდძალი მასალა დაუგროვდა. საჭირო გახდა მათი გადაწერა და სათანადოდ შერჩევა. ქრესტომათიაში შესული ნაწარმოები აღმზრდელითი დანიშნულების უნდა ყოფილიყო და დაეკმაყოფილებინა მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზრდილი ინტერესი ქართული მწერლობისადმი.

1845 წლის ბოლოს ქართული ქრესტომათიის შედგენა უკვე დამთავრდა. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საბჭო მიუთითებდა, აღნიშნული ნაშრომით ქართული ენის სწავლებაში დიდი ხნის წინანდელი მოთხოვნილება დაკმაყოფილდა და ავტორი მთავრობის ჯილდოს იმსახურებდესო. დავითმა ხელნაწერი მეცნიერებათა აკადემიის სტამბას გადასცა და წიგნის ბეჭდვაზე მეთვალყურეობაც მანვე იკისრა.

40-იან წლებში დავითმა მონაწილეობა მიიღო მიხეილ ბარათაშვილის «Нумизматические факты грузинского царства»-ს ქართულად გამოცემაში. საქმეს ისიც აართულებდა, რომ ქართულ ენაზე არათუ ნუმისმატიკური ტერმინები, არამედ საერთოდ ტექნიკური ტერმინოლოგიაც თითქმის არ არსებობდა. მაგრამ პატრიოტი მეკლევარი სიძნელეს არ შეუშინდა, წიგნი თარგმნა და გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობა გაუწია.

ასეთი შრომატევადი საქმის პარალელურად



ახალგაზრდა მეკლერმა დაბეჭდა თეიმურაზ მაგარათონის ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ქრისტიანობის მიღებამდე. აღნიშნულ ნაშრომს გამოემყვებლა დაუთო ცნობები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე და ქართველთა მიერ იერუსალიმსა და ათონზე აკებული მონასტრების შესახებ. შეადგინა სახიო მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერების და წიგნების კატალოგი. ამასთანავე დაულაღვად იღწეოდა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისათვის.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საშენობანი ლექსიკონის ავტორისათვის დემიდოვის სრული პრემიის მინიჭება დიდი სტიმულის მიშეცემი ვახდა.

დ. ჩუბინაშვილმა წარმატებით განახორციელა აკადემიკოს შიოგრენის სურვილი რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენისა. ისარგებლა საუკეთესო წყაროებით, უმთავრესად რეიფის, ულიანოვისა და სოკოლოვის ლექსიკონებით, შეაგროვა და ქართულად განმარტა 53 ათასამდე სიტყვა. ნაშრომი სახელმწიფო ხარჯზე დაიბეჭდა, ხოლო დავითი მეორედ ჩაება აკადემიის მიერ გამოცხადებულ პავლე დემიდოვის სახელობის პრემიის საძიებელ კონკურსში.

მეცნიერთა ამ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობდა 34 ავტორი, რომელთაგან სრული პრემია მხოლოდ ხუთს მიენიჭა. მათ შორის დავით ჩუბინაშვილიც იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისმა მეცნიერულმა დასახურებამ ნამდვილი აღიარება პოვა.

ამ ხანებში ორ ნაწილად დაიბეჭდა ქართული ქრესტომათია. სიყვარულითა და გულმოდგინებით შედგენილ ნაშრომში იმდენად ძვირფასი ნაწარმოები იყო მოთავსებული ქართული ენასიკური მწერლობიდან, რომ, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, თბილისის გიმნაზიის წარჩინებულ მოსწავლეებს ჯილდოდ ქართული ქრესტომათია ეძლეოდათ.

1847 წლის 27 სექტემბერს დ. ჩუბინაშვილი უნივერსიტეტის რექტორს პეტრე პლეტნევის ქართული ქრესტომათიის (46,5 თაბახის მოცულობით) ბეჭდვის მთლიანად დამთავრებას ატყობინებს და აქვე აღნიშნავს, რომ მას აუცილებლად მიაჩნია, ქრესტომათიის ტექსტს თან დაერთოს ფილოლოგიური შენიშვნები და ვახტანგ VI კანონთა თარგმანი; ხოლო რადგან ამისათვის 20 ნაბეჭდი ფორმა იყო საჭირო, ხარჯების გაღებას თვითონვე კისრულობდა. ამავე წერტილში დავითი ჩამოთვლის თავის ნაშრომებს და რექტორს შუამდგომლობას თხოვს

უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე, რომ მას აღნიშნულის უნქტისი წოდება მიანიჭოს.

უნივერსიტეტის საბჭომ გაითვალისწინა დ. ჩუბინაშვილის მეცნიერული დასახურება და იგი ქართული ენის აღიუნქტად აირჩია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იმ ხანებში არ მიიღო.

აღმოსავლური ენების მასწავლებლებს აღიუნქტისი წოდება სწავლების ხარისხით ენიჭებოდა და, რადგან საუნივერსიტეტო კურსში არცერთ ამიერკავკასიელ სტუდენტს არ დაუმთავრებია, ამიტომ შეუსაბამო იქნებოდა ზემდგომ ორგანოებში ვეუშუამდგომლა მისთვის აღიუნქტისი წოდების მინიჭება, — წერდა ოლქის მზრუნველი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დ. ჩუბინაშვილის მიმართ მაინც დაუშვეს გამოთქმისი და 1848 წლის 17 სექტემბერს იგი აღიუნქტად დაამტკიცეს.

ამ წელს უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა დავითის ცხოვრებაში. მან ცოლად შეირთო პეტრე სერგოვესკის ასული ეკატერინე, ხოლო 29 ნოემბერს ვაჟიშვილიც შეეძინა, რომელსაც, საყვარელი ბიძის ხსოვნის აღსანიშნავად, ნიკოლოზი დაარქვა.

მეგვიდრის შექმნამ დიდი სიხარული შეიტანა დავითის ოჯახში. ამას თან ერთვოდა მეუ-

1 აღიუნქტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თანაშემწეს. ასე უწოდებდნენ სწავლულს, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიაში უმცროს სამეცნიერო თანამდებობაზე იმყოფებოდა. ამასთანავე იგი პროფესორის ან აკადემიკოსის თანაშემწედ ითვლებოდა. უნივერსიტეტებში აღიუნქტისი წოდება 1863 წლის წესდებამდე არსებობდა.

2 სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ნ. ჩუბინაშვილის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ბიძისა და ძმისწულს შორის ურთიერთობა გამწვავდა. 1838-40 წლებში ნიკოლოზი ცოტა ხანს მართლაც იყო გაჯავრებული დავითზე, რადგან დ. ჩუბინაშვილის მიერ დემიდოვის სახელობის პრემიის საძიებლად წარადგენილი ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი მისი და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონების უბრალო კომპილაცია ეგონა, მაგრამ როცა ნიკოლოზმა დაბეჭდილი ლექსიკონი აღნიშნულ ნაშრომებს შეადარა, როგორც ვიორგი ჩუბინაშვილი წერს... „უკმაყოფილებამ და დროებითა გულცივობამ გაუარა“. ამასვე აღსატურებს ის ფაქტიც, რომ პეტერბურგში დაბრუნებულ ნიკოლოზი ძმისწულთან ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა 1847 წელს.

კონანლი კინფურაშვილი
რუსეთში მართული ენის საუნივერსიტეტო სწავლების ისტორიიდან

ღლის გულგახსნილობა და კეთილი ხასიათიც; ეკატერინეს იმ დროისთვის კარგი განათლება მიუღია, იგი თავისუფლად ფლობდა ფრანგულ ენას, იცოდა გერმანულიც. ჩინებულად უკრავდა და მოგვიანებით ორი-სამი საფორტეპიანო პიესაც კი შეუთხზავს.

ქართული, სომხური და თათრული ენების პეტერბურგულ ლექსორთა საქმიანობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაფართოვდა, რაც მიიღეს დებულება „კავკასიელებისა და ამიერკავკასიელი აღსაზრდელების შესახებ“.

დებულების თანახმად, რუსეთის სატახტო ქალაქის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება შემოიღეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ამიერკავკასიელი სტუდენტების რიცხვი; ამიერიდან კავკასიის სასწავლო ოლქი უმაღლესი განათლების მიხედვით პეტერბურგში ხუთის ნაცვლად ყოველწლიურად ოც ახალგაზრდას ავჯავნიდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, უნივერსიტეტის რომელ ფაკულტეტზე ჩაირიცხებოდა ამიერკავკასიელი სტუდენტი, თვითიველ მათგანს ევალებოდა დამატებით შეესწავლა ქართული და თათრული, ხოლო სომხებს ზემოთ დასახელებულ ენების გარდა — სომხური ენაც.

უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების შემოღება პრაქტიკული მოთხოვნისგან იყო ნაკარნახევი, ლექციების კითხვა აქაც დავით ჩუბინაშვილს შესთავაზეს.

გზათა საინჟინრო, სამთო, ხე-ტყის და ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში, აგრეთვე სამხატვრო აკადემიაში, სამართლისმცოდნეობის, სამშენებლო, კომერციულ სასწავლებლებსა და სხვაგან ამიერკავკასიელ ახალგაზრდებს იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში უკითხავდა ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე. ამასთან დაკავშირებით სიგანგებო სასწავლო კურსიც კი შეიმუშავა.

სამწუხაროდ, აღნიშნული ლექციების ტექსტებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. 90-იან წლებში კი მათ არსებობაზე მიუთითებდა დავითის პირველი ბიოგრაფი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენელი ეურნალ „მწყემსის“ 1892 წლის მეორე ნომერში წერდა: „განსვენებულის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა სიგელ-გუჯრებიც. არის იშვიათი ხელნაწერებიც. მაგალითად თეიმურაზ ბატონიშვილის „ვეფხისტყაოსნის“ განმარტება, თავადანზაურთა ჩამომავლობის ისტორიის მასალა, სიები ძველი წიგნებისა... განსვენებულის საკუთარ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდა ცალკე შენიშვნები, ლექციები, მოკლე გამოკვლევანი, რომელნიც შეიძლება დაიბეჭდოს, თუ საზოგა-

დობებს ხარჯი არ გაუჭირდება“.

მომდევნო ხანებში თავისი პაპის ბიბლიოთეკაში შეკრებილი ჩუბინაშვილისა უნახავს დიდა მწიგნობრის ხელნაწერები. რომლებსაც სხვადასხვა ჩანართები და მინაწერები ჰქონია.

„ეს იყო ალბათ პაპაჩემის ლექციები ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიაში, — წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი. ამ ხელნაწერებით მე პირველად გავეცანი როგორც საქართველოს წარსულს, ისე ძველ ქართულ მწერლობას, მათი ნაწარმოების მთარგმნელობა და გადამწერლებს“.

ფაქტების თანმიმდევრულ გამოკვლევასთან ერთად ლექციები შეიცვალა ქრონიკების შედარებებს სხვა ისტორიულ მასალებთან, ზოგან ვრცელი კრიტიკული ექსკურსებებით და საკითხების დასმით. ლექციებში ვახტანგ გორგასლის მეფობის ქრონოლოგიზაციასთან ერთად მისი გარდაცვალების თარიღად 537 წელი ყოფილა მიჩნეული.

დასახელებულ ლექციების მეცნიერული ღირებულება, რა თქმა უნდა, ამჟამად ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის კვლევის თანამედროვე დონეს ვერ უპასუხებდა, მაგრამ მაშუხ თუ მაინც ვმსჯელობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ დავითის ლექციების კურსი ერთგვარ ეტაჟად უნდა ჩაითვალოს ქართული ენისა და მწერლობის სისტემატური სწავლების ისტორიაში.

დავითის მსმენელებმა გამოცდებზე კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს, რასთვისაც კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობამ ქართული ენის მასწავლებელს მადლობა გამოუცხადა, და ამის შესახებ სახალხო განათლების მინისტრს აცნობა.

მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ უნივერსიტეტის ადიუნქტო კოლექსკი ასესორი დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც სანკტ-პეტერბურგის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობა უკავია, მუდამ გამოირჩევა დაკისრებული მოვალეობის მიმართ განსაკუთრებულ გულმოდგინებით, ამასთანავე იგი მივლინებული იყო ქართლს, იმერეთისა და გურიის თავდასხმურული წარმოშობის გჯარების დამდგენ დროებით კომისიაში, ისტორიულ აქტებსა და სხვა დოკუმენტებში ქართული გვარების შემოწმება-თარგმნისათვის, და ეს დავაობაჟაე წარმატებით შეასრულა.

ასეთ ოფიციალურ მიწერ-მოწერას დავითი მინისტრამინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, მისთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება შეტოვდნა გადაეცა ახალგაზრდობისათვის, რომ ისინი მწიგნობრივ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყვნენ.

ამ მხრივ საინტერესოა 1851-52 სასწავლო



წელს ამიერკავკასიის სტუდენტებისათვის განკუთვნილი პროგრამა.

პირველკურსელები სწავლობდნენ ქართული ასოების შესატყვისი ბგერების სწორად წარმოთქმას, არსებითი სახელის ბრუნვას, წესიერი და არაწესიერი ზმნების წარმოებასა და უღლებას, ზედსართავს, სასეენ ნიშნებს, ქართულ ლექსთწყობასა და სხვა გრამატიკულ წესებს. ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმანში ვარჯიშისათვის იყენებდნენ სულხან-საბა ორბელიანის „სიზრამინე-სიცრუისას“, „ამირანდარეჭანიანს“, „ვისრამიანას“ და „ქილილა და დამანას“ ნაწყვეტებს.

თარგმნის პროცესში დ. ჩუბინაშვილი მწერლების ცხოვრებისა და ცალკეული სიტყვების ისტორიულ-ფილოლოგიური განხილვის გარდა, განმარტავდა სიტყვების გადატანით მნიშვნელობას, საჭირო შემთხვევაში იშველებდა სინონიმებს და აჩვენებდა, როგორც ერთმანეთთან მათ მსგავსებას, ისე ზოგიერთი სიტყვის უცხოურ წარმოშობას.

მეორეკურსელები ქართულ ენაზე თარგმნიდნენ ნაწყვეტებს ტიმოთეის ნაშრომიდან „მიმოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა“, რომელიც იმ ხანებში პლატონ იოსელიანმა დაბეჭდა თბილისში. სწავლობდნენ იერუსალიმსა და ათონის ქართველთა მონასტრებში წარმოებულ საგანმანათლებლო მუშაობას, ვახტანგ VI-ის ქართლის ცხოვრებას. რუსული ენიდან ქართულად თარგმანში ვარჯიშობდნენ ტამპეს მიერ გამოცემული კარაზინის შემოკლებული ისტორიის მეორე ნაწილთ.

დავითი მოკლედ მიმოხილავდა ქართული მწერლობის ისტორიას, ახასიათებდა მეექვსე, მეცხრე, მეთექვსე და მეთერთმეტე საუკუნეთა საუკუნეთსო ნაწარმოებებს, ცალკე ლექციის უღრვინდა ქართულ ენაზე საღვთო წიგნების თარგმნის საკითხს, განმარტავდა გვიანდელი პერიოდის სასულიერო თხზულებებს, ანტონ კათალიკოსისა და არქიმანდრიტ გაიოხის შრომებს. ახალგაზრდობის ინტერესი დ. ჩუბინაშვილის ლექციებისადმი იმით იყო განპირობებული, რომ იგი ყოველწლიურად სრულყოფდა ლექციების ზარისს, მის შინაარსსა და გადასაცემი მასალების საკითხთა წრეს.

ამის ნათესაყოფად საქმარისა ერთმანეთს შევადაროთ 1851-52 და 1852-53 აკადემიურ წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროგრამები.

წინა აკადემიურ წელთან შედარებით 1852 წელს ქართული ენის სწავლებაში დავითი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნაცვალსახელს, დროისა და ზმნის წარმოებას, წინდებულებას და მართლწერის საკითხებს. რუსულიდან ქართულ ენაზე სათარგმნელად პროგრამაში იმატებით შეაქვს გუგორს მიერ გამოცემული საკითხავი წიგნის ნაწყვეტები, რომლებიც რუსულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნილი იყო გათვალისწინებული, ხშირად მკვეთრად მხარს მხარე დაბეჭდილი ქართული ჟურნალის მიერ გამოცემული სტრუქტურის მიმოხილვისა და ფილოლოგიური შენიშვნების საფუძვლიან ცოდნას. რადგან ლექციებს ხშირად არაქართული კავკასიურ სტუდენტებიც ისმენდნენ, იგი პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდა ქართულ ენაში.

მეორე კურსზე გათვალისწინებული იყო საქართველოს ისტორიის წყაროების თარგმნა და საეკლესიო წიგნების კითხვა, რომლის დროსაც დ. ჩუბინაშვილი მსმენელებს გადასცემდა ხუცური დამწერლობის გრამატიკულ თავისებურებებს. პრაქტიკული მეცადინეობა მთლიანად ქართულ ენაზე საუბარს, რუსული ტექსტების თარგმნასა და ვეფხისტყაოსნის საუკეთესო ადგილების ზეპირად შესწავლას ეთმობოდა.

მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტებისათვის, რა თქმა უნდა, უფრო რთული პროგრამა იყო შედგენილი. მესამე კურსის მსმენელები პრაქტიკულ მეცადინეობაზე იყენებდნენ ქართულ ქრესტომათიის მეორე ნაწილს და სწავლობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიას.

დავითი ლექციებს კითხულობდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ისტორიული შეხედულება ქართულ დამწერლობაზე, ქართული დამწერლობის ნათესაური კავშირები, მხედრული ანბანის მსგავსება ძველ სპარსულ დამწერლობასთან, ხუცური ანბანის მსგავსება სომხურთან და კობტურთან, მხედრული და ხუცური ანბანების მსგავსება, ქართული ენისათვის უცხო ასოების შემოსვლა ქართულ დამწერლობაში, არაბულ-სპარსულ ენის გავლენა ხალხის სასაუბრო ენასა და პოეზიაზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსში განხილული იყო ახალი აღთქმის თარგმნა მეექვსე საუკუნეში, ქართული ბიბლია, IX-XII საუკუნეთა სასულიერო მწერლობა, ათონის მთაზე ქართველთა სავანის დაარსება, ამის შესახებ ქართველი, რუსი და ევროპელი მოგზაურების ცნობები, აღორძინების ხანის საერო მწერლობა, XIII-XIV საუკუნეებში ქართული ლიტერატურის დაცემა, მომდევნო ოთხი საუკუნის სასულიერო მწერლობა, ბექქელის საქმე XVII-XVIII საუკუნის საქართველოში, 1789-1798 წლებში მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნები, ამას გარდა, სპეციალური ლექცია ეძღვნებოდა უახლესი ლიტერატურის მიმოხილვას.

კონანდი კინფუხაშვილი
რუსეთში მართული ენის საუნებერსიტეტო სწავლეობის ისტორიიდან.



დამამთავრებელი განყოფილების სტუდენტები სწავლობდნენ ქართული მწერლობის განვითარების გზას, ვახტანგ VI, ვახუშტი ბატონიშვილის, პაპუნა ორბელიანისა და სხვანაირების მატარებლებს, ფარსადან გორგიჯანიძის, ომან დივანდგისა და სხვათა ისტორიულ თხზულებებს.

დავითი თავის ლექციებში განიხილავდა ქართული პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებებს, მაღალ შეფასებას აძლევდა რუსთაველის, შავთელის, ჩხრუხაძისა და ბესარიონ ვაბაშვილის შემოქმედებას. სტუდენტებს აცნობდა ამირანდარეჯანიანის, ვისრამიანის, რუსუდანიანის, ყარამანიანის და სხვა ნაწარმოებთა საუკეთესო ადგილებს. პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდა ვახტანგ VI სამართლისა და დიპლომატიური აქტების განსახილველად.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად დ. ჩუბინაშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ კვლევით მუშაობას აგრძელებს. ამ ხანებში აქადემიის დავალებით მან შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოსცა ისტორიული კრებული, რომელშიც შეტანილია ვახუშტის საქართველოს ისტორია, უცხოში ავტორის თხზულება, სხვანაირების, პაპუნა ორბელიანისა და ფარსადან გორგიჯანიძის მატარებლები, აქვეა მოთხრობილი ერთეულ მეორის ცხოვრება.

წიგნს საქართველოს ისტორიის წყაროებსა და ქართულ საისტორიო თხზულებებზე დავითმა პირველი წერილი წაუმიძღვარა. თუმცა ნაშრომი ერთ ტომად დაიბეჭდა, მაგრამ როგორც ერთი იმდროინდელი მიმოხილველი მოსწრებულად წერდა, „შეგ მთელი საისტორიო წიგნთსაცავია მოთავსებული“.

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ისტორია-ეტიმოლოგიის ფაკულტეტმა 1854 წლის 25 იანვარს უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე იშუამდგომლა, რათა დ. ჩუბინაშვილს ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება მიანიჭებოდა.

უნივერსიტეტის საბჭომ და სასწავლო ოქლის მზრუნველმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, მაგრამ განათლების მინისტრმა არ დაამტკიცა იგი მოტივით, რომ აღნიშნულ წოდებას დავითს აღმოსავლურ ენათა განყოფილების ფაკულტეტად გადაკეთების დროს მიანიჭებოდა.

XIX საუკუნის 50-იან წლების ბოლოს აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების პერსპექტივებმა დღის წესრიგში დააყენა რუსეთში ერთიანი სამეცნიერო-პედაგოგიური ცენტრის შექმნა. ორიენტალისტების კლიერ კერას დიდი ხნის მანძილზე ყაზანის უნივერსიტეტი წარმოადგენდა, მაგრამ საუკეთესო ძალები იმპერიის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადავიდნენ და აღმოსავლური ენების მეცნიერული შესწავლის საქმე აქ თანდათანობით გაუარესდა.

ჯერ კიდევ 1845 წელს პეტერბურგის სასწავლო ოქლის მზრუნველის კანდიდატობის ენერგიული და კარგი ორგანიზატორული ნიჭის მქონე მიხეილ ნიკოლოზის ძე მუსინ-პუშკინის დანიშვნით აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერული შტაბის შექმნაში ახალი ეტაპი დაიწყო.

განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში მ. მუსინ-პუშკინი მიუთითებდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების სწავლება სრულიად ვერც აღწევს მიზანს, ე. ი. ვერ ხერხდება აღმოსავლური ენების, ისტორიისა და ლიტერატურის საფუძვლიანი და ღრმა შესწავლა. ამიტომ წინადადებას იძლეოდა უნივერსიტეტის ღირსებისა და საკუთრივ მეცნიერების სარგებლობისათვის გარდაქმნილიყო აღმოსავლური განყოფილება და იქ სწავლება სხვაგვარი, უფრო გაფართოებული სახით წარმართულიყო.

სასწავლო ოქლის მზრუნველი მომდევნო წლებშიც ამავე აზრს ავითარებდა, მაგრამ თანხების უქონლობისა და ზოგიერთ საკითხებში განათლების მინისტრის შეზღუდული უფლებების გამო აღმოსავლური ენების სწავლებასა და მეცნიერულ კვლევა-ძიებაში დიდხანს თითქმის არაფერი შეცვლილა.

აღმოსავლური ენებისა და ქვეყნების შესწავლის გაზრდილი მოთხოვნილება მეფის მთავრობას ახალი ამოცანების წინაშე აყენებდა.

მნიშვნელობა არა აქვს, აღნიშნული საგანი პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ სამეცნიერო თვალსაზრისით იქნება განხილული, — წერდა 1854 წლის 8 თებერვალს განათლების მინისტრი აბრამ ნოროვი მთავრობას, ყოველ შემთხვევაში იგი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს და ჩვენ ამ მხრივაც უნდა გავასწოროთ ევროპის მეცნიერებს.

ა. ნოროვი, კაზემ-ბეგის სიტყვით, შექმნა „ახალი აზრი“, როცა ხელმწიფეს აღმოსავლური განყოფილების ნამდვილ საუნივერსიტეტო ფაკულტეტად გადაკეთების აუცილებლობაზე მოხსენება წაუდგინა.

უმაღლესი ხელისუფლებისათვის ეს „ახალი აზრი“ უკვე მისაღები გახდა და პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დაარსების ორგანიზაცია თვითონ განათლების მინისტრს დაევალი.

იმავ წლის 28 აპრილს ა. ნოროვის თავმჯდომარეობით შეიქმნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დამფუძნებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ სასწავლო ოქლის მზრუნველი მ. მუსინ-პუშკინი, სახალხო განათლების დირექტორი პ. გავესკი, უნივერსიტეტის რექტორი პ. პლეტენევი, საზოგადოებრივი განათლების მინისტრის მოადგილე ა. ნიკიტენკო.



მაისში გაიმართა ორი სხდომა, რომლებიც მომავალი ფაქულტეტის სტრუქტურის, სწავლების მიმართულების, შესასწავლ ენათა რაოდენობის განსაზღვრისა და სხვა პრაქტიკული საკითხების განხილვაზე დაეთმო.

მუსინ-პუშკინის წინადადებით ფაქულტეტზე ორი განყოფილება უნდა გახსნილიყო, პირველ განყოფილებაზე სტუდენტებს უნდა შეესწავლათ სისხლისა და სამოქალაქო სამართალი, პოლიტიკური ეკონომია, საერთაშორისო სამართალი და ფრანგული ენა, ხოლო მეორე განყოფილებაზე შემოღებული იქნებოდა ფილოსოფიურ სისტემათა ისტორია, შუასაუკუნეების ისტორია, რუსული სიტყვიერება და ფრანგული ენა.

გარდა ამისა, პროექტის ავტორებმა სასწავლო პროგრამაში თითქმის ყველა ის საგანი შეიტანეს, რომელიც საახლო ინსტიტუტის პროექტში იყო გათვალისწინებული, ე. ი. არაბული, სპარსული, თურქული, მონღოლურ-ყალმუხური, ჩინური, მანჭურული, ქართული, სომხური და ახალი ბერძნული. დამატა მხოლოდ ებრაული ენა. ფაქულტეტზე 5 ორდინარული და 4 ექსტრაორდინარული პროფესორი იქნებოდა.

სხვათა შორის, წარმოდგენილი პროექტით, ქართულ, სომხურ, მანჭურულ და ებრაულ ენებს ექსტრაორდინარული პროფესორი უნდა ჰყოლოდათ.

1854 წლის 5 აგვისტოს პეტერბურგში კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩერნიშოვი განათლებების მინისტრს წერდა, რომ რუსეთის ხელისუფლების ქვეშ მყოფი მონღოლები და ყალმუხები, როგორც რიცხობრივად, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია შევადაროთ ქართველებსა და სომხებს, რომლებსაც მდიდარი ლიტერატურა გააჩნიათ, და რომ ამჟამად საგრძნობლად შეიმჩნევა ამ ხალხების განსაკუთრებული ზრუნვა მშობლიური ენის შესწავლის საქმეში.

კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს სასურველად მიაჩნდა ქართულსა და სომხურ ენებს ახლადგახსნილ ფაქულტეტზე ჰყოლოდათ ორდინარული პროფესორები, მაგრამ მხედველობაში იდებდა თანხების ნაკლებობას და ამიტომ განათლების მინისტრს თხოვდა სათანადო სახსრების გამოყოფამდე აღნიშნული ენების მასწავლებლები ექსტრაორდინარულ პროფესორებად დაემტკიცებინა.

ფაქულტეტის დამფუძნებელმა კომიტეტმა თავისი საჩინაობა კიდევ უფრო გაშალა, მას შემდეგ რაც სენატმა ოფიციალურად მიიღო ბრძანებულება პეტერბურგში აღმოსავლეთმცოდნეობის მეცნიერული ცენტრის შექმნის თაობაზე. გაზაფხულზე მოსამზადებელი მუშაობა ახალ ფაზაში შევიდა.

1855 წლის 4 მაისს შედგა აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტის სასწავლო ნაწილის მომწყობი

კომისიის სხდომა, რომელსაც დამფუძნებელი კომიტეტის წევრების გარდა ესწავლებილი იმონოლოგური ენის პროფესორი ა. პოპოვი, ადიუნტები დ. ჩუბინაშვილი, ნ. ბეროვეი და ლ. ბუღაგოვი.

სხდომაზე მოისმინეს 22 ოქტომბრის სენატის ბრძანებულება აღმოსავლური განყოფილების აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტად გარდაქმნის შესახებ. აგრეთვე ამასთან დაკავშირებით განათლების მინისტრის წინადადებები და განკარგულებები სასწავლო ოქტის მზრუნველისადმი, ამის შემდეგ სხდომა თავმჯდომარემ წინადადება მიიტანა ა. შირვა კახეშვიცს, ა. მუხლინსკის, შეიხ აიად ტანტავის, ა. პოპოვის, დ. ჩუბინაშვილს, ნ. ბეროვესა და ლ. ბუღაგოვს შეედგინათ აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტზე შესაბამისი დისციპლინების სწავლების პროგრამა ოთხწლიანი კურსის გათვალისწინებით.

აქვე ცნობილი გახდა, რომ აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტი იყოფოდა არაბულ-სპარსულ-თურქულ-თათრული, მონღოლურ-ყალმუხურ-მანჭურულ, ჩინურ-მანჭურულ-ებრაულ-არაბულ განხრებად.

ქართული ენა სავალდებულოდ კვლავაც მხოლოდ ამიერკავკასიელი სტუდენტებისათვის იყო გამოცხადებული. კომიტეტის წევრმა კახეშვიცმა, რომელიც ამ დროს მომავალი ფაქულტეტის დეკანი იყო დანიშნული, სხდომის მსვლელობისას ქართული კათედრის უწყალობის დამტკიცება სცადა.


დარბაზში მყოფმა დავით ჩუბინაშვილმა აღუვებისაგან სიტყვის აღებას არ დაუცადა და იქვე საკადრისი პასუხი გასცა ქართული ენის აუგად მახსენებელს, მერე კი კომიტეტის წევრებს საფუძვლიანად გააცნო ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და კულტურული მონაპოვრები.

ყოველივე ეს ისე კარგად და ეფექტურად გააკეთა, რომ მუსინ-პუშკინმა ხელი ჩამოართვა და უთხრა, მიყვარს, როცა ასე თავგანწირვით იცავენ თავის სპეციალობას, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას.

აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტის სასწავლო ნაწილის მომწყობი კომისიის უკანასკნელი სხდომა 13 აგვისტოს ჩატარდა. მას წინა შეკრებისაგან განსხვავებით უფრო მეტი წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის დავით ჩუბინაშვილიც.

სხდომაზე მოისმინეს რექტორის წარდგინება სასწავლო ოქტის მზრუნველისადმი აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტის სასწავლო ნაწილის მოწყობის შესახებ. მერე განიხილეს სწავლების პროექტის მიმართ გამოთქმული ზო-

კორნელი კინწურაშვილი
რუსეთში ქართული ენის საუნივერსიტეტო სწავლების ისტორიიდან



გერთი მოსაზრება, რის შედეგადაც საბოლოოდ გადაწყდა აღმოსავლური ფაქულტეტი ოთხის ნაცელად, ხუთ მთავარ განხრად გაყოფილიყო.

ზემოთდასახელებულ განხრებს დამატა ქართულ-სომხურ-თათრული განყოფილება.

ეს იყო არა მარტო დავითის პირადი გამარჯვება, არამედ ქართული სავანმანათლებლო საქმის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი. ამიერიდან ქართული ენა საფაქულტეტო საგნიდან საუნივერსიტეტო დისციპლინად იქცა და მისი შესწავლა აღმოსავლური ფაქულტეტის სტუდენტებისათვის სავალდებულოდ გამოცხადდა.

ავგისტოში დ. ჩუბინაშვილს ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება მიანიჭეს.

ფაქულტეტი საზემო ვითარებაში გაიხსნა 1855 წლის 27 აგვისტოს, დღის თორმეტ საათზე, ზუსტად იმ დღესა და საათზე, როცა სევასტოპოლის შტურმი დაიწყო და დასაბამი მიეცა აღმოსავლეთის საკითხებში რუსეთის აქტიურ მონაწილეობას. ამ დღეს უნივერსიტეტში მოვიდა აღმოსავლური სიტყვიერების ბევრი მოყვარული. გახსნას იქაური ქართველებიც დაესწრნენ.

ამ გამარჯვებით გამხსნეებულ დავითი უფრო მეტი ხალხით განაგრძობს ქართული გრამატიკის ბეჭდვას, რომლის შედგენას 12 წლის შრომა დასჭირდა. კრიტიკულად სწავლობს საქართველოს მეფეებისა და მთავრების კანონმდებლობებს, ამავე დროს ლექციებსაც კითხულობს პეტერბურგის ყველა იმ სასწავლო დაწესებულებაში, სადაც ამიერკავკასიელები სწავლობდნენ. მალე იგი მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მოსკოვში მიემგზავრება საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში დაცული ქართული სიგელების შესასწავლად. ამ მივლინების დროს მის მიერ მიკვლეული 85 სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტი მ. ბროსემ 1861 წელს შეიტანა წიგნში „ქართველი მეფეების მიმოწერა რუსეთის ხელმოწიფებთან“.

პეტერბურგში დაბრუნებული დ. ჩუბინაშვილი ვეფხისტყაოსნის გამოცემის საკითხებით არის დაკავებული, უნივერსიტეტის სტუდენტებს აცნობს შოთას უკვდავ პოემას, ფილოლოგიური თვალსაზრისით იკვლევს ქართველი ხალხის ცხოვრებას XI-XII საუკუნეებში, აღდგენს უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ზაბლოთოეკაში არსებული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგს, აკადემიის სტამბაში ბეჭდავს ს. ს. ორბელიანის იგავ-არაკებს, აქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც.

ამ დროს და შემდეგაც, რვა წლის განმავლობაში, საზაფხულო არდადეგაზე ასრულებს აღმოსავლურ ენათა ფაქულტეტის დეკანის მოვალეობას. უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფიზიკა-მათემატიკის ფაქულტეტის დეკან ა. ბეკეტოვთან და არქიტექტორ ა. ი.

გორნოსტაევთან ერთად ხელმძღვანელობს ბოტანიკური აუდიტორიის ფლიგელსკაჟნიკობას.

აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებასთან ერთად ქართული ენა, ლიტერატურა და საქართველოს ისტორია ევროპული მკვლევარების შესწავლის საგნად იქცა. დავითის ქართველოლოგიური ნაშრომები მათ დაუფასებელ სამსახურს უწევს.

ამ მხრივ საინტერესოა 60-იანი წლების დასასრულს გერმანულ ეურნალში გამოქვეყნებული, ქართული ქრესტომათიისათვის მიძღვნილი ლაბციგელი პროფესორ ბროკაუზის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და მისივე პირადი წერილი დ. ჩუბინაშვილთან.

რეცენზიაში გერმანული მკვლევარი ახასიათებს ქართველ ხალხს, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული და მწერლობა გააჩნია.

მისი აზრით, ქართული პოეზიის ოქროს ხანას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი. მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს „ვეფხისტყაოსანს“ და აღნიშნავს მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის დამსახურებას ქართულ ენისა და ლიტერატურის კვლევა-ძიების საქმეში.

დასასრულს იგი წერს, რომ ქართველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთმანეთთან დაკავშირებაში და მათი საშუალებით აღმოსავლეთის ბევრი რომანტიული მოთხრობა გავრცელდა ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში. ეს კულტურულ-ისტორიული მოვლენა ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

აღნიშნულ წერილს მკითხველებში ისე დიდი ინტერესი გამოუწვევია, რომ ბროკაუზი იძულებული გამხდარა გერმანიის სააზრო საზოგადოების ეურნალში გამოსაქვეყნებლად ქართულ ქრესტომათიაში შესულ ნაშრომებზე უფრო დაწვრილებითი ცნობები ეთხოვა წიგნის გამომცემლისათვის.

გაზრდილი მოთხოვნილება ჩვენი წარსულის შესწავლაზე დავითს ახალი ამოცანების წინაშე აყენებდა.

1862 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის წლიური ანგარიშისათვის წარსადგენ მასალებში ვეითხულობთ, რომ პროფესორი დ. ჩუბინაშვილი მუშაობს ქართული ლიტერატურის ისტორიის შედგენაზე, რომელსაც დაერთვის ქართული ქრესტომათია, გამოსაცემად ამზადებს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, რომელშიც აისახება ქართველი ხალხის შინაგანი ცხოვრება, წოდებრივი ელემენტები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ისტორიულ პროცესს, გლეხთა საყუთრების ფორმებსა და სხვა საკითხებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ლიტე-

რატურული ძეგლები ევროპაში ჯერ კიდევ სრულად უცნობია, ამიტომ დ. ჩუბინაშვილის მიერ მომზადებული ამ ქვეყნის ლიტერატურის ისტორია მეცნიერებისათვის დიდი მონაპოვარი იქნებაო, — წერდა საიამპერატორო აკადემიის ეურნალი.

აეთივე აზრს აეთარებენ პროფესორები ვ. ვასილივი და კ. პატანოვი დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ რეცენზიაში.

ისინი წერდნენ, რომ დავითს მომზადებულ აქვს ქართული ლიტერატურის ისტორია, სადაც დაწერილებით განიხილება ქართული ენის კილოების შედარებითი გრამატიკა. იგი მზადაა და გამოიქცევა მას შემდეგ, როცა ავტორი ადგილზე გაეცნობა ენის სხვადასხვა კილოებს, აქვე ლამაზაია გამოსაცემად უკვე გამზადებული ქართული ხალხის ყოფილი ცხოვრების ისტორიაზე, რომელიც რეცენზენტების სიტყვით: „ფრიად საჭიროა არა მარტო ხალხის პოლიტიკური ისტორიისათვის, არამედ მსოფლიო ინსტიტუტისათვის, განსაკუთრებით ახალი საკანონმდებლო სამუშაოებისათვის, სადაც შეიძლება ხაზი გაესვას წინა კოლექციებში ადამიანრივი სამართლიდან გამომტოვებულ ბევრ დებულებას“.

სამწუხაროდ, დ. ჩუბინაშვილის ზემოთდასახელებულ ნაშრომებს დღის სინათლე არ უნახავს. ისე კი მათი არსებობა არავითარ ეჭვს არ იწვევს; ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ორი დოკუმენტი.

1867 წლის 6 ნოემბერს დავითი აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს მიმართავს: „დასაბეჭდად მოვამზადე ქართული კილოების შედარებითი ლექსიკონი რუსულ და ფრანგულ ენებზე თარგმანითურთ, აგრეთვე ქართული ენის კილოების შედარებითი გრამატიკა. ვადაწყვეტიე ჩემი ნაშრომები ქართული კილოებით გავამდიდრო და ამიტომ გთხოვთ, ამიერკავკასისა და თურქეთის საქართველოში (ტრაპეზუნდის საუბაშო) მიმავლინოთ“.

ცოტა მოგვიანებით კი ვახუთ „დროებაში“ ვასილ მაჩაბელი წერდა: „ამ დღეებში ჩვენი პატივემუღი მოღვაწე დავით იესეს ძე ჩუბინოვი დაბრუნდა საზღვარგარეთიდან. იგი ორნაირს საგრავლობას უპირებს ჩვენს ლიტერატურას. პირველი, რომ წერს საქართველოს შინაგანი ცხოვრების ისტორიას (ხაზი ჩემია — კ. კ.) და ამახადებს დასაბეჭდად ახალს უფრო ვრცელად შეესილს ლექსიკონს. მადლობა და პატივი მას, ვინც თავის შეძლებსამებრ შრომას არ ზოვავს მამულისათვის და პატივი მას, ვინც თავის შეძლებსამებრ შრომას არ ზოვავს მამულისათვის და რომლის გულშიაც ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში დაუვიწყარია თავისი მშობელი ქვეყანა“.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება დიდ სიმწიფეებს წა-

წყდა.

ეს იყო წინასწარი მოფიქრებული გადაწყვეტილება, რომელსაც 1863 წლის საუნივერსიტეტო წესდებამ წერტილი დაუსვა. რამდენაღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე მასწავლებელთა სამეტაო ერთეული 16-დან 21-მდე გაიზარდა, მაგრამ ამით საქმეს მაინც არ ეშველა, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ხარჯზე ქართული და სომხური ენების კათედრები გააერთიანეს და მას პროფესორისა და დოცენტის შტატი დაუტოვეს. გაერთიანებულ კათედრას სათავეში დავითი ჩაუდგა.

როგორც ქართულ-სომხური კათედრის ხელმძღვანელი, იგი ათავრებულ აღნიშნავდა ამ ორი სხვადასხვა დისციპლინის ერთ კათედრაში გაერთიანების უსაფუძვლოება და მიუთითებდა სწავლების ხარისხის უარყოფით შედეგებზე, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანდა.

შვეიწროებულ მდგომარეობაში მყოფი ქართული ენა მეტ ყურადღებას მოითხოვდა. საჭირო გახდა ლექციების კურსის დახვეწა.

ამ მხრივ საინტერესოა დავითის მიერ 1863-65 წლებში წაკითხული ლექციების კურსის ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართული ხალხის პოლიტიკური ისტორიის შესავალი, ფილოლოგიური დაკვირვებები ქართული ენის შემადგენლობაზე, სამ ეპოქად დაყოფილი ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ქართული საკანონმდებლო წყაროების მიმოხილვა, ქართული სამეფო წყობილების სტრუქტურა და სხვა.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი კანონის მიხედვით 25 წლის პედაგოგიური მოღვაწეობა პროფესორისათვის საკმარისი იყო, რათა აღდგინო პენსია დანიშნოდა, დავითმა კი მაინც არ დაანება სამსახურს თავი, რადგან ქართული ენის სწავლება ხელმძღვანელის გარეშე რჩებოდა.

რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ამ პერიოდში ქართული კულტურის მიმართ კიდევ ერთი შემზღვევა ღონისძიება ვატარდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლება გაუქმდა, თითქოს ესეც საკმარისი არ ყოფილიყო, კავკასიელ სტიპენდიანტთა რიცხვი საგრძობლად შეამცირეს.

დავით ჩუბინაშვილი გულს მაინც არ იტეხდა, პირიქით, ახალგაზრდებს ამხნევებდა და მოუწოდებდა, კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეესწავლათ მშობლიური ენა და ჩვენი წარსულის მონაპოვრები.

1871 წლის 1 ნოემბრიდან, 30 წლის მუშაობის შემდეგ, დავითი პენსიაზე გავიდა და მთელი თავისუფალი დრო მეცნიერულ კვლევას დაუთმო. უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლების საქმე ღირსეულად განაგრძო დავითის ყოფილმა სტუდენტმა ალექსანდრე ცაგარელმა.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა ოციანი წლებისა

წინამდებარე სტატიაში ავტორი ცდილობს, შეძლებისდაგვარად, ახალი კუთხით გააშუქოს გალაკტიონ ტაბიძის მიერ ოციანი წლებში შექმნილი ლირიკული პროდუქცია. ჩვენ, პირველყოფისა, გვანტერესებს გალაკტიონი, როგორც ქართული საბჭოთა პოეზიის დიდი ფუძემდებელი, პოეტური სიტყვის უებრო ოსტატი, რომელმაც შთავინებთ უმღერა სამშობლოს განახლებას, ახალ ადამიანს და ახალ აღმშენებლობას, ეპოქალურ გარდატეხებასა და კეთილშობილურ საქაცობრიო იდეალებს. კარგადაა ცნობილი, რომ ოციანი წლებში ქართული მწერლობა სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებდა იყო დაყოფილი. თვითელი ამ ჯგუფის შემოქმედებითი პრაქტიკა სრულიად სხვადასხვა, საესებით გარკვეულ ესთეტიკურ პრინციპებს ემყარებოდა.

სხენებულ ლიტერატურულ ჯგუფებში ცალ-ცალკე გაერთიანებული იყვნენ ჩვენი პოეზიის მეტად თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებმაც შემდგომში დიდი ღვაწლი დასდეს თანამედროვე ქართული პოეტური სიტყვის განვითარებას. შემოქმედებითი ძალეზის ასეთი დაქსაქსვა, რასაკვირველია, აფერხებდა მწერლობის ახალი დანიშნულებისათვის ბრძოლას, ახალი ეპოქალური მოვლენების, საბჭოთა აღმშენებლობის ღირსეული ასახვისა და მხატვრული ჩვენების საქმეს; აფერხებდა თვისობრივად ახალი, სოციალისტური ესთეტიკის ჩამოყალიბების პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ არასასურველ ვითარებაშიც კი ზემოხსენებულმა პოეტებმა შექმნეს ზოგაერთი ბრწყინვალე ლექსი, რომლებიც ქართული ლირიკის ძვირფას კუთვნილებად იქცნენ. ეს მხოლოდ ცალკეულ ნაწარმოებზე ითქმის, საერთოდ კი განახლებული სინამდვი-

ლე მოითხოვდა სრულიად ახალსა და უჩვეულო პოეტიზირებას.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ყველა ქართველი პოეტი როდი იყო გატაცებული ჯგუფობრიობით. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ შედიოდნენ არც ერთ ლიტერატურულ გაერთიანებაში და დამოუკიდებელი გზით სიარულს არჩევდნენ. საბედნიეროდ, ასეთ პოეტად გვევლინება, უპირველეს ყოვლისა, გალაკტიონ ტაბიძე, რომლის შემოქმედებითი გენია ვაღლა იდგა ყოველგვარ ვიწრო ინტერესსა და შუბლედულობაზე. ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი, თავისი შეუღარებელი ტალანტის სრული აღზევების ეამს, რევოლუციური ეპოქის უპირველეს და გადაუღებელ მოთხოვნილებათა სიმადლზე იდგა და შეუმცდარად, წარმართავდა ეროვნული მხატვრული სიტყვის განვითარებას.

გ. ტაბიძის წინაშე არასოდეს მდგარა საკითხი. რევოლუციის მიღებისა თუ არმილების შესახებ. მისი მეამბოხე სული იმთავითვე ესწრაფვოდა ცხოვრების განახლებას და მიუწვდომელ მწვერვალებს, ესწრაფვოდა სამშობლოს თავისუფლებას და ადამიანის ბედნიერებას. ამიტომ იყო, რომ აღფრთოვანებით გამოხემაურა რევოლუციის ქარიშხლებს, რამდენადაც. მათში საწუკვარ ოცნებათა რეალიზაციის აუცილებელი პირობა შეიცნო. ცნობილი ლექსები „ღროშები ჩქარა!“, „გვმი დალანდი“, „დაბრუნება“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „წვილია მეგობრისადმი“ და სხვ. განმსჯეალულია საბრძოლო ღღების შთაბეჭდილებით და იმ უცილობელი იმედით, რომ საქართველოსაც მისწვდება განახლების გრიგალის ქროლვა. ამ იმედით გამოსწია მან სამშობლოსაკენ. არა ერთხელაა აღნიშნული, რომ ქართულ პოეზია-

ში ვ. ი. ლენინის სახელი პირველად გაიხსოვა ლექსში „გემი დალანდი“. უნდა დავუმატოთ, რომ რევოლუციის ბელადის სახელი, სხვა მოვლენებთან ერთად, ამ კონტექსტში ქმნის მთლიან მხატვრულ სახეს, რომელიც განცდის უშუალოდ თანა წარმოქმნილი:

**გახსენებების მოძაზოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი,
კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „და-
ლანდი“
და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი
ცრემლი.**

ცხადია, პოეტის სულში ღრმად აღბეჭდილი ეს მძაფრი მოვლენები მშრომელი ხალხის მოაქვალზე ფიქრითაცაა გამოწვეული.

1921 წლით, ე. ი. საქართველოს გასაბჭოების პირველი წლით დათარიღებულია გ. ტაბიძის რამოდენიმე ლექსი. ვარდა იმისა, რომ ეს ნაწარმოებები თავისებურად ეხმაურება ახალი ხანის დასაწყისის ქართული ხალხის ცხოვრებაში, უკვე მათში აშკარად იგრძნობა ახალი სინამდვილის შესაფერისი მხატვრული ფისი ძიების ტენდენცია. მართალია, ჯერ კიდევ ძნელი იყო სალექსო მეტყველების მნიშვნელოვანი გადახალისება, მაგრამ გ. ტაბიძემ, თავისი მდიდარი პოეტური არსენალიდან ზოგერთი მასალის ახლებური გააზრებითა და გადამუშავებით, მაინც შეძლო განსხვავებული ძეგლადობის მხატვრული სახეების შექმნა. ასეთი ძეგლოვანობა განიცადა, მაგალითად, გ. ტაბიძის პოეზიის ერთ-ერთმა ძირითადმა პოეტურმა სახემ „ლურჯა ცხენები“. თუ ადრე იგი მირაჟებში მჭროლავ არარეალურ სიმბოლოს წარმოადგენდა, ახლა შეცვლილი ივრით, ახალი დროის მაუწყებელ, ენერგიული ბრძოლისა და წინსვლის მერნების სახედ იქცა. ლექსის „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“ ლირიკული გმირი მიმართავს სამშობლოს გათენებას:

**მანამ შენ თანადარს გზები გაუფარჩოს
შუქთა შეკავშვას და ალთა გაქენებას,
იმ სწრაფს, იმ სანატრელ მერანს გაუმარჯოს,
იმ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებას!**

სხვა ლექსს პირდაპირ ასე ჰქვია: „ახალ მერნების წყება“. აქ უფრო ხელშესახებდადა გამოხატული ახალი დროის დამკვიდრებისა და მისთვის ბრძოლის იდეა:

**ახალ მერნების მსუბუქი წყება
დგას ჩვენი დროის კართან ვედრებით,
მათ ენატრებათ თავდავიწყება
და გაბედული უნდათ მხედრები.**

როგორც ვხედავთ, მხატვრული სახის ანგარი ევოლუცია გამოწვეულია თანადროულობის მოთხოვნილებებით და კარგ სამსახურს უწევს პოეტს სინამდვილესთან დაახლოებას და ახალი ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბებაში.

ჩვენი დროის მოვლენების, საბჭოთა სინამდვილის საწყისი პერიოდის დამახასიათებელი ნიშნების პოეტურ სურათებში გამოხატება თანდათან უფრო გამოკვეთილი და კონკრეტული ხდება. ახალი აღმზანები, ახალი მოვლენები და საგნები სულ უფრო მისლობელნი ხდებიან შემოქმედისათვის და თანმიმდევრულად თავთავიანთ ადგილს იჭერენ მის პოეტურ სამყაროში. და აი უკვე ჩნდება საესეებით დამოუციდებელი, თანადროულობით აღბეჭდილი მხატვრული სახეები: „ეს გრიგალა სიხლისი, შუხს რომ არ დააგვიანებს“, ან „რევოლუციონერის ხსოვნას“, რომელსაც „ცხოვრება უყვარდა, როგორც ბრძოლის პიესა“.

1922-23 წლებში გალაკტიონი უშვებს საკუთარ ლიტერატურულ ეურნალს, რომელშიც, მხატვრულ მასალასთან ერთად, ათუესებს მგზნებარე მიმართავს ქართული მწერლობისადმი. პოეტი თავის კოლეგებს უსახავს ერთადერთ სწორ შემოქმედებით გზას, მოუწოდებს მათ ხალხის მხარდამხარ, სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში დგომას. იგივე საპროგრამო თვალსაზრისი პოეტმა ემოციური მხატვრული ენით შემდეგ გამოთქვა ცნობილ ლექსში „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, რომელიც საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებად იქცა არა მარტო მისი ავტორის, არამედ მთელი ქართული საბჭოთა პოეზისათვის. შემდგომ წლებში გ. ტაბიძე იწყებს მუშაობას ცნობილ ლექსთა ციკლზე „ეპოქა“. რომელსაც მოსდევს აგრეთვე კარგად ცნობილი ციკლები „პაციფიზმი“ და „რევოლუციონერი საქართველო“; ლექსების ყოველი ამ რკალთაგანი უკვე საესებით და მთლიანად რევოლუციური ემოქის მხურვალე პათოსითაა გამსჭვალული. მათში უკვე გაბატონებულ აღდგის იკავებენ თანადროულობის თემები და მოტივები, სოციალისმის მშენებელი აღმზანები, თავიანთი ახალი სულიერი წყობით, განსხვავებული შეხედულებებით სამყაროზე, კაცობრიობის ბედობაზე, აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ძველის, დრომოქმულის ნგრევისა და ახლის შენების პროცესი აღნიშნულ ლექსთა ციკლებში წარმოდგენილია უაღრესად კონკრეტობიერებულ პლანში, რაც საბოლოოდ დიდი განზოგადებისა და

პრიგოლ ხარხაულიძე
ბალაკტიონ ტაბიძის ლირიკა
ოცინი წლებისა

მასტაბურობის სახეს ლეგელობს. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ნაწარმოებებით თვით ფორმა ლექსების ციკლისა, როგორც პოეზიის დამოუკიდებელი სახეობა. პირველად გ. ტაბიძემ შემოიტანა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, რითაც დასაბამი მისცა დღეს ასე ფართოდ მის გავრცელებას.

გ. ტაბიძის ოციანი წლების ლექსებში, როგორც ყოველთვის, პატრიოტული მოტივი დომინირებს, ეროვნული მეობის, ეროვნული თვითგამორკვევისა და მილიონობის პრობლემა, რაც მუდამ იყო ქართული პოეზიის სისხლში მოკვდომილი მიზეზთა მიზეზი, ახალი რევოლუციების ეპოქაში ახლებურად წამოიჭრა და პოეტური აზროვნების უნევერსალური ფორმით, ყველაზე მეტად, გალაკტიონის მძალად სიტყვაში გამოვლინდა. თვით რევოლუცია გ. ტაბიძეს, პირველყოფისა, ეროვნული პრობლემატიკა ინტერესებდა და იზიდავდა. საზოგადოებრივი წყობის ძირფესვიანი გადასვლის შემთხვევაში მისთვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ის გამაღიანებელი სარკე, რომელშიაც პოეტი ქვრტდა სამშობლოს თავისუფლებას, ხალხის მთელმხარე შემოქმედებითი ენერჯის გამოფხიზლებისა და განვითარების თვალსაზრისით პერსპექტივებს. ამიტომ იყო, რომ იგი დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს და აყურადებდა რუსეთში გაჩაღებულ ისტორიულ პერიპეტეებს. სწორედ ამის გამოძახილია პოეტის გულწრფელი ნათქვამი: „განა არ არის საშინელი საცოდობა, ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა — რევოლუცია არ აძლევდეს სიმშენიერეს?“ ესა სიტყვები ლექსიდან „წერილი მეგობრისადმი“, რომელიც 1918 წელსა დაწერილი და რომელშიაც რევოლუციის მიღების საკითხი, სწორედ, ეროვნული ტრადიციების სტერეოტიპი გადაწყვეტილი, (ხო, როგორ მინდა მეგობრებო, რომ თქვენთან ერთად მივიღო ჩვენი წინაპართა ელვარე თასი“).

უკვე ოციან წლებში იხვეწება და ფრთას ისხამს საბოლოოდ გ. ტაბიძის ესთეტიკური იდეალი — თავისუფალი და ბედნიერი სამშობლო, იდეალი, რომელიც პოეტის არსებობაში დიდი ხნის ნანატრ და ნაფურცბ მიზანს შეადგენდა. ამ დროისათვის მას უკვე მართლაც მრავალმხრივი გააზრებით შეეძლო ეთქვა: „გატანილია ლელო და აღტაცებით ვფერებო“. სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსებიდან უნდა გამოვყოთ „შობლიური ეფემერა“, რომელიც ერთ-ერთი ბრწყინვალე ლირიკული ქმნილებაა თანამედროვე ქართული პოეზიისა. უნდა ითქვას, რომ ლექსის სათაური მხოლოდ პირობითია; მასში არაფერია ეფემერული ან აბსტრაქტულ-მოჩვენებითი. ეს ლირიკული ნაწარმოები, ვფიქრობთ, ერთმანეთთან დაკავშირებული ორი პლანისაგან შე-

დგება. ერთია წარსულის გახსენება, სალო მეორე — ეროვნულისა და თანადროული პოეზიის შერწყმა. პირველი იკვეთება მხოლოდ პირველი მეტყველებით, როგორცაა:

სულ ერთი წამით, განსაცდელ უამად,
შეხედრა ჩუმი მე შენად მერგო.
მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!..

მეორე ხაზი კი უფრო ქვეტექსტის საშუალებით ვითარდება, რაც ვლინდება მხიანი ფერების მოზაიკაში („ფერების ქვერი ირევა ბევრი, ლოლბის ტეგერი — ლილა და შვინდი“). მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ორი პლანი დაკავშირებულია ამირანის მხატვრული სახით, რაც ლექსის აზრობრივ-ემოციურ აქტენტს ქმნის. ამირანის სახე აქ ორიგინალური გააზრებითაა წარმოდგენილი. იგი გულისხმობს მრავალტანჯული ქართველი ხალხის დიდ მოძავალს. ეს აზრი გამოთქმულია არა პირდაპირი, შიშველი სახით, არამედ მოქცეულია ტრადიციული სურათის პერსპექტივაში:

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვხვის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — კვლავ ვკითხვ ტყეებს,
და ტყე გუფხუნებს: ამირანია!..

მასსადამე, მითოლოგიური მოტივი აქ მთავარია ახალი თემის გადასაწყვეტად; იგი გათანამედროვეებულია და გააქტუალურებული. საერთოდ, გ. ტაბიძე არ ეყუთენის იმ პოეტულ კატეგორიას, რომელიც ეროვნული გრძნობებით თავმოქმედობს და დღესიდან ქართველურ ბუეს ჩასახის. სამშობლოზე მას ბევრი შესანიშნავი ლექსი აქვს დაწერილი, მაგრამ გაცილებით მეტი აქვს ნათქვამი სხვა თემზე შექმნილ უამრავ ლექსში. ხშირად მისი ერთი სტრიქონი ან ერთი პოეტური სახე უფრო ბევრისმთქმელია, ვიდრე მთელი ნაწარმოები. პატრიოტიზმი მისთვის ორგანული, მთელს არსებაში გაბატონებული სიწყისია, რითაც ხელოვანი სულგამულობს და განსაზღვრავს თავის მოღვაწეობას. ეროვნული და პოეტური გალაკტიონისათვის ერთმანეთს გულისხმობს, ერთიდაიგივეა „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არა ქართული, ძაფი წერვის არ არის ჩემში არა პოეტის“ ან კიდევ: „საქართველო! აი, რა არის შემოქმედება“.

პოეზია იდენს გადამღერება როდია. პოეზია არის მხატვრულ სახეში ხორციშქსხმული იდეა. თუ ამ აზრს ქეშმარტებად ვლბებლობთ, მაშინ უნდა დაქსძინოთ: გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სიტყვა სწორედ ამგვარი პოეზიის ნიმუშია, სწორედ ამგვარ პოეტურ სახეებში გამოქვეყნა გალაკტიონმა ისტორიული ბრძოლების განმთავისუფლებელი იდეა:

ქანაობს გემი, მიწვეული გრიგალით თრობას,
ო, ეს დუმილი, დაუძრავი ანძების თავ-
ზე,
ამ ბნელი ღამით ემუქრება კაცობრიობას,
ძველს, დახვეწულს ემუქრება სიახლით
სავსე.
(„ქალაქი წყალზე“)

აქ ჩვენ საქმე გვაქვს აზრის სრულიად უჩვეუ-
ლო განსაზღვრებასთან („ო, ეს დუმილი, დაუძრ-
ავი ანძების თავზე“). მკვეთრად საგრძნო-
ბია, რომ ანძების თავზე ატყორცნილი მრისხანე
დუმილი ხვალ ძლევაშობილად იქუხებს და
ქიმიციმულ, დახვეწულ სამყაროს შესძრავს,
განახლებს. ისტორიული მოვლენების ჩატევა
ასეთ დინამიკურ მეტაფორაში მხოლოდ და
ძირფესვიანად შესცვალა და ფასეულობათა
სრული გადასინჯვა გამოიწვია, სამოქალაქო
ომი, საბჭოთა ხალხების ერთიანი ოქსის
შექმნა, ბურჟუაზიული ქვეყნების ცხარე რეაქ-
ცია ამ ისტორიული მოვლენებისადმი, ახალი
ომის საშიშროება, მუშათა საერთაშორისო
მძიარობის ახალი აღმავლობა. კულტურის,
მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრი პროგ-
ნოსი და სხვა მნიშვნელოვანი ძვრები ეპოქისა,
სამყაროს სრულიად თავისებურ იერს აძლევ-
და, განაპირობებდა მის ენერგიულ პულსაციას.
გაკვირვებას იწვევს ის დიდი ცოდნა, ინტე-
რესი და ყოველსმომცველი შემოქმედებითი
აზრობა, რითაც გალაკტიონი ეხასტება ყოველ
კოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას,
საკაცობრიო საკითხებს. ამ მხრივ, მისი პოეზია
შეიძლება შევადაროთ სეისმოგრაფს, რომელ-
საც არ ეპარება დედამიწის სრულიად უმნიშ-
ნელო ბიძგიც კი.

ხელოვანი, თუ ის ნამდვილი ხელოვანია,
უნდა აქტიურად ერეოდეს ცხოვრების წინ-
სვლაში, ავტორიტეტული სიტყვით უნდა
იყოლიებდეს და წარმართავდეს საზოგადოებ-
რივ აზრს: გონიერული მოქმედებისავე. ჩვენ
დროის ადამიანის ანალიტიკური გონება ყო-
ველ საგანს, ყოველ ისტორიულ აქტს ვანსჯის
მკაცრ ცხრილში ატარებს, სწვდება მათ
შინაგან არსს და განიხილავს დიალექტიკური
განვითარების პრიზმაში. გ. ტაბიძის ლექსების
ლირიკული გმირი ასეთი მაღალი ადამიანური
შესაძლებლობის მქონე ინდივიდია, ოღონდ
ყოველივე ამქვეყნიურს იგი აღქვამს გრძნო-
ბად-ინტელექტუალური იმპულსების ერთდრო-
ული დამბებით. ისე რომ გალაკტიონის ლი-

რიკა ნიშნულია აზრისა და ემოციის სრული
შერწყმისა მხატვრულ ნაწარმოებში. ამიტომ
არის, რომ სამყაროს მრავალფეროვნება მასში
ვლინდება მთელი თავისი შინაგანი აზრობით
მომარაბის დინამიკით:

მსოფლიო ხსივნების და ცეცხლის ღეროთა,
მსოფლიო დღევეზე და ქარზე მდეროდა,
მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით,
მსოფლიო რღვევანი ხმელეთით რბოდიან,
მსოფლიო ორკესტრი მიწისძვრით, ტახტე-
ბით,
მსოფლიო წვიმებით და წარღვით მოდიან,
მსოფლიო ვულკანის ავარდნენ ბოლები,
მსოფლიო მდინარეთ ადიდდნენ ტალღები,
მსოფლიო მწვერვალთა დანისლდა ზოლები.
(კოსმიური ორკესტრი“)

ამ ლექსის მთელი მხატვრული ფაქტურა
და შინაგანი ექსპრესია მართლაც ზუსტად
გამოხატავს საბჭოთაში ნაფულისხმე შინაარსს
და ადეკვატური პოეტური ფორმით გადმო-
გვცემს მღელვარე ეპოქის მძლავრ კოსმიურ
სიმღონისა. რეფრენად გამოყენებული ენერ-
გიული სტრიქონი — „მსოფლიო ნგრევათა
კვლავ მოწმე გავხდებით“ — დიდი წინასწარ-
მეტყველური შთამბეჭდაობით არის გამსჭე-
ვებული, რაც გაამართლა ისტორიის შემდგომმა
განვითარებამ და რომელიც მოამკლისათვისაც
ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას. თუ
ჩვენ მივუთითებთ ბეთპოვენურ საწყისზე
გ. ტაბიძის პოეზიაში, მაშინ „კოსმიური
ორკესტრი“. მოვლენების წვდომის მასშტა-
ბურობითა და ჰეროიკული სუნთქვით, აღნიშ-
ნული ხაზის ერთ-ერთი მუკაფიო გამოხატუ-
ლებაა.

სამყაროს შემოქმედებითი შემეცნების ამ-
გვირ განსაკუთრებული უნარით აღჭურვილი
პოეტი თავს სრულიად თავისუფლად გრძნობს
ცხოვრების ურთულეს საკითხებში და დროის
ქეშარიტი მხატვრის უფლებამოსილებით,
სახეობრივი აზროვნების მოხდენილ ყალიბში
აქცევს აქტუალურ თემებს, პირადას თუ
საზოგადოებრივ განწყობილებებს, რითაც
მეტად ღირებული წვლილი შეაქვს ხალხის
სულიერი კულტურის წინსვლისა და განვი-
თარების საქმეში. პირდაპირ შეუძლებელია
იმ თემებისა თუ საკითხების ჩამოთვლაც კი,
რომლებსაც გ. ტაბიძე გამოეხმაურა აღნიშ-
ნულ პერიოდში. ერთი კი ცხადია, ეს გამო-
ხმაურება ყოველთვის შეპირობებული იყო
პოეტის დიდი დინამიკური ცხოვრების
საპირბორტო პრობლემების მიმართ.

ლიტერატურის ისტორია იცნობს არაერთ

გრიგოლ ხარბულიძე

გალაპტიონ ტაბიძის ლირიკა
რევიზია

ხელოვანს, რომლებიც თანადროულობასთან მწვევე კონფლიქტში აღმოჩნდნენ, ვარემო სინამდვილეში თანაგრძობდა, ვერ პოვეს და ცხოვრებზე ხელჩაქნეულებმა, საზოგადოებიდან გაეცა არჩიეს. მათ საპირისპიროდ არიან შემოქმედნი, რომელთა სიცოცხლის აზრს მუდმივი მოქმედება და უკეთესისათვის ბრძოლა შეადგენს. ხოლო ცხოვრების განახლებასთან ერთად, ისინი ეპოქის მხარდამხარ ღვთისმის განაგრძობენ. ასეთ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის გ. ტაბიძე, რომლისთვისაც დიადი თანადროულობა ნამდვილი სიხარულისა და თავმოწონების საგანს შეადგენს. ეპოქის ტყვილები და გამარჯვებები მისი ადამიანური თუ შემოქმედებითი არსებობის გზის წარმართული ფაქტორებია. ხალხის ერთიანი აღმშენებლობითი ერთუზიანობით განათებული ახლის დამამკვიდრებელი პათოსი, გაშლილი ნაბიჯით წინმავალი დროება ყველა დროზე უფრო მაღლა დგას და პოეტის გულს კაიონიერი სიამაყის გრძნობით ავსებს:

არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება

გავსაუბროს ჩემსას თამამად,

მას მომავალი ეალუბლება

მხოლოდ გრივად, წვიმად, სამუშად.

(„არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება“).

გ. ტაბიძეს, რომელმაც სრულიად ახალი ეტაპი შექმნა ქართული პოეზიის განვითარებაში და თავისი მგზნებარე პოეტური გული თანამედროვეობის წმინდა სამსახურში დაფრთხლა, მართლაც აქვს უფლება თქვას: „და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

საერთოდ, ამ პერიოდში გ. ტაბიძეს მწვევედ აფიქრებს ხელოვნების არსისა და მისი განვითარების სკოლები, აფიქრებს შემოქმედის ბედი ახალ ისტორიულ ეტაპებზე. მისთვის, ძირითადად, ნათელი იყო პროგრესული ხელოვნებისა და მოწინავე შემოქმედებითი ძალების როლი და ფუნქცია ჩვენი საზოგადოებრივი წყობის შემდგომი წინსვლის პირობებში, მაგრამ, ჯერ ერთი, ახალი ესთეტიკური პრინციპები დადგენისა და ჩამოყალიბების არცთუ იოლ პროცესს განიცდიდა, ხოლო მეორეც, სანტერესო იყო საზღვარგარეთის ხელოვნების შემუშავა პოზიცია ბოლოქარი ეპოქალური მოვლენების მიმართ. ამასთანავე, იმ ხანას ეკუთვნის ზოგიერთი გავრცელებული სკეპტიკური მოსაზრება. სახელდობრ, ისტორიული კატაკლიზმების, მეცნიერებისა და ტექნიკის საოცარი განვითარების ეამს ხომ არ დაკარგა ხელოვნებამ თავისი ცხოველყოფილი ფუნქცია ხალხის სულიერი წინამძღოლისა? ხომ არ მოჰამა პოეზიათ თავისი დრო, როგორც ადამიანის ეთიკურ-მორალური სახის ჩამოყალიბების ფაქტორმა საშუალებამ? ამგვარი უსაფუძვლო კითხვები, რასაკვირველია, შედე-

გი იყო იმხანად მსოფლიოში არსებული ვითარება, საწინააღმდეგო აზრთა დუილი, სხვადასხვა ფილოსოფიური თუ შემოქმედებითი „იზმის“ ურთიერთიდილსა, დასაწყისში მოძალებული პრაგმატიკული შეხედულებებისა.

ასეთი ვითარების მიმართ საღი აზრი, რა თქმა უნდა, გულგრილი ვერ იქნებოდა. იმათ შორის, ვინც ხმა აღიმალა აღნიშნული მიუღებელი თეორიების წინააღმდეგ, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო გ. ტაბიძე. როგორც ეპოქის დიდმა მესტიყემ, მან ამ მხრივაც მოიხადა ვალი კაცობრიობის კულტურული განვითარების წინაშე. თავის პუბლიცისტურ გამოსვლებში თუ ლირიკულ ქმნილებებში იგი გვევლინება ხელოვნების მაღალი იდეალის, კემ-მარტივი პოეზიის მარადეულობის დამცველად. როგორც მძაფრი რეაქცია მშვენიერების ყველა უარყოფელთა წინააღმდეგ, როგორც პოეზიის ქებათაქება გაისმა გალაკტიონის „პოეზია — უპირველეს ყოვლისა!“ პოლ ვერლენისაგან განსხვავებით, რომლის ესთეტიკური დევიზია „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა“, ქართველი პოეტი შემოქმედების უმთავრეს პრინციპად სახავს ისეთ პოეზიას, რომელიც ახასიათებს ყოველივე წმინდასა და ამაღლებულს: სიხარულის შეგრძნებას, მიზნისათვის თვადებულ ბრძოლას, წარსულის განმასახიერებელ დიდებულ ძეგლს, ხალხთა სიმღერებს, სამშობლოს სიყვარულს. ეს ლექსი არის გალაკტიონის ზეშთაგონებით წარმოქმნილი ერთ-ერთი უბრწყინვალესი შედეგები, რომელიც ქართული ლირიკის საგანძვს ამშვენებს.

როგორც არ უნდა განვითარდეს მეცნიერება და ტექნიკა, რა განსაკვირვებელი აღმოჩენებითაც არ უნდა გამდიდრდეს ბუნებისმეტყველება, იგი მაინც ვერ დაჩრდილავს პოეზიის ზემოქმედებას ადამიანზე. მანქანა ყოველთვის და ყველაფერში ვერ შეცვლის ადამიანს. ვერ აღიჭურვება ისეთი სულიერი კატეგორიებით, როგორცაა ემოციები და განწყობილებები, რაც მხატვრული ნაწარმოების სულსა და გულს წარმოადგენს. ადამიანისათვის კი სულიერი საზრდო ისევე საჭიროა, როგორც პაერი და მზე. ეს ყოველივე იმთავითვე ცხადი იყო გალაკტიონისათვის, მისთვის ცხადი იყო, რომ სიცოცხლე მიემართება არა დაკანინებისა და აპატიის, არამედ სრულყოფისა და მიზანწრაფვის გზით, რომ სამყაროს განვითარების საბოლოო მიზანს შეადგენს არა დაქუცმაცება და დისპარმონია, არამედ სხვადასხვა ელემენტთა სინთეზი და პარმონია, მონოლითური სამყარო, მდიდარი თავისი მრავალფეროვნებით — აი მიზანი და შემოქმედლიც მოვალეა ამ აზრის დადასტურებას ემსახუროს. უნდა გაიფანტოს ყოველგვარი

ეჭვი და ბურუსი, პოეზიაში უნდა წინარჩუნ-
ნოს თავისი კუთვნილი ადგილი ცხატებაში.
ფიქრი ფიქრს მოსდევს და ახალი ფიქრი
ინასკება:

გაპქრა ზმანება, გაპქრა ფერია,
ნუთუ ბოდღერიც დააფერია?
შელოცი პოუგოს დავკანება?
მიუსნე? ვერღენ? ღმერთი? კაენი?
აჰა, ქალაქთა გვიანი ნებით
ბურუსებში სჩანს აინშტაინი.

(„თუ ბრძოლა არ არის“)

მსოფლიოს გამოჩენილ პოეტთა გვერდით
ამ კონტექსტში აინშტაინის ხსენება უკვე
ბევრ რამეზე მეტყველებს. თანამედროვე
ფიზიკის უდიდესი წარმომადგენელი, ვფიქ-
რობთ, აქ ასპარეზზე ჩნდება არა როგორც
სულიერი კულტურის ანტითეზა, არამედ რო-
გორც კაცობრიობის ახალი სიმდიდრის შე-
მქმნელი, რომელიც ორგანულად ერთგვის
სამყაროს ფერხულში.

ერთი საკითხია, რომ ვერცერთ დროს და
ვერცერთ ეპოქას ვერ წარმოვიდგინებ პოეზიის
გარეშე, მაგრამ მეორეა — ყველანაირი პოე-
ზია სკირდება თუ არა ეპოქას, ყველანაირი
პოეზია გამოდგება თუ არა ხალხის სულიერ
თანამგზავრად? როგორც მოსალოდნელია, გ-
ტაბიძე აქაც იჩენს შემოქმედის შეუველ
პრინციპულობას. იგი გადაპირთ ილაშქრებს
არაფრისმთქმელი, უდიდობა და უძარღვო
მხატვრული სიტყვის წინააღმდეგ ამხელს და და-
სცინის პოზიორ, ე. წ. ძალად პოეტებს. მათს
ნაჯახიურეს არაფერი აქვს საერთო საზოგადო-
ების ზნეობრივად მწვერთელ პოეზიასთან.
ცხოვრების აქტუალური საკითხების გასარკვე-
ვად საჭიროა არა შემოქმედებითი იმიტიაცია,
არამედ უშუალო და ხალხის გზნება:

ო, ქალი ძვირფასო, ნაწო ვით ფერია,
მწამს მხოლოდ მაისი, არ მწამს ისტერია.
და ან უალბ პოეტებს ვინმე ეღადავება?
არ მინდა, ბატონო, მათი უკვდავება.
ან ტომებს ბრევიცისა მე რა წამაკითხებს,
ისედაც კარგად ვჭრი მსოფლიო საკითხებს.

ამ ლექსს „წარწერები“ ჰქვია. იგი დაწერი-
ლია 1925 წელს და, ვფიქრობ, სხარტად
გამოხატავს ავტორის მეგრძოლ შემოქმედ-
ბითს კონცეფციას, მის შეუთრეგებლობას
ლექსისმიკეთებელთა თუ უშინაარსო პოეზიის
მიმართ.

სხვა შემთხვევაში, გალაციონს საშუაარზოზე
გამოჰყავს უცხოელი მწერალი, რომელიც
გაუტაცნია ფუჰ და უსაფუძვლო ფანტაზიას
და შედეგად მოუხდენია „სასწაულებრივი
აღმოჩენები“. ლექსი, საიდანაც მხოლოდ ორ
სტროფს მოვიტანთ, უსათაუროა და იწყება
ასე: „ინგლისელ მწერალს მსურს ვუთხრა:
მისტერი“:

შეგისწავლიათ თქვენ მარსიც ასე
და რომანში გაქვთ სიტყვა ჩართული,
რომ გიგანტები ცხოვრობენ მარსზე
და მათი ენა არის... ქართული!
იქნება გვიხორბათ, რომ ფერა სრულს
ამ აღმოჩენის იქნას ეფექტი:
მარსზე გამოთქმა არის ქართული,
მაგრამ ქართულის რა დიალექტი?

პოეტური მიგნება, გონებამახელობა და
სალი ირონია ერთნაირად ამშვენებს ამ სტრი-
ქონებს.

ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება
პოეტს არწმუნებს თავისი ესთეტიკური შეხე-
დულებების სისწორეში, მას სრული უფლება
აქვს დიდი სიხარულით თქვას: „მარადია
ერთადერთი: შეგნება“, პოეზია უკვდავია:
„იყო მრავალი განადგურება, ლექსთა სიკვდი-
ლი კი — არასოდეს“.

ასეთია გ. ტაბიძის თვალსაზრისი ცხოვრ-
ებისა და ხელოვნების ურთიერთობის თაობაზე,
პოეზიის მინიშნელობაზე მეცნიერებისა და
ტექნიკის უჩვეულო განვითარების პირობებ-
შიც კი; თვალსაზრისი, რომელიც მან მხატვ-
რულ ფორმაში გამოთქვა, ჯერ კიდევ ჩვენი
საუკუნის ოციან წლებში. ამის განსენება
განსაკუთრებით საინტერესოა ახლა, როცა ეს-
ეს არის ვადაიარა, ჩვენი ფიქრით, უსაფუძვე-
ლო ლიტერატურულმა კამათმა ლირიკოსე-
ბისა და ფიზიკოსების ურთიერთდაპირისპირე-
ბის გამო, რაც გამოიწვია სლუცკის პატარა
ლექსმა. ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ,
რომ ეს საკითხები კარგა ხანია თავისებურად
და მართებულადც გადაჭრა გ. ტაბიძემ თავის
ლექსებში.

მოცემულ პერიოდზე მოდის გ. ტაბიძის
ბევრი შესანიშნავი ლექსი, რომლებიც მარა-
დიულ თემებს ეძღვნება. ესენია ორიგინალური
მხატვრული მანერით შესრულებული ნაწარ-
მოებები, რომლებშიაც ავტორი ჩვეული
გულთამხილაობით სწვდება სიყვარულის, ბუ-
ნებისა და ცხოვრების განვითარების სხვა
კანონზომიერებათა საიდუმლოებებს. აქვეა
წარმოდგენილი რელიგიური ელფერით შეზა-
ვებული ლექსები, სადაც ქრისტეს, ღვთის-
მშობლის, ანგელოსების და სხვა ბიბლიური
სახეების საშუალებით გადმოცემულია ღირი-
კული გმირის ესა თუ ის სულიერი გან-
წყობილება. საერთოდ, კლასიკური ხელოვნება
დიდადა დავალბული ბიბლიური მოტივე-
ბით. ამ მხრივ ცნობილია და ვინჩისა თუ
რაფაელის, რემბრანდტისა თუ ტიციანის, ზახისა
თუ შუბერტის, პეტრარკას, პუშკინის, ბარა-

ბრიგოლ ხარხაულები

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა
ოციანი წლებისა

თაშვილის, ბლოკის და სხვა გენიალურ შემოქმედთა მხატვრული ქმნილებები, რომლებიც მსოფლიო კულტურის ძვირფას საუნჯეს ამჟღავნებენ. მათში რელიგიური სახეების ხატვასთან ერთად, მცდედნება ადამიანის სრული ღვთაებრივი საწყისის შეცნობისა, ღმერთის ადამიანის სახედ წარმოდგენისა. ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ გალაკტიონის იმ ნაწარმოებებსაც, რომლებიც, ასე თუ ისე, ბიბლიურ მოტივებს ეხმარებიან. მაგალითისათვის, თუ გავიხსენებთ ორსტროფიან ლექსს „შავით შემოსილხარ, როგორც ელენგია“, იქნებ ზოგი რამ ამ მხრივ უფრო გასაგებნი ვახდეს:

შავით შემოსილხარ, როგორც ელენგია,
მშობლით დაცემულხარ, როგორც ანგელოსი.
საინლის ელვარება ხატებს შუღვია,
იგი ოცნება მიქელ-ანჯელოსი.
მაგრამ მწუხარებას ნულარ ედარები,
კიდევ ამისრულე ერთი სათხოვარი,
უკვე დაიღუბა ყველა შენდარები,
შენდა დაგშენია გამოსათხოვარი.

ელენგით განწყობილება აქ, მართლაც, მკაფიოა. ლირიკული გმირის მიძიე სულიერი მდგომარეობა მკვეთრად არის ხაზგასმული ეკლესიური ატმოსფეროთი. პოეტური შთაგონების კიდევ ერთი ბედნიერი გამოხატებაა სახე — მეტაფორა: „საინლის ელვარება ხატებს შუღვია“. სიგანთა ურთიერთმიმართების ასეთი ზუსტი და მეტად თავისებური მხატვრული წარმოსახვა თითქმის წარმოუდგენელიც კია. გვახსენდება ბლოკის ცნობილი ლექსი «Девушка пела в церковном хоре».

ამ ორ ლირიკულ შედევრს ერთმანეთთან ანათესავენ განწყობილების ერთგვარობა და მაღალი სულიერი სიწმინდის გარემოცვა.

გ. ტაბიძის პოეტური მეტყველება ოციან წლებში გამდიდრდა ახალი ფერებითა და ინტონაციებით. ქართულ პოეზიას შეემატა გალაკტიონის ბევრი შესანიშნავი ლექსი. აზრის, ემოციისა და ენობრივი მუსიკის სანიშნო სინთეზი, რაც წლების განმავლობაში გამოუმუშავა პოეტის არსებაში, ახალ მწვერვალზე იყარობდა. ამ აზრს სრულს უმაკვეთლობით ამტკიცებენ, ზემოდსახელებულ ლექსებს გარდა, ისეთი ნაწარმოებები როგორიცაა: „პროლოგი 100 ლექსის“, „თბილისი“, „ქალავ“, „შენ და შემოდგომა“, „ეს მშობლიური ქარია“, „დგება თეთრი დღეები“, „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“, „რუს პოეტს“, „მატარებელში“, „მზავარის სიმღერა“, „ვარდები“, „მცხეთამდე“, „მცხეთიდან“, „გადაია“, „ღელავენ“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, „სიცოცხლის მტყენები“ და სხვა.

ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა „ეს მშობლიური ქარია“. ესაა თავისებური

პოეტური ტრიბიტხი, რომლის სამი ნაწილი მთლიანობაშია შეკრული საერთო განწყობილებით. თემა ერთია — ავტორის მშობლიური სამშობლოში გადამდარი მშობლიური ბუნების მშვენიერება და მოულოდნელ ასოციაციებში გამცდედებული სხვადასხვა მოგონება. მიუხედავად ამისა, ყოველ ნაწილს მინც აქვს შენარჩუნებული თავისი დამოუკიდებელი მხატვრული იერი. აი იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ ევასუხება ადამიანის განცდას ბუნების ფაქიზი სურათი:

გახსოვს? ტოტი ქარისა
აქანებდა მთვარესა...
„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა“.

ძნელი დასადგენია ამ საოცარი პოეტური სახის წარმომშობი ემოციური იმპულსები. ყოველ შემთხვევაში, იგი არ შეიძლება მხოლოდ ვიზუალურ გრანოზამდე დაეყვანათ, ჩვენ აქ თავისუფლად შეგვიძლია დავადასტუროთ პოეტის არსებაში მომხდარი ასოციაციური-ინტუიტიური და ანალიტიკური საწყისების ერთდროული ამოქმედება.

კიდევ შეგვეძლოს მოგვეტანა მრავალი მაგალითი, როცა პოეტის მხატვრულ-წარმოსახველობითი უნარი საკვირველ ეფექტს ახდენს, მაგრამ ამჯერად ეს ვეძმართ.

დიდი რუსი კომპოზიტორი ა. სკრიაბინი ოცნებობდა მიღწეა მუსიკალურ ბგერათა და ფერების ისეთ შესატყვისობისათვის, როცა ესა თუ ის ხმა რომელიმე გარკვეული ფერის ასოციაციას გამოიწვევდა. ამ მხრივ მისი ზოგიერთი ცდა წარმატებითაც დასრულდა. გალაკტიონმა ექსპერიმენტი სიტყვისა და მუსიკის ურთიერთობის სფეროში ჩაატარა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საუკუნეში გ. ტაბიძის შემოქმედია, რომლის ლექსებშიაც, ხშირ შემთხვევაში, სტრიქონთა საამური დინება მუსიკალური გამის სრულ შთაბეჭდილებას იწვევს, ხოლო მთელი ნაწარმოები, ლექსიკის ტონურ-მელოდიკური წყობისა და ფერთა მოდულაციის შერწყმით, ერთგვარი პოეტური კონტრაპუნქტის სახედ გვევლინება. გ. ტაბიძის პოეზიაზე დავკვირვებ, ამ თვალსაზრისით, დიდად დავცხმობებ პოეტის მონოგრაფიულად შესწავლის საქმეში.

გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლისა და გაშუქების საკითხი კარგა ხანია მომწიფდა. ეს განსაკუთრებით საჭირო გახდა პოეტის გარდაცვალების შემდეგ, როცა დამუშავდა მისი მდიდარი არქივი და გამოსაცემად მომზადდა თხზულებათა სრული კრებული, თორმეტ ტომად, რომელთაგან ექვსი უკვე გამოსულია. შესაძლებლობა გვეძლევა უფრო ღრმად, ახლებურად ჩავუფიქრდეთ პოეტის შემოქმედებითა



მემკვიდრეობის ზოგიერთ საკითხს. მაგალითად, ცნობილია, რომ წინა კრებულებში ავტორი ყოველთვის ზუსტად ვერ ათარიღებდა ბევრ აღრიწვას ნაწარმოებს. თორმეტომეულზე მუშაობის დროს ტექსტოლოგებმა, სათანადო მასალის შესწავლით, მრავალ ლექსს თავისი ნამდვილი თარიღი აღუდგინეს. ამის შედეგად ნაწარმოებების საკმაო რაოდენობა, რაც ადრეული პერიოდების მხატვრულ პროდუქციად მიგვაჩანდა, ოციანი წლების კუთვნილებად იქცა. ამრიგად, ჩვენებს გადმოიხანცელეს შესანიშნავმა ლექსებმა: „ადარ არის მენესტრელი“, „წინანდალელი ნათელა“, „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია“, „აივანზე“, „ფეშვარა“, „ისევ ეფეშვარა“, „ზღვის ეფეშვარა“, „სახალწლო ეფეშვარა“, „მშობლიური ეფეშვარა“, „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“, „რა დროს რომანსეროა?“, „ქარი ჰქრის“, „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“, „სალამო სოფლად“, „წერილიდან მისდამი“, „ყვანები“, „თოვლი იყო ირბი, აღმაცერი“, „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...“ „შინდისის ქადრებს“, „შენ რაღას იტყვი, ყანა?“.

როგორც ვხედავთ, ეს ის ცნობილი ლექსებია, რომლებიც გასაბჭოებამდე დაწერილად ითვლებოდა და, მასასადამე, გალაკტიონის მოღვაწეობის სიმბოლისტურ პერიოდს მიეკუთვნებოდა. აქ დასახელებულ ლექსთა უმრავლესობა ჩვენს კრიტიკას თუ ლიტერატურათმცოდნეობაში დამოწმებულია, როგორც გ. ტაბიძის მოდერნისტული პოეტური აზროვნების ნიმუში. შეიქმნა ასეთი ვითარება: ან უნდა აღვიაროთ, რომ აღნიშნულ ნაწარმოებს საერთო არაფერი აქვთ სიმბოლიზთან ანდა მოვალდინთ სიმბოლისტური მხატვრული სტილის კონსტატაცია გალაკტიონის ოციანი წლების შემოქმედებაში. ვფიქრობ, ღრმა ლიტერატურული ანალიზი მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ მითითებული ლირიკული მასალა სიმამფვილის რეალისტურად წარმოსახვის შედეგია და ამდენად, მის მიმართ სიმბოლიზმის ცნების მიყენება უმართებულოა თუ, რასაკვირველია, სიმბოლიზმად არ ჩავთვლით სიმბოლოებით აზროვნების ჩვეულებრივ მეთოდს, რაც რეალისტური ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანია. მართლაც, განა შესაძლებელია სიმბოლისტურ მხატვრულ მეთოდს დაუმორჩილო ისეთი ლექსები, როგორცაა: „ადარ არის მენესტრელი“, „წინანდალელი ნათელა“, „მშობლიური ეფეშვარა“, „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“, „ქარი ჰქრის“, „შინდისის ქადრებს“ და სხვ. მათში ხომ ცხოვრების უნივერსალური აზნისა და სიცოცხლის ჭანისა სიყვარულის იდეა გამოვლენილი, უჩვეულოდ მდიდარ და ნათელ პოეტურ სახეებში.

რამ მოითხოვს საგანგებო კვლევას დაზუსტებას.

ბოლო წლებში გ. ტაბიძის პოეზიის შესახებ გამოითქვა ზოგიერთი ისეთი შეხედულება, რომელთა მიმართაც დუმილით გვერდის ავლა არ ეგებოს. კრიტიკოსთა ერთ ნაწილს ჰგონია, რომ გალაკტიონის ლირიკას არასაკმარისად ახასიათებს ფილოსოფიური სიღრმე და მოვლენათა მხატვრული გაანალიზების უნარი. ეს აზრი, მეტი რამ არ ვთქვათ, სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული. ჯერ ერთი, გასარკვევია რა მასშტაბით ან რა სახით უნდა გამოვლინდეს ამა თუ იმ პოეტის ფილოსოფიურობა, ხოლო მეორეც, ვინც კარგად ჩაუკვირდება გალაკტიონ ტაბიძის მხატვრულ აზროვნებას, ეცოდინება, რომ მეფლიტეა მისთვის არ უკმაოდენს თვითმისწინა, რომ განსკა-დაფიქრება არ უნდა დაგვისხლტეს მისი სტროფების მელოდიკაში, რომ მოვლენათა დიალექტიკურ პრიზმაში გააზრება მისთვის ნიშნულია იმდენად, რამდენადაც ეს მოსალოდნელია ტექნიკური ლირიკოსისათვის.

სულ ახლახან გ. ტაბიძის სიმბოლისტური პერიოდის ლექსების თაობაზე გამოითქვა მეტად საჩოთირო აზრი, რომლის მიხედვითაც ქართული ლირიკის უბრწყინველესი შედეგებში „სილიცეარდუ ანუ ვარდი სილამი“, „ლურჯა ცხენები“, „ანგელოს ეკირა გრძელი მერგამენტო“, „პოეზია — უბრველეს ყოვლისა“ „თოვლი“ და სხვ. წარმოადგენს „ავადმყოფური ეგზალტაციის“ გამოვლინებას პოეტის მხატვრულ მსოფლგაგებაში. ამ აზრს, რაღა თქმა უნდა, ვერ გაიზიარებს ქართველი მკითხველი. თვით ეს ფაქტი იმაზე მიგვიითხვებს, თუ რა სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ უცხოური ტერმინების გამოყენებას ჩვენს სტატიებში.

საბოლოოდ დადგენასა და შეთანხმებას მოითხოვს აგრეთვე გ. ტაბიძის შემოქმედების პერიოდიზაციის საკითხი, რაშიც სრულიად საპირისპირო შეხედულებებია გამოთქმული.

საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყეთ გ. ტაბიძის შემოქმედების კომპლექსური შესწავლა. იგი ძალზე საინტერესო მასალას იძლევა, როგორც იდეურ-მხატვრული განვითარებისა და პოეტის თვალსაზრისით, ისე ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიის, ფოლკლორისტიკის, ენათმეცნიერების, პოეზიისა და ხელოვნების სხვა დარგების ურთიერთობის მხრივ. დროა, გ. ტაბიძის მაღალი პოეზია ხელმისაწვდომი გავხადოთ საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხებისათვის, ჩვენდა საამაყოდ. სამწუხაროდ, რუსი მკითხველი ჯერ-

გრიგოლ ხარბულშიძე

ბალაკტიონ ტაბიძის ლირიკა
ოციანი წლებისა

ჯერობით სათანადოდ ვერ იცნობს გალაკტიონის სიტყვის ძალასა და მომხიბვლელობას. ეს, რა თქმა უნდა, პირველყოფლისა, აიხსნება მაღალხარისხოვანი თარგმანების უქონლობით. აი რას წერს თანამედროვე ცნობილი რუსი კრიტიკოსი სტანისლავ რასსადინი თავის სტატიაში, რომელიც ეურნალ „იუნოსტის“ შარშანწინდელ, მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა: «Мы знаем прекрасных грузинских поэтов старшего поколения — это замечательно. Но пока не знаем общепризнанную славу Грузии — Галактиона Табидзе. Даже Борис Пастернак в своей антологии грузинских поэтов намеренно оставил белое пятно, признав себя бессильным достойно перевести Галактиона»¹.

როგორც ვხედავთ, გ. ტაბიძის პოეზიის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისა და პოპულარიზაციის საკითხი სერიოზულად დგას. ასეთ ვითარებაში უცნაურად გაისმის იმის მოთხოვნა, რომ დროა, გამოვამყდავნოთ და გავაკრიტიკოთ გ. ტაბიძის სუსტი ლექსები, რათა ახალგაზრდობას გემოვნება არ წაუხდესო. კაცს ახალგაზრდობის ესთეტიკური გემოვნების წახდენის დარდი ჰქონდეს და გალაკტიონის ლექსებს მიაღგეს?! ჩვენ მომხრე არა ვართ ნაგლოვანი მხარეების მიჩქმალვისა ამა თუ იმ მწერლის ნამოღვაწეში, რაც არ უნდა დიდი იყოს იგი. ამგვარ შეღავათს არ მოითხოვს არც გ. ტაბიძე. გენიალურ შემოქმედთა ნაკლოვანების ჩვენება უნდა ხდებოდეს სპეციალურ მონოგრაფიებში, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს. ახლა კი დროა და პრობლემაა არა გ. ტაბიძის სუსტ

ლექსებზე ყურადღების გამახვილებისა, არამედ დრო იმისა და პრობლემაა, რამდენად რომ ყოველმხრივ საფუძვლიანად — მივიწყებულთ პოეტის უმიდრესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ვიზრუნოთ მისი პოეზიის საყოველთაო პოპულარიზაციისათვის, რათა მსოფლიო პოეტების თანაჯარსკვლაველში გ. ტაბიძემაც დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი.

ამჯერად ჩვენი მიზანი იყო განგვიხილოთ გ. ტაბიძის მიერ ოციან წლებში შექმნილი ლირიკული ნაწარმოებები, მხოლოდ რამოდენიმე ასპექტში. ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოეტის შემოქმედების ბიოგრაფიაში, რამდენადაც იგი ემთხვევა სოციალისტური აღმშენებლობის პირველ ათწლეულს საქართველოში. თავს იღო რა უაღრესად საბატო მოვალეობა ახალი ეპოქის დაუღალავი მომღერლისა, ამით გალაკტიონ ტაბიძეს წილად ზედა ისტორიული შემოქმედებითი მისია, ყოფილიყო ქართული საბჭოთა პოეზიის დიდი ფუძემდებელი. როგორც ჩვენი ძველი ეროვნული პოეზია რუსთაველის ცხოველმყოფელი ნიშნით მოიკვლევდა სახელოვან გზას, ისე თანამედროვე ქართული პოეტური სიტყვა დაეჟაკადა და განვითარდა გ. ტაბიძის შთამავრებელი მაგალითით.

გ. ტაბიძემ, საუკუნის ამ ღვიძლმა შვილმა, სათუთი პოეტური თრთოლვით გამოხატა თავისი ქვეყნის ცხოვრების ყველა ეტაპი და სხვადასხვა თაობის აღამიანთა სულიერი სამყარო. მისი ჰემარიტად აღამიანური პოეზია მომავლის ჰორიზონტებს გადასახებეს, როგორც თავისი დროისა და ხალხის სულისკვეთებით აღბეჭდილი გრძნეული სიმღერა, როგორც მეოცე საუკუნის ქართული ლექსის დიდება და სინდისი.

¹ Станислав Рассадин, и с миром утвердилась связь. Юность, 1967, № 9, стр. 84.



პრტი აზორიზმის ბაემ

„ცემა გამართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ნახო ავად ზრდელი“

ეს შესანიშნავი აფორიზმი იმდენად ნაცნობი, გავრცელებული და პოპულარულია ჩვენში; თავისი შინაარსით, ფორმითა და სტილით ისე ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანის“, „ქილილა და დამანას“, „გამზრდელისა“ და ზოგიერთი სხვა დიდაქტიური ხასიათის თხზულების ბრძნულ გამონათქვამებს, რომ ბევრს იგი ერთ-ერთ ამ თხზულებათა კუთვნილი და მისგან მომდინარე ჰგონია. ამიტომ აფორიზმის ავტორად ზოგი შოთა რუსთველს ასახელებს, ზოგი — დავით გურამიშვილს, ზოგი კი — დევი — არჩილს, სულხან-საბა ორბელიანს, აკაკი წერეთელსა და ა. შ. ზოგიც ხალხურად თვლის.

ეს შეხედულებანი ლიტერატურაშიც აისახა. ასე, მაგალითად: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მეორე ტომში (1951 წ.) აღნიშნული აფორიზმი მოტანილია „გამზრდელი“ სიტყვის საილუსტრაციოდ და მიეწერება დავით გურამიშვილს (გვ. 671). ხოლო ამავე ლექსიკონის მეოთხე ტომში (1955 წ.) ეგვემ აფორიზმი დამოწმებულია სიტყვა „ზრდილის“ საილუსტრაციოდ და მიჩნეულია ხალხურად (გვ. 178). ხალხურადა იგი მიჩნეული აგრეთვე „ხალხური სიბრძნის“ მეხუთე ტომში (თბ., 1965 წ., გვ. 380; შემდგენელი — ლ. ლევავა). 1935 წელს ეს აფორიზმი ი. გრიშაშვილს რუსთველისეულად ჩაუთვლია.¹ ეგვემ აზრი გამოვრდა შემდეგაც. მაგალითად, იგი როგორც შოთა რუსთველის აფორიზმი, ეპიგრაფად

წამდგარებული აქვს გაზეთ „მებრძოლ გუშაგ-ში“ გამოქვეყნებულ თ. თანდლიაშვილის წერილს „ტაქსში მხოლოდ ქალიშვილებია“ (5. III—59 წ., № 10) და სხვა.

აღნიშნული ლიტერატურის გაცნობამ გვიჩვენა, რომ არცერთ დასახელებულ ავტორთან, ან სხვა რომელიმე გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებში საძიებელი აფორიზმი არ დასტურდება. სტილის მიხედვით კი ძნელია იგი ხალხურად ვცნოთ.

ამ აფორიზმის ავტორის დადგენას განსაკუთრებით ის ართულებს, რომ, სადაც კი ის არის დამოწმებული, — ეს იქნება სამეცნიერო, პუბლიცისტური თუ მხატვრული ლიტერატურა — თითქმის არსად არ არის მითითებული წყარო, საიდან, რის მიხედვით არის იგი მოტანილი. ამიტომ საკითხის გარკვევისათვის ერთადერთ გზად ისღა რჩება, რომ დადგინდეს, სად და როდის ჩნდება პირველად ეს აფორიზმი ლიტერატურაში.

ამ მიმართულებით კვლევა-ძიებამ მიგვიყვანა ილია ჭავჭავაძემდე და მის „ივერიამდე“. პირველად ეს აფორიზმი იმეჭლება გაზეთ „ივერიაში“ და პირველად მას თავის პუბლიცისტურ წერილებში იყენებს ილია ჭავჭავაძე. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ შემოიღო რუბრიკა „დამაკვირდი“. ამ განყოფილებაში იგი სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ და მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა და მოაზროვნეთა ბრძნულ გამონათქვამებს — ანდაზებს, აფორიზმებს, სენტენციებს... ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი სწორედ ამ რუბრიკით გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1886 წლის 12 თებერვალს (№ 34, გვ. 3). აქ ამ აფორიზმის ავტორად გამოცხა-

1. საანდაზო ლექსები, ვეფხისტყაოსანი, ქილილა და დამანა, გურამიანი, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბ., 1935, გვ. 155.

დებულება ვახტანგ მეექვსე. მომდევნო, 1887 წელს „ღამაკვირი“ ცალკე წიგნად გამოვიდა.¹ მასში ჩვენი აფორიზმიც შევიდა და იგი აქაც ვახტანგ მეექვსეს მიეწერება (გვ. 8).

ორი წლის შემდეგ, 1889 წელს ილია ქავჭავაძე ამ აფორიზმს იყენებს ივანე ჯანაძარის წინააღმდეგ დაწერილ და იმავე წლის აპრილი-ივნისის თვეებში გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში „აი ისტორია“: „...ჩვენი კულტურის სხვადასხვა ელემენტზედ... ქაღალდობს ავტორი, რომ მე პირველი ვარ, რომელიც ამ მხარით ვიხეხი სპარტოველის ისტორიას და ლიტერატურასაო. მართალია ბოდინის მოსახლელად ისა აქვს, რომ რაც მიმიღია იმას გაძღვეთო, მაგრამ მაგას რომ არაფერი მიეღოს, ან ჩვენი რა ბრალია, ან ჩვენი ისტორიისა: საცა გაწერთინია და უსწავლია, იმას ვადაახდევინოს. განა ტყუილია,

ცემა გმართებს გამაზრდელისა,
რა ყრმა ნახო ავად ზრდილი?!

(თხზ., ტ. IV, 1955, გვ. 69).

ეს აფორიზმი ილია ქავჭავაძემ გამოიყენა აგრეთვე 1899 წელს „ქვათა ღალადში“ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის პატკანოვისა და ახალგაზრდა ნიკო მარის წინააღმდეგ. ილია წერს:

„...მე პატკანოვის შეგირდი ვარო, იძახის თავმოწონებით ბანი მარი, მწურთვნილის კარგად ხსენება მაღლობელის გაწურთვნილი-საგან მოსაწონია, მაგრამ ესეც კი ურიგოდ არ არის ნათქვამი: „ცემა გმართებს გამაზრდელისა, თუ ყრმა ნახო ავად ზრდილი“ (თხზ., ტ. VIII, 1957, გვ. 119).

ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ მოტანილი აფორიზმის თეზის მხატვრულ ხორცშესხმასა და შემოქმედებით განვითარებას წარმოადგენს აკაკი წერეთლის პოემა „გამაზრდელი“, რომელიც სწორედ ამ პერიოდში, 1898 წელს გამოქვეყნდა. მართალია, ამ თხზულებას „ნამდვილი ამბავი“ აწერია, მაგრამ მისი თემა და იდეა, მისი დაწერის დრო გვაფიქრებინებს, რომ ქართული პოეზიის ამ მშვენიერის შექმნა პოეტისათვის სხვასთან ერთად იმ ხანად გამოქვეყნებულ ჩვენს აფორიზმსაც უნდა შთაეგონებინა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი საკმაოდ ხშირად იხმარება, მაგრამ მის ავტორად ვახტანგ VI არსად არ იხსენიება. როგორც ვნახეთ, ზემოთ დამოწმებულ წერილებში ამ აფორიზმის ავტორობის შესახებ

¹ „ღამაკვირი“, აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმული, დაბეჭდილი „ივერიის“ რედაქციის მიერ, თბ., 1887 წ.

ილია არაფერს ამბობს. ჩანს, ეს აფორიზმი ჩვენში გავრცელდა არა იმდენად „ივერიის“ ან ცალკე წიგნად გამოქვეყნებით, ვიდრე „ღამაკვირის“ მიხედვით, რამდენადაც ილია ქავჭავაძის ფართოდ განსაუბრებული „აი ისტორია“-სა და „ქვათა ღალადის“ მეშვეობით. მაგალითად, ეს აფორიზმი უშუალოდ „ქვათა ღალადიდან“ შესულა პეტრე გერმანაშვილის მიერ 1915 წელს ქ. გორში შედგენილ „ანდაზების კრებულში“, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H—1935). აქ ეს წყარო პირდაპირ არის დასახელებული (გვ. 53).

მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ საძიებელი აფორიზმი გამოტოვებულია „ღამაკვირის“ 1903 და 1965 წლის გამოცემებში². 1935 წლის გამოცემაში კი დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. გერმანაშვილმა მის ავტორად ვახტანგ VI-ის ნაცულად შოთარუსთველი გამოაცხადა. ამ გამოცემას, ისე როგორც 1965 წლისას, საფუძვლად უდევს „ივერიაში“ და ცალკე წიგნად გამოსულა „ღამაკვირი“.

მაშასადამე, პირველი პუბლიკაციის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის ავტორი არის ვახტანგ VI. ახლა საძიებელია, რამდენად სარწმუნოა „ივერიის“ ეს ცნობა. ან, თუ სწორია, სად აქვს ვახტანგს ნათქვამი იგი.

თუ ვახტანგის გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიხედვით ვიპოვებთ, ჩვენს აფორიზმთან ყველაზე მეტ მსგავსებას ამკლავებს „სიბრძნე მაღლობელის“ შემდეგი ორტაეპოეანი სტროფი:³

ნახა ყრმა ავად მკაცველი, ურიგოდ მოა-
რულია.

გამაზრთენელსა ცემა დაუწყო. რად ავად
განსწავლულია.

(235)

ჩვენს აფორიზმსა და ამ სტროფს შორის რაღაც კავშირის არსებობაზე მიგვაჩვენებს არა მარტო მათი შინაარსობრივი მსგავსება, არამედ ის სიტყვიერი დამოხვევებიც, რომელიც ამ სტროფსა და ილია ქავჭავაძის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს შორის შეიმჩნევა. შეადარეთ: „გამაზრთენელსა ცემა დაუწყო. რად ავად

² ღამაკვირი ანუ რჩეულ აზრთა კრება, შეკრებილი სილ. თავ-ძის და ევ. ს-ძისა, ოსურვეთი, 1903 წ., ღამაკვირი, აფორიზმები და სენტენციები, „ივერიიდან“ ამოკრია, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ილ. სიგუამ, თბ., 1965 წ.

³ ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ილ. ბრამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 115.



განსწავლულია“ და „ჩვენი რა ბრალა... საცა გაწვრთნილა და უსწავლია, იმას გადახდევინოს“ („აი ისტორია“), ან გამწურთველის კარგად ხსენება მაღლობელის გაწურთველისა განმოსაწონია“ („ქვათა ღლადი“). ილია ჭავჭავაძის მიერ საძიებელი აფორიზმის ასეთ კონტექსტებში მოყვანა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ვახტანგის „სიბრძნე მაღლობელი“ წარმოადგენს დიდაქტიურ-მორალური შინაარსის თხზულებას, რომელიც სწავლულმა მეფემ რუსული „აპოთეგმატას“ ქართული პროზაული თარგმანის საფუძველზე შექმნა.

როგორც ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურაშია დადგენილი, ვახტანგ VI-ის დავალებით მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთმა მოღვაწემ ერასტი თურქესტანიშვილმა დაახლოებით 1724—1733 წლებში რუსულიდან თარგმნა „აპოთეგმატა“. ეს თხზულება წარმოადგენს დამრიგებლური და გასართობი ხასიათის კრებულს, რომელშიც თავმოყრილია მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეთა ბრძნული, დამრიგებლური გამოხატუებები. ლალი ძონქინიძემ ვაარკვია, რომ ერასტი თურქესტანიშვილს თავისი თარგმანი შეუსრულებია „აპოთეგმატის“ 1723 წლის მეოთხე მოსკოვეური გამოცემიდან (დასახელებული ნაშრომი, გვ. 43). თვით რუსული „აპოთეგმატა“ მომდინარეობს ბენიაშ ბუდნის პოლონური კრებულიდან.

ერასტი თურქესტანიშვილმა არა მარტო თარგმნა, არამედ ვახტანგ მეფისათვის საგანგებოდ დაამუშავა „აპოთეგმატას“ თავისებური მოკლე რედაქცია. სწორედ ეს რედაქცია გალექსა ვახტანგმა, რომელსაც „სიბრძნე მაღლობელი“ უწოდა. ამ ნაწარმოებს ვახტანგი შემდგომ რამდენჯერმე მიუბრუნდა, შეასწორა და დაამუშავა იგი. ამჟამად ხელნაწერებში ამ ნაწარმოების რამდენიმე რედაქცია არსებობს. 1947 წელს ალ. ზარამიძის მიერ გამოცემული ამ თხზულების ზემოთ და-

მოწმებული ტექსტი ერთ-ერთ ადრინდელ რედაქციას წარმოადგენს.

„სიბრძნე მაღლობელის“ მოტივების რეპოზიციონირება და ჩვენთვის უცნობი აფორიზმის შორის არსებული მსგავსება და კავშირი საკითხს ბადებს: ხომ არ არის საძიებელი აფორიზმი ვახტანგის რედაქციული მუშაობის (სწორების) შედეგი და ხომ არ მოიპოვება იგი სხვა რედაქციების შემცველ ხელნაწერებში?

„სიბრძნე მაღლობელის“ ხელნაწერების ამ თვალსაზრისით შესწავლამ აღძრული ეჭვი საესეებით გამართლა: ზუსტად ისე, როგორც „ივერიაშია“ დბეჭდილი და ჩვენშია გავრცელებული, საძიებელი აფორიზმი აღმოჩნდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ S — 171 ხელნაწერში. ეს ხელნაწერი გადაწერილია 1734-1737 წლებში სულხან-საბა ორბელიანის ძმის დემეტრე ორბელიანის მიერ, რომელიც შემდეგ გაუსწორებია ვახტანგს. ჩვენი აფორიზმი აქ მოთავსებულია „სიბრძნე მაღლობელის“ ზემოთ მოყვანილი 235-ე ორტაპოვანი სტროფის ნაცვლად (გვ. 57 F.).

უფრო მეტიც: ჩვენი აფორიზმი ვახტანგისავე ხელით ნაწერი დასტურდება უფრო ძველ ხელნაწერში. ეს არის 1733 წელს ვახტანგ მეფის მდივან-შვიგნობრის მელქისედეგ კაცია სიძის მიერ გადაწერილი და ვახტანგის მიერ ნასწორები იმავე ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია S — 4500 ნუსხა³. ამ ხელნაწერის 55-ე გვერდზე მოცემულია ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის შექმნის მთელი საიდუმლოება (იხ. სურათი): ვერ არის ერასტი თურქესტანიშვილას ნათარგმნი ტექსტი: „ნახა ყრმა ერთა“

2 არსებობს „სიბრძნე მაღლობელის“ ადრინდელი განსხვავებული პუბლიკაციები („ისკარია“, 1853 წ., № 4, გვ. 57-80, № 6, გვ. 51-80). მაგრამ იგი სრული არ არის: ის ნაწილი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სტროფი შედის, აქ არ დაბეჭდილია.

3 S — 171 და S — 4500 ხელნაწერების შესახებ. იხ.: ე. თაყაიშვილი. Описание..., ტ. II, 1908, გვ. 396-408, ალ. ბარამიძე. ტექსტისათვის (წიგნში: ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, 1947, გვ. 171-176), თ. ენუქიძისა და მ. შანიძის აღწერილობანი (წიგნში: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციონისა, ტ. I, 1959, გვ. 189-190, ტ. V, 1967, გვ. 311-313).

ზორის ღარისა
ერთი აფორიზმის გამო

1 ვერცხლად ამ საკითხების შესახებ იხილეთ: ე. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 486-492; ლალი ძონქინიძე, რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბ. 1959 წ., გ. მიქაძე, ვახტანგ VI (წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 519-520); დ. ბრეგვაძე, „სიბრძნე მაღლობელის“ გალექსილი ვერსია. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი, 1965, გვ. 142-143 და სხვა.



ურიგოდ მქცველი, მის ოსტატს შემოპკრა და უთხრა: ურიგოდ ქცევა რასთვის ასწავლე.“ ამას მოსდევს ვახტანგის გაღექსილი ის ორსტრიქონიანი სტროფი, რომელიც 1947 წლის გამოცემაშია დაბეჭდილი: „ნახა ყრმა ავად მქცველი, ურიგოდ მოარულია, გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია.“

ორივე ეს ტექსტი შესრულებულია კრებულის გადამწერის მელქისედეგ კავკასიძის ხელით. ვახტანგს თავისი ტექსტის სწორების დროს ეს ორსტრიქონიანი სტროფი მექი შავი მელნით გადაუხაზავს და ჭერ შუაში ჩაუწერია: „მისად ნაცვლად გამზრდელსა ეც“. შემდეგ ესეც გადაუხაზავს და გვერდზე, აშოიზე ვერტიკალურად იმავე მელნით მიუწერია ჩვენი აფორიზმი: „ცემა გამართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“.

ამგვარად, საბოლოოდ გაირკვა, რომ საძიებელი აფორიზმის ავტორი მართლაც ვახტანგ VI ყოფილა. ახლა ჩვენს თვალწინ იშლება ამ აფორიზმის შექმნისა და გავრცელების მთელი ისტორია: პოლონურიდან რუსულად ნათარგმნ „პოვთეგმატაში“ იყო: Узрев отрока безчинно поступающе, абие удари учителя его, глаголя, почто тако безчиннио учиниши. აქედან ერასტი თურქესტანიშვილის თარგმანში მივიღეთ.

ნახა ყრმა ერთი ურიგოდ მქცველი, მის ოსტატს შემოპკრა და უთხრა: ურიგოდ ქცევა რასთვის ასწავლე.

ეს ტექსტი ჭერ ვახტანგ VI-მ ასე გაღექსა:


ნახა ყრმა ავად მქცველი, ურიგოდ მოარულია, გამწვრთნელსა ცემა დაუწყო, რად ავად განსწავლულია.

ბოლოს კი ამგვარად გადააქეთა:

ცემა გამართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი.

ასე მივიღეთ ეს შესანიშნავი აფორიზმი, რომელიც არსებითად განსხვავდება იმ პირველადი ტექსტისაგან, რომლისგანაც მომდინარეობს იგი, ან, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომელმაც შთააგონა პოეტს მისი შექმნა. თუ წინამორბედი ტექსტი ეხება ერთ, კონკრეტულ შემთხვევას, ვახტანგმა იგი ზოგადი აზრისა და საერთო შეგონების აფორიზმად აქცია. ეს აფორიზმი არის შემოქმედებითად დამუშავებული ვახტანგის საკუთარი ქმნილება, რომელსაც ახასიათებს ბრძნული დიდაქტიური აზრის ნათლად, ლაკონურად და სადად გამოთქმა და, საერთოდ, ყველა ის ღირსება, რაც, საზოგადოდ, კარგი, ქეშმარიტი აფორიზმისათვისაა დამახასიათებელი. ამ აფორიზმის აღმოჩენა, მისი გამოქვეყნება, პოპულარიზაცია და გავრცელება კი დაკავშირებულია ილია ქავჭავაძის სახელთან. თავის დროზე, როცა ეს აფორიზმი პირველად გამოქვეყნდა, მისი ავტორიც სწორად იყო მიითვებული. მაგრამ შემდგომ, დროთა ვითარებაში, იმის გამო, რომ „სიბრძნე მალაღობელის“ სათანადო რედაქცია არ გამოქვეყნებულა, მისი ავტორის ნამდვილი სახელი დავიწყებას მიეცა, ხოლო მის ნაცვლად ზოგმა ვინ დაასახელა და ზოგმა კიდევ ვინ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ აფორიზმის მავალითხედაც კარგად გამოჩნდა, თუ რამდენად საჭირო და საშური საქმეა ვახტანგ VI-ის, — ქართული ლიტერატურის და, საერთოდ, ქართული კულტურის ამ შესანიშნავი მოღვაწისა და მოამაგის — თხზულებათა სრული, აკადემიური გამოცემის განხორციელება.





პროკოვი რაზიანი

იხვე ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე

5. აღორძინების ხანის მწერლობა და შოთა რუსთაველი.

არჩილ მეფის ტრაქტატი და პოემა.

შემდეგი მწერალი აღორძინების ხანისა, რომელიც ვეფხისტყაოსნის ავტორის ნამდვილ ვინაობას გვიდასტურებს, გახლავთ მეფე-პოეტი არჩილი.

ნარკვევში ჩვენ ვეხებით არჩილის ორ ნაწარმოებს: სპეციალურ ტრაქტატს „საქართველოს ზნეობას“, რომელშიც ფეოდალური ეპოქის ზნეობრივი კოდექსია მოცემული, და ცნობილ პოემას „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებას“.

დავიწყეთ ტრაქტატი.

სხენებელი ტრაქტატი ჩვენ დავიმოწმეთ იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ესმოდათ ფეოდალურ საქართველოში შინაარსი სიტყვებისა „ბრძენი“ და „სიბრძენი“. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებზე დაკვირვების შედეგად, განსაკუთრებით კი იმის შედეგად, რომ ყურადღებით შევისწავლეთ არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, ავრთვე ავად. ს. ჯანაშიას ნაშრომი, რომელშიც სხენებელი ტრაქტატის მალაკვალიფიციური ანალიზია მოცემული, ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ცნებები „ბრძენი“ და „სიბრძენი“ ისევე, როგორც „ფილოსოფოსი“, ფეოდალურ საქართველოში, ძირითადად, ღვთისმეტყველებისა და სასულიერო განათლების მნიშვნელობით იხმარებოდა და, მაშასადამე, უფრო სასულიერო პირებზე ითქმოდა, ვიდრე ერისკაცებზე. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ის აზრი, რომ აღორძინების ხანის მწერლებმა, რომლებიც რუსთაველს ყოველ ნაბიჯზე უწოდებენ ბრძენს, სიბრძენიმეტყველს, ღვთისმეტყველს, ფილოსოფოსსა და ა. შ., უთუოდ იცოდნენ, რუსთაველი რომ სასულიერო პირი და მღვდელმთავარი იყო. ეს აზრი მით უფრო სარწმუნოა, რომ სხენებულ მწერლებს

არსად და არასდროს არ უთქვამთ, რუსთაველი ერისკაცი იყო.

ავტორებს, როგორც ჩანს, უგრძნიათ, რომ აქ ჩამოყალიბებული დებულება უდავოა და მისი უარყოფა მეცნიერული კრიტიკის გზით შეუძლებელია, ამიტომ მათ ჩვენს ნარკვევში წარმოდგენილი არგუმენტების განხილვისათვის სავსებით თავი დაუნებებიათ და კვლავ ისეთი შეუფერებელი ბოლემიკური ხერხებისათვის მიუმართათ, როგორცაა: მოწინააღმდეგის შეურაცხყოფა, მისი აზრის დამახინჯებულად ციტირება, ყალბი ანალოგიები, უადგილო ირონიები და ა. შ. ავტორები იქამდეც კი მიდიან, რომ ზოგჯერ აშკარა ინსინუაციადაც არ ერიდებიან.

გავეცნოთ მათს საბოლემიკო ხერხებს უფრო ახლოს.

„პ. რატიანი ამახინჯებს ს. ჯანაშიას შეხედულებას აღძრულ საკითხზე“, — აცხადებენ ავტორები და ბრალდებ გვდებენ, თითქოს ჩვენ არასწორად დავიმოწმეთ ავად. ს. ჯანაშიას აზრა, უადგილო ადგილას შეგწყვიტეთ მეცნიერის მსჯელობა. სინამდვილეში, — როგორც ეს ყოველ მკითხველს ადვილად შეუძლია შეამოწმოს, — არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და ჩვენს ნარკვევში ს. ჯანაშიას აზრი დამოწმებულია ციტირების წესების სრული შესაბამისობით. მაშ, რად დასჭირდათ ავტორებს ასეთი ყალბი ბრალდების წამოყენება? ეს დასჭირდათ იმისათვის, რომ დაეფარათ თავიანთი საყუთარა ცდა, როგორც არჩილ მეფის, ისე ს. ჯანაშიას შეხედულებათა დამახინჯებისა და ამ გზით იანტირიულ მოვლენათა ისეთი ინტერპრეტაციისა, როგორიც ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის მათ ყალბ გაგებას შეესაბამება. უნდა ითქვას, რომ ავტორები ამ მხრივ დიდ მოხერხებულობას იჩენენ და ცდილობენ შექმნან ილუზია, თითქოს ფეოდალურ საქართველოში სიბრძენის ანუ ღვთისმეტყველების (თეოლოგიის) დაუფლება და სასულიერო განათლების მიღება, პირველ ყოვლისა, ერისკაცთა საქმე იყო და არა სასულიერო წოდებისა. მართალია,

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 11.

ასეთი აზრი აშკარად ეწინააღმდეგება ისტორიას, მაგრამ ავტორები არ უმინდებიან არავითარ დაბრკოლებას და დიდი გულმოდგინებით ცდილობენ შავი თეთრად გაასაღონ.

დაეკვირდეთ მათს მსჯელობას: „ს. ჯანაშიას დაკვირვების თანახმად, არჩილი სავალდებულოდ უთვლის „იმდროინდელ ფეოდალებს“ სასულიერო განათლების მიღებას, სამღვთო სიბრძნის დაუფლებას. ცხადზე უცხადესია, რომ „იმდროინდელ ფეოდალებად“ ს. ჯანაშია გულისხმობს თავადანაურობას, უწინარეს ყოვლისა (ხაზი ჩვენია. — პ. რ). საერო დიდაცობას“ (გვ. 169).

აქედან, ავტორთა ჩანაფიქრით, მკითხველმა, ცხადია, ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ სასულიერო განათლების მიღებაც და საღვთო სიბრძნის (თეოლოგიის) დაუფლებაც, უპირველეს ყოვლისა, თურმე, ერისკაცთა საქმე ყოფილა იმაზე მეტი მოხერხებულობა განა წარმოასაღვინა?!

მაგრამ კიდევ უფრო საოცარია შემდეგი ფაქტი: ავტორებმა, რომლებიც ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ გვიკვირებენ, ს. ჯანაშიას მსჯელობა უადგილო ადგილას შეწყვიტეთ, თვითონ, იმავე გვერდზე, საესებით შეგნებულად და გარკვეულ მიზნით, შუაზე სწყვეტენ ჩვენს ფრაზას და ამნაირი, ლიტერატურაში ყოველდღე უწყყარებელი, ოპერაციის მეშვეობით, საესებით ამახინჯებენ ჩვენი დებულების აზრს. ამგვარი მანიპულაციის მეოხებით, მათ მკითხველს შთაბეჭდილება შეუქმნეს, თითქოს ჩვენს კონტექსტში არც შოთას განათლების სასულიერო ხასიათზე იყოს საუბარი და არც მის დიდ მეცნიერულ მოღვაწეობაზე. ასეთი ხერხები ავტორებმა ჩვენი დებულების კრიტიკა გაიადვილეს. გამარჯვებულის პოზა მიიღეს და ირონიულ დამოიღებ გადავიდნენ, მაგრამ, ვფიქრობთ, დიმილი ნაადრევი გამოუვიდათ.

ჩვენ იძულებული ვხდებით შევახსენოთ მკვლევარ-ისტორიკოსს დავით აღმაშენებლის მაგალითი, — ბრძანებენ ავტორები და სერიოზული ტონით გვასწავლიან, დავით აღმაშენებელს ისე ძლიერ უყვარდა წიგნების კითხვა, რომ ლაშქრობისა და ნადირობის დროსაც კი წიგნების მთელი ბიბლიოთეკა თან დაჰქონდათ.“ დაბ, დავით აღმაშენებელი „ბრძენი და განათლებული“ ადამიანი ყოფილა, — დასკვნაინ ავტორები და ირონიულად კითხულობენ: „შთაერებისკოპოსი ხომ არ იყო ის დალოცვილი?“ რა უნდა ითქვას ასეთი, აშკარად ტრივიალური მსჯელობის გამო?

ყოველმა ისტორიკოსმა იცის, — თუნდაც რამ ამის მეტი არაფერი იცოდეს, — რომ დავით აღმაშენებელი დიდად განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ მარტო ამ ფაქტის ცოდნა როგორც ჩვენი ავტორების მსჯელობა გვიჩვენებს, არ არის საკმარისი სერიოზული მეცნიერული

კვლევა-ძიებისათვის. დავით აღმაშენებელი მთავარებისკოპოსი არ ყოფილა, მაგრამ აქვე იქვე თი რიგითი ერისკაცი ბრძანებულა, რომელიც ჩვენს ავტორებს იმდროინდელი განათლების დონის საზომად გამოადგებოდათ. დავით აღმაშენებელი საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი და უნებურესი მეფე იყო და თავისი მდგომარეობით ბევრად მაღლა იდგა როგორც სეერო, ისე სასულიერო ფეოდალებზე; თანამედროვენი დავითს ღრსრედ ღმერთს ადარებდნენ, ღვთის სწორად აცხადებდნენ (ე. წ. იზოთეოსი), ჩვენს ავტორებს კი მოუსურვებიათ (რას არ იფიქრებს კაცი!) მისი მაგალითის მიხედვით განსაზღვრონ იმდროინდელი საერო ფეოდალების განათლების დონე!

ვევლისათვის ცნობილია, რომ ეკლესია-მონასტრები შუა საუკუნეებში კულტურისა და განათლების ცენტრებს წარმოადგენდნენ, მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ ეკლესია-მონასტრებში იყო სათანადო პირობები ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისათვის. ისეთი ნაწარმოები, როგორიც ვეფხისტყაოსანია, არ შეიძლებოდა დაწერილიყო ინტელექტუალური წრის, კოლექტივის გარეშე; მისი დაწერისათვის საჭირო იყო შესაფერისი შემოქმედებითი ატმოსფერო, დიდი სულიერი და გონებრივი ადებ-მიცემობა, აგრეთვე მატერიალური ბაზა (მაგალითად, მონღარ ბიბლიოთეკები); ვეფხისტყაოსნის ავტორის ასობით ტომები უნდა გადაეკითხა და, საეკვოა, რომ ასეთი ბიბლიოთეკები ცალკეულ მთავრებს ჰქონოდათ; საამისოდ არც კარის პოეტის მდგომარეობა და სასახლის ატმოსფერო კმაროდა; ამისათვის საჭირო იყო სწორედ ისეთი ატმოსფერო და ისეთი პირობები (შედარებითი დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი მუშაობის ტრადიციები, თავისუფალი დრო და ა. შ.), რომელიც იმდროინდელ მონასტრებსა და სასულიერო აკადემიებში სუფევდა.

ეს, რაც შეეხება შემოქმედებითი და მეცნიერული მუშაობის პირობებს, მაგრამ ზუსტად ასევე ითქმის განათლების შესახებაც. საერო განათლება იმ დროს საერთოდ არ არსებობდა და ეს საქმე მთლიანად ეკლესიის ხელში იყო. ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ ეპოქაშიც კი (XIX ს.) სწავლა-აზრდა თვით სამოქალაქო სასწავლებლებში რელიგიური სული იყო გაედენითლი და რაღა უნდა ყოფილიყო ფეოდალურ ეპოქაში, როცა სკოლები უშუალოდ ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა, ხოლო მასწავლებლებად მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო პირები იყვნენ?!

ჩვენ სრულ უპაზრობად მიგვიჩნია იმის ფიქრი, თითქოს დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში შეიძლებოდა ოფიციალურად არსებულყო რაღაც „საერისკაცო“ განათლება ან მეცნიერება, რომელიც დაუპირისპირდებოდა სა-

სტალინის განათლებას და ღვთისმეტყველებას. ქრისტიანული რელიგია ფეოდალური საზოგადოების ოფიციალური და ყოველის მომცველი იდეოლოგია იყო და მის საწინააღმდეგო იდეოლოგიას არსებობა შეეძლო მხოლოდ ან როგორც საიდუმლო ერესს, ან კიდევ როგორც იმავე ქრისტიანობის სამოსელში გახვეულ მიმდინარეობას, რომელიც, უფრო ხშირად, ადრინდელ ქრისტიანობას აღდგენის ღონისძიებით ვამოხდით.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ ჩვენი ავტორების მსჯელობას.

განსაკუთრებით საკვირველი ისაა, რომ ჩახრახანის შეფასებისა და რუსთველის ეპოქის საზოგადოების დახასიათებისათვის ავტორებმა მიგებითი თეზის აკად. ნ. მარის ერთ-ერთ მომკვლევურ ნაშრომზე, რომელიც ჯერ კიდევ 1902 წელსაა გამოქვეყნებული და რომელშიც ავტორად ყალბადაა წარმოდგენილი იმ ეპოქის ქართული კულტურა, საკმარისია ითქვას, რომ ხსენებული ნაშრომში ნ. მარია ამტკიცებდა, ვეფხისტყაოსანი იმდროინდელი საზოგადოების, თუ მეფის, გასართობად დაწერილი ნაწარმოებიაო; ჩახრახანდ და რუსთველი ერთი და იგივე პირობაო; ვეფხისტყაოსანი ქართული კულტურის ნაყოფი არ არის, ხოლო ვინც ამას ფიქრობს, ის მისტიკოსია და ცრუ პატრიოტიაო.

ასეთი დრომოკმული აზრების შემცველ ნაშრომს უყრდნობიან და მისი საშუალებებით სხვა-საც ჭკუას ასწავლიან ავტორები, რომლებიც ნაწინამდროვე მეცნიერების სახელით გამოდიან. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რამდენი წლის წინანდელი ცოდნის დონეა აქ ასახული: ამის გამოჩვენება ობიექტური მკითხველისათვის მიგვიჩნია.

აქვე გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული თარგმანის ხასიათს შეეხება. ჩვენს ნარკვევში ნათქვამია: „დებულებას იმის შესახებ, რომ აღორძინების ხანაში რუსთველი სასტალინური პირად, რუსთავის ეპისკოპოსად ჰყავდათ წარმოდგენილი, მხარს უჭერს აგრეთვე იმდროინდელ მწერალთა არაერთგზის განმეორებული მტკიცება. ვეფხისტყაოსანი საღვთო სწავლა არისო“ („მნათობი“, № 2, გვ. 172). ამას მოსდევს ვახტანგ VI „თარგმანი“ ანალიზი, საიდანაც ავტორად ჩანს, რომ სწავლულ მეფეს ვეფხისტყაოსნის ავტორი ნამდვილად სასტალინური პირად ჰყავდა წარმოდგენილი, ამასთან დაკავშირებით ავტორები ბრძანებენ, თითქოს ჩვენ მითხველს არასწორ იმფორმაციას გაწვდიდეთ, რითგან ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის აზრით, საღვთო არის და საეროცო.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, აქაც სიყალბის მეტი არაფერია, რადგან საყოველთაოდ ცნო-

ბილია, რომ ვახტანგ მეფე თავის „თარგმანში ხაზგასმით ლაპარაკობს საერთოდ ვეფხისტყაოსნის, კერძოდ კი, იქ ჩამოყალიბებულ მწერლობის თეორიის საღვთო ხასიათზე. ამით ვინც სნება, რომ მკვლევარები, ჩვეულებრივ, ამბობენ, ვახტანგმა ვეფხისტყაოსანი საღვთოდ თარგმანაო, მოვიტანოთ სათანადო მავალითები.

„მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყენა ქრისტიანობა, ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა ხალხთად თარგმნეს (ხაზი ჩვენია პ. რ.) ბოროტი ლექსი მისი“.

ეს სიტყვები, როგორც ცნობილია ეკუთვნის ტიმოთე გაბაშვილს, ხოლო აკად. კ. კეკელიძე ტიმოთეს ამ სიტყვებთან დაკავშირებით შენიშნავს:

„ტიმოთეს, ყოველ ექვს ვარზე, მიხანში ამოღებული ჰყავს ვახტანგ VI, რომელმაც ვეფხისტყაოსანი მართლაც „ხალხობრივ“ წიგნად (ხაზი ჩვენია — პ. რ.) გამოცხადა“.

როგორც ვხედავთ, ტიმოთე გაბაშვილსაც და აკად. კ. კეკელიძესაც იმაგვარადვე აქვთ შეფასებული ვახტანგის „თარგმანი“, როგორც ეს ჩვენს ნარკვევშია წარმოდგენილი.

დავიმოწყებთ კიდევ ერთ მეცნიერს, რომლის ავტორიტეტს, იმედია, ჩვენი ავტორებიც ვერ უარყოფენ:

„სამეძაოდ შეთხზული ნაწარმოები, როგორც ფიქრობდნენ კლერიკალური წრეები, ვახტანგ მეექვსემ თავისი ავტორიტეტით საღვთოდ განმარტა (ხაზი ჩვენია. — პ. რ.) და ბეჭდური გამოცემის გზით ფართოდ გაავრცელა“.

ეს სიტყვები თვით აკად. ალ. ბარამიძეს ეკუთვნის.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსთველოლოგები, და მათ შორის ალ. ბარამიძეც, ერთსულოვნად აღნიშნავენ, ვახტანგ მეფემ ვეფხისტყაოსანი საღვთო ნაწარმოებად მიიჩნია და განმარტაო, მაშ, რატომ არ გვეკონდა ჩვენ უფლება ეს საყოველთაოდ მიღებული აზრი გავეუმოკრებინა?

სამწუხაროდ, ჩვენი ავტორები, რომლებსაც, ჩანს, საქმე ძალიან, გაკვირვებით, ცდილობენ უოველ უმნიშვნელო წერაღმანს ჩასჭიდონ ზელი და სრულიად უღაგო აზრიც კი სადავო გახადონ. უფროდ ასეთ შემთხვევებზეა ნათქვამი ხალხური ანბანა: წყალწაღებულ ხავსს ეკიდებოცო!

ასეთია საკითხების ის წრე, რომელიც არჩილ მეფის ტრაქტატის „საქართველოს ზნეობისა“ და

2 კ. კეკელიძე. ეტრულები, X, 1968. გვ. 280.

3 ალ. ბარამიძე. ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში, 1952 წ., გვ. 9.

პროპოზი რაბინაი
ისამ ვეფხისტყაოსნის ამბორის ვინაოგაზი

აგრეთვე მასთან, ცოტად თუ ბევრად, ახლოს მდგომი საკითხების მეცნიერულ გაგებასთანა დაკავშირებული.

გადავდივართ არჩილის პოემის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ შინაარსის განხილვაზე.

ჩვენს ნარკვევში გაანალიზებულია წყნებული პოემის ის ადგილები, რომლებიც უშუალოდ რუსთველს შეეხება და რომლებიც საფუძველს გვაძლევს დაეკანთა, რომ არჩილ მეფეს რუსთველი სასულიერო პირად ჰყავდა წარმოდგენილი. თუკი ავტორებს ამ დასკვნის დარღვევა სურდათ, ბუნებრივი ის იქნებოდა, რომ კრიტიკულად განეხილათ ნარკვევში წარმოდგენილი არგუმენტები და დამტკიცებინათ მათი უსაფუძვლობა. მაგრამ როგორც ჩანს, ასეთი ამოცანა მათ ძალღონეს აღმატებოდა, ამიტომ ისინი კვლავ იოლა გზით წასულან და უკვე არაერთგზის წაყალიბებული მეთოდებით უცდიან ფონს გასვლა.

პატრიკვეული ავტორები ბრალს გვაძებენ თითქოს ჩვენ XV-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა შეგვესწავლოს არა პირველი წყაროებით, არამედ ქრესტომათით და ამის გამო, ვითომც. რაღაც „სკანდალური შეცდომები“ მოგვესწავლოს. „პ. რატანის ცოდნა ამოიწურება ქრესტომათითო“, ბრძანებენ ავტორები და განაგრძობენ: „მკვლევარს რომ „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ მთელი ტექსტი შეეწავლა, ვაიგებდა: არჩილს რუსთველი წარმოდგენილი ჰყავს სახელოვან მესხ მეომარად, მოყმე რაინდად, რომელიც მონაწილეობა მიუღია თამარ მეფის დროინდელ ყველა ღირსშესანიშნავ ომში, გარდა ბასიანის ომისა. არჩილის პოემის მიხედვით, თეიმურაზი დასციენის რუსთველს, ბასიანის ომის დროს ქალებთან იბღუნძლიდა. აბა; სად მოყმე რაინდი და ამისი პოეტი, და სად აღდი მღვდელმთავარი? ისიც საგულისხმოა, რომ, არჩილის მიხედვით, რუსთველი ყოფილა მესხეთის რუსთავიდან (ხაზი ჩვენია. — პ. რ.), მესხი, რომელსაც არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონოდა თბილისის მახლობლად მდებარე რუსთავის ეპისკოპოსთან“ (გვ. 169).

ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ იმ საბუთებს და არგუმენტებს, რომლებიც ნარკვევში გვაქვს წარმოდგენილი; შევხებით მარტო ახალ საბუთებს, რომლებსაც პოემის ტექსტის შემდგომი, გაღრმავებული შესწავლა გვაძლევს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ არჩილს რუსთველი წარმოდგენილი ჰყავს გამოჩენილ მეომარად, რომელსაც მონაწილეობა მიუღია თამარის დროინდელ ყველა დიდ ომში, გარდა ბასიანის ომისა. მაგრამ რით ეწინააღმდეგება ეს აზრი ჩვენს თვალსაზრისს? განა სასულიერო პირები კი არ ომობდნენ და არ იჩენდნენ ვაჟაკობას, რაინდულ თვისებებს?

ჩვენს ნარკვევში მთელი თავია მიძღვნილი რუსთველთა სამხედრო მოღვაწეობისადმი, სი-

დანაც გარკვევით ჩანს, რომ რუსთველები გამოჩენილი სარდლები და მეომრები იყვნენ, ნუთუ ავტორებს ეს თავი არ წაუტყნისათ? მაგრამ ამასაც რომ თავის დამტკიცებას განათავსებთ არჩილის პოემიდან ფაქტობრივად არ ჩანს, რომ რუსთველები სახელოვანი მეომრები და სარდლები იყვნენ? მოუხსინით:

მუნით წავედით გრემისკენ, აწყა რუსთველი მოვიდა,
სურულ ნაპირისა ლაშქრითა წითელი ეცვათ-
მოვი და;
მათს ანგარიშსა დამთვლელი დათვლითა
ვინ აუვიდა?
თუ მტერს მიაღვენ ესენი, ვთქვი, ამათ
სად წაუვიდა?!

როგორც ვხედავთ, აქ დახატულია შესანიშნავი სურათი გრემში კახეთის სამეფოს ძლიერსანაპირო ლაშქრის მისვლისა, რომლის სარდალი რუსთველი ყოფილა და რომელიც, არჩილის თქმით, თეიმურაზს თავისი თვლით უნახავს. ვინ არის ეს რუსთველი? ცხადია, ის არის რუსთავის ერთი იმ ეპისკოპოსთაგანი, რომლებიც, როგორც ჩანს, შუა საუკუნეების მთელ მანძილზე და, მაშასადამე, თამარის დროსაც, გამოჩენილი სარდლები და მეომრები ყოფილან. მაშასადამე, სრულადაც არაა საკვირველი და პირიქით, საკვებით ბუნებრივია, რომ არჩილ მეფეს შოთა რუსთველი ვაჟაკ მეომრად ჰყოლოდა წარმოდგენილი.

არჩილის პოემის ზემოთ მოტანილი ადგილი ჩვენთვის იმ მსრავლაცაა საინტერესო, რომ ავტორი გრემს მისულ ლაშქრის სარდალს უბრალოდ რუსთველს უწოდებს და არ სთვლის საჭიროდ გავაცნოს მისი ვინაობა, სახელი და გვარი, ან წოდება-ხარისხი. აქედან ცხადია, რომ არჩილმა და მისმა იმდროინდელმა მეოთხეულმა კარგად იცოდნენ, ვინ იყო რუსთველი; არჩილმა იცოდა, რომ რუსთველი ერთადერთი იყო თამარის დროსაც და შემდგომც და რომ არავის მოუვიდოდა აზრად მათი ერთმანეთში აღრევა. ასე რომ არ ყოფილიყო, არჩილს უთუთუნდა განეხსავებინა ერთმანეთისაგან გრემს მისული რუსთველი — ეპისკოპოსი და ის რუსთველი, რომელსაც იგი თეიმურაზ მეფესთან აბაასებდა.

მაგრამ მიუყვებთ ქვემოთ.
რით აიხსნება ის გარემოება, რომ არჩილის პოემის მიხედვით, შოთა რუსთველი ბასიანის ომში არ მონაწილეობს, რის გამო თეიმურაზის დაციენას იმსახურებს?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ავტორები, რომლებიც ჩვენ უსაბუთოდ ბრალს გვადებენ, თითქოს მკითხველს არასწორ ინფორმაციას ეწვდიდეთ.

1 არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 33.

თეიფონ აშკარად ამახინჯებენ პოემის სათანადო აღვილის შინაარსს. მათი სიტყვით, „თეიმურაზი დასცინის რუსთველს, ბასიანის ომის დროს ქალებთან იბღუნოდილი“, სინამდვილეში კი არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს, ბასიანის ომის დროს „თამართან იბღუნოდილი ოძრხეისაო“.1 შაშასადამე, არჩილის მიხედვით, რუსთველმა ბასიანის ომის დროს სადღაც ქალებთან კი არ ნებებოდა, როგორც ავტორები გვარწმუნებენ, არამედ თამარ მეფეს ახლდა ოძრხეში, რაც სულ სხვა სიტუაციის მიჩვენებელია.

აქ ჩვენს წინაშე წამოიჭრება მეტისმეტად სიბრტყის და დიდმნიშვნელოვანი საკითხი: ვინ იყვნენ თამარ მეფის მხლებლები ოძრხეში, ერისკაცი — მეომრები, თუ სასულიერო პირები და ეპისკოპოსები?

ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს გვაძლევს თამარის მეორე ისტორიკოსი, რომელსაც დეტალურად აქვს გადმოცემული მთელი ვითარება ბასიანის ომის დაწყებისა.

მიმე განსაცდელის ეამს, როგორც ირკვევა, თამარ მეფეს დიდი სიბრძნე და თავდადება გამოუჩენია. ისტორიკოსის სიტყვით, მტერზე მიმავალ საქართველოს გარს „თვით თამარი უძღოდა წინ შიშულთა ფერხითა და ცრემლითა ასოცევიდნა დაწუთა თვისთა. და წარუძღვა ბასიანის კერძოთა და მიიწივნეს მახლობელად კარიხსა, და დადგეს დღისა ერთისა სავალსაა“.2 მაშასადამე, თამარი თითქმის ბასიანამდე ჩაპყლია გარს, რათა გაემხნეებია მეომრები, ომის დაწყების წინ კი სახელგანამა მეფემ ცრემლით შეაყვარა ღმერთს თავისი გარსი და „ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჭუარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა, და ეგრეთ წარემართნეს მინდობილი ღმრთისანი და თამარის ცრემლიანი“.3

მხოლოდ ამის შემდეგ „მეფე თამარ მოიქცა სამცხეს, და მოვიდა ოძრხეს, და მოიცალა ლოცვად და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კათალიკოსი, კაცი წმიდა და სახიერი, და მას თანა მრავალნი ეპისკოპოსნი (ხაზი ჩვენია. — ზ. რ.) და მონაზონნი, ღმრთისა სათნონი“.4

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ნათელია: ისტორიკოსი ხელთ გვაძლევს პირდაპირ საბუთს იმისას, რომ თამარ მეფეს ოძრხეში ახლდნენ არა ერისკაცები და მეომრები, არამედ სასულიერო პირები და ეპისკოპოსები. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა: ყოვლად წარმოუდგენელია, რომ აღწერილ სიტუაციაში ერისკაც დიდებულს და გამოჩენილ რაინდ-მეომარს მტერზე მიმავალი გარი მიეტოვებინა და თამარს ხლებოდა

ოძრხეში, ე. ი. ქვეყნის შიგნით (დღევანდელი აბასთუმანი), სადაც მეფეს არავითარი საფრთხე არ ელოდა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მეფეს უნდა ხლებოდნენ სასულიერო პირები, რომლებიც, მეფესთან ერთად, ილოცებდნენ ღმერთს ქართველთა გამარჯვებისათვის (თუმცა, სასულიერო პირთა ერთი ნაწილი, უფრო ახალგაზრდობა, უთუოდ გარსში დარჩებოდა და ბასიანის ომში მონაწილეობას მიიღებდა).

როგორც ჩანს, ყოველივე ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული არჩილ მეფეს, რაცა გულისხმობდა, რომ შოთა რუსთველი ბასიანის ომის დროს თამარს ახლდაო.

ასეთი ლოგიკური დასკვნა, რომელიც არჩილის პოემის ანალიზიდან გამომდინარეობს და რომელიც რუსთველის ნამდვილ ვინაობას გვიდასტურებს.

რაც შეეხება ვეფხისტყაოსნის ავტორის სადაურობის საკითხს, არჩილის მიხედვით, როგორც ცნობილია, რუსთველი წარმოშობით მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრია. ეს ზარი ჩვენც ჭეშმარიტებად მიგვაჩინა,5 თუმცა მესხეთის სოფელი რუსთავი, აქ, რა თქმა უნდა, სრულიად არაფერ შუაშია.

პარადოქსული ფაქტია, რომ ჩვენი ავტორები მესხეთის რუსთავს ხედავენ იქ, სადაც მისი კვალიც კი არა ჩანს. ისინი დარწმუნებული არიან და ცდილობენ მკითხველიც დაარწმუნონ, თითქოს „არჩილის მიხედვით, რუსთველი ყოფილა მესხეთის რუსთავიდან“ (გვ. 169). მაგრამ სად. არჩილის რომელი ნაწარმოებში ამოიკითხეს მათ ასეთი ცნობა? არც არჩილს და არც სხვა რომელიმე მწერალს აღორძინების ხანისა, მესხეთის სოფელი რუსთავი ნახსენებიც კი არა აქვს, ეს უმნიშვნელო სოფელი მოხსენების ღირსად არ ჩაუთვლია თვით ეახუშტი ბატონიშვილსაც კი, რომელმაც თავის სახელგანთქმულ გეოგრაფიაში საქართველოს თითქმის ყველა, დიდი თუ პატარა, სოფელი აღწერა.

ჩვენი უდავოდ მიგვაჩინა, რომ მესხეთის რუსთავის დაკავშირება შოთას სახელთან ლიტერატურათა მეტრინდელი გამოხატობია, მაგრამ ამ გამოხატობა მკვლევართა შეგნებაში ისე მტკიცედ მოიკიდა ფეხი, რომ თანამედროვე რუსთველოლოგებს ის უტყუარ ჭეშმარიტებად ეჩვენებათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთის სოფელი რუსთავი, ჩვენი აზრით, ხალხურ შემოქმედებაშიც გვიანა შესულ (ლიტერატურის გავლენით), რის გამოც ფოლკლორის ის მონაცემები, რომლებიც შოთას ბიოგრაფიას მაინცდამაინც

5. ამ საკითხზე ცალკე ნაშრომში ვეჭქნება მკითხველთან საუბარი.

1 არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 113.
2 ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 134.
3 იქვე, გვ. 136.
4 იქვე.

პროლოგი რაბიანო
ისნა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე

სოფელ რუთაჲს უკავშირებენ, მოკლებულია ყოველგვარ რეალურ-ისტორიულ საფუძველს. ეს ფაქტი საკვირველიც არაა: თუკი თანამედროვე მეცნიერ-რუსთველოლოგებიც კი ვერ ასცდნენ ცდუნებას და მესხეთ-ჭავჭავის ხსენებაზე მაშინვე ყველგან მესხეთის რუსთავს ზედავენ, სახალხო მითქმელებს რაღა მოეთხოვებათ?

რაც შეეხება დანარჩენ ფოლკლორულ მონაცემებს, მათ შესახებ ნარკვევში დაწვრილებით გვეკონდა საუბარი და ნათქვამს აქ აღარ გავიმოვრებთ.

გადავიდეთ შემდეგ საკითხზე, — კათალიკოს ანტონ პირველის შეხედულებათა განხილვაზე.

6. აღორძინების ხანის მწერლობა და შოთა რუსთველი. კათალიკოს ანტონ I თვალსაზრისი.

ჩვენს ნარკვევში ანტონ კათალიკოსის აზრ-რუსთველის შესახებ ძალიან მოკლეა, თითქმის ვაკერითაა განხილული; სამაგიეროდ, იქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტიმოთე გაბაშვილის ძვირფას ცნობებს, რომლებიც წარმოდგენილია მის შესანიშნავ წიგნში „მიმოსლვა“ და რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ იუსთველის ბიოგრაფიისათვის.

არა გვეკონია სადავო იყოს, რომ ვისაც იუსთველის ვინაობაზე აღორძინების ხანის მწერალთა და მოღვაწეთა აზრის გაცნობა სურს, მას აუ შეუძლია გვერდი აუაროს ტიმოთეს, რომელიც, ამ მხრივ, ხსენებული ნიჭის ცენტრალური ფიგურაა. ამის გამო ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ავტორები დაწვრილებით განიხილავდნენ ტიმოთეს ზემოხსენებულ ცნობებს და აგრეთვე მათთან დაკავშირებულ ჩვენს არგუმენტებს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ავტორებმა უცერკობინოდ აარიდეს თავი ტიმოთეს ცნობების არსებით განხილვას და მათ შესახებ ორიოდ ბანალური ფრაზით დამაყოფილდნენ. ეს გარემოება მით უფრო საკვირველია, რომ ჩვენს ნარკვევში დამოწმებულია ელ. მეტრეველის გამოკვლევა „ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლვა, რომელიც ვარკვევითაა ნათქვამი, რომ შოთა რუსთველი „მიმოსლვის“ მიხედვით „ქრისტიანული ეკლესიის დიდ მოღვაწედ წარმოგვიდგება“¹.

რით უნდა აიხსნას ავტორთა ასეთი გულგრილობა ტიმოთე გაბაშვილის მიმართ? ცხადია, იმ გარემოებით, რომ ტიმოთეს ცნობები ავტორთათა თვალსაზრისის წინააღმდეგ დალადებს, ხოლო რაც შეეხება ანტონ კათალიკოსს, ავტორები მას, როგორც ჩანს, თავის საიმედო მოკავშირედ მიიჩნევენ, და სწორედ ამიტომაც, რომ მის ნაწერებს ფართოდ განიხილავენ.

ყველაფერი ეს ძალიან კარგად არის მოფიქრებული და, ალბათ, კარგადაც დამთავრდებოდა, ერთი გარემოება რომ არ აქარწ-

ვლებდეს ავტორთა გულმოდგინებას: საქმი ისაა, რომ კათალიკოსი ანტონ პირველი ისევე როგორც აღორძინების ხანის ყველა მოღვაწე, შოთა რუსთველს სასულთნო-პროვინციულ და რუსთავის ლეღელმთავრად მხოლოდ მისი სრულიად უდავო ფაქტებით აღსტურდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული ეკლესიის საკეთამყაროებელი ანტონ პირველი ჩვენს ავტორებს მოკავშირედ არ გამოადგებათ!

ვენახით ეს კონკრეტულ მასალაზე.

ავტორები, ძირითადად ეყრდნობიან, ანტონ პირველის ცნობილ „წყობილისტყუაობას“, რომლის მერვე თავში, მათი აზრით, ერისკაცი მწერლები არიან მოქცეული. ამ ნაშრომის დეტალური, მაგრამ ტენდენციური ანალიზის შედეგად, ავტორები მიდიან შემდეგ დასკვნამდე: „ანტონ კათალიკოსი, ისე, როგორც იოვანე ბატონიშვილი, შოთა რუსთველს სრულიად უცილობლად სთვლის ერისკაცად, ამით გაბათილებულია პ. რატიანის კატეგორიული განცხადება: „აღორძინების პერიოდის არც ერთ მწერალს ან მოღვაწეს არ უთქვამს, რუსთველი ერისკაცი იყო“.

რა საბუთებს ემყარება ასეთი დასკვნა?


პირველი საბუთი დაკავშირებულია შოთას ზედწოდების დაწვრილობის ფორმებთან: „რუსთველი“ და „რუსთაველი“.

ჩვენს ნარკვევში ნათქვამია, რომ რუსთავის მღვდელმთავრები, ისტორიული წყაროების ერთსულელოვანი ჩვენებით, ყოველთვის „რუსთველებად“ იწოდებოდნენ და სწორედ ამიტომ იწოდებოდა ვეფხისტყაოსნის ავტორიც „რუსთველად“. მაგრამ შემდეგში, როცა თ. ბაგრატიონის წყალობით სახელი დამორდა თავის საგანს და მისი ნამდვილი მნიშვნელობა დაეციყებულა იქნა, სწორი დაწვრილობა თანდათან დაეკარგა და მის ნაცვლად დამკვიდრდა უკვე საერო ელფერის დაწვრილობა „რუსთაველი“ („მნ.“, №2, გვ. 176).

როგორც ზეხდავთ, ჩვენი აზრი ის იყო, და დღესაც ის არის, რომ „რუსთაველი“ საერო ელფერის დაწვრილობა და, როგორც ასეთი,

2 ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით იოვანე ბატონიშვილის შეხედულებათა განხილვას, რადგან: ჯერ ერთი, იოვანე აღორძინების ხანის მწერალი არ არის; მეორე, იოვანეს ცნობები ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე, როგორც ამას ავტორებიც აღასტურებენ, არსებითად ანტონის წყობილისტყუაობიდან არის ნასესხები; მესამე, იოვანე ძმა იყო თეიმურაზ ბატონიშვილისა, მასთან ერთად მუშაობდა პეტერბურგში და თუ რაიმე აქვს ნათქვამი, ანტონისაგან განსხვავებული, რუსთველის ვითომდა ერისკაცობაზე ეს აღორძინების ხანის ტრადიციებიდან კი არ შეიძლება მოდიოდეს, არამედ თეიმურაზის გავლენას მიეწერება.

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გვ. 059.



შეიძლება გავრცელებული მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიცვალა წარმოდგენა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე. ე. ი. მას შემდეგ, რაც თ. ბაგრატიონის წყალობით, შოთა ერისკაცად იქნა გამოცხადებული.

ავტორები კატეგორიულად უარყოფენ ამ დებულებას და მიგვითითებენ იმ ფაქტზე, რომ ანტონ პირველმა თეიმურაზამდე დიდი ხნით ადრე იხმარა ფორმა „რუსთაველი“.

„ფორმა რუსთაველი შემოიღო ანტონ კათალიკოსმა, თეიმურაზზე ერთი საუკუნით ადრეო, — აცხადებენ ავტორები, მაგრამ იმას კიდარ უფიქრდებიან, თუ რა შინაარსს სდებდა ანტონი ამ ფორმაში? იყო თუ არა ანტონისათვის „რუსთაველი“ საერო ელფერის დაწერილობა? სრულადაც არა! როგორც სანარტლიანად აღნიშნავს ავად, ა. შანიძე, კათალიკოს ანტონის მიერ ფორმა რუსთაველის ხმარება გამოწვეული იყო ანტონის გრამატიკის თავისებურებით, კერძოდ კი, იმ ფაქტით, რომ ანტონი „როგორც გრამატიკის, საერთოდ გაუფრთხილა ფუძემდებელს“¹. რაც შეეხება ამ ფორმის დაწერილობის საერო ელფერს, თავისთავად ცხადია, ანტონს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ მასში ერისკაცი ევლსიხსება.

ხოლო რომ ეს ვსემარტება უღაგოა, ამას მოწმობს შემდეგი უცილობელი ფაქტი: ანტონი „რუსთაველი“ იხსენიებს არა მარტო შოთას, არამედ აგრეთვე ცნობილ მიტროპოლიტს ნიკოლოზ რუსთველს, რომელსაც რუსთველის ტახტი ეპროს მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებში, ე. ი. დაახლოებით იმ დროს, როდესაც ვსაწილი ანტონი დავით გარეჯის მონასტერში იმყოფებოდა და ზომავალი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა.

აქედან საყვებით ცხადია, რომ ანტონ პირველის „რუსთაველი“ იგივე რუსთველი ეპისკოპოსისა და მასში რაიმე საერო ელფერის ძებნა ფუჭი შრომაა.

აქედან ცხადია აგრეთვე, რომ ასეთი „საბუთით“ ჩვენს ავტორებს არც არაფრის უარყოფა შეუძლიათ და არც არაფრის დამტკიცება.

მეორე საბუთი დაკავშირებულია ანტონ პირველის მიერ სასულიერო პირთა მიმართ ეპითეტ „მამას“ ხმარებასთან.

როგორც ცნობილია, სასულიერო პირების მიმართ ხშირად იხმარებოდა ეპითეტ „მამას“, ანტონიც ხშირად ხმარობს ამ ეპითეტს თავის წყობილიტიკაობაში (მაგალითად, „თვის მამისა ეფერე მცირისა“), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქმის შეუძლებელი იყო სასულიერო პირის ხსენება ამ ეპითეტის გარეშე.

ჩვენი ავტორები ძალზე მარტივად წყვეტენ საკითხს: მათი აზრით, თუ მწერალი მოხსენიებულია ეპითეტით „მამას“, ის სასულიერო პირია,

ხოლო თუ ეს ეპითეტია არ ახლავს, ის ერისკაცია. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, საქმე ასე მარტივად არ არის. იმავე წყობილიტიკაობაში ანტონს დასახელებული ჰყავს არაერთი მწერალი და მოღვაწე, რომლებიც აშკარად სასულიერო პირები არიან, ეპითეტ „მამას“ კი არ ახლავთ. დავაახლოთ რამდენიმე მაგალითი:

ასოცდამეშვიდე გვერდზე ვკითხულობთ: „თვის წმიდისა მღვდელმოწამისა ნუოფიტე ურბანისის ეპისკოპოსისა“, ხოლო ასოცდამეხუთმეტე გვერდზე ნათქვამია: „თვის წმიდისა მღვდელ-მოწმისა აბბოს ნეტრესელ ეპისკოპოსისა“.

როგორც ვხედავთ, ორივე აქ დასახელებული მღვდელ-სასულიერო პირია (ეპისკოპოსია), მაგრამ ანტონი მათ მიმართ ეპითეტ „მამას“ არ ხმარობს. ასევე არ იხსენიებს ამ ეპითეტით ანტონი გარეჯის უღაბოს იმ ბერ-მონაზვნებს, რომლებიც შაჰაბაზმა ამოწყვიტა (გვ. 170).

ისმება კითხვა: რატომ არ ხმარობს ამ მოღვაწეების მიმართ ანტონი ჩვეულებრივ ეპითეტს „მამას“? შესაძლოა, იმიტომ, რომ აქ დასახელებული სასულიერო პირები მოწამეთა (მარტიკლთა) რიცხვს განეკუთვნებიან და ამით ჩვეულებრივ სასულიერო მამებისაგან განსხვავდებიან.

სწორედ ასევე არ ხმარობს ანტონი ეპითეტ „მამას“ იმ სასულიერო პირების მიმართ, რომლებიც საერო ლიტერატურის წარმომადგენლები არიან და, მაშასადამე, ჩვეულებრივი სასულიერო მამებისაგან ისინიც განსხვავდებიან. მაგალითად, ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანი სასულიერო პირი იყო, რასაც თვითონ ანტონიც გადმოგვცემს თავის წყობილიტიკაობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანტონს იგი მოხსენიებული ჰყავს ეპითეტ „მამას“ გარეშე (გვ. 287).

განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი „აქტი: დემეტრე მეფე, რომელიც შემდეგ უკრად შედგა. ანტონს მოხსენიებული ჰყავს ეპითეტით „მამას“, ხოლო თეიმურაზ პირველს, რომელიც აგრეთვე შემდეგ ბერად შედგა, ანტონი იხსენიებს ამ ეპითეტის გარეშე. რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი? რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზენებულო მეფეები? საქმე ისაა, რომ დემეტრე სასულიერო მწერლობის წარმომადგენელია, ამიტომაც ანტონს იგი სასულიერო მწერლობებში მოუთავსებია და სათანადო ეპითეტითაც შეუქცია, თეიმურაზი კი, ძირითადად, საერო მწერალია, ამიტომაც ანტონს იგი საერო მწერლობის წარმომადგენლებში მოუთავსებია და მის მიმართ ეპითეტ „მამაც“ აღარ უხმარია.

ეს მაგალითები სრულად ეკემიუტანლად ამტკიცებენ, რომ წყობილიტიკაობის მეშვიდე

¹ ა. შანიძე, ანტონ პირველის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964, გვ. 78.

ნაწილის მერვე თავში ჩამოთვლილ მწერლებს ეპითეტი „მამამ“ არ უნის არა იმიტომ, რომ ისინი, ვითომც, ყველანი ერისკაცები არიან. არამედ იმიტომ, რომ ისინი საერო მწერლობის წარმომადგენელი არიან.

ეს მაგალითები სრულიად ეკვივრებოდნენ ამტკიცებენ აგრეთვე, რომ კათალიკოსი ანტონი სასულიერო პირების მიმართ ყოველთვის არ ხმარობს ეპითეტ „მამამ“; ამის გამო მის მიერ ამ ეპითეტის ხმარება თუ არ ხმარება, მეცნიერულ საბუთად არ გამოდგება.

დაბოლოს, მესამე საბუთი დაკავშირებულია თეიმურაზ პირველის სამწერლობო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დახასიათების ტექსტთან.

როგორც ცნობილია, წყობილსიტყვაობის მეშვიდე ნაწილი რვა თავისაგან შედგება. აქედან შვიდი თავი მიძღვნილია სასულიერო მწერლობისადმი, ხოლო მერვე — დამოძილი აქვს საერო ლიტერატურას. ეს მერვე თავი იხსნება თეიმურაზ პირველის დახასიათებით, რომელიც რიტორიკულ იამბიკობითაა გამოთქმული და სულ ორი სტროფისაგან შედგება. ჩვენი ავტორები არასწორად და დამახინჯებულად გადმოგვცემენ თეიმურაზის ანტონისეული დახასიათების შინაარსს და ცდილობენ დავარწმუნონ, თითქოს ანტონი მერვე თავში მოხსენიებულ ყველა მწერალს ერისკაცებს უწოდებს. აი, როგორი „კეთილსინდისიერებით“ გადმოგვცემენ ავტორები ხსენებული დახასიათების შინაარსს:

„საერო მწერლობის მიმოხილვას ანტონი იწყებს თეიმურაზ პირველით. მაგრამ სანამ სასულიერო თეიმურაზის დახასიათებას შეუდგებოდა, ანტონს საზოგადოდ შეუნიშნავს — არც ერისკაცთა საქმელო სამწერლობო საქმიანობა დავიდუმო, „რომელთა შორის თეიმურაზ არს“ ასეთი და ასეთიო („არცაღა მათი ხსენება დავიდუმო, რომელნი სიბრძნის ქვემდებარებნი, სთქმიდეს ერისკაცთანი საქმელთა წერელთა, რომელთა შორის თეიმურაზ არს...“).

ამას მოსდევს ავტორთა კატეგორიული დასკვნა: „წყობილსიტყვაობის მერვე თავში მოხსენიებულ მწერლებს ანტონ კათალიკოსი სრულიად გარკვევით უწოდებს ერისკაცებს“ (გვ. 165).

ვინც არ მოერიდება შრომას ეს მსჯელობა და დასკვნა შეადაროს ანტონის ტექსტს, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ ავტორები სრულიად შეგნებულად და წინასწარ დასახული მიზნით ამახინჯებენ ანტონის აზრს, რათა მათთვის ესოდენ სანატრელი დასკვნა მიიღონ, მაგრამ ნუთუ ისინი სერიოზულად ფიქრობენ, რომ წყობილსიტყვაობის ტექსტის წაიკითხვა და გაგება, მათ გარდა, არავის შეუძლია?

ავტორები თავიანთ დასკვნას ანტონის ტექსტის მარტო პირველ ოთხ სტრიქონზე აყარებენ, ხოლო დანარჩენ ექვს სტრიქონს, რომელ-

თა შინაარსი მათ თვალსაზრისს ძირითად ეწინააღმდეგება, საესებით სათელაუეში არ აკლდებენ. გარდა ამისა, ავტორები საქმეს ეეთობებას ისე წარმოვიდგენენ, თითქოს — მამამ წიგნი განხილული პირველი ოთხი სტრიქონი თეიმურაზის დახასიათების ორგანულა ნაწილი არ იყოს, არამედ ამ დახასიათებას წინ უძღოდეს („სანამ სასულიერო თეიმურაზის დახასიათებას შეუდგებოდა, ანტონს საზოგადოდ შეუნიშნავს“). ამნაირი მანიპულაციების საშუალებით, რა თქმა უნდა, ყველაფერის დამტკიცება შეიძლება, მაგრამ რა ფასი აქვს ამგვარ მტკიცებებს?

ფრიად დამახასიათებელია, რომ ისინი ცდილობენ დღემდონ მეთხველს თვით ფაქტ ანტონის მიერ თეიმურაზის ერისკაც პოეტთა შორის მეფედ გამოცხადებისა. ამ მიზნით ისინი ორჯერ წყვეტენ ანტონის ფრაზას ზედ სიტყვა „მეფესთან“. დავაკვირდეთ: „არც ერისკაცთა საქმელო სამწერლობო საქმიანობა დავიდუმო, რომელთა შორის თეიმურაზ არს“ ასეთი და ასეთიო“ (გვ. 166); შემდეგ: „არცაღა მათი ხსენება დავიდუმო, რომელნი სიბრძნის ქვემდებარებნი, სთქმიდეს ერისკაცთანი საქმელთა წერელთა, რომელთა შორის თეიმურაზ არს...“ (იქვე).

ამრიგად, სიტყვა „მეფის“ ნაცვლად ისინი, ერთ შემთხვევაში, უმატებენ უაზრო ფრაზას „ასეთი და ასეთიო“, ხოლო მეორე შემთხვევაში, მრავალი წერტილის დასმით სურთ მეთხველს თვალის ახვევა. მაგრამ რატომ სჭირდებათ ავტორებს ასეთი ქაპან-წყეტა? იმიტომ, რომ აღორძინების ხანაში, როგორც ეპი საყოველთაოდ ცნობილია, პოეტთა მეფელობითა რუსთველი იყო აღიარებული და თუკი ანტონი შოთას ერისკაცებში მოაქცევდა, როგორღა იტყვოდა ერისკაც პოეტთა მეფე თეიმურაზიო?

ესე აწკლებს ფაქტებსაც და ავტორებსაც წინასწარ შედგენილი არასწორი თვალსაზრისი!

აქვე უნდა ითქვას, რომ რუსთველის დახასიათებისათვის ანტონი იძულებულია იხმაროს არა მარტო სასულიერო ცოდნა-განათლებლათვის შესაფერისი ისეთი ძირითადი ტერმინები, როგორცაა „ბრძენი“, „სიბრძნის მოყვარე“ და „ღილოსნოფოსი“, არამედ აგრეთვე საეკლესიო სასულიერო ტერმინი „ღვთისმეტყველიც“. თუკი რუსთველის ღვთისმეტყველების თაობაზე ანტონი იქვე გარკვეულ შენიშვნასაც აყუთებს. ამასთან დაკავშირებით ავტორები ამგვარ განმარტებას გვაძლევენ: „ანტონი პირდაპირ არ ამბობს, რომ რუსთველი იყო ღვთისმეტყველი, არამედ — რომ მოეწადინებინა, იქნებოდა (ხაზი ჩვენია. — პ. რ.) დიდი ღვთისმეტყველიცო (ა. შანიძის რუსული თარგმანით — «в случае желаниа он мог бы быть и великим богословом.»)

ეს განმარტება; ჩვენი აზრით, მიუღებელია.



რადგან ანტონის ტექსტის შინაარსს ზუსტად ვერ ვადმოგვეცემს. გავიხსენოთ ანტონის სიტყვები:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიალ, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის, თუ სამ სწავლადა, ღვთისმეტყველიცა მაღალ“.

როგორც ვხედავთ, აქ საუბარი იმაზე კი არ არის, თუ რა იქნებოდა შოთა რუსთველი, არამედ იმაზე, თუ უკვე რა იყო იგი. მაგრამ რას ნიშნავს გამოთქმა „თუ სამ სწავლადა?“ ამ გამოთქმაში ნახმარი „სამ“ ძველი სიტყვაა (ზმნის-სართია) და თანამედროვე ქართულით (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით) ნიშნავს: „სადღაც“, „სადმე“. ამის შესაბამისად გამოთქმა „თუ სამ სწავლადა“ სიტყვა-სიტყვით უნდა ითარგმნოს ასე: „თუ სადმე სურვილია ჰქონდა“, ხოლო აზრის მიხედვით, — „როცა სურვილი ჰქონდა“.

მასადაამე, ანტონ კათალიკოსის ზემოთ მოტანილი ტექსტის თარგმანი თანამედროვე ქართულით ასეთი იქნება:

„შოთა იყო ბრძენი, ფრიალ სიბრძნის მოყვარე, ფილოსოფოსი, სპარსული ენის მცოდნე, როცა სურვილი ჰქონდა, დიდი ღვთისმეტყველიცა“.

აქედან აშკარაა, რომ შოთა რუსთველი, ანტონ კათალიკოსის აზრით, დიდი ღვთისმეტყველი იყო, თუმცა მას ყოველთვის რიდი ჰქონდა იმის სურვილი, რომ ღვთისმეტყველების ბუნდოვან დოგმებზე თავი ემტერია. ასეთი დახასიათება საცხები შეესაბამება ანტონ კათალიკოსისა და, საერთოდ, აღორძინების ხანის მწერალთა შეხედულებას შოთა რუსთველზე, როგორც მაღალი რანგის, დიდი ნიჭისა და განათლების მქონე სასულიერო პირზე, რომელმაც თავი აარიდა თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას და „ამაოდ დაშვრა“.

ასეთია შოთა რუსთველზე ანტონ კათალიკოსის შეხედულების არსი, რომლის უარყოფა არ შეიძლება არც ისტორიული ფაქტების დამაღვით, არც იმდროინდელ მწერალთა აზრების ტყინდენიური განმარტებით.

განსახილველი დაგვრჩია ავტორების მიერ სახელ „შოთას“ ირველიც გამოთქმული შენიშვნები, რომელთა შესახებ აქვე გვინდა ორიოდ სიტყვა ვთქვათ.

ჩვენს ნარკვევში დაწვრილებითაა გამოქმედული სახელ შოთასთან დაკავშირებული სადავო საკითხები და მრავალრიცხოვანი ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ შოთა არის რუსთველის საერისკაცო სახელი; ამასთანავე ერთად ნარკვევში დადგე-

ნილია, რომ ძველად სასულიერო პირის საერისკაცო სახელით მოხსენიება შესაძლებელი იყო. ფილა არა მარტო საისტორიო წყაროებში, არამედ ეკლესია-მონასტრებშიც.

რა დაუპირისპირებს ავტორებმა ამ დებულებებს? მათ გვერდი აღარეს ჩვენს მიერ წარმოდგენილი საბუთიანობის ძირითადი ნაწილის განხილვას და მარტო ორი უცბილო შენიშვნით დაკმაყოფილდნენ. პირველი შენიშვნა შეეხება სახელ „ოქროპირის“ ანალოგიას, ხოლო მეორე — კათალიკოს კ. ცინცაძის მიერ შედგენილი საეკლესიო კალენდრის ცნობას სახელ „შოთას“ შესახებ.

განვიხილოთ ეს შენიშვნები: იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ ქართულ ეკლესიას არ ეუცხოებოდა საერისკაცო სახელების, მათ შორის, ადგილობრივი, ქართული წარმოშობის არაკალენდარული სახელების ხსენება, ჩვენს ნარკვევში მითითებულია შედგენილი მაგალითები: იერუსალიმის ჭვარის მონასტერში გამოხატულ ერთ-ერთ მღვდელმთავარს წარწერილი ჰქონია „ღირსი ნუნუს ეპისკოპოსი ქართველი“. იმავე მონასტერში წარმოდგენილი ყოფილა „ღირსი ეპისკოპოსი კინდ ქართველი“; არც ერთი ეს სახელი (ნუნუს და კინდ) კალენდარული არ არის. ასევე არაკალენდარული საერისკაცო სახელით, ოქროპირით, იხსენიება ქართულ საისტორიო წყაროებში ცნობილი კათალიკოსი იოანე. გარდა ამისა, ცნობილი მღვდელმთავარი ნიკიფორე (ნიკალოზ) ჩოლოყაშვილი იერუსალიმის ჭვარის მონასტრის წარწერებში, აგრეთვე საბუთებში ხან სასულიერო სახელით ყოფილა მოხსენიებული, ხან კიდევ — საერისკაცო სახელით.

აქ დასახელებული ოთხი მაგალითიდან ავტორები სამს წინდახედულად გვერდს უვლიან (მათზე სრულებით არაფერს ამბობენ), ერთზე კი, სახელდობრ ოქროპირ-იოანეზე, ცდილობენ შემოგვეღაოთ.

„პ. რატინს უნდა მოეხსენებოდეს, — ბრძანებენ ისინი, — რომ ოქროპირი არის ზედწოდება მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი საეკლესიო მამის იოანესი (იოანე ოქროპირი. Иоанн Златоуст.) სებათა შორის შეენიშნავთ, ქართველ მოღვაწეს სწორედ ამ იოანე ოქროპირის მიზანძვით (ხაზგასმა ჩემია. — პ. რ.) შეუცვლია ოქროპირი (ბერად შედგომის შემდეგ) სახელით იოანე“ (გვ. 177).

რა უნდა ითქვას ამ უცნაური ანალოგიის გამო?

ავტორებს, „სებათა შორის“ კი არა, სერიოზულად რომ განვიხილოთ ეს საკითხი, უთუოდ მიხვდებოდნენ, რომ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს სახელიც ქართულ ერქვა და კონსტანტინეპოლელი იოანე ზალატუსტი აქ სრულიად არ-

პროკოპი რაბინი
 ისამ ვაზისნიტყაონის აბტორის ვინაობაზე

აფერ შუაშია. სადაა ამის საბუთი, რომ ჩვენმა სასულიერო მოღვაწემ სახელი იოანე მინცა და მინცა ზლატოუსტის მიბაძვით დაირქვა? საოცარია, რომ ჩვენში „მიბაძვის“ გარეშე სახელის დარქმევაც კი ვერ წარმოუდგენიათ! რაში დასჭირდებოდა ქართველ მღვდელმთავარს მიებაპა უსათუოდ ზლატოუსტისათვის (რომელიც მასზე 700 წლით ადრე ცხოვრობდა), როცა სახელი იოანე საყოველთაოდ გავრცელებულია მთელ საქრისტიანოში? როგორც ცნობილია, სახელი იოანე ერქვა თვით ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულს და უადრესად პოპულარულ წინასწარმეტყველს, რის გამოც ეს სახელი ქრისტიანულ ერებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელთაგანია (იოანე, ივანე, ვანო, ივანეს და ა. შ.); ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთში) თითქმის ყოველი მესამე კაცი ან ივანეა, ან ივანოვი. მაგრამ რა შუაშია აქ ზლატოუსტი?

რაც შეეხება სახელს ოქროპირს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის წმინდა ქართული სახელია. ეგვს გარეშეა, რომ საქართველოს კათალიკოსს ეს სახელი აქვე, საქართველოში, იბოვა და მისთვის ბიზანტიაში წასვლა არ დასჭირვებია. ამ ფაქტს უცილობლად ადასტურებს თუნდაც იგივე „კალმასობა“, რომლის გამოცემათა ისტორია ასე კარგად ჰქონიათ შესწავლილი ჩვენს ავტორებს. სხეულებულ ნაწარმოებში იოანე ბატონიშვილი ამბობს:

„იოანე კათალიკოსი, ქართველი, იყო ძველთა არისტოტელისა და სხვათა ფილოსოფოსთა სწავლათა შინა გამოცდილი მოძღვარი, კეთილ-მასწავლებელი, და მშვენიერ მსიტყველი, რომლისა გამო მიიღო მეფისა და ერთგან ზედწოდება ოქროპირად.“¹

როგორც ვხედავთ, ი. ბატონიშვილის აზრით, კათალიკოს იოანეს სახელწოდება ოქროპირი მიუღია არა ბიზანტიელი ზლატოუსტისაგან, არამედ ქართველი ერისა და საქართველოს მეფისაგან. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს არ დავიყვართ და უარყოთ ი. ბატონიშვილის ეს ცნობა, რომელიც ჩვენს ავტორებს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამოპარვიათ.

მაგრამ დავუშვათ, რომ ქართული ოქროპირ — იოანე ბიზანტიური იოანე — ზლატოუსტის მიბაძვითაა წარმოშობილი, რით ეწინააღმდეგება ეს ფაქტი ჩვენს თვალსაზრისს? ჩვენი აზრია ის იყო, რომ არაკალენდარული სახელი ოქროპირი ქართულ ეკლესიას არ ეუცხოება; ზლატოუსტის მაგალითი კი მოწმობს, რომ არა თუ ქართულ ეკლესიას, არამედ ბიზანტიის ეკლესიასაც შეუწყნარებია ეს არაკალენდარული სახელი და იგი თავისი ერთ-ერთი გამოჩენილი მოძღვრი-

სათვის დაურქმევია, მაშასადამე, ზლატოუსტის მაგალითი, რომელსაც ავტორებს ნაწინადად ჩვენი დებულება უნდა დაერღვიოს. სწამდელია: ში აძლიერებს ამ დებულებას და ავტორებს მის ფარგლებს, ხოლო ჩვენი კრიტიკოსების ისედაც უსაფუძვლო ილუზიებს საბოლოოდ აქარწყლებს.

ასეთია ჩვენი პასუხი ავტორების „სხვათა შორის“ შენიშვნაზე იოანე-ოქროპირის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორებს არავითარი უფლება არ ჰქონდათ გვერათ აველთო ჩვენს ნარკვევში წარმოდგენილი დანარჩენი მაგალითების (ნუნუს, კინდ და სხვ.) განხილვისათვის, — არ ჰქონოდათ იმითმ, რომ ეკლესიის მიერ არაკალენდარული სახელის მოხსენიების თუნდაც ერთი ფაქტიც საუკუნითი წარმართისა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ქართულ ეკლესიას არ ეუცხოებოდა და დასაშვებად მიაჩნდა ადგილობრივი, ქართული სახელების ხმარება.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ავტორების საუბარი ზლატოუსტისადმი მიბაძვაზე იმავე ნ. მარის ცნობილი თეორიის ნაყოფია, რომელიც დღეს ყველასაგან უარყოფილია. ამიტომ როგორც არ უნდა ეცადნონ ჩვენი ავტორები გააცოცხლონ სხეულებული მკვდარი თეორია, სულ ერთია, ისინი ვერასდროს ვერ უარყოფენ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ქართველმა ერმა ეკლესიაშიც შეანათა თავისი გენიის შუქი და იქაც ბევრი რამ თავისი საკუთარი ქართული შეიტანა. ქრისტიანობას ყოველი ერი აჩვენდა საკუთარი კულტურის ბეჭედს და რა გასაკვირია, რომ საუბრეთა განმავლობაში ქართველ ერს ქრისტიანული სახელების ვრცელ ნომენკლატურაში, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, ქართული წარმოშობის სახელებიც დაემკვიდრებია?²

ნათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს პასუხი ავტორთა უქანასენელ შენიშვნაზეც, რომელიც კათალიკოს კ. ცინცაძის კალენდრიდან ამოღებულ ცნობას შეეხება, მაგრამ რამდენადაც ჩვენი მიზანია მტყუანს სიმტყუენის კარამედ მივყვეთ, ორიოდ სიტყვას ამ შენიშვნის გამოც ვიტყვი.

გამოჩენილი ისტორიკოსი და საეკლესიო ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე პლატონ ოსელიანი გვიდასტურებს, რომ ქართული ეკლესია, რომელსაც არ შეეძლო ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისათვის ანგარიში არ გაეწია, მონათვლის დროს ქართველებს ხშირად არაქმევდა ადგილობრივი, არაქრისტიანული სახელებს, ხოლო შემდეგში, როცა ასეთი სახელის მატარებელი პირები თავიანთი ცხოვრება-მოდევანობით „წმიდათა“ შორის ჩარიცხვის ოიროს ხდებოდნენ, მათი ერთი ნაწილის სახელები კანონიზებული ხდებოდა. წმინდანთა ოფიციალურ სიაში შედიოთ და საეკლესიო კალენდარში ქვეყნდებოდა, ხოლო მეორე ნაწილისა — საეკლესიო წიგნებში, ან კიდევ ხალხურ გადმოცემებში რჩებოდა („მნათობი“, № 5, გვ. 121).

¹ პრუთ. ალ. ლონტმა საუკუნითი სამართლიანად შეიტანა ეს სახელი ქართული საკუთარი სახელების სიაში (ალ. ლონტი, ქართული საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 113).

² კალმასობა, ტ. II, 1948, გვ. 164.



ვითაღისწინებდით და ეყვარდნობოდით რა პ. იოსელიანის ამ საყურადღებო და ფრიად სანდო ცნობას, ჩვენ სახელებით ბუნებრივად მივიჩინეთ და ნარკვევში დავიმოწმეთ კიდევაც ის ფაქტი, რომ კათალიკოს კალისტრატეს კალენდარში, რომელიც, მეტროპოლიტის ცვლილებებით, ხელახლა გამოსცა ახლანდელმა კათალიკოსმა ეფრემ მეორემ (1964 წ.), დაწესებულია იმ ქართულ წამებულთა მოსახსენებელი, რომლებიც ქრისტიანული ეკლესიის ოფიციალურ, კანონიერ სიამო შეტანილი არ არიან, მაგრამ ქართულ ეკლესიაში მიიწვევნიან მონიხსენებია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ავტორებმა კვლავ გამოაჩინეს (ამჯერად უფრო უხეშად) თავიანთი პოლემიკური სტილის დამახასიათებელი თვისებები: პ. იოსელიანის ავტორიტეტულ აზრს მათ სრულებით ყური არ ათხოვენ, ჩვენ თვავიანად შეგვაშვეს ისეთი ეპითეტებით, როგორცაა „გულუბრყვილობა“, „ზედრობა“ და „წინდაუხედაობა“, ხოლო საქართველოს ორ კათალიკოს-პატრიარქს კალისტრატეს და ეფრემ მეორეს თვითნებობა დასწამეს. ავტორების მტკიცებით, კათალიკოსმა კალისტრატემ „რომელიც თავად მკვლევარი იყო“, საკუთარი თაოსნობით, ე. ი. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე „კანონიკურად აღიარა და საეკლესიო კალენდარში შეიტანა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული „საერთო“ სახელები“ (გვ. 177), მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: მეცნიერი-კათალიკოსი ამითაც არ დაემყოფილებულა, მას „წმინდანთა“ შორის, კვლავ საკუთარი ინიციატივით, „ჩაურევსაქვს და კალენდარული გაუხდია, შოთაშთან ერთად, ძველი ქართული საერო მწერლობის ძველთა (ამირანდარეჯანიანის, ვისრამიანის, ომბინიანის, როსტომიანის და სხვ.) მრავალი პერსონაჟი (ხაზი ზემოა. — პ. რ.). მაგალითად, აბუსალომი, ავთანდილი, ამირანდო, ბეჟანი, გოდერძი, გოსტაშვილი, ზაალი, ზურაბი, მანუჩარი, მერაბი, ნარომანი, ნოდარი, ომანი, რამინი, რამაზი, როსტევენი, როსტომი, საამი, სიამო, სარიდანი, ტარიელი, უშანგი, ფარემუზი, ფარსადანი, ფეშანგი, ფირანი, ღახნელი, ყარამანი, შიამო (ეს იგივე სიამოა, ავტ.), თინათინი, ნესტან-დარეჯანი, როდამი, ფატმანი“ (იქვე).

რაც შეეხება ეფრემს, თუ ავტორებს დავუჭერებთ, კალისტრატეს არც ის ჩამორჩენია და საეკლესიო კალენდარში მასაც საკუთარი თვებასურვილით უცვლია.

ისმება კითხვა: არსებობს თუ არა, სინამდვილეში, რაიმე რეალური საფუძველი ზემოთ ხსენებული ორი კათალიკოსისა და მათ მიერ გამოცემული საეკლესიო კალენდარისადმი ისეთი უნდობლობისათვის, როგორც ავტორები იჩენენ?

საჭიროდ მიგვაჩნია გადაჭრით განვაცხადოთ, რომ ასეთი უნდობლობისთვის ავტორებს არა-

ვითარი რეალური საფუძველი არ გააჩნიათ და მთელი მათი ნეგატიური მსჯელობა ამ საკითხზე სამწუხარო ვაუგებრობის შედეგია.

საქმე ისაა, რომ ჩვენს სწავლულებს ვერ გავრჩევიათ და ერთმანეთში აურევიათ მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა ოფიციალურ, კანონიზებული სია და იმ ადგილობრივ, ეროვნულ მოღვაწეთა მოსახსენებელი, რომლებიც საქართველოში ეწამენ და თუშკა ქართულ ეკლესიის მიერ წმინდანებად მოიხსენებიან, მაგრამ ეკლესიის ოფიციალურ, კანონიზებულ სიაში შეტანილი არ არიან. კათალიკოსების ბრალად ირდება, რომ მათ კალენდარებში მეცნიერ-რუსთველოლოგებს ვერ შეუმჩნევიათ მსხვილი შრიფტით და ცალკე სათაურით გამოყოფილი ოფიციალური, კანონიზებული სია ქრისტიანისთვის წამებულ წმინდანებისა, რომელთა შორის არც ერთი არაკალენდარული სახელი შეტანილი არაა.

გავეცნოთ ამ კალენდარებს უფრო ახლოს. ნარკვევის წერის დროს ჩვენ ხელ გვქონდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოცემულ სამი საეკლესიო კალენდარი: კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს კალენდარი 1948 წლისა, კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III კალენდარი 1955 წლისა და კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II კალენდარი 1964 წლისა. ამ კალენდარებიდან ჩვენ უბრატესობა მივიანიჭეთ კალისტრატეს კალენდარს შემდეგი მოსაზრებების გამო.

1. კალისტრატეს მიერ წმინდანების ოფიციალურ (კანონიზებულ) სიაში შეტანილი ადგილობრივი წარმოშობის სახელები, არსებითად, ემთხვევა ჭეუთნის წარმოშობის იმ სახელებს, რომლებზეც პ. იოსელიანი მიუთითებდა. ეს სახელებია: აბო, რაედენი, არჩილი, ქეთევანი და სხვა მისთანანი. რაც შეეხება ჩვენს ავტორების მიერ ჩამოთვლილ („პერსონაჟებად“ მიჩნეულ) ისეთ არაქრისტიანულ წარმოშობის სახელებს, როგორცაა: აბუსალომი, ავთანდილი, ამირანდო, ბეჟანი, გოდერძი, ზურაბი, როსტევენი, ტარიელი, თინათინი, ნესტანდარეჯანი, ფატმანი და სხვა მისთანანი, — ესენი კათალიკოს კალისტრატეს წმინდანთა სიაში კი არ შეუტანია, — როგორც ეს ავტორებს მოჩვენებით, — არამედ — ჩვეულებრივ მოსახსენებელში, რომელიც ქართულ

¹ იხ. კალისტრატეს მიერ გამოცემული კალენდარი, 1948 წ., გვ. 69-100; აგრეთვე ეფრემის კალენდარი (1964 წ.), გვ. 75-106.

² ამით გარდა, ხელთ გვქონდა აგრეთვე სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდის მიერ 1929 წელს გამოცემული კალენდარი, მაგრამ იგი იმდენად ნაკლებია, რომ საისტორიო წყაროს მნიშვნელობა, არსებითად, დაკარგული აქვს.

პროკოპი რაბინი
 იმაც მუშხისტაქოსის ავტორის ვინაობაზე

ეკლესიის მიერ დაწესებული ყოფილა ყოველი წლის 11 (24) დეკემბერს. ამგვარი მოსახსენებელი საეკლესიო შეესაბამება და ადასტურებს პ. იოსელიანის აზრს იმის შესახებ, რომ ბევრი სახელი ქართული წმინდანებისა, რომლებიც საქართველოში ეწამენ, არ შესულა ქრისტიანობის ოფიციალურ, კანონიზებულ სიაში და საეკლესიო წიგნებში დარჩა. თავისთავად ცხადია, რომ ყველა იმათი სახელი, ვინც სამშობლოსა და ქრისტიანობას თავი შესწირა, ვერ შევიდოდა მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა ოფიციალურ სიაში, მაგრამ არაფერი არ უშლის ხელს იმის დაშვებას, რომ ქართულ ეკლესიას მათი ერთი ნაწილის (187 წამებულის) სახელი შეენახა და პატივით მოეხსენებია. ეს ფაქტი ჩვენ ვეჩვენება საეკლესიო ბუნებრივად, ხოლო საუბარი კათალიკოს კალისტრატეს თვითნებობაზე — უადგილო და შეუფერებლად.

2. კალისტრატე, — მელქისედეკისა და ეფრემისაგან განსხვავებით, — არა მარტო კულტის მსახური იყო, არამედ აგრეთვე მეცნიერიც, რასაც ავტორებიც არ უარყოფენ. შინაარსი მისი ნაშრომებისა, განსაკუთრებით კი, გამოკვლევისა „გეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“, რომელიც დაწერილია 1936 წელს, 2 ნაწილის, რომ კალისტრატე ცინცაძე იყო ნიჭიერი მკვლევარი, რომელსაც ზოგიერთი საკითხი (მაგალითად, გეფხისტყაოსნის ავტორზე ტიმოთე ვაბაშვილის თვალსაზრისის არსი) გაცილებით უყუთ ესმოდა, ვიდრე ჩვენს ავტორებს ესმოთ.

3. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, ავტორებისაგან განსხვავებით, იმდენად დიდად აფასებდა კ. ცინცაძეს, როგორც მეცნიერს, რომ მასთან ახლო თანამშრომლობას არ თაყილობდა და

1 სიუხუსტინათვის აღენიშნავთ, რომ ავტორების მიერ ჩამოთვლილ იმ 33 არაქრისტიანული სახელიდან, რომელთა კანონიზებას ისინი უსაფუძვლოდ კალისტრატეს მიაწერენ, სინამდვილეში კალისტრატეს ოფიციალურ, კანონიზებულ სიაში შეუტანია მარტო ერთი სახელი, ს. ხელდობრ „რაშაზი“, რაც საეკლესიო ბუნებრივად ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს; ვინც იკნობს ცხრა მამა კოლაელთა მარტილობის უძველეს ისტორიას და იმ ფაქტს, რომ ქართული ეკლესიის ტრადიციის მიხედვით, სხენებელი ცხრა წამებული ბავშვიდან ერთ-ერთს „რაშაზი“ ერქვა (რასაც ზემოთ ხსენებულ სამივე კალენდარი, აგრეთვე მათზე დღაც გამოცემული საკათალიკოსო სინოდის კალენდარი ადასტურებს), — ის ადვილად მიხვდება, რომ სახელ „რაშაზის“ ადგილი სწორედ კალენდრის ოფიციალურ, კანონიზებულ სიაში უნდა ყოფილიყო და, მასთანავე, კალისტრატეს ამ შემთხვევაშიც საყვედური არ ეთქმის.

2 გამოქვეყნდა კრებულში „შოთა რუსთაველი“; 1966, გვ. 227-274.


მისი თანაავტორობით ნაშრომებსაც კი აქვეყნებდა, რაც ყველასათვის ცნობილი ფაქტია. ამ მოსაზრებათა გამო, ჩვენ კათალიკოს კალისტრატეს მიერ რედაქტირებულ საეკლესიო კალენდარი შედარებით სანდო წყაროდ მივიჩნევთ და ამიტომაც დავიმოწმეთ. გამბობთ, „შედარებით სანდო“, რადგან აბსოლუტურად სანდო არაა არც ერთი საეკლესიო გამოცემა და, მათ შორის, არც პლატონ იოსელიანის ის გამოცემები, რომლებზეც ავტორები მიგვითითებენ. გარკვეული ტენდენციურობა, რის შესახებაც ავტორები ლაპარაკობენ, დამახასიათებელია არა მარტო თანამედროვე კათალიკოს-პატრიარქებისათვის, არამედ, საერთოდ, ყველა საეკლესიო მოღვაწისათვის და, მათ შორის, ანტონ პირველისათვისაც. ჩვენი ავტორები კათალიკოს ანტონის ყოველ სიტყვას, მის „სუბალტრატურ-რიტორიკულ იამბიკებს“ სრულიად უკრიტიკოდ იღებენ; თანამედროვე კათალიკოს-პატრიარქებს კალისტრატესა და ეფრემს კი სრულ უნდობლობას უტყბადებენ. და ეს მაშინ, როდესაც, აჯაკ. კ. კეკელიძის სამართლიანი თქმით, ანტონი თავის ძირითად ლიტერატურულ ნაშრომში, ხშირ შემთხვევაში, ვადმოცემებსა და ზეპირსიტყვაობას ემყარება და ამის გამო „ბევრი მისი ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება“.

ნათქვამიდან ცხადია, რომ კათალიკოსი კალისტრატე სრულებითაც არა იმის ღირსი, რომ მას ასე უპატივცემულოდ და უნდობლად მოეყუროს.

რაც შეეხება კათალიკოს ეფრემ მეორეს, მისი კალენდარი, როგორც ითქვა, ძირითადად იმეორებს კალისტრატეს მიერ გამოცემულ კალენდრის შინაარსს და, ამდენად, ისიც შედარებით სანდოა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით კათალიკოს მელქისედეკის კალენდარზე. ჩვენი აზრით, თუკი რომელიმე საეკლესიო კალენდარი იმსახურებს უნდობლობას, პირველ რიგში, ეს სწორედ მელქისედეკის მიერ 1955 წელს გამოცემული კალენდარია, რადგან მასში მართლაც უამრავი უზუსტობა მოიპოვება. საკმარისია ითქვას, რომ ამ კალენდრის მიხედვით, წმინდანთა კანონიზებულ სიაშია შეტანილი იმ ქართულ წმინდანთა სახელების დღი უმრავლესობა, რომლებიც ოფიციალურად კანონიზებული არ ყოფილა. მართალია, დამოუკიდებელ ქართულ ეკლესიას აქვს უფლება მოახდინოს ამა თუ იმ წმინდანის სახელის კანონიზება, მაგრამ ეს აქტი სათანადო წესის დაცვით უნდა მოხდეს. რაც კათალიკოს მელქისედეკს, როგორც ჩანს, არ შეუსრულებია. უთუოდ ამით უნდა აიხსნას ის საჯულისხმო ფაქტი, რომ ქართული საეკლესიო

3 „დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კ. კეკელიძე“, 1965, გვ. 185, 187.

4 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 14-15.



ელსიო კალენდრის შემდეგმა გამოცემელმა, კოთლიკოსმა ეფრემმა გაასწორა მელქისედეკის მიერ დაშვებული შეცდომები და საეკლესიო კალენდრის ახალ გამოცემას საფუძვლად დაუდო არა მელქისედეკის კალენდარი, არამედ კალისტრატეს უფრო ზუსტი და სანდო კალენდარი.

ასეთი საქმის ფაქტიური ვითარება. მაგრამ ჩვენ ასახსნელი დაგვრჩია ერთი საკვირველი გარემოება: ავტორები, როგორც ვხახებ, სრულიად უსაფუძვლოდ თავს ესხმიან კალიტრატესა და ეფრემის კალენდრებს, ხოლო მელქისედეკის მართლაც და დასაწუნ კალენდარზე ერთ სიტყვასაც არ ამბობენ. რით უნდა აიხსნას ავტორების ეს უენაური საქციელი?

ამ კითხვის პასუხს ადვილად იპოვის ყოველი მკითხველი, რომელიც გადაშლის ელ. მეტრეველის ნაშრომს "მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის" (გვ. 53). სადაც მელქისედეკის სწორედ ეს ყოველად უეჭვარაი კალენდარია დამოწმებული და, თანაც, ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით, როგორცია რუსთველის მკვლევართან უხელოვანების საკითხი.

როგორ? — იკითხავს, ალბათ, გაკვირვებული მკითხველი, — თანამედროვე საეკლესიო კალენდრის დამოწმებას სხვას დანაშაულად უთვლიან, თვითონ კი იმოწმებენ და, თანაც, იმოწმებენ ყველაზე უეჭვარაი კალენდარს? დიდა, სწორედ ასე იქცევიან პატრიარქული ავტორები, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ისინი შევნიშნულად უმაღავენ მკითხველს მათი კოლეგის მიერ უეჭვარაი კალენდრის დამოწმების ფაქტს და ცდილობენ ეს თავიანთი "კოლეგა" როგორმე სხვას გადააბრალონ. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ჩემი შენ ვითხარით, გულში მოთვალაო; მართლაც, გულშისაყლავი ამბავია!

როგორც ვხედავთ, ავტორები დიდი შეუპოვრობითა და გულმოდგინებით მიდიან ერთხელ არჩეული ყალბი გზით, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ გზაზე მათ რაიმე წარმატება ხვდეთ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, პატივცემული მეცნიერები ოღონაც მაინც რომ იცავენენ ყოველი მკვლევარისათვის საგაღდებულო ობიექტურობას და კვლევის ობიექტსაც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ, ისტორიულ მოვლენებს გაცილებით უკეთ გაიგებდნენ, ხოლო უდავლო ოხუნჩობას, ირონიებსა და შეუარაცხეველ გამოთქმებს მოერიდებოდნენ გადადვიდარ შემდეგ საკითხზე.

7. ხალხინებელი თუ მონასტრის გუმბათი.

ზემოთ განხილული იყო ავტორთა უცვლელი ყველა შენიშვნა, რომლებიც ჩვენს ნარკვევში წამოყენებულ დებულებებსა და მათს საბუთონობას შეეხებოდა. მაგრამ მკითხველებმა იციან, რომ ავტორები არ დაქმნაოფილებულან მარტო

ნარკვევში განხილული საკითხებით და თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად წამოაყენეს სხვადასხვა საკითხი, რომელზეც ჩვენს ნარკვევში არაფრით არაფერია ნათქვამი, თუმცა ეს საკითხი უდავოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. საქმე ეხება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში შემონახულ შოთა რუსთველის მინიატურულ პორტრეტებს, რომლებიც, ავტორთა აზრით, რუსთველის ერისკაცობის დამამტიციებელი უცილობელი საბუთებია, სინამდვილეში ხსენებული პორტრეტები არა თუ არ ამაგრებს ავტორთა პოზიციას, არამედ საბოლოოდ აქარწყვლებს ისედაც უკვე ძირგამოთხრილ მათს თვალსაზრისს. მაგრამ მკითხველისათვის რომ ეს გარემოება ნათელი გახდეს, საჭიროა გავეცნოთ ამ პორტრეტებს უფრო ახლოს.

ჭერ მკითხვისმინით ავტორთა მსჯელობა მათ შესახებ.

„ფრიად საყურადღებოა, — ბრძანებენ ავტორები, — პოეტ-მწიგნობარების მამუკა თავაქარაშვილისა და იოსებ ტფილელის (სააკაძის) ცნობებიც სადავოდ ქცეული საკითხის გამო. მამუკა თავაქარაშვილს გადაუწერია და დაუხსურათებია ვეფხისტყაოსნის დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერთა შორის უძველესი თარიღიანი ნუსხა 1646 წლისა. XVII საუკუნის სამოციან წლებშია შესრულებული ვეფხისტყაოსნის ტფილლისკული ხელნაწერი (ე. წ. ზაზასეული ვეფხისტყაოსანი). ორივე ამ ძველ ხელნაწერს ამკობს ვეფხისტყაოსნის ავტორის შესანიშნავი პორტრეტი. რა თქმა უნდა, ორივეგან რუსთველი ერისკაცად არის გამოხატული. შ. ამირანაშვილის ვარაუდით, ზაზასეული ხელნაწერთი შემონახული პორტრეტი უნდა ეთუთვნოდეს XII საუკუნის მიწურულს, პ. ინგაოროყვა მას XV საუკუნეთ ათარილებს. როგორც არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის დასახლებულ პოეტ-მწიგნობართა შეენებით, შოთა რუსთველი ერისკაცია და მხოლოდ ერისკაცი. საზოგადოდ, ძველ ქართული იკონოგრაფიული მემკვიდრეობა რუსთველს იცნობს მხოლოდ და მხოლოდ ერისკაცად (გვ. 172).

ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ ხსენებულ პორტრეტებს, მკითხველს ვთხოვთ გაიფიქროს წინას შემდეგი სამი გარემოება:

პირველი. ცნობილია, რომ მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტს უტყუარო ისტორიული საბუთის მნიშვნელობა მარტო ამ შემთხვევაში ენიჭება, თუ მხატვარი ისტორიულ პირზე ნებას და მის ჩაცმულობას თავისი თვალთხედავად, ან, ყოველ შემთხვევაში, გააჩნდა რაიმე სანდო დოკუმენტური მასალა; იმ შემთხვევაში კი, როდესაც მხატვარს ისტორიული პირის პორტრეტის შექმნა მარტო თაღისი

პროკოფი რაბინან
 იოსებ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე



ფანტაზიის საშუალებით უხდებოდა, მ.ა. სუ-
რათს ისტორიული საბუთის მნიშვნელობა არ
შეიძლება მინიჭოს, რადგან ასეთ შემთხვევაში
სურათზე აღბეჭდილი იქნება არა ზუსტი ისტორი-
კული ფაქტი, არამედ გამოგონილი ფაქტი.
რომელსაც ექნება თვით მხატვრის გემოვნებისა
და მიმართულების დამახასიათებელი ნიშნები.
განპირობებული იმ ეპოქისა და იმ სამხატვრო
სკოლის თავისებურებებით, რომელსაც მხატვრი
ი ეკუთვნოდა. საყოველთაოდ ცნობილია,
რომ მხატვრები ჩვენს დროშიც სხვადასხვა-
გვარად ხატავენ რუსთველს (ზოგი მათგანი მას
დღესაც სპარსულ ყაიდაზე ფეხმორთხმულს ხა-
ტავს), მაგრამ განა შეიძლება, რომ ეს პორტრ-
ეტები ისტორიულ საბუთად გამოვიყენო?

მეორე. ცნობილია, აგრეთვე, რომ იმ ეპოქა-
ში, როდესაც რუსთველის მინიატურული
პორტრეტები შეიქმნა, ქართული კულტურა
იმყოფებოდა სპარსული კულტურის უდიდესი
გავლენის ქვეშ. შევლევარები ერთსულვანად
აღნიშნავენ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში თითქ-
მის მთელი ქართული კულტურა, კერძოდ კი
მხატვრული მწერლობა და ფერწერა ირანის
კულტურის განსაკუთრებულ ზეგავლენას გა-
ნიცილიდა.

აქედან აშკარაა, რომ ხსენებულ ეპოქაში
შესრულებულ რუსთველის მინიატურულ პორტრეტებს არ შეიძლება არ აჩნდეს სპარსული
ფერწერის ძლიერი გავლენის ბეჭედი.

მესამე. ცნობილია, დაბოლოს, ის გარემოე-
ბაც, რომ შუა საუკუნეების ქართული ჩაქმუ-
ლობის ისტორია ძალიან სუსტად არის შეს-
წავლილი, რისი მიზეზიც, უმთავრესად, მასა-
ლების ნაკლებობაა. ამ საკითხის ისეთი შესა-
ნიშნავი სპეციალისტი, როგორც ნ. ჩოფიკა-
შვილია, გვიდასტურებს, რომ „VI-XIV სს. მა-
კავატა სამოსის სრული სურათის აღდგენა,
მასალის სიმცირის გამო, არ შეიძლება“¹. ასე-
თვე მდგომარეობაა თავსაბურავების მიმარ-
თაც. იმავე ავტორის მოწმობით, „თავსაბურა-
ვები VII-XIV სს. რელიეფებსა და ფრესკებზე
იშვითია და მათი განვითარების კანონზომიე-
რების დადგენა, ან იმის განსაზღვრა, თუ რა
ხანისათვის, როგორი ფორმა იყო დამახასია-
თებელი, მასალის სიმცირის გამო, არ ხერხ-
დება“².

აქედან ცხადია, რომ ზემოთხსენებულ
პორტრეტების მიხედვით, რუსთველის ჩაქმუ-
ლობის ფორმასა და დანიშნულებაზე კატეგო-
რიული მსჯელობა არ შეიძლება და ჩვენ შეგ-
ვიძლია გამოვთქვათ მხოლოდ სავარაუდო
მოსაზრებანი.

დავიხსნოთ ყოველივე ეს და ახლა შევუდ-

¹ ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964, გვ. 37.
² იქვე, გვ. 57.

გეთ რუსთველის მინიატურული პორტრეტების
განხილვას.

ჯერ ვცადოთ იმის დადგენა, თუ რა კატე-
ორული ღირებულება გააჩნია მამუკა თავაქა-
რაშვილის სახელთან დაკავშირებულ პორტრეტს.

აკად. შ. ამირანაშვილი ამბობს: „მამუკა
მდიენის მიერ შესრულებული მინიატურების
მხატვრულ-ისტორიული ანალიზი საშუალებას
გვაძლევს დავადგინოთ, რომ მხატვარს ხელთ
არ ჰქონია პოემის ძველი ილუსტრაციები, იკა
დამოუკიდებლად მუშაობდა და მან მთლიანად
აღბეჭდა მე-17 ს დასავლეთ საქართველოს ყო-
ფა-ცხოვრება“³.

აკად. ალ. ბარამიძის აზრით, რომელიც ლ.
შერატაშვილის გამოკვლევას ემყარება, მამუკა-
სეული ხელნაწერის „პორტრეტის შემსრულე-
ბელი უნდა იყოს არა პოემის ტექსტის გადამ-
წერი, არამედ ვიღაც სხვა პირი, გადამწერის
თანამოღვაწე, ჩვენთვის უცნობი მხატვარი. ამ
უცნობ მხატვარს ეეფხისტყაოსნის ხელნაწერში
ჩაუხატავს თვითონ მამუკა მდიენიც. რუსთ-
ველი მას მამუკასთვის დაუმსგავსებია“⁴.

ამ ამონაწერებიდან ცხადია, რომ მამუკა მდი-
ენის (თუ მის თანამოღვაწეს) ხელთ არ ჰქონია
არავითარი მასალა, რომ მას შესაძლებლობა
ჰქონოდა ეეფხისტყაოსნის დოკუმენტურად
სწორი დასურათება მიეცა; მას დამოუკიდებ-
ლად უმუშავნია, ე. ი. საკუთარ ფანტაზიას
დაყრდნობია და მეჩვიდმეტე საუკუნის დასა-
ვლეთ საქართველოს ყოფა-ცხოვრება აუსახავს.
ამიტომ რაღა ვასკვირია, რომ მის სურათზე
აღბეჭდილი რუსთველი თვითონ მამუკას დამს-
გავსებია?

ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა ღირებულე-
ბის მქონე შეიძლება იყოს მამუკას მსგავსი
რუსთველი, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: შ. ამირა-
ნაშვილის დაკვირვებით, რუსთველი „დახატუ-
ლია უწვევოდ, მოკლე უღვაშებით, მაგრამ
შემდეგ უცნობ პირს შავი საღებავით უხეშად
მოუხატავს პოეტისათვის წვერი და დაუგრძე-
ლებია უღვაშები. შავი საღებავით დაფარულია
აგრეთვე თავსაბურავი“⁵.

ახლა მოითვალმა თვითონ განსაჯოს, შეიძ-
ლება თუ არა, რომ შოთას ასეთ პორტრეტს
„შესანიშნავი“ ეწოდოს და მისი საშუალებით
რუსთველის ბიოგრაფია იქნას დადგენილი.

შედარებით სხვაგვარია ვითარება იოსებ
თბილელის სახელთან დაკავშირებული მინიატუ-
რული პორტრეტის მიმართ, — პორტრეტისა,

3 შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ძველ წართულ ხელოვნებაში (თსუ კრებული „შოთა რუსთველს“, გვ. 172).

4 ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 64.

5 დასახელებული ნაშრომი, გვ. 172.



რომელიც თავდაპირველად ე. წ. ზაზასეულ ვეფხისტყაოსანს ამშვენებდა, ხოლო შემდგომი საყოველთაოდ გავრცელდა. მართალია, ამ პორტრეტსაც აშკარად აჩინა სპარსული ხელოვნების გავლენა, მაგრამ, როგორც ჩანს, მასში მაინც შენარჩუნებულია ძველი ქართული მხატვრობის კვალი და ამის გამო ხსენებულ პორტრეტს უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის დასადგენად.

გაეცინოთ რუსთაველის ამ პორტრეტს უფრო ახლოს.

ჩვეულებრივ, მკვლევარები ამ სურათს ორ ნაწილად ჰყოფენ: პირველი და ძირითადი ნაწილია თვით შოთას პორტრეტი თავისი ფონით, ხოლო მეორე — ჩარჩო-ბორდიური, რომელიც პორტრეტს გარშემო აკრავს. ეს ჩარჩო-ბორდიური ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა, რადგან სპეციალისტების ერთსულოვანი აზრით (აგრეთვე, ჩვენი დაკვირვებითაც), იგი გვიანდელია და, თანაც, აშკარად უცხოური გავლენის ნაყოფია. ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით და პირდაპირ სურათის ძირითად ნაწილზე გადავალთ.

რუსთაველის ამ პორტრეტისა და მისი ფონის დეტალურ აღწერას აქ აღარ გამოეუფლებით, რადგან ხსენებული სურათი არა ერთხელაა გამოცემული და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია; დაეკმაყოფილებით სურათის მხოლოდ ძირითად შემადგენელ ელემენტებზე მივითვებით.

დიდი პოეტი სურათზე გამოსახულია ახალგაზრდა, 30-35 წლის ვაჟკაცად. იგი ფეხმორთხმით ზის რომელიღაც დიდი ნაგებობის აივანზე, ტანზე აცვია მოყვითალო ფერის გრძელი კაბა, რომელიც კოჭებამდე სწვდება. კაბის ზევით აცვია წითელი ფერის, ბეწვევლით მორთული მოკლე (თეძობებამდე) სამოსი, რომელსაც მკვლევარები, ჩვეულებრივ, ყაბარჩას ეძახიან, ყაბარჩას ზევით, მხრებზე მოკლებული აქვს მწვანე ფერის წამოსახამი. თავზე ახერავს ბეწვევლის მძალი ქელი, რომელსაც ფართო ზოლად გასდევს ე. წ. ანაკეცი ანუ აფრა (ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ესაა ოქროს კალამი) ფეხზე კი აცვია წითელი, უქუსლო ფეხსაცმელი.

პოეტს ცალი ხელით უპირავს მუხლზე დაყრებული გადაშლილი რვეული, ხოლო მეორე ხელით წერს თავის პოემას. რვეულზე რეითება ვეფხისტყაოსნის ცნობილი სტროფი:

ესე ამბავი სპარსული
ქართულად ნათარგმანები...

1 შ. ამირანაშვილის აზრით, ხსენებული ჩარჩო-ბორდიური შესრულებულია ჩინური ხელოვნების გავლენით მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში (დასახ. ნაშრომი, გვ. 168), ხოლო პ. ინგოროყვას აზრით, იგი შესრულებულია მე-17 საუკუნეში და წარმოადგენს სპარსული სტილის ორნამენტს (თხზულ., ტ. I, გვ. 243).

ნაგებობა, რომლის აივანზე პოეტი ზის, ესაა სუთსართულიანი დიდი შენობა ვიწრო და მსადალი ფანჯრებით. შენობის შტამპი მარჯვენა მხარეზე, რომელიც, შ. ამირანაშვილის აზრით, სალხინებელი (ე. ი. მოსალხენი ადგილი) უნდა იყოს.

ასეთია სურათის მოკლე აღწერა.

რაც შეეხება მისი შენარჩუნის ამსახავს და შედარებას (გაშიფვრას), ამაზე რუსთაველოლოგიაში ორი ძირითადი თვალსაზრისია გამოთქმული: პირველი თვალსაზრისის თანახმად, მთლიანად სურათიც და მისი ცალკეული კომპონენტებიც, ერთგვარი უცხოური გავლენის მიუხედავად, ძირითადად ტრადიციულია, ქართული წარმოშობისაა და ისტორიულ სინამდვილეს ასახავს; მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი, ამ სურათს არავითარი კავშირი არა აქვს კლასიკური ქართული ფრესკისა და მინიატურის ტრადიციასთან. პირველ თვალსაზრისს, მეტ-ნაკლებად, ემხრობიან მკვლევარები: პ. ინგოროყვა, შ. ამირანაშვილი და ს. კაკაბაძე, ხოლო მეორე თვალსაზრისის ავტორია გერონტი ქიქოძე.

პ. ინგოროყვა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ე. წ. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის პორტრეტი, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი შესრულებულია არა უფვიანეს მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისა, მაგრამ შესრულებულია მხატვრის ფანტაზიით კი არა, არამედ მანამდე არსებული, ძალიან ძველი პორტრეტის საფუძველზე.²

სულ სხვაგვარია გერონტი ქიქოძის პოზიცია, აი, როგორ მსჯელობს იგი ზაზასეული ვეფხისტყაოსნის პორტრეტისა და, საერთოდ, ვეფხისტყაოსნის მინიატურების მნიშვნელობაზე:

„ის პორტრეტი, რომელიც დღეს შოთა რუსთაველის გამოხატულებად და აღიარებულად, ნამდვილად მომდინარეობს უცნობი მხატვრის მინიატურადან, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეშია დახატული... ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ხელნაწერი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეშია შესრულებული, შემკულია პირტიკული, ქალურად ნაზი ქაბუტებით, რომლებიც ეთიომდა ტარიელსა, ავთანდილსა და ფრიდონს წარმოადგენს; მათ ზედ ერთეუბს ფეხმორთხმული ქრულხალაიანი მოხუცების სურათები, რომლებიც ეთიომდა ფარსადანს ან როსტგვან მეფეს გამოხატავენ... მათ არავითარი კავშირი (ხაზი ჩემია, პ. რ.) არა აქვთ კლასიკური ქართული ფრესკის და მინიატურის ტრადიციასთან და უფრო ნიჰისის პოემების დასასურათებლად გამოდგებოდნენ, ვიდრე ვეფხისტყაოსნისა.“³

² პ. ინგოროყვა, თხზ., კრებ., ტ. I, გვ. 252.

³ გ. ქიქოძე, რეული თხზულებანი, ტ. I გვ. 10.

პროკოფი რაბინი

ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე



მართლაც, საკმარისაა აღმინანა თელი გა-
დააქლოს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტებზე მე-17
საუკუნეში შესრულებულ სურათებს, რომ
თვალნათლად დინახოს, რა შორსაა ეს სურათე-
ბი ქართული კლასიკური ხელოვნების ტრადი-
ციებისგან. შეცვლილია პოზა: აღმინანები
ირანულ ყაიდზე ფეხმორთხმული სხედან; შე-
ცვლილია სახის გამომეტყველება: ვაჟკაციერი
ქართული იერის ნაცვლად მოჩანან წაბი, პირ-
ტიტველა ყმაწვილები, რომლებსაც ქალებისაგან
ვერ გააჩრევ; შეცვლილია ტანსაცმელი: ტარი-
ელსაც კი, რომელსაც პოემით ვეფხის ტყაუ-
ბედას, სულ სხვადასხვა ტანსაცმელში, ზოგჯერ კი
წელს ზემოთ მთლად შიშველს ვხვდებით; საქმე
იქამდე მიდის, რომ ნესტან-დარეჯანი ზოგჯერ
წელს ზემოთ შიშველდაა გამოხატული; შეცვლი-
ლია პეიზაჟიც: მდიდარი და მრავალფეროვანი
ქართული ბუნების აღვივებს ერთფეროვან, გა-
დასრულებულ ველმინდვრებს იშვარს; შეცვლილია
ციხე-დარბაზებიც, სასახლეებიც, ავეჯიც და
ა. შ. ერთი სიტყვით, სურათებს გამოცლილი
აქვთ ქართული სული და, ერთი შეხედვით, აღა-
მინანს მართლაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება,
თითქოს გაწყდა, დაიკარგა კავშირი ძველ ქარ-
თულ ხელოვნებასთან, ქართული კლასიკური
ფრესის და მინიატურის ტრადიციასთან, მაგ-
რამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

უდავო ისტორიული ფაქტია, რომ უცხოელ
დამპყრობელთა, კერძოდ კი, ირანელთა სასტიკი
ძალადობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა
შესძლო შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული
თვითმყოფლობა, — შეენარჩუნებინა მამული, დე-
და-ენა და ქრისტიანული სარწმუნოება. ასევე
უდავოა, რომ ქრისტიანობა იმ დროს უცხო და-
პყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეოლოგიური
სასურთელი იყო და ქართველობის ერთ-ერთ და-
სახარებელი ნიშანს წარმოადგენდა. მართალია,
უცხო ძალამ ტანისამოსი, ე. ი. გარეგნული სა-
ხე შეგვიცვალა, მაგრამ რწმენა ვერ წაგვართვა.
ანიტომ ვისაც სურს მე-17 საუკუნის მხატვრობა-
ში ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი
ტრადიციები აღმოაჩინოს, ის ტანსაცმელსა და
სხვა მისთანა გარეგნულ ნიშნებს კი არ უნდა და-
ეყრდნოს, არამედ ქრისტიანული სარწმუნოების
კვალს დააკვირდეს; რამდენადაც ხელოვნება ყო-
ველთვის ზედნაშენის სფეროს განეკუთვნებოდა,
ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ ეპოქის ხელოვნების
არსის გასაგებად მთავარი და გადაწყვეტი მი-
წვენილობა იმდროინდელ იდეოლოგიას (ჩვენს
შემთხვევაში — ქრისტიანობას) ენიჭება.

მე-17 საუკუნის ქართველ მხატვარს, რომე-
ლიც ირანის ფერწერის ძლიერ გავლენას განიც-
დიდა, შეეძლო აღმინანის ტანისამოსიც, მისი და-
ჯლომის პოზაცია და ბუნების პეიზაჟებიც იმ დრო-
ის შესაფერი გემოვნების მიხედვით, სპარსულ
ყაიდზე დაეხატა, მაგრამ იყო ერთი ისეთი სა-
განი, რომელსაც ის თამამად ვერ შეეხებოდა და
ნებისმიერად ვერ შესცვლიდა: ეს იყო ქრისტი-

ანული სარწმუნოება და მისი სიმბოლო — ჯვარი.
ანიტომ ქრისტიანული სარწმუნოება და მისი
სიმბოლო იმდროინდელი ხელოვნების მიხედვით
თულების შეფასებისას გარკვეულ საზომად გა-
მოდგება: თუ ფერწერაში ქრისტიანობის კვალი
წაშლილია, მაშინ იქ ძველი ქართული ხელოვნე-
ბის კვალიც წაშლილია, და, პირიქით, თუ მასში
ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი ნიშნებია
ასე თუ ისე შენარჩუნებულია, ეს იმის უტყუა-
რი საბუთია, რომ კავშირი ძველი ქართული ხე-
ლოვნების ტრადიციასთან ჯერ კიდევ გაწყვეტი-
ლი არ არის.

ახლა, თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით გადავთვა-
ლიერებთ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტებზე მე-17
საუკუნეში შექმნილ სურათებს, ფრიად საინტე-
რესო მოვლენას შევამჩნევთ: ქრისტიანული ეკ-
ლესია და მისი ჯვარი აღბეჭდილია ისეთ მხატვ-
რულ სიტუაციაშიც კი, რომელშიც მათი გამოხა-
ტვა შედარებით ნაკლებად იყო მოსალოდნე-
ლა: მხედველობაში ვვაქვს სურათი, რომელიც აუ-
თანადლის ლოცვას გამოხატავს (წარმოდგენილია
1646 წელს მამუკა მდივნის მიერ გადაწერულ
ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში). თუ ვაფიქვართავს...
წინებთ მე-17 საუკუნის ვითარებას და აგრეთვე
იმ ფაქტს, რომ შოთას თავისი გმირები მუსულ-
მანებზე ჰყავს გამოყვანილი, თითქმის მოსალო-
დნელი იყო, რომ ავთანდილს თავისი ლოცვა
(„ლოცავს, იტყვის: „მადლო, დემართო ხმელთა
და ცათა...“) შეესრულებოდა რომელიმე მეჩუი-
ში, მაგრამ არა: იგი გამოხატულია მუსლმოდრე-
კილი და ხელაპყრობის უპოთი ქრისტიანულ-
ეკლესიის წინ, — ეკლესიისა, რომელსაც ზემო-
დან ჯვარი ამშვენებს.

ეს ფაქტი აუცილებელი მოწმობაა იმისა, რომ
მის მხატვარს ჯერ კიდევ არ ჰქონია გაწყვეტილი
კავშირი ძველი ქართული ხელოვნების ტრადი-
ციებთან; ეს ფაქტი მოწმობაა აგრეთვე იმისა,
რომ ხსენებულ მხატვარს კარგად სცოდნია ვეფხ-
ისტყაოსნის გმირების ნამდვილი ვინაობა.
მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ შოთას პორტრეტს
და ზემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მი-
ხედვით შევამოწმოთ, არის თუ არა მასზე აღ-
ბეჭდილი ქრისტიანობისა და, მაშასადამე, ძველი
ხელოვნების რაიმე კვალი?

ასეთი კვალის არსებობა ხსენებულ პორტრეტ-
ზე მით უფრო მოსალოდნელია, რომ შოთა, —
როგორც ეს უკვე არა ერთმა ფაქტმა დაგვიდას-
ტურა. — სასულიერო პირი იყო და ამის გამო
ძველად მისი პორტრეტი უფროდ სასულიერო
პირისა და მღვდელმთავრის შესაფერ მხატვ-
რულ სიტუაციაში იქნებოდა წარმოდგენილი
და ასეც ყოფილა!

ჩვენი გუშანი საცნებო გამოართლდა: შოთა გა-
მოხატულია არა სასახლის ავიანზე, როგორც
აქამდე მკვლევარები ფიქრობდნენ, არამედ მო-
ნასტრის ფონზე, ხოლო მის ზურვს უკან აღმარ-
თული სფერული ნაკვობა სალხინებელი კი არ
არის, არამედ რომელიმე დიდი მონასტრის



გუმბათია, რომლის თავზე ქრისტეს ჯვარია აღმართული.

როგორ? — იკითხავს, ალბათ, გაკვირვებული მკითხველი, — თუკი შოთას პორტრეტზე მართლა მონასტერი და ჯვარია გამოხატული, ნუთუ ეს აქამდე ვერავენ შენიშნა?

საქმეც ისაა, ძვირფასო მკითხველო, რომ ვეო შენიშნეს, და არც შეეძლოთ შეენიშნათ, რადგან რუსთველილოვებს ხელს უშლიდა და უშლის წინასწარ შედგენილი აზრი. მკვლევარები, რა თქმა უნდა, ხედავდნენ ამ ჯვარს, მაგრამ იგი შოთას პორტრეტის შემთხვევით და უმნიშვნელო დეტალად მიანდათ, რადგან, „სად შოთა რუსთველი და სად ქრისტეს ჯვარიო“, — ფიქრობდნენ ისინი.

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის საგულასხმო ფაქტი, რომ მკვლევართა დიდი ნაწილი (შ. ამირანაშვილი, ს. კაკაბაძე ალ. ბარიშიძე და სხვ.) შოთას პორტრეტზე გამოხატულ ჯვარს არც კი ახსენებს, ხოლო ზოგიერთი მკვლევარი (პ. ინგოროყვა) მას გაკვირვებით იხსენიებს, და ისიც სქოლიოში, როგორც სრულიად უმნიშვნელო რამეს.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით. ორი გამოჩენილი მეცნიერი, რომლებმაც საგანგებოთ შეისწავლეს შოთას პორტრეტი, იმ აზრისაა, რომ ხსენებული პორტრეტის ფონზე გამოხატულია საერო დანიშნულების ხუთსართულიანი ნაგებობა ანუ სასახლე. ამ სასახლეს ზემო ნაწილში, შ. ამირანაშვილის აზრით, ამშვენებს სალხინებელის (მოსალხენი ადგილის) გამოხატულება¹, ხოლო პ. ინგოროყვას მტკიცებით, ეს სალხინებელი კი არაა, — მეზობელი შენობის გუმბათია, რომელიც ასევე საერო დანიშნულებისა უნდა იყოს, რადგან მასზე აღმართულია ჯვარი². ინგოროყვას აზრით, „ამ შემდეგ არის დამატებული“².

უნდა ითქვას, რომ შოთას პორტრეტის ფონის ის გაგება, რომელსაც ხსენებული მეცნიერები (განსაკუთრებით კი შ. ამირანაშვილი) გეთავაზობენ, საესებით შეესაბამება რუსთველილოვიაში ამჟამად გაბატონებულ თვალსაზრისს რუსთველზე, როგორც ერისკაც დიდებულზე (დიდი დიდებული იყო, სასახლეც უნდა ჰქონოდა და სალხინებელიც), მაგრამ საქმე ისაა, რომ ხსენებული გაგება ისტორიულ სინამდვილეს ძირფსვიანად ეწინააღმდეგება.

ჭერ ერთი, საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ხუთსართულიანი სასახლეები ცალკეულ დიდებულებს კი არა, შეფეფებსაც არ ჰქონიათ, და არა მარტო საქართველოში, არამედ — რუსეთსა და ევროპაშიც. ვინ არ იცის, მაგალითად, რომ გიორგი მესამის განთქმული გეგუთის სასახლე რუსთველიანი იყო? ვინ არ

იცის, აგრეთვე, რომ რუსეთისა და ევროპის ქვეყნების მეფეთა სასახლეები, და კერძოდ ისეთებიც კი, როგორც საქვეყნო დიპლომატიური პეტერბურგის ზამთრის სასახლე და პარიზის ლუვერიც, რომლებზეც გატილებით გვიან აშენეს, სამსართულიანებია? ხუთსართულიანი სასახლეები იმ დროს, საერთოდ არ შენდებოდა, ან ძალიან იშვიათი იყო. მაშ, საიდან უნდა გაჩენილიყო შოთას პორტრეტზე ხუთსართულიანი, მდიდრულად შორთული სასახლე, რომელსაც შემოდან გუმბათი და ქრისტეს ჯვარი ამშვენებს? როდის იყო, რომ საერო დანიშნულების სასახლეებს გუმბათიანი, და ისიც ჯვრით შემაკული, სალხინებელი უკეთდებოდა?

პ. ინგოროყვას, როგორც ჩანს, უგარძნია ეს უხერხულობა და, ალბათ, ამით უნდა აიხსნას, რომ „სალხინებელზე“ ის არაფერს ამბობს, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულ ახსნაც დაუჯერებელია: იმისათვის, რომ შოთას როგორმე მოაშოროს სასულიერო პირის ატრიბუტები, პ. ინგოროყვა ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ გუმბათი, რომელიც შენობის (მონასტრის) ზემო ნაწილში და თანაც პირდაპირ ცენტრშია აღმართული, თითქოს „მეზობელი შენობისაა“, ხოლო ჯვარი, რომელიც ამ გუმბათის თავზეა, თითქოს „შემდეგ არის დამატებული“.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, საქმის ვითარება სულ სხვაგვარია. ჩვენს წინაშე არა საერო დიდებულის სასახლის, არამედ შუა საუკუნეების ქართული მონასტრის ტიპური სურათი, რომელსაც გუმბათიც თავის ადგილას აქვს და ქრისტეს ჯვარიც!

დააკვირდით, ბატონებო, ათონის ივერიის მონასტრის გეგმას, რომელიც ტიპოვად ვაშაშვილის მიერაა შედგენილი; დააკვირდით იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და აღდგომის ეკლესიის ფოტოსურათებს; დააკვირდით ე. წ. ჯრუჭის სახარების მინიატურებს, ბერთუბნისა და ატენის ფრესკებს და თქვენს თვალწინ ნათლად წარმოდგება შოთას პორტრეტის ფონზე გამოხატული ყველა ელემენტი: თქვენ დაინახავთ დაახლოებით (ზოგან კი ზუსტად) ასეთივე სახის მრავალსართულიან შენობებს, რომლებსაც დამახასიათებელი ვიწრო და მაღალი ფანჯრები ამშვენებს; დაინახავთ ასეთივე მოხატულობის კედლებსა და სახურავებს, ასეთივე აივნებს (პირველ სართულზე), რომელიც მოპირკეთებულია ფერადი ფილებით; დაბოლოს, თქვენ დაინახავთ ზუსტად ასეთივე მოყვანილობის გუმბათს, რომლებსაც ზემოდან ჯვარი ამკობს.

ერთი სიტყვით, სრულიად უდავოა, რომ შოთა რუსთველის პორტრეტის ფონი წარმოადგენს არა საერო დანიშნულების სასახლეს, არამედ ჩვეულებრივ მონასტრს, რაც საესებით ბუნე-

1 შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 168.
2 პ. ინგოროყვა, თხზულ., I, გვ. 243.

ბრევია და ზუსტად შეესაბამება რუსთველის ვი-
ნაობს ნამდვილ, მეცნიერულ გაგებას.

ჩვენს მიგვაჩნია, რომ შოთას ეს პორტრეტი უაღრესად საინტერესო ისტორიული დოკუმენ-
ტია სწორედ იმის გამო, რომ მასში შემორჩენი-
ლია ძველი, კლასიკური ხანის ქართული ხე-
ლოვნების აშკარა კვალი და, მასთან ერთად,
შოთა რუსთველის ნამდვილი ვინაობის დამამ-
ტრუკებელი უტყუარი ნიშნები. მაგრამ ინტერესს
მოკლებული არც ის ვარაუდობაა, რომ ამ პორ-
ტრეტზე უაღრესად რელიეფურად ჩანს ქართულ
ფერწერაზე ირანის ხელოვნების ძლიერი გავ-
ლენა, რაც უმთავრესად ისეთი ელემენტებით გა-
მოიხატა, როგორცაა შოთას ჩაცმულობა, ფეხ-
მორთხმით ჯდომა და, აგრეთვე, წარწერა, სადაც
გარკვევით იკითხება ვეფხისტყაოსნის ცნობა
სტროფი: „ესე ამბავი სპარსული...“

არა ვგვონია, ძნელი შესაძრევია იყოს, რომ ამ
წარწერაში შემთხვევით როდია მოტანილი ვეფხ-
ისტყაოსნის სწორედ ის სტროფი, რომელიც,
თითქმის, პოემის სპარსულ წარმოშობაზე მიუ-
თითებს. ეს ფაქტი უტყუარი მოწმობაა იმისა,
რომ იმ დროს (მე-17 ს-ში) სასტიკი იდეოლოგი-
ური ბრძოლა წარმოებდა, ერთი მხრივ, ქართუ-
ლი კულტურის ტრადიციებისა და თვითყო-
ფობის შენარჩუნების მომხრეებსა და, მეორე
მხრივ, სპარსული გავლენის მომხრეთა შორის.
ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი ამ ბრძოლას
ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ და ყოფილან კი-
დეცა, რასაც მშვენიერად გვიჩვენებს შოთას
პორტრეტი, ამ პორტრეტში, როგორც ფოკუს-
ში, თავმოყრილია იმდროინდელი იდეოლოგიუ-
რი ბრძოლის წამყვანი მოტივები, მასში მოკე-
მულია ამ ბრძოლის ზუსტი ანარეკლი.

შოთა რუსთველის პორტრეტის ფონზე აღ-
ბეჭდილი ქრისტიანული მონასტერი, მასზე აღ-
მართული გუმბათთა და ჯვართი, ჩვენს მიგვაჩ-
ნია გა აღამწყვეტი მნიშვნელობის საბუთად,
რომელიც ერთხელ კიდევ გვიმოუტანდა ამ-
ტიკებზე ვეფხისტყაოსნის ავტორის ნამდვილ
ვინაობას და საბოლოოდ ასამარებს ჩვენი აე-
ტორების უნიადაგო თვალსაზრისს.

როგორც ჩანს, სწორედ ეს გუმბათი და ეს
ჯვარია ხალხური ანდაზის ის „სიმბტყუენის კარი“
სადამდეც საქირთ იყო ავტორებს მიეყოლიდით.

ამით ჩვენ შეგვეძლო დაგვემთავრებინა პა-
სუხი პატივცემული რუსთველოლოგებისადმი,
მაგრამ ეს პასუხი სრული ვერ იქნება, თუ არა-
ფერი ვთქვით კიდევ ერთ საკითხზე, სახელობრ,
იმ მეთოდოლოგიის არსზე, რომელიც ავტორები
თავიანთ კვლევა-ძიებაში ხელმძღვანელობენ.

შევებოთ ამ საკითხს ძალიან მოკლედ.

8. ხვინაქსარი და ისტორიის მეთო- ლოგია

ჩვენს ნარკვევში გამოთქმულია აზრი, რომ
რუსთველის ვინაობის შესწავლას ხელს უშლის

არა მარტო სათანადო ისტორიული ფაქტები
სიმცირე, არამედ აგრეთვე საკითხისადმი ცალმე-
რივი მეთოდოლოგიური მიდგომა. (ხვინაქსარი
№ 2, 152).

ეს აზრი მშვენიერად დადასტურა პატივცე-
მული რუსთველოლოგების — ალ. ბარამიძის,
ელ. მეტრეველისა და ს. ციციშვილის — ზემოთ
განხილულმა წერილმა, რომელსაც თავიდან ბო-
ლომდე წითელ ზოლად გასდევს მისი ავტორების
მსოფლმხედველობიდან გამომდინარე თეორი-
ულ-მეთოდოლოგიური ნაკლოვანებანი.

სწორედ მსოფლმხედველობრივი ხასიათის მი-
ზეზებით აიხსნება ხსენებული წერილის ისეთი
სერიოზული ხარვეზები, როგორცაა: ძირითადი
სადავო საკითხებისათვის გვერდის ავლა და
წერილში საკითხებისადმი გამოდევნება; წინას-
წარ შედგენილი აზრის დაცვა და კონკრეტულ
ისტორიული ვითარების გაუთვალისწინებლობა;
ისტორიზმის პრინციპის დავიწყება და წარსუ-
ლის მოვლენებზე თანამედროვე თვალთახედვით
მსჯელობა და ა. შ.

მსოფლმხედველობა, როგორც ცნობილია, მო-
აზროვნე ადამიანის შინაგანი მზება, რომელიც
მეცნიერს თუ შემოქმედს გზას უნათებს და ურ-
თულეს საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენებ-
ში გარკვევის საშუალებას აძლევს; თუ ეს მზე
ცუდად ანათებს, მოაზროვნეს სწორი გზის პოე-
ნა, ცხადია, გაუჭირდება.

ზემოთ ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ
არასწორი თვალსაზრისის გამო, ავტორები ძა-
ლიან ხშირად გამოთქვამდნენ ისტორიული სი-
ნამდვილის აშკარად საწინააღმდეგო აზრებს,
შეშვებდნენ ელემენტარულ შეცდომებს, ვერ ამჩ-
ნევდნენ ადვილად შესაძრევ ფაქტებს და ა. შ.
მაგრამ განსაკუთრებით ცუდი სამსახური ჩვენს
ავტორებს გაუწვია მცდარმა თვალსაზრისმა სა-
სულიერო პირებსა და სასულიერო ლიტერატუ-
რაზე.

ავტორები, რატომღაც, დარწმუნებულნი არა-
ან, რომ ქართული სასულიერო არისტოკრატია
საერო არისტოკრატიაზე გაცილებით უფრო
ნაკლებმნიშვნელოვანი და თანაც უფრო რეაქ-
ციული ძალა იყო, სწორედ ამიტომ ცდილობდნენ
ისინი, — ასეთი თავგამოდებით, — როგორმე
შოთა რუსთველი მოაცილონ სასულიერო პირ-
თა წრეს და ერისკაცად გამოიყვანონ, მაგრამ ეს
ხომ სულ ტყუილი შრომა-გარჯაა?! •

საკითხავია, ვინ, სად, ან როდის დაამტკიცა,
რომ ეკლესიის თავადები, — ან ჩვენში ან სხვა
ქვეყნებში, — საერო თავადებზე უფრო რეაქ-
ციონერები, ან უფრო უსწავლელები იყვნენ?
ეს ჯერ არავის არსად არ დაუმტკიცებია და ვერც
დაამტკიცებს; ამიტომ ვინც ასეთი ყალბი წინამ-
ძღვართი იხელმძღვანელებს, ის საქართველოს
ისტორიაში ვერაფერს ვერ გაიკებს და, ცხადია,
ვერც რუსთველის ვინაობას გაარკვევს.

ელემენტარული ქვეშარტებაა, რომ ძველად სასულიერო პირად ყოფნა ღვთის მსახურებას ნიშნავდა და იმ დროს ამაზე უფრო დიდი, ამაზე უფრო საპატიო საქმე არ არსებობდა. ჩვენს ავტორებს კი სასულიერო პირთა მონაწილეობა ძველი ქართული საერო მწერლობის შექმნაში ამ მწერლობის დამცირებლად მიანიხიან. „თუ პ. რატიანს დაუტყუებთ. — ბრძანებენ ისინი, — ქართველობას ძველად აღარ ჰყოლია გასწავლული საერო მწერალი და მოღვაწე, ყველა ვანათლებული და გასწავლული პირი სამღვდელთათა შორის ყოფილა საიძებელი. ეს დამცირება ძველი ქართული დიდებული საერო მწერლობისა (ხაზი ჩემია. — პ. რ.). ეს არის. მართლაც, ძველი ქართული კულტურის ყალიბ გაგების შედეგი“ (გვ. 163).

ამ სიტყვებში მშვენივრად ჩანს საკითხისადმი არასწორი მეთოდოლოგიური მიდგომა და ავტორების მიერ ისტორიზმის პრინციპის სრული უგულებელყოფა.

რატომ არის ძველი ქართული საერო მწერლობის დამცირება იმ უდავო ისტორიული ფაქტის აღნიშვნა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში (ისევე როგორც იმ დროის ყველა კულტურულ ქვეყანაში) განსწავლული ადამიანების დიდი უმრავლესობა სასულიერო პირები იყვნენ? თანამედროვე მეცნიერებაში ანბანურ ქვეშარტებაა და მიჩნეული და ყოველ სახელმძღვანელოში თუ ცნობარში წყვილი, რომ შუა საუკუნეების ეპოქაში სწავლა-განათლების მთელი სისტემა ეკლესიის ხელში იყო, რის გამო იმ პერიოდში განათლებული ადამიანები, ძირითადად, სასულიერო პირები იყვნენ, მაგრამ რა შუაშია აქ საერო ლიტერატურის დამცირება?

ჩვენი ავტორების უცნაური ლოგიკით გამოდის, რომ ამა თუ იმ ერის განათლებული და განსწავლული ადამიანების მნიშვნელობა, შუა საუკუნეებში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პროპორციით არის მასში წარმოდგენილი საერო და სასულიერო მოღვაწენი: თუ საერონი ბევრი არიან, ეს ურისათვის დიდი ბედნიერება ყოფილა, ხოლო თუ სამღვდელონი მობრავლდნენ, ეს თურმე დიდი უბედურებას ნიშნავს, რადგან ერის კულტურის დამცირებას ნიშნავს.

მაშ, რაღა ეშველება ქართველ ერს, რომლის იმპროვიზდელ კულტურას ამშვენივრებენ სამღვდელთა ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ: გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი შთაწმინდელები, იოანე შავთელი, ლეონტი მროველი, დავითის ისტორიკოსი, ევრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ნიკოლოზ გუგუბერიძე, გამათადმწერელი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ პირველი, იოსებ თბილელი და შრავალი სხვა? განა ბერის ტანსაცმელი ხელს უშლიდა ამ გამოჩენილ ადამიანებს შექმნათ ქართული კულტურის ფასდაუღებელი ძეგლები?

ჩვენი ავტორები მიუტყუებელ მეთოდოლოგიურ შეცდომებს უშვებენ, როცა აუბრალოებდნენ და სათანადოდ ვერ აფასებდნენ სასულიერო მოღვაწის პროგრესული ნაწილის როლს. შუა საუკუნეების ქართული კულტურის განვითარებაში მაგრამ ესეც უნდა ითქვას: იმავე მსოფლმხედველობრივი მიზეზების გამო, ავტორთა პოზიცია თანმიმდევრული არ არის და ზოგიერთი სასულიერო პირის მიმართ ისინი გადაჭარბებულ კეთილგანწყობილებასაც კი იჩენენ. მაგალითად, ელ. მეტრეველი ეპისკოპოს ტიმოთე გამამდელზე ამბობს: „მღვდელმთავრის სამოსელს არ შეუშლია ხელი ტიმოთესათვის, რომ იგი ყოფილიყო დიდი პატრიოტი, სახელმწიფო მოღვაწე და გამოცდილი დიპლომატი, გამსჭვალული თავისი დროის მოწინავე პოლიტიკური იდეებით, მგზნებარე პოლემიკოსი, მწერალი, ისტორიკოს-არქეოლოგი, კარტოგრაფი და მხატვარი“.

კეთილი, მაგრამ აქ ბუნებრივად წამოიჭრება ასეთი კითხვა: თუკი ის ტიმოთე ბერი, რომელიც ჩვენს სათაყვანებელ რუსთველს „ბოროტ მელექსეს“ ეძახდა, ასეთი მძალა შეფასების ღირსია, რატომაა ქართული საერო ლიტერატურის დამცირება მასში ისეთი სახელოვნო და პროგრესული ბერების მონაწილეობა, როგორც იყვნენ: იოანე შავთელი, ლეონტი მროველი და სულხან-საბა ორბელიანი?

ან კიდევ: თუ მღვდელმთავრის სამოსელი ტიმოთეს ხელს არ უშლიდა ასე მრავალი სიკვითით დაჯილდოვებული მოღვაწე ყოფილიყო, რატომ შეუშლიდა ისეთივე სამოსელი ხელს შოთა რუსთველს, რომელიც ტიმოთეზე ათასჯერ მძალა იდგა ნიჭითაც, განათლებითაც და შეხედულებათა პროგრესულობითაც?

ერთი სიტყვით, ავტორთა მსჯელობაში აშკარად შეინიშნება თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის ხარვეზები და ულოგიკობა, რაც მათი კონცეფციის შედეგია, მაგრამ რით უნდა აიხსნას მათი მსოფლმხედველობის ეს სამწუხარო ნაკლოვანებანი?

ჩვენი აზრით, ხსენებული ნაკლოვანებანი უნდა აიხსნას ავტორებზე აკად. ნ. მარის შეხედულებათა ძლიერი გავლენით. რა თქმა უნდა არ იქნებოდა სწორი გვეფთქა, რომ ზატივცემული ავტორები მთლიანად ნ. მარის თეორიულ-მეთოდოლოგიურ პოზიციებზე დგანან, მაგრამ მისი შეხედულებების დიდ გავლენას რომ განიცდიან, ეს სრულიად უდავოა.

ავტორები არც მალავენ, რომ ნ. მართან პირდაპირი იდეური ნათესაობა და, ბერს საკითხში, შეხედულებათა სრული ერთიანობა აკავშირებთ;

1 შიმოსლე, გვ. 0253.

პროპოზი რაბინი
ისამ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე



პირიჭით, ამ ნათესაობით და სიახლოვით ისინი თავმოყვარეობენ კიდევაც. ამით აიხსნება, რომ თავიანთ წერილებში ავტორები არაერთხელ მიმართავენ ნ. მარის აზრებს და ხსენებულ მეცნიერის ისეთი ნაშრომების დამოწმებასაც კი არ ერიდებიან, რომლებშიც აშკარად დამახინჯებულად და მცდრად არის წარმოდგენილი ქართული კულტურის ძირეული საკითხები.

ავტორთა მსოფლმხედველობაზე ნ. მარის თეორიულ კონცეფციათა ძლიერ გავლენას მრავალი უცილობელი ფაქტი მოწმობს. შემთხვევითი როდია, რომ თავიანთ წერილში ისინი ასე დაბეჭივით უსვამენ ხახს ძველ სენაქსარებისა და აღაბების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ხოლო კონკრეტულ-ისტორიულ ვითარების კლასობრივ ანალიზს და ისტორიზმის პრინციპის დაცვას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ასეთი, არსებითად, ემპირისტულ-პოზიტივისტური მეთოდოლოგია დამახასიათებელია სწორედ ნ. მარისა და, საერთოდ, იმ „სკოლის“ მეცნიერთათვის, რომელთა შორის მარი აღიზარდა.

შემთხვევითი როდია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის უკანასკნელ გამოცემაში ალ. ბარამიძემ უარყო ავად. კ. კეკელიძის დასაბუთებული და სწორი დებულება ქართული საერო მწერლობის აღმოცენებაზე და კვლავ აღადგინა ავად. ნ. მარის მიერ ჯერ კიდევ 1899 წელს გამოთქმული მცდარი აზრი, რითაც ჩვენი საერო მწერლობის აღმოცენება მკითხველს მთელი სუუენის დაგვიანებით წარმოუჩინა.¹

გაკვირვებას იწვევს, დაბოლოს, ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ალ. ბარამიძის რედაქტორობით, გამოცა ნ. მარის ძველი არქივიდან ამოღებული ნაშრომების ორი ტომი, რომლებიც სავსეა შოთა რუსთველისა და, საერთოდ, ქართული კულტურის დამამცირებელი, არასწორი და არამეცნიერული აზრებით. ამ ნაშრომების გამოქვეყნება იქამდეც კი მივიდა, რომ თვით ნ. მარის მიერ უარყოფილი წერილები ხელახლა დაბეჭდა და ქართველ საზოგადოებას წარუდგინა, როგორც რუსთველოლოგიის უკანასკნელი სიტყვა.

მაგრამ ისმება კითხვა: არის თუ არა დღეს იმის საჭიროება, რომ ჩვენს საზოგადოებაში ნ. მარის დრომოქმედი და შემცდარი აზრები გავავრცელოთ, ან კიდევ, — კვლევა-ძიების დროს

ხსენებული მეცნიერის შეხედულებები, მისი მსოფლმხედველობით ციხეშეღებულთა ვგვრთა, რომ ამ საკითხზე საჭიროა მეცნიერებს შორის ორი აზრი არსებობდეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ნ. მარის მსოფლმხედველობა რეალუციამდელ რუსეთში ჩამოყალიბდა და თუმცა შემდგომში, საბჭოთა იდეოლოგიის გავლენით, მან სცადა წინ წასულიყო, მაგრამ თანამედროვე მეცნიერების, მარქსიზმის დონემდე ამოღება მაინც ვერ შესძლო. მართალია, ავად. ნ. მარი თავისი დროის გამოჩენილი მეცნიერი იყო და მნიშვნელოვანი ღვაწლიც მიუძღვის ქართული ენისა და კულტურის შესწავლაში, აგრეთვე, ძველი ქართული ძეგლების გამოცემაში, მაგრამ მისი შეხედულებები, მისი კონცეფციები და თეორიულ-მეთოდოლოგიური აზრები დღეს ჩვენი მეცნიერების განვლილი ეტაპია.

ეს ქემშობილება, ვფიქრობთ, სადავო არ არის. მაგრამ მკითხველს საეჭუო რომ აღარაფერი დაარჩეს, მოვიტანთ ციტატებს ერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნაშრომიდან, რომელშიც ნ. მარის მსოფლმხედველობა თუმცა მკაცრად, მაგრამ, არსებითად, სამართლიანად არის გაკრიტიკებული.

აი, რას ამბობს ხსენებული მეცნიერი ნ. მარზე:

„მიუხედავად გარკვეული ღვაწლისა, რომელიც ნ. მარს მიუძღვის ძველი ქართული კულტურის შესწავლის საქმეში, მის ნაშრომებში შეინიშნება არა მარტო ცალკეული უხეშო შეცდომები, არამედ ეს ნაშრომები მოიცავს მძიმე შეცდომათა მთელ სისტემას. ქართველი ხალხის მდიდარი სულიერი კულტურის საკითხების კვლევა-ძიების დროს ნ. მარი აღრე ხელმძღვანელობდა — მისი სიტყვებით რომ ვთქვათ — „რეალურ-ისტორიული კრიტიკის“ მეთოდის ნამდვილად კი ეს იყო ბურჟუაზიული ობიექტივიზმის მეთოდი. მაგრამ ბურჟუაზიული ობიექტივიზმის მეთოდი ნ. მარის გვიანდელ ნაშრომებში შეიცვალა ანტიმარქსისტული, გულგარული სოციალოგიზმისა და გულგარული მატერიალიზმის მეთოდით.“

შემდეგ:


„მთელი თავის სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე ნ. მარი გუნდრუჟს უძევდა მუსლიმანურ (სპარსულ-არაბულ-თურქულ) სამყაროს, ამ სამყაროს კულტურის ზეგავლენით ხსნიდა ქართული ლიტერატურის მოკვლევას, ზოგჯერ სრულიად უარყოფდა, ზოგჯერ კი ძლიერ ამცირებდა. ჩემალადა ჩვენი ხალხის სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობას...“

თავის აკვიტებულსა და ყალბ თეორიებს უცხოური შემოქმედებითი ძალების შესახებ ნ. მარმა უმსხვერპლა ქართული მწერლობის ცალკეული ძეგლების ბედი და მთი შორის ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის უმაღლესი გამოხატულების — ვეფხისტყაოსნის ბე-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1952, გვ. 10-11.

² ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 18.

³ Н. Я. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэме, 1964, «Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани», 1966.



დიც. ნ. მარმა ნიპილისტურად უარყო მთელი ძველი ქართული ლიტერატურის თვითმყოფი, დამოუკიდებელი ღირებულება.“

დაბოლოს:

„ჩვენში გავრცელებულია მოსაზრება, ეითომც ბოლოსა და ბოლოს ნ. მარმა უარყო ეფესისტყაოსნის სიუჟეტის სპარსული წარმოშობილობა და პოემა ამ მხრივაც ოციგინალური ხასიათს ნაწარმოებად მიიჩნიაო. ეს მოსაზრება არ არის სწორი. ნ. მარს არასოდეს არ უარუყვია ეფესისტყაოსნის სიუჟეტის სპარსულიდან წარმოშობილობა, ეფესისტყაოსნის იდეური სამყაროს კავშირი სპარსულ მუსლიმანურ სამყაროსთან. აღნიშნულ შეხედულებას ის იზიარებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.“

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, რომელსაც ნ. მარს ეს მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შეფასება ეკუთვნის, გახლავთ, აკად. ალექსანდრე ბარამიძე.¹

როგორ? — იკითხავს, ალბათ გაკვირვებული მკითხველი, — ეს-ეს არის თქვენ ამტკიცებდით, ილ. ბარამიძე ნ. მარის შეხედულებათა ძლიერ გაუღწანს განიცდისო, ამ ციტატებიდან კი სულ სხვა რამ გამოდის.

ცნობილია, რომ ნ. მარი ძალიან ხშირად იცვლიდა თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის კვლობაზე. ახალგაზრდობაში ის ჯერ ქართველ, შემდეგ კი სომეხ პატრიოტებთან შეგობობდა, მაგრამ მალე ამის შემდეგ ბეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ცარიული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი გახდა; პირველი რევოლუციის დროს ხალხის ინტერესების დამცველად გამოდიოდა და რეაქციონერ ვოსტორგოვს ებრძოდა, რეაქციის ვაბატონების შემდეგ კი, რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობის ერთგული პოლიტიკის ერთგული გამტარებელი გახდა და ქართული უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ გააფთრებით ილაშქრებდა;² საბჭოთა

ხელისუფლების დროს ნ. მარი ერთგულ კაცად შემობრუნდა და თანამედროვეობის კვლევაში მოწინავე მეცნიერების, მარქსიზმის, საჩუქრულად გამოდიოდა, მაგრამ ამ მეცნიერებებს სპარსულზე ასევე, როგორც უკვე ითქვა, ვერ შესძლო.

როგორც ჩანს, ნ. მარის ზოგიერთი მოწაფე და მიმდევარი (და მათ შორის, სამწუხაროდ, ალ. ბარამიძეც) არ ღალატობს მასწავლებლის ტრადიციებს და თვით მარის შეფასებამაც „დროთა ბრუნვის“ კვლობაზე ახდენს. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ვიდრე ნ. მარი დიდ საბჭოთა მეცნიერად ითვლებოდა, ალ. ბარამიძე მას უზომოდ აქებდა, ხოლო შემდეგ, როცა ნ. მარის მდგომარეობა (ი. ნ. სტალინის ცნობილი გამოსვლის შედეგად) შეიცვალა, ალ. ბარამიძემაც ისე შეაფასა ნ. მარი, როგორც ზემოთ დავინახეთ. მაგრამ „დროთა ბრუნვა“ უღმობელია და ვითარება კვლავ შეიცვალა, რის გამო დღეს „უსამართლოდ დამაგრებული“ ნ. მარი კვლავ მოღვაწია. ამით აიხსნება, რომ ალ. ბარამიძე მას ხელახლა დიდი პატივს უმღერის.

დროა დავამთავროთ.

შოთა რუსთველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელია ყოველი ქართველისათვის, და არა მარტო ქართველისათვის. რუსთველის გენიადიდი ხანია გასცილდა ქართული კულტურის ფარგლებს და მსოფლიოს კულტურის მწვერვალზე ავიდა. ეფესისტყაოსანი თითქმის ყველა ცივილიზებული ერის მახლობელ და საყვარელ წიგნად იქცა. მასში ჩაქსოვილი პუმიანური აზრები და იდეები მთელი კაცობრიობის სული-კმეთებას მიუღდა, შეეგუა, — საკაცობრიო კუთვნილება გახდა; რუსთველი მსოფლიო გენიოსად იქნა აღიარებული.

ეს არის ქართული კულტურის უდიდესი და უბრწყინვალონი გამარჯვება, რომელიც არა მარტო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებთ ჩვენს გულს, არამედ უდიდეს მოგალეობასაც გვაკისრებს: აქ საჭიროა დიდი პირთი-ვნელობა, მეცნიერული კეთილსინდისიერება და გაბედულება.

ასეთია ჩვენი პასუხი პატივცემული რუსთველოლოგების — ალექსანდრე ბარამიძის, ელენე მეტრეველისა და სარგის ცაიშვილის — შენიშვნებზე.

¹ ალ. ბარამიძე, ნ. მარის შეცდომების შესახებ ქართულ ლიტერატურის ისტორიის საკითხების გაშუქებაში („ლიტერატურული ძიებანი“, VIII, 1953, გვ. 35-36-, 38-39, 43).

² იხ. ქართული ისტორიოგრაფია, I, 1968, გვ. 273-282.





პალი კოპენიკოვი

უარი და მახვილი

ცნობილი საბჭოთა მწერლის ვადიმ კოპენიკოვის გახმაურებული რომანი „ფარი და მახვილი“ საბჭოთა მწვერავებზე დაწერილი. ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს რუს მწვერავ ალექსანდრე ბელოვ-იოჰან ვისზე, ვინაც თავისი საზრიანობით და ვუჟაკობით გერმანიის სადაზვერუო სამსახურებში შედევვა მოახერხა, შემდეგ კი დიდადაც დაწინაურდა. მკითხველი ამ რომანში ბელოვ-ვისის ფაქტობრივობა და გმირობით სავსე ცხოვრებასთან ერთად ბევრ რამ საინტერესოს ამოიკითხავს ფაქტობრივ გერმანიის შემწარავ სულსა და უოფაზე. „ფარისა და მახვილის“ ქართულ თარგმანს ბეჭდავს გამომცემლობა „ნაკადული“. აქ კი მკითხველებს ვთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ამ რომანიდან.

აეროდრომზე გვიან ღამით მივიდნენ. ირიტრავა თუ არა, სატრანსპორტო თვითმფრინავი „ლოუფტვანზი“ მიწას მოსწყდა. მას ახალგაზრდა გერმანელი ქალიშვილები მართავდნენ.

თვითმფრინავი დაბლა მიფრინავდა ფარფარტით, ხან საჰაერო ორბოში ჩავარდებოდა ხოლმე და თაროებიდან რაღაც პაეკტები, ფუთები და ზურგჩანთები ცვიოდა.

მერე ღრუბლებში შეცურდა და ბერლინამდე ამ ჭაობივით ნისლში იფრინა.

წვიმა. ნესტი ძვალსა და რბილში ატანდა. თვითმფრინავში დახუთული ჰაერი და ნატიუსხალის სუნნი იღვან.

აეროდრომიდან გამოსვლისას ყველას საბუთები გაუსინჩეს. ვისისა რომ ნახა, მორიგე თვითმფრინავი რაღაც სიას ჩახედა და მოწმობა სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფ ვიღაც ახალგაზრდა კაცს გადასცა. მან მოწმობა ჯიბეში ჩაიღო და მოკლედ მოუპრა:

— გამომყევით.

ვაისმა ჰაინრიხს მოხუდა.

— მოვეინებოთ შეხვედებით, — უთხრა ჰაინრიხმა და ტურნიკეთში გავიდა.

ვაისი თავის მეგზურს გაჰყვა, საკომენდანტოში ახალგაზრდა კაცმა ვაისის მოწმობა ვიღაც უფრო ასაკოვან, საკმაოდ გამელოტებულ კაცს გადასცა. ისიც სამოქალაქო ტანსაცმელში

იყო. მელოტმა დინჯად და ყურადღებით შემოწმდა საბუთი. გამომცემლობა ვაისი, მერე ფოტოსურათს დახედა, დაეცა და პაჟაქის შიდაჯიბეში ჩაიღო. თავით ანიშნა ვაისს წინ წასულიყო, თვითონ უკან მიჰყვა და კარნახობდა: „ჰირლაბირ“, „მარცხნივ“. მოუდანზე გავიდნენ.

— მანქანა № 1732, — უთხრა მელოტმა და ვიღრე სადგომზე ამ ნომრის მანქანა არ იპოვეს, უკან სდია.

ვაისმა ხელი წაიღო კარისკენ, მაგრამ კარი უეცრად თვითონ გაიღო და ვიღაც ჯმუხი მამაკაცი გაღმოვიდა.


— დაბრძანდით! — უთხრა მან.

ვაისი მანქანაში ჩაჯდა. იქ კიდევ ვიღაც იყო. ჯმუხი მამაკაცი ვაისს მეორე გვერდიდან მოუჭადა და შოფერს უბრძანა:

— წავეით.

ამ ორ სიტყვაში მგზურს შუა ვაისი თავს ისე გრძნობდა, თითქოს მარწყუებში იყო მომწყვდეული. მათ კი, ეტყობოდა, დიდად არ ენადლეუბოდათ, როგორ გრძნობდა თავს ვაისი.

იოჰანმა იცოდა, რომ ბერლინს ბოშავდნენ, მაგრამ ნანგრევები არ ჩანდა. ამ გვიანტურ ქალაქს — უზარმაზარ სამიზნეს — ჟერ და-



ბომბების კვალი არ ემჩნეოდა. შესაძლოა, უბრალოდ, დაუზიანებელი ქუჩებით მიჰყავდათ, პოლიციელები, მანქანის ყიპყიბა საყვირის გეგონებაზე, მოძრაობას აჩერებდნენ და ისინიც ისე მიჰქროდნენ ქუჩებში, თითქმის ავტონატრალაზე ყოფილიყვნენ.

ქალაქი ვაკე ადგილზე იდგა. კრამიტის-სახურავიან უხარამზარ 'სახლებს' მწვერვლად დაფარული ნაკვეთები ენაცვლებოდა. მერე კვლავ მძიმე შენობების რიგი იდგა, რომლებიც ვიგანტურ აკლამებს, ან ქვის კატაფალკებს მოგვაგონებდათ.

ქალაქი მძალირ ჩანდა. მალაზიების ვიტრინებში იყვებულნი და დაწმწხული ბარკლები იყო დახვეწილი. კონსტრუქციის პირამიდები იდგა. თუმცა მოსახლეობისათვის უკვე შემოედოთ სასურსათო ბარათები.

ვაისი ათასგვარი რუკებით, ალბომებით, სპეციალური ფილმებით კარგად იცნობდა ბერლინს და მისთვის ძნელი არ იყო იმის მიხედვრა, რომელი ქუჩებით მიდიოდა მანქანა. აი, პოტსდამის გზატკეცილზე გავიდნენ და დასავლეთისაკენ, ვახზევა რაიონისაკენ გასწიეს.

მწვეანში ჩაფლულ ვილებთან ბისმარკსტრასეზე მანქანამ მოკლედ დააყვირა, ღია ჰიშ კარში შეუხვია, გაზონს შემოუარა და ერთ-სართულიანი კოტეჯის სადარბაზოსთან შეჩერდა. ეზოს სიღრმეში, იასამნის ბუჩქებში, კიდევ ორი ასეთი კოტეჯი ჩანდა.

ვაისი მანქანიდან გადმოვიდა, მიიხედ-მოიხედა და თავის ჯმზე მეგზურს მიმართა:

— ურიყო ადგილი არა ჩანს, სადა ვართ?

— აქეთ მობრძანდით. — პასუხის ნაცვლად უთხრა ქმუხმა მამაკაცმა, კოტეჯის თეთრ კარს ხელი ჰკრა. ვაისს პოლში შეჰყვია, სავარძელზე უჩვენა და სთხოვა: — დაბრძანდით.

მერე-საღდაც წავიდა. პალე ვიდაც ჩია, მე-ლიდერი გამომეტყველების ქიღარა კაცთან ერთად დაბრუნდა. მოხუციის სახე ვაისს სოცრად ნაცნობი ეჩვენა, მაგრამ ახლა ამზე ფიქრის დრო არ იყო. მოხუცმა ვაისს საბუთი გამოართვა, მანაც ვულდასმით შეუღრა ფოტოსურათი ორიგინალს და მოწმობა პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო. ჯმუხი მამაკაცი თავის დაქნეული დაითხოვა. ვაისს კი ცივი, წრაბინა ხმით უთხრა:

— ზემოთ წამოდით. თქვენი ოთახი აქ არის.

მომტრო ოთახი უბრალო, მაგრამ კოხტა და მობერკული ავეჯით იყო გაწყობილი. ფანჯრებზე ქათქათა მარამშის ფარდები ეყიდა.

მოხუცმა უთხრა:

— შეგიძლიათ ფრანცი დამიძახოთ.

ვაისიც გაცნო:

— იოჰან ვაისი.

— ჯა, — მკაცრად უთხრა მოხუცმა. —

იოჰან ვაისი არ არსებობს. თქვენ პეტერ კრაუსი ხართ. დაიხსოვით: პეტერ კრაუსი. — უბრძანა: — აბაზანას მიიღებთ.

— მაშინ, ჩემს ჩემოდანს ამოვიტანდი.

— არა, — უთხრა ფრანცმა. — ყველაფერს, რაც კი გპირდებით, ჩვენი გარდაქრინილი მიიღებთ.

ვაისმა მხრები აიჩჩა და სააბაზანოსკენ წავიდა.

— საშინაო ხალათი წაიღეთ. — შეახსენა მოხუცმა და კარადაზე ანიშნა.

როცა ვაისი აბაზანის მიღების მერე ოთახში დაბრუნდა, თავისი მუნდირის ნაცვლად მუქი ნაცრისფერი ორბორტიანი სამოქალაქო კოსტუმი დახვდა, კართან კი საწვიმარი ეყიდა.

მოხალე ქალმა უხმოდ გააწყო სუფრა ორი კაცისათვის. ფრანცმაც არ დიაციანა.

— საუბრეზე დაგეწვევით, — უთხრა იოჰანს და ყუავ დაიხსნა. — ცოტა წავისაუბროთ, რომ არ მოგეწყინოთ.

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ეს დაკითხვა იყო და არა საუბარი.

— ფრანც, — იცით რას გეტყვით, — მოწყენილი ხმით უთხრა ვაისმა, — აქ თუ ხელახლა მიიზრებთ ფილტრში ვატარებას, გაგახსენებთ, რომ არც მე ვარ გამოუღდევი კმაშვალი. აბერში ამას უფრო ფაქიზად ვაქეთებდით.

იმავე დღეს ვაისს სამედიცინო შემოწმებაც მოუწყვეს. მაგრამ ექიმს, ეტყობოდა, მისი ჯანმრთელობა ყველაზე ნაკლებ აინტერესებდა.

იოჰანს ტანზე გაახდევინა, მიუხალოვდა და თავის თანაშემწე სტენოგრაფუს ისე დაწვრილებით დაუწყო ანატომიური მონაცემების კარნახი, თითქმის რაღაც ნივთს აღწერდა.

მერე ვაისი სხვა ექიმს წარუდგინეს. აქ კი შემოწმებამ ბევრად მეტი დროც მოითხოვა და ღიდადაც შეაწუხა ვაისი, ეს შემოწმება ვაისმა თავშესაფრადქცეულ სარდაფში გაიარა. ექიმმა იგი სკამზე დასვა, თვითონ უკან მოუღდა და უთხრა, ციფრებითა და დასახელებებით სვეს მანქანაზე გადაბეჭდილი ერთი გვერდი წაიკითხო. ვაისმა ჩაკითხვაც ვერ მოასწრო, რომ ექიმმა უეცრად ზედ მის თავთან პისტოლეთი დასცალა და თან ფეხით სკამი გამოაცალა. მოსთხოვა, რომ ვაისს დაუყოვნებლივ გაემგორობინა ის, რაც წაიკითხა, ბოლოს ყურადღებით გაუსინჯა* პულსი და განცვიფრდა.

— ეშმაკმა დალაზეროს! — წამოიძახა მან. — თქვენ ფენომენალური მეხსიერება და საოცარი თავშეკავების უნარი გქონიათ!

მერე ექიმმა ნემსი გაუკეთა ვაისს. თუმცა აუტანელი ტყვილისაგან კუნთები ისე დაეკრუნხნა, რომ ღრიალი უნდოდა, ვაისი მაინც მოთერია თავს და შეთავაზებული გახეთადან

ვალიო კოჰპენიკოვი
ფარი და მახვილი

ხმაჟღერა, ხრინწიანად კითხულობდა რაღაც სტატიას.

ექიმი ჩაფიქრებული დასცვივდა საათს. როცა იოჰანს ეგონა, რომ ჯოჯობეთური ტკივილისაგან თავის ქალა აეხდებოდა, ექიმი დაიხარა და ისევ გაუკეთა ნემსი, რამაც ტკივილი სწრაფად გაუყუჩა.

როგორც ჩანს, ექიმი ვაისისადმი პატივისცემით განიხილავდა და შეაქო:

— სხვის ხელში კიდევ რომ ჩავარდეთ, დარწმუნებული ვარ, დაკითხვებზე თავშეკავება გეყოფათ და მხოლოდ ნამდვილ ცნობებს მისცემთ, მაგრამ ისეთს, რომლებიც უკვე ცნობილი იქნება მოწინააღმდეგისათვის.

— მე არ ვაპირებ ცოცხლად დანებებას, — ამყაფად განაცხადა ვაისმა.

— კიდევ უკეთესი, თუ გასაჭირში ჩავარდით, წამებას აიციდნენ თავიდან. ასე თუ მოიქცევიან, მოწინააღმდეგეს ნამდვილად არ გაუმხელთ საიდუმლოებებს, რომელთაც, სხვა შემთხვევაში, ხანგრძლივი წამებით უთუოდ გათქმევინებდნენ. ყოველი ადამიანის მოთმინებას აქვს საზღვარი, რაც უნდა გაკავებული და მტკიცე ხასიათისა იყოს იგი. თუ, რა თქმა უნდა, თითონ ბუნება არ დაეხმარება მას და გონს არ წაართმევს.

ჰიმლერის გესტაპოელებს არა ერთხელ გამოუტყვიათ რიზენტროპის საზღვარგარეთელი აგენტები, როცა ისინი ბერლინში დიდი მნიშვნელობის ცნობებით ჩამოსულან. აგენტებს ყველაფერს დააფიქვინებდნენ ხოლმე, მერე კლავდნენ, ხოლო ცნობების მოპოვებას გესტაპო მიიწერდა. ასეთნაირადვე გაჭრა ბევრის რამდენიმე საუკეთესო აგენტი, მერე კი კანარისის ნაცვლად, ჰიმლერმა მოახსენა ფურერს ის მასალები, რომლებიც მხოლოდ კანარისის ამ უკვალოდ დაკარგულ აგენტებს შეეძლოა მოეპოვებინათ.

ვაისს ეს ყველაფერი გავიანილი ჰქონდა და ახლა ექიმის გულწრფელობამ გაახარა. მაშასადამე, მას გარკვეული სახის სამსახურისათვის სცილიან, სხვა დანარჩენი კი ექვს არ იწვევს.

პირველ დღეებში ვაისი გარეთ არ გასულა. საუზმე სადილი და ვახშამი მასთან ოთახში მოჰქონდათ. მერე კი სხვა კოტეჯების მდგმურებთან ურთიერთობის ნება დართეს. ესენი მეტწილად შუახნის ხალხი იყო. დაღლილი, შეფიჭრიანებული სახეები ჰქონდათ.

გაცნობისას მარტო სახელს ამბობდნენ ხოლმე. ყველანი უკლებლივ იშვიათი ზრდილობითა და თავაზიანობით იქცევდნენ ყურადღებას. თუმცა მათ შორის რამდენიმე ახალგაზრდა კაციცა და კოხტა ქალიშვილიც ეტია, ერთმანეთი არაფერად აინტერესებდათ. ეტყობოდათ მთლიანად იყვნენ ჩაფლულნი სამუშაოში და

ემოციებისათვის არც დრო და არც ხალხი აღარ რჩებოდათ.

ვაისი თავიდან ვერ მიხვდა, ვინ იყო მათში უფროსი. მოგვიანებით დაადგინა რომელიმე ჩამომხმარი, მხრებში მოხრთოვნილი სიტყვათქმევი კაცი უფროსობდა. იგი სიარულის დროს მძიმედ მიაფლატუნებდა ფეხებს, ჩუმი ხმით ლაპარაკობდა, თვალები ჩასცივნილია. სახელად გუსტავი ერქვა.

ყველას თანაბარი თავდაპირით ექცეოდა, თითქოს არც სხვები გამოარჩევდნენ მას. მაგრამ საქმარისი იყო გუსტავს ვინმესათვის თუნდ სულ უმნიშვნელო რამ ეთქვა, რომ იმას, ვისაც მიმართავდა, მაშინვე სახეზე სრული მორჩილება გამოხატვოდა.

ცხადი იყო, ეს ხალხი საეულღაგულოდ გაეწურთნათ.

რამდენჯერმე გუსტავმა ერთი და იგივე სასიათის დაეალება მისცა: შეხვედროდა აერთობოტში კაცს, ვის ფოტოსურათსაც მხოლოდ ერთხელ მოაკრევიანებდნენ თვალს, და გარკვეულ ადგილამდე მიეცილებინა. გუსტავი მისამართს ყოველთვის საკმაოდ გაუგებრად ჩაილულღულებდა ხოლმე.

ვაისი ამ დაეალებებს ზუსტად ისე ასრულებდა, როგორც მოეთხოვებოდა.

ერთხელ მატარებლით ჩამოსულმა მგზავრმა დაბეჯითებით დაუწყო მოთხოვნა, რომ ვაისს მისთვის პარიზის დაფურცვლილი მეგზური გამოერთმია და დაუყოვნებლივ გადაეცა გუსტავისათვის.

ვაისმა მტკიცე უარი განუცხადა. მგზავრი იმავე ჩუმი ხმით დაემუქრა. ვაისი თავისაზე იღბა. მგზავრი გუსტავის მიერ ნათქვამი მისამართით მიიყვანა და თავაზიანად დაემშვიდობა. პასუხად ლანძღვა-გინება და მუქარა მიიღო.

როცა ეს ყველაფერი გუსტავს მოახსენა, მან ტურებს დაუწყო ღეჰვა და გულგრილ ხმით უთხრა:

— უთუოდ მეტად მნიშვნელოვან მასალას გთავაზობდენ, რომლის დაყოვნებაც არ შეიძლებოდა. ენაობ, რომ დროზე არ მივიღე. მაგრამ თქვენ სწორად მოიქციეთ, ამიტომაც არ გსაყვედურობთ.

გუსტავი ისე მშვიდად შეხვდა ამ მნიშვნელოვანი მასალის დაგვიანებას, რომ ჩანდა, მას დიდი თანამდებობა ექონა და, ამასთან, იშვიათი ნებისყოფისა და თავშეკავების კაცი იყო. ამას გარდა, ვაისისათვის ცხადი ვახდა, რომ აქ თანამშრომლებს დისციპლინას უფრო უფასებდნენ, ვიდრე ინიციატივას. იმასაც მიხვდა, რომ, რაკი მას ასეთ დაეალებებს აქლევდნენ, მაშასადამე, შემოწმების ძირითადი სტადია უკვე გაველო.

და თუმცა დაფურცვლილი მეგზურიდან ვაისი ალბათ ზოგ რამეს გაიგებდა იმ საქმისას, რომელსაც გუსტავი ხელმძღვანელობდა, მაინც



არ ნანობდა, რომ ასეთი შემთხვევა გაუშვა ხელიდან. ვაისმა კარგად იცოდა: მხოლოდ მოთმინებითა და თავშეკავებით შეძლებდა საწადელის მიღწევას.

თითქოს განსაკუთრებული წყალობის ნიშნად, გუსტავმა დილით ჩოგბურთის სათამაშოდ მიიწვია.

ამ გარეგნულად სუსტმა და ზანტმა კაცმა თამაშში მოულოდნელად შმაგი სიფიცე გამოამჟღავნა, ჩოგანს მარჯვედ და ღონივრად სცემდა.

ვაისმა ყველა გეიმი სამარცხვინოდ წაავო. მაგრამ, როცა გუსტავი ბადესთან მივიდა, რომ წესისამებრ დამარცხებულისათვის ხელი ჩამოერთმია, ვაისმა ეშმაკური ღიმილით უთხრა:

— ბატონო გუსტავ, მე თქვენს სპორტულ ოსტატობაზე მეტად იმან მომხიბლა და განმაცვიფრა, რომ თუბრემ ასეთი შმაგი ტემპერამენტის შენიღბვის შეუღარებელი ნიჭი გქონათ.

გუსტავმა წყენით შეიკრა წარბები, მაგრამ მაშინვე გაიღიმა თავისი ჩანაოკებული პირით:

- თქვენი პეტერ, ჭკვიანი ყოფილხართ.
- თუ საპასუხო კომპლიმენტად არ ჩამითვლით, გამოგიტყდებით, რომ ამის სწორედ თქვენგან მოსმენაა ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო, — ღიმილის გარეშე უთხრა ვაისმა და ამით აგრძნობინა, რომ გუსტავის სიტყვებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ამ თავიანთ ტიპს პრიმიტიული და იაფფასიანი ქება ალბათ მხოლოდ გააღიზიანებდა, მაგრამ ჭკვიანური და მოხდენილად ნათქვამი ქაითნაური უთუოდ ეამებოდა.

შხაბის მისაღებ ოთახში გუსტავმა ვაისს ჰკითხა:

- ფრანცზე რა აზრისა ხართ?
- კომინალისტური მუზეუმის ექსპონატად გამოდგება.

შელენბერგს, უშვიროების საიმპერიო სამსახურის მეექვსე განყოფილების ხელმძღვანელი რომ ვახდა, მუშაობაში არავითარი სიახლე არ შეუტანია, მაგრამ იმას კი ცდილობდა, ერთგული და საიმედო კადრები შეერჩია. იგი უფრო მატერიალურად უზრუნველყოფილ, საზოგადოებაში მყარი მდგომარეობის მქონე, უნივერსიტეტდამთავრებულ ხალხს სწყალობდა. ამით მეტ უპირატესობას აძლევდა, ვიდრე მარტის ბორმანის გამოგზავნილ ხალხს. ბორმანი ცდილობდა მეექვსე განყოფილება ნაციონალური პარტიის საიმედო აგენტურით შეეცნო. მან საკმაოდ კარგად იცოდა შელენბერგის ყველა ხრიკი, მაგრამ ჰიმლერთან მეგობრობა იფარავდა შელენბერგს ბორმანისაგან, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, სდს მეექვსე განყოფილება თავისი გავლენის ქვეშ მოექცია.

ვილი შვარცკოფი ფრიდრიხშტრანსენის კონსერვატორიაში, უცნაური არქიტექტურის, მონღოლური ნისა და ციხისაგან ნაჯვარ სახლში. ოდესღაც აქ სამი ოთახი ეკავა, მაგრამ მერე, როცა შენობას არიელები დაეპატრონენ, პირადი კანცელარიისათვის მთელი სართული ჩაიგდო ხელში. ძმისწულ თავისი ძველი ბინიდან ერთი ოთახი დაუთმო.

სართულზეცა და მისაღებშიც ესესელები მორიგებდნენ.

საუზმისათვის სუფრა ვილი შვარცკოფის ახალ კაბინეტში გაეშალათ, რომელიც განზრახ ყაზარმული სიძუნწითა და მკაცრი უბრალოებით იყო მოწყობილი. საწოლი სალდათური ჰქონდა, სასთუმალთან მაგიდა ედგა საარმო ტელეფონის აპარატბი. შუა ოთახი დიდ მაგიდას ეკავა. კედელზე უზარმაზარი ტილო-ჩამოფარებული რუკა ეკიდა. კედლებში მოზრდილი ცეცხლგამძლე კარდები იყო დატანებული.

საწოლთან ნოხზე ზორბა მამლარი ნაგზოი თვლემდა ზანტად. ამ მოდარაჯე ძაღლებს მოდა ფიურერმა შემოიღო.

სუფრის ჭურჭელიც ყაზარმული ჰქონდა: ალუმინის კოვზები და ჩანგლები, არმიული დანები. სამაგიეროდ საქმელ-სასმელი იყო ძვირფასი და, მეტწილად, უცხოური.

ვილის საკმაოდ გაცვეთილი მუდრი იცვია, მხოლოდ ჩექმები უკრიალებდა.

ვაისი გულობილად მიიღო. ხელები გაშალა და, თითქოს ბოდიშს იხდისო, გამოუტყდა:

— როცა გერმანელი ხალხი ყველაფერს ფრონტს სწირავს, ჩვენ, მისი ბელადები, სპარტანულ წესს მივღებთ.

ჰაინრიხმა ჩუმად ჩაიციხა ამ ტრამახით ნათქვამ ტყუილზე. შარლოტენბურგში, ბერლინის ყველაზე არისტოკრატიულ კვარტალში, ვილის მდიდრული სახლი ჰქონდა, რომელიც ყოველგვარი სახის ძვირფასეულობის საწყობად გადაქცეოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ანლობლმა ხალხმა იცოდა.

ვილიმ თავის ძმიშვილს გადახვია ხელს და კმაყოფილებით თქვა:

— ჰაინრიხს რომ თავისი მოღვაწეობა ისეთი განწყობილებით დადევს, როგორთაც ახლა ვარშვიდან დაბრუნდა, ღმერთმანი, არ გამოვირდებოდა, მასთან რაიხს კანცელარიაში მოსახსენებლად მისულის ბრძანება რომ მიმეღო. ეგ რომ არ მყავდეს, ჩემი საქმის ნახევარსაც ვერ ავუვიდოდი. ერთი კარგად მოიგიჟიანა, ახლა კი დადინჯდა და ჭკუას მოეგო.

ვალინ კოხენიკოვი
ზარი და მახვილი.

საუზმეზე ვილი შადიანად ილუქებოდა, ჰაინრიხი კი საჭმელს თითქმის არ მიკარებდა და მხოლოდ მინერალურ წყალს სვამდა.

— აბა, როგორ მოგეწონათ ვალტერის წაღნი? — ჰკითხა ვილიმ და პასუხს არც დაუტყდა, თვითონვე დაიწყო აღმფთვებულმა ლაპარაკი. — საიდან შეკრბა ამდენი გულანზინი ერთად. მთელი პირადი დიპლომატიური კორპუსი შეიქმნა ამ უქნარა, მდიდარი მშობლების მიერ განებივრებული ნაშიერებისაგან, რომელთაც ევროპის ყველა ქვეყნებში ჰყავთ ნათესაობა. რა ჯანდაბის ავენტურა არიან ეგენი! რომელიც გნებავთ მათგანი კონტრ-შეხვედრად წინტლიან ლაპითან რომ მოხვდეს, მაშინვე ქვეშ ჩაისვრის და ისე დაფქვავს ყველაფერს, თითქოს აღსარებზე იყოს. ახლა ეს ვუსტაქა! კარგი ვინმესა! თავის დროზე, ალბრეხტ-შტრაასის რვაში, ქვასაც კი ამოაღმევიენებდა ენას, ახლა კი ვალტერის საძაღლში ამ ლეკვების გუვერნიორად გადაიქცა. რას იტყვით ვუსტაქაზე და მის პანსიონატზე?

— მე ვერც თქვენსა და ვერც ჰერ ლანს-დორფის რეკომენდაციას ვერ ვაგაჰართლებდი, — ღრმანზროვნად გულშია ვისმა, — თუ თავს უფლებას მიეცემ, ჩემს თანამშრომლებზე გამოვთქვა აზრი ან იმაზე ვილაპარაკო, რაც ჩემს ახალ სამუშაოს ეხება.

— შორხით ერთი! — მხიარულად წამოიძახა ვილიმ. — აჰ, ამ დაჯემულ კარგზე აქეთ, ჩვენ ისე ერთ, როგორც ლეთის უბეში. — მერე შთაგონებით დაუმატა: — ჩვენ ერთი პატრონი გყავს — ჰაინრიხ ჰიმლერი.

— ენაგრძელი მოახლეები, როგორც წესი, დიდხანს ვერ რჩებიან წესიერ სახლებში, — მოუჭრა სიტყვა ვისმა.

— ოჰ, აი რა კერკერი კაკალი ყოფილხართ! ვილის ხმაში უკმაყოფილება დაეტყო. — არაფერია, მე მაინც იმედი მაქვს, რომ ჩვენ დავემუგობრდებით.

— მეცა მაქვს მაგის იმედი, — უთხრა ვის-შა. მერე საჭირად ჩათვალა დაემატებინა: — ვარწმუნებთ, ჩემი საუკეთესო შთაბეჭდილებები თქვენზე ისევე ხელშეუხებელი იქნებიან, როგორც იქ შენახული ქაღალდები, — და თავით ცეცხლგამძლე კარადებზე ანიშნა.

— თქვენ მტკიცე წესების კაცი ყოფილხართ! — ჩაიღუღლუნა ვილიმ.

— არა, — მიუტო ვისმა, — მაგრამ მე შემომლია მტკიცედ დავემორჩილო იმ წესებს, რასაც უფროსები მიარჩევენ.

— კარგი ნათქვამია! — გადაიხარხარა ვილიმ და ჰაინრიხს მიუბრუნდა: — ეს შენი მეგობარი არც ისეთი ლოყლაპია ყოფილა, როგორც მაშინ იქ, ლიტვანშტადნი შეჩვენა. — მაშინვე უსაყვედურა ვისს: — თქვენ უჭკუო კაცი არა ხართ და უნდა მიხვდარიყავით, რომ თუ მოხუცი ვილი ახლობელს სამსახურს უწევს,

იმისგანაც ასევე თავზიან საქციელს მიუღოს.

— მზადა ვარ ყველა ღონე ვიხმარო თქვენ დავალების შესასრულებლად, — მოწოდებით დასარა თავი ვისმა, — თუკი, რა თქმა უნდა, იმ ჩემს მოვალეობებს არ დაუპირისპირდებია, რომელიც მე ვიკისრე.

— კარგი, კარგი, — უსეშად და ქედმაღლურად მოუთათუნა ვილიმ მხარზე ხელი, — ძე თვითონ არ ვიციწყებ მათ, ვისთვისაც რაიმე სამსახური გამოიწვია.

როგორც ჩანს, იგი სულ სხვა ვაისს ელოდა, მაგრამ მერე იანგარიშა, რომ რაიხში არც ისე ხშირად შეხვდებოდი კაცს, ვინც ასე ციუტად გამოიდებდა თავს სამსახურგებრივი სიადის-ნამუსისათვის, ამიტომაც ამ გარემოებას შეუთვრიდა და თქვა:

— ვანათლებული ხალხი ახლა იშვიათობა გახდა, მათ მცირე ნაწილს საპრობილეებში გუვლით და ვუფროთხილდებით. — ამ სიტყვებზე გადაიხარხარა. — ამ ცოტა ხნის წინ ოკუპირებული რაიონებიდან ჩამოტანილი მხატვრული განძის ექსპერტიზის ჩატარება დაგვირბა. უნდა გენახათ ამ ინტელიგენტების სიდათობი, როცა ისინი საცავში მოვიყვანეთ! ზოგიერთნი სურათიდან პირდაპირ ენით ლოკადენენ ჭუჭყსა და მტერს. მაგრამ როცა მოვთხოვე, რომ თითოეული მათგანის ფასი დაედგინათ, იმ სალახანებმა განაცხადეს, ეს შეუძლებელია, რადგან ნაციონალურ რელიკვიებს ვასაყიდი ფასი არა აქვთო, ამ საბოტაჟისათვის ისე მოხვდათ, რომ ჩვენმა ბიჭებმა მერე ხელით ათრიეს სატუსალო ფურგონისაკენ.

ჰაინრიხმა მოკლედ განუმარტა:

— ბიპაჩემს სს-ის მატერიალური ფონდების სავევაუაციოდ გამზადება აქვს დავალებული. ნეიტრალური ქვეყნების ბანკებში საამისოდ სავანებო სეიფებია აბონირებული.

ვილი მოიღუშა, მაგრამ მაშინვე იპოვა გამოსავალი:

— ჩვენ მხოლოდ ის გეინდა, რომ დამარცხებულნი ქვეყნების ნაციონალური რელიკვიები დამომბვას გადავარჩინოთ და შევიინახოთ.

— კი მაგრამ, სეიფები ხომ გარკვეულ პირებს აქვთ აბონირებული.

— მერე რა? — გაბრაზებულმა იკითხა ვილიმ. — იმპერია სწორედაც გარკვეული პირებია და სხვა არაფერი. ისინი რომ არ იყვნენ, არც იმპერია იქნებოდა!

— თქვენ საოცრად უსუსტად თქვით, — დაუთანხმა ვაისი.

ვილის არ გამოებარა ის დამცინავი ლიმილი, რომელიც ჰაინრიხს გამოებატა სახეზე. შეცბუნებულმა ჩაიღუღლუნა:

— მესამე იმპერიის გერმანული სულის ხალხური რაღაც უხილავი რამ კი არაა, იგი ფიფქერიშაა ხორცმესხმული.

— ვფიქრობ, თქვენისთანებშიც, — უთხრა ვასმა.

— დიახ, — კმაყოფილებით დაეთანხმა ვილი, — მე მართლაც ვეტერანი ვარ ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციისა.

— რევოლუციისა? — გაიკვირა ვასმა.

— თავის დროზე ფიურერმა მარქსისტული ტერმინოლოგიით ისარგებლა და ეს ძალიანაც გამოგვადგა, როცა ჩვენ სუსტები ვიყავით, ხოლო წითლები კი ღონივრად იყვნენ, ამ კომუნიზმით ბევრი რამის მოგვარება შეეძლებოდა.

— მაგალითად?

— ამ ქლარუნებით ისე გავაყრუეთ ფარა, რომ წითლებს უნდა გაყოლოდა და ჩვენს ბაკში კი აღმოჩნდა. მერე უკვე ვიძულეთ, ჩვენი დაფდაფების გამაყრუებელი წმებისათვის აეწყო ფეხი.

ვილის, როგორც ჩანდა, ამ თემაზე მოსწყინდა ლაპარაკი, კაბინეტს მოავლო თვალი და ვასის უთხრა:

— როგორც ხედავთ, სახლშიც კი არ ვეკუთვნი ჩემს თავს, აქაც ყველაფერი საქმეს დაევმორჩილე. — წამოდგა და ვასიც თან გაიყოლა.

ოთახების ანფილადა გაიარეს, სადაც მაგიდებს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირები უსხდნენ. ვილის გამოჩენაზე ერთბაშად წამოხტებოდნენ ხოლმე და პარტიული მისალმებით ხელებს წინ იშვერდნენ. ვილი მისალმებაზე არც კი პასუხობდა. ვასის აუხსნა:

— ჩემი ეს უბრალო ბინა პირად კანცელარიად ვაქციე, თანამშრომლები ყაზარმულ პირობებში მყავს. დამითაც ვემუშაობთ. სამაგიეროდ, როცა რაინსფიურერს სასწრაფოდ სჭირდება რაიმე საგანგებო ცნობები, დაუყოვნებლივ ვაწვდი ხოლმე პირადად.

— განა უშიშროების სამსახურს ამისათვის აპირატი არ ჰყოფნის?

ვილიმ უცნაურად ჩაიციხა:

— ჩვენ შეფისათვის ცნობებს ერთ ეგზემპლარად ვამზადებთ, ობიექტურ ანალიზს ვაწვდით მას. ამიტომ ყველაფრის საქმის კურსშია და ყოველთვის ზუსტად იცის, რა მდგომარეობაცაა იმპერიისში.

— მე მეგონა, ეს მთლიანად უშიშროების სამსახურს ევალებოდა.

— უთუოდ ასეა, მაგრამ არის ბორმანი, კიდეც — კალტენბრუნერი, და ყოველი მათგანი იმ სურვილით იწვის, რომ მზამზარეული ინფორმაცია ჩაიგდოს ხელში და ფიურერს პირველმა მოახსენოს. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ეს ჩემი პირადი კანცელარია და მე პირადად ვაწვდი რაინსფიურერს მისაღებს, რაკი ეს მასალები ოფიციალური წყაროებიდან

არაა მიღებული, შეფს თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, მოახსენოს თუ არა ფიურერს.

გუსტავო კვლავ უმნიშვნელო დაეალებებს აძლევდა ვასს, ვილაც ვებს ხვდებოდა და დასახელებულ მისამართებამდე ავილებდა.

ერთი ჩამოსულთაგანი, ვისაც ვასი აეროდრომზე დახვდა, მეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა: როგორც ჩანდა, მძიმედ იყო დაჭრილი და სისხლიც ბლომად დაეკარგა. ემუდარებოდა, პირდაპირ ჰოსპიტალში დაწაწვინეო, მაგრამ ვასმა მაინც ფარული შეხვედრის ბინაზე წაიყვანა. იქ დაჭრილმა უთხრა, რომ გარემოებების გამო დაშიფრულო ცნობები მოესპეო და სთხოვა მოესმინა მისთვის. შიშობდა, მანამ გათავლებოდა, სანამ ის კაცი მოვიდოდა, ვისთვისაც ინფორმაცია უნდა გადაეცა.

თუმცა ცდუნება დიდი იყო, ვასმა მაინც კატეგორიული უარი უთხრა და წავიდა. როცა გუსტავი მოტოციკლით მოვარდა ამ მომაკვდავ კაცთან, იგი უკვე გათავებულყოფ.

გუსტავი გაყოფდა, სასტიკად გალანდვასი, სულ უქუთო ბატი უძახხა და თანაც ემუქრებოდა. მაგრამ მალე მოერია თავს და, თუმცა ბოლიში არ მოუხდია, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ვასი ისე მოიქცა, როგორც ეს ინსტრუქციით ევალებოდა.

მეორე დღეს, უთუოდ ვილაც უფროსთან მოლაპარაკების შემდეგ, გუსტავმა ვასისს უთხრა:

— ჰეტერ, თქვენი დისციპლინირებულობით ნდობა დამისახურეთ. ამიტომ, გარკვეულ გამოჩენის შემთხვევებში უფლება გექვსათ ჩაიბაროთ პაექტები, ან მიიღოთ ზეპირი ინფორმაციები. მაგრამ, ვიმეორებთ, მხოლოდ საგანგებო, ან ამ სამწუხარო ინციდენტის მსგავს შემთხვევებში.

ვალტერ შელენბერგის მეკავშირე ოფიცრების საგანგებო ჯგუფიდან ყველა როდი ცხოვრობდა იასამნის ბუჩქებში მიმალულ კოტეჯებში, ზოგი მათგანი თავისი სახლიდან მოდიოდა აქ დავალების მისაღებად. ამ ხალხს, კარგად იცნობდა ბერლინის მაღალ საზოგადოება. ისინი პარტიკულარულ და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი ოჯახების შვილები იყვნენ.

ერთ-ერთმა მათგანმა, ცნობილი ბერლინელი ადვოკატის შვილმა, თავად განათლებით იურისტმა, სამხედრო პროფესიით კი მფრინავმა პუგო ლემბერგმა ვასისს ყურადღება მიიქცია.

ვალინ კოშხანიოვი
ფარი და მახვილი

შე სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა კაცს თავი მეტად დამოუკიდებლად ეჭირა და თამაში, კატეგორიული მსჯელობა უყვარდა. ერთხელ მან ვაისს ჰკითხა:

— თქვენ აბვერში რუსების წინააღმდეგ ვინდებოდით მუშაობა. მითხარით, თქვენი აზრით, შეუძლიათ მათ გერმანიასთან რაიმე სეპარატულ მოლაპარაკებაზე იფიქრონ?

— არა, — უთხრა ვაისმა.

— იმაზე, რომ შეიძლება ჩვენ დავა-მარცხოთ რუსეთი?

— არა.

— ისინი რას ფიქრობენ, ვინც ჩვენთან თანამშრომლობენ?

— ჩვეულებრივ, ესენი ნაძირალები არიან.

— მაშასადამე, თქვენც თვლით, რომ რუსეთში შეიძლება ძირგამომთხრელი მუშაობა უპერსპექტივო საქმეა?

— ჩვენ თითო-ორილა ოპერაცია წარმატებით ჩავატარეთ, მაგალითად..

— მე ყველაფერს მივხვდი, — გააწყვეტინა სიტყვა ჰუგომ, ვაისს სიგარეტი შესთავაზა და თვითონაც ჩაფიქრებულმა გააბოლა. — აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. იმისათვის, რომ აღმოსავლეთში შევქლოთ ომის მოგება, რაც შეიძლება ადრე და წარმატებით უნდა წავაგოთ იგი დასავლეთში. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ უმჯობესია ჩვენს მხოლოდ სამხედრო მოწინააღმდეგეებს დაეუფოთ დასავლეთში, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკურმა მტერმა დაკავამარცხოს აღმოსავლეთში.

— მე მშამს დიადი რაიხის საბოლოო გამარჯვება, — თქვა ვაისმა.

— ეგ მეცა მშამს, — უთხრა ჰუგომ, — მაგრამ გამარჯვებისაკენ მიმავალი გზები განსხვავებული შეიძლება იყოს.

ერთხელ, როგორღაც ჰუგომ ვაისი თავისთან მიიპატიჟა. ლემბერგების სახლი ვანუესთან ახლოს, დალემის რაიონში იდგა. აქ ვაისი მოულოდნელად როტმისტრ ჰერდს შეხვდა. მას კი ვაისის დანახვა არ გაკვირვებია: უთუოდ ადრევე იცოდა, რომ შეხვედებოდა.

უზარმაზარ შემინულ ტერასაზე სადილობდნენ, რომლის იატაკიც უხეში ქვის ფილებისაგან დაეგოთ. სადილობისას ზოგადი ხასიათის საუბარი ჰქონდათ. მერე ჰუგოს მამის კაზინეტში ავიდნენ. ვაისმა ბიბლიოთეკის თაროებზე სახეობა პერიოდული პრესის უამრავი ჯამოცემა დაინახა და არც ჩათვალა საჭიროდ თავისი გაკვირვება დაემალა.

ჰუგომ აუხსნა:

— ზოგიერთ გავლენიან პირთა დავალებიც, მამაჩემმა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ანალიზის ვარკვევა იქისრა.

— მამათქვენმა იცის რუსული ენა?

— არა, მაგრამ თანამშემუშები ჰყავს, რომლებმაც ზედმიწევნით იციან.

— ბატონმა ვაისმაც ასევე კარგად იცის შეახსენა ჰერდმა.

— მე ამის ლინგვისტურ განსწავლულობაზე მეტად ისა მსიამოვნებს, — უპასუხა ჰუგომ, — რომ ბატონი ვაისი თამამად და სწორად ახასიათებს რუსეთის პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობას. — იოჰანს მიუბრუნდა: — ამისათვის თქვენ ქების ღირსი ბრძანდებით. — ამ სიტყვებზე ოდნავ დახარა საგულდაგულოდ გადავლესილი მოკლეთიანი თავი.

ჰუგომ ვაისსა და ჰერდს საგარძლები შესთავაზა, თვითონ კი პაპიროსის საწვევ მრგვალ მომცრო მავიდას მიუტყდა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, არის თუ არა განსხვავება დაწაულას ხაიხისის მიხედვით იმკერის დალატსა და რაიხის დალატს შორის?

— მე იურისტი არ ვახლავართ და, სამწუხაროდ, ასეთ დეტალებში ვერ ვერკვევი, — მიუგო ვაისმა.

— კეთილი, — დაეთანხმა ჰუგო. — თქვენ კიდევ გექნებათ დრო, ჩემს კითხვას ჩაუფიქრდეთ. მე გარკვეული მიზნით კვითხეთ ეს — მინდა, ვაიგოთ: რაიხი უკვდავია და ყოველი ჩვენთაგანი, ვინც მას თუნდ იოტისოდენა ზიანს მიაყენებს, სიკვდილის ღარსა იქნება.

— უაქველად! — გულიანად წამოიძახა ვაისმა.

— ძალიან კარგი, — თქვა ჰუგომ. — ახლა გთხოვთ, განსაკუთრებით ყურადღებით მომისმინო. თქვენ, ალბათ, მოგიწევთ იმ უცხოელებთან შეხვედრა და მათი თანხლება, ვინც ფიურერის მოწინააღმდეგენი, მაგრამ გერმანიის მეგობრები არიან. თქვენი თანდასწრებით რომ გამოთქვან ფიურერზე შენიშვნები, როგორ მოიქცევი?


ვაისმა რწმენით განაცხადა:

— თუ ასეთ ხალხთან შეხვედრა სამსახურებრივად დამევალება, ისე მოვიქცევი, როგორც მითითებებიც მექნება..

ჰერდმა ვერ მოითმინა, ვაისს სიტყვა გააწყვეტინა და კმაყოფილებით სახეგაბარწყინებულმა განუცხადა ჰუგოს:

— ახლა ხომ თქვენც დარწმუნდით? რას გეუბნებოდით! ამ კაცმა ჩინებულად იცის თავისი ადგილი.

— ვაისს მიუბრუნდა და თითქოს ბოდიშის მოსახდელად უთხრა: — იმედია, არაფერი გეწყინათ ჩემგან? სიმართლე ჩვენი უმადლესი გამგებელია!.. — ჰუგოს სთხოვა: — თუ ნებას დამრთავთ, ზოგ რამეს განვმარტავ. — ჰერდმა თვალეზი მოუტყა, ხელები მუცელზე დაიკრია და ფრთხილად განაგრძო: — კარგად გესმით, რომ ჩვენ ყველანი, უაქველად, თა-



ნაბრად ვაღმერთებთ ფიურერს. მისი სიღაღედ იმდენად უსაზღვროა და სრულქმნილი, რომ ამისი გავება სხვა ერების გამოჩენილ წარმომადგენლებსაც კი უჭირთ.

— მოკლედ მოპყროთ! — მოუთმენლად სთხოვა ჰუდომ.

— ერთი სიტყვით, აი, რა მინდა ვითხრათ: ფიურერის უკვდავება ჩვენი დიად გერმანულ იმპერიაშია განსახიერებელი. ამიტომ, მისი შენარჩუნებისათვის ზრუნვა ფიურერის სამსახურს ნიშნავს. მაგრამ პიტლერი — ეს მხოლოდ სახელია. ფიურერი კი — გერმანული სული. ამიტომ, თუ თქვენი თანამგზავრი დანინტერესდება, შეძლებს თუ არა გერმანელი ხალხი, ჩვენი დიადი იმპერიის სასახელოდ, უპიტლერიოდაც შეასრულოს თავისი ისტორიული მისია, კარგი იქნებოდა, თუ ამის დასადასტურებლად სარწმუნო საბუთებს მოუტანდით.

— თუკი მიბრძანებენ, — თქვა ვაისმა.

ჰუგო ლემბერგსა და ჰერდთან შეხვედრის შემდეგაც ვაისი კვლავ გუსტავის მართი და უმნიშვნლო დავალებებს ასრულებდა. მაგრამ უკვე ერთგვარი თავისუფლება მიეცა. ამით ისარგებლა და ცენტრს დაუკავშირდა, დაწერილებით შეატყობინა თავისი ამბები და იქიდანაც სათანადო მითითებები მიიღო. ისიც გაიგო, რომ შემდგომში ბერლინელ რეზიდენტთან უნდა დაეკვირა კავშირი.

საიღუმლო შეხვედრის ადგილად ბერკაერშტრასეზე, ვალტერ შელენბერგის შტაბ-ბინის ახლოს მდებარე მასაჟის სალონი იყო დანიშნული.

სალონში პროცედურებს პროფესორი მაქს შტუტგოფი ნიშნავდა. ახალ მაკიენტს უსათულო თვითონ გასინჯავდა, მაგრამ მასაჟს მხოლოდ შერჩეულ ხალხს უკეთებდა, ხოლო მაღალი თანამდებობის პირებს თავისი ძველ-მოძღვრის მანქანით „დანიმლერით“ ბინაზე ეახლებოდა ხოლმე.

ვაისი კაბინეტში ხანში შესული, ქაღარა კაცი დახვდა, სახე სულ დუღუღებში მიღებული კრილობების ნაყოფელებით ჰქონდა დასერილი. როგორც მერე გაიგო, ეს ნაიარევები შტუტგოფისათვის დიდი ოსტატობით დაემჩნია საბჭოთა ქირურგს.

მას მერე, რაც ვაისმა სამკურნალო პროცედურები გაიარა, რითაც განთქმული იყო პროფესორ შტუტგოფის დაწესებულება, სასაიმოვნოდ მოთენთილი მიბრუნდა კაბინეტში, ინფორმაცია ვადასცა და ახალი ინსტრუქციებიც მოისმინა. დამწვიდობებისას პროფესორმა უთხრა:

— არ დაგაიწყდეთ, სალონის აბრეშენი ჯუსტარეს უჩვენეთ, თანაც თანამშრომლებს ჩვენი პროცედურები უქეთ. ყოველ მოსვლაზე

ჩემთან შეხვედრა აუცილებელი არაა. აჯობებდა თქვენს მეკავშირედ ისეთი ვინმე მოგვინახვან, ვისაც ჩემზე მეტი დრო დასწრებლობა ნებოდა აქეთ-იქით სირბილისათვის.

გახსოვდეთ: ჩემი დაწესებულება საქაოლდ შემოსავლიანია და ზოგიერთ კლიენტს დიდ სამსახურსაც უწყევს. რამე ვარემოების გამო ჩემი ასეთი ნაყოფიერი საქმიანობის შეწყვეტა მეტად არასასურველი რამ იქნებოდა. ამიტომ ძალზე იშვიათად უნდა შეგხვდეთ ერთმანეთს.

ყური კარგად დამიგდეთ. ახლა გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მყოფთაგან ზოგიერთნი სხვადასხვა ჭკუფებში გაერთიანდნენ, აშშ-ის და ინგლისის მმართველთაგან ვილა-ცილიანებს დაუკავშირდნენ და სეპარატული ზავის დასადებად საიდუმლო მოლაპარაკებებს ეწევიან. სანაცლოდ გერმანია კისრულობს, რომ პიტლერის აბრას შეეცლის. და ახლა უკვე მოკავშირეთა არმიების მხარდაჭერით ან თუნდაც ეკონომიური დახმარებით, ეცდება აღმოსავლეთში თავისი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ამის საკომპენსაციოდ გერმანია მთელ რიგ დათმობებზე წვა დასავლეთთან. ყოველ ჯგუფს თავისი ვარიანტები აქვს, მაგრამ არის ერთია. ასე რომ, ეს ანტი-დემისტრი კოალიციის ხალხების წინააღმდეგ შეთქმულებაა და სხვა არაფერია.

ჩვენი ვალია, უცილობელი საბუთები შევაგროვოთ მათზე, ვინც მოლაღატეობას იჩენს, თავისი ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ მიდის, არად აცდებს მათი მთავრობების მეთაურთა მიერ ხელმოწერილ ვალდებულებებს და ფარულ მოლაპარაკებას ეწევა საერთო მტერთან.

ასე რომ, ამდაგვარი საბუთების შეგროვება თქვენი და თქვენთან დაკავშირებული ხალხის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. უდიდესი სიფრთხილე გმართებთ, რადგან ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯიც კი იწმამსვე მიახვედრებს მათ, რომ საბჭოთა დაზვერვა ამ მიმართულებით მოქმედებს.

რომ იცოდეთ, ჩვენ უკვე გვაქვს საბუთები ამ მოლაპარაკებებზე და ზოგი მათგანი პიტლერს რომ ჩაუვარდეს ხელში იწმამსვე ბევრი მისი თანამებრძოლის თავი ვაგორდებოდა მიწაზე.

იქნებ სხვა ქვეყნების დაზვერვები ასეც მოქცეულაყვენ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის უმაღლეს მონებს მივდევთ. ჩვენ გვიანდა, კაცობრიობას საფრთხე ავაცილოთ თავიდან. ამ საბუთებს საბჭოთა მთავრობა მოკავშირეთა მთავრობებს, ყოველ შემთხვევაში, მათ მეთაურებს წარუდგენს.

ვალია კოპაჟინიაკი
ფარი და მახვილი

ბისმარკშტრასეზე, კოტეჯებში, ისევე როგორც ბერკერშტრასეს 32/35 ნომერ სახლში, ყველაზე დიდი საპაერო თავდასხმის დროსაც კი არ ფერხდებოდა მუშაობა, თითქოს მუშათა მთელი კვარტალები ამავე ქალაქში, სულ რამდენიმე კილომეტრზე კი არა, სალდაც სხვა ქვეყანაში ინგრეოდა.

თავდაპირველად ვაისი ამ განსაცვიფრებელ თავშეკავებას და სიმშვილეს საიდუმლო სამსახურის თანაშემრომელთა ეპეკატობასა და რკინისებურ ნერვებს მიაწერდა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ცდებოდა. ეს მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ გერმანიის საზღვარგარეთულ დაზვერვასა და მათ ვაშინგტონელ თუ ლონდონელ კოლეგებს შორის კერძო, ჭინტლმენტური შეთანხმებას სჭეროდათ და დარწმუნებული იყვნენ, სიტყვას არაფერ ტყუბდა, როგორც ჩანს, საბჭოეთის მოკავშირეთა სამხედრო-საპაერო ძალებისადმი მადლიერების ნიშნად, რაკი ისინი მუშაობის ნორმალურ პირობებს არ ურღვევენდნენ, გერმანულმა საზღვარგარეთის დაზვერვამ, სხვა ვალდებულებებთან ერთად, გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოგდებულ მფრინავთა გადარჩენა და მეთურეობაც იყისრა.

გებელსი მოსახლეობას მოუწოდებდა ცეცხლწყობილი თვითმფრინავებიდან ბარაშტებიანი დაშვებული ამეროკელი და ინგლისელი მფრინავებისათვის თვითგასამართლება მოეწყოთ.

მაგრამ ტყვედ ჩაყარდნილ ყველა ამეროკელ და ინგლისელ მფრინავს როდი ელოდა ასეთი ხვედრი. ზოგიერთი მათგანი სამხედრო ტყვეთა ბანაკში ხვდებოდა, თან საერთოში კი არა, სპეციალურში, საკმაოდ კომფორტაბელურში. გერმანული საზღვარგარეთული საიდუმლო სამსახურის თანაშემრომლები ყოველნაირად ეხმარებოდნენ ოფიცრებს და გავლენიან პირთა შეილებს, რომ მშვიდობიანად გაქცეულიყვნენ ამ ბანაკებიდან.

ახლა ვაისს ასეთ გაქცეულ სამხედრო ტყვეთა საზღვარზე გადაყვანა ევალებოდა. მას მისცეს „ოპელ“ — ფურგონი. „ოპელს“ ძლიერი ძრავა, საიდუმლო სეიფი, რადიო-გადამცემი და საწვავის ბარაქიანი ავზი ჰქონდა.

ვაისმა უკვე ორჯერ გადაიყვანა მგზავრები საზღვარზე, ერთხელ — შვეიცარიაში, მეორედ — შვეიცარიაში. მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა დავალება.

მისი „ოპელს“ სეიფი გერმანული რაიხს-ბანკის ბეჭდვანი ოქროს ზოდებით იყო საწყე. ოქრო შვეიცარიის ბანკში სდს-ს მეთერ აბონირებულ სეიფში უნდა მოეთავსებინა.

მესამე იმპერიის კანონებით, რაიხის საზღვრებს გარეთ ოქროს გატანა სახელმწიფო

დალატად ითვლებოდა. ქვეყნიდან ოქროს ან ვალუტის არალეგალურად გატანისათვის სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული.

მისი „ოპელის“ მგზავრებს სხვადასხვა ტერიტორიისათვის ვაისს სიკვდილით ემუქრებოდა, თუმცა ეს ყველაფერი თვით პიმპლერის დავალებით კეთდებოდა.

ვაისს ჰქონდა თავდასაცავი საბუთები. მაგრამ თუკი გესტაპო კანონიერ ცნობისმოყვარეობას გამოიჩენდა და ვაისს მანქანაში მგზავრს ან ტერიტოს უპოვიდა, იგივე პიმპლერი დაუფიქრებლად მოაწერდა ხელს მისა სიკვდილით დასჯას. ხოლო შევლენბერგი იმის უცილობელ საბუთებს წარმოადგენდა, რომ იოჰან ვაისი — პეტერ კრაუსი — რაიხის საზღვარგარეთული დაზვერვის კადრებში არასოდეს ირიცხებოდა. მით უმეტეს, რომ ვაისი შევლენბერგის საგანგებო ყვდუში შედიოდა, რომლის კარტოთეკაც მის პირად სეიფში ინახებოდა.

ნაიცტების ყოველ ლიდერს საზღვარგარეთ თავისი ძლიერი და სოლიდური ფენტურა ჰყავდა, რომლებიც ფარულ ფინანსურ ოპერაციებს აგებებდნენ. ვაისს ყველაზე მიმზე დავალება ხვდა წილად — იგი ვალუტის გამტან კურიერად აქციეს.

ვაისს საფრთხეზე მეტად ის აწუხებდა, რომ ამ თავის რეისებში ახალსა და მნიშვნელოვანს ბევრს ვერაფერს იგებდა. მარტო იმის მოწმე იყო, თუ ნაიცტები, რაიხის დამარცხების შემთხვევისათვის, როგორ ეზიდებოდნენ ვირთხებივით თავის ახალ სოროში მარაგს. ვაისს, ამასთანავე, ასე ეგონა, რომ სამსახურბერივი კარიერის უფრო დაბალ საფეხურზე გადაიყვანეს. მაგრამ ეს აზრები საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიისათვის დამახასიათებელი წარმოდგენების ნაყოფი იყო მხოლოდ.

იოჰანს ვერ გაეგო, რომ ამ სამყაროში, სადაც იგი მოხვდა, ოქრო და ვალუტა ყველაზე უჭირფასესი რამაა და, რაკი „ოქროს კურიერად“ დანიშნეს, ეს იმას ნიშნავდა, უდიდესი ნდობა ვანიუტხადეს.

ერთხელ, საზღვარზე გადასვლისას, გესტაპოელები დაედევნენ. ვაისმა ბრძოლა მიიღო და თუმცა მანქანა დაუზიანეს, ტვირთი მაინც მშვიდობით ჩაიტანა დანიშნულ ადგილას. როცა ყველაფერი დამთავრდა, იოჰანს გახარებული დარჩა იმით, რომ სდს-ს ნებართვით და ინსტრუქციის შესაბამისად, რამდენიმე გესტაპოელი გაუყვნა უკან მოუსვლელ გზას.

ვაისი ცოტა დაიბნა კიდევ, როცა ბისმარკ-შტრასეზე დაბრუნების შემდეგ თანაშემრომლები გარაგს მიაწყდნენ მისი დაცხრილული მანქანის სანახავად. ისინი ნატყვიანებს ისეთი აღტაცებით ათვალიერებდნენ, თითქოს ორდენები ყოფილიყოს. ყველანი აღფრთოვანებულები აქებდნენ ვაისს. გესტაპოს მოხსენები-



დან მათ უკვე იცოდნენ, რომ საზღვარზე გადასვლის დროს უნდა უცნობა კაცმა სამი გესტაპოელი მოკლა, ორი კი — მძიმედ დაჭრა. თვითონ, როგორც ჩანს, მოკლულ იქნა შეტაკების დროს“.

გუსტავიც მოვიდა გარეშე და დაფიქრებულმა უთხრა:

— ამის შემდეგ თქვენ სრულიად მშვიდად შეგეძლოთ თავი განსვენებულებში ჩაგერიცხათ. შეეცადეთ საბუთებს იყიდოთ, ოქროსა და ვალუტას თქვენს ახალ სახელებზე ჩააბარებდით შეეცადეთ ბანკში, რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში მოკურცხლავდით, იქ კი ყველა სისარულით დახვედებოდა ახალ მილიონებს.

ვისი მანქანას ათვალერებდა გულდამით და გუსტავის სიტყვებისათვის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ წაიწუწუნა:

— შეეცადე იქნებ მანქანის შესაკეთებლად იმოძუნა ფული მთხოვეს, იძულებული შევიქნები, ჩემი ხელით შეკეთებინა ყველაფერი.

— თქვენ ხომ მილიონი გქონდათ თან. დაგაფიქრდით?

— მე რა ხელი მქონდა იმ ფულთან? — აიჩქრა მხრები ვისმა. — არავითარი.

შეეცადის საზღვარზე ინციდენტის მერე ვისმა ისეთივე ტვირთი რამდენჯერმე შეეცადა გადართანა.

ერთხელ, სტოკოლმიდან დაბრუნებულმა, მასაჟის სალონი მოინახულა და პროფესორს ნაღვლიანად შესჩივლა:

— კარგ შეიტლესავით წინ და უკან დავრბივარ. თითქმის იმე საქმეს დაუბრუნდი, რითაც დავიწყე. — მერე ცოტა დაიპყრებულმა შესთავაზა: — ეგებ თქვენი ბიჭები თავს დამსხმოდნენ? კობტად თუ დამჭირან, ალბათ, დავუძვრები ამ საქმეს. ვალუტა და ოქრო კი თქვენ გამოგადგებათ. მე შხადა ვარ, თუ მიბრძანებთ.

— ბარიშევის აღზრდილისაგან ასეთი რამის მოსმენა მართლაც ვსაკვირია! აი-აი-აი, — დატუქსა პროფესორმა. — რახის იმედს, ასეთი პესიმიზმი არ გეკადრება... არა, ჩემო კარგო, მეტი მოთმინება გმართებთ. დამიჭერეთ, სად აღერ თუ გვიან დაგიფასებთ ამაგს.

ვისმა ამოიხრა:

— მაშ, ძველებურად აღმა-დაღმა ვეხეტო მანქანით?

— ჰო, — უბრძანა ექიმმა. — ამასთანავე, ერთდღე მათთან შეტაკებას, ეინც იმპერიის კანონებს იცავს.

— მათ ამიტხებს სროლა!
 — თქვენ კი გაქცევა ითაილეთ, ხომ?
 — ისინი ხომ გესტაპოელები იყვნენ!
 — მობავალში გიქრძალავთ მსგავს საქციელს.

— თვალაცის მიზნითაც კი ამის შედეგად კანონებიც არ კრძალავს. ბანდირები დამესხნენ, თავს?

— ბელო, თქვენ გონივრული ლაჩრობა გმართებთ.

— კარგი, — დაეთანხმა ვისი, — შევეცდები.

პროფესორმა აცნობა იოჰანს, შენი აქ არ ყოფნის დროს ჰაინრიხ შვარცკოპფმა მიჩენილ სამალავით რამდენიმე მნიშვნელოვანი მასალა გადმოძკათ. ამ საბუთებმა დადასტურეს, რომ გერმანიაში, აღმოსავლეთის ფრონტზე დამარცხებებთან დაკავშირებით, ოპოზიციური ჯგუფები შეიქმნა. ისინი ჰიტლერის ძალით ჩამოცილებას ისახავენ მიზნად. ამას უნდა მოჰყვეს სამხედრო დიქტატურის რეჟიმი, სამხედრო მთავრობის შექმნა, საბჭოთა კავშირის მოკავშირეებთან გერმანული გენერალიტეტის და მრეწველობისათვის მისდები კომპრომიზული ზავის დადება, კაპიტულაცია დასავლეთის ფრონტზე და აშშ-სა და ინგლისის მხარდაჭერით ახალი შეტევა აღმოსავლეთზე.

ამიტომ, ვისის მთავარ ამოცანად კვლავ ის რჩებოდა, რომ სეპარატულ ზავზე რახისა და მოკავშირეების მმართველი წრეების წარმომადგენელთა მოლაპარაკების დადასტურებელი საბუთები ჩაეგრო ხელში.

იოჰანის მანქანა ჯერ ისევ სარემონტოდ იდგა. ახალ დავალებებს არ აძლევდნენ. დარაკი საქმე არ ჰქონდა, ვისმა გუსტავს შვარცკოპფების მონახულების ნაბართვა სთხოვა. გუსტავმა უარი უთხრა. თუმცა, ამასთან უნაურად გაუღიმა და აუხსნა, რომ ამ ბოხოქარ და სამიშ ეამს დასვენება კაცისთვის საუკეთესო ჯილდოაო.

ვისი რამდენიმე დღეს არ გამოსულიყო კოტეჯიდან, მოულოდნელად გუსტავმა სათევზაოდ წასულა შესთავაზა.

იოჰანი სათევზაოდ გამოიწყო, როცა მანქანაში ჩაქდა. გუსტავმა ათვალერ-ჩათვალერა მისი ჩაცმულობა და ძლივს შესამჩნევად ჩაიციან:

— არ მეგონა, თუ ასეთი გამოცილილი მეთევზე იყავით.

ტბებისკენ კი არა, შმარგენდორფისკენ გასწიეს.

— ეს რას ნიშნავს? — იკითხა ვისმა.


— ზედნიერი შესამლებლობა მოგვეცა, რომ გაგახაროთ და ერთი კოლექციონერი გაგაცნოთ.

ვისმა გაკვირვებულმა შეხედა.

— მერე ყველაფერს გაიგებთ.

მანქანა ერთ პატარა რესტორანთან „ოქროს

ვადიო კომუნიკაციო
 ფარი და მხევილი



ირემთან“ დატოვეს და ფეხით განაგრძეს გზა. ვილა ბაღის სიღრმეში იდგა. ეზოსა და ბაღში მათ ვილაც მსახური წარუძღვდა, უკან ორი სამოქალაქო ტანსაცმლიანი პირი მიჰყვებოდა, ორთავეს მარჯვენა ხელი პიჯაკის ჯიბეში ედო. ვილას რომ მიუახლოვდნენ, გუსტავმა ვაისს გამოუცხადა, ბაღში დაველოდებით. ამის მერე ვაისს მხოლოდ მსახური გაჰყვა. მსახური ევსტიბიულში შეჩერდა და დაბალი ხმით უთხრა ვაისს:

— მარცხნივ პირველი კარი. მეორე ოთახი. თქვენი ადგილი ფანჯარასთან მდგარ სავარძელშია.

იოჰანს ოთახში არავინ დახვდა. ფანჯარასთან სავარძელი დაინახა. ცოტა მოშორებით სხვა სავარძელი და ტელეფონებით სავსე მაგიდა იდგა. იმ მეორე სავარძელს სახელურზე სხვადასხვა ფერის პლასტმასის კვადრატული ლილაკები ჰქონდა, ეტყობოდა, რაღაც სიგნალიზაციას ემსახურებოდა.

ვაისი მორჩილად ჩაქდა ფანჯარასთან მდგარ სავარძელში. ნახევარ საათზე მეტი გავიდა, მაგრამ არავინ ჩანდა. იოჰანს უკვე მოსწყენდა შესანიშნავად მოვლილი ბაღის თვალჩერება, სადაც მედიტურად დააბიჯებდნენ გაფუჭული ფარშევანგები. უცერად რბილი, აუჩქარებელი ნაბიჯების ხმა მოესმა.

ოთახში საშუალო სიმაღლის, ხმელ-ხმელი კაცი შემოვიდა, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა. ნაცისფერი კოსტუმი ეცვა, პიჯაკი ქვეშ კი მიუხედავად სიციხისა, — შავი ჯემპერი. სავარძელში ჩაეშვა, ხელები მოთენთილად ჩამოღო სახელურებზე და თავისი შავი, ჩაცვივნილი თვალებით გამომცდელად მიაჩერდა ვაისს.

ვაისი სავარძლიდან წამოიწია, მაგრამ იმ კაცმა სწრაფად ანიშნა ხელით, არ ამდგარიყო. ვაისი ისევ დაჯდა და უცნობს საშუალება მისცა, კარგად დაჰკვირებოდა მას. თავის მხრივ, თვითონაც ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა უცნობს.

მას შავი, გადავლესილი თმა, დიდი ყურები, წერტილი და კეხიანი ცხვირი, ღაწვმაღალი და ლოყებიანკევიანი სახე ჰქონდა. მკაცრად მოკუმულ პირთან ღრმა ნაოქები გაჩნდნოდა. კანი მოყვითალო ჰქონდა, მზით დამწვარი კი არა, უფრო ისეთი, ღვიძლით ავადმყოფებმა რომ იციან. ყველაფერი ეს, ერთად აღებული, უცნობს უფრო მიმზიდველს ხდიდა. ვიღრე უსიამოს.

იოჰანს არ გაუძენდა იმის მიხედვრა, ვინც იყო ეს კაცი. იგი გახლდათ ვალტერ შელენბერგი, სს-ის ბრიგადენფიურერი, პოლიციის გენერალ-მაიორი, უშიშროების მთავარი საიმპერიო სამმართველოს მეექვსე განყოფილების უფროსი. ვაისი გულწრფელი ცნობისმოყვარობით მიჩერებოდა შელენბერგს, რადგან მიხვდა, რომ ეს უთუოდ ეამებოდა მას.

— ახალგაზრდა ყოფილხართ, — უთხრა შელენბერგმა ისე, რომ არ გაუღიჯებია.
— ეს თუ ნაკლია, დრ. ფილიპოვი გამოვასწორებ.

— და თამაზიც, — დაუმატა შელენბერგმა. — მაპატიეთ, ბატონო ბრიგადენფიურერი! — ვაისი წამოხტა და გაეკვიმა.

— დაჯექით, — უბრძანა შელენბერგმა. — მე მხედველობაში მქონდა თქვენი საქციელი სასულვარზე, და არა აქ, ჩემთან.

— მე საუკეთესო მაგალითი მაქვს ამისი, სწორედ მას მივდა მივბაძო, — უბასუხა ვაისმა და შელენბერგს მტკიცედ შეხედა თვალებში. მან ოღნავ გაიღიმა.

— ამსათანავე, ბატიოსანიც. ბევრი ხომ არ არის ერთი კაცისათვის?

— იმისთვის,* ვინც თქვენ გემსახურებათ, არა!

— საზრიანიც ყოფილხართ. — დაუმატა: — ვილი შეარცობფი მეტად გაკვირვებული დარჩა, როცა ახალ სამსახურზე თქვენი შთაბეჭდილებები არ გაუზიარეთ.

— სამსახურზე ლაპარაკი სასტიკად გვეკრძალება, ჩემო ბრიგადენფიურერიო.

— ვისგან?

— თვით ჩვენი სამუშაოს ხასიათით, — სწრაფად იპოვა გამოსავალი ვაისმა.

— მოგწონთ თქვენი სამსახური?

— მე რაიხს ვემსახურები.

— ფიურერს, ასეა მიღებული.

— მესმის, ჩემო ბრიგადენფიურერიო!

— როგორც ჩანს, თქვენ მშვენიერად გაერკვიეთ ჩვენს სამსახურში, — მრავალმნიშვნელოვნად უთხრა შელენბერგმა. მცირე პაუზის მერე ჰკითხა: — გაქვთ რაიმე შეკითხვები ჩემთან?

— ჩემო ბრიგადენფიურერიო, ბედნიერი ვარ, რომ გიხილეთ!

— სულ ესაა?

ვაისმა არაფერი უბასუხა.

შელენბერგი ვაისს თვალებში მიაჩერდა და უცერად გამოუცხადა:

— დაისომეთ თქვენი კიდევ ერთი მეტსახელი — „ფერდო“, მხოლოდ ჩემი პირადი განკარგულებებისათვის. — ცოტა დააყვინა, მერე პლასტმასის ყდაში ჩასმული მოწობა გაუწოდა და უბრძანა: — წაიკითხეთ.

მოწობაში ეწერა:

„ამის წარმოდგენს, 178 სმ სიმაღლისა, 72კგ წონისა, ნაცისფერთვალეზას, უფლება აქვს იმოგზაუროს რაიხის, გენერალ-საგუბერნატოროს, საფრანგეთის, ბელგიის, პოლანდიის ყველა გზაზე; სამოქალაქო თუ სამხედრო ტანსაცმელში ნებისმიერი მანქანით, ნებისმიერ თანამგზავრთან (ან თანამგზავრებთან) ერთად შევიდეს აკრძალულ ზონებში, საკონცენტრაციო ბანაკებში, ვერმახტის თუ სს-ის



საქართველოს
კომუნისტური
პარტია

ქარების გარნიზონებში. მოწმობა მხოლოდ ფოტოსურათიანია ძალაში.

ხელმოწერა: სს-ს რაიხსფიურერი (ჰიმლერი), ვესტაბოს უფროსი (მიულერი) ოკე-ს უფროსი (კაიტელი), სდ-ს უფროსი (კალტენბრუნერი)ა.

— მაგარი მოწმობაა, — თქვა ვაისმა და მოწიწებით დაუბრუნა უკან.

შელენბერგმა მოწმობა დაუდევრად დააგდო მაგიდაზე, წამოდგა, ვაისს ხელი გაუწოდა და უთხრა:

— იმედი მაქვს, თუ ასეთივე შემსრულებელი დარჩით, სულ ახლო მომავალში თქვენი ფოტოსურათი დაგვეკირდება ამ მოწმობისათვის.

ვაისმა გამოწვდილი ხელი ჩამოართვა, თავი დაუქრა და კარისკენ გაემართა.

უეცრად შელენბერგის შეკითხვამ შეაჩერა:

— რატომ არ მოახსენეთ პარტიას კაბიტან ფონ ლიტრიხის ზოგიერთი დანაშაულებრივი საქციელი?

ვაისი სწრაფად შემობრუნდა და მტკიევი ხმით უპასუხა:

— იმიტომ, რომ ჩემს უშუალო უფროსს ბატონ ფონ ლანდლორფს, ამის შესახებ არავითარი მითითება არ მოუცია.

— თქვენ არ მოიხადეთ ნაცის მოვალეობა.

— მე პირველ რიგში ჩემი სამსახურებრივი მოვალეობით ვხელმძღვანელობ.

— თქვენ გინდათ თქვით, რომ პარტიის მისწრაფებებში მოვალეობასა და სამსახურებრივ მოვალეობას შორის რაღაც განსხვავებაა?

— მე ეს არ მითქვამს, — უთხრა ვაისმა.

— მაგრამ მე ასე ვგაგვით.

— თქვენ ასე გინდათ გამოგოთ? — ჰკითხა ვაისმა.

— თქვენ რა, არ გინდათ, რომ ასე ვავიგოთ? იოჰანმა იცოდა, რომ შელენბერგს ჰიმლერთან საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა, ბორმანთან კი — თითქმის მტრული. პოლა, გაბედა:

— დაიხ, თქვენ სწორად ვამიგით, ჩემო ბრიგადენფიურერო.

შელენბერგმა ტუჩები მაგრად მოკუმბა, წაყვიტლებულ სახეზე კიდევ უფრო მკვეთრად დაიანდაღა დაწვები. კარგა ხანს ჩუმად იყო, გამოცდილად უყურებდა ვაისს, მერე მოულოდნელად გაუღიმა და გულთადად უთხრა:

— ბატონო ფონ ლანდლორფი ჩემი მეგობარია: მან კარგად დაგახასიათათ და ამან გადაამწიფებინა, ჩემს პირად სიაში ჩამერიცხეთ, როგორც „ფრედი“. თქვენს ნდობაზე ნდობითვე ვიპასუხებთ. გამორიცხული არაა, რომ უახლოეს დღეებში ფიურერი აბერას რაიხსფიურერს დაუმორჩილოთ, ამით თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ, კვლავ შეხვედეთ ზოგიერთ ძველ თანამშრომელს, მათ შორის კაბიტან ფონ ლიტრიხსაც. — შელენბერგმა კიდევ

ერთხელ, ახლა უფრო მრავალმნიშვნელოვნად, მაგრად ჩამოართვა ხელი ვაისს. იოჰანმა იცოდა, რომ იოჰანმა ბაღში გუსტავი მოქმენა, მან მაშინვე სახეზე შეატყუა, რომ „შეფთან“ შეხვედრამ კარგად ჩაიარა, და თვითონაც უმაღლესად იყო, მაგრად ჩამოართვა ხელი.

გუსტავმა დაივინა, რომ ვაისის წარმატების აღსანიშნავად რესტორან „ოქროს ირემში“ ერთი ბოთლი ძველი, საყოლქციო ღვინო შეესვათ. უფლიც თვითონ გადაიხადა, თუმცა ასეთი ხელაშლილობა ახლო მეგობრებშიც კი არ იყო მიღებული: დაზვერვის ოფიცერები დაჩვეულნი იყვნენ, რომ თითოეულს თავისი წილი უნდა გადაეხადა.

ჰუგო ლემბერგმა კვლავ მიიწვია თავისთან ვაისი და კვლავ მამის კაბინეტში მიიღო. იოჰანმა შენიშნა, რომ თაროებიდან გამჭრალიყო წიგნები და მასალები საბჭოთა კავშირზე.

ამჯერად ჰუგო უფრო გულახდილი იყო. მან ბევრი ილაპარაკა გერმანიის ტრაგიკულ მდგომარეობაზე. თქვა, რომ აბგერის ცნობებით, საბჭოთა ჯარები 1942 წლის შემოდგომასთან შედარებით ხუთჯერ, ექვსჯერ მეტად არიან აღჭურვილნი სამხედრო ტექნიკით, ასევე გაიზარდა მათი საბრძოლო გამოცდილებაც და ახლა გერმანია მხოლოდ სამხედრო საშუალებებით ომს ვერ მოიგებსო.

— ახა მაშ რა საშუალებებია საქირო იმისათვის, რომ არ წაეგოთ? — იკითხა ვაისმა.

ჰუგო პირდაპირ პასუხს მოეროდა:

— ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს ანტირუსეგულტური ძლიერი დაჯგუფება. იგი დაინტერესებულია იმით, რომ შეინარჩუნოს რუსების წინააღმდეგ გამიზნული გერმანიის სამხედრო პოტენციალი. მაგრამ ეს დაჯგუფება ვერაფერს გახდება პიტლერისადმი ამერიკელთა საყოველთაო სიძულვილთან.

— ინგლისში როგორღაა საქმე?

— ჰუგომ ჩაიციანა.

— ათას ცხრაას ოცდაცხრამეტ წელს, ჩერილობა განაცხადა, ნეტავ ინგლისის სათავეშიც ისეთი ნებისყოფისა და სულიერი სიმტკიცის მოღვაწე იდგეს, როგორც პიტლერი იყო. ახლა კი თავისი ხალხისა ეშინია და იძულებულია, ინგლისელი ფაშისტების ლიდერს ლავამი ამოსდოს.

— რუსეთი რაღას ფიქრობს?

— ჰუგომ მხრები აიჩეხა.

— საბჭოთა მთავრობის პოზიცია სტალინმა გამოხატა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს ბოროტი პიტლერული რეჟიმის მოსპობა აქვს მიზნად და არა გერმანელი ხალხისაო.

ზადი კოჰენიოვი
ფარი და მახვილი

ვაისმა ხელები გაშალა.

— აღმოსავლეთის ფრონტზე წარუმატებლობასთან დაკავშირებით, ფიურერმა ბევრი ჩვენი სახელგანთქმული სარდალი მოხსნა პოსტიდან, — თქვა ჰუგომ, — და ამით გენერალიტეტს დააკისრა პასუხისმგებლობა ჩავარდნებზე.

— ახლა კი ეს გადამდგარი სარდლები ცდილობენ, ფიურერს გადააბრალონ ყველა დიდი თუ პატარა სამხედრო მარცხი, — დაცინვით თქვა ვაისმა.

ჰუგომ უქმყოფილო მზერა ესროლა.

— თუ დავმარცხდით, რევოლუციურ ამბოხებას მხოლოდ ამ სარდლებისაგან შემდგარი სამხედრო დიქტატურის მთავრობა თუ აგვაცილებს, — თქვა მან და აღუმატა: — სდს მონაცემებით, სადაც აშკარად გვიოლებულია მდგომარეობა, ახლა გერმანიაში მოსახლეობის მხოლოდ ორმოცდაათ-სამოცი პროცენტი ემორჩილება უყოყმანოდ მთავრობას. ოცდაათი პროცენტი უქმყოფილოა არსებული რეჟიმით, მაგრამ არავითარ საშუალებებს არ წარმოადგენს. დანარჩენები სანდონი არიან. აი, ამით სდევნიან ან ფრონტზე გზავნიან. მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობის ასეთი შეფარდება სტაბილური არ არის: იგი ყოველდღიურად უარესდება. ამ უქმყოფილოთა ასალაგმავად მოკავშირეთა არმიებს იქნებ კიდევ ეკისრათ პოლიციური ფუნქციები. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მოკავშირეთა არმიები შემოვიდნენ გერმანიაში. თანაც ჩვენი წინააღმდეგობით ქანცვაწყვეტილები კი არ უნდა შემოვიდნენ, მაშინ ვერ შეასრულებენ ამ ფუნქციებს.

ვაისმა ჰკითხა:

— იმისათვის, რომ მათ თავიანთი ძალები შეინარჩუნონ, დასავლეთის ფრონტიდან ჩვენი არმიების მოხსნა დაეკვირდება.

ჰუგომ თქვა:

— ჰაულოუსმა სტალინგრადთან მოღალატური კაპიტულაციით გერმანელი ოფიცრის მუნდირი შეარცხვინა. მაგრამ გერმანელი გენერალი ასე დასავლეთის ფრონტზე რომ შიშქცეს, ეს იქნება რევოლუციური ამბოხებისაგან გერმანიის ვადასარჩენად ჩადენილი აქცია.

— მაშასადამე, დასავლეთით ფრონტის გახსნა რაიხის სამსახური იქნება, და არა დალატი. ხომ?

— დიახ, თუ გვინდა იმპერია შევინარჩუნოთ და გერმანია კომუნისტების საფრთხისაგან ვიხსნათ.

•
იოჰანი საქმოდ დიდხანს ასრულებდა შევიცარიისა თუ შევიციის სასახლდგრო ზონაში კურირის ფუნქციებს. მასთან ყოველთვის მო-

დიოდა ვიღაც კაცი, ეტყობოდა, განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი აგენტი, და მანქანის სივრცეში თავისი ხელით ჩაკეტავდა ხოლმე პაკეტს. მეორე ვისალები გულსავე შეიძინა. ისავე სამე ვისალები ვაისმა პროფესორისაგან მას შემდეგ მიიღო, როცა ანაბექდის აღება შეძლო: ერთხელ, ვითომდა აგენტისათვის სამსახურის გაწევის მიზნით, თავისიანად ჩამოართვა ვისალები და სივრცის კარი გაუღო.

ახლა გზავს ვაისს პროფესორის ხალხი ხელეზობოდა. იგი აღება სეიფს, მანქანის შეუჩერებლად გადასცემდა პაკეტს და ცოტა ხელი სვლით განაგრძობდა გზას. მეორე ისევ დაეწყოდნენ ხოლმე და ასევე შეუჩერებლად უბრუნებდნენ პაკეტს. უმიზნოდ დავივიდების გამო შეიძლება და ექვემი აღძროდა: ვაისმა იცოდა, რომ მის მანქანაში ჩადგმული იყო ხელსაწყო, რომელიც ყოველ შეჩერებას ფირზე აღებუდავდა, ისიც იცოდა, რა საფრთხეც ელოდა პაკეტის გახსნის დროს სულ მცირე გაუფრთხილებლობისთვისაც კი. ეს პროფესორის ხალხმაც იცოდა. იოჰანი მათ სახეებს ვერც კი შეავლებდა ხოლმე თვალს. ისე სწრაფად ხლებოდა ყოველივე ეს. მხოლოდ ერთხელ იყო, მეკავშირე დიდი სისწრაფით წამოეწია მოტოციკლით და მოასწრო ვაისისათვის ეთქვა, რომ მისი წყალობით მიღებულნა დოკუმენტებმა სახბოთა მთავრობას თურმე დიდი სამსახური გაუწია. დოკუმენტებმა უცილობლად დაადასტურეს, რომ ვაშინგტონისა და ლონდონის მმართველი წრეების ზოგიერთი ნდობით აღჭურვილი პირი ვერაგობის გზას დაადა და მიუტეველად არღვევს მოკავშირეთა მთავრობების მეთაურთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. აშშ-ის და ინგლისის მთავრობათა მეთაურები იძულებულნი გახდნენ, ელიარეზინათ ყოველივე ეს.

იოჰანმა იცოდა, რომ იმპერიის ყოველი მმართველითაგან სხვებისაგან ძალუდა აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ასევე მოქმედებდნენ სხვა ოპოზიციური ჯგუფებიც. ყველანი, ვინც მოლაპარაკებებს ეწეოდნენ, თან ერთმანეთს უთვალთვალდებდნენ. ყოველი ჯგუფი კაპიტულაციისათვის მოკავშირეებს თავის საზღაურს სთხოვდა. იმისათვის, რომ გაეგოთ სხვები რა საზღაურს ითხოვდნენ, მზად იყვნენ ამ მოლაპარაკებათა უშუალო მონაწილე, თუ კურირი ან მეკავშირე მინც გაეტაცებინათ, ეწამებინათ, მოეკლათ კიდევ. ისინი კი, ვინც საზღაურის ზომას და ფასს აწესებდნენ, კონკურენტებისაგან მიუწევდომეღნი იყვნენ და მათ არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.

გესტაპოს აგენტებმა ორი ასეთი კურირი დაიპირეს. ერთი შევიცარიისა და მეორე შევიციის საზღვარზე. მათთვის მინდობილი საბუთები ჰიმლერის ხელში მოხვდა. მაგრამ კურირები სიყველით არ დასაჯეს, მხოლოდ ვალუტით სპეკულანტობისათვის გაასამართლეს. აქედან ვაისმა დაასკვნა, რომ ჰაინრიხ ჰიმლერმა მშვე-



ნივრად იცოდა ოპოზიციური წყუფების საქმიანობა, მაგრამ რატომღაც ზომებს არ იღებდა.

ვაისმა არ იცოდა, რომ მეკავშირეებისათვის ფორტასლების გადასაღებად გადაცემულ პაკეტებში ჩაწერილი იყო საიდუმლო დიპლომატიის ერთ-ერთი გერმანელი აგენტის საუბარი დასავლეთს. საუბარი იმას ეხებოდა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო გერმანიის ახალი მთავრობის მეთაური. და დასავლეთს ჰიმლერის დასახელება. მან ვარაუდი გამოთქვა, რომ ჰიმლერი თუ ახლა იმპერიაში მორე კაცი იყო, — ჰიტლერის მეტე შეიძლება პირველი გამხდარიყო. მას სისასტიკის უდიდესი გამოცდილება გააჩნდა. ამიტომაც ჰიმლერი სხვებზე უკეთ შეძლებდა კავიტუალაციის შემდეგ ყოველგვარი დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობას.

მაგრამ ვაისმა სხვა რამ იცოდა: ვესტაპოს უშიშროების განყოფილების უფროსმა, ობერ-გრუპენფიურერმა მიულერმა, რომელიც რაინსფურტრობაზე ოცენებოდა, ამას წინათ ერთი აგენტი დაიჭირა, აგენტს ჰიმლერის დეპეშა მიჰქონდა დასავლეთს. დეპეშის შინაარსი მიულერმა ჰიტლერს აცნობა. ჰიმლერი როგორღაც შიშვ გამოძევა ამ საქმიდან. მაგრამ ახლა მიულერსა და ჰიმლერს აშკარად სძულდათ ერთმანეთი. მიულერი ჰიმლერის ყველაზე დაახლოებული პირის, შელენბერგის ხალხს უთვალთვალებდა გადაცილებით, რადგან რაინსფურტის დეპეშებიდან მისი სახელით სწორედ იგი აწარმოებდა მოლაპარაკებებს.

იოჰანს მთელდღეობდა უბრაძეს, ბერნში გამგზავრებულიყო. გუსტავმა ფორტოსურათი უჩვენა და უთხრა:

— მთლიანად ამ კაცის განკარგულებაში იქნებით. სრული პასუხისმგებლობა გეკისრებათ, რომ არაფერი შეემთხვეს მას. ამიტომ, უნდა დაადგინოთ. ხომ არაფერს უთვალთვალებს. თუკი შეამჩნევთ, რომ ვიღაც უთვალთვალებს, ვინც არ უნდა იყოს იგი, მოსწავთ. შესაძლოა, მთელა ჯგუფიც კი დასდგოდეს. რას იზამ, მე მჯერა თქვენი ვეკაცობისა. თუ ცოცხალი ვადარჩებით, შეგიძლიათ, თქვენს მომავალზე არ იდარდოთ. მეკვლობისათვის შევიცარიის სასამართლომ სიკვდილით დასაჯა რომ გადაგწყვიტოთ, არ ინაღვლოთ, იოლად დაგისხნით. შევიცარიის მთავრობამ კარგად იცის, ფიურერმა ეს ქვეყანა მხოლოდ იმიტომ არ დაიპყრო, რომ თავისი მოსახრებები ჰქონდა: ჩვენ მას ვიყენებდით და კვლავაც გამოვიყენებთ ჩვენი მიზნებისათვის.

გასაოცრებელი: შესაძლოა ასეთივე დარჩებები იმათაც მოსცეს, ვინც თქვენთვის მიწოდებულ პირს უთვალთვალებენ. ფიქრობ, გესმით, რომ ისინი ჩვენი სამხედრო მოწინააღმდეგის აგენტები სულაც არ არიან. ამიტომ ჩვენს თანამე-

მამულეებთან იყავით ფრთხილად. გემორბენი ვინც არ უნდა იყენებ ისინი, ეს ერთი უწიბოთაა. თუკი არ დაიფიქროთ.

თქვენ მიიღებთ დიდ თანხას ინგლისური ბანკნოტებით, მაგრამ, — გაეღებო გუსტავს, — შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. რაკი მეტად მნიშვნელოვანი, საგანგებო დაავლება გეძლევათ, ლონდონის ხაზინის ნაკეთობას მოგცემენ. თქვენ ხომ იყავით დაქრალი? შეგიძლიათ მკურნალობის კურსი გაიაროთ იქ. გულუხვად მივიტოვებთ ექიმს ფული და ის გამოგიძენით, რაც უნდა იმკურნალოთ...

სატრანსპორტო თვითმფრინავმა „ლიუფტვან-ზმა“ გათენებისას ჩაიყვანა ვაისი ციურისში. იმავე დღეს დიუნელ-ქაპრესით ბერნში ჩავიდა და სასტუმროში მოეწყო. მას პოლანდიური პასპორტი და საბუთები ჰქონდა, რითაც დასტურდებოდა, რომ გერმანელი პოლიტიკური ემიგრანტი იყო, მაგრამ არც პორტიესა და არც შევიცარიის პოლიციას არ მოუთხოვია მისთვის რეგისტრაციის გავლა.

წყნარი და მშვიდი ქალაქი ნაერძალს მოგაგონებდათ. ომით აფორიაქებულ და აწეწილ ქვეყანასთან თითქოს საერთო არაფერი ჰქონდა და თავისი კეთილდღეობით სავესტ ბიურგერულა ყოფილი ცხოვრობდა.

ჩინოვანებისა და საელჩოების ქალაქი მშვერათა და საიდუმლო აგენტთა ბუნავად გადაქცეულიყო. ესენი შეძლებისდაგვარად ბაჰადენის ბერნის მკვიდრთ სიღინჯში, მეტისმეტ თავზიანობასა და ყიარათიანობაში.

ვაისმა სასტუმროში ძველი, ორადგილიანი სპორტული „ფორტი“ — ფავტონი იქირავა და ნელა უფლიდა ქალაქს, რომ ქუჩები კარგად შეესწავლა, ეგებ გამოსდგომოდა დაელების შესასრულებლად. მალე იმასაც წააწყდა ვისი მეურვეობაც ეკისრებოდა. იგი იდგა და ბერნის ძველ, მეთოთხმეტე საუკუნეში აშენებულ რატუშას ათვალიერებდა.

ეს იყო არისტოკრატიული შესახედაობის მოხუცი კაცი. თავის თანხლებს ახალგაზრდა ქალს ისე თავისუფლად ელაპარაკებოდა ფრანგულად, რომ პარიზელი ჯეგონებოდათ.

გუსტავის მიერ ნაჩვენებ ფორტოსურათზე ამ კაცს მოკლე პიტლერი უღვაშები ჰქონდა, ახლა კი ბევრად გრძელი, კაიზერული უღვაშები გადაეკრინა. სტალინგრადის შემდეგ ბევრმა ხანშიშესულმა ბერლინელმა დაიყენა უღვაშები ძველმოღურ მონარქისტულ ყიდაზე.

ვაისმა მანქანა დააყენა და თვითონაც რატუშას დაუწყო თვალიერება. როცა მოხუცი და მისი თანხლები ქალი მიუახლოვდნენ, ხამალ-

ვალდის კოჰენინი
ფარი და მახვილი

ლა გამოთქვა აღტაცება ძველებური არქიტექტურით.

მოხუცმა ყურადღებით შემოხედა ვაისს, ეტყობოდა, ისიც იცნობდა ფოტოსურათით. მერე ტუჩები ააცმაცუნა, ოდნავ დაუქრა თავი, — ეს კონსპირაციით კი არა, ქედმაღლობით მოუვიდა, მიტრიალდა და ისე ესროლა მკვახედ:

— თუ გულით არა გსიამოვნებთ ამ ძველი ნაგებობის თვალიერება, ნულარ დაატანთ თავს ძალას...

ეს იყო თავიდი ჰოპენლოე, დალესთან მოსალაპარაკებლად ფიფრერის ნდობით აღჭურვილი პირი. იოჰანი მალე მიხვდა, რომ თავადს აქ არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. კანარისსა და შეღწენბერგს ვაისი იმისათვის სჭირდებოდათ ბერნში, რომ თავადისათვის ეგრძნობინებინათ: კარგად ვიცით, რისთვისაც ბრძანდებიან ბერნში და ამიტომაც მოგინიხეთ საპატიო მკველად ჩვენი აგენტო.

მაგრამ დალესს, როგორც ერთხელ თვითონ თქვა, „უფრო პერსპექტიული წარმომადგენლები ერჩივნა სს-ის მმართველი წრეებიდან“. სწორედ ამ „პერსპექტიულ წარმომადგენლებს“ უნდა გაფრთხილებოდა ვაისი გუსტავის დარჩევების შესაბამისად.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაისი გერმანიაში გამოემგზავრა.

ჰაუპტმანმა დაავალა, პირადად გადაეცა შეღწენბერგისათვის, რომ შედიე მზადაა მხარი დაუჭიროს დასახულ კანდიდატურას, მხოლოდ ფიფრერის შეცვლა უნდა დაუკავშირდეს მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმას, თორემ ამ ოპერაციით შეიძლება მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტებმა ისარგებლონ.

იოჰანმა ბერნიდან რამდენიმე ინფორმაცია გაგზავნა ცენტრში იმ არხით, რომელიც პროფესორმა შტუტგოფმა მისწავლა. იმის გადაცემაც მოასწრო, რაც პოლიოფენიკმა ჰაუპტმანმა უთხრა.

გერმანიის საზღვარზე მორიგე ოფიცერმა ვაისს ბრძანება გადასცა, რომ მანქანა დეტოვებინა და სასწრაფოდ გადაფრენილიყო ბერლინში.

თვითმფრინავში ვაისს გარდა მხოლოდ ოთხი მგზავრი აღმოჩნდა. ეტყობოდა, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ და არც ცდილობდნენ გასცნობოდნენ. მთელი გზა კრინტი არავის დაუძარავს. მაგრამ როცა თვითმფრინავი სათადარიგო აეროდრომზე დაეშვა და ვაისიც ტრაპიო ძირს ჩამოვიდა, იმან, ვინც გვერდით მოსდევდა, ელვისებურად დაადო ხელებზე ბორკილქბი. იმავე წამს უკან მომავალმა მეორე მგზავრმა იოჰანს ლაბადა მოახურა, რომ გათოკილი ხელები არ გამოსჩენოდა. დანარჩენი ორიც აქეთ-იქიდან ამოუღდა.

პირდაპირ დასაშვებ მოედანზე შემოვიდა მან-

ქანა, სადაც გესტაპოს ორი ოფიცერი იჯდა. ერთი გაიღო, თანამგზავრებმა ვაისი მანქანაში შეაგდეს, თვითონ კი ისე ზანტად გაემართინა გასასვლელისაკენ, თითქოს არაფერი მომხდარაო.

მანქანის ფანჯრის მიწები შეღებილი იყო და არაფერი ჩანდა.

ვაისი გესტაპოელებს მიუბრუნდა:

— კარგად მუშაობთ.

— გამოდილვება გვაქვს, — გამოეხატებოდა ერთ-ერთი მთავანი.

— იქნებ შეგეშალოთ? — იკითხა ვაისმა და მუქარის ტონით გამოუცხადა: — მე სლ-ს ობერლიტენანტი ვარ.

— ჰოო? — გაუჭვირდა იმავე გესტაპოელს. მერე ჩაიციხა და უთხრა: — ყველაფერი ხდება. ჩვენთან გენერლებიც ბალღებოვით ზღაიან.

— მომარწვინეთ, — თხოვა ვაისმა.

სიგარეტი პირში ჩაუღდეს, სანთებელაც აუწეთეს.

ვაისმა მადლობის ნიშნად დავი დაუქნია, შეაქო:

— შეგძლებით ზრდილობიანად მოქცევა.

— ერთფეროვნება მოსაწყენია! — გაღიზიანდა გესტაპოელმა, ვინც თავიდანვე ეპასუხებოდა.

— მხიარული კაცი ყოფილხარ, — უთხრა ვაისმა.

— სწორია. უბრალოდ, ზუმარა ვარ! — ისევე აანთო სანთებელა და ვაისს ზედ ცხვირთან მიუტანა.

იოჰანმა თავი უკან გადასწია.

— შეეშვი, — ამოღერდა როგორც იქნა უკმყოფილოდ მეორე გესტაპოელმა, — აქაურობა აყროლდება.

— არაფერია, მიეჩვიოს. — პირველმა გესტაპოელმა ისევე მიუტანა ვაისს სახესთან სანთებელა.

ლოყაზე მანი შეეტრუსა, მაგრამ ახლა იოჰანი არ განძაკალა.

— კერკეტი კაკალი ჩანს! — გამოაცხადა პირველმა გესტაპოელმა.

— არა უშავს, მაგისტანები გავეტიტხია, — კუშტად თქვა მეორემ.

იოჰანს თავზე ლაბადა შემოახვიეს. მანქანა ვაჩერდა. იოჰანი ჩამოიყვანეს და სადღაც წაიყვანეს. ჯერ ქვის ფილებით ატარეს, მერე ქვის კიბეებითვე ქვევით ჩაიყვანეს, გზაზე კრდეც გაჩხრკიეს.

ბოლოს დაბადა მოხსნეს და იოჰანმა დაინახა დაბალო, ვიწრო ბეტონის საკანი. ასაკეცი რკინის საწოლისა და ასაკეცივე მაგიდის მეტი სხვა არაფერი იდგა. ასეგათანი ნათურა საკანს თვალისმოშპრელი შუქით ავსებდა. კარს საკვერტი ჰქონდა დატანებული.

კარი გაიხურეს. ცოტა ხნის შემდეგ ზედამხედველი გამოეცხადა. ტუსაღის ტრანსამპელ მოუტანა. უბრძანა, გამოეცვალა, მანამ კი სა-

გულდაგულად შეამოწმა, პირის ღრუც კი გაუ-
სინჯა.

იოჰანი უხმოდ დამორჩილა. ესმოდა, რომ
პროტესტს არაფერი აზრი არ ჰქონდა.

როცა ტანსაცმელი გამოიცვალა, ზედამხედვე-
ლმა კმაყოფილებით უთხრა:

— ნერვიული არა ყოფილხარ!

— აქ რა, მარტო ნერვიულები მოჰყავთ? —
ჰკითხა ვაისმა.

— თვითონ ნახავ, — დაპირდა ზედამხედვე-
ლი, ვაისის ტანსაცმელი წაიღო და წავიდა, სა-
კანის იატაკზე ჩაუშქრალი სივარეტის ნამწვი
დაავლო. იოჰანს ჯერ არ შეეძლო ჯეროვნად
დაეთვაზებინა ეს უდიდესი მოწყალება.

თვეზე მეტ ხანს ვაისი არ დაუბარებიათ და-
კითხვავზე.

ამ ხნის მანძილზე მან დეტალურად აღი-
გინა მესხიერებაში თავისი გარებულები ცხოვ-
რება — საბჭოთა მშვერავისა და გერმანიის
საიდუმლო სამსახურის თანამშრომლისა.

გამომხეობელივით ყოველმხრივ გააანალიზა,
ერთმანეთს შეაღარა, რომ თავისი შეცდომისა-
თვის, წინდაუხედავი საქციელისათვის, სამხი-
ლისათვის მიეკვლია.

ხან იმას ფიქრობდა, რომ საიდუმლო სამსა-
ხურების უფროსთა შორის პირველობისათვის
ფარული ბრძოლის მსხვერპლი შეიქნა. ამას კი-
დეც არა უშავდა.

ყველაზე უფრო ის საშინელი აზრი უფორია-
ქებდა გონებას, ვითუ რაგორც საბჭოთა
მშვერავმა დაუღუგო მიუტევებელი შეცდომა...
ან ჩემთან დაკავშირებული ვინმე ჩავარდაო!

ვაისი ისეთი იშვიათი დისციპლინით იცავდა
ციხის რეჟიმს, რომ ზედამხედველების პატივი-
სცემაც კი დაიშინებოდა. ჯგერისით სარკესავით
აპრიალუნდა ქვის იატაკს, კედლებს კი ჩვირის
წმენდა. მისი ციხის ქონება — ჯამი და კო-
ვნი — მუდამ ბრწყინავდა. დღეში სამჯერ აკე-
თებდა გამამხნეველ ვარჯიშს, სველი პირსა-
ხოცივით იზელდა ტანს, რამდენიმე ათას ნაბიჯს
გადიოდა საკანში, საყვარელი წიგნებით ირ-
თობდა თავს, იხსენებდა ოდესღაც წაკით-
ხულს.

ციხის ყოფის უნივერსიტეტად ვაისის რე-
ვოლუციონერთა გმირობაზე წაყითხული მისი
საყვარელი წიგნები გამოადგა, და კიდევ მამის
მონათხრობი. მამამისმა რევოლუციამდე არა
ერთი წელი გაატარა განმარტოებულ საკანში.

ვაისის ის აზრობებდა, რომ რაკი ვარც სამ-
ყაროს მოწყადა და მარტო დარჩა თავის თავ-
თან, ნელ-ნელა კარგავდა იოჰან ვაისის თვისე-
ბებს. იგი უფრო აღექსნადრე ბელოვს ემსგა-
ვებოდა და მისი გერმანული ყოფა მირაჟივით
ქრებოდა, თითქოს არც ყოფილიყო.

ბელოვი იძულებული იყო, თავგანწირვით

შებროლოდოდა ამას, ნებისყოფა უკიდურესად
დაეძაბა, ყოველი ღონე ეხმარა, რომ თავის თა-
ვისი ვაისი შეენარჩუნებინა. მან აიძულა თავი,
უარი ეთქვა საშა ბელოვის ესოდენ უფასო
მოგონებებზე და-გერმანული იოჰან ვაისის მო-
გონებებით დაკმაყოფილებულიყო, რომელიც
გერმანული საიდუმლო სამსახურის თანა-
მშრომელი იყო და ახლა უშიშვრად დაეტყ-
ვევებინა გესტაპოს.

პატიმრობის მხოლოდ მეორე თვეს გამოი-
ძახა ვაისი გამოძიებულმა. მელოტსა და წელ-
ში მოხრილი გამოძიებულს სამოქალაქო ტან-
საცმელი ეცვა. გამოძიებულმა გულგრილი თა-
ვაზიანობით მისცა რამდენიმე საერთო, საან-
კეტო ხასიათის შეკითხვა.

ვაისის პროტესტი უსაფუძვლოდ დაპატიმრე-
ბის თაობაზე გამოძიებულმა ერთგვარი ყურა-
დღებით მოისმინა, თან ასანთის ღვრით ყურს
იჩიქნიდა. მერე ეს ღერი დინჯად დააბრუნა
ასანთის კოლოფში და დაინტერესდა:

— ციხის ადმინისტრაციას ხომ არ ემდუ-
რათ?

— ჯერ არა.

— მაშინ ხელი მოაწერეთ; — და გამოძიე-
ბელმა ვაისის დაბეჭდილი ბლანკი მიუვლო, სა-
დაც ეწერა, რომ პატიმარს არ ჰქონდა პრეტენ-
ზიები ციხის ადმინისტრაციის მიმართ.

ვაისმა გესტაპოდ გაიღიმა.

— მე ვთქვი: ჯერ არა-მეთქი. — დაიხარა
გამომძიებლისკენ და უთხრა: — ამ ჩვენთვის.
საერთო მეთოდებს საკმარის კარგად ვიცნობ.
ჯერ პატიმარს ხელს მოვაწერიებთ ამ ქალა-
ქში, მერე კი ცხრაპირ ტყავს გავაძრობთ, ასე
არ არის?

გამომძიებელმა უხმოდ შეინახა ბლანკი სა-
ქალაქო და მცველს უბრუნა:

— წაიყვანეთ პატიმარი!

მეორე დღეს ვაისი ისევ გამოიძახეს დაკი-
თხვავზე.

ამჯერად გამოძიებელი სულ სხვაგვარად გა-
მოიყურებოდა. მაგრამ ეტყობოდა, მარტო იმას
კი არ შეეცვალა, რომ ახლა გესტაპოელის მუნ-
დირი ეცვა, რაღაცით აშკარად აღფრთოვანე-
ბული ჩანდა. ვაისი თავიდან ფეხებამდე ათავა-
ლიერ-ჩათვალვით, კმაყოფილება მოიღწეინა
ხელები, ჩვენება წაუყითხა და ჰკითხა, ადას-
ტურებდა თუ არა.

— დიხ, ვადასტურებ.

გამომძიებელმა იმწამსვე მკაცრი, მბრძანებ-
ლური გამოძიებულება მიიღო.

— სტყუი, ვაისი არა ხარ!

— აბა მაშ ვინა ვარ?

— ამას შენვე გათქმევინებთ! — ოცრა და-

ვალი კოჟეხინოვი

ფარი და მახვილი



ვაისს, რომელიც მხილებულია რაიხის სახლ-
რების გარეთ. ოქროს გატანაში, ჩადენილი და-
ნაშუაღლისათვის მიესაჯოს სკვდილით დასჯა ჩა-
მობრჩობით. შენიშვნა: იხელმძღვანელა რა
უცილობელი სამიზნეობით და იმასთან დაკავ-
შირებით, რომ დამნაშავეის მოყვანა ციხის პო-
საბიტლიდან, სადაც იგი იმყოფება, შეუძლებელი
იყო, სასამართლომ განაჩენი დაუსწრებლად
გამოიტანა“.

— კი მაგრამ, მე მგონია, საესებით ჯანბრ-
თელი ვარ, — უთხრა ვაისმა.

— ასლა ამას თქვენთვის აღარავითარი მნიშ-
ვნელობა აღარ აქვს, — უთხრა სამოქალაქო
პირმა და თან სათვალე ბუღღში შეინახა.

გამომძიებელმა კვლავ მიმართა ვაისს:
— მე მოგხსენით ბრალდება ყალბი ჩვენე-
ბის მოცემის თაობაზე, რადგან დადგინდა, რომ
თქვენ მართლაც ატარებთ ვაისის გვარს.

ვაისმა თავი დაუტყრა და ქუსლი ქუსლს მია-
რტყა.

— გაქვთ რაიმე სათქმელი? — ჰკითხა გამოძ-
ძიებელმა.

— მხოლოდ ორიოდ სიტყვა, — ჩაიციხა
ვაისმა. — ერთ-ერთ ჩვენს აგენტს ბერნში ვა-
ლტერ შელენბერგის სახელზე წერილი დაეუ-
ტოვე, სადაც ჩემს მიმართ ამდაგვარი კომბინა-
ციის მოწყობის ვარაუდი გამოვთქვი და ისიც
დავძინე, რომ ბატონ მიულერისაგან საფრთხე
მგლოდა. ამის შესახებ აბერის აგენტმა მაიორ-
მა შტაინგლიცმა გამაფრთხილა.

— რას იზამ, — თქვა სამოქალაქო ტანსაც-
მლიანმა კაცმა, — მით უფრო მალე მიჰყვებით
შტაინგლიცს.

მაგრამ ვაისმა შეამჩნია, რომ მის ამ გან-
ცხადებაზე სამთავე „მსაჯულმა“ მალულად გა-
დახედა ერთმანეთს.

რამდენსაც არ ეცადა იოჰანი, არ ეფიქრა
სიკვდილზე, მაინც არაფერი გამოუვიდა, გონება
არ ემორჩილებოდა.

მან იცოდა, რომ გერმანელებს შეეძლოთ იგი
სიკვდილით დაესაჯათ, როგორც საბჭოთა მშვე-
რავი. და როგორ უნდა მოქცეულიყო სიკვდი-
ლის წინ, ყველაფერი ეს წვრილმანებამდე ჰქო-
ნდა მოფიქრებული. იგი დარწმუნებული იყო.
თავის თავში და იცოდა, რომ უკანასკნელ ამო-
სუნთქვამდე შეინარჩუნებდა საბჭოთა აღამი-
ანის, ჩეკისტის ღირსებას. ღირსებისათვის ბრძო-
ლას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მთლიანად უნ-
და ჩათვროდა და სიკვდილზე ფიქრი დაევიწყებინ-
ა.

მაგრამ იოჰან ვაისად სიკვდილისათვის იგი
არ იყო მზად.

ყველაზე საშინელი ეს იყო, რომ სიკვდილის-
წინა წუთებშიც კი მას არ ეჩნება უფლება

საშა ბელოვად იქცეს. მას გერმანელები იმე
დასჯიან სიკვდილით, როგორც გერმანელი
გესტაპოელები მოკლავენ გერმანელ სიკვდი-
ლო სამსახურის თანამშრომელს. ეს იქნება და
ეს.

ასეთი უაზრო, ტუტუტური სიკვდილი სულს
უფორიაქებდა, აცოფებდა.

ბელოვმა გადაარჩინეს ყველა შანსი აწონ-და-
წონა და იმ დასკვნამდე მივიდა, იოჰან ვაისს
ამ ბილწ ქვეყანაში კიდევ რომ დაეფიქნა სინ-
დის-ნამუსი, თავისი სულმოკლეობით მაინც
ვერ იყიდდა დიდი ხნის სიცოცხლეს. სწორედ
ამ სულმოკლეობის გამოჩენას კი ელოდა მის-
გან ორი კაცი. ისინი მორიგეობაში მოდიოდნენ
მასთან საყანში, ერთი მათგანი, მეტისმეტად თა-
ვაზიანი, ეტყობა, განათლებით იურისტი, კვი-
რამში ერთხელ მოდიოდა. მოთმინებით, დაბე-
ჯითებით და მოღვაქურად არწმუნებდა ვაისს,
რომ საჭირო იყო ეთქვა ყველაფერი, რაც კი
შელენბერგის საიდუმლო დიპლომატიის აგენ-
ტების ბერნში მოღვაქურებაზე იცოდა. ამის სა-
ფასურად პატიებას ჰპირდებოდა. ამ თავაზიან
და განათლებულ კაცთან ვაისი თავხედურად
იქცეოდა, ვალტერ შელენბერგის შურისძიებით
იმუქრებოდა. იურისტი წყნარად და დაბეჯი-
თებით პასუხობდა:

— თქვენ მიერ ხსენებულმა პირმა კიდევ
რომ გაივოს თქვენი აღვლამყოფელი, ვეჭ-
ვობ, რაიმე ინტერესი გამოიჩინოს, რადგან მას
კარგად მოეხსენება, რომ აქ მშენებლობა ეხე-
რებათ ენის აწოდებევენება. ამ გარემოებათა
წყალობით, თქვენ უკვე აღარავითარი ფასი არა
გაქვთ.

— მაშასადამე, თქვენ მერე კიდევ რომ გამო-
თავიუფლოთ, ჩემ მიერ ხსენებული პირი გა-
მისწორდება გრძელი ენის გამო, ხომ?

— უთუოდ, — დაეთანხმა იურისტი. —
მაგრამ იმ პირს, ვინც თქვენი ინფორმაციითაა
დინტერესებული, საკმაო შესაძლებლობები
აქვს იმისა, რომ სხვა ქვეყანაში, ვთქვათ,
ესპანეთში გადაავისროლოთ.

— იმისათვის, რომ მერე იქ შელენბერგის
ბიჭებმა გამისწორონ ანგარიში?

— ეს კონსპირაციის თქვენს ნიჭზე იქნება
დამოკიდებული.

— მე რა დამიშლის ხელს, რომ ესპანეთიდან
შევატყობონ შელენბერგს, რა კომბინაციაშიც
გამხებოთ?

— ეს უაზრობა იქნება. შელენბერგს დრო-
ულად წარუდგენენ თქვენს ჩვენებებს.

— მერე ისა და თქვენი მთავარი პირი
მოილპარაკებენ და ერთად გადაწყვეტენ
ჩემს მოშორებას.

— ამას დრო დასჭირდება. და თქვენ ერთ-

ვალდო კოჰაჰენიკოვი
ფარი და მახვილი

გვარად გაიხანგრძლივებთ სიცოცხლეს. — იურისტმა ფულმა და ჰიოხა: — იმედო მაქვს, შეამჩნიეთ, რა გულახდილად გულაპარაკებით. მეტი გულახდილობა აღარ შეიძლება, ასე არ არის?

— ჰო, რა თქმა უნდა, — უთხრა ვაისმა, — საოცრად გულახდილი ბრძანდებით.

მეორე კაცი ვაისთან საკანში მხოლოდ პარასკეობით მოდიოდა. ამ დღეს ხდებოდა ციხეში სიკვდილით დასჯა და ეგზეკუცია.

ეს იყო დაბალი, ჭმუხი კაცი, სქელი კისერი და ფართო მხრები, მკვრივი, გამომბერილი მუცელი და გაყინულ სახე ჰქონდა.

საკანში შემოსვლისთანავე, პირველ რიგში იმას შეამოწმებდა, მაგრამ დასრულდა თუ არა შეკრული ხელები პატიმარს. მერე პიჯაკს გაიხდიდა, წესიერად დადებდა ტაბურეტზე, სახელოებს დაიმკლავებდა, სქელტყავიან ხელთათმანებს ჩამოიცივებდა და ოცი წუთის განმავლობაში უხმოდ, დიდი გამოცდილებით ურტყამდა ვაისს, ისე, რომ სასიკვდილოდ არ დაესახიერებინა. მერე ჩამოჯდებოდა, დაისვენებდა და ისევ ხელახლა იწყებდა ცემას. წასვლის წინ დაუბარებდა:

— აბა, შემდეგ პარასკევამდე. საბო კვირის მერე გვემის პროცედურები შეუწყვიტეს. თავაზიანმა იურისტმა მიანება თავი. მან ვერაფრით დაიყოლია ვაისი და დამშვიდობებისას შესჩივლა:

— როგორც უსიქოლოვს, მე მესმის თქვენი. თქვენ იმდენად კარგად იცნობთ ჩვენს მეთოდებს, რომ ნდობის კომპლექსი მთლიანად ატროფირებული გაქვთ. ამის გამოა, რომ თქვენთან კონტაქტი ვერაფრით მოვახერხებ.

რამდენიმე დღე შეეშენე ვაისს. მერე უეცრად გააღვიძეს, უსაყვლო ხალხი ჩააცვეს, ხელები ზურგს უკან შეუკრეს და წაიყვანეს. ჯერ ორი ჩამოახრჩვეს. მერე კიდევ ორი. როდესაც ვაისმა და მის გვერდით მდგომმა მოკრუნჩხულმა კაცმა, რომელსაც, ეტყობოდა, ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული, თავი ასწიეს, რომ ტომრები ჩამოეცვათ, ორთავე თავიანთი საკანში წაიყვანეს.

მერე კიდევ ორჯერ წაიყვანეს ვაისი სიკვდილით დასასჯელად. მაგრამ ორჯერვე დააბრუნეს საკანში და ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს უკვე სამჯერ ჩამოხრჩოთ.

ამ სამჯერ გადატანილი სიკვდილის განცდილსავე იოჰანს ყველაფრისადმი გულგრილობა დაეუფლა. როცა ეს შეამჩნია, გადაწყვიტა, საკუთარ თავს მორეოდა და კვლავ სანიმუშო პატიმარი გამხდარიყო.

ვაისის საკანში კვლავ აპრილდა ყველაფერი. გამამხინვეებელ ვარჯიშსაც მიჰყო ხელი. ნახევარი დღე მრავალკლომეტრიან მოგზაურობას უნდებოდა, რომლის დროსაც საყვა-

რელ წიგნებს იხსენებდა ან კიდევ საკანშივე ეტიუდებს ხსნიდა.

დღეებს ბალანდიანი ჯამბუჯი ეტიუდებდა. რადგან იქ, საკანში, არც დღე და არც ღამე ღამე. ჯერ იყო და, ისე გამამხინველებელი კამეზებდა ასეტიანი ნათურა, თითქოს გოგირდ-მეყვასავით თვალები უნდა ამოეწეო. მას მერე კი, რაც ვაისს ის ორი ტიპი შეეშვა, ასეტიანი ნათურა ისეთი სუსტით შეცვალეს, რომ ორ მიმჭრალ ნათელ ზოლად ძლივს ბუტუვდა. საკანში ისე ჩამოხრჩუნდა და აცივდა, როგორც ორმოში. ეტყობა, ძლიერი ნათურა კიდევ ათბობდა ჰაერს. ახლა კი იოჰანს გამუდმებით აჯანჯლებდა სიცივისაგან.

სიკვდილის ახრდილი მუდამ თავს ადგა ვაისს. მაგრამ იგი ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა.

ყოველი დღისათვის დაეღებდას იმუშავებდა. მაგალითად, მოსკოვიდან ფეხით წასულიყო ბაკოეში და ისევ უკან დაბრუნებულიყო — მამასადამე, ორმოცდაექვსი კილომეტრი გაეელო, ჯერ მარჯვნივ ეცვირა, მერე კი მარცხნივ.

ურთულეს ფიზიკურ ვარჯიშებსა და მათემატიკურ ამოცანებს იგონებდა.

ერთი პირობა ყოყმანობდა: ზომ არ დაეუთმონო? მოუწყვები ყველაფერს, რაც შელენბერგს საიდუმლო დიპლომატატაზე ვიცი და ამით დროებით მაინც ვიყიდო თავისუფლებას. მაგრამ, როცა ყველაფერი კარგად აწონდალწონა, დასკვნა: აქამდე მხოლოდ იმიტომ არ ჩამოახრჩვეს, რომ ვერაფერი დააციდენინეს. როცა ყველაფერს დაფქვავს და დაიცილება ისევე მოსპობენ, როგორც საიდუმლო ბარათებისათვის გამოყენებულ პაკეტებს სპობენ. ამას გარდა, მისმა სიმტკიცემ, როგორც ჩანს, გესტაპოელებს აფიქრებინა, რომ პოლიტიკურ საიდუმლო სასახურში იგი გაცილებით დიდი ფიგურა იყო, ვიდრე მათ ეგონათ.

მთავარი კი ისაა, რომ შელენბერგსა და მიულერს ზევითაც პიძლერი დგას. და შელენბერგი პიძლერის დავალებით მოქმედებს. ვაისის ცნობები მიულერმა შელენბერგის წინააღმდეგ რომ გამოიყენოს, იმას პიძლერი გაიგებს. იგი შეარჩევს შელენბერგსა და მიულერს, მერე კი (შეიძლება მანამდეც) ორთავე ეცდება გაუსწორდეს ვაისს. რა თქმა უნდა, იგი შეძლებდა დაძალოდა მათ, იატაკქვეშ წაიდიოდა, მაგალითად, ზუზოვის ჯგუფს შეუერთდებოდა, მაგრამ ეს იოჰან ვაისის კარიერის დაღუპვას ნიშნავდა. ხოლო ვაისის ადგილას შესაღწევად საბჭოთა მშვერავებს დიდი რისკის გაწევა მოუწევთ. არა, უნდა იბრძოლოს თავისი თავის გადასარჩენად, რომ ამით იოჰან ვაისს შეუნარჩუნოს სიცოცხლე.

ციხის ზედამხედველები კი პატივისცემით

განმსჯელებს ამ სიკვდილიანი პატიმრის მიმართ, ასე ჭიუტად რომ უძალიანდებოდა ფიზიკურ და ფსიქიკურ გამოფიტვას, რაც თითქოს გარდღეული იყო ამ პირობებში, როცა ყოველი ახალი დღე შეიძლება მისთვის უკანასკნელი გამოდგარიყო.

ივლისის დამლევს იოჰანს უეცრად მოაეთხეს ზედამხედველებმა. იოჰანმა იფიქრა, დასასჯელად მიეყვარათო.

გაუკვირდა, რომ არც პროსტრაციაში ჩაეკარდა და არც შიშს შეუძრწუნებია. ისიც კი არ უნდოდა, რომ რაიმე მნიშვნელოვანზე ეფიქრა ამ უკანასკნელ წუთებში.

როგორც ჩანს, ისე დაიქანდა სიკვდილზე ფიქრით, სულ დაკარგა მისი შიში. მაგრამ, რატომღაც, სიკვდილით დასჯის ადგილისაკენ კი არ გაუხვიეს, არამედ ერთი სართულით ზევით აიყვანეს, სადაც საერთო საყენები იყო. კორიდორში მიმავალს ესმოდა, როგორ იხურებოდა მიმდებარე კარის კარი, ვიღაც ბეტონის იატაკზე მიაფლატუნებდა ფეხებს, მშველთა დაქედით ქუსლებს ბაყაბუჯი გაუღივდა.

გვერდზე ჩაატარეს გერმანელი გენერალი, უკან გაკრული ხელებითა და დასისხლიანებული სახით. ზურგი თითქოს შეხნეჭოდა, ისე მაგრად აწეებოდა უკანიდან ორი ესესელი ავტომატების ლულებით.

საერთო საკანი, სადაც ვაისი მისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, საარმიო ყაზარმას მოაგონებდა, იმდენი ოფიცერი იყო აქ. ისინი იმ მებრძოლებს ჰგავდნენ, მოწინააღმდეგე რომ უეცრად წაადგება თავს და ერთბაშად ჩაიგდებენ ხელში.

მოწინააღმდეგეს მათთვის სამხრეთელები და ჯილდოები აეკლიჯა, უწყალოდ ეცემა, ორი დაჭრილი იატაკზე იწვა.

არმიელებს გარდა, აქ სამოქალაქო პირებიც იყვნენ. ერთს რატომღაც აბრეშუმის პიჯამო და სახლის თბილი ფლოსტები ეცემა.

სამ სართულად დადგმული დასაწოლი თაროები დაკავებული იყო. ვისაც საწოლები არ ერგო ან ისხდნენ, ან ბეტონის იატაკზე იყვნენ.

ყველასავე მოშორებით ვიღაც სამოქალაქო პირი იჯდა, ზურგით მიყრდნობოდა კედელს. დასისხლიანებული თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა, ეტყობოდა, უფროდ იყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

ქაისმა თუნუქის ტოლჩაში წყალი ჩაასხა, ქაღალდები დაგორგა, იატაკზე დაყარა და ეცხლი წაუქიდა. ასე წვალებით შეათბო წყალი, დაჭრილს სისხლი მოჰბანა და ჭრილობაზე ქაღალდები დადო. მერე თავის პერანგს კალთა გრძლად შემოახია და თავი შეუხვია.

ვაისმა შეამჩნია, რომ პატიმრები ყურად-

ღებით მისჩერებოდნენ. საქმეს რომ შორია წამოდგა, იქ მყოფნი შეათვალიერა და თქვა:

— ბატონებო, ეს არ ღრის ჯარისკაცული საქციელი, დაჭრილს შეეღა უნდა.

— თქვენ რა, ჭკუას გვარიგებთ? — გაბრაზდა ვიღაც ოფიცერი.

— დიახაც, გარიგებთ. ნერვებს გაუფრთხილდით, კიდევ გამოგადგებთ.

იმ საწოლისაკენ გაემართა, სადაც ჭარბ ოფიცერი ჩამოქდარიყო, ეტყობოდა, ეს იყო აქ წოდებით უფროსი, რადგან სხვები პატივისცემით მისჩერებოდნენ. მივიდა და გამოეცხდა:

— ობერ-ლეიტენანტი იოჰან ვაისი, მოსჯილი მაქვს ჩამოხრობით სიკვდილი.

— უკვი? — მხოლოდ ესა ჰკითხა ოფიცერი.

უეცრად ზედა თაროდან ვაისს ჰუგო ლემბერგის გაოცებული ხმა მოესმა:

— ღმერთო ჩემო! ცოცხალი ხართ?

ვაისმა გაუღიმა ჰუგოს. ჰუგო ჩამოხტა ძირს და იოჰანს გადაუხვია.

— ეერ გეტყვით, რომ თქვენი აქ ნახვა გამიხარდა, მაგრამ ვერც იმას დაგიმალავთ, რომ წმინდა ეგოისტური მოსაზრებით მაინც მესიამოვნებინა ჩვენი შეხვედრა, — გამოუტყადა ვაისი.

— ყოჩაღად გამოიყურებით!

— მეტი რა დამჩენია?

— იცით, რა მოხდა?

ვაისმა თავი გააქნია.

ჰუგომ ყურში ჩასჩურჩულა:

— გასოვთ პოლკოვნიკო შტაუფენბერგს,

აი ის, ცალხელია, ჩემთან რომ გაიცანით?

ვაისმა თავი დაუქნია.

— პოლკოვნიკმა ჰიტლერის მოკვლა სცადა

თუმცა უშედეგოდ. ბოშიმ კი აფეთქდა, მაგრამ

ჰიტლერი გადარჩა. ამბობენ, იმ დროს

ისტორიული ფრაზა უთქვამს: „ოჰ, ჩემი

ახალი შარვალი — გუშინ ჩაიცვი პირველად“

ჰუგოს ნერვიულად ემანქებოდა სახე, თვალები

უელვარებდა, თვალის გუგები გაფართოებოდა.

ისტერიულად გაიცინა.

— იქნებ წყალი მოგართვათ? — ჰკითხა

ვაისმა.

— არა, არ მინდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ

მთელ იმ აურაცხელ ღალატსა და ლარობას,

რაც ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებას

მოჰყვა! ვერ მოვასწარი სხვებსაც თავი მო-

მეკლა. ახლა კი ჩამოაკიდებენ. ხომ ჩამოაკი-

დებენ?

— შტაუფენბერგი?

— სხვებთან ერთად დახვრიტეს ავტომობი-

ლების ფარების შუქზე. დახვრიტეს იმათ,

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

ვადიმ კოშენიკოვი

ფარნი და მახვილი

ვინც მაშინვე განუდგნენ შეთქმულებს, როგორც კი გაიგეს, რომ ფიურერი გადარჩა ესეგლების მოსვლამდე დახვრიტეს, რომ თავისი კვალი წაეშალათ, ახლა კი ზოგიერთნი, ვინც დახვრეტაში მონაწილეობდნენ, აქა ბრძანდებიან. აი ერთი მათგანი, საწოლზე რომ წევს. — სასოწარკვეთილმა წამოიძახა: — ყველაფერი დაიღუპა, იოჰან, ყველაფერი! — ცოტა ხანს გაიჟმდა. მერე ხრინწიანი ხმით უთხრა: — შტაუფენბერგმა სიკვდილის წინ დაიძახა: „გაუმარჯოს მარადიულ გერმანიას!“ — იმედითა ჰკითხა: — ალბათ შეამჩნიეთ, რომ ჩემი შეხედულებები განსხვავდება შტაუფენბერგის შეხედულებებისაგან. „გაუმარჯოს დიად გერმანულ იმპერიას!“ — აი, რას შევეყივებდი მე იმის ადგილზე.

— როგორც ჩანს, თქვენ კიდევ მოგეცემათ ამის შესაძლებლობა, — თავშეკავებით უთხრა ვაისმა.

პირველ ორ-სამ დღეს პატიმართა თითქმის მესამედი პირდაპირ დაკითხვიდან წაიყვანეს სიკვდილით დასასჯელად.

პოლკოვნიკს დაბალი შუბლი შეეკმუნა და აღმოფთვებული ქაქანებდა:

— ვფიქრობ, როგორც ოფიცერი, დახვრეტას ვიმსახურებ. სახელმწიფო დამნაშავე მე არა ვარ, რომ ჩამოხრჩობის ღირსი ვიყო. კი იმ მიზნების ერთგული ვარ, რომელთაც ფიურერი ესწრაფვის. პუტჩის მოთავეებს მოჰქონდათ იმისი დამამტკიცებელი საბუთები, რომ რიხსფიურერმა ჰიმლერმა იცოდა ჩვენი უკმაყოფილება პიტლერის და თანაგრძნობით-და გვეყიდეოდა. და რომ სამხედრო დიქტატურის ახალ მთავრობაში უნდა შესულიყვნენ გამოცდილი გენერლები, ვისაც სდ-ს, სს-სა და გესტაპოზე არანაკლები სიმტკიცით შეეძლო მსებების ყოველგვარი უკმაყოფილების ჩახშობა.

— რა გამოდის, პუტჩის მონაწილეებს ჰიმლერი მფარველობდა? — იკითხა ვაისმა.

— სამწუხაროდ, ამას მხოლოდ ნებაზე მიშვება ეთქმის, — ამოიხრა პოლკოვნიკმა. — ჩემი აზრით, — ძლივს გასაგონ ჩურჩულზე გადავიდა იგი, — რიხსფიურერი უფრო იმან ვააცოფა, რომ თავდასხმამ შედეგი არ გამოიღო. შემთხვევითი არ იყო, რომ მან შეთქმულთა ხელმძღვანელების ერთ ნაწილს თავის მოკვლა აცალა, ხოლო სხვები კი დაუკითხავად ადგილზევე დაახვრეტინა.

— თქვენ ამას მხოლოდ იმით ხსნით, რომ მოწმეების მოცილება უნდოდა თავიდან, ვინც იცოდა, რომ ჰიმლერმა „ნებას მიუშვა“ შეთქმულება?

— არა, მარტო ამით არა ჰიმლერი, უკვეც-ლად, კეიანი და შორსმჭვრეტელი კაცია. მან იცოდა, პუტჩი რომ მზადდებოდა და, ალბათ,

კარგად ესმოდა, რა საფრთხეც მოჰყებოდა ამას.

ვაისმა გაკვირვებული სახე გამოიხატა. — მხედველობაში მაქვს ის დიდი საფრთხე, რომელიც თავდასხმის წარმატების შემთხვევაში ემუქრებოდა რაიხს. წარმატება ხელ-ფეხს გაუხსნიდა ფაშისმისადმი ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას, წითლები კი იატაკ-ქვეშეთიდან გამოვიდოდნენ და სათავეში ჩაუდგებოდნენ მათ.

ამრიგად, ჩვენ უნებლიეთ გამოვიწვევდით რევოლუციურ აჯანყებას, რისთვისაც უკვე ჩვენთვის ჩამოხრჩობა კი არ უნდა ეკმარებინათ, არამედ ნაჟუფ-ნაჟუფ უნდა ავეჩხეთ, ან სიბრძნულში ჩავეხრჩეთ და ჩვენი სახელები კი სამაროსოდაც შეეჩვენებინათ. როცა ამას მივხვდი, დავრწმუნდი, რომ სიკვდილს ვიმსახურებ. და მზადაც ვარ სიკვდილისათვის!

— რას იზამთ, — ჩაიციან ვაისმა. — ვეუცაკი ყოფილხართ, თუ ასე გულადად შეგიძლიათ შეხედეთ სიკვდილს.

— მაგრამ სიტუტუცე მოგვივიდოდა, — დამწუხრებულმა თქვა პოლკოვნიკმა, — ჩვენს შეთქმულებას რომ უმცროსი ოფიცრობა დავეუკუებოთ. ისინი სხვაგვარად აზროვნებენ, ვიდრე ჩვენ, უფროსი თაობის ხალხი! განსაკუთრებით საშიში გამოდგა შტაუფენბერგი — ყველაზე აქტიური ორგანიზატორი პუტჩისა. სამწუხაროდ, მეტად გვიან გავიგეთ, რა მავნე ვინმეც ყოფილა. შტაუფენბერგმა დაიფიქრა, რომ მარტო სხვადასხვა ოპოზიციურ ჯგუფებთან კი არა, მემარცხენე სოციალისტებთან და, წარმოადგინეთ მისი თავხედობა, კომუნისტურ იატაკქვეშეთთანაც კი შეგვეკრა ბლოკი. ესეც არაფერი: რუსეთთან მოლაპარაკებას გვირჩევდა!

მან ისეთი აეტორიტეტი და ნდობა მოიპოვა ახალგაზრდა ოფიცრობას შორის, რომ ჩვენი-ვის ძნელი იყო მასთან ბრძოლა. ამას გარდა, განსაცვიფრებლად მამაცი და მტკიცე სულის პატრონი იყო. ერთადერთი ეგ აღმოჩნდა ჩვენს შორის, ვისაც ტერორისტული აქტის ჩაღწევა შეეძლო.

— მამასადამე, თქვენ იძულებულნი იყავით, ზოგ რამეში დაგეთმოთ მისთვის?

— რა თქმა უნდა! მგალითად, ოთხ ივლისს შტაუფენბერგი კომუნისტური იატაკქვეშეთის ლიდერებს უნდა შეხვედროდა. ჩვენ ვერც კი შეუვლავით ამ საზარელი გადაწყვეტილების გამო.

— მერე, შეხვდნენ ერთმანეთს?

— არა. ვგონებ, ვილაც ჩვეთაგანი გონიერულად მოიტყა და ჰიმლერს შეატყობინა, რომ შეთქმულთა წრეში საშიშმა ტენდენციამ იჩინა თავი და მემარცხენე სოციალ-დემოკრატები მზად არიან კომუნისტებთან შეკრან ბლოკიო. შტაუფენბერგის კომუნი-



სტური იატაკქვეშეთის ლიდერებთან შეხვედრის დღევ აცნობა. არ ვიცი რატომ, მაგრამ დანიშნულ დღეს შტაუფენბერგი ვერ მივიდა შეხვედრის ადგილას, როცა გესტაპო დაესხა თავს და კომუნისტები დააპატიმრა. მე ამის შემდეგ ვესაუბრე შტაუფენბერგს. იგი კიდევ უფრო გაფთხებული ამახინჯებდა ჩვენს მიზანს და ამბობდა, რომ შეთქმულებას ფართო დემოკრატიულ მოძრაობამდე დაიყვანდა. ამ მხრით უკვე ბევრი რამ გაეკეთებია კიდეც. — ჩაფიქრებულმა ვამეორა პოლკოვნიკმა, — შტაუფენბერგი მაგენ, ბოროტი არსება იყო. და რაც უფრო მეტსა ვფიქრობ ამასზე, მით უფრო ვგრძნობ, რა სასტიკადაც მოვტყუვდი.

პოლკოვნიკმა მტკიცედ განაცხადა: — რა თქმა უნდა, შტაუფენბერგის აქცია თუ წარმატებით დამთავრდებოდა, ჩვენ, ძველი ოფიცრები, ყველა ღონეს ვიხმარდით, რომ ფიურერის ბოროტი მკვლელობის გამო მასებისათვის უდიდესი სინანული და მწუხარება ჩაგვეწერა. და რაიხის საიდებლად სამარცხივოდ მოგვევითით თავს მკვლელს. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ვინც იმპერიის მეთაურზე აღმართავს ხელს, იგი უდიდესი ბოროტმოქმედი.

— კობტად მოგიფიქრებიათ! — უთხრა ვაისმა. — გამოდის, შტაუფენბერგს მაშინაც ემუქრებოდა სიკვდილი, როცა პიტლერს ხსნიდა თავს, და მაშინაც — თუ წარმატებით დამთავრდებოდა თავდასხმა.

პოლკოვნიკმა მედიდურად დაუქნია თავი. — სხვაგვარად, ყველა ჩვენთაგანს ისტორია იმ ბოროტმოქმედთა შორის მივიჩინედა ადგილს, ვისაც ოდესმე ხელი აღუშართავს მონარქიების მოსაკლავად.

— თქვენ მონარქისტი ხართ? — არა. მმართველობის ეგ ფორმა ძველ-მოდურია. მარტო სამხედრო დიქტატურის მთავრობას აქვს განუსაზღვრელი მმართველობის უფლება. თანამედროვე მსოფლიოში ეს ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც ხალხის დამორჩილების უნარი აქვს და შეუძლია ყველა პრობლემა, ქვეყნის შიგნითაც და მის ფარგლებს გარეთაც, სამხედრო ძალის მეშვეობით გადაწყვიტოს.

— თქვენ მეტად მწყობრი კონცეფცია გაქვთ, — უთხრა ვაისმა. — როგორ წახვედით ფიურერის წინააღმდეგ, როცა მის იდეებს იზიარებთ?

— ფიურერს თვითონ უნდა გაეწირა თავი, რომ ამით შესაძლებლობა მოგვეცემოდა, თავისუფლად გავეხორციელებინა მისი იდეალები. მან მეტისმეტად გამოკვეთა თავის თავში ეს იდეალები. მათ განსახორციელებლად ფიურერი უნდა გაგვეწირა. ამ მხვერპლის მერე და დასავლეთის სახალმწიფოებთან

კონტაქტს დაეამყარებდით და ახალი ძალებით ვიბრძოლებდით ჩვენი იდეალებისთვის. ჩვენი მოსაზრებები მე ქალაქზე ვაღწერე და იქნება ჩემი ერთგვარი პოლიტიკური ანდერძი. — და, ფიქრობ, ახლობლებთან სენტემენტალური წერილების დაგზავნის ნაცვლად, თქვენ ყველა ღონე უნდა იხმარათ იმისათვის, რომ ჩემი ანდერძი აღრესატებს მიუვიდეთ.

პუგო ლემბერგმა ვაისს უთხრა, რომ შეთქმულების ცენტრალური ჯგუფი 1943 წლის ბოლომდე პიტლერის მოკვლის წინააღმდეგი იყო. შიშობდა, რომ ეს ფართო მასების ანტიფაშისტურ ბრძოლას გააღვივებდა. შეთქმულებს მხოლოდ ფიურერის გადაყენება სურდათ, რომ გადატრიალებას რაიხის მეთაურის შეცვლის კანონიერი ხასიათი ჰქონოდა. თანაც, დაღესი მასთან დაკავშირებულ შეთქმულთა წარმომადგენლებს ურჩევდა, არაფერი ელონათ მანამ, სანამ მოკავშირეები არ გადმოხსნებოდნენ ევროპაში.

პიტლერზე თავდასხმა მეორე ფრონტის გახსნას უნდა დამთხვეოდა. გერმანიის ახალი მთავრობა დასავლეთის ფრონტიდან მოხსნიდა ჯარებს, მოკავშირეთა არმია გერმანიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე თვითონ მოსპობდა ანტიფაშისტური რევოლუციური აჯანყების ყოველგვარ შესაძლებლობას.

— მაგრამ პოლკოვნიკო, მაგალითად, — ირონიულად თქვა პუგომ, — წინააღმდეგი იყო გერმანიის კამიტულაციისა ამერიკასა და ინგლისის წინაშე. მისი აზრით, ამას გერმანიას საერთო სამხედრო დამარცხებად ჩაუთვლიდნენ. იგი იმის წინააღმდეგი იყო, რომ ინგლის-ამერიკის ჯარებს მიეზღინათ ქვეყნის ოკუპაცია. მისი აზრით, ანტიფაშისტური ძალები თვით გერმანიის არმიას უნდა დაეთრგუნა, რომ ამით ხალხის მასებისათვის ახალი გერმანული მთავრობისადმი სათანადო პატივისცემა შეთენერა.

— ვითომ? — დაექვდა ვაისი. — უმჯველად. საქმე ისაა, რომ ჩვენ, სამხედროები, თავიდანვე გერმანიის ყველაზე გავლენიან ძალებს უნდა დავყრდნობოდით. მაშინ ჩვენი პუტჩი ყოველმხრივ გარანტირებული იქნებოდა.

— მიიხრ, რა ძალებია ამისთანა? — რაიხის სამრეწველო წრეები. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი პიტლერის შეცვლის წინააღმდეგ იყო. მათ კარგად ახსოვდათ, რა სასტიკადაც გაუსწორდა იგი თავის დროზე კომუნისტურ მოძრაობას; ისიც, თუ რა თამამად და თანმიმდევრულად დაუმორჩი-

**ვადიმ კოშენიკოვი
ზარი და მახვილი**

ლა ეროვნული ძალები სამრევლო მაგნატების ეკონომიურ ინტერესებს. ამას გარდა, — ჰუგომ ხმას დაუწია, — მე ასე მგონია, ჰიმლერამდე მივიდა ხმები, რომ ზოგიერთი ჩვენი გენერალი ყოყმანობდა, ეცნოთ თუ არა იგი რახის ახალ ფიურერად. მათ კი იცოდნენ, რომ ამ კანდადატურას დაბეჯითებით უპირდნენ მხარს ამერიკისა და ინგლისის მმართველი წრეები. ჩემი აზრით, ჰიტლერზე თავდასხმა წარმატებით რომ დათავრებულყო, ჰიმლერი შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობას დაუყოვნებლივ მთელი ძალით დაატეხდა თავს სს-ისა და ვესტაჟის რისხვას.

— შამასადამე, შეთქმულება უიმედო იყო? — არა, რატომ? — კუშტად თქვა ჰუგომ. — შტაუფენბერგის ხმას რომ აუყოლოდით და ფართო დემოკრატიულ ფრონტს დავკავშირებოდი, ეგებ ყველაფერი სხვანაირად დატრიალებულიყო. მაგრამ მე ასეთი გერმანიის მომხრე არა ვარ.

— გერმანელი ხალხი როგორ გერმანიას ირჩევდა?

— ჰუგომ მხრები აიჩეჩა. — ხალხი მარტო მაშინ გამოდგება სახელმწიფო შენობის საიმედო საძირკვლად, როცა იგი მაგრად დატკეპნილი ძლიერი ხელისუფლებით... რუსებს ჰიტლერი თვით გერმანიის საძულველ სიმბოლოდ, სამიხნედ სჭირდებოდათ. ჩვენ კი ვერ მოვუსპეთ ეს სამიხნე...

— გულუბრყვილო მოსახრება! თქვენ გინდოდათ. ფიურერი ჰიტლერი ფიურერი ჰიმლერით შეგვეცვალათ. საბჭოთა არმიის სამიხნე კი გერმანული ფაშისზია.

— ჰო, ეგ მართალია, — ნაღლიანად დაეთანხმა ჰუგომ. — მართლაც, ყველაზე მეტად იმისი კი არ გვეშინოდა, რომ ჰიტლერის ერთგული სს-ის ნაწილები გაგვანადგურებდნენ, არამედ იმისი, რომ ჰიტლერის მოყვას რევოლუციური აჯანყების სიგნალად მიიღებდნენ. ამისიც გვეშინოდა, რომ საბჭოთა ჯარები მანამ მოასწრებდნენ ჩვენი არმიის განადგურებას, სანამ ამერიკული და ინგლისური ნაწილები მოვიდოდნენ ჩვენი ტერიტორიაზე.

ახალგაზრდა ოფიცრები იურგენისა და ბრეკერი მოკლე ზერეულ დაკითხვის მერე საქაწში დაბრუნეს. მათ გამოუცხადეს, რომ სიკვდილით დაისჯებოდნენ და ახლა ღრმა სასოწარკვეთას მისცემოდნენ. მოახლოებული სიკვდილი არ ამინებდათ, ამ მსჯავრს ვაჟაკურად შეხვდნენ, ისინი სულ სხვა რამეს დამწუხრებინა. დაკითხვის ღრმს მიხედნენ, რომ შეთქმულების მოთავე გენერლებს შორის გამკელები აღმოჩენილიყვნენ.

იურგენისა გააფთრებული ამბობდა, ახლა გავიგეთ, აღმოსავლეთის ფრონტზე დამარცხებულისათვის ფიურერის მიერ მოხსნილი ბევრა გენერალი მხოლოდ პირადი შურისგებთ გამხ-

დარა შეთქმულების მონაწილე, რომ თავიანთი სამხედრო მარცხი ჰიტლერისათვის გადაებრალდინათო.

ბრეკერი ჰყვებოდა, შტაუფენბერგისა და მის თანამზრახველებს მიაჩნდათ, რომ უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ვერმახტის არმიის კაპიტულაციის მიღწევა აღმოსავლეთის ფრონტზე. ახლა, — სასოწარკვეთილი იმეორებდა ახალგაზრდა ოფიცერი, — ყველაზე საშინელი ის არაა, რომ ბუერი მონაწილე დასაჯეს სიკვდილით და ბუერს კიდევ დასჯინანო. მათი სიკვდილი რა არის იმასთან შედარებით, რომ ასობით ათასი გერმანელი სალდათი ვერ ავაციდინეთ აღმოსავლეთის ფრონტზე დაღუპვასო.

ამ მოთქმაზე იურგენსმა დამწუხრებულმა უბასუხა:

— მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ შეთქმულების ხელმძღვანელები ერთსულოვნად შეთანხმდნენ ამერიკისა და ინგლისის წინაშე კაპიტულაციაზე, რომ რუსეთთან გაეგრძელებინათ ომი.

— ჰო, მაგრამ ჩვენ შტაუფენბერგს ვემხრობოდით, — შეედავა ბრეკერი, — მასთან კი კომუნისტებმაც შესაძლებლად ჩათვალეს მოლაპარაკება.

— ნეტა ისინი სადღა არიან ახლა? ნუთუ ისინიც გაუღიტეს?

●
ორი დღის შემდეგ ვაისი უცერად ციხის კანტორაში გამოიძახეს და გამოუცხადეს თავისუფალი ხარი.

ციხის ჭოშკართან ვესტავი ელოდებოდა მანქანით. ვაისს მხარზე ხელი დაარტყა და შეაქო:

— დიდი ამბანი ვინმე ბრძანებულხართ. ვუსტავს ბისმარკშტრასზე არც შეუვლია, პირდაპირ შელენბერგის შტაბ-ბინაში მიიყვანა ვაისი.

შელენბერგი კიდევ უფრო გამხდარიყო და გაყვირებულყო. ვაისისათვის არ გაუღიმიო, ისე ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— მე დაწერილებით ვიცი თქვენი ამბავი. — ტივილისიდან შეიჭმუნხა. მარცხენა გვერდი დაიხილა. მერე ჰკითხა: — გაქვთ რაიმე თხოვნა?

— მე მზადა ვარ გემსახუროთ და შევიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ... — დაიწყო ვაისმა.

— მე ეს არა მქონდა მხედველობაში, — მოუთმენლად გააწყვეტინა სიტყვა შელენბერგმა.

— მაშინ, ვთხოვთ, უბრძანოთ, დაპატიმრებულ ვერმახტის ოფიცრები ბრეკერი და იურგენისი გაათავისუფლონ.



— ვაქეთ იმის საბუთები, რომ უდანაშაულონი არიან?

— მათ შეთქმულთაგან არავინ გაუციათ. ეს საუკეთესო საბუთია იმისა, რომ ისინი შეიძლება გამოგადგინენ.

— რა მიზნისათვის?

— მე ვფიქრობ, თქვენ დაფასებთ მათს უნარს. თუნდაც სიკვდილის მუქარითაც კი ვერ ამოადგებენეს ენა.

— ემ უკვე დავფასე თქვენში, — ცალი ყბით გაიღმა შელენბერგმა.

— გმადლობთ, — უთხრა ვაისმა, — მაშასადამე, შემომღია დარწმუნებული ვიყო...

შელენბერგმა ისევ გააწყვეტინა სიტყვა:

— მე ვაპირებდი რაიხსფიურისათვის მიმემართა თხოვნით პირველი ხარისხის რკინის ჯვრით თქვენი დაჯილდოების თაობაზე, თქვენ ვირჩევნიათ, რომ სხვა თხოვნით შევაწუხო რაიხსფიურები?

— ნება მომეცით, გავიმეორო ჩემი შუამდგომლობა.

— კეთილი, — შელენბერგმა მაგიდიდან რაღაც ქაღალდი აიღო, დინჯად დახია და ნაკუწები კალთში ჩაყარა. — შეგიძლიათ წახვიდეთ.

კართან შეაჩერა:

— თქვენ ფიქრობთ, ის ოფიცრები გამოდგებიან სიღრმელო სამსახურისათვის?

— არა, — მიუგო ვაისმა.

— მაშ რისთვის?

— როცა რაიხსფიურები მათ შეიწყალებს, ბატონი მიუღერი ეცდება გამოარკვიოს, ხომ არ იყენენ ისინი რაიხსფიურების აგენტები. — ვაისმა ჩაიციხა: — მიუღერს, მისდა სამწუხაროდ, მარცხი მოუვა. მისი ეს გამოძიება ცნობილი გახდება და ერთი ახალი საბუთი იქნება იმისა, რომ იგი ჰიმლერისადმი კეთილად არაა განწყობილი.

შელენბერგმა უხმოდ, გამომცდელად მისიერებოდა თვალბში და უეცრად გაიღმა.

— ეს უფოლდ გონებაზახვილურია, ახლა მესმის. ვინღათ სამავიერო გადაუხადოთ მიუღერს თქვენი დაპატიმრებისათვის?

— შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, ჩემო ბრიგადენფიურერიო, — უბასუხა ვაისმა, — მაშასადამე, შემომღია დარწმუნებული ვიყო?..

— აგრეთვე, იმაშიც შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, — გააგრძელა შელენბერგმა, — რომ ახლავე ეუბრძანებ, ხელახლა დაბეჭდონ თქვენი წარდგინება ჭილდოზე.

უკან, ბისმარკშტრასეს გზაზე, გუსტავმა

უამბო ვაისს, რომ მასთან დაკავშირებული მთელი მაქინაცია იოლად ამხილეს შელენბერგის სამსახურში მყოფმა კრიმინალურმა უცნობი კაცი საავტომობილო კატასტროფაში კი არ დაიღუპა, არამედ ბევრად აღრე იქნა მოწამლული.

მერე აგენტების მეშვეობით დადგინდეს, რომ ვაისი ციხეში იყო. მაგრამ ვალტერ შელენბერგმა ბრძანება გასცა არაფერი მოემოქმედათ ვაისის დასახსნელად: იქ ყოფნა ხომ სერიოზული გამოცდა იყო, უკეთეს შესამოწმებელ კომბინაციას ვერც მოიფიქრებდნენ ვაისისათვის. მერე ბრიგადენფიურერს, ათასი საქმეებით დატვირთულს, როგორც ჩანს, გადაავიწყდა ვაისი, გახსენებას კი ვერავინ უბედავდა. შელენბერგმა შემთხვევით ნახა ჰიმლერის შიერ ხელმოწერილ სიკვდილმისჯილთა სიაში ვაისის გვარი მხოლოდ მაშინ მიიღო საქირო ზომები.

— მაგრამ ისიც შეიძლება, — დაუმატა გუსტავმა, — რომ არც ჰიმლერსა და არც შელენბერგს იმ რთულ პერიოდში არ უნდოდათ მიუღერთან კინჯაობა. მას შემდეგ კი, რაც ჰიმლერი შეთქმულების მონაწილეებს, რაც მთავარია, მათ შორის თავისთან დაახლოვებულ ხალხს გაუსწორდა, მიუღერისაგან თქვენი დახსნის შესაძლებლობაც გაჩნდა.

— კი მაგრამ, განაჩინის გამოტანის მერე ხომ ყოველ დღე შეიძლება სასარჩობელაზე აეყვანეთ? — უთხრა იოჰანმა.

— ეგ გამორიცხული არ იყო, — დაეთანხმა გუსტავი. — შესაძლოა, სიკვდილის მერე იქნებოდათ რეაბილიტირებული. მაგრამ, იცით, რას გეტყვით, თქვენი ორჯერ დამარხვა მეტისმეტი კი იქნებოდა. — ურჩია: — ჰო მართლა, სასაფლაოზე გავლა არ დაგავიწყდეთ, მშვენიერ საფლავის ქვეს ნახავთ: „დაუფიქსარ იოჰან ვაისმა“. ახლის შეკვეთა მინც აღარ დაგვეპირდებოდა.

როცა იოჰანი თავის ოთახში შევიდა და სარკეში ჩაიხედა, თავისი თავი ვერ იცნო. სარკიდან გაწვალტყავებული, პირქუში ფიზიონომია შემოსცქეროდა. ჩავარდნილი საფეთქლებით ლოყებითა და თვალბებით, თმა უფერული ჰქონდა, ალაც ქაღარა გამორეოდა; კისერი დაწვრილებოდა, ტუჩები თითქოს კბრლებს მიხმობოდა.

— ჰო-ო, — ზიზღით ჩაილაპარაკა, — ტიპიური დისტროფია. — სარკეს დაემუქრა: — ეს ხომ ცილისწამებაა, ა?

მთელი დღე და ღამე ეძინა. ბერლინი კი გაუთავებელი დაბომბვისგან ზანზარებდა.





ნინო ჩიხლაძე

ღარია ახვლედიანი

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

ღარია ახვლედიანის ცხოვრება, ისე როგორც ყველა რევოლუციამდელი მოღვაწე ქალისა, ერთობ რთული და მძიმე იყო. ვისაც კარგად ახსოვს ეროვნული თავისუფლებისათვის თავდადებული ჩვენი მებრძოლი ქალები: ნინო ორბელიანი, დომინიკა ერისთავ-განდევლი, ბაბილინა ხოსიტაშვილი, ლილია მეგრელიძე (მიმქრალი), მარიამ გარიყული, საფო მგელაძე, ნინო ტყეშელაშვილი და სხვ. არ შეიძლება არ ახსოვდეს დიდი ტემპერამენტის, დიდი შემართების მქონე პოეტი ქალი, რომელიც 1905 წლის რევოლუციის დღეებში დროშით ხელში წინ წაუძღვა რკინიგზელთა მღელვარე დემონსტრაციას.

ღარია ახვლედიანი არ ყოფილა დიდი მხატვარი და ლექსის ოსტატი, მაგრამ მისი ნაწერები გამოირჩეოდა უშუალობითა და ბუნებრიობით, რაც მთავარია, სიწრფელით, ამ სიწრფელს ვერაინ წაართმევს პოეტ ქალს. მას კარგად ეხერხებოდა გულის ენით ლაპარაკი.

ღარია უმდგროდა თავისი ქვეყნის მომავალს. მისი ლექსები მკითხველში აღვიძებდა კეთილშობილურ გრძნობებს, ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ლექსებმა თავის დროზე გარკვეული როლი ითამაშა ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში.

მას შეეძლო ომახიანად ეთქვა:

**გათენდეს ბარემ, სიბნელით
ამომიღამდა თვალები,**

**ლოდინმა მომკლა რიფრაჟის,
მის სხივებს ვენაცვალები.
გათენდეს, რაღას უყურებს,
შუალამითვე ფეხზე ვარ,
გათენდეს... დაბადებული,
ხომ იცი, მე მის ბედზე ვარ!**

ღარია ახვლედიანის შემოქმედებაში იგრძნობა მისი დროის, მისი ეპოქის მაჯისცემა.

**იციმიციმე, გულის ვარდო,
შენი ჰირო შემეყაროს,
დე, შენ მყავდე უღარდელი,
მე თუნდ მიწა დამეყაროს!**

ასე მიმართავს პოეტი საყვარელ სამშობლოს.

ღარია ახვლედიანის ლექსების უმეტესობა სოციალურ-ყოფით საკითხებს ეხება. პოეტი ქალი სიძულვილს გამოთქვამს მჩაგვრელი კლასის მიმართ. იმ დროს, როცა მეტეხის ციხე თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლებით ივსებოდა და სტოლიპინის შოლიტიკა ჩამოხრჩობითა და ციმბირით ემუქრებოდა ხალხს, ღარია უშიშრად უმდგროდა:

**უსამართლობის, შურის და მტრობის,
ბოროტებისა პირქვე დამხოხას,
წმინდა სიმართლის ცად ამაღლებას
და ხალხთა შორის ერთობას, ძმობას!**

ღარია გიორგის ასული ქაჯაია ქუთაისის მზრის სოფელ ქაჯანში დაიბადა. წერა-კითხ-

კარგად ახსოვს დარია ახვლედიანი ირო-
ლიონ ედლოშვილის დას, პოეტ ბაბილიან ხო-
ნიტაშვილს:

„უცნაური მიმზიდველობა ჰქონდა დარიას.
ლამაზი ქალი იყო, იშვიათი კლასიკური ნაკე-
თებით. მე, მარიჯანი და დარია კარგი მეგობ-
რები ვიყავით და ხშირად დავდიოდით წაღ-
ვერში, სადაც მას მშვენიერი აგარაკი ჰქონ-
და. ამ სახლში ბევრ კარგ კულტურულ წამოწ-
ყებას შეესხა ფრთები. ვინც კი იმ დროს წა-
ღვერში ისვენებდა — პოეტი თუ მწერალი,
დარიასთან იყრიდნენ თავს. მათ მულამ ხა-
ლისიანად ხედებოდა კეთილი დიასახლისის
თბილი გული. აქ შეგხედდნოვარ იხსებ გრი-
შაშვილს, სოლომონ თავაძეს (ობოლი მუშა),
იე. გომართელს, ხ. ვარდოშვილს, პ. კეშელა-
ვას, ნ. ზომლეთელს, გ. ტაბიძეს, ტ. გრანელს,
მარიჯანს, ელო ანდრონიკაშვილს, შ. შარაში-
ყესა და სხვ.

თქ. რა დიდებული დღეები იყო ეს დღეე-
ში: გატაცებული კამათი ლიტერატურულ სა-
კითხებზე ალიონამდე გასტანდა ხოლმე“.

მართლაც, წაღვერი დარიას უსაყვარლესი
ადგილი იყო. აქ ისვენებდა ის ფიზიკურად,
მორალურად. აქ ქმნიდა თავის ლირიულ,
მგრძობიარე ლექსებს:

დარიას უახლოესი მეგობარი იყო ოციან
წლების უნივერსიტეტი პოეტი გ. ტაბიძე. ამ მე-
გობრობის შესანიშნავ ლიტერატურულ დო-
კუმენტს წარმოადგენს პოეტი ქალის მიერ გა-
ლაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი:

როცა ფიქრებით გული ღონდება
და დაიცლება ჩემთვის სამყარო,
იმ წუთში მხოლოდ შენ მაგონდება,
შენ მაგონდება, ძმა, შეგობარი.
შენს ლექსთა კრებულს უფრო ვატარებ,
შენს ლექსთა კრებულს ვეაღერებნი,
დამწვარ სტრიქონებს ჩემს სულს ვადარებ,
მიხილავს და მიყვარს შენი ლექსები.

გალაკტიონმა იშვიათი ძმური მეგობრობა
ვაუწია დარიას. პოეტი ქალის გარდაცვალებ-
ის შემდეგ მის ობლად დარჩენილ შვილი-
შვილს, რამელსაც მშობლები ადრევე დაეხოც-
ნენ, გალაკტიონმა უბატონა. ბავშვი თავისი-
სთან გადაიყვანა და მთელი სიცოცხლის გან-
მავლობაში მზრუნველობდა მას.

დარია ახვლედიანის შემოქმედება აღსავსეა
ნათელი აზრებითა და ღრმა შინაარსით, იგი
უძლეოდა თავისუფლებას, ხალხთა შორის ძმო-
ბას, მეგობრობას, სწამს მშრომელების გამარ-
ყვება და იცის ისიც, რომ შორს არ არის თა-
ვისუფლება.

მალე მოვა შეების ღმერთი,
მალე დაპყრავს ელვის ქარი,
რისხვა ზვირთად გადმოსკდება,
შხამი გულში ნაგუბარი.

არანაკლებ აღლვებდა დარიას ქალის კარ-
ჩავეტილი ცხოვრება და მისი უფუფლებობა,
იბრძოდა ქალთა დამოუკიდებლობისათვის,
გონების გახსნისათვის, მათი ინტელექტუალუ-
რი ცხოვრებისთვის.

ამ მხრივ შესანიშნავია მისი ლექსი „ქუჩის
ქალი“. ამ ლექსს კითხულობდნენ მუშათა უბ-
ნებში მუშათა კლუბებში სცენიდან და ყო-
ველთვის ტაშით აჯილდოვებდნენ ავტორს:
ახალგაზრდობამ ზეპირად იცოდა იგი. ცნო-
ბილ სტრიქონებს ერთხელ კიდევ მოვაგონებ
მკითხველს:

დღეს ქუჩა-ქუჩა დაძრწი, წანწალებ,
ღუბჯირ ცხოვრებით დევნილი ხული,
გშია — ქვითინებ, გცოვა — კანკალებ,
ტანჯვით ძაღლინე გამოლეული.

ამავე თემის მიუძღვნა დარია ახვლედიანმა
ლექსი „ნინო ორბელიანს“, სადაც გულმოკ-
ლული ჩივის და საყვედურს გამოსთქვამს,
რომ მე-19 საუკუნის ნიჭიერი პოეტი ქალი
ნინო ორბელიანი მენშევიკური მთავრობის
უფურადღებობით მოხუცებულია თავშესა-
დარში შიმშილით დაიღუპა.

ერთხელ სხვიმოსილს ნიჭით, მშვენივით,
საქართველოში პირველი ქალი,
რა უფლება გვაქვს, ისე შეგხედოთ,
როგორც საბრალოს და სამოწყალოს.

დარია მოესწრო ოქტომბრის რევოლუციას,
საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარებას. საკუთარი თვლით იხილა ქართვე-
ლი ხალხის ბედნიერება, თავისუფლება. სიკე-
დილამდე გულწრფელად უმღეროდა ახალ
ცხოვრებასა და მის მიღწევებს.

ფაშისტური გერმანიის თავდასხმის დღეებ-
ში ხანდაზმული პოეტი ქალი ავადმყოფობამ
სამუდამოდ მიაჯკვა სარეცელს. მაგრამ აქაც
მომაგლის გამარჯვების ღრმა რწმენით ხუჭუ-
და თვალბას.

დღეს, ბუნებრივად გვაგონდება მისი ლი-
რიული სტრიქონები:

ჩემს სათუთ სხეულს დღეს მიწა ფარავს,
ისევ კუბოში ვარ ჩაკეტილი,
ვიღაცა მოიღს, მიშენებს კარავს,
აღმათ იქნება ვინმე კეთილი.

ასრულდა მისი წინასიტყვაობა. დარია
ახვლედიანის სახელი ღირსია მოგონების და
დაფასებისა, პოეტი ქალი მულამ გვერდით
ვდგა და ხმას აძლევდა ისეთ მგზნებარე მეტრ-
ძოლებს, როგორც იყვნენ ირ. ედლოშვილი,
ნ. ჩხიკვაძე, გ. ქუჩიშვილი, და სხვ. და არ შეე-
ცდებოდა, თუ ვიტყვით, რომ მდ. ახვლედიანს
მათთან ერთად შექმნდა თავისი გარკვეული
წვლილი მუშათა კლასის გათვითცნობიერების
დიდ საქმეში.



ქერნალ „ნისკრის“ 1969 წლის ნომრების შინაარსი

რომანი, მოთხრობა, პიესა, ნოველა.

- ავალიშვილი მანანა — წყურვილი (მოთხრობა), № 10.
- ავალიანი გიორგი — მოთხრობები, № 9
- ანდრონიკაშვილი ბორის — ქაბუკები (მოთხრობა), № 9
- არაბული შოთა — როშკის ბილიკზე (მოთხრობა), № 2
- არდამელია ციალა — ნაილი (მოთხრობა), № 7
- არჩვაძე გოჩა — ზამთარი (მოთხრობა), № 3
- ასკურავა დავით — ბასილა (მოთხრობა), № 2
- ბადალაშვილი არსენ — ორი კაცი (მოთხრობა), № 1
- ბარდაველიძე ბეჟან — მოთხრობები, № 8
- ბატიაშვილი ნელი — მოლოდინი (მოთხრობა), № 8
- ბრეგვაძე ლალი — ფერის გახსენება (მოთხრობა), № 10
- გამარა ბიერ — გამარავლება (ნოველა), ფრანგულიდან. თარგმნა ცისანა ბიბილიეშვილმა, № 8.
- გეწაძე აკაკი — უკანასკნელი ტყვია (მოთხრობა), № 8
- გოგოლაძე თენგიზ — ჩალისფერი ძროხები (მოთხრობა), № 8
- გოლზუორთი ჯონ — მტრობა, ყოფილი 299 (ნოველები), ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ, № 6
- გრინი ალექსანდრე — მარატი (მოთხრობა), თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ, № 12
- დავითიშვილი ასმათ — როცა მოკვდები (მოთხრობა), № 11
- დოჩანაშვილი გურამ — ნაბიჯი (მოთხრობა), № 3; მხიარული ბორცვი (მოთხრობა), № 9.
- ელიაშვილი მერაბ — ავე... (მოთხრობა), № 2
- თაბუკაშვილი ლაშა — მოკლეს ბიჭი (მოთხრობა), № 7
- თაქთაქიშვილი თენგიზ — უღელი (მოთხრობა), № 8
- ინანაშვილი რევაზ — საღამო ხანის ჩანაწერები (მოთხრობები), № 12
- კაცკა ფრანც — ნოველები, გერმანულიდან თარგმნა ნოდარ კაკაბაძემ, № 7

- კინწურაშვილი ირაკლი — ოდინი (ფანტასტიკური მოთხრობა), № 5
- კობერიძე კარლო — დანაშაული და სსსრკელი (მოთხრობა), № 1; თეთრი თიკანი (მოთხრობა), № 9
- კოლდუელი ერსკინ — რეიჩელი (ნოველა), ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ გემაწავილიმ, სინათლე (ნოველა), ინგლისურიდან თარგმნა გიული ლეჟავამ, № 5
- კოციუბინსკი მიხაილო — მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები (ნაწყვეტი რომანიდან), უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა, № 9
- კოუენიკოვი ვადიმ — ფარი და მახვილი, თარგმნა გურამ გვერდუიძემ, № 12
- ლაბაძე გოგი — ბებრები (მოთხრობა), № 10
- ლორთქიფანიძე კონსტანტინე — ჩემი პირველი კომპოზირელი (მოთხრობა), № 3; გაუმარჯოს დონკიხოტს! (მოთხრობა), № 8
- მაჭავარიანი დავით — მოთხრობები, № 2
- მირიანაშვილი დიმიტრი — უიღბლო კაცი (მოთხრობა), № 3
- მიშველაძე რევაზ — მოთხრობები, № 4; მოთხრობები № 10
- მორუა ანდრე — ბიოგრაფია (ნოველა), თარგმნა ვახტანგ უღენტმა, № 2
- პაუსტოვსკი კონსტანტინე — სიმი (მოთხრობა), თარგმნეს ბორის ბოლქვაძემ, ბორის პეტრიაშვილმა, № 7
- სანადირაძე გიორგი — როგორ ვერ იცნო ვარლამ ივანეშვილმა თავისი სოფელი (მოთხრობა), № 2
- სიმონიშვილი მეია — თეთრი ცა (მოთხრობა), № 3
- სიხარულიძე ვლადიმერ — მეათე მოწმე (მოთხრობა), № 9
- სტეფანიკი ვახლი — ნოველები, უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა, № 9
- სულაკაური არჩილ — ქამი დასვენებისა (მოთხრობა), № 11
- ქაქუაძე იროდიონ — მწუხრი (მოთხრობა), № 4
- ქარჩხაძე ჭემალ — მარიანა (მოთხრობა), № 1; ოპერაცია „ღეღღა ტასო“ (მოთხრობა), № 6

- ქეთელაური სულხან — ორაგული (მოთხრობა), № 5
- შალიაშვილი მედეა — მამიდა (მოთხრობა), № 2
- შამანაძე ნოდარ — ხე მრუდე და ხე მართალი (მოთხრობა), № 2; გოგლა და გოგლაურა (მოთხრობა), № 12
- შტირიტატიერი ერვინ — შულცენბოფის კალენდარი (ნოველა), გერმანულიდან თარგმნა ოთარ ხუციშვილმა, № 3
- ჩაჩანიძე როდამ — მოთხრობები, № 1
- ჩანტლაძე ლევან — პაველ ბურე (მოთხრობა), № 1
- ჩეკურიშვილი ვალერიან — კირით თუ ნაცრით (მოთხრობა), № 8
- წულთისკირი ნოდარ — თუთარჩელა (რომანი), № 4, 5, 6, 7
- ჭილია სერგი — შვილები (ქრონიკა), № 3, 4, 5, 6
- ჭეიშვილი გოდერძი — კადრების ინსპექტორი (მოთხრობა), № 10
- ჭოხონელიძე ბადრი — დამალობანა (მოთხრობა), № 3; მოთხრობები, № 10
- ხორგუაშვილი გიორგი — უთქმელი საღვებრძელო (მოთხრობა), № 10
- ჯაფარიძე რევაზ — აღსარება (მოთხრობა), № 5
- ჯაფარიძე სიმონ — მივლინება (მოთხრობა), № 11
- ჯოხის ჭეიშ — შემადგენელი ნაწილები (ნოველა), ინგლისურიდან თარგმნა ჭულიეტა მკედლიშვილმა, № 1; ჯაკომო ჯოხის, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა, № 11
- ჯოხაძე მაკა — გურამ-გურამ (მოთხრობა), № 3; მოთხრობები, № 10
- ლექსები, კომედიები, დრამატული კომედიები.**
- აბაშიძე ირაკლი — ლექსები, № 11
- აბლაღ-ჩხვაბ აღ-ბაიათი — ლენინი (ლექსი), თარგმნა ჭანსულ ჩარკვიანმა, № 7
- აბრამიშვილი მარი — მაშინ (ლექსი), № 3
- ადგიშვილი ნოდარ — ლექსები, № 1
- ალექსოვიჩი მირა — ოქტომბრის ზღაპარი (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 5
- ალხაზიშვილი გივი — ლექსები, № 11
- ანთოისი პეტროს — მაგზოლეუში (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 4
- არაბული მინდია — კავკასიონზე იდგა ლენინი (ლექსი), № 3
- არკონადა სესარ — საოქტომბრო საუბარი (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 4
- ბანოვი ბანჩო — უცნაური ამბავი, რომელიც ერთ კაცს გადახდა (ლექსი), თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
- ბაშვი ვლადიმერ — ლექსები, თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
- ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 6
- გიგეჭკორი გივი — ლექსები, № 3; ტრანსპირტორი (პოემა), № 10
- გერმანოვი ანდრეი — ხიდი (ლექსი), თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
- გეროვი ალექსანდრ — ედელვინდ (ლექსი), თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
- გიგაური გიორგი — ლექსები, № 6
- გიდაში ანტალ — ლენინს (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა № 4
- გოგიაშვილი კუკური — ლალი და კნუტი (საბავშვო ლექსი), № 6
- გორა იოზეფ — მოსკოვში (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 4
- გოთე ოიპან ვოლფგანგ — ლექსები, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა, № 10
- გორგანელი ვახტანგ — ლექსები, № 7
- გურუშიძე ნოდარ — ლექსები, № 12
- ღალჩივი ატანას — სალამო (ლექსი), თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
- დასკალოვა ლიანა — არქიმედი ცხრაასჩვიდმეტში (ლექსი), თარგმნა გივი კაკაბაძემ, № 11
- დრაჩი ივან — ლექსები, თარგმნეს ოთარ ჭილაძემ, გივი ძნელაძემ, № 9
- ვინგრანოვიჩი მიკოლა — ლექსები, თარგმნეს ნინა აბესაძემ, გივი გიგეჭკორმა, გივი ძნელაძემ, № 9
- თუმანიანი ოვანეს — ლექსები, თარგმნეს გივი შამსაზარმა, ჭანსულ ჩარკვიანმა, გრიგოლ ცეცხლაძემ, № 9
- იღენ კორეზე ლიმა — მზისკენ (ლექსი) თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 4
- იეტიხი უილიამ ბეტლერ — სედა სიყვარულისა (ლექსი), ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნაინიძემ, № 3
- ივარდავა დილარ — ფიფქი (ლექსი), № 5; ვლადიმერ ლენინს (პოემა), № 10
- კაკუშაძე თენგიზ — ლექსები, № 4
- კაჭხიძე გიორგი — ლექსები, № 8
- კახიძე მედეა — ლექსები, № 9
- კერესელიძე ნუნუ — ცხრათვალა მზე გამიღებებს (საბავშვო ლექსი), № 6
- კერძევაძე ელდარ — ლენინგრადის ღამე (ლექსი), № 1
- კვიციანიშვილი ემზარ — ლექსები, № 5
- კიტი ჯონ — ლექსები, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნაინიძემ, № 3
- კოროტიჩი ვიტალი — ლექსები, თარგმნა ჭანსულ ჩარკვიანმა, № 9
- კუპრავა ოთარ — ლექსები, № 1
- კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 2
- ლეონიძე გიორგი — ლექსები, № 12
- ლინდელი ჭეკ — ლენინი ლონდონში (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 5
- ლორთქიფანიძე კონსტანტინე — ლექსები, № 1; ძველი რვეულიდან (ლექსი), № 9

მეგობრობის ტაგუ — შენი სახელის მარადი-
სობა (ლექსი), № 4
მელუ ცისანა — ლექსები, № 3
მინდაძე ბიძინა — ლექსები, № 1; ლექსები, № 7
მირნელი მირიან — ლექსები, № 10
მონყადა ხულიო — ბედნიერების დასამკვიდ-
რებლად (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხი-
შვილმა, № 5
ნერულა პაბლო — ლექსები, თარგმნა გივი ძე-
ლაძემ, № 7
ნიშნინიძე შოთა — ახალი წიგნიდან (ლექსე-
ბი), № 1
ოლინგტონი რიჩარდ — ლექსები, თარგმნა
თამაზ ჩხენკელმა, № 2; ალვის ხე (ლექსი),
თარგმნა გიორგი ნიშნინიძემ, № 3
ოლინინი ბორის — ლექსები, თარგმნეს შოთა
ნიშნინიძემ, ეშვარ კვიციანიშვილმა, № 9
ოინანი ესმა — სვანური მოტივები (ლექსე-
ბი), № 8
ოქიბაშვილი ევგენია — ლექსები, № 12
ორჭონიკიძე იზა — სიმღერა ზედაზნისა და მზი-
სა (ლექსი), № 2; შენი ბილიკი ირჩევა ვიდ-
რე... (ლექსი), № 7
პავლიჩან დმიტრო — ლექსები, თარგმნეს მურ-
მან ჭგუბურიაძე, ჭანსულ ჩარკვიანმა, № 9
პავლოვი კონსტანტინ — ლექსები, თარგმნა
მუხრან მაჭავარიანმა, № 4
პაუნდი ეზრა — ლექსები, ინგლისურიდან თარ-
გმნა ზვიად გამახურდიამ, № 9
პეტრიავილი გურამ — ლექსები, № 10
პორუმბაკუ ვერონიკა — დიდი სიტყვებზე (ლე-
ქსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 4
რადავან აშ-შახალი — პოემა ლენინზე (ლექსი),
თარგმნა ჭანსულ ჩარკვიანმა, № 7
რახინი — ფედრა, თარგმნა ოთარ ქილაძემ,
№ 10, 11
რაკოვსკი ვიტო — ლექსები, თარგმნა მუხრან
მაჭავარიანმა, № 4
რიკორდი ეჯელ — ინტიმურობა (ლექსი), ინგ-
ლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნინი-
ძემ, № 3
რუფევიჩი თადეუს — ლექსები, (პოლონურიდან
თარგმნა ჭემალ ჭელიძემ), № 6
სალუქაძე ანზორ — ნანილი (დრამატული პო-
ემა თუშების წარსულიდან), № 12
სამხარაძე-ჭლამაძე ეთერ — ლექსები, № 10
სანგულია შალვა — ცოცხალი აზრი (ლექსი),
თარგმნა გივი კაკაბაძემ, № 11
სენდბერგი კარლ — ლექსები, ინგლისურიდან
თარგმნა ზვიად გამახურდიამ, № 9
სტანიშვილი კრისტო — ოვილიუსის მონოლოგი
(ლექსი), თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
სტილია ლიდა — ლექსები, № 3
სულბერიძე ლალო — ლექსები, № 4
ტაბაძე ალექსანდრე — ლექსები, № 2
ტო-ხიუ — მარად უკვდავი (ლექსი), თარგმნა
რევაზ მარგიანმა, № 8

უაილდ ოსკარ — სილუეტები (ლექსი), ინგლ-
სურიდან თარგმნა გიორგი ნიშნინიძემ, № 3
უორდსუორთი უილიამ — „მე ახლავ ჩემს
ლავს...“ (ლექსი), ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნინიძემ, № 3
ფურნაჩიევი ნიკოლა — უკვდავების წინ (ლექ-
სი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 5
ფორჩიძე შალვა — ლექსები, № 5
ფშური ნატირილემი — ჩაიწერა გიორგი თურ-
მანაულმა, № 7
ფხოველი ჭარგი — არახიჯის გადასავალთან
(ლექსები), № 6
ფინენფაძე ნანა — ლექსები, № 5
შაკირი სამად — მაღალი ცეცხლი, კეთილი ცე-
ცხლი! (ლექსი), თარგმნა გივი ძელაძემ, № 11
შალამბერიძე ოთარ — ლექსები, № 1
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 9
შამანაძე ნოდარ — მარინე მიდის წყაროზე (სა-
ბავშვო წიგნები), № 6
შერაზადიშვილი ჯაქარია — ლექსები, № 6
შუამდინარეთის პოეზია — ინანა და დუმუზი,
შუმერულიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ,
№ 5
ჩანტლაძე შოთა — ლექსები, № 6
ჩხეტანი მზია — აურაცხელი კელაპტარი ენთო
ნაპირთან... (ლექსი), № 3
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 9
ძველი ბერძნული ლირიკა (საფო, ანაკრონტი,
ალკეოსი, სოლონი), ძველი ბერძნულიდან
თარგმნა გიგლა სარიშვილმა, № 12
ძველი ეგვიპტური ლირიკა, თარგმნა მურმან
ლგბანიძემ, № 1
ძველი ეგვიპტური მითები — თარგმნა და წი-
ნასიტყვაობა დაურთო გივი მალულარიამ,
№ 9
ძნელაძე ვახტანგ — ლექსები, № 11
წერეთელი ნუგზარ — ეჭო (ლირიკული პოე-
მა), № 6
ჭავჭავაძე ლია — ლექსები, № 8
ჭიჭინაძე გივი — ყვავილების ოცნება (საბავშ-
ვო ლექსი), № 6
ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 2
ხარაშივილი ავთანდილ — ლექსები, № 3
ხოსე მუნიოს კოტა — მილიონების სიმღერად
იქვე (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილ-
მა, № 4
ხო-სუან-ხიონგი — ლექსები, თარგმნა მურმან
ჭგუბურიაძემ, № 8
ჯაგაროვი გიორგი — ის ცოცხალი (ლექსი),
თარგმნა მუხრან მაჭავარიანმა, № 4
ჯავახიძე ვახტანგ — ლექსები, № 4
ჯანაშვილი ფირფუ — საქართველო (ლექსი),
№ 12
ჯანელიძე ჭანო — ლექსები, № 10
ჯანუღლაშვილი თეიმურაზ — ლექსები, № 11
ჯგუბურია მურმან — ოლიში (ლექსი), № 5;
ლექსები, № 11

პარდი თომას — ლექსები, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ, № 3

პაუქმანი აღფრედ ელდუარდ — ლექსები, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ, № 3

პრიტიკა, კუზლიცისტიკა, კუზლიკაციკა

ავალიანი გიორგი — ლექსები საბრძოლო თანამეგობრობაზე, № 1

ანთელავა ირაკლი — საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა ხასიათის საკითხებისათვის XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, № 7

ანთელავა ირაკლი, ბენდიანიშვილი ალექსანდრე — კაპიტალიზმის განვითარების ისტორიიდან რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში, № 5

არველაძე ბონდო — ქართველი ხალხის მეგობარი, № 9

ასათიანი ნოდარ, ბაღრიძე შოთა — უეგარგისი სახელმძღვანელო, № 4

ბაქრაძე აკაკი — „მითრიდატე“, № 5; არც ისე წვიმს, როგორც ქუხს, № 11

ბალახაშვილი იაკობ — ნიკოლოზ ბარათაშვილის მიეწეული ლექსი, № 1

ბარამიძე ალექსანდრე — ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი სერიოზული შეცდომებით № 4

ბერაძე ალფე — ქართული დიდაქტიკური პოეზიის მამამთავარი, № 10

ბერძენიშვილი ლალი, ჭავჭავაძე გიორგი — ხალხური პოეტური ენაზე, № 5

გაგოშიძე შოთა — „საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი, № 8

გვეტაძე მანანა — მაღალი პოეზია, № 5

გიგაური ცისანა — ვალერიუს ფლავიუსის „არგონავტიკა“, № 8

გრეგუარი ანრი — ივერთა მონასტერი და ათონის მთის ქართველთა როლი (წინათქმა სიმონ ყაუხჩიშვილისა), № 3

დარჩია მამია — გაიოზ რექტორი, № 2

დარჩია ბორის — ერთი აფორიზმის გამო, № 12

დევედარიანი შოთა — ლენინური გაზეთი „პრავდა“ და რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში, № 5

ვათევიშვილი ჭუანშერ — გრიბოედოვი და პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში, № 9

ვალიაშვილი ა. — ივანე კოტლიარევისკი, № 9

თვარაძე რევაზ — მთლიანი საქართველოს მე-სიტყვე, № 12

თითმერია ჭუმბერ — ორი ახალი აღმანახი („ცისარტყელა“, № 2

თუხარელი დიმიტრი — დიდი მგელაღის ანბანტარული სახე, № 12

კაკაბაძე ნოდარ — თომას მანი და ფრანც კაფკა, № 1

ენქოშვილი ირაკლი — წიგნი გრიგოლ ორბელიანზე, № 2

კვიციანიშვილი ემზარ — რითმის ფუნქციური დანიშნულება, № 2

კიკნაძე ზურაბ — დიონისესა და კრონოსის გამო „ვეფხისტყაოსანში“, № 11

კინწურაშვილი კორნელი — რუსეთში ქართული ენის საუნივერსიტეტო სწავლების ისტორიიდან, № 12

კოკაია-ფანჯიკიძე დალი — ლენინარდ ფრანკ ქართულად, № 3; ისევ თარგმანის ხელოვნებაზე, № 9

კოკილაშვილი არჩილ — ლენინი ჩვენს სოფელში, № 11

ლევინიშვილი სოლომონ — მიხეილ ბარათაშვილის უცნობი ნარკვევი საქართველოზე, № 4

ლორთქიფანიძე ინგა — ნაბახტევის ძეგლის დათარიღებისათვის, № 1

შახარაძე ფილიპე — ლენინური სიტყვა, № 1; ვ. ი. ლენინი ორგანიზატორული მუშაობის შესახებ, № 10

შალღლარია გივი — მარსელ პრუსტი, № 2

მეზვრიშვილი კახი — ვალმონდილი ჭარისკაცის წიგნი, № 4

მეტრეველი გურამ — ქართველი ერის მესაიდუმლო, № 7

მირიანაშვილი მადლენა — ორი იუბილე, № 3

ნანიტაშვილი ლეილა — ივანე ჭავჭავაძის და ილია ქავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, № 7

ნათაძე ლევან, პაპიძე გივი — ერთი სახელმძღვანელოს თარგმანის გამო, № 1

ორლოვსკაია ნატალია — კიდევ ერთი ცნობა საქართველოზე, № 1

პაპუაშვილი თენგიზ — „ეპისტოლეტა წიგნი“, № 1

პასტერნაკი ბორის — წერილები ქართველ მეგობრებს, თარგმნეს ლევან ბოლქვაძემ, გივი კოკილაშვილმა, № 10, 11

ჟოლომი სვეტლანა — რამდენიმე სიტყვა უკრაინული ახალგაზრდული პოეზიის შესახებ, № 9

რატკინი პროკოფი — ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე, № 11, 12



რევიზილი შოთა — ქართული ლიტერატურის გერმანელი მკვლევარები, № 5

სირაძე რევაზ — ქ. კეკელიძე და ძველი ქართული მწერლობის მხატვრული აზროვნების საკითხები, № 10

ტაბიძე ვალაკტიონ — როგორ დაიწერა „დროშები ჩქარა!“ და „ნიკორწმინდა“, № 5

ყორანაშვილი გურამ — გეოგრაფიული გარემოს როლი კაცობრიობის კაპიტალიზმამდელი ხანის ევოლუციაში, № 10

ყურაშვილი გიორგი — პარტია და არმია, № 2

შამელაშვილი რაფიელ — ვ. ი. ღვინის ნაშრომი „რუსული ენის გაწმენდის შესახებ“ და მისი მნიშვნელობა დედაენის სიწმინდის დაცვის საქმეში, № 7

შეთეკაური გიორგი — დედის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში, № 3

ჩანტლაძე ლევან — ლიტერატურული ხერხები „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“, № 6

ჩანტლაძე ვასილ — ქართული ეკონომიკური აზრი „ვეფხისტყაოსანში“, № 8

ჩაჩიბაია არჩილ — ცნებათა სწორად გაგება-გამოყენებისათვის, № 6

ჩიხლაძე ნინო — დარია ახვლედიანი, № 12

ჩხენკელი თამაზ — სვანეთის მზიური მითოსი, № 1; ორი აღმანახი („ხომლი“), № 2

ხიდაშელი შალვა — სამკაული და სიქადული ქართველთა, № 4

ხერხულიძე ვრიგოლ — ვალაკტიონ ტაბიძის ლირია ოციანი წლებისა, № 12

ხინიბიძე აკაკი — მუსიკა, გრძნობა და სილამაზე, № 2

ხიხაძე ლინა — მართლაცდა, ვინ არის ლევან ხიდაშელი?, № 5

ხუციშვილი სოლომონ — ივრისპირული რეჩიტატივები, № 7

ჯადისი თომას — ალკატრაზელი პატიმარი, თარგმნა ნიაზ დიასმიძემ, № 1, 2

ჯავახაძე ვახტანგ — „ოდეს პოეტი იყო არა მზრტო პოეტი“, № 7

ჯანელიძე დავით — საინტერესო ცნობა ეკვიპტელ მამულქებზე, № 2

ჯაში ნიკოლოზ — ეურნალისტიკა და ცხოვრება, № 7

ჯიბუტი ვლადიმერ — მუხრან მაქეაერიანის პოეზია, № 3; ოთარ ჭელიძის პოეზია, № 8; შემოქმედის პორიზონტი, № 12

ჯინჭვალაშვილი მიხეილ — საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა, № 3

ნარკვევი, მოგონება

ბასილაშვილი როლანდ — დანალექობაზე გუხები, № 1

ბერიძე გიორგი — პატარა საქმის დიდი წონა, № 5

გვაზავა-სანაძე ლამარა — გამოთხოვება, № 6

გვალა კლიმენტი — ეურნალისტიკა, № 7

გოგოლაშვილი ვლადიმერ — სოფელში ცხოვრობს ახალგაზრდა, № 3

გორგანელი ვახტანგ — იქ, სადაც ოქროს ციხე დგას, № 3

დიაკონიძე ოთარ — დიდ გზაზე, № 8

კახიძე მედეა — ნაირფერების საუფლოში, № 10

კრივიალოვი ა., კრუშინსკი ა. — წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, № 2

ლუკაშვილი ერეკლე — წარსულის ფურცლები, № 8

ნადირაძე ჭურბა — დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა, № 7

ოჩიაური თინა — მირზას გახსენება, № 5

ტაბაღუა ილია — კაბილია, № 6

ტერელაძე ილო — ორი არსენას შთამომავალი, № 2

ფანჯიკიძე გურამ — იქ, სადაც ცხოვრობდნენ ადამ და ევა, № 2

ცხვარაძე ვლადიმერ — ყრობის მგებობარი, № 1

ძიძიშვილი ქუჩი — გიორგი ნიკოლაძის მოსაგონარი, № 4

მცენიერება და ტანინა

ჭიქინაძე ვახტანგ — მთვარეზე ადამიანის გაურენის შესახებ, № 6

ხელოვნება

ბლისტენი მარსელ — ნახვამდის, ედიტ... თარგმნა ლია თევზაძემ, № 6

გურაბანიძე ნოდარ — დოკუმენტური თეატრი, № 4

იაშვილი შოია — ქართული მრავალხმიანობის საწყისები, № 8

მიშველაძე რევაზ — სიცილის სალონიში..., № 3

სატირა და იუმორი

გრიგოლია გიორგი — კარიერა, № 2

ღუმბავა ჭებე — გამოღვიძება ანდრომედას ნისლოვანებაში, ანუ წელიწადის სამი დრო, № 7

თაყაიშვილი არლი — „იდიოტმა“ რა ქნა (თანამედროვე ზღაპარი), № 10

მიზეველამე რევავ — მხიარული რემინისცენი-
ები, № 1
რუდიანუ სადი — იმედის ნაპერწკალი, გერმა-
ნულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა,
№ 9
ნახალწლო ღიმილი — ულტრაინტიმური ინ-
ტერვიუ (ჩაწერა ბათუ მელიამ), № 1
ტონიჩი ანტონ — სანიმუშო სკოლა, გერმანუ-
ლიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა, № 8
შტრალი რუდი — წყნარი მეზობელი, გერმა-
ნულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა,
№ 8

სპორტი

მიხაილოვი ვ., იუხინი ა. — ჰემინგუეი და
სპორტი, თარგმნა ზურაბ ლეშაშელმა, № 9
შეუილამე გვი — მესამე შთამბეჭდავი გამარჯ-
ვება, № 6

„ცისპარის“ ფოსტიდან

გოგოპური დავით — „როცა ვერა ვსენობთ სა-
განსა“..., № 4

ჩვენი პალწენდარი

კრილოვის დაბადებიდან 200 წლის გამო, № 3
ნატროშვილი გიორგი — სიტყვის გამოჩენილი
ოსტატი, № 1

სოხადე კოტე — გმირი ქვეულო ლეგენდა
№ 4

„ცისპარი“ ულოცავს მწერალ ალექსანდრე კუ-
თათელს, № 1

„ცისპარი“ ულოცავს მწერალ სერგო კლდია-
შვილს, № 2

„ცისპარი“ ულოცავს პოეტ ირაკლი აბაშიძეს,
№ 11

აბაშიძეს ულოცავენ: ვერიკო ანჭაფარიძე, ნიკა
აგიაშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ანდრია ბა-
ლანჩივაძე, ლადო გუდიაშვილი, ნოდარ დუმ-
ბაძე, მურმან ლებანიძე, რევავ ჭაფარიძე,
სერგი ჭილაია, № 11

„ცისპარი“ აღნიშნავს პოეტ გიორგი ლეონიძის
დაბადებიდან 70 წლისთავს, № 12

„ცისპარის“ ინტერვიუ

ინტერვიუ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ
სერგო ზაქარიაძესთან, № 9

უმკველი მხრიდან

უცხოური ქრონიკა, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9,
10, 11



გარეკანის მეორე გვერდზე ნახ. დ. ერისთავისა.

ქურნალი გააფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლანანოვის ბროსი. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის,
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 1/X-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-69 წ. ქალაქის
ფორმატი 70×108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.
შეკვ. № 3006. უგ 02417. ტირაჟი 18.400.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14,

ფან 60 333.

6 7/225



საქართველოს
წიგნების კავშირი

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236